

1974/4



# Կարգադրություն

9

1974





# სსსს

208

გამოცემის მეთვრამეტე წელი

1975

9

სექტემბერი

1974

თბილისი

საქ. კვ. ცე-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

# შინაარსი

**3.** „ვისკარი“ ახალი ამოცანების წიგნები

## პროზა

**8.** ელგუჯა მაღრაძე. გომეზა. ბიოგრაფიული რომანი. დასასრული.

**29.** როდამ ჩაჩანიძე. მოთხრობები

**35.** დიმიტრი მირინაშვილი. ორი ტომი. მოთხრობა

**58.** რევაზ მიწვამია. მოთხრობები

## პოეზია

**22.** ანუკა იმედიძე. ლექსები

**26.** ალი გუგუცია. ლექსები

**54.** ირა გოცაძე. ლექსები

**56.** თემალი ბარათია. ლექსები

**75.** ამირან აბუილაშა. ლექსები

**76.** ავთანდილ გურგენიძე. ლექსები

## ახალი თარგმანები

**77.** ვოლფგანგ გოეთე. ფილოსოფიური ლირიკიდან. თარგმანი და კომენტარი ოთარ ჭინორიას

## ნარკვევები

**99.** დავით ჯაფარიძე. ქართული სისხლით მოწყულ მიწაზე

**109.** ოთარ დიაკონიძე. სახლიკაცები

**114.** ვიტალი მიქიაშვილი. ზა კაცისა

— 50 —

**121.** რაფიელ უამელაშვილი. კომატური სიტყვის მაღლი

## წერილები

**130.** აკაკი გელოვანი. „ლუკა“ — მარტოხილ ბიძის ტრაგედია

**135.** ლილი გოგოხია. კოეზიით გაშუქებული მეცნიერობა

**138.** ვახტანგ კახაძე. დავითგვირგვინი საზოგადოებრივ სკამზე

**140.** სერგო თურნაშა. ქართველოლოგია და კავკასიოლოგია საზღვარგარეთ

**147.** ნინო ჩხილაძე. ნინო თარგმანი

**153.** აკუტაბაშა რიუნოსა. ფიქრები ლიტერატურაზე რუსულიდან თარგმნი კარლო არსენაშვილი

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- ვალერიან ბაქრაძე,
- აკაკი ბაქრაძე,
- გივი გეგეჭორი,
- გურამ გვირგვინი,
- მერაბ ელიოზოვილი,
- ქარლო კალაძე,
- კონსტანტინე

- ლორთქიფანიძე,
- ოტია პავლიანი,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნოდარ წულეისკერი,
- ტარიელ მანუჩია,
- სერგი შილაძე,
- თამაზ შილაძე,
- ლაშა ჯანაშია.

(პასუხისმგებელი მდივანი),

ნოდარ წულეისკერი,  
ტარიელ მანუჩია,  
სერგი შილაძე,  
თამაზ შილაძე,  
ლაშა ჯანაშია.

## „ციხსპარი“ ახალი ამოცანების წინაშე

ამაწინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ურნალ „ციხსპარის“ მუშაობის შესახებ. ამ დადგენილებას წინ უმდოდა ურნალის 1978-1974 წლების ლიტერატურული პროდუქციის გულდასმითი განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის გამოჩენილმა კრიტიკოსებმა, ლატერატურულმა საზოგადოებრობამ აფხაზეთიდან, აჭარაიდან, სამხრეთ ოსეთიდან და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. შემოსული მასალების პათოსი მეტყველებდა იმაზე, რომ ქართველ კრიტიკოსებს, მწერლებს, მკითხველებს ვულთან ახლოს მიაქვთ ურნალის ბედი, სიხარულს გვრათ მისი ყოველი წარმატება და შეფოთებას იწვევს ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო ხარვეზი. „ციხსპარი“ ახალგაზრდობის ორგანოა, მისი ფიქრებისა და მისწრაფებების, მისი შემოქმედებითი ენერჯის გამომხატველი.

უკანასკნელ ხანებში საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, დაუნდობელი ბრძოლა კომუნისტური საზოგადოებისათვის შეუფერებელი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ქართველი საბჭოთა ახალგაზრდობის მხურვალე მხარდაჭერით სარგებლობს და ურნალი „ციხსპარიც“, ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის ავანგარდი, ღირსეულად ეხმარება ამ დიდი მნიშვნელობის საქმეს.

„ციხსპარს“ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში. ურნალმა დაარსების დღიდანვე შემოიკრიბა ნიჭიერი შემოქმედებითი ძალები, მის ფურცლებზე აღიზარდა სიტყვის ოსტატთა ახალგაზრდა თაობა, რომელმაც გარკვეული კვალი დააჩნია ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას. „ციხსპარი“ ყოველთვის ცდილობდა არ დაერღვია გამოცდილი და ჭირ კიდევ გაუწაფავი ავტორების პარამიონული თანამშრომლობა, რაც საწინდარი იყო ლიტერატურულ ასპარეზზე ახალ-ახალი ტალანტების გამოჩენისა, მათი შემოქმედებითი პოტენციის გამოვლენისა და სამწერლობო სიმწიფის მიღწევისა. „ცრსკარის“ გარშემო აღზარდილ თაობას, როგორც ავტორებს, ისე მკითხველებს, ყველაზე მეტად მოეთხოვება იყოს ცხოვრების ავანგარდში, ეს არის შემოქმედებითი სიმწიფითა და ახალგაზრდული ენერჯით აღსავსე თაობა, რომელიც მუდამ ივსება ახალი ძალებით და ამიტომ აწმყოვე მზრუნველი და წარსულის დამფასებელი არასდროს არ კარგავს ცოცხალ კავშირს მომავალთან.

ღენინურა კომკავშირის ყველა საკავშირო და რესპუბლიკური პრემია, რომელიც კი ქართველ მწერლებს მიუღიათ. მიენიჭა „ციხსპარში“ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს (ნ. დუმბაძის, ნ. წულღისკირის, რ. ამაშუყელის, ჯ. ჩარკვიანის, მ. ელიაშვილის, მ. ფოცხიშვილისა). ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში უმაღლესი რესპუბლიკური ჯალდო — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია ბოლო ხანებში, ზედოზედ სამჯერ მიენიჭა „ციხსპარის“ აქტიურ ავტორებს, ძირითადად ამ ურნალში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისათვის (კ. ლორთქიფანიძეს, ა. სულაკაურს, მ. ლებანიძეს). წელს საკავშირო პრემიით პირველად აღინიშნა ქართველი კრიტიკოსის (გ. ასათიანის) წიროლი, რომელიც აგრეთვე „ციხსპარში“ იყო გამოქვეყნებული. ურნალის კომპლარობის დამადასტურებელია მისი ტირაჟიც, რომელიც უკანასკნელ წლებში სამჯერ გაიზარდა და 30 000 ეგზემპლარს გადააჭარბა.

მკაფიოდ გამოიკვეთა „ციხსპარის“ როლი და დანიშნულება ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების, რუსული და საბჭოთა კავშირის მომხმ





ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებისა და მსოფლიო ლიტერატურის პროგრესულ ტენდენციათა პოპულარიზაციის საქმეში.

„ცისკარი“ უხვად აქვეყნებს ნარკვევებს და მასალებს IX სუბწილის გამრების სასახელო საქმეებზე. ამისთვის უურნალს აქვს სტეციალური რუბრიკები — „ჩვენს დღეების რიტმი და რითმა“, „სუბწილელი ჩემს სოფელში“, „იდილე მზად, ჩემო სამშობლოვ“, „შენც უნდა მიზამო“, „ცხოვრების მხარდამხარე“.

უურადღებას იმსახურებს რუბრიკები — „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“ და „ძმობის სიმღერა“, სადაც იბეჭდება მომე ხალხთა პოეზიის ნიმუშები. მხოლოდ 1978 წელს „ცისკარში“ ოცზე მეტი სხვადასხვა ეროვნების ავტორთა თარგმანები გამოქვეყნდა. დაიწერა წერილები საბჭოთა კავშირის ხალხთა სულიერი კულტურისა და მსოფლიო პროგრესული ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე.

უურნალი ბევრს მუშაობს ახალგაზრდა და დამწყებ ავტორებთან. ამ მიზნით რედაქციაში არსებობს კონსულტანტთა ჯგუფი, ეწყობა შეხვედრები წარმომადგენლებში არსებული ლიტერატურული წრის წევრებთან. 1978 წლის შემოდგომაზე „ცისკარში“ ინიციატივით შეიქმნა მწერალთა ბრიგადები, რომელთაც მოიარეს თბილისისა და რაიონების საწარმოები. ეს შეხვედრები მიმდინარეობდა შემოქმედებითი ინტელიგენციისა და მუშათა კლასის წარმომადგენლის დახლოების მიზნით. ახალგაზრდა ლიტერატორებთან უურნალის მუშაობაზე შეტყვევებს ას ფაქტიც, რომ 1978 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებული 84 პოეტიდან და 34 პროზაიკოსიდან ნახევარზე მეტი (შესაბამისად 43 და 18) დამწყები ავტორია. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი ვერ დატოვებს კვალს ლიტერატურაში, მაგრამ მონაწილეობა რედაქციის სურვილი, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ავტორების დაოსტატებას. თუმცა სიფრთხილედ არის საჭირო — ნაწარმოებების გამოქვეყნება არ უნდა ხდებოდეს ლიტერატურული დონისა და ლირსების საზიაროდ.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ გასულ წლებთან შედარებით უურნალში ნაკლებად ვგვხვდება უსაგნო, უიდეო პოეზიის ნიმუშები, თვალსაჩინო გახდა მისწრაფება მხატვრულად დამაჩერებელი და იდეურ-პოლიტიკურად გამართული სამოქალაქო ლირიკისაკენ, რომლის პათოსიც ჩვენი დროის სულისკეთებას უპასუხებს (შ. ნიშინაძის „კომუნისტები“, ჯ. ჩარკვიანის „ჩარხი“, ნ. გურგენიძის „ენგურბების კომკავშირელები“ და სხვა). აღინიშნა აგრეთვე, რომ სამოქალაქო ლირიკის, მგზნებარე, პუბლიცისტურა ელერადობის ელემენტის შექმნაში აქტიურად მონაწილეობს შემოქმედებითი ახალგაზრდობაც (შ. ქავთარაძე, ნ. ხვედელიძე, შ. ხიდაშელი და სხვები). უურადღებას იმსახურებს 1974 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ა. კალანდაძის, ტ. ქანტორიას, მ. ფოცხიშვილის, მ. კახიძისა და სხვათა ლირიკული ლექსები.

„ცისკარში“ აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნდა მაღალმხატვრული პროზაული ნაწარმოებები, რომელთაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვიეს. ისინი უმეტესად ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ასეთ ნაწარმოებთა შორის აღინიშნა ჭ. ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხიას“, ა. სულაურის მოთხრობა „ლუკა“ თ. ქილაძის მოთხრობა „აუზი“, ნ. დუმბაძის, რ. ინანიშვილის, დამწყები მწერლების მ. ჯოხაძის, ლ. ბეროშვილის და სხვათა მოთხრობები.

ჭ. ამირეჯიბის მრავალმანაინი რომანის „დათა თუთაშხიას“ ძირითადი თემა საზოგადოების მორალური საწყისების განმტკიცება. თქმა იმისა, რომ მწერალი მხოლოდ ერთი პიროვნების ბედით არს დაინტერესებული, არ უნდა იქნებოდეს, რადგანაც ავტორი გვიჩვენებს XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის სოციალ-პოლიტიკური ვითარებისა და რევოლუციური ძალების გაღვიძების სურათს. ხოლო რომანის ალეგორიული და ნახევრადსტარული პასაჟები დაბეჭდვით მითითებენ, რომ პიროვნების ბედი მჭიდროდ არის გადაკავშირებული საზოგადოების ბედთან და პიროვნების ხსნა მხოლოდ საზოგადოების გარდაქმნით შეიძლება. მთავარი გმირის დათა თუთაშხიას ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ სიკეთისათვის პრძოლაში იგი აწუდება რევოლუციამდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების წინააღმდეგობას. მეფის ჩინოვიციური აპარატი, დასაძლავად განწირული ბურჟუაზიული საზოგადოება, მისი მორალი ჯერ კიდევ ძლიერია. ეს იწვევს რომანის მთავარი გმირის ხსნისათვის გაორებას, ვინ თავისი მრწამსის საწინააღმდეგოდ იქცევა, არ ებრძვის ბოროტებს, თუმცა, შინაგანად მოწოდებულია სწორედ ამ ბრძოლისათვის. დათა თუთაშხიას არ აწის

კეთილშობილი ლამაზი დონ-კიხოტის ორეული. მისი ამოქმედებისათვის საჭიროა თვით საზოგადოებაში ამოძრავდეს ძალი, რომელსაც შეიძლება ვაჭყვეს ვგი, როგორც მისი ერთი და განუყოფელი ნაწილი. მკითხველი ჯერ მხოლოდ რომანის პირველ ნაწილს გაეცნო და მის გაგრძელებაში მოელის სოციალურ-პოლიტიკური პანორამის ფართოდ გაშლას, თავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლის ჩვენებას, რასაც უნდა მოჰყვეს კიდევ დათა თუთაშხაის გაორებული ხანათის გამოლიანება, ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი რომანის საბოლოო შეფასება.

თ. ჭილაძის „აუზი“ მიმართულია მეშჩანოვის წინააღმდეგ, ამას მეტყველებს ნაწარმოების მამხილებელი პათოსი.

ა. სულაკაურის „ლუკა“ ეხება დიდი სამამულო ომის მძიმე წლებს. ავტორი ნათლად გვეუბნება: რაც არ უნდა ბნელი ძაღლები ემუქრებოდეს ადამიანთა მშვიდობიან ცხოვრებას, მათ ღირსებასა და ნამუსს, კეთილი მაინც გაიმარჯვებს.

ნ. დუმბაძის მოთხრობები გამსჭვალულია ნათელი ოპტიმიზმით, სიკეთისა და ჰუმანიზმის ცხოველყოფილობის სულისკვეთებით, რაც გადმოცემულია მისთვის ჩვეული მსუბუქი, ზოგჯერ ცრემლნარევი აუმორით.

„ცისკარმა“ ვაშალა მუშაობა ლიტერატურული კრიტიკის დონის ასამაღლებლად. გაფართოვდა კრიტიკის მოქმედების სფერო, წინა პლანზე დადგა ლიტერატურის მწვევე, პრობლემური საკითხების განხილვა, კრიტიკა უფრო აქტიურება ჩაება თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში.

ყურნალი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობით, კომუნისტური სულისკვეთებით ახალი ადამიანის აღზრდის პროცესს, რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლას მეცხრე ხუთწილედის დავალებათა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტას, რომელთაც პარტია უყენებს შემოქმედებითი ფრონტის მუშაკებს. ყურნალის თითქმის ყოველ ნომერში ქვეყნდება მასალები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მშრომელთა თავდადებული შრომის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა „ცისკარის“ წარმატებანი, მაგრამ ამასთან ერთად პრინციპულად და სამართლიანდ მიუთითა ყურნალის რედაქციას და რედაქციის ნაკლოვანებების შესახებ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ყოველდღიურად უნდა იხელმძღვანელოს „ცისკარის“ რედაქციამ, მის გარშემო შემოკრებილმა ავტორთა კოლექტივმა, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს ყურნალის როლი ახალგაზრდობის აღზრდისა და მშობლიური ლიტერატურის განვითარების საქმეში.

უკანასკნელ ხანებში იგრძნობა ერთგვარი მოჭარბება მხატვრულად სუსტი, ცრუ-პათეტიკური პოეზიისა, როცა ავტორები აქტუალურ თემას ეფარებიან და ამით ცდილობენ საქმიანი საუბრის ილუზია შექმნან. რედაქცია ბოლომდე პრინციპულად არ იბრძვის მხატვრულად მდარე და იდეურად გაუმართლებელი ნაწარმოებების წინააღმდეგ, რის გამოც არა მარტო დამწყებ პოეტებს, არამედ გამოცდილ ოსტატებსაც მკითხველთა სამსჯავროზე ლიტერატურული „ნახევარფაბრიკატები“. რედაქციამ მხარი უნდა დაუჭიროს ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებით ძიებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურნალი იქცეს ექსპერიმენტულ ლაბორატორიად. მდარე ლიტერატურულ პროდუქციად უნდა იქნას მიჩნეული ი. ხოშტარიას, კ. ბობოხიძის, ზ. კუხიანიძის, ა. ყურაშვილის, გ. გიგაურის, ე. კერძეაძის, ო. კანდელაკის, მ. მირნაძის, გ. კლიაშვილის, ო. კუბრაეას ზოგიერთი ლექსი, გამოქვეყნებული „ცისკარში“ 1973 წელს.

აქტუალური თემის პრიმიტიულ გადაწყვეტას უფრო ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა. მაგალითად, მხოლოდ ირონია შეიძლება გამოიწვიოს ზ. კუხიანიძის ლექსმა „ჰიპობი“, რომელიც პრიმიტიულ მხატვრულ ხერხებზეა აგებული და ბურჟუაზიული სოციალური მოვლენების მწვევე კრიტიკის ნაცვლად, ჰიპობის დაცინვის ნაცვლად თვითონ ლექსი გამოდის სასაცილო:

თითქოსდა ქაშია,  
ძლივს მაწევენს ხელს...



განა ავტორმა არ უნდა იცოდეს, რომ ჩაჩხა ქართულად ფაფა, თანაც ფაფას შეიძლება დონდლო ხელი ჰგავდეს, მაგრამ თვით მოქმედება, ხელის ჩამორთმევა განა შეიძლება იყოს ფაფა, ანუ „ქაში“ კლავა უფრო ზღარვა დასვენების ტაბაში:

ისე მიაბიჭებენ,  
თითქოს იყენენ ფორდები...  
შზეზე გამოფენილა  
ამერიკის ცოდებში.

საინტერესოა თ. ბეჩქევილის ლექსები, გამოქვეყნებული 1978 წლის პირველ ნომერში, მაგრამ არც ავტორს და არც რედაქციას არ ეპატიება ასეთი სტრიქონების გაშვება:

ჩვენც თამამად უნდა შევძლოთ, ძმებო,  
სამამულე ოფლის გამოშვება!

ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა უფრო ნაღის რედაქციას და სარედაქციო კოლეგიას, რომ ისინი ყოველთვის ვერ იჩენენ მომთხოვნელობას, შორისმჭერტელობას, პრინციპულობას. ეს არის მიზეზი იმისა, რომ უფრონაღი დაიბეჭდა დაუშუშავებელი ნაწარმოებები; ჯ. ტიკარაძის მოთხრობა „ბერბიკა“, ა. ჩხიკვიშვილის „გვალვა“, ლ. ბუენიშვილის, ჯ. მონიავას, ი. ომაძის, და სხვათა სუსტი მოთხრობები. ამ ლიტერატურული „ცდების“ ავტორები არ იჩენენ ინტერესს აქტუალური საკითხებისადმი, გამოვლილი, უფროთ მოთრეული სახეებისა და სიტუაციებისადმი მისწრაფებას ამჟღავნებენ.

უფრონაღი ვერ შეძლო აღმოეფხვრა სერიოზული ნაკლოვანება, რომელიც საერთოდ ქართული ლიტერატურული კრიტიკის დიდ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს — შვირად შეგნებულად თავის შეკავება თანამედროვე ლიტერატურის პრობლემების სერიოზული განხილვისაგან, ლიტერატურულ პროცესებზე საქმიანი პაექრობისაგან. კრიტიკულ სტატიებში ჭერ კიდევ გვხვდება ტენდენციური და სუბიექტივიზმი. ზოგჯერ ცალკეული უზუსტობა, ზერღლე, დაუსაბუთებელი მსჯელობა, თვითმინწერი ხუმრობა, ქედმაღლური ტონი იგრძნობა ისეთ შრომებშიც კი, რომლებიც მწვავედ და პრინციპულად აშუქებენ თანამედროვე ქართული ლიტერატურის საკითხებს.

უფრონაღის რედაქცია შვირად ვერ იჩენს სათანადო მომთხოვნელობას მხატვრული ნარკვევის ავტორებისადმი. „ცისკარში“ გამოქვეყნებული ზოგიერთი ნარკვევი უფრო საგაზეთო ინფორმაციას ან კორესპონდენციას ჰგავს, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს (ნ. მესხის „ქარღელი ჭაბუკი“, ა. ბადალაშვილის „დიდა ჯაჭვი“ და სხვები).

„ცისკარის“ ფურცლებზე შვირად ხვდებით ნაწყვეტებს სამეცნიერო შრომებიდან, რომელთა ხაწილი თანამედროვე ქართული ლიტერატურის პრობლემებიდან შორს დგას. რა თქმა უნდა, უფრონაღი უნდა აქვეყნებდეს მეცნიერულ შრომებსაც, მაგრამ ისინი უნდა ეხებოდეს ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის მნიშვნელოვან საკითხებს. უფრონაღმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ხელოვნების აქტუალურ საკითხებს და მათს მჭიდრო კავშირს ლიტერატურასთან.

უფრონაღის სარედაქციო კოლეგია ვერ იჩენს სათანადო აქტიურობას და ოპერატიულობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიზნად დაუსახა „ცისკარს“ კიდევ უფრო აქტიურად იმუშაოს ახალგაზრდობისა და რესპუბლიკის მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და ესთეტიკური აღზრდისათვის, ყოველი დონით ხელი შეუწყოს უფრონაღის ფურცლებზე მეცხრე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას. პარტიის XXIV ყრილობის, სკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ფუძემდებელი გადაწყვეტილებების შესრულებას, ჩვენი თანამედროვის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის სახის შექმნას.

ცენტრალური კომიტეტი უფრონაღის რედაქციისა და რედაქციისაგან მოითხოვს პარტიულ პრინციპულობას ავტორებთან მუშაობის დროს, რათა



შურნალში ადგილი არ ჰქონდეს იდეურად და მხატვრულად სუსტ ნაწარ-  
მოებებს.

ცენტრალური კომიტეტი შურნალის რედაქციას და ავტორთა კოლექტივს  
ავალდებს, რომ ისტორიული თემატიკით ზედმეტმა გატაცებამ არ გამოიწვიოს თა-  
ნამედროვეობის აქტუალური პრობლემების გვერდის ავლა, წარსული ორგანი-  
ზაციულად უნდა დაუკავშირდეს აწმყოს და განხილულ იქნას სწორა პარტიულ-კლას-  
სობრივი პოზიციიდან.

შურნალის ვალა მეთი ყურადღება დაუთმოს ლიტერატურულ კრიტიკას,  
ამასთან განუხრებლად იხელმძღვანელოს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრ-  
რალური კომიტეტის დადგენილებით „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შე-  
სახებ“, რედაქციას მართებს შემოიღოს ბიბლიოგრაფიული განყოფილება, სადაც  
მოცემული იქნება ქართველ მწერალთა ახალი ნაწარმოებების მოკლე, კრიტი-  
კული მიმოხილვა. საჭიროა უფრო ხშირად მოვიწვიოთ ავტორები, რომელნიც  
ცხოვრობენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ  
ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და  
რაიონში.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პუბლიცისტიკისა და მხატვრული ნარკვე-  
ვების შემდგომ სრულყოფას, მათი მოქმედების სფეროს გაფართოებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გვკვალდებს, უფრო  
ღრმად და ყოველმხრივ გავაშუქოთ ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და  
პატრიოტული აღზრდის საქმესთან დაკავშირებული საკითხები და ამ მუშაობაში  
ვიხელმძღვანელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973  
წლის 31 ივლისის დადგენილებით — „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის  
საქმეში მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ“.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან და მწერალთა კავ-  
შირთან ერთად შურნალის რედაქცია: ევალდება უფრო ფართოდ გაშალოს მუშა-  
ობა ახალგაზრდა მწერლებთან. ამისათვის უნდა იქნას გამოყენებული მუშაობის  
ისეთი ფორმები, როგორიც არის შეხვედრები, განხილვები, დისკუსიები, დისკუ-  
სიები, სემინარები, შემოქმედებითი მივლინებები.

ის ფაქტი, რომ „ციცქრის“ მუშაობა საქართველოს კომუნისტური პარტიის  
ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდა, ბევრს ავალდებს არა მარტო  
შურნალის რედაქციას და რედაქციას, არამედ „ციცქრის“ ავტორთა კოლექ-  
ტივს, უფრო მეტიც — ეს მნიშვნელოვანი დადგენილება სახელმძღვანელო უნდა  
იყოს რესპუბლიკის ყველა ლიტერატურული ორგანოსათვის, საქართველოს მწე-  
რალთა ორგანიზაციისათვის, ლიტერატურის დარგის ყველა მუშაკისათვის.

ამავე დროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენი-  
ლება მეტყველებს იმაზეც, რომ მას იმედი აქვს შურნალ „ციცქრისა“, ჩვენი შე-  
მოქმედებითი ახალგაზრდობისა. ვისაც ბევრს თხოვენ, მისგან ბევრსაც მოელოან.  
ამის შეგნება კიდევ უფრო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას მშობლიური პარ-  
ტიისა და ხალხის წინაშე.



# გ ე ლ ზ ე ბ ა

## გ ო ლ ო ტ ქ ე ა

დავით გურამიშვილის პოეტიკას ქართულ პოეზიაში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უჭირავს. გურამიშვილი ქართული პოეტური სიტყვის და ლექსის უდიდესი რეფორმატორია. უაღრესად ორიგინალური შემოქმედებით და პოეტური აზროვნებით მან გაამდიდრა და გააფართოვა ეროვნული ლიტერატურის თვალსაწიერი. მისი შემოქმედებით ქვეყნარტად ახალი ერა დაიწყო ქართულ პოეზიაში. გურამიშვილის მდიდარი და უაღრესად თავისთავადი პოეტიკა ცალკე კვლევის საგანია და ნაწილობრივ შეიძლება ამ წიგნის ძირეულ მიზანს არ შეადგენდეს, მაგრამ არ შეგვიძლია გავკრიტიკოთ მან არ აღვნიშნოთ ის განუზომელი დამსახურება და ღვაწლი, რაც ამ მიმართულებით გაუკეთებია პოეტს.

საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების დამკვიდრებიდან ქართული პოეტური სიტყვა და ლექსი, რამდენადაც უფრო ძველი, ბერძნულ-რომაული ქრისტიანული პოეზიის გავლენით ვითარდებოდა როგორც ფორმით, ისე აზრობრივადაც. ამის საუკეთესო საბუთია ჩვენი სასულიერო ლირიკა. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველებს ქრისტეს მოძღვრების მლალადებელთა საგალობლებამდე ლექსი არ ჰქონდათ. ძველი წარმართული

ხალხური პოეზიის ნიმუშები დღემდე შემორჩენილი და ხალხური ყოფიერების, ქართველი ხალხის უძველესი მატერიალური და სულიერი კულტურის მკვლევართათვის ძვირფას მასალას შეიცავს, მაგრამ რაც საქართველოში ქრისტიანულმა სასულიერო ლირიკამ მოიკიდა ფეხი, როგორც ვთქვით, ქართულ პოეზიას უფრო იმდროინდელი დასავლური იერი მიეცა. ქრისტიანული მოძღვრების მქადაგებელი პოეტები აშკარად ბერძნულ-რომაული პოეზიის გავლენით ქმნიდნენ საგალობლებს.

ძველი აღმოსავლური წარმართული მოტივები მწერლობაში წინანდებურად ველარ ბატონობდა. მეფერთმეტეთორმეტე საუკუნის მიჯნაზე კი საქართველომ, როგორც ცნობილია, აბსოლუტურ ერთმმართველობას მიაღწია, ქართული მოდგმის პატარა სახელმწიფოები ერთ დიდ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანდა და, ბუნებრივია, ქართული პოეტური სიტყვაც უფრო ეროვნული გახდა.

ამ დროს გამოჩნდა ღვთაებრივი შოთა. მან თავისი შეუდარებელი ეპიკური თხზულების დასაწერად, სასულიერო საგალობლებისა, იმდროინდელი სახოტბო ლირიკისა, თუ პოემების ავტორთაგან განსხვავებით, სწორედ ქართული ეროვნული, ხალხური შაირის ფორმა აირჩია, რომელიც იმჟამად ქართულ პოეზიაში თითქმის მივიწყებული

დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 4, 5, 6, 7, 8.

იყო და მხოლოდმა ხალხში ცოცხლობდა.

დიდმა ნათელმხილველმა პოეტმა იმთავითვე შეუმცდარი ინტუიციით განსკვრიბა ხალხური, ელასტიური, მოქნილი შაირის მასშტაბი ვრცელი ეპიური ამბის მოსათხრობად.

ქართული ეროვნული პოეზია პირველად, როგორც ვენახი საქართველოსა, რუსთველის ხელში აყვავდა და უნეტარესი მათრობელა სურნელი მიმოაფრქვია.

„ვეფხისტყაოსანში“ ჰპოვა ქართულმა პოეტურმა სიტყვამ პირველად უზენაესი სრულყოფა და სისავსე. რუსთველმა ქართული ხალხური, რაღაცნაირად ყოვლისმომცველი, შაირი საკუთარი სულის წიადში ისე განასპეტაკა, ისეთ ემბაზში განათლა, რომ სავსებით ახალი შარავანდით შემოსა, ახალი პეწი და ელვარება მისცა შაირითგამართულ პოეტურ ფრაზას. მერმე განუმეორებელი სიღინჩითა და ოსტატობით მოგვითხრო ნესტანისა და ტარიელის, თინათინისა და ავთანდილის ვრცელი რომანტიული ამბავი. „სიღბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქედისაო“, უთქვამს პოეტს და მართლაც მომეტებულად ხელამოდ უქსოვია მკიდრო და ლბილი პოეტური ფრაზა. ხან ფოლადივით მტკიცედ უჭედია ჯიუტი ქართული სიტყვა და ისე ჩამოუსხამს, დაუგრაგნია რვალივით მაგარი, უკვეთელი სტრიქონები, რომელთაც განუშორებლად თან ახლავს გავარვარებული ფოლადის სიკაშკაშე და სიმტკიცე.

რუსთველის დაბალი და მაღალი შაირის გამართული სტროფების დროული და მოხდენილი მონაცვლეობით სრულყოფილად გამოძერწა ამაღლებული, კეთილშობილდ გმირების ბრწყინვალე სახეები. ასევე სრულყოფილად დახატა დაბალი. ქვენა გრძობების მქონე მცონარა ადამიანება, ბოროტებისა და ბნელეთის მოციქულები. დიდი ეპიური სიღინჩითა და სიმშვიდით იქადაგა იმდროინდელი მსოფლი-

ოსათვის შესაფერისი საკაცობრდო პროგრესული იდეები.

ამიტომაც სწორედ რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ გახდა ქართველთათვის ჭირსა და ლხინში მუდამ თანამდევ საყვარელი საკითხავი წიგნი, ხოლო მისი დიდებული ავტორი მწიგნობართა და სწავლულთათვის გემოვნებისა და სიბრძნის მეტრი და საზომი.

ამერიიდან საქართველოში ნაკლებად ეტანებოდნენ ჰავიოგრაფიული ძეგლისა და სასულიერო საგალობლების თხზვას, ყველას რუსთველური სიტყვისა და შაირის თქმა სწყურიადა, ყველას რუსთველური სიტყვის პეწი და სინატიფე ხიბლავდა — მას ბაძავდა მცირე და დიდი, ერი და ბერი.

ღვთის მსახურებმა რუსთველის შაირით საღვთო სჯულის გალექსავა კი სცადეს, რომ ხალხში უფრო ადვილად გაეტანათ და დაენერგათ ქრისტეს მცნებანი. ხოლო ჩვენი ღვთისმოსავი მეფეები ხშირად სამეფო-სახელმწიფოებრივ საქმეებს თავს ანებებდნენ და პოეზიის ღმერთს ეჭიდებოდნენ, სამეფოს გვირგვინს რუსთველის გვირგვინს, პოეზიის გვირგვინს ამჯობინებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ გრძნეული სტრიქონებით მონუსხულნი.

ერთი სიტყვით, რუსთველის დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე და კეთილშობილური საკაცობრიო მაღალი იდეალები, რუსთველის პოეტური სიტყვის ელვარება და გულისმომაოხებელი ფხიანობა სახარებასავით ვრცელდებოდა ხალხში. „ვეფხისტყაოსანი“ პირველობას ეცილებოდა საქართველოში ბიბლიასა და წმინდა მამების ვრცელ ეპისტოლეებს. ალბათ, ამიტომ იყო, დიდად განათლებული ღვთისმოსავი ბრძენი ანტონ კათალიკოსი ასე რომ შეებრძოლა რუსთველსა და მის უკვდავ პოეტურ ქმნილებას. მაგრამ „ამაოდ დაშვრა“... კათალიკოსმა ვერც თავისი ავტორიტეტითა და ვერც თავისი ძლიერი ლოგიკით ვერაფერი დააკლო

**ელავჯა მაღრაძე**  
გომეზა





რუსთველსა და მის გენიალურ ნახელავს. რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ უკვე ხალხის კუთვნილება იყო და ხალხსვე დარჩა სათაყვანებელ სალოცავ ხატად, მაგრამ „ვეფხისტყაოსანმა“ თითქმის დაასამარა ყველა სხვა სალექსო ფორმა საქართველოში, ვიდრე არ მოვიდა მეორე დიდი პოეტი — დავით გურამიშვილი.

როცა დავით გურამიშვილის უაღრესად ეროვნულ პოეზიას ვეცნობით, უპირველეს ყოვლისა, განცვიფრებას იწვევს გურამიშვილისეული პოეტური სიტყვის ძალა, ცხოვრებისეული სიბრძნე, აზრობრივი სიღრმე. იგი მუდამ ერთნაირი სიღინჯითა და სიმშვიდით აღიქვამს თავის იავარქმინიო ქვეყნის ტრადიკულ წარსულსა და აწმყოს... პოეტის გონებას დაკვირვებული თვალის წყალობით შეუუმჩნეველი არაფერი რჩება და დიდი რეალისტური სიზუსტით მწარედ სწერს: მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატიკიარი არა ჰფარავს, მეტად მწარედ გული მტკივა, მაყრყოლებს და ტანში მზარავს. ვერ მოვიტყენ, რომ არ დავგმო აღმა მხენელსა, დაღმა მზარავს, ჩემი ცოდვაც მისცემია ჩემს ამომთხრელს, ამომბზარავს.

ძნელი წარმოსადგენია, ამაზე უფრო ტრადიკულად გადმოეცეს ვინმეს თავისი სულიერი მრწამსი ლირიკული სტრიქონებით. როცა ამნაირ სტრიქონებს ვკითხულობთ, უმალვე ჩვენც ტანში გვზარავს და თითქოს მისი ავტორის ძვლების მტკრევა გვესმის, აფორიაქებულ სულს ვეღარ ვიმშვიდებთ და ყელში რაღაც გვაწვება და გვახრჩობს, ხმის ამოღება გვიჭირს და ჩუმი ვიმეორებთ დაუსრულებლივ: „ჩემი ცოდვაც მისცემია ჩემს ამომთხრელს, ამომბზარავს...“

დავით გურამიშვილი, როგორც ზემოთ ითქვა, სამშობლოს, ქართულ გარემოს, ყოფიერებას ადრევე, სიყმაწვილიდანვე მოსწყდა და თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე უცხო ქვეყანაში, უცხოობაში გაატარა. ალბათ, სამშობლოს დანატრებული ამიტომაც, ასე

მძაფრად, დიდი სულიერი ტკივილებით რომ განიცდის მოგონებასა და წარსულსა სხვაში ყოველივე ქართულს — ქართულ ყოფას, ქართულ სიტყვას...

ქართული სიტყვა დავით გურამიშვილისათვის იგივე საქართველოა, ამიტომაც ქართული სიტყვის, ენის ფენომენს მის შემოქმედებაში უდიდესი ადგილი უჭირავს. იგი ქართულ სიტყვას ისე ხელშესახებად განიცდის, როგორც ცოცხალ საყვარელ არსებას.

გაოცებას იწვევს მისი პოეტური ლექსიკის სიმდიდრე. მისი ლირიკული ლექსებისა და პოემების ყოველი ხელახალი გადაკითხვა გვარწმუნებს, რომ პოეტი ზედმიწევნით დაწვრილებით იცნობდა ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებს, პოეზიას და პროზას, საღვთო წიგნებს — დაბადებიდან მოყოლებული... მაგრამ, ეტყობა, მან უფრო მეტი ქართული ხალხური ზღაპრებისა და იგავებისაგან შეითვისა და შეისისხლხორცა. ამას გვაფიქრებინებს დავით გურამიშვილის პოეტური სიტყვის მიმოხრა, მისი ნებისმიერი მიმოქცევა. დავითი მთელი სისავსით ფლობს ქართული ენის მდიდარ ლექსიკონს. იგი დიდი სიზუსტითა და სიფრთხილით იყენებს ქართული ენის ყველა კილოკავს... შესაშურებელი ოსტატობით ახერხებს სალიტერატურო ენისა და სასაუბრო-სამეტყველო ენის შერწყმას და ამაშია სწორედ დავით გურამიშვილის პოეზიის მომხიბვლელობა, მისი პოეტიკის იდუმალება, რითაც მუდამ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე...

როგორც ვნახეთ, დავით გურამიშვილის ხანგრძლივი სიცოცხლე, მისი ათასნაირი ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება ერთი საუკეთესო მწუხარე რომანია მე-18 საუკუნის საქართველოზე, იმდროინდელი ქართველი კაცის ყოფაზე, რომელშიც სამოთხის გრძნეული ბალივითაა აყვავებული ქართული პოეზია, ჩვენი ეროვნული პოეტური სიტყვა, სადაც სიამის მომგვრელი, მომხიბვლელი ფერებით მოჩანს იმდროინდელი



საქართველოს სახელმწიფოებრივი აზრობის, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, სადღესასწაულო რიტუალები, სამეურნეო და სამხედრო ხელოვნება — ქართული ერის ხასიათი, უკეთ ქართული სული...

პოეტურ აზრს, სათქმელს დავითი ისე უშუალოდ განიცდის, ისე უბრალოდ გამოხატავს, ისე უბრალოდ გადმოგვცემს, იფიქრებთ, მხოლოდ თავის შესაქცევად წერდეს. მაგრამ ხშირად სიტყვას ისე მოულოდნელად მოიქნევს, პოეტურ ფრაზას, სტრიქონს ისე დაარხევს, დაატრიალებს და დაკვანწავს, უმაღვე სულში უზენაეს სიამოვნებასთან ერთად გულისმომწყვლეულ სევდას ჩაგვაწვეთებს და ჭეშმარიტად მაღალი პოეზიის უხილავ მხარეში ჩავსახლებს, ისე რომ სამუდამოდ დაგვაშინებდეს კახთ ბატონის მიერ გაგზავნილი, იმედგაცრუებული მოციქული ბერების განცვიფრებული, ნირწამხდარი მწუხარე სახეები, რომელთაც საუცხოოდ ესმით თავიანთი სამშობლოს უნუგემო ყოფა, მაგრამ ამის გამო ნაკლებად სწუხან, უფრო მეტს საშოვარზე ფიქრობენ. პოეტი ამ პატარა დიაკვანკატუნებს მწარედ ნაღველმწერული ირონიით დასცინის, ხოლო მკითხველის გულში საუკუნოდ აღვიძებს და სტოვებს ივარქმნილი სამშობლოს ბედით გამოწვეულ სევდას:

მიუხაროდათ ღიაკენებს საქართლოდ  
გაჩაფრულებსა:  
„გაწირვინებენ ქართველნი, ვიშოვნით მრავალ  
ფრულებსა:  
საქონლით სავსეს მოვასხამთ გორაკელმთ  
დაყთარულებსა!“  
ეს არ ეგონათ, საკანში ჩაყრიდნენ  
ხელშეკრულებსა!  
ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს  
ნურითა,  
მეორემ — თევზით გავძლები, ზურგიელ  
გელანქნურითა,  
მესამემ — მივიბრუევი ღვინითა ატენურითა,  
მეოთხემ — კიდევ დაგვოცოენ საბლითა  
მაშმანურითა!

ვით მღინარე ღვარშერთული ზვირთს  
ისვრიდეს, სჩქერდეს დიდად,

მას ჭვეთმან ვერ შებედის, გადოს რამე მასწე  
ხილად: ვაჭარაული  
გატყდეს ხიდი, ზედ მავალნი გახდეს ხავსთა  
მოსაქილად,  
ეგრეთ ბერებს მოუვიდათ, რაც მოვითხარ  
მაგალითად.

მეფე დახვდათ ჭავრიანად, შესაზარი  
შესახედლად,  
მისგან ბერებს გაუძნელდათ პირად სიტყვა  
შესაბედლად:  
გამოიღეს წიგნი წინა, მიიშმდვარეს საფარ—  
კედლად,  
მიართვეს და ზოზუნად რასმე სიტყვას  
მოყვენენ ერთობ დედლად.

ამრიგად, დავით გურამიშვილის პოეტური ფრაზა მეტად გამჭვირვალეა და ნათელი. მისთვის არ არსებობს კეთილხმოვანი და არაკეთილხმოვანი სიტყვა. იგი პოეტურ ფრაზას მეტისმეტი სითამამით ეკიდება და თავისი დიდი არტისტიზმით მოუხეშავ, ტლანქ სიტყვასაც კი მძაფრი განცდების წყალობით სინატიფესა და სილბოს ანიჭებს. მას არც მოუხეშავი სიტყვის ეშინია და არც ჩვეულებრივი სიტყვის უჩვეულოდ გაუცხოებისა. რაგინდ პროზაულ საგანზეც არ უნდა წერდეს, პოეტურ ფრაზას მუდამ დიდი არტისტიკობით აშენებს და მოულოდნელი ემოციურობით ტვირთავს. ვახტანგ მეფის გარდაცვალებით შეწუხებული ერთგან ამბობს:

მეფე მოგვცადა, ვიქმენით ჩვენ მწარედ  
ოხერ-ტიალი!  
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა ბრწყინვა  
და ჭყრტიალი;  
მოგვწყადა წელ-გული, შევექნით, ვით უმხროდ  
ჩიტმან ფრტიალი,  
დავწყეთ, ვითა წიწილთა უკრუხობითა,  
წკრტიალი.

ცალკე რომ ავიღოთ სიტყვები: ჭყრტიალი, ფრტიალი, წკრტიალი, ქართულ სალიტერატურო ენის ლექსიკონში შეიძლება არც არსებობდეს, მაგრამ გურამიშვილის სტროფში სამთავე თავის ადგილზე ზის და მშვენიერად გამოხატავს პოეტის სათქმელს, პოეტურ აზრს. ამგვარი მაგალითების

ელგუჯა მალრაძე  
გოდება

მოკრეფა გურამიშვილის პოეზიიდან დაუსრულებლად შეიძლება.

სამშობლოსგან მოწყვეტულს მხოლოდ ქართული სიტყვაა შერჩენოდა სულის საოხად და სიკვდილამდე პოეზიაზე თავგადასკვდარი უზომო სევდითა და ირონიით ზომიერად შეზავებული, ულოსავით დაქნილი სტრიქონების ხელრთვაში პპობედა შეებას:

კახთ ნაჩინჩხლთ წინწყალთ ღაერთო  
ქართველთა ქარი აღწედა;  
რა იგი ორნი შემუშულდენ, ვით ქორნი  
გარიალწედა,  
გამოეღვიძა არწივსა ჩხუბსა და მათ  
ყრიალწედა,  
გარიელს კლანჭი მან უკრა, ხედნ ორნივ  
ცარიალწედა.

სჯობდა იღუმალ ენუკვთ ქორთ თვისი  
სანუგვარია.  
წილად ერთს მხარი ეწიწკა, მეორეს  
საწიწკარია:  
სრულ არ მიეცათ მტრისათვის თავიანთ  
საკენკარია,  
თუ ამას ავად ვამბობდე, პალური ამოქარია!

წერდა პოეტი უბრალოდ, სადად, ყოველნაირი სტილიზების გარეშე და ჭეშმარიტად მაღალი პოეზიის ხატს უკრაინის თვალუწვდენელ სტებებში, კავკასიონის მწვერვალებს მიღმა დარჩენილ სამშობლოს უმშვენიერეს ხატებად წარმოიდგენდა. მშობლიური საგურამოს სანახებს იხსენებდა, გულში შიო მღვიმის საგვარეულო „ძვალთ შასლაგ“, წინაპართა საფლავებს ეფერებოდა და სამშობლოსათვის უკვდავ ღირსი პოემებსა და ლექსებსა ქმნიდა, ქართულ სიტყვას შეპფოფინებდა, სათუთად, სასოებით უფლობა, ეფერებოდა. სამშობლოს უბედობით გამოწვეულ ტკივილს, ქართველი ხალხის სიყვარულს, ქართული სიტყვის უკვდავებისათვის იასკეცებდა, თავს პოეტური სიტყვის ხორცმესხმითა და სრულყოფით ინუგეშებდა. საწუთროს სიავითა და გაუტანლობით გამოწვეულ მოურევნელ სევდასა და მწუხარებას პოეზიის სიყვარულით იქარწყლებდა. ქართულ პოეტურ სიტყვას სიკვდილამდე მოუქანცველად უთამაშებოდა და

ხანგრძლივ სიცოცხლეს ხან ზომიერად მეტად ნაღვლიანი, ხან ზომიერად მხიარული მელოდიებით იხალისებდა და მარცვლიდა.

დავით გურამიშვილის მხატვრულ ქმნილებებში ხშირად უცხო, არა ქართული სიტყვებიც გვხვდება, მაგრამ მისი დიდი პოეტური ენერჯისა და ძალის ხმევის წყალობით ეს სიტყვები მის პოეტურ ქურაში ნაწრთობია, შემოქმედებით დარჯაქშია გამოვლილი და უმაღვე ეროვნულ ელფერსა და შინაარსს იძენენ. პოეტი ხშირად ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმისას საყოველთაოდ აღიარებულ ორთოგრაფიულ წესებსაც არღვევს, მაგრამ ამით მაღალი პოეზიის ხატს არასოდეს არ ბღალავს. პირიქით: ზოგჯერ ამით უფრო აძლიერებს ცალკეული სიტყვისა და სტროფის შინაარსს, სიტყვასა და სტრიქონს უფრო ემოციურს ხდის, სათქმელს უფრო ფხიანად, ცოცხლად გამოხატავს და ლექსს თავისუფალ, გურამიშვილისეულ იერს ანიჭებს.

დავით გურამიშვილი სწორედ იმითაა განსაკვიფრებელი პოეტი, რომ მას თუგინდ უცხოური წარმოშობის, თუგინდ ქართული მჭლე სიტყვა მოხვდეს ხელში, რღაცნაირად ბარაქითა და დოვლათით დატვირთავს, ახალ სისხლს გადაუხსამს, სულს ჩაუდგამს, სრულყოფილს გახდის, ძვალს დაუმსხვილებს, ფერს დაუბრუნებს, კეთილად დაამწიფებს და სამოთხის უცხო ნაყოფს დაამგვანებს. პოეტი მეტად თავისუფლად, გაბედულად მოგზაურობს მშობლიური ენის უსიერ ტევრში. სიტყვას საჭიროებისამებრ ათასნაირ ფორმაში აყენებს და მუდამ სასურველ ეფაქტს აღწევს. იგი ერთნაირი სიმპათიით ეკიდება როგორც ხალხურ სადა, სასაუბრო მეტყველებას, ისე წმინდა, დახვეწილ სალიტერატურო ენას. უბრალოდ რომ ვთქვათ, დავით გურამიშვილი არაა ერთხელვე დაკანონებული სალიტერატურო ენის, უკეთ გრამატიკის ტყვე, (მისმა მაღალმა სულმა გვაპატიოს ეს შეცოდება), მაგრამ ძირითადად ქარ-





თულ სწორ მეტყველებას არასოდეს დალატობს... პირიქით: პოეტმა ამ თვისებით დიდად შეუწყო ხელი ქართული პოეტური კულტურის განვითარებას, პოეტური ენის გამრავალფეროვნებას.

დავით გურამიშვილის პოეტური თავისებურება იმაშიც მკლავნდება, რომ მან დიდი პოეტური ნიჭის მეოხებით იმთავითვე ერთბაშად წაშალა ზღვარი ეგრეთწოდებულ მაღალი „შტილის“ მეტყველებასა და, სადა, გამჭვირვალე ხალხურ მეტყველებას შორის. მის მრავალნაირ პოეტურ გამოხატველობით საშუალებებს შორის ყველაზე ნიშანდობლივია, რომ იგი მხატვრული, ფიგურალური აზრის სიმკვეთრით, განწყობილების ხელშესახები რაფინირებით ცდილობს ყოველთვის უბრალო, ჩვეულებრივი, არა ესთეტიკური სიტყვების განსხვავებასა და გაბატონებას. მერე ამ სიტყვებს რაციონალური იდუმალი ხელოვნებით მტკიცედ აკავშირებს, ადულაბებს ერთმანეთთან, რათა მკითხველს უბრალო, უპრეტენზიო სტრიქონებითაც კი დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს:

ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს, ნურასა იქს  
 ხაძრახვასა:  
 თავისიცა განიმაგროს, ნუ აფოფნებს სხვის  
 ნიხვავსა.  
 ქეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის  
 განმქოთხავსა,  
 მაგრამ ავზე ავი ითქმის, კარგს არავინ  
 გაჰკიცხავსა!  
 ამას ვსწუნობ: ავნი ავსა თვით ითქმენ და სხვას  
 კი სძრახვენ.  
 ბავით მორცხვიც გაურცხვდების,  
 უსირცხვილოს თუ არ არცხვენ,  
 ვინ დაჰფარავს მათს ნათესსა, თვით უშიწოდ  
 ქვიშას ფარცხვენ,  
 ქვე საწუთროს ქვითკირს ზღამვენ, ზე  
 ხამკვიდროს ფიჩხით ფაცხვენ.

ქართველი ხალხის ეროვნული ტრადედია, ოდესღაც ერთი, მთლიანი დიდი საქართველოს დაცემა, დაქუცმაცება და გაპარტახება ისე მწარედ, სულის შინაგანი წიწვითა და გოდებით არავის განუცდია და დაუხატავს ქართულ პოეზიაში, როგორც დავით გურამიშვილს. მართალია, იგი მწუხარებით მოგვითხ-

რობს საკუთარ ბიოგრაფიაზე, ბედნიერ ყმაწვილკაცობაზე, მერე ათასნაირი ფათერავებით აღსაცხე თავის ხანგრძლივ სიცოცხლეზე, მაგრამ უფრო მეტს სამშობლოზე სწუხს, ქართველი ხალხის გარდასულ დიდებასა და ძლიერებაზე მოსთქვამს. წყევლითა და კრულვით იგონებს უგუჟურთა, სამშობლოს ორგულთა სახელებს, შარავანდელით მოსაცხს კახაბერის ღვთაებრივ სახეს, სამშობლოსათვის თავდადებულ ჭკვიან მოღვაწეებს და დიდი სიმართლით გადმოგვცემს მე-18 საუკუნის საქართველოს მდგომარეობას, მის შინაგან სულიერსა და პოლიტიკურ უმწეობას, ერთმანეთის გაუტანლობას, ლალატსა და გამცემლობას. „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი“, ამბობს პოეტი. მაგრამ სულ რამდენიმე სტრიქონში განსაცხეფრებელი ოსტატობითა და ლაკონურობით ხორცმესხმულად ხატავს, მაშინდელი საქართველოს მართლაცდა შემაძრწუნებელ ტრაგედიას.

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი ჩერქეზ, ლილივი,  
 დიდი, ქისტი,  
 სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ  
 წაკრა თვითო ქიშტი!  
 მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუღდა ძმასა  
 ყისტი,  
 თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს  
 ხიშტი!  
 ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და  
 წაკიოდოს.  
 მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და  
 დაეკოდოს,  
 რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი  
 ჰკიდოს,—  
 ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა,  
 ლეკთა, დიდოს!

ასეთი სხარტი, უაღრესად ტევადი, პოხიერი პოეტური სიტყვით წარმოსთქვამდა პოეტი თავის ლირიკულ მონოლოგებს. თვალწინ მუდამ ღვთისმშობლის სათნო სახება ედგა, მაგრამ შინაგანად, უფრო მეტს სამშობლოს ხატზე ლოცულობდა ქართველი ერის უბედობითა და დაკნინებით გულდამწვარი.

**ელგუჯა მაღრაძე**  
 გოდება



გურამიშვილის ბობოქარი სული ვერ თავსდებოდა მხოლოდ და მხოლოდ თეოლოგიის ჩარჩოებში. მის სულს შეუბრალებლად წეწენ შინაგანი წინააღმდეგობანი. იგი ხან ღვთისმოსავი ქრისტიანია და ხან არსთა გამრიგის წინააღმდეგ ამბოხებული მოჯანყე. საწუთროს გაუტანლობითა და პირადული უბედობით ყველაფერში დაექვევებული თითქოს მიწაზე ვერ ეტევა, მსოფლიო სევდითა და მკუმნვარებით აღტყინებული თავისი გენიალური შთამომავალივით ცათა მიღმა ეძიებს სადგურს სულისას, იღუმალებით მოცული, შეუცნობელი სამყაროს საიდუმლოების ამოხსნისა და აღქმის წყურვილი კლავს და ხშირად ზენაარსისაყენ მისტიციზმით დამძიმებულ ეგზალტირებულ ლოცვებს ადავლენს, რათა წუთით მაინც იგრძნოს რწმენით დაცხრომა და სულის სიმშვიდე, მაგრამ ამას ვერ ახერხებს. მისი ფხიზელი თვალი საწუთროს, ადამიანის ყოფას, ცხოვრებას უფრო რეალისტურად აღიქვამს. უზენაესის მარადიულ სინათლესა და სიკეთეზე ეჭვი ეპარება, ედავება საწუთროს და საწუთროს შემოქმედს, რომელმაც სიკბატუის კეთილი ოცნებები დაუმსხვრია, სამშობლო დაუკარგა, იმედი გაუცამტვერა, ესეც არ იკმარა და ბოლოს „თავში სიბერწე კომბლად დაახალა“... ახლა ქართული სიტყვა იშვილა. მას ეფერება, ზრდის, ამდიდრებს, მისით უნდა სიკეთე თესოს, მშობელი ხალხის სული განწმინდოს და აამაღლოს. წინ ჭეშმარიტად მაღალი პოეზიის ხატი წაუძღვარებია და ქრისტეს მოუხმობს ურჯულო მტერთაგან ღვთისმშობლის წილხვდომილ სამშობლოს სახსნელად. მისთვის ახლა სამშობლო და პოეზია, ქართული სიტყვა, ქართველი ხალხის მომავალი ქცეულა ხსნის გზად და უმაღლეს რელიგიად. ამიტომაც იგი ხან რწმენით აღსავსე, გონიერებით აღჭურვილი, ბრძენი, დიდი რეალისტი მოაზროვნეა, ხან კი გრძნობამოჭარბებულია რელიგიური მისტიციზმითა და ემოციებით გათანგული, ეჭვებითა და წინააღ-

მდეგობებით, თავისთავისთვისაც უცნობელი განცდებით აღვსილ ქრისტიანს, გარკვეული პიროვნებაა, რომელმაც ვერა და ვერ შეჰკრა დარღვეული დროთა კავშირი, ვერა და ვერ დათრგუნა გონების მღრღნელი ეჭვი, არსთა გამრიგის სრულყოფილ, ერთიან სათნობასა და სიკეთეზე. პოეტის კარგად ხედავდა, რომ საქართველოს უფალთ უჭირდათ იმ ეპოქალური საკითხების მოგვარება, რისი გადაწყვეტაც ბედისგან მათი პირდაპირი მოვალეობა იყო. ვერც თვითონ პოეტმა განაზნა რაიმე საშუალება და ვერ უჩვენა თავისიანებს ხსნის გზა. ვერ იქნა და ვერ დასძლიეს ის ეპოქალური შეცდომები, რომლებიც გამოწვეული იყო ქართველ მეფეთა თვითნებობით, ხუმტურიანობითა და მათი ქვეშევრდომი თავადების შეორგულებითა და გამყიდველობით. მაგრამ იგი მაინც შინაგანი ტიტანური გზნებით ცდილობს შეათანხმოს სამშობლოს სიყვარულით გათანგული შემოქმედის წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნება და მეამბოხური სული რეალურ სამყაროსთან, დათრგუნოს საკუთარი აჯანყებული სულისკვეთება და ქრისტიანის ღვთისმოსაობით შეეგუოს დრო-ჟამს, შეკრას დროთა დარღვეული კავშირი, წინააღმდეგობებით დაწეწილი სული და გარება არ გაუმხილოს შთამომავლობას, რათა სრული უფლება ჰქონდეს ქრისტიან ხალხში სიბრძნისა და სიკეთის ქადაგებისა. თუმცა ეს წინააღმდეგობანი მაინც აშკარად ეონავს მის მიერ მტკიცედ ნაშენ ციხე-კოშკის ბალავარიდან.

დავით გურამიშვილი თავის დროის უდიდესი მოაზროვნეა. რუსთველისა და სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებით გონებაგაწვრთნილმა თავისი ლირიკული პოემებითა და ლექსებით საოცარი სიზუსტით ასახა მაშინდელი საქართველოს აწეწილ-დაწეწილი, პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა, კულტურული ყოფა და ქართულ ლიტერატურაში ჭეშმარიტად დიდ რეა-

ლისტურ-ეროვნულ პოეზიას დაუდო სათავე.

გურამიშვილი პირველი პოეტია, რომელმაც გაბედულად დააღწია თავი აღმოსავლურ მოტივებს და ქართულ პოეტურ სიტყვას სულ სხვა, ახალი ინტონაციური ელვარობა მისცა. მისი ლექსის მდიდარი ვერსიფიკაციური ნაირსახეობა დღემდე გვაოცებს. გაექცა რა ექვსი საუკუნის მანძილზე გაბატონებულ რუსთველის პოეტურ ფორმას, ქართული პოეზია მრავალნაირი მეტრიითა და რიტმით გაამდიდრა. გურამიშვილის პოეზია დაედო საფუძვლად მეცხრამეტე საუკუნის მდიდარ ეროვნულ პოეზიას. რუსთველის შემდეგ დავით გურამიშვილი ქართული ლექსის და პოეტური აზროვნების უპირველესი რეფორმატორია და ვერსიფიკატორია. რუსთველის შემდეგ პირველად გურამიშვილის შემოქმედებაში გამოიმკვანდა ქართული პოეტური ენის ამოუწურავი შესაძლებლობანი — სილბო, სისხლხორციანობა, სიმტკიცე და სინატიფე.

დავით გურამიშვილი არ ყოფილა ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის ორთოდოქსალური უსიტყვო მონა მიმდევარი, როგორაც ზოგიერთნი ცდილობენ დაგვიხატონ. იგი ყველაფერს ექვის თვალთ უყურებდა და ყველაფერში ქეშმარიტებას ეძიებდა. მშითა და მთვარით განათებულ, მომეტებულად დიდი, შორსმჭვრეტელი ფართო თვალებით უჭვრეტდა, შეჰხაროდა ბუნების, სიცოცხლისა და მშვენიერების შემოქმედს, ბოლოს და ბოლოს როგორც მხსნელი, იმედი, სასოება და საბოლოო ნავთსაყუდელი ღმერთი ირწმუნა, მაგრამ მისი სრულყოფილება კი არა სწამდა. მშიერსა და მწყურვალს რომ წყალმა კიტრები მოსტაცა, განაწყენებულმა საყვედური შეჰლაღადა: „თუ მომეც, რაღად წამართვიო“. სამკვიდროს მოწყვეტილი, უცხო მიწაზე უთვისტომოდ მარები, ჩალა-ბულაში მძრომელი, გალობით, მაგრამ საკმაოდ მკვახედ მიმართავს

ღმერთს: „რად გძინავს, აღზდებ, უფლო, აწ განიღვიძეო!“

თუ ღმერთი არსებობს, თუ იგი ყოვლისშემძლე, სრულყოფილი არსებაა, რასაკვირველია, მას შეუძლია კიდევ გაიღვიძოს და კიდევ დაიძინოს, მაგრამ სადაა მარადიული სასუფეველი მისი?! ალბათ, უსასრულო სამყაროში, სადაც მარადიულ წალკოტში, მაგრამ რა საერთო აქვს მას მიწასთან, მიწიერ ცხოვრებასთან? თუ ყოველივე მისი შექმნილია უსასრულო სამყაროში და ჩვენს პლანეტასაც მისი გონების თვალი მართავს, რატომ შექმნა ამდენ სიკეთესთან ერთად ამდენი ბოროტება და უკუღმართობა, ადამიანის სიცოცხლეს, მის ყოფის სიკეთესთან ერთად რატომ თან სდევდა მუდამ ათასნაირი ფათერაკი?!

ასეთი კითხვები დავით გურამიშვილის მგრძნობიარე გულსა და ნათელ გონებას ჯერ კიდევ სიყრმიდანვე აედევნა და სიკვდილამდე არ გაშორებია, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოიარა, მიწიერი ცხოვრების ყოველნაირი სიტკბო და სიმწარე იგემა, მაგრამ ბუნების აუხსნელი საიდუმლო მაინც ვერ ამოხსნა. ადამიანის ყოფის, სიცოცხლის არსს მაინც ვერ ჩასწვდა და ფაუსტური სევდა უფრო მწარედ შემოაწვა. საწუთროს ამაოებით დასეტყვილი გული თუმცა დანიის პრინცივით ექვევით შუაზე არ გაპოზია. პირიქით, უფრო მწვავედ შეიყვარა სიცოცხლე, ადამიანი... თავისი სათაყვანებელი სამშობლოს ხატი წინ დაისვენა და მაღალადამიანურ სიკეთეზე დაიწყო ლოცვა. ადამიანის უმშვენიერესსა და ულამაზესს სულში დაიწყო ძიება ყოვლისშემძლე არსებისა, რომ თვით აემადლებინა ადამიანი ღმერთის ცნებამდე. არსთაგამრიგის შექმნილ ქვეყნიერების წესრიგზე დაეკვიდრებულმა კიდევ უფრო მწარედ და მწვავედ შეიყვარა მიწიერი ცხოვრება, სიცოცხლე და „ქართლის ჭირზე“ უკვდავი სიმღერებით რომ მოიოხა გული,

**ელგუჯა ხალაძე**  
გოშიდა

გ. კვიციანიძე იბრ.



მერე ცხოვრებისეული მშვენიერების, მიწიერი სილამაზისა და სიყვარულის დაუვიწყარი, მხატვრული, ჭეშმარიტად სრულყოფილი სახეები შექმნა. საქართველოს ერთ-ერთი მხიარული ზაფხულის ამბავი ლირიკული მონოლოგებით ოსტატურად მოგვითხრო და წუთისოფლის საიდუმლოც უბრალოდ ამოხსნა.

როცა დავით გურამიშვილის პოეზიას დაკვირვებით ვეცნობით და მის უბადლო სტრიქონებს შორის მოქცეულ დაუწერელ სტრიქონებსაც გონების თვალით ამოვიკითხვათ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ პოეტს შინაგანად უფრო მიწიერი სწამდა, ვიდრე ზეციერი. მართალია, მის საგალობლებში, ლირიკულ ქმნილებებსა და პოემებში ხშირად ისმის „ალილუია“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ქრისტიანული მოძღვრების, ღვთაების ბრმა თაყვანისმცემელი, „მონა“ ყოფილიყოს. იგი სამშობლოსა და მშობელი ხალხის ხსნისათვის იღწვის და ხილულ სამყაროს, ბუნების შემოქმედ ძალას, თუკი ასეთი ძალა არსებობს, შეღალადებს თავის ლირიკულ ჩანაფიქრს, უხილავს ევედრება და თვალწინ სამშობლოსა და მშობელი ხალხის ხატება უდგას მუდამ. ამ ხატებას უნდა წარუძღვეს წინ და სამშვიდობოს უნდა გაიყვანოს, რაიმე კეთილი შესძინოს.

განა ასე არ იქცეოდა უფრო გვიან, მეცხრამეტე საუკუნეში მისი ლირიკული შემკვიდრე — ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თავიდანვე საქვეყნოდ განაცხადა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“. დიან, დავით გურამიშვილი ჩვენს სინამდვილეში პირველი პოეტია, რომელმაც უფრო ადრე, როგორც შემდგომში ილია ჭავჭავაძემ, ერის წყლული საკუთარ წყლულად დაიჩინა მხურვალე გულზე და მთელი სიცოცხლე სამშობლოზე გოდებდასა და რუდუნებაში გაატარა. მშობლიურ შემოგარენსა და ქართულ დინჯ, დარბაისლურ საუბარსა და ნატრულეზულმა, უცხო მიწაზე ქართული ენა აღმერთა და ეროვნული პოეზიის ლირიკული შედეგები შექმნა.

მას წამითაც კი არ უტყობოდა ქვეყნაზე გულხელდაკრეფილი. იგი მუდამ გაფაციცებით ადევნებდა თვალს ცხოვრებისეულ მოვლენებს და ადამიანის სულს მუდამ მაღლა ეწეოდა, სიკეთისაკენ. ჭეშმარიტებას ეძიებდა ბოროტების დასათრგუნავად. ქართული ერის გატნჯვასა და შეჭირვებას დაუფარავად და მოურიდებლად საწუთროს გამრიგეს აყვდრიდა. წუთისოფლის მრუდე გზის სწორად გაკვლევას მხოლოდ ნათელი გონების თვლით ცდილობდა: „მას დავნატრი, ვინცა სწორედ სელად საწუთროს გზას ვაკვლავს“, ლაღადება ბრძნულად და იმდროინდელი დუხჭირი ცხოვრებისაგან დაფლეთილი გულიდან გასისხლული სტრიქონები ამოჰქონდა შეჭირვებული სულის შვებად და მეოხად:

მიღის-მოღის ეს სოფელი, ქარტხილითა  
ზღვისებრ დელავს!  
უკან დახდევს დრო და უამი. მის ნაქსელავს  
ქსოვს და სოფლავს.  
ის მქლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სითბავს,  
რასა სცელავს?  
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია,  
რასაც ელავს!

ამისთვისა ვარ ფაციცად, ვითა თავს მტერ  
დანახხამი.  
მისი ცეცხლით გული ჩემი ვალს ჰირისოფლ  
დანახხამი.  
მოწყვეტილა მოსაგრილად წულურზე წყალი  
დანახხამი  
გული ასე დაუაუწავს, ვით გაღუბილ დანახ  
ხამი.

წუთისოფელზე უღმერთოდ გამწარებული, წუთისოფელშივე ეძიებს ნუგეშს სულისას. როცა ზამთარს ნირი წაუხდება და ზურმუხტის ტახტზე ზაფხული დაბრძანდება, როცა სოფელი მინდვრებში ნახირს გარეკავს, პოეტი გახარებული თვალებით შესცქერის ბუნებას, სიცოცხლისა და ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, მიწიერ ყოფაზე მწარედ შეყვარებული, სოფლის სიუხვითა და ნაყოფიერებით აღფრთოვანებული, მწყემსებს ძველი რომაელივით მშვენიერი, ყვავილოვანი ლუქსებით უმღერის, მათ მფარველ ნაზ ღვთაებებს

მოუხმობს, აყვავებული ბუნების წიაღ-ში მზიარული გოგო-ბიჭების ყოფას, ენებათაღლევის ადამიანის — სულის ღრმა ფსიქოლოგიური ცოდნითა და პოეტური ხატოვანებით გადმოგვცემს:

ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,  
ტკბილად მოსძახის იფოფს გუგული;  
შაშვი ამბობს ზილსა,  
მსმენი იკრთობს ძილსა,  
ღვრინავს ქედანი.  
სხვანი მღვრინველნი ამბობენ ბანსა;  
ქვეშრომთ ზნა ესმისთ, სახლს ხდიან ბანსა:  
ჩაყრილნი ხაროდა,  
ზე გასახაროდა,  
ამოძვრენ ველად.  
მზგავსად-მზგავსადმან იბოვა ტოლი,  
ყველამ დანერბა თავისი ცოლი.  
გამოვიდა დოლი,  
გაიზარდა მოლი,  
ხეთა ფოთოლი.  
მზიარულს ზაფხულს მომკავს ყვავილი;  
მოწყენილს ზამთარს თან გამყვა თრთვილი.  
აწ მწყემსნი ხარობენ,  
ვინ ვისა ყვარობენ,  
პირობას ხდებენ...

სამყაროს, სიცოცხლის, ბუნების და მიწიერი ცხოვრების ამგვარი ჰარმონიული აღქმა აიტაცეს სწორედ მეცხრამეტე საუკუნის დიდმა რეალისტმა მწერლებმა — ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ...

სწორედ რომ განცვიფრებას იწვევს გურამიშვილის მიერ მოწესრიგებული სამყაროს, ბუნების აღქმა, მისი მარად ამოუხსნელი იდუმალების შეგარძნება. „მზიარული ზაფხულის“ შესავალში, სადაც ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლას აღწერს, პოეტის ლირიკულ წარმოსახვებს, ჩანაფიქრს, საოცრად ეხმარება ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სტრიქონები: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“.

ეჭვი არაა, დავით გურამიშვილის უზარმაზარი, ამბოხი სული იდუმალებით მოცული ბუნების ყოველ კუნტულში იჭვრიტებოდა, იდუმალი სარკმელით მოკვდავი ადამიანის ნუგეშად სიყვარულს ეძიებდა. ოდესღაც აღზევებული სამშობლოს დაცემითა და გა-

ნადგურებით, საწუთროს გაუტანლობით გულარძნის ისევ მიწიერი ცხოვრების, სიცოცხლის ამადლებული სიყვარულის ძალით უნდოდა დარღვეულ დროთა კავშირის აღდგენა, ადამიანის სულისა და გონების განწმენდა, განსპეტაკება, ზებუნებრივისა და მიწიერი, რეალური ცხოვრების ჰარმონიული შეთანხმება.

დავით გურამიშვილის „მზიარული ზაფხული“ სიცოცხლისა და სიყვარულის გაბმული უკვდავი ჰიმნია. „ცრუ საწუთროში“ აღტაცებული შესცქერის ბუნების გამოღვიძებას, რომელშიც სიცოცხლისა და სიყვარულის აყვავებას ხედავს. შეუტნობელი, იდუმალი ბუნების ამგვარი შეგარძნება უდევს საფუძვლად აკაკი წერეთლის უბრწყინვალეს ლირიკას:

ძალთა დიდება  
შექმნათა ქება  
არს საიდუმლო მათი ვედრება.  
ქვეყნის ბუნება  
ბანს ეუბნება  
და ეს ბანია „ქებათა-ქება“.  
ყვავილთა ენა —  
სურნელთა ფშვანა  
საკალობელად აღმა—კმეული,  
წყალთა ჩქრიალი,  
ფოთოლთ შრიალი,  
ბალახთ ბიბინი, რაღაც გრძნეული.  
ბუნების მაყრულს,  
საქორწილოდ სრულს  
ეკავშირება, ზე ემატება.  
და ახლა მეც ვგრძნობ,  
საიდუმლოდ ვცნობ,  
რომ არის კაცში ღვთისა ხატება! —

სწერდა დიდი პოეტი და გაოცებული სვამდა კითხვას: „რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?“ და იქვე დასძენდა აღფრთოვანებული: „შენ სიყვარულო! ცისა და ქვეყნის კავშირო და თან შუამავალო!..“ და საინტერესო აქ ის არის, რომ აკაკი წერეთელიც, როგორც დავით გურამიშვილი, თვით ადამიანის სულში ეძიებს ღვთიურ ძალას, ღვთის ხატებას, რომლის საუცხოო, უმშვენიერეს, სრულ-

ელგუჯა მალაშვილი  
ბოდიბა

ყოფილ გამოსხივებად, გამობატულე-  
ბად თუ გამოსახვად სიყვარულს აღი-  
არებს, რომელიც ცისა და ქვეყნის მტკი-  
ცე კავშირად მიაჩნია.

დავით გურამიშვილის სიმღერა „ზუ-  
ბოკვა“ ადამიანის ყოფის, ჭეშმარიტად  
მიწიერი ვნებიანი სიყვარულის დიდ-  
ბული ჰიმნია. გზაზე მიმავალ პოეტს  
შემთხვევით შემოხვდა ბუნების მიერ  
შექმნილი სრულყოფილი მშვენიერება:  
მომხიბლავი, ლამაზი ქალი, რომლის  
ერთ შემოხედვას „დაცაულეწაფს“,  
„ძვალი შეუმუსრავს“ და მისთვის სი-  
ყვარულის დაუშრეტელი ცეცხლი წაუ-  
კიდებია. თავდაპირველად ქალს შორს  
დაუჭერია თავი. ბუნების მიერ ხორც-  
შესხმული, სრულყოფილი მშვენიერე-  
ბის ხილვით სისხლამღვრეულ დავითი-  
სათვის „თავში კეტი უთხლესია“, მაგრამ  
ცისა და ქვეყნის შემაკავშირებელი  
სიყვარულის განუსაზღვრელ ძალას თა-  
ვისი გაუტანია. დაბნედილა, დაარცა-  
ცებულ დავითისათვის დაუყვავებია  
ქალს და კიდევ მოფერებია, რითაც პო-  
ეტი უზუნაეს ნეტარებას ზიარებია. მაგ-  
რამ ამისათვის ეს უმშვენიერესი არსე-  
ბა სასტიკად დაუსჯიათ (ქალს ქმარი  
ჰყოლია) და დავითი გულმოკლული  
მოსაქვამს დაკარგულ ბედნიერებაზე,  
სატრფოზე. ქალის მშვენიერი სახე  
სისხლით გაბასრული ეჩვენება, აქ-  
რეალური და ირეალური ერთმანეთში  
ირევა და პოეტი სიკვდილს ნატრობს,  
უიმისოდ თავი ქვესკნელში წარმოუდ-  
გენია. სატრფოს ეაჭება, შენთან წამიყ-  
ვანეთ. ფიქრობს, იქნებ მის სულს შე-  
ხვდეს სადმე, რადგან სჯერა ადამიანი-  
სიკვდილი, მაგრამ სწამს მშვენიერების  
უკვდავება. მშვენიერება ხომ ბუნების  
სრულყოფილი გამოვლენაა, რომელიც  
ყოველ გონიერ არსებაში სიყვარულის  
მარადუჭრობ ცეცხლს აღვივებს, ცე-  
ცხლს „ცრუ საწუთროსაგან შეჭირვ-  
ბულ, შეცივებულ ადამიანს რომ ათ-  
ბობს და აცოცხლებს დედამიწაზე“...

ვაჟა ფშაველამ დავით გურამიშვილი  
თვით აღიარა თავის დიდ წინაპრად და  
მართლაც გურამიშვილის შინაგანი სუ-

ლიერი მრწამსი, იღუმალი პოეტური  
ხილვები სრულიადაც არაა უცხო გა-  
უასათვის, რაც დიდი ხანია სხვებს  
ერაცაა შემჩნეული. მაგრამ ჩვენი ღრმა  
რწმენით, აკაკი წერეთლის უადრესად  
მდიდარ, მომეტებულად თავისებურ  
პოეტუკას, უსათუოდ დავით გურამიშ-  
ვილის დიდ პოეზიაში უდევს სათავე.  
ეს იგრძნობა არა მარტო აკაკი წერეთ-  
ლის პოეტური ენის ღვთაებრივ სიმ-  
სუბუქესა და სისადავეში, პოეტური  
ფრაზის მიმოხვრასა და მხატვრული  
სიტყვის მიმოქცევაში, არამედ მის  
მსოფლმხედველობაშიც.

ცაფირიუზ, ხმელეთ ზურმუხტოს შე-  
მოქმედის მშფოთვარე გენია, რომელ-  
საც სამშობლო საყვარელ ხატად, ხო-  
ლო ქვეყნიერება ამ სანუკველი ხატის  
წმინდა სახატედ მიაჩნია, ილიასთან და  
ევაქსთან ერთად, დავით გურამიშვი-  
ლის სახელოვანი მემკვიდრეა. დიდი  
სამოქალაქო — პატრიოტული მოტივი,  
რაც მეცხრამეტე საუკუნის ქართული  
პოეზიის ქვაკუთხედი, დავით გურამი-  
შვილის პოეზიიდან მომდინარეობს.  
ქერივ-ობლებს, ღარიბ-ლატაკთა გამო-  
სარჩლება, ხალხში სიმართლისა და  
პატიოსნების ქადაგება, ცბიერი სასუ-  
ლიერო პირების თვალთმაქცობის სააშ-  
კარაოზე გამოტანა დავით გურამიშვი-  
ლის პატრიოტული პოეზიის ერთ-ერთი  
სურნელოვანი დაფნის შტოა, რომელ-  
ზეც შესაშურებელი ოსტატობითაა  
ასხმული დავითის ლირიკული ლექ-  
სები.

მღვრდელი, რაც ღმერთთან მაღლი მოკმაღლა,  
არც ავიწონა, არც განკაღლა;  
დაუფასებელს არ დასდვა ფასი  
არცა ერთი და არცა ათასი.

უსახუიღლოთა მღრდლობის კურთხევა.  
მოგცა ღირსებით მარჯვენის მოხვევა,  
ახე გიბრძანა: ვით შენ მოგცა,  
უსახუიღლოთა სხვათ მიეც შენცა.

ახლა მე თქვენა ამახ გვედრებ,  
ღვთის ნაწყალობებს ნუ დანაყვედრებ;  
მკვდრისა პატრონსა სიკვდილის დროსა  
ბევრს ნუ შეუყვეთ სამარხს-სამკვდროსა!

რაც განვიძრახე აწ მე განძრახვა,  
აწ თქვენცა გმართებსთ თვალით დანახვა.





როგორც მკვდარს უნდა კარგად დამარხვა, აგრეთვე ქვირთვ-ობოლს უნდა შანახვა.

ცოცხალი რომე პატარად ვლირი, მკვდარს რად შედეგის მე ფასი ღიღი? მღვრდელს, შენს მადლსა, ძვირად ნუ მყიღი,— რაც მოგიფთვალონ, მას მიითვლიდი!

ამგვარი მწვევე იუმორით შეზავებული ადგილები უხვადაა დავით გურამიშვილის პოეზიაში, სადაც პოეტი დაუნდობლად ამათრახებს არა მარტო ღვთისმოსავ ბერ-მონაზვნებსა და სამღვდლოებსა, არამედ ყველა ჯურის მომხვეჭელებსა და მძარცველებს, ვინც კი საქვეყნო საქმეზე მადლა პირადულს აყენებდა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის მშობელ ხალხს არას შეეწყვიტა. დავით გურამიშვილის ამ სამოქალაქო, ეროვნულ-პატრიოტული მოტივებით მოხიბლული იყო აკაკი წერეთელი. აკაკი, რომელმაც გურამიშვილივით უმწიკვლოდ მთელი სიცოცხლე სამშობლოსათვის ლოცვასა და ვოდებაში დაასრულა და ბოლოს მადლიერ მშობელ ხალხს მეტისმეტი მოწიწებითა და თავმდაბლობით უბრალოდ დაუვლო ანდერძი:

ოთხი ფიცარი კუბოსთვის,  
უბრალო, შეუმკველადა,  
და ოთხი მუშაც წამდები,  
რომ გამახვენონ ხელადა.

არც გვირგვინები, არც სიტყვა,  
არც-არა ცერემონია,  
„არ მიხდა“... მოლას ანდაჯა  
მეც ბევრჯერ გამიფიქონია.

განა ეს სტრიქონები არ ეხმაურება დავით გურამიშვილის ანდერძს, სადაც სიკვდილის პირად მისული პოეტი მშვიდად ამბობს: „მანვე დამშალა, ვინც აღმაშენა“. და ბოლოს უბრალოდ ითხოვს:

ყველას გაფიცებ ამ საფიცარსა:  
თუ ღმერთი გწამდეს ამ ხამ ფიცარსა  
ნუ გაიძნელებოთ ასაშენებლად,  
გარს ნურას უწამთ დასამშვენებლად.

ნუ გაირჩებიტ შეხადებლად,  
მსუბუქი ქენით წახადებლად.  
ფასს ნუ დამკარგავთ დასახტავად,  
თერთს გაუფრთხილდით დასაფანტავად:

მალ შეშლები მას სილამაზე, —  
მიწა ეყრება, ქვა, სილა მაზე.

აკაკი წერეთლის ლირიკული შედეგები ინტონაციურად ხშირად ეხმიანება დავით გურამიშვილის ლირიკულ ქმნილებებს. აკაკის საქვეყნოდ განთქმული „იავ-ნანა“ და „იმერული ნანი-ნა“ უთუოდ გურამიშვილის „სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობის სანაცვლოდ სათქმელის“ ინტონაციურ ქარგაზეა შექმნილი;

ყრმავე, გონება უგუნური აგონიარეო,  
თავს ნუ გახდი უღონოდა, აღონიარეო;  
იქით-აქით მიიხედე, ათვლიარეო,  
სცან საწუთრო მუხანათი, ხალმობიარეო“.

დ. გურამიშვილი

გაბუტულო გლეხის შეილო, შენ პაწაწინაო!  
აგრე ტპილადა, უდარდელადა რამ დაგაძინაო?

ყური უგდებ, დაისწავლე ჩემი ნანიანაო,  
თვალ-ხილულადა დააკვირდი, იცან ქვეყანაო,  
რომ გაიგო ამ სოფლისა ცრუ გამოცანაო!  
მაგრამ ჯერ კი დაიძინე, ადრეა განაო?  
იავ ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანიანაო!

აკაკი

ასე შესამჩნევად ეხმიანება ინტონაციურად დავით გურამიშვილის ზოგიერთ ლექსს ილია ჭავჭავაძის ლირიკული შედეგებში:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?  
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩენია,  
თუმცა ძველნი დაგვმორდნენ, ახალნი ხომ  
შენია...  
მათ ახალთ აღგადგინონ შენ დიდების დღენია,  
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

ამგვარი ინტონაციის ლექსები მრავლად აქვს დავით გურამიშვილს. მაგალითად: „ქალ-ქალწულმან მარია მწმინდად თავი ატარა; ყოვლის კაი საქმითა თავი ღმერთსა აყვარა“ გაცილებით ადრე, ილიას აქ მოტანილი ლექსის ტონალობითაა შესრულებული. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ დავით გურამიშვილის პოეტურმა მეტყველებამ, მისეულმა ენობრივმა ქსოვილმა და ლექსიკამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ილიასა და აკაკის—

ელგუჯა მალრამი  
ბოდბე



ამ ორი აბსოლუტურად განსხვავებულ შემოქმედთა პოეტიაზე. დავით გურამიშვილის ღონიერმა, ხორციანმა და ნაჭედმა სიტყვამ ისევე კეთილად იმოქმედა ილია ჭავჭავაძის პოეტური ენის მხატვრული სტილის შექმნაზე, როგორც მეორეს მხრივ აკაკის პოეტური სტილისა და მეტყველების ჩამოყალიბებაში დავითის პოეტური ენის ხალხურობამ, სისადავემ და პოეტური ფრაზის ფრთიანობამ, რომ არაფერი ვთქვათ ვაჟა ფშაველაზე.

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!  
 თუ ხარ სიმძღრე, რა არს სიმშლი?!  
 თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!  
 იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი! —

კვითხულობთ „დავითიანში“, საწყუთროზე გულამღვრეული პოეტის სტრიქონებს და პოეტის ვერსიფიკაციის ნაირსახეობა, ამოუწურავი პოეტური გამომსახველობითი საშუალებანი ერთხელ კიდევ გვანცვიფრებს.

დავით გურამიშვილმა რუსთველის და რუსთველის დროის პოეტურ კულტურაზე დაამყნო თავისი პოეზია და მასვე შეუსისხლხორცა მთელი ქართული ხალხური პოეზიის მონაპოვარი; როგორც აზროვნების, ისე ვერსიფიკაციის თვალსაზრისით, გურამიშვილმა შექმნა მეტად ორიგინალური პოეზია, და მე-18 საუკუნის ქართულ სინამდვილეში უდიდეს რეფორმატორად მოგვევლინა. მისი პოეტური ხმის ეჭო დღესაც პირველქმნილი მშვენიერებით ჟღერს ჩვენს პოეზიაში, ხოლო მისი ვერსიფიკაციული მიღწევები, ზოგ შემთხვევაში, დღესაც სანიმუშოდ რჩება.

დავით გურამიშვილის პოხიერი პოეტური სიტყვა დღემდე არ მოძველებულა. ქართულ პოეზიაში იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი სალექსო საზომი, რომელიც გურამიშვილს არ ეხმაროს. ამ მხრივ გურამიშვილს მეოცე საუკუნის დიდი პოეტებიც ვერ გაეჭენ:

დ. გურამიშვილი:

ზუბოვკილამ მომავალმა ვნახე ერთი ქალი,  
 მეტად ტურფა, მშვენიერი, მაზე ღამრჩა თვალი.

შე თვალ-წარბას, პირად თერთსა ასხდა შავი  
 მისმან ეშხმან დაცამლენა, შემომუსრამე...

გალაკტიონ ტაბიძე:

ჭერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარს!  
 მღუმარებით შემოსილი შედამების ქნარი..

დავით გურამიშვილი:

თავყანსა გცემ, გეაჭები, ვითხოვ შემინყნარო,  
 მიმკვდარებულს მამაშველო უკვდავების წყარო  
 მასვა, მკვდარი განმაცოცხლო, შენს ძეს  
 შემამყარო  
 ვით წესია საყვარლისა, ტრფიალს შემაყვარო;  
 მანენ-მაცდურს განმარიდე, ძელო, ქრისტეს  
 ჯვარს!  
 ჩემი ცრემლი ზედ იდინე, ცხოვრების წყლის  
 ღარო,  
 გაუფრთხილდი, ცუდ-უბრალოდ არცად  
 დამიღვარო,  
 დავითს წინ ძღვნად წარუმძღვარე, ღვთის  
 ძღვენთ წინამძღვარო!

გალაკტიონ ტაბიძე:

წყალტუბოდან ქუთაისში  
 მიმავლო ქარო,  
 თუ შაისის ქუთაისმა  
 გკითხოხ, ვინა ხარო...

დ. გურამიშვილი:

მე გაჰმევი, მე გასმევი, მე გაცმევი ტანთ  
 შენ დახარბდი მცირეს ძღვენთ სხვისგან  
 მონატანთ.  
 მე ეს მკლავს, მით ლახვარი გულს გამიყარე:  
 ჩემგან თვალად უვარხე შენ შეიყვარე.  
 რაც მოგიტხარ, მით წამიხდა მე შენზედ გული,  
 შენს საცოლქმროდ მე სურვილი მაქვს  
 დაკარგული.  
 აწ მე წავალ, დავიკარგვი აღარ მინდიხარ  
 წადი მასთან, განისვენე მყვარი ვისიც ხარ.  
 რადგან ასე მომივარე მე შენს შესართავს,  
 ის თუ გინდა ქრმად შეირთვე, ნება  
 დამირთავს..

ნოე ჩხიკვაძე:

ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის  
 ვუყვარვარ მე?  
 აცრემლებულ თვალთ ვაცეცებ, მოდი ხმა გამე!  
 ირგვლივ ცივა.. სისხლიანი ღამეა, ღამე,  
 გული მტკივა, ხანუგვეო მოთხარი რამე!

სიმონ ჩიქოვანის პოეზიიდან მაგალითებს არ მოვიტანთ, იგი საერთოდ დიდად არის დავლებული დავით გურამიშვილის პოეზიით. სიმონ ჩიქოვანი ხში-



რად მიმართავს დავითის პოეტური ხატოვანი თქმების პერფორმირებას, ეს იგრძნობა არა მარტო იმ ლექსებში, რომელიც პოეტს დავითისადმი აქვს მიძღვნილი...

როდესაც დავით გურამიშვილის პოეტიკაზე ვმსჯელობთ, მის პოეტურ ხილვებსა და წარმოსახვებს ვეცნობით, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მისთვის მისტიციზმიც არაა უცხო. გურამიშვილის რელიგიური, ეგზალტირებული ლირიკული მონოლოგების შორეული ექო უსათუოდ ისმის გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა მოდერნისტი ქართველი პოეტების პოეზიაში.

დავით გურამიშვილი, როგორც ქართული ლექსის უდიდესი რეფორმატორი, ჩვენი ცისფერყანწულების უსაყვარლესი პოეტი იყო უთუოდ. ტიციან ტაბიძეს თავის ლირიკულ პოემებში ხშირად შეჰქონდა სტრიქონები დავით გურამიშვილის პოემიდან „ქართლის ჭირი“, რომელთაც თურმე გატაცებით წარმოთქვამდა ხოლმე:

ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტარდეს და  
წაეკიდოს,  
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და  
დაეკიდოს,  
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმა ნახოს, პირი  
პკიდოს,—  
ეგრე ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა,  
ლეკთა, დიდოს!

ცისფერყანწულებს დავით გურამიშვილი ალბათ იმიტომაც უყვარდათ, რომ მან პირველმა მოახდინა ქართული ლექსის ევროპეიზაცია, გაიზინაურა რა რუსული და უკრაინული ხალხური პოეზიის კილოები და ხმები, შემდეგ ყოველივე ეს შეუსისხლნორცა ქართულ მელოდიებს, კილოებს, უაღრესად დიდი და მდიდარი პოლიფონიური პოეზია შექმნა, ქართული სამეტყველო ენა, ლექსიკა, ამომწურავად გამოიყენა, ყოველ სიტყვაში გული ჩააწურა ყოველ სტრიქონს სული პატრუქად დაუნთო და ქართულ ლექსს ისეთი განათება მისცა, რომ დღემდე არც შუქი აკლდება და არც სიბერე ეკიდება. ჩვენს თა-

ხამედროვე პოეზიას ისეთი კეთილზმოვანებით შეიძლება ძველი პოეტებიდან არავინ ეხმიანება, როგორც დავით გურამიშვილი. მისი სიტყვიერი ფაქტურა, პოეტური აქსესუარები, ლექსის რიტმიული რხევა, ტონალობა, ინტონაცია თანამედროვე ნიჭიერი პოეტების შემოქმედებაშიც შესაძინევი ხდება. რომ ეს ასეა, კიდევ ერთ მაგალითს მოვიტანთ:


მ. მაჭავარიანი

რა გამოსცილდნენ მცხეთას —  
თქვა დიდვაჰარმა ერთმა:  
— იცოცხლე.  
ლდინზე ვიბანო  
ჭრელ აბანოში ნურითო.  
მეორემ:  
— გავიხარია!  
გამოვთვრე, ატენურითო!  
მესამემ:  
— ოქროდ გავყიდი —  
ნაყიდას ასპანურითო!

დავით გურამიშვილი:  
ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს  
ნურითა,  
მეორემ — თევზით ვავძლები ზურგიელ  
გულაქნურითა,  
მესამემ: მივიბრულები ღვინითა ატენურითა,  
მეოთხემ: კიდევ დაგვთოკენ საბლითა  
მაზნანურითა!

ასეთი კეთილი გავლენა მოახდინა დავით გურამიშვილის დიდმა პოეზიამ ქართული პოეტური კულტურისა და აზროვნების განვითარებაზე. მისი პოეტური მეტყველება, მისი გენიალური ლირიკული და ეპიკური ქმნილებები დაედო საფუძვლად, როგორც დავინახეთ, მეცხრამეტე საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას.

დავით გურამიშვილის პოეზია და პოეტური ენა ახლაც დიდი ცხოველმყოფელობით მოქმედებს და დიდად უწყობს ხელს ქართული პოეტური კულტურის განვითარებას. განუმეორებელია დავით გურამიშვილი თავისი ბედით და პირადი ცხოვრებით, ჭეშმარიტად, ასევე განუმეორებელია დავით გურამიშვილის პოეტური შემოქმედება.





### ნაწილი იმედი

დიკლოს მთებიდან ჩამოდის წვიმა  
და სიბი ქეები ირეცხება მალალ კომკებზე.  
ხესა და მიწას ამოაქვს სოკო —  
შავჩოხა,  
ქამა.  
ჭერხოს დარბიან ლევა ციცები,  
წყაროს ბილიკზე — ჭრელკაბა ქალა.

წისქვილთა ხევში გადაუგდეს წყალი ღარიდან  
და აჩერებენ თედიას წისქვილს,  
არავინაა,  
აილოს მინდი.  
შეიმართება ცისარტყელა კურეხის თავზე,  
ჭრელი,  
ვით ყელი თუშური წინდის.

ხეობებიდან ადგენენ ნისლები,  
ფარას ფერდობზე ბოლო არ უჩანს.  
მგელაის კარზე გამოჩნდება მეძროხე დიდო,  
დაიჭიხინებს, უგზობით დაბმული ლურჯა.

ზვაგების ნაშურს სვამენ წყარონი,  
მზე მთებზე წურავს ღრუბლის ნარჩენებს,  
გამმაგებული ალაზნები  
პირიქითის  
და გომეწარის  
შენაქოს ჭალას ერთდებიან  
და უღელში...  
დუმის არჩევენ.

დიკლოს მთებიდან ჩამოდის წვიმა...

### დეკანუზი ზეპარი

ჩაჩეხილ ზვაგებს მთვარე დანათის,  
შმაგი მდინარე ჭალას ქამრად შემოსხვევია.  
აჭრილა ზეცა,  
ჩემი ნაბადი  
თითქოს ამ ღამის მონახევია.

დეკაზე ვწევარ,  
უნაგირი მიღვეს ბალიშად,  
სადღაც სულ ახლოს ცხენი ფრუტუნებს.  
კლდის ქიმზე ფიჭვნი  
ჩამოჰგავან ჯიხვთა ფიტულებს,  
მთამ გაიდარა,  
ბარად გადმიშვა...

ჩემს მაღალ თუშეთს  
უთვალავჯერ ლექსად მოგიტან...  
გამოიხედე სარკმელის გარეთ...  
დღისით დაგიწერ  
აგურთის ჩამოსხნილ კარებს,  
ღამე გასიზმრებ ზვიად ქომიტოს.

მურია უყეფს  
მონადირის ფეხკავშა მწვევარს,  
მარიხი შედგა მთა ახაეტზე,  
დეკაზე ვწევარ...

### **მითხარი, მთაო!**

რად ეპარება ცეცხლს თვალზე რული,  
თუკი ქარია, რად არ ინთება?  
რა არის დარდი ან სიხარული?...  
გზად მაქვს დუმილი და გარინდება.

რა ხდება, როცა მზე სხივს გამოლევს,  
მითხარი, მთაო არჩევებიანთ,  
ფოთოლ-ყვავილნი წავლენ-წამოვლენ,  
ხეები შიშვლად დარჩებიანო.

შენი ბარათი ისევ აქ არი,  
კვლავ მოლოდინში ითვლი თარიღებს,  
მე ვერ გამოვალ, — ქარია, ქარი,  
და თუ გამოვალ... სხვაგან წამიღებს.

### **ქისჯის სოფელი**

გაუყვებიან წისქვილის ბილიკს,  
ქისტის ქალები გუდა სიმინდით.  
შემოიღვევენ ოჯახის საქმეს  
და საბურნუთე თამბაქოს ფქვავენ.  
ველ-მინდვრებიდან მობრუნებულნი  
კაცები სხედან გასიპულ ქვებზე,  
ხორხოცობენ და ყოჩით აქეზებენ.

ქულებს იხდიან იმ ჭალარა ქალის წინაშე,  
რომელიც მუდამ სკოლისკენ მიდის.  
მოლა ქადაგებს ყურანის სიბრძნეს  
და... მალვით მოჰყავს მესხეთე ცოლი.  
პანკისის ტყეში მეტყვევის ჯიბრზე  
დაშლიგინებენ მურა დათვები  
და წაბლს ბერტყავენ.  
ალაზნის პირას,  
კაკლიანში გალობს ბულბული.  
პეროზიაზე გადმოდგება მთვარე ქორბუდა  
და ჩამოწვება ღამე სოფელში,  
რომელიც არ ჰგავს... ვრწივის ბუდეს.

### ლუდი წარმართული დღეობისათვის

შულტა შემოდგა სოფლის საჯარეს,  
სმენად მოუხმო შენაქოელებს,  
ათნიგენისთვის სწურავენ ალუდს.  
ოჯახებს მოაქვთ შემოსატანი.  
შეძლებულს მეტი,  
ქერივ-ობოლს მცირე.  
გოგო-ბიჭები ზიდავენ შეშას.  
თაფლის სანთელი ეღვენთება ქვაბის ზედაპირს.  
კაცები მაღალ საკედლებთან,  
სადაც ჯვარია  
და ქალებს ახლოს არ მიესვლებათ,  
ატრიალებენ დაძარღვეულ ხელებს.  
ქალებს წყაროდან ამოაქვთ წყალი  
და ჩერდებიან საქვაბესთან აღთქმულ მიჯნაზე,  
რომ არ შელახონ მისი სიწმინდე...  
(მთას შეუვალი ადათ-წესი აქვს),  
სპილენძის თუნგებს  
აწოდებენ მხოლოდ მამაკაცთ  
და ბებერ დიაცს,  
რომელსაც უკვე არ ჰქვია... ქალი.  
ათნიგენისთვის სწურავენ ალუდს.

### „მასტანს ქვასასა მავარსა...“

სად ღვრიდა ლექსის მხეფებს,  
საით ითხოვა შენდობანი...  
ნუთუ შემოსწყრა მეფე,  
ნუთუ შემოსწყრა დედოფალი...



საით ვანგრით თალი სამარის,  
სევდის ნიაღვარი გადარიცხს...  
მისი მეფე თუ იყო თამარი,  
მისი დედოფალიც თამარ იყო...

●

კვლავ იმავე გზით მივყვები ქუჩებს,  
არ მივალ, ვამბობ და მაინც მძალავ,  
შენ კი სათქმელად ძლივს შეაქუჩებ;  
— რაგვერ ხარ, ქალავ?...

მაშინ... აპრილი ყვავილებს თესდა,  
შენ დაგავიწყდა და აღარ კრთები,  
მე ახლა ვეძებ თუშეთის მთებს და...  
არ სჩანან მთები.

●

მაისია და ლალი ხმები,  
ქალიშვილები იღიმებიან,  
გადაკარგულა მთებიდან ნისლი.

გაშალეთ მხრები, ჩაჰბერეთ ბუკთა,  
თბილისი დგება ეშხით ჭაბუკთა  
და ჭარმაგების სიდარბაისლით.



## ი მ ა რ ა თ ი

შენზე ვამყარებ იმედს და კიდევ  
შენს სველ ბალახში დანთებულ ცეცხლზე.  
ზაფხული მიაქვს მერცხლებს და ჩიტებს,  
ან, უფრო სწორედ, პირველებს: მერცხლებს.

ასე საიდან განათებს შუქი  
სექტემბრის, უკვე დაწყებულ რთვლის...  
ბედნიერებას უბრწყინავს ზურგი —  
კოლხურ წვიმაში ნამყოფი მთები.

## ნ ა თ ე ლ ი ს ს ო ვ ნ ა

ნათელი ხსოვნა გარდასულს, ჩავლილს,  
მშობლიურ ეზოს (მთვარეს და მესერს),  
ყველაფერს (თუნდაც ყვავების ჩხავილს),  
სამშო საფლავეში მწოლარე ლექსებს.

ადევნებულებს განსჯად და მსტორად  
ცრემლებს — მტრებსა და ცრემლებს-მეგობრებს...  
ნათელი ხსოვნა, ნათელი ხსოვნა  
მათ, როგორც პირველს, ისე მეორეს.

იხუვ იხ: ხსოვნა — წეროებს გუნდად  
გაფრენილთ სადღაც (ჩვენგან იქეთკენ),  
ყოველგვარ ტკივილს, ყველაფერს, თუნდაც  
უბრალოს, მაგრამ დამაფიქრებელს.



ფარავდა სახლებს, მინდვრებს, ეზოებს  
გარინდებული ფერი მკათათვის.  
ცა უცნაური რჩებოდა ისევ  
(მარადიული ცა) მოკვდავთათვის.

იყო სიშორე ლურჯი და მნათი  
ჯერ აუხსნელი, მაგრამ მფარველი...  
და სეებს შორის იღვა ბაღდათი  
ჩაუქრობელი და საყვარელი.



გზად მივიღტვოდი ისე გულდაგულ,  
 ვით მთებთან ერთად კავში შებმული...  
 და ბრჭყვიალებდა ზეცა უდაბურ  
 სულის ტყეებში მიტოვებული.

ისმოდა შორი სივრცის გუგუნი  
 გაუგებარი და გასაგები.  
 მინდვრებზე იდგა მხოლოდ ურმული,  
 მხოლოდ ცისფერი ფერის სახლები.

### ზ ა მ თ რ ი ს ღ ღ ე

მე დამიფარავს ცისაგან თოვლი —  
 ცისფერი, მშვიდი, კარგი და წყნარი.  
 ბოლოს და ბოლოს მოვიდა თოვლი!  
 ბოლოს და ბოლოს ამოტყდა ქარი!

და წნელის ღობეს, ქარით შერღვეულს  
 ანათებს თოვლის მზე საამური...  
 თოვლით ავსილი მიდვას ბედელი:  
 გათეთრებული წყნარი მამული.

თეთრი სიჩუმით, თეთრი აბრებით  
 აყვავდა სივრცე. (ნახე შორიდან!)  
 რაც მოხდა, მოხდა: ცოტა დაფებრდით,  
 სამაგიეროდ, თოვლი მოვიდა.

### ს ა დ? ს ა ი თ...

საით მეძახის შეუცნობი სინათლის ფერი.  
 წარმტაცი სხივი... შორეული მდინარის სიში  
 ცახცახებს რისად?... ყველაფერი, სუყველაფერი  
 გაუღუნთილია მარადიულ ცისფერი წვიმით.

სად გაყურდება საკვირველი სიცოცხლის ძარღვი  
 იგივე სიმი, იგივე გზა, იგივე ზარი...  
 საით მეძახი... საით მიხმობ... საით მეძახი...

საოცრად წყნარად დარეკა ზარმა:  
 სტუმარი! ისიც, თეთრი ფანტელი!  
 (მე მუდამ მქონდა რიდი და კრძალვა  
 ამ მაღალი წრის წარმომადგენლის).



იმ ერთ ჭიქაშიც აანთეს ღვინო  
და დამინახეს: მარტო ვიყავი...  
გარედან წვიმის წყნარი საყვირი  
მეძახდა — ფეხზე ავმდგარიყავი  
და ჩუმად მეთქვა შენი სახელი.

მაშინვე ისე, ვით მყუდროება,  
ჩამოწვებოდა თამბაქოს კვამლი.  
ყველა მოსწივდა და ცისფერ ნისლში  
ჩვენ დავკარგავდით ერთმანეთს, სუფრას  
(სუფრის სხვადასხვა მხარეზე მსხდომნი).

მე მას უუცქერდი: ის ერთი ჭიქა  
ადგა, მელოდა და ირთებოდა  
შენი სახელის შორეულ სხივით  
და უშენობის ხილულ სინათლით.

...რას გაუგებდნენ იმ ჭიქას სხვები.



## ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა

— გიგო, ჰა, გიგოოო!..  
მესამე სართულის ფანჯარაში ბერიკაცი გამოჩნდა. ხელი გაიქნია, ერთჯერ, ორჯერ.

— გიგოოო, გააღე ფანჯარა!  
ფანჯარა გააღო. ხელეზე დაიორთქლა.

— ვინ ხარ, რა გინდა?

— თავს ნუ იკატუნებ, მოხუცო, ნოშრევანი ვარ.

— ჰო, რა გინდა მერე?

— კარი გააღე, გავითოშე.

ბერიკაცმა ფანჯარა მიხურა. ის მეორე კი, ქვევით რომ იდგა ვიწრო ქუჩის გადაღმა, ტროტუარზე, პირიდან სულ ორთქლის ქულებს უშვებდა.

ბერიკაცი ნელა გაბაჯბაჯდა საერთო დერეფანში. შემდეგ შესასვლელის კარი გამოაღო და ზონარი მოქაჩა. სმენა გაამახვილა, მაგრამ კარის ჭრიალი მაინც ვერ გაიგონა. ადრე კი ესმოდა ადრე კარგად ესმოდა კარის გაღება.

— გაიღო? — ჩასძახა ჩასასვლელში და ყურს უკან ხელი აიფარა.

— გაიღო, გაიღო.

— ჰოდა, ამოდი. კიბეზე ვერ ჩამოგეგებები, მუხლებში ძალა აღარ მაქვს.

— არა უშავს, მოხუცო.

ნოშრევანი კიბეზე ნელა ადიოდა და თან პალტოდან თოვლს იფერთხდა.

— ეს რა ჯოჯოხეთური სიცივეა, ხალხნო... გავითოშე...

— შუაგული ზამთარია, ზამთარი, — ჩაიჩიფჩიფა ბერიკაცმა.

ნოშრევანმა მარჯვენაზე ხელთათმანი წაიძრო.

— გამარჯობა!

— გავიმარჯოს, ხელი როგორ გავყინვია, მეცოდები, ძალდი არ გაიგდება გარეთ.

— ცეცხლი არ გინთია?

— დილით გავაჩაღე ღუმელი.

ოთახში შევიდნენ. ნოშრევანმა ხელები უზარმაზარ კედლის ღუმელს მიუშვირა. მერე იგრძნო, რომ ღუმელი უკვე შენელებულიყო და ხელები ახლა პირდაპირ ზედ დააწყო.

— გავითოშე.

მასპინძელი ყურადღებით ჩაათვალიერა.

ბერიკაცს გარედან თბილი, ჭრელი ხალათი ეცვა. ხალათის დიდი ჭრილიდან თეთრი, ქათქათა პერანგი და კოხტად შეკრული ყელსახვევი მოუჩანდა. სახე ყვითელი, დამჟკნარი, მაგრამ სუფთად გაპარსული ჰქონდა.

— იმისათვის მოვედი.

ბერიკაცი ტყავის ძველ სავარძელში ჩაეფლო. ხალათში ისე გაეხვია, იქიდან მხოლოდ სახე მოუჩანდა. ისე ძალიან კარგად კი მოეწყო. ალბათ ასე ჯდომა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ეს ნათლად ჩანდა წვრილ, ნაცრისფერ თვალბუბუში.

— ჰო, იმისთვის მოვედი.

— ტყუილად გარჯილხართ, არ ვყი-  
ლი.

— ნეტავ რა ჰირად გინდა, მალე კუ-  
ბოში უნდა ჩაწვე, ყველაფერი ოხრად  
დაგრჩება. ნუ ჯიუტობ, ჯობია საქმეს  
უფრო ანგარიშიანად გახედო. ფულს  
ბლომად გაძღვევენ, მეტი რა ჯანაბა გი-  
ნდა.

— არაფერიც არ მინდა. ფული კი,  
რომ იცოდე, სრულებითაც არ მჭირდებ-  
ა. რაცა მაქვს, იმასაც ვერ ვხარჯავ.  
კუჭი მთლად მომეშალა, დღეში მხოლ-  
ოდ ერთხელ ვჭამ, ძალათი.

— მოხუცო, შენი არ მესმის, ოთხი  
ათასს გაძღვევენ, მეტი რა ჯანაბა გინ-  
და. მე თუ მკითხავ, ოთხი ათასად არც  
მთელი საცხოვრებელ-საბადებელი არ  
ღირს. იცი, ოთხი ათასი რამოდენა ფუ-  
ლია. კარგად დაუკვირდი საქმეს. ასე  
იარაოდ კარზე მომდგარ ბედს ხელი არ  
უნდა ჰკრა. ცოტა თავი გაანძრიე, რა-  
ებს როშავ, არ აკვირდები?

ნოშრევანი ერთბაშად შედგა, სახე-  
ზე წამოენთო. ბერიკაცს თავი სავარ-  
ძლის სამკლაურზე მიედო და უშფოთ-  
ველად ხვრინავდა.

ერთი ნაბიჯი წადგა წინ. ისე დააკ-  
ვირდა ჩია, მოკავეულ სხეულს, თით-  
ქოსდა პირველად ხედავდა. პირი გაუ-  
შრა და ხმადაბლა ჩაახველა, მაგრამ ჩია  
სხეულს არაფერი გაუგია. ოთახის კარი  
სწრაფად გამოაღო. მერე საერთოდ დე-  
რეფნის კარიც გააღო და კიბეზე დაეშ-  
ვა. მისდა გასაოცრად მეორე სართულ-  
ის საფეხურებზე მკახე, ჩახრინწული  
ხმა შემოესმა.

— შენ იცი, აწი საერთოდ ნუ მოხ-  
ვალ. არც ჩემს შედევრს ვყიდი და არც  
სკამებს, არც რკინის საწოლებს... საე-  
რთოდ, არაფერს არ ვყიდი, გაიგე... ჯა-  
ნდაბამდე გზა გქონია.

— ვის გაუბრაზდი, ძია გიგო?

კიბეზე თორმეტოდე წლის ბიჭი  
ამოდიოდა. ბიჭი ასაკთან შედარებით  
მაღალი იყო, ჩაფსკვნილი, ლოყები პა-  
ტარა, წითელი ბალიშებივით ეკიდა.

ხელთათმანები გაეძრო, მარცხენა ხელი  
ში ეკავა. მარჯვენათი სასკოლო ჩანთას  
მოათრევდა. ჩანთა დიდი იყო, წიგნე-  
ით სავსე, ძირით საფეხურებს ეხებოდა.

— ჰა, ვის უბრაზდებოდი, ძია?

— იმასა, იმ ანტიკვარს. ტვინი გამი-  
ლაყეს.

ბიჭს დაამტერდა, გაიღიმა.

— ძალიან ცივა?

— ვინა თქვა, არცა ცივა და არც  
არაფერი. ხელთათმანები არც კი ჩამი-  
ცვამს, ისე ვვუნდაობდი.

— ჰოო, მერე, რომ გაცივდე?

— რა გამაცივებს!

— შენ იცი, პაატა, რა უნდა გითხრა?

— ვიცი, რაც უნდა მითხრა,— ბიჭმა  
ჩანთა იტაკზე დადო, ზედ ხელთათმან-  
ებიც დაალავა, — პურზე უნდა გამი-  
შვა, არა?

— ჰო, ამ ერთხელ კიდევ. მერე დე-  
დაშენი რომ გაგზავნის, მე წავალ და  
თქვენთვისაც მოვიტან და ჩვენთვისაც.

ბიჭმა გაიცინა.

— რატომ მატყუილებ, შენ არასო-  
დეს არ წახვალ პურის მოსატანად. მე  
კი, სიარული არ მეზარება.

— არა, მართლა გეუბნები, ახალ  
კოსტიუმს ვაკერინებ და მერე მეც ვივ-  
ლი.

— სად აკერინებ, შინიდან რომ არ  
გადიხარ?

— ჰო, კარგი, ნუ მედავები, ხომ ხე-  
დავ, მოგტყდი, გარეთ კი მაგრად ცივა.

— ფული მომეცი.

— აჰა, — მოხუცმა ჯიბეები მოიქე-  
ჭა, ქაღალდის ფული და ცოტა ხუ-  
რდა გადათვალა, — ნახევარი ლიტრა  
რძე მომიტანე, სამასი გრამი პური.

— ნახევარი კილო იყოს, გამყიდ-  
ველი სულ მეჩხუბება, სამასგრამიანი  
გირი არა მაქვსო, — თქვა ბიჭმა.

— მაგრად შეუტეე, სამასი გრამი  
რაა, მაგ კი არა ოცდახუთგრამიანიც  
უნდა ჰქონდეს. უყურე იმ ქოთაკს, ფუ-  
ლი იშოვნა და რა საზიზღარი გახდა.  
სახრჩობელაზე უნდა დაჰკიდო ეგ არა-  
მზადა, ეგა.



— ამას რატომ ამბობ, შენ ხომ ის არასოდეს არ გინახავს.

ბერიკაცი შეცბა.

— არ მინახავს, მაგრამ ჭკუა მაქვს და კარგად წარმოვიდგენ, რა ცხოველიცაა. შენ მე მისმინე: სამასი გრამი პური და კიდევ ას ოცდახუთი გრამი ყველი. ათი კაპიკი მორჩება და შენი იყოს.

ბიჭმა ფული ჩამოართვა.

— რატომ მატყუილებ, მე ხომ ვიცი რომ ყველაფერი ზუსტად გაქვს და ანგარიშებული და კაპიკიც არ მორჩება. ისედაც მოგიტან, შენი ორი შაური არ მინდა.

— არ დაგაიწყდეს, ყველი ას ოცდახუთი გრამი.

— ჰო, მახსოვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გამყიდველთან მაგარი შუბურები მექნება ერთხელ ხომ გამოიგდო, აფთიაქი კი არა მაქვსო!

— მერე მე ხომ მივწერე რედაქციას და იმ ქოფაკს ტყავი გააძვრეს, — მოხუცს სახე გაეხსნა და თითი მუქართა დაიქნია.

— იფ, ტყავი კი არა, კისერზე ხახვიც ვერ დააპრეს. მეორედ უფრო მაგრად მიფრინა. რედაქციასაც მაგრად შეუუკრთხა და შენცა.

ბიჭი წავიდა. ბერიკაცმა ჩანთა და ხელთათმანები საერთო დერეფანში შემოიტანა და კართან დააწყო. მერე თავის ოთახში შეხანხალდა. ერთხანს კართან იდგა და რაღაცაზე ფიქრობდა. ერთბაშად სახე გაუნათდა. თბილი, ნაქსოვი ხალათი გაიძრო. სკამზე მიგდებული პიჯაკი აიღო და ხელი გაუყარა. მარჯვენა ხელი გარღვეულ სარჩულში შეუტურდა და მთელი ხუთი წუთი წვალობდა, რომ წესიერად გაეყარა.

დიდ სარკესთან დადგა და ყურადღებით დააკვირდა თავის თავს.

პიჯაკი ძველი იყო, გაცვეთილი, იდაყვებთან თეთრი პერანგი ჩანდა და საყელოც ერთობ შელანძლოდა, მაგრამ ამ საცოდაობაში ბერიკაცი მაინც უფრო სასიამოვნო შესახედი ჩანდა.

იგი კარისაკენ წავიდა. ეს კარი მეორე ოთახში გადიოდა.

ბერიკაცი გამართულად, მხედრულად მიაბიჯებდა, თავიც ზევით ჰქონდა აღმართული. კარი სწრაფად გამოაღო და ნახევრად ბნელ ოთახში შევიდა.

ოთახი თითქმის ცარიელი იყო. კუთხეში იდგა ერთი ძველისძველი დივანი და ფანჯრის ვანიერ რაფაზე თეთრი, მარმარილოსაგან გამოძერწილი შიშველი ქალის დიდებული ქანდაკება. ქანდაკება ისე იდგა, რომ სარკმილიდან შემოსული მთელი შუქი მასზე იღვრებოდა.

ქალი ცოტათი იყო გადმოხრილი, მარჯვენა ხელის ორი თითით მსუბუქად ეკავა რაღაც ქსოვილი, რომელიც ფხებამდე იყო დაშვებული.

— იცი, ვინ იყო? ისევ ის... არ იკითხავ, რაზე? შენი წაყვანა უნდოდა. პირში ჩალა კი გამოვაღლე. ვანა სამუზეუმედ შემეტბი. იქ ხომ იცი, ათასი ვინმე დადის. ათასი ძაღლი და მამაძაღლი. ათასი ოხერი... ზოგიც ალბათ, არც კი მოგერიდებოდა, უკანაზე ხელს ნოგისვამდა. ზოგიც ძუძუზე გიჩქმებდა. მე ვიცი, რა ოხრებიც არიან ეგენი... ამიტომაც ბრანწი ვაჩვენე.

იცი, რა მითხრა, იმ დაწყევლილმა. მალე კუბოში ჩაწვებოი და ყველაფერი ოხრად დაგრჩებოი. ჯერ ის უნდა ჩაწვეს, მერე მე, მე საერთოდ, არ მეჩქარება კუბოში ჩაწოლა. აი, სამოცდახუთი წელია ერთად ვართ და თუ ჩაწოლა, ერთადვე ჩავწვეთ.

დივანზე დაჯდა. დაჯდა და გამოგლეჯილი იდაყვები მაშინვე ზურგს უკან დამალა. რომ არ დამალა, ის ქალი ისე იდგა, უეჭველად შეამჩნევდა.

— ჰო, სატანა გავაგდე. ახლა მარტონი ვართ და ვერც ვერავინ შეებდავს მყუდროება დაგვირღვიოს.

— ძია, ვის ელაპარაკები?

ღია კარიდან შემოჭრილ სინათლეში ბიჭი იდგა. ბიჭი ახლა უქუდოდ იყო და ქოჩორა თმაზე თოვლის გვარიანი ზენი ადგა.

ბერიკაცი დაფეთებული წამოვარდა. სიჩქარეში პიჯაკის გამოგლეჯილი იდაყვები სულ დაავიწყდა.

— აქ რატომ შემოხვედი?

— ყველი და პური მოგიტანე, რძე აღარ იყო. ვითხარი, მაგარი შუხურები მიქონდა გამყიდველთან. მაინც თავი-

სი გაიტანა და ყველი ას ორმოცდაათი გრამი აწონა. ფული კი მეყო. აწონდა რდო. სხვა დროს ფული სკოლში წასვლის დროს მომეცი და უკანდაბრუნებისას ყველაფერს მოგიტან.

ბიჭმა ქანდაკებას ახედა და მოხუცს თვალი ეშმაკურად ჩაუჭრა.

## დაბრუნება

ვაჟამ სკივრიდან ნახევარლიტრიანი ამოძღო. ბორჯომის ბოთლას იარლიყს დახედა, ღიმილით თქვა:

— ბოცმანი გავაცურე, ბორჯომი ეგონა.

საცობი კბილებით ააძრო. აი, კბილები კი მაგარი ჰქონია, სულ სიმინდის მარცვლებივით ჩარიგებოდა, არც ერთი არ აკლდა.

ორნი ვისხედით კაიუტაში. მესამე სრულიად ზედმეტად ვცანით და კარი მაგრად ჩაკეტეთ. მარტო ილუმინატორი გვქონდა ღია. რკინის პატარა ჭრილიდან ჩანდა ზეწარივით გადაჭიმული ზღვა. ტალღები აქლემის კუზივით აიზნიქებოდნენ ხოლმე, მაგრამ ისე აიზნიქებოდნენ, რომ ჩქერს სულ არ იკეთებდნენ. თუმცა რა ტალღები იყო, სამი ბალი თუ იქნებოდა..

— ეს იმას გაუმარჯოს, — თქვა ვაჟამ და ხელი კედელზე გაკრულ სურათისაკენ გაიშვირა:

ამ ხელში ვაჟას არაყით სავსე თუნუქის ჭიქა ეჭირა. ეს ჭიქა თვითონ გამოჩარხა გემის სახარატოში.

— გაუმარჯოს, — თქვეი მე.

— ხომ კარგი გოგოა?

— დიდებული, ოღონდ ცხვირი არ მომწონს. ქალს არ უხდება კეხიანი ცხვირი. ნიკაპიც მამაკაცური აქვს.

— ჰო, მაგრამ ძალიან ლამაზია.

თავი ორჭოფულად გავიქინე.

— აი, ორ დღეში ფოთში ვიქნებით, ნახვ, პორტში დამხვდება. მაშინვე უნდა მოგაწერო ხელი.

— შენი საქმეა.

ვაჟამ ფეხი ფეხზე გადაიღო.

ფეხები კი სასაცილო ჰქონდა. იტალიური ვერმიშელის ღეროებივით დაგრებოდა. ხმელეთზე ამას, რასაკვირველია, ვერ ვამჩნევდი, მაგრამ ტროპიკებში მოკლე შარვალი რომ ჩაიცვა, იტალიურმა ვერმიშელმა თავისი გაიტანა.

— ახლა მოდი მშობლებსა ვთქვათ.

— ეგ პირველად უნდა შეგესვა.

— ჰო, ასეა, მაგრამ ეს დაწყველილი გოგოები..

— გოგოები მგლები ხომ არ არიან, ტყეში რომ გაიქცნენ. პორტი და მისი ჯანი.

— არა, გოგოები სიმღერას გვანან, ყველაზე კარგი მომღერლები რომ არიან; ხომ არ ვიმღეროთ?

— ხმა არა მაქვს.

— მაშ მშობლებს გაუმარჯოს.

სწრაფად გადავკარით

არაყი ხელში თაფლის სანთელივით გვადნებოდა და ნაღვლიანად შეგყურებდით საწრუპელამდე დაყვანილ ბოთლს.

— შენ ისა თქვი, ეს საცოდავი მართლა ობოლი იყო?

ვაჟამ ვერაფერი გაიგო ჩემი ქარაგმისა. თვალები გაუბეცდა.

— რას გამოშტერდი? არაყზე გუბუნები.

როგორც იყო, ჰა, მიმიხვდა და გიცინა.

— დედას გეფიცები, შვიდ თვეს ზღვაში არაყს ვინ გამიჩერებდა. ესეც ძლივს გადავარჩინე.

— რომ არ დაგეფიცა, მაინც დაგი-

ჯერებდი. ისე კი, აჯობებდა ეს საქმე სულ არ დაგვეწყო, ნახევარ ლიტრას მხოლოდ ეკვატორამდე მივყავარ, არც იქით ვარ და არც აქეთ, ძმა ჰყოლოდა, სხვა საქმეა..

— ჰო, არა, ძმა არა ჰყავს, გარდაიკვალა, სულ ორი დღის უკან მოუკვდა. მისი ქელები მე და ბოცმანმა ვჭამეთ. ხომ იცი, ბოცმანი რა ძაღლია; სეტერი-სა არ იყოს, სუნით აგნებს.

— მიტომაც აზის ცხვირი გადაბერებული პამიდორივით.

— ჰო, ცხვირი მართლაც და დამპალ პამიდორს უგავს. ვითომ არაყის ბრა-ლია?

— ჰო, ხშირმა სმამ იცის...

— აბა, ნულარ დავლევთ.

— ძალიანაც რომ გინდოდეს, მაინც ვეღარ დალევ, ეს ბოლო ბოთლია. ორ დღეს გაძელი და მერე რამდენიც გინდა, იმდენი სვი.

— არა, ხმელეთზე არც თუ ისე ვეტანები. ზღვამ შემყვარა არაყი. სევდას აქარვებს ეს დალოცვილი. ისე, უცბად კი გაირბინა შეიძმა თევმ, ხმელთაშუა ზღვას რომ გავშორდით, გული უკან მრჩებოდა, როდის ჩათავდებამეთქი ეს დრო. ახლა კი მიკვირს, შინ ებრუნდებით, ბიჭო? კიდევ ერთი ბოთლი, რომ იყოს, ჰა?

— დიდებული საქმე იქნებოდა, მაგრამ სად არის?

— გოგონების სადღეგრძელოს დავლევდი. გოგონები სიმღერასა გვანან.

— იქნებ სიმფონიასაც?

— არა, მხოლოდ სიმღერას. გახსოვს, ესპანეთში რომ ვისმენდით. შენ ცრემლებიც კი მოგადგა. აუ, ბიჭო, როგორ მღეროდა ის მონტიელი!

მე დაუუსტვინე.

— ნუ უსტვენ, ლეღვა იცის.

— დიდი ხანია მეზღვაური გახდი?

— შენ არ მითხარი?

— ჰო, ასეა, გემზე სტვენა არ შეიძლება. ერთი ეს მითხარი, მართლა ძალიან გიყვარს?

— თავზე მეტად. შავი გოფრეს კა-

ბა ვუყიდე, მოუხდება. აი, მეფუტე მშას მივაზომე და ისე ვუყიდე. ტანით ერთნაირი არიან.

— რას ამბობ, აბა კარგი ტანი ჰქონია.

— ჰო, ასეა. კიდევ ნეილონის კაბაც ვუყიდე, სამაჯური.

— ერთი სიტყვით, დაგინიშნია და ისაა.

— დედა ავადაა, მწოლიარეა, თავზე ისა და ჩემი ძმა ადვანან.

— ძმა კაი ბიჭია?

— ჯერ პატარაა. ამ ქვეყნისა არა გავგება რა. ისე ჭანიანია, შრომაც უყვარს.

— კარგი ბიჭი ყოფილა.

ვაჟა ადგა, კედელთან მივიდა, სურათს დააშტერდა და მერე აკოცა.

პორტში სისხამზე შევედით. მაინც ბევრი ხალხი იდგა ნავსაბმელთან. იყო ერთი ჰყლეტა და გადაძახილ-გადმოძახილი. სიტყვების ამ დომხალში ყველაზე უფრო „მამას“ გამოარჩევდით. მოგეცათ ლხენა, გემზე მამა საკმაოდ ბლომად იყო, ვაჟსნაირნი კი, ცოტანი.

მე და ის მარჯვენა ბორტთან ვიდექით. მე არავის ველოდი და საბაჟოს გაყვითლებულ კედელს არხინად მივჩერებოდი. ის კი ცქმუტავდა.

— ხედავ, აი, ჩემი ძმა. ნახე, მოაჯირზე რომ დგას, კედელთან, — მითხრა ვაჟამ.

მოაჯირთან, ზედ ბათქაშუმოცილი კედელთან მართლაც იდგა თერთმეტობდე წლის ბიჭი. დილის უღონო მზის სხივები თვალეში აქყეტდა და თვალს ვერ გვისწორებდა. იდგა და მოქუფრული, თითქოსდა ცოტა გაბრაზებული მოგვეჩერებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა მაინც.

როცა ტრაპი დაუშვეს, ხალხი დაიძრა და ნიაღვარივით მოაწყდა. მორიგე მატროსი სადღაც სატრალო ხიდურს

როდნე ჩაჩანიძე  
დაბარუნება



იქით ისროლეს. აბა, ამ დომხალში ვა-  
ქას ძმას ვინ იპოვნედა!

პირველმა მქუხარე ტალღამ გადაია-  
რა.

ხალხი დაწყნარდა. ახლა კოცნა-ხვე-  
ვნამ კაიუტებში გადაინაცვლა.

ბიჭი მობუზული იდგა უკანა ერლო-  
ზე. საჩვენებელი თითი მსუქან ქვედა  
ტუჩზე ჩამოედო და შავი, მეტყველი  
თვალეებით დამნაშავესავით მოგვიჩერე-  
ბოდა.

— ნოდარ! — დაუძახა ვაჟამ. რკინის  
დამრეცი კიბეები, სატრალიო ხიდურას  
უკანა ერდოსთან რომ აკავშირებს, ჩაი-  
რბინა და ძმას ჩაეხუტა.

— დედა როგორაა?

— კარგად.

ბიჭი ისევ ნაღვლიანი, მეტყველი თვა-  
ლებით იყურებოდა.

როცა კაიუტაში ჩამოვჯექით, შუბლი  
მაშინაც არ გაუხსნია.

ვაჟა ფაციფუცით ალაგებდა თავის  
ნივთებს, უხერხულად იღიმებოდა. ჩე-  
მოდანი ასწია, ისევ დადგა, თითქოს და  
სიმძიმეს უსინჯავსო. მერე მე შემომ-  
ხედა. რაღაც უნდოდა ეთქვა. მე დავას-  
წარი:

— ხვალ მოხვალ? ცოტა დავლიოთ,—  
გამიღიმა.

— რა ვიცი, ხვალ.. ალბათ ცოტა გა-  
მიჭირდება. მერე იყოს.

— ჰო, კარგი.

ჩემოდანი მაინც აიღო.

— ეს სურათი იყოს კედელზე, შენ  
ხომ არ შეგიშლის! ხელს?

— რა შენაღვლება, იყოს რა!

ბიჭმა თავი დახარა, ვაჟამ ჩემოდანი  
ისევ დადგა.

— ერთი ეს მითხარი, ნელი რატომ  
არ მოვიდა, დედა ხომ არ არის ცუ-  
დად?

ბიჭმა თითი ისევ სქელ ქვედა ტუჩზე  
ჩამოიდო და სურათს შეხედა.

— შენ გეკითხები, გესმის?

— ჰო... — თქვა ორჭოფულად.

— თქვი-მეთქი!

— ჩვენთან აღარ არის, — ისეთი ხმა  
გამოსცა. თითქოსდა ცარიელ ჭიქაში  
ჩასძახოდა.

— აბა სად არის?

— წავიდა, გათხოვდა! —

ახლა უკვე სულ სხვა ხმით დაიყვირა  
ბიჭმა. რატომღაც რაფაზე დაგდებული  
ნიჟარა აიღო და იქით, ილუმინატორი-  
საკენ გააჩოჩა.

ვაჟას ნიკაპი ჩამოუვარდა. მერე ჩე-  
მოდანი აითრია, ძლივს აითრია. როცა  
კარებში გადიოდა, ერთი შემობრუნდა.

— შენ ეი. გესმის, ხვალ არსად წახ-  
ვიდე, მოვალ და მართლა ჩაეცეცხლოთ.



## მ რ ი ტ ო ტ ი

ორი ძმა იყო. უფროსი იქნებოდა ცამეტის, უმცროსი ცხრა წლისა. შიმშილისაგან და მოუვლელობისაგან გაფითრებულებს მხარ-ილღივ ჩანთები ეკიდათ, ხელში ჯოხმომარჯვებულეები, ლუკმა პურის საშოვნელად კარდაკარ დადიოდნენ და აღაღვავებდნენ სოფლის ძაღლებს. ბიჭუნებს ყველა გული-სყურით ეპყრობოდა, განსაკუთრებით კი დედაკაცები, თვალსრემლიანები რომ აცილებდნენ ამ ობლად დაჩენილ, აწიოკებულ კრუნის წიწილებს.

მოგვიანებით უფროსი ძმა ერთმა წვრილშვილმა კაცმა დაიჭირავა, მერო-რე, ცხრა წლის ბიჭი კი, ჩვენმა მეზობელმა ქიტამ აიყვანა ხელზე მოსამსახურედ.

შეიძლება თავიდანვე სხვანაირი ზრახვები ედო გულში უშვილო კაცს, მაგრამ იმ ხანებში ყველა დაჯერებული იყო, რომ ქიტამ ავადმყოფი ცოლის წასაშველებლად იშოვა ეს ბაღლი.

ცხრა წლის ბიჭი უფრო სხარტი გონების და მკვირცხლი ჩანდა, ვიდრე მდორე მოძრაობის და დინჯი ბუნების მისი უფროსი ძმა. გაუგებარი მხოლოდ ის იყო, რომ უმცროსი მამაკონა, უფრო კარგად აგებინებდა სხვას რაც სურდა, ვიდრე უფროსი — პეტრუხა.

ვიდრე მამიკონა ტყის, ვენახის, წისქვილის გზას ისწავლიდა, ქიტას პატარა ბიჭი თან დაჰყავდა და ყველაფერში მამის გულმოდგინებით ახედებდა და ასწავლიდა. გამკრიახი გონე-

ბის ბავშვს მეტიც არ უნდოდა: ის მალე იღებდა ალღოს და მართალია, პირველ ხანებში ზოგი რამ წუნდებულად გამოუდიოდა, მაგრამ მერე საქმის შესრულების ნირი უფრო დაიხვეწა.

პირველ ხანებში ტყეში გასამგზავრებელ მამიკონას გულისათვის ქიტა ძია მეზობელს გასძახებდა:

— ქალო, პარასკო, სად არის შენა შაქრია, ტყეში არ წავა ფიჩხზე? — პარასკოც თითქოს ამას ელოდა, სახელდახელოდ გამოაწყობდა შაქრიას, მისცემდა პატარა სავანეს და... თოკის ნაგლეჯში შეკრულ მხარის საფენებით ტყისკენ მიდილინებდნენ უდარდელი ბიჭები.

ფიჩხზე წასულები გზადაგზა თანატოლ წვრილფეხობას მოხვეტავდნენ და, ჰერი ბიჭო, საჭირითოდ! იყო ერთი გნისი, სიცილი, ხუმრობა. ტყის პირად მალალ სერზე რომ აივაკებდნენ, მინდერიანზე გააჩაღებდნენ ლახტაობას, ჩილიკაობას და როცა თამაშით გულს იჯერებდნენ, განაგრძობდნენ გზას. ტყეში შესულებიც მხოლოდ ათასნაირ ცელქობის და ვართობის შემდეგ სწუხდნენ ფიჩხზე. და განა რა უნდოდა ამ ზურგულის მოჭრას და შეკვრას. სულ მცირე დრო! მთავარი თანატოლებში განაგარდება იყო. ამ ცელქობის დილბანდი ქიტამ იცოდა, განგებ თვალებს ხუჭავდა და თავი ისე ეჭირა, ვითომ არაფერი დაენახოს და არც გაეგოს.



უფრო შეგნებულად აუბეს მხარე მხარეს და ტყუპებივით ერთად დადგნენ ვენახშიც, როგორც მომიჯნეები.

მამიკონა მალე შეეჩვია თავის მდგომარეობას, ხელზე მოსამსახურისას კი არა, უშვილო კაცის შვილობას. იგი შინ ისევ თამამად გრძნობდა თავს, როგორც შაქრია პარასკოს დაობლებულ ოჯახში. ქიტას მხოლოდ იმისი ეშინოდა, რომ ბაღლობდაკარგულ მამიკონას თუ კი შრომას და ჯათას არ შეაჩვევდა და მთლად მიუშვებდა, შესაძლოა, ხელთუყარი გამოსულიყო და გამრჯე კაცის იმედები არ გაემართლებინა. ამიტომ ნაჯაფვე კაცს, რაკი გუნებაში ბაღლის კაცად ქცევა ჰქონდა, ცდილობდა აქედანვე გარჯას შესჩვეოდა, უნდოდა მისი ავ-კარგი თავის დაწოლა-ადგომის ადათისთვის დაემორჩილებინა, რომ დილით საქმეზე წასვლისას თან გაეყოლებინა და პატარაობიდანვე გაეგო, რას ასხნია ცხოვრება.

შაქრიასთან მეგობრობა მით უფრო სანატრელი და სასიხარულო იყო, რომ პირველ ხანებში ერთმანეთს ხშირად ვერ ხვდებოდნენ, მაგრამ როგორც კი დროს იხელთებდნენ ტყუპებივით საითმე გაჯირითდებოდნენ და მთელი დღით იკარგებოდნენ.

ბიჭები სულ მოკლე ხანში ისე შეეთვისნენ ერთმანეთს, რომ მარტო დარჩენილები ერთმანეთზე ფეჭობდნენ. დრო ვადიდოდა. მამიკონა იზრდებოდა, ვაყკაცდებოდა, მოხუცი მამობილის ტვირთი თანდათან მის მხრებზე გადადიოდა და ეს სიმძიმე ხვალისდელ დღეზე უფრო მეტს აფიქრებინებდა და აღინჯებდა. დრომ და ასაკმა ორი მეგობარი უფრო დააახლოვა და შეასისხლხორცა. საქმიანობა, ერთად შრომა, მყარ საფუძვლად ედებოდა ძმებივით შეზრდილ სიყრმის მეგობრებს.

მამიკონა კარგი ვაყკაცი დადგა. შავ ქოჩორს რომ დაივარცხნიდა (თუშური ქუდი რომ ვერ იმორჩილებდა აჯაგრულ თმას), აკოკრებულ უღვაშებში ჩუმ-ჩუმად რომ ჩაილიმებდა, საამური შესახედავი იყო—თავაზიანი, დედ-მამის მოსიყვარულე.

ბიჭებმა უღვაშები რომ დაიმშვენეს,

ქიტა ძიას კარგი ვენახი ჰქონდა, უკეთესად მოვილიც, ვიდრე ქვრივ-ოხერ პარასკოს. შაქრია წამოიზარდა და ეს უპირატესობაც წაშალა. მეგობრები სხლავდნენ, წალამი გამოჰქონდათ და ჰკონავდნენ, ბარავდნენ, სთესდნენ, ჰყელავდნენ, წამლაჯდნენ. თოხნიდნენ და თითქმის ყველა საქმიანობას ერთდროულად აკეთებდნენ. უფრო ხშირად კი ორივე ჯერ ერთისას, მერე მეორისას.

ცხოვრების საკმაოდ გრძელ მანძილზე ბევრი ალიაქოთი და ჩხუბიც ყოფილა მშობელთა შორის, მაგრამ არავის გაუგონია, რომ ბიჭები ერთმანეთს დამღურებოდნენ და სულ მცირე საბაზი მიეცა ერთს მეორისათვის უმნიშვნელო უსიამოვნების დასათესად. მამიკონას დედობილი ფეფელო და პარასკო დღესაც კი ნამღურავად იყენენ, შარშანდელ რალაც გაუგებრობის ნიადაგზე, მაგრამ ვაყკაცებს ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ და აინუშნიაც არ ჩაუვდიოთ მოხუცების შელაპარაკება.

ზაფხულის ბოლოს, როცა მტევანი ფერს იწმენდა, მარცვლი იმღვრეოდა და ვენახში საქმე მთლიანად მოთავებულად გამოიყურებოდა, უფრო სიამოვნებისათვის, ვიდრე საქმისათვის, ვენახში წასული ახალგაზრდები შაქრიას კომშის ჩრდილში ისხდნენ და სოფლის ლამაზი, გასათხოვარი ქალიშვილების ღირსებებს და ნაკლს სათითაოდ ჰკილავდნენ, ან შაქრია მამიკონას ეკითხებოდა გადმოხვეწის და ოჯახის აწიოკების ამბებს, დედ-მამის და სამი დის სიყვდილის, პეტრუზას და თავის შემთხვევით გადარჩენის საშინელებით სავსე ამბებს.

ივლისი იდგა. მამიკონა და შაქრია კომშის ჩრდილში ისხდნენ და მასლაათობდნენ. ჭიჭინობელები გაჰკიოდნენ. სიცხის ბული იდგა. ჰაერი სავსე იყო უთვალავი ფრინველის და მწერის ერთმანეთში არეული და შეზავებული ხმაურით. შაბიამნით შეფერილი ვაზის



ფოთოლი, ყლორტი და მტევანი გარინდებულიყო, თითქოს უსმენდა ამ უდაური სიციხის მომდევნო, გამაგრილებელ ისეთ წუთს, როცა ყველაფერი შვებით ამოისუნთქავდა. არსად არ ირხეოდა გაფრენილი მწერი ან ფრინველით შეშფოთებული ფოთოლი.

—მაგარი სიციხეა, წვიმაა საჭირო, —გადაულაპარაკა შაქრიამ და პაპიროსი გააბოლა.

—მართალია.—დაუდასტურა მამიკონამ,—მაგრამ, შენი აზრით, ეს მტევანს ავნებს?

—თუ გაექექე, შეარხე, დაქალე, რა თქმა უნდა, ავნებს. რაო, შენ არ იცი, რომ ავნებს?—გაკვირვებით იკითხა შაქრიამ.

—აბა, მაშ რა ვქნა, ეს ღმერთადლა, აქა-იქ კლანჭებს თუ არ მოვჭრი, უფრო გვიან ვეღარ მოვიცილი სამაგესოდ, ახლა ვთხნის, ძალიან გატყვიპული კია, მორწყვის შემდეგ დედაჩემს ევლო და ვდგევარ და რაც ძალა და ღონე მაქვს ვუძანგუნებ თოხსა.

—შენ არ მითხარი, აღარ გავთოხნისო? ახლა ასეთ სიციხეში კაცი თოხს ხელს მოკიდებს!

—არა, პირწმინდად კი არ ვთოხნი, აქა-იქ, სადაც კლანჭის კორომებია დაბეგებული, მხოლოდ იმ „პლანებს“ ეჩორკნი.

—ჩემი აზრით, არ ღირს ამ პაპანაქებაში ვენახში გავლაც კი, სარისკოა. ოღნავი გაკარებაც მტევანს აწუხებს და მარცვალი მალე ფუჭდება.

—შენა გგონია სიციხი გულას ვთოხნი?!—იმართლა თავი მამიკონამ.—არა. დილით, ვიდრე დაცხება და საღამო ხანს, გადაგრილებისას. ნამდვილი საქმე რომ იყოს, ნუ გეშინია, შენ არ აგცდებოდა, ერთად გავაკეთებდით.

—მოდი, მაგ ლაპარაკს თავი დავანებოთ და სადმე საზამთრო ვიშოვოთ, რას იტყვი, ახლა ცივი საზამთრო ზიარება!

—კარგი აზრია.—დაუდასტურა მამიკონამ.—მაგრამ ამ სიციხეში ძალღს არ გააგდებენ, ვინ წავა სიხანთ ყურეში?

მე პირადად კეტის ცემითაც ვერ გამოყვან ამ გრილოდან.

—ვინ წავა და „ვისაც კარგი ცხენები ჰყავს ოდელიაოთ!“—შეუძღერა შაქრიამ. მამიკონამ ეშმაკურად თვალეზი ააპაჭუნა და გორახი ხელში აათამაშა, ვერ მიუხვდა მეგობარს, ვისზე ანიშნებდა. მერე ჰკითხა:

—ვინ წავა? მე, მაგალითად,—მან მიწის შავი მოზრდილი გორახი ისროლა და ხელეზი ერთმანეთს შემოჰკრა.—ფულს გავიღებ, თუ გინდა მთლად მე ვიყიდე, წასვლაზე კი რა მოგახსენო. სიციხე ელემენტების მარწუხებს იგრე უჭერს, რომ, უჰ!

—მალაქოს ზიკი ხომ აქ არის, გავიკრების ტალკვესი,—შაქრიამ „მალაქოს ზიკის“ მისამართით თავი ააქნია და მისი ვენახის მიმართულებით ხელიც გაიწოდა.—დილას ცხენის ხეივანი მომესმა, მაშ აქ არის,—მერე კოკურაზე ანიშნა,—მოიტა, ე კოკურა მომაწოდე.—მამიკონამ ორმოსკენ გრძელი მკლავი გაიწოდა, ფუჩეჩნადობილი კოკურა მიწოდდა და დაცინვით მიმართა:

—ყაურით გაძენი, რა გაწყურებს, შე ღმერთადლო!

—ამ სიციხეში ფილტვები მეწვის, ყაურმა რად მინდა.

მამიკონას ხელში წვრილი წკებლა ეჭირა და რაღაც მწერს ეომებოდა. მერე გადააგდო და პერანგი გაიხადა, გაქიმულ მავთულზე ჩამოჰკიდა. ჯერ ხელი არც კი მოეცილებინა მავთულზე გადაკიდებულ პერანგისათვის, რომ შებალნულ მკერდზე სილაქი ხმაურით იტყიცა და გამწარებთ შეივინა.

—ხედავ, ეს საოხრებელი რა მგლებით იწვევენ, ერიპააა! ამათ ასე რომ დამკბინონ, სადა მაქვს ამდენი სისხლი! სათქვენო თურქებს დავეუტოვე, ქაჯანი!—მამიკონამ ისევ პერანგს დასტაცა ხელი და ჰაიპარად გადაიცვა. შაქრიას გაცეინა.

—ალბათ გმირობა გინდოდა გამოგეჩინა, მუშლი რა არის, კაცი შეუშინდე—

დიმიტრი შირიანაშვილი  
ორი ტომი

სო, მარტო შენ მოგვეფიქრებინა სიცხი-საგან თავის დაღწევის უებარი წამალი —პერანგის ვახდა!—ნიკაავ, ჰაჰაიიი, ნიკაავ!—გასძახა შაქრიამ მალაქოს ბიჭსა, მომიჯნეს, მამიკონას გვერდით რომ ჰქონდათ ვენახი და სანაქებო თავლა ცხენი ჰყავდა. ნიკამ გაავიწყა.

—ჰაჰაჰაიი, რა არის, ვინა ხარ!

—მე ვარ შაქრია და მამიკონა, აქეთ გადმოიარე, საქმე გვაქვს.

— ნიკავ, ქვევრში ზიხარ? — ხარხარით უყვიროდა მამიკონა.—თუ ორმოში? საიდან ამოდის ეგ შენი დაგუბებული და დაჯანღული ხმა, შე ღმერთძაღლო!

—რას ამბობ, მამიკონ, ვერ გავიგე! — ყვიროდა იქიდან ნიკა.

—მოდი აქა და ყველაფერს გაიგებ.

—მერე შაქრიას მოუბრუნდა.—შაქრო, ახლავე ფულს მოვიტან და მოვალ.

შაქრიამ იუარა:

—არ არის საქირო. ვერ ერთი, ცოტაოდენი მგონი მეც უნდა მქონდეს და მეორეც, აბა, დაფიქრდი, ვინ წავა სისაანთ ყურეში ერთი საზამთროს საყიდლად? ეს მებაღემ, ღმერთსა მადლი, კარგად იცის. ამიტომ ფული სულ არ გვინდა. ის კაცი გვენდობა შაბათადე, ყაჩაღობა და უპირობა ხომ არ გამეფებულა ქვეყნად, წავიღო და უარი ვთქვა?

—შენ მართალი ხარ, მაგრამ მანაც მოვიტან, იქნებ ნიკამ უფულოდ წასვლა იუაროს.

—კარგი, წადი.—მამიკონამ წვეპლა ორად მოკეცა, შუაზე გადატეხა, ბარძაყზე იწყალებდა და მილიდინებდა.

— უჰ, რა მაგრად ცხელა ეს ღმერთძაღლი, კაცო! — მიბუტბუტებდა თავისთვის.

ნიკამ კომშის ჩრდილში თავი შეჰყო და შაქრიას სალამი შეაგება. შაქროს გამხმარი ლობით დაეგლიჯა და კომშის ძირთან დაეგროვებინა, რომ საღამოს ჟამს სახედრისათვის აეკიდა.

—ჰა, შაქრო, ზამთრის მარავს იკეთებ?

—რას იზამ, საქიროა.—შაქრო თრბობოკიან, შაბიამნით შეფეროვებული ბიოს კონებად კრავდა, ერთმანეთზე ალაგებდა ისეთი რიგით, რომ გაადვილებულიყო სახედარზე აკიდება.

— ცოტა მოგვევიანებია დავლუკა, ჰა! — მიმართა ნიკამ.

—ცოტა კი არა, საკმაოდ შემაგვიანდა, სულ ჩაიწვა, ბალახის თიბვას გადაევეგ, იმან წაიღო ამდენი დრო. ჰო, მართლა, შენ როგორა ხარ თავლას თივაზე?

—მეც ასე ვათოთხარებული ვარ, ხან სად, ხან სად დავეძვრები თხუნელასავით და მიქირს, ვერ ვშოულობ.

— ჰა ჰაი, თქვე ვერანებო, როგორ მომრავლდით!—დაუტატანა შაქრიამ, როცა დავლუკილი ლობიოს ბლუჯა ხელში აიღო და ნიკას დასაჯდომად ადგილი გაუთავისუფლა.

—ეგ რას უჯავრდები?—იკითხა ახლადმოსულმა.

—აი, ამ ხელიკებს. საკმარისია საქრომელი იპოვონ, გაინახებინან, რომ მოფარებულებმა გულდასმით გვითვალთვალონ თუ რას ვაკეთებთ, ერთი ზღვისანი არიან. ხედავ, ოთხი გამოხტა, ერთი მხარზეც კი ამბობოზდა, არ მეპუებინა! აი, ეგრე შორიახლო წამოსკუბდებიან და პირში შემოგყურებენ, ავრე გონია მისმენენ, რას ვლაპარაკობთ.

—მეც გაწვალებული ვარ.—შესჩივლა ნიკამ.—გაგონილა! ხელიკის შიშით ხურჯინი ვერსად დამიკიდა, ყველგან ეგენი არიან!—ნიკა აპეურით შეკრულ ლობიოს კონაზე ჩამოჭდა და იკითხა:

—რა ვინდოდა, რისთვის დამიძახე, ის-ის იყო, ჩავთვლიმე, მეგონა, ცოტას წავიძინებდი და დამაფეთიანეთ.

— როგორ! აქ შეგიძლია ძილი?—მიბრუნდა ნიკასკენ და გაკვირვებით იკითხა, ვითომ თვითონ არასოდეს დაეძინოს.

—რატომ არაო?—გაკვირვა ნიკამ, მალაღმა, უღვაშებთანა ახალგაზრდამ, თეთრი წინსაფარი რომ დაეგრიხა და

ქმარად შემოერთყა წელზე. შაქრია მსიარულ გუნებაზე იყო და ნიკას დიმილით ეტბნებოდა:

—ეგ ხელიკები, როგორც კი თვალს მოხუჭავ, ვაღებულ პირში ჩავიძვრებოან და უყარე კაკალი, ხვეწნითაც ვეღარ გამოიყვან იქიდან.

—უჰ, დალახვროს ღმერთმა, ეგ რა მითხარი... მართლა, ალბათ შენც გაიგებდი...

—ჰო, იმ დღეს დუქნებთან ლაპარაკობდნენ, ყური მოგვარი, ვილაც ღვინობაანური ყოფილა, საწყალს პირში ჩაძვრომიდა ის, გრძელი, უხსენებელი... ძლიეს გადაურჩენიათ, თუმცა, რაღა ვადარჩენა ჰქვია... ჰაი რძეო, ჰაი ესაო, ჰაი ისაო და ის წყეული ისე ამომძვრალა პირიდან, კაცო! მაგრამ ამის დამნახველ იმ უბედურსა, შაშისავან ვული ვასკდომია და იმ წუთშივე მომკვდარა.

—მართლაა, საშიშია აქ ძილი. ძალიან ვცდილობ არ დავიძინო, მაგრამ წუხელ ცოტა მეძინა და თავი ვეღარ შევიკავე.

ამ დროს მამიკონამ შემოიღიღინა, ბიჭებს ფული წინ დაუყარა და დაატანა:

— აჰა, მეტი არა მაქვს!

—ეს რისაა?—გაიკვირვა ნიკამ და მამიკონას გადმობრუნებულ ჯიბეს შეაყინა მზერა.—რა ამბავია, თქვე კაი კაცებო, მეც ხომ უნდა გამაგებინოთ, რისთვის გინდათ, რა, ქეიფს აპირებთ?

— არა, ქეიფს არა, საზამთროს კი გეახლებით, მაგრამ სიხანთ ყურეში ფეხით წასვლა ძნელია...—შაქრისას არც კი ჰქონდა სათქმელი დამთავრებული, რომ ნიკამ გააწყვეტინა:

—ჩემს თაფლაზე შეეჯდები და ერთ საათში აქა ვარ, მაგრამ ხურჩინი დამჭირდება.

—აი, ხურჩინიც.—უპასუხა შაქროს მაგიერ მამიკონამ და მტერიანი, ცარიელი, ფარდაგივით აჭრელებული დიდი ხურჩინი ზედ მიავლო, თან დაატანა:—თუ შენ წასვლა გეზარება, მე წავალ და უფრო ადრე მოვაქიკვივებ.

—არა, მებადესთან ცოტა საქმეცა

მაქვს, ცხენს წყალსაც ვაჩვენებ და მოკლედ, მე მივდივარ, წასასვლელად მიზეზიცა მაქვს და საბაბიც.

— ნიკალავ, შენი ცხენი მომცა, ერთი კარგი დამბაჩა და არსენობა ჩემზე იყოს,—გაუღიმა შაქრიამ.

—მოსატაცად ქალიც ხომ გყავს შეთვლიერებული?—ჩაუყრა თვალი მამიკონამ.

—მყავს და ჰაი დედასა, რომ მიწუნებენ: პატარა ვენახი აქვსო, ბუჩუნტარა ერთი ხის ქოხი უდვას, ფეხი რომ წავკრა, დევანგრეგო,—უთქვია სასიამოროს, ემავას ქალს მივეცემო! ჩემი სასიძოო, ამაყად უთქვამს, ისეთი მაგარი წელის მქონე უნდა იყოს, მოულოდნელად ასი კაცით თავს დავესხა, ღირსეულად გამომასპინძლდეს, ისე რომ შინიდან გარეთ არ დასჭირდეს გაველაო, მუხლში ისეთი ჯანი ჰქონდეს, დავეჭიდო, თუ ვერ წამაქცევს, წამომაროქოს მაინცო. ვინც მე ვერ მომერევა, ისეუ კაცს ქალს ვერ ვანდობო. ახლა, ვიცი, ვერ მოვერევი, როდის დავვაზნი, იმას ველოდო?

შაქრიას იდაყვებამდე გადაეკეცა თეთრი პერანგის სახელოები. ახლად მოპარსულ დაქადა დაწვის თავებზე სისხლივით წითელი ფერი დაჰკრავდა, გრძელი მკლავებით მუხლებს დაკრდნობოდა და ბოხი ხმით მეგობრებს აცინებდა.

—მაგრამ ჯერ არავის გაუგონია სიამამა სასიძო მაჯით გასინჯოს. დავუშვათ, მართლა მუხლი მაგარი აქვს კაცსა, მაგრამ ხელთუყარია. რამ შეინახოს? ესე გაგონილა! ჰოი, მაგისი რჯულიც...—დაიბუხუნა შაქრიამ და ბარაქიანი მუშტი მუხლზე დაირტყა. მერე თუშური ქუდი მოიხადა და ყალამაში შენახული თხელი, პაპიროსის ქალაღი ამოიღო. შაქრიამ შარვლის ჯიბიდან თამბაქო და ასანთი გამოაჩინა, პაპიროსის გაკეთებას შეუდგა. შიშველ ფეხებზე ჭიანჭველები დასეირნობდნენ, ენოთირებოდა, მოსაშორებლად ფეხებს იქ-

დამიბარი მირიანაშვილი

ორი ტომი





ნედა. განიერი მხრებით ოდნავ წინ წა-  
ხრილი პაპიროსს აბოლებდა და თავის  
სასიამოროზე სსასაცილო ამბავს უყე-  
ვბოდა, მადლიანად ხარხარებდა და წამ-  
დაუწუმ იძახდა „გავონილა!“ ის მდო-  
რედ, დინჯად ლაპარაკობდა. მის სიტყ-  
ვებს აზრის გარდა, თითქოს თავისე-  
ბური სიმძიმის ძალაც ჰქონდა—მისი  
სიტყვა წყალში ჩავარდნილ ქვასავით  
ძირებოდა და თავის კვალს სტოვებდა  
მოსაუბრეთა გულში.

—იქნება იმას ბუღის ძალა აქვს და...  
—რაღაც სურდა ეთქვა ნიკას და მამი-  
კონამ გააწყვეტინა:

— შე ღმერთადლო, ელემენტები-  
ვით ნუ ჩამაგრძელე, გავისტუმროთ ეს  
კაცი და მერე ვილაპარაკოთ.

—აი, ფული სულ ეგა გვაქვს.—თქვა  
შაქრომ და მუჭაში ჩაუტენა ნიკას.

—ამისა სულ ყარფულები თუ ნესვე-  
ბიც გამოვყოლო?—იკითხა ნიკამ და  
შუტაში ჩაჰმუქნილი ფული აჩვენა მე-  
გობრებს.

—ორივე.—მიუგო მეორედ მამიკო-  
ნამ.

— ოღონდ ერთი რამ უნდა გითხრა,  
—თქვა შაქრომ და ვეებერთელა ხელო  
მალლა ასწია; აწეულ ხელს ნიკას მკე-  
რდთან აქნევდა და ეუბნებოდა:—წელა-  
ნაცა ვთქვი, ჩემი აზრით, ფული არ  
არის საჭირო. შენ აუხსენი ჩვენი მდ-  
გომარეობა მეზალეს, აე და აეა, გვინ-  
და ბიჭებმა-თქო... ნისიათ, შაბათამდე-  
თქო. თუ დაგთანხმდა, შენ ფული მაინც  
გადაიხადე... გაიგე, რა გითხარი; ვნა-  
ხოთ, მოგცემს თუ არა ნისიად.

—უჰ, მოკლედ, რას გამიჭიანურე.  
შენ ეგა თქვი, ამ ფულისა სულ მოვი-  
ტანო?—ნიკა თავისი კითხვის პასუხს  
არ დალოდებია, თვითონვე უპასუხა,—  
ამით ერთი ურემი მომივა, ხურჯინთ  
როგორ ამოვიტანო?—მან ჰაიპარად გა-  
დათვალა და ნახევარზე მეტი მამიკონას  
მიაყარა. მამიკონამ აკრიფა და ისევ ხე-  
ლში ჩაუტენა.

— წაიდე, კაცო, იქნებ რისთვის დაგ-  
ჭირდეს, იქ დახედავ, ვინიკობაა... მო-  
იტანი ხომ არ დაგამძიმებს?

ნიკა გაისტუმრეს.

—რა კარგი იქნებოდა ცოტათუნი...  
ჩასაყლაპიც გვექონდეს და საქმელიც.  
პატარა პურსაც შევკამდით...—შაქრი-  
ამ ცერად გადახედა, აგდებულად ჩაი-  
ლიმა და უთხრა:

—შენ გუშინდელივით მაინც შენსას  
ვაიძახი. „პატარა პური“ რომ მდომე-  
ბოდა, აქეთ აღარ წამოვიდოდი. ნიკას-  
თან არ წამოგცდეს, თორემ ახლა ის  
ატყდება სამგლე გოჭივით...—მერე და-  
მცინავად ნასესხები ღმილით მეგო-  
ბარს ეუბნებოდა,—კარგი იქნებოდა მე  
და შენ მოზრდილი ზერები გვექონდეს  
ისე, სიტყვაზე ვამბობ, კარგი სახლ-კა-  
რი, რომ ჩემს სასიამოროს გული მოე-  
ფხანო, მაგრამ ჰაი, უქონლობის დედა-  
სა! არიან უფრო ვაჭირგებულებიც.  
ჩვენ საზამთროს ფული მაინც გამოე-  
ფხიკეთ ჯიბეებიდან, ზოგს ეგეც არა  
აქვს შენ რა გესწავლება, მე ახლა შა-  
ურს შაურზე ვადებ, ეგებ-მეთქი, ხომ  
იცი, ცოლსა დიდი ცომი უნდაო.

— მართალია, მართალი... თუ მამაჩე-  
მმა არ მიღალატა... ფინთათ არის, ათას  
რაღაცას იტკივებს, დაბერდა, ნაჯფარი  
კაცია... ამ შემოდგომაზე აგური მინდა  
მოვჭრა და შემრის ამ დროს სახლის  
შენებას შეეუღდე,—მოიჩივლა მამიკო-  
ნამ.

—სახლის აშენებას რომ ველოდო,  
უცოლოდ დავრჩები.—გააწყვეტინა შა-  
ქრიამ.—თუ გინდა წელს სულ არაფე-  
რი მომივიდეს, ვთქვათ, დაისეტყვოს,  
ან სხვა დარღუბალა შემემთხვას, თვა-  
ლებს დავხუჭავ და... თუ, შენ რომ იცი,  
ის არ გამომყვება, სხვას მივადგები, ჩე-  
მსავით უქონელსა და ტაბარუქს.

—მე ნათლიად მიგულე, შაქრიავ,—  
გემრიელად იცინოდა მამიკონა,—ისეთ  
ქორწილს გავაჩაღებთ, რომა... განა და-  
რიბები რომ ვართ, ქეიფიც არ ვიცი  
რა!—შაქრია პერანგიანი გულღმა იწვა  
და კომშის დაბურულ ტოტებს შესცქე-  
როდა. მამიკონა მის გვერდით იჯდა, გო-  
რახებს ერთმანეთს ურტყამდა და აქუ-  
ცმაცებდა.

— მამაჩემი ამტენია, მოიყვანო, მაგრამ სად უნდა მივიყვანო? მოხუცებს ხომ არ შევაწუხებ? ისეთი გოგო უნდა ვიშოვო, ბინა ჰქონდეს, თუ მის ბინაში ყველა არ დავეტევით, ჩვენ მანც გავიმართოთ, მემრე კიდევ, ღმერთი მალაღია. ან არაღა, ჯერ ბინას ავაშენებ და ცოლზე მემრე ვიფიქროთ, მოხუცებს ვერ შევაწუხებ ცოლის ჰორვეულობით.

ერთი საათიც არ იქნებოდა გასულა, რაც თავლას ფლოქებზეა გზაზე მტკერი აყენა და თვალს მოეფარა საზამთროზე წასული მხედარი, რომ სავსე ხურჯინით წელიში მოხრილ ტუბილად მოსაუბრე ბიჭებს თავს ნიკა წაადგა. ძლივს მოდიოდა. მამიკონა წამოხტა და ნიკას მოეხმარა. მძიმე ხურჯინი ფრთხილად დაუშვეს. ნიკამ ხურჯინის თვალს ძირზე ორივე ხელი მოჰკიდა და ჯერ ერთი თვალი წამოაპირქვევა შაქრიას გაშოტილ ფეხებთან, მერე მეორე. სახეაწითლებული და გახვითქული ნიკა ხალათის სახელოს სველ სახეზე ისვამდა, ოფლს იმშრალებდა და გახშირებულ სუნთქვით მოსთქვამდა:

— ოჰ, ამ ვერანამ წელი მომწყვიტა, კაცო, რა მძიმეა, იცი?

— ბიჭოს, ნესვებიც არის!— წამოიძახა შაქრომ, ხურჯინის პირველი თვალი რომ წამოცალა და დანა აათამაშა.

— ვა! ერთი ამას უყურე,— ეუბნებოდა ნიკას შეშინებული მამიკონა.— ფრთხილად, ვეყო, ამ სიკეთის დროსა ხელი არ გაიჭრა და საქეიფო გუნება არ წამიხდინო, შე ღმერთაღლო!

— არაფერია, მე სისხლის მაგიერ ძარღვებში ფაფა მიდგას, თუ ხელს გავიჭრი, იმავე წუთში შემიღედდება. თუ დაიღვრება, დაე, დაიღვაროს ამ დღის აღსანიშნავად.

— განა რა დღეა, შე კაი კაცო!?— დააბრიალა თვალები ნიკამ, შაქრიას წინ რომ დაჩოქილიყო და ორივე ხელით დიდ საზამთროს ურჩევდა გასაჭრელად, ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს.

— ვა, არ იცოდი?— ვაიკვირვა მამიკონამ.

— არა,— ნიკას ვაოცებისაგან უფრო მეტად გაუფართოვდა თვალები.

— მაშ, არ იცოდი რომ შაქროს დღეს ოცდასამი წელი შეუსრულდა?

— მართლა? არ ვიცოდი, ჩემმა მზემ. ცოტა პირის გასასველებელიც რომ გვექონოდა, კარგი იქნებოდა, ჩემმა მზემ. მაიტა, რაკი ხარჯია, ზევით წავალ, სოფელში ავქანდები და კაი პური... ჰა? — და ნიკა ხან ერთს, ხან მეორე მეგობარს უბრიალებდა თვალებს და მოუთმენლად ელოდა პასუხს თუბილარისაგან. შაქრომ მამიკონას ცერად გადახედა, სიცილი ველარ შეიკავა.

— შე არ გასაშვებო, შეგეხვეწე, არ წამოცდეს, თორემ სამგლე გოჭივით ატყუდება-მეთქი, ხომ გამართლდა?

— ჰოდა, სწორიც არის, რა მოხდა თითო გადავკრათ, შენი დღის აღსანიშნავად?

— არა,— მტკიცედ თქვა შაქრომ და დანა დიდ საზამთროს ჩაარქო.— არც უღვიწოდ იქნება ურიგო დაბადების დღის გადახდა ამ ჩრდილში აი, ასე, როგორც ვართ. ახლა დალაგდით და საზამთროს საჭმელად მოემზადეთ.— ნიკამ წინსაფარი მოიხსნა, თან ნირწამხდარად თავისთვის განაგრძობდა ბუტბუტს:

— რა ვიცი, მე ეგრე მეგონა, რომ, — შაქროს წინ ფეშტამალს შლიდა და გამოცვლილი ხმით ეუბნებოდა,— ამ წინსაფარზე დაჭერი, ქერქები აქ შევაგროვოთ, თორემ არც ისე გვაკლია ბუზი, ჰიანქველა და სხვა დარღუბალა, მერე სახედარს დავუყაროთ.— შაქრიამ დანაგაყრილი დიდი საზამთრო მალა ასწია, ნიკამ წინსაფარი გაუშალა. „იუბილარმა“ ჯერ ერთი პოლუსი გამოჭრა, გადმოაბრუნა და ახლა მეორე. შაქრიამ საზამთრო ნაჭრებად აქცია, მაგრამ მის წინ ისევ ისე მთლიანად იდო. მან მეგობრებს ამაყად გადახედა, პროლა საზამთროს საჩვენებლად დანა აიქნია. — აი ასე უნდა დაიჭრას, აბა რა გგონიათ!— თქვა მან და კისერი წინ წაიგრძე-

ლიმიტონი მირიანაშვილი  
ორი ტომი

ლა, ტუჩებით უცნაურად გააწლაკუნა და „მწუ“ გამოსცრა, დანა საზამთროზე დააკაკუნა და განაგრძო—ახლა ამას უცქირეთ რა იქნება—მალლიდან ნახად მუშტი დაარტყა და ნაჭრებად თანაბრად ყველა მხარეზე გადაიშალა.

—ვა, რა ლამაზათ გცოდნია, მართლა სანეფო ვაქვაცი ყოფილხარ.—შეაქო მამიკონამ. შაქრიამ მოზრდილი ნაჭერი აიღო, გამოათალა ქერქი, დანა „სუფრაზე“ ისროლა, ჩაკბინა სისხლივით წითელი საზამთროს ნაჭერი და მეგობრებს შეხედა.

—ჰა, თქვენც დაიწყეთ, რას მომშტერებხართ, თქვენი... ისეთი თვალებით მიცქერით, ლამის არის დავიხრჩო! —იღრიალა „იუბილარმა“.

მამიკონამ დანას დასტაცა ხელი, ნიკამ საზამთროს ნაჭერი პირში გამოისვა:

—მე ხვალ ცოცხზე მივდივარ. მოიტა რა, ერთად წავიდეთ!—მიანათა ბოჩოლა თვალემა ჯერ ერთს, მერე მეორეს. ნიკამ თქაფა-თქუფით ღორივით გამოწოწნა და ნალირლი ქერქი თავის წინსაფარზე ისროლა. შაქრიამ ჯერ მხრები აიჩეჩა, „არ ვიცის“ ნიშნად, მერე კი უკმაყოფილოდ შეუხმუქუნა:

—მოიცა, ჯერ შემაქამეთ ეს დალოცვილის მოყვანილი.—მერე უფრო დაბალი ხმით დაუმატა:—რა ტკბილი და გემრიელია, ჰა, ხომ კარგია!—დანა ნიკას გაუწოდა. ნიკამ ხელი აუკრა.

—დანას არა ვარ ჩვეული, მამიკონას მიაწოდე, მე ხელითაც გეახლები.. ასე მგონია, ხელით უფრო გემრიელია...

—კარგია, კარგია...—დაუდასტურა მამიკონამ.—მერე იცი კარგია...—მამიკონას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ნიკამ გააწყვეტინა.

—ახლა ამოვიარე... შოროქანზე იგეთი ცოცხია, ჩემმა მზემ, თუ წასვლა შევაგვიანეთ...—თან ხარბად, თქლაფუნით ჰამდა.—ძალიან ბევრი ხალხია შესული, მერე ვერაფერს ვეღარ ვიპოვით... ძალიან და ღორი იქ არის... ხვალ წამოხვალა, კარგი, არა და,—მან ახალი ნაჭერი აიღო და პირში ჩაიდო.—მარტო წავალ. შარშან დავაგვიანე და დედაჩემი დღემდე მისაყვედურებს და ახლაც

ამას მეჩინებდა: „ღროა, ღროა...“ დღე ერთია და გახსენება ათასი, ყელში არ ჩადის...—შაქრიამ აღმაცერად გახედა და ღიმილით უთხრა:

—ძალიან დაუშინებხარ დედაშენს... ჯერ ჰამე და მერე ვილაპარაკოთ, რა საუკომანო საქმედ აქციე!.. ხვალ სხვაგან მინდოდა... წავიდეთ, რაკი ასე მოგიწადინებია. დღევანდელ სუფრას, ალბათ, იქაც განვაგრძობთ!—ჰამაში გართულმა მამიკონამ რიგიანად ვერ გაიგო შაქროს ნათქვამი და ტუჩების წლაკუნით, ძლივს გასაგებად უპასუხა, თითქოს მის ეკითხებოდნენ:

—არა, შორია, ამის გულისათვის შოროქნიდან ყურეში ჩასვლა ღორმუცელობაა, ღმერთის მადლმა!

—რადა,—გააწყვეტინა შაქრიამ.—განა ახლა სიხანათ ყურიდან მოტანილ საზამთროს არ მიირთმევ?—ბიჭებმა ერთმანეთს ეშმაკურად გადახედეს და გაიცინეს. როცა ლუქმა გადაყლაბა, მამიკონამ ჰკითხა:

—ჰა, ნიკა, საზამთროსათვის შოროქნიდან სიხანათ ყურეში ჩახვალ?

ნიკამ სიხარულით უპასუხა:

—წავალ რომელია, ჩემი ცხენი ერთ წამში ლავოდენში ამიყვანს, არა თუ სიხანათ ყურეში.

როცა ქიტამ იშვილა, მართალია, მამინ მამიკონამ ანბანი არ იცოდა, მაგრამ მერე ლიკსკოლაში იარა და შეეძლო არა თუ ხელი მოეწერა, წაკითხვაც. ბიჭმა ქიტას იმედები გაუმართლა—ვენახს კარგად უვლიდა, მერე, როცა კოლმეურნეობა გაჩნდა, იქაც მუშაობდა; მართალია ხანდახან ბრიგადირი უჩიოდა, „შენაო, ეტყოდა ხოლმე, ლამაათ ამიკურდები და გამეპარები შენს საქმეზეო, ესაო, არ ვარგაო, ყოველთვის კი არ მოიტანს კოკა წყალსაო, ყოველთვის კი არ დაგფარავო, როდისმე შევევლეთდები და გამოგიყვან შენცა და შენს დამქაშებს სააშკარაოზე“. „მარტო მე ხომ არა ვარო,—ეტყოდა ხოლმე მამიკონა პასუხად, აცურების ოხტატიო?“



„შენცა და ყველასაო, როდისმე ავეყვებო და ყველას გამგებობის კრებაზე გაგაშვებთ, რომ კოლმეურნეობაში ძალი-ძალათ უნდა წაგათრიოთ კაცმა, მაშინ, როცა თქვენს საქმეზე მიიბარებთ, ვერ ცაში რომ ნანათი არ არისო.“

მამიკონა, მართალია, ნაკითხი არ იყო, მაგრამ ცხოვრების წიგნი კარგად იცოდა, მით უმეტეს, რომ აზრის გამზიარებელი და სარკე, მძასავით შეკვეთილი შაქრია, გვერდში ედგა და დღენიადაგ ერთმანეთს ეკითხებოდნენ და ურჩევდნენ, თუ როგორ მოეგვარებინათ და გაეკეთებინათ საშინაო აურაცხელი საქმე.

მამიკონას საფიცარი თითებზე ჰქონდა ჩამოსათვლელი: ძმა, დედ-მამა და შაქრია. ყველას კი შაქრია ერჩია, ეს იყო ყველაზე ახლობელი. მისი გულის ყველა სიღუმლო და ასავალ-დასავალი მაინც შაქრიამ იცოდა და არა სხვა ვინმემ. (და ასევე მამიკონამ შაქრიასი). ვენახის მომიჯნეობამ უფრო გააერთიანა ორი ახალგაზრდის სული და გული. ვენახის ისეთი კუნჭული აღმოჩნდა, სადაც მეგობრები გულს უკეთესად უჩვენებდნენ, არავინ ჰყავდათ მოთვალთვალე და მომსმენი, ეს იყო შრომის სარბიელი, სადაც ერთმანეთს ხედავდნენ მარტო იმით კი არა, თუ რას ფიქრობს, ან ამბობს, რას აკეთებს, იმითაც.

შაქრია დაქორწინდა. ქორწილის ავან-ჩავანი, ნეფის ნათლია მამიკონა იყო. შაქრიას ვაჟიშვილი ეყოლა და მამიკონამ მოუხათლა.

ნეფემ ქორწილის ღამესვე უთხრა თავის პატარძალს—იცოდე, ნათელა, ეს ჩემი ძმა არის და ვინც ამას აწყენინებს, ვითომ ჩემთვის მოუხლდა გულში დამბაჩაო. ნათელამაც გაუფო შაქრიას. მან ქიტას და მის მეუღლეს, ავადმყოფობისაგან განახევრებულ ფეფელოს გულის კარები გაუღო და ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ. პარასკოს გარდაცვალების შემდეგ ფეფელო იყო დამრბივებელი და გზის მიმცემი გამოუცდელი ქალისა.

ფეფელო მარტო რომ დარჩებოდა

ხოლმე შვილად მიჩნეულ ნათესავთან, სულ მამიკონას დაქორწინებაზე ედგა პარაკებოდა, ეჩქარებოდა—ავადმყოფი ვარ და ვიდრე ცოცხალი დავკანკალე მიწაზე, მინდა ჩემი თვალთ ვნახო, როგორი პატრონი გამოუჩნდება ჩემს შვილსაო, მაგრამ მამიკონა, რატომღაც, უარზე იდგა. ეს უარი, მშობლების თვალში, ბინის უქონლობას იყო ამოფარებული—ჭერაო, —ეუბნებოდა მშობლებს—სახლი უნდა ავაშენო და მერე დაქორწინდეთ. როცა მოხუცები შაქრიაზე უთითებდნენ, მამიკონა თავს იმით იმართლებდა, რომ მისი ოთახი დიდია, ჩვენი კი პატარააო. ნამდვილი მიზეზი კი მარტო თვითონ და შაქრიამ იცოდა—მზეთუნახავ ელენეს რომ დაადა თვალი და ქალის მშობლები რაღაცაზე ინახებოდნენ. ამ განახების ნამდვილი მიზეზი დღემდე მამიკონამ ვერ გაიგო და გაიგებდა თუ არა საერთოდ, თუ ასე გაგრძელდებოდა, ვერ მიმხვდარიყო. არა და აი, უკვე მესამე წელი იწურებოდა, უყვარდა...

მამიკონა ცოტა გულჩახვეული ახალგაზრდა იყო. ყველაფერს არ ეტყოდა მშობლებს და ზოგ რამეს თვით შაქროსაც კი არ უმჟღავნებდა. შესაძლოა, იმ მწარე დღეებიდან გამოჰყვა მის გულს ასეთი უჩვეულო ხასიათი, შესაძლოა, სხვისთვის გაურკვეველი გარემოება აიძულებდა, ყველაფერი არ დაეფჰვა მის ენას, რაც გულში ედო, მაგრამ როგორც კი ცოტათიდენს გადაჰკრავდა, კარჩაკეტილობა კლიტეს ხსნიდა და შიგ ახედებდა ყველას, ვისაც არ დაეზარებოდა.

შექვიფიანებულ მამიკონა ენაწყლიანობდა, ცდილობდა თავი გამოეჩინა, ეჩვენებინა, რომ ისიც კაცია, რომ მასაც უნახავს ბევრი და გეგება, მაგრამ ღვინოაოკიდებული ვაჟკაცი დალაგებულად სათქმელს ვერ ამბობდა და თითქმის ერთი და იგივეს სხვა და სხვა ვარიანტში ატრიალებდა. მას გულში ჩარჩენილი ჰქონდა (და ალბათ მოსწონ-

ლიმიტი მირიანაშაველი  
ორი ბოზი

და კიდეც ვიღაც თამადის მიერ ნათქვამი უცხო, გაუგებარი მრავალი სიტყვა და სიმთვრალეში უყვარდა მისი ხმარება. თამადის ლექსიკონიდან განსაკუთრებული პატივისცემით სიტყვა „ელემენტი“ სარგებლობდა. საუბარი რასაც არ უნდა შეხებოდა, შემთვრალეული მამიკონა ისე მიატრიალ-მოატრიალებდა სათქმელს, რომ აუცილებლად „ელემენტებით“ უნდა დაეკეთა დაფაცხავებული და გაჯახირებული ფრაზა. ერთი სიტყვით, „ელემენტები“ უნივერსალური მნიშვნელობის მქონე გახლდათ, ურომლისოდაც მამიკონას არ შეეძლო რაიმე ეთქვა.

ორმა წელმა კიდეც ჩაიქროლა.

მამიკონამ კარგი ქვიტიორის სახლი წამოვიდა და სოფელში სანაქებო ქორწილიც გადაიხადა. ამ ამბიდან მთავარი მაინც ის იყო, რომ მან მშვენიერი ელენეს მშობლების გული რაღაცით მოინადირა და აისრულა დიდი ხნის გულის საწადელი. რაღა თქმა უნდა, შაქრია თავისი ოჯახით ამ სასიხარული საქმიანობის სული და გული იყო.

დაიწყო უფრო მხრუნველი დღეები და ღამეები, რომლის შინაარსი ოჯახის და მეგობრის კეთილდღეობა იყო.

რა გრძნობიერი ყოფილა თურმე, ქარიშხლების და გრგვივის ამტანი, — კენჭი ისროლა — ბავშვა იხუმრა, — ზღვა შეაქრყოლა ბუმბერაზ ტანის...

უთქვამს უცნობ პოეტს და ეს სტრიქონები როგორღაც გაეხმიანებია შაქროს და მამიკონას მომდევნო დღეების შინაარსს.

კარგა ხნის წინათ ქიტამ ვენახის ბოლოში შაქრიას და თავისი ვენახის ჯავშართან თუთის ხე დარგო. ეს ხე ორივე ვენახის ნაპირა მწკრივეებიდან სულ რამდენიმე მტკაველით იყო დაშორებული. პირველ ხანებში, ვიდრე ეს ხართუთა პატარა იყო და ვაზებს არ ჩრდილავდა, შაქრიას ხმაც არ ამოუღია, მაგრამ როცა დალოცვილმა, სივრცე-

სიგანით გაშალა თავისი ბრტყელი თაფლები, ვაზებს გაუჭირდა. საქმე ის იყო, რომ რაც იზრდებოდა, მამიკონას ვაზებისკენ იხრებოდა ერთი, ან ორი ტოტი კი არა, მთლიანად ხე. შესაძლოა, ერთი მხრიდან მუდმივმა ქარის ქროლამ გამოიწვია ტანაყრილ თუთის ეს საშიში გადაფერდება და გადალუნვა მომიჯნის ვაზებისაკენ. ნათელი იყო შაქრიას ვენახის ორმოცამდე ვაზი დაიჩრდილა. ყურძენს აღარ იხსამდა. ამ გარემოებაზე რამდენჯერმე უთხრა მამიკონას:

— ბიჭო, მამიკონა, ან დაკაფე, ან სულ მოკერი, რად გინდა ვაზებშუა ამხელა ხე. ჯერ არის და ათასი მამაძალი გამოაბამს ხოლმე სახედარსა, ხან ცხენსა და ვაზებს გვიზიანებენ, მეორეც, ჩრდილად ტახტის თავში ატამი გიდგას, მე კიდეც კოშში, აიღე და... თან გზის პირად ყველას გავლას უშლის.

მაშინ მამიკონამ რაღაც მიზეზით პასუხს თავი აარიდა.

ერთი ასეთი საუბარი სწორედ თუთობას მოხდა. იმ წუთებში მამიკონა ვენახს სწამლავდა, ზურგზე აპარატი ეკიდა, შაქრო კი თოხნიდა, ორივენი ვენახის თავში იყვნენ, ერთი ახალი „პლანის“ შეწამვლას იწყებდა, მეორე კი თოხის ტარს დაყრდნობოდა და მეგობარს ეკითხებოდა, ეს ვინ არიან თუთაზე რომ მიგიპატოყებიაო. მამიკონამ თუთაზე ასულების მისამართით მაგრად შეიგინა.

ხართუთაზე მართლაც დაუკითხავა, მოუპატიყებელი უცხო ხალხი ასულიყო, პატარები კი არა, გასათხოვარი ქალები, იღვა ერთი ხმაური, სიცილი. მამიკონამ ვერც კი გაბედა თუთაზე ასული ქალებისათვის ეთქვა რაიმე, თუგინდ იმის გამო. რატომ ამტყრევთ ტოტებსო. აი, სწორედ ამ სახერხო წუთებში ჰკითხა.

თუთის პატრონმა დინჯად ქუდი მოიხადა, მუქაზე დაიბერტყა და ალბათ ამ მოუპატიყებელი სტუმრებით შებეზრებულმა უბასუხა:

— არა, შაქრო, თუნდა სულ ჩამო-  
ლეწონ, ეს მამიჩემის ხელით არის დარ-  
გული და ემაგას ცულს ვერ მივაკარებ.  
ასე მგონია, ცულს რომ დავეკრამ, მამა-  
ჩემს მოვჭრი მარჯვენას-მეთქი.

ეს ლაპარაკი ქიტას გარდაცვალების  
მესამე წელს მოხდა.

როცა შაქრომ თუთის მოჭრის იმე-  
დი გადაიწყვიტა, გუნებაში უკმაყოფი-  
ლოდ ხელი ჩაიქნია და ერთ მშვენიერ  
დღეს დაჩრდილული ვაზები გაკაჭა,  
იმ მოსაზრებით, რომ ეგებ ლობიომ  
მინც ივარგოსო. ამ თაობაზე შემდეგ  
არც ერთს უთქვამს რამე, არც მეორეს.  
მაგრამ გაკაჭულ ვაზებს რომ უტკერდა,  
გულში დაჩაგრული კაცის ელდა უტრი-  
ალებდა. ეს გრძნობა ხშირად ცამოწყენ-  
დილზე აფორიაქებდა ხოლმე ვაჟკაცს  
და დიდხანს ვეღარ იმშვიდებდა გულს.  
გარეგნულად კი ამ ტკივილს არ იჩენე-  
და და არავის უმხელდა.

რამდენიმე თვემ კიდევ ჩაიგრიალა.  
ერთ დღეს მამიკონა სასხლავად წა-  
ვიდა და თუთა თავისი ვეებერთელა  
ტოტებით მიწაზე გამწლართული ნა-  
ხა — ვიდაცას ცულით ძირში მოეჭრა.  
კაცს ელდა ეცა. ახლოს მივიდა, შეაკან-  
კალა, გაფითრდა, ენა წაერთვა და ატრ-  
და კიდევ. კი, მამიკონას ბუღის თვა-  
ლებიდან ცრემლები გადმოუგორდა.  
მოჭრილ თუთას რომ უტკეროდა, შაქ-  
როს ხელავდა, იმ წუთის მეგობარს,  
როცა ის თუთის უსარგებლობაზე და  
ვაზების დაჩრდილვაზე რაღაცას უმტ-  
კიცებდა.

მართალია, მამის ხელით დარგული  
ხე ეცოდებოდა, მაგრამ მას მინც არ  
შეეძლო აეტირებინა დღევით კაცს,  
რომელსაც ჰირივით სძულდა ცრემლი-  
ანი ქუდის მატარებელი. თვალწინ ძმად-  
ნაფიცო ედგა და ფიქრობდა, რომ ამ  
დღიდან სამუდამოდ დაკარგა. დაღონე-  
ბული დაჰყურებდა მიწაზე გამწლარ-  
თულ ვეება ხეს და შხამად გულში  
ეწვეთებოდა გაწირვის და ღალატის  
გრძნობა, კაციდან, რომელიც ოცდახუ-  
თი წელია ძმობას ეფიცებოდა და უმ-  
ტკიცებდა კიდევ. უცნაური სიძლიერის

და თავისებისა იყო ეს ერთ გამოუთქ-  
მელი, თვალით დაუნახავი, მაგრამ  
წამლავით გამგმირავი წუთები. რაღაც  
ენანებოდა, უმძიმდა — საბოლოოდ უარი  
ეთქვა იმაზე, რაც ბავშვობიდანვე ძვალ-  
ში და ხორცში გამჭდარი ჰქონდა და  
ასე მძიმე ტკივილად იჯდა მის სხეულ-  
ში შიგნით, ისეთ ადვილას, რომლის  
პოვნაც კი არ შეეძლო, მაგრამ ნამდვი-  
ლად იყო და თავის თავს ყოველ წუთს  
ახსენებდა. ის ხელავდა, რომ მოჭრილ  
თუთას შაქროზე უარი უნდა ეთქმევი-  
ნებინა. ეს უმძიმდა — ამის გადატანა,  
შერიგება და მოხელეობა ვერ წარმოედ-  
გინა, რომ თუგინდ ერთ წელში შე-  
ურიგდებოდა იმ გრძნობას, რომ ის,  
რაც დღემდე სწამდა, ეს სიცრუე,  
სიგიჟე ყოფილა — არა, ეს იქნებო-  
და სწორედ სიგიჟის მანიშნებელი.  
როგორ გადაიტანოს უცებ მონადირი  
ელდა, მოუფიქრებელი და მოულოდნე-  
ლი რისხვის მსგავსი საშინელება!.. მას  
აღარ შეეძლო აქ გაჩერება. როგორ გა-  
ესხლა? გასხვლას გონება უნდოდა, მა-  
მიკონა კი უგონო ლეშად ქცეულიყო.  
უეცარი ელდით განადგურებული, ცი-  
ვად მოტრიალდა და ათრეული ნაბიჯით  
შინისკენ აიღო გეზი. შეეძლო კი ასე-  
თი გულით შინამდე მისვლა? აი, რისა  
ეშინოდა.

ძლივს მილასლასდა თავის სახლამ-  
დე: მამიკონას შინ მოსვლა ცოლს გა-  
უქვირდა, მისმა სახის ფერმა შეაშინა  
და ჰკითხა:

— კაცო, რა დაგემართა, ფინთათ  
ხომ არა ხარ? — პასუხის ნაცვლად სა-  
სხლავი ტახტზე ისროლა, იქვე ჩამოჯდა  
და ავადყოფის, შეუძლოს, მიკნავებუ-  
ლი ხმით უბასუხა:

— კი, — თავის კანტურით თქვა  
მან. — ლოგინი გამიშალე.

ცოლმა ფაცხა-ფუცხით საწოლი გა-  
უსწორა, მერე მამიკონასთან მივიდა და  
ტახტიდან ასადგომად ხელი შეაშველა.  
მამიკონამ მოიშორა მისი „დახმარება“  
და ნელი ნაბიჯით გასწია ლოგინისაკენ.

**ფიმიბრი მირინაშვილი**  
ორი ტომი



ექვი არ იყო, კაცი ავად ვახდა. ელენეს სურდა ექიმის გამოძახება და საწოლთან მდგარი, კედლისკენ გადაბრუნებულ მამიკონას დაყუარებით ეუბნებოდა:

— ექიმს მოვიყვან!

პასუხის ნაცვლად მამიკონამ ხელით უარი ანიშნა. ელენეს გულში შიშისა და გაუგებრობის ნაღველი ჩაეწვეთა. ის დაბორიანებულივით დადიოდა, არ იცოდა, რა მოემოქმედა. არაფერზე აღარ მისდიოდა გული. მეუღლის უცაბედმა ჩალოგინებამ ყველაფერი ჩაყალბა.

ავადყოფის ფიქრი არ შორდებოდა გადაჭრილ ხის ტოტებს. ის იგონებდა ყველა სიკეთეს, სიყვარულით სავსე შაქროს საქციელს, რაც მისთვის გაეკეთებინა წარსულში, იგონებდა თავის ერთგულების დამადასტურებელ საქმეს და უფრო მეტად უღონდებოდა შემოფოთებული გული. ლოგინში ვერ გაჩერებულიყო, მოუსვენრობდა, ტრიალებდა. ხან სურვილი მისი ცდილობდა ხელში მოეგდო დამნაშავე და დოსტოდლიე მიეხალა: „რად მოჰქერი მამაჩემის ხელით დარგული თუთა? რად გამიმეტე? ეს ხომ მტრობაა, შე უღმერთო! ამას როგორ უკეთებდი ძმასო“?! მაგრამ მამიკონა გრძნობდა, რომ თუ შაქროს პირისპირ შეხვდებოდა, ან ვერაფერს ეტყოდა, ან, შესაძლოა, ისეთ სიტყვებს აკადრებდა, რომელიც საბოლოოდ იქით აღარ მიახედებდა, დააკარგვინებდა, მტრად გაუხდებოდა, მაგრამ მამიკონა გრძნობდა, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, საბოლოოდ დაეკარგა იგი, რაკი მან საამისოდ ცუდით იმოქმედა, ქურდულად, ღამით, თორემ ამხელა ხეს დღისით ვერ მოჰკრიდა. რომ მიუჭრა, ერთი მოწამე მაინც იქნებოდა, ვინმე შენიშნავდა... ღამით, ქურდულად მიადგა და...

დიდი უსიამოვნება ჩამოეარდა თუთის თაობაზე ორ ოჯახს შორის. ჯერ იყო და ცოლებმა გამოლანძღეს ერთმანეთი, მერე მამიკონამ... და აიშალა ყველაფერი.

უსიამოვნებამ უფრო მკაცრი ხასია-

თი იმიტომ მიიღო, რომ „ბოროტმოქმედი“ მთლად უარზე იდგა. მან დაიფიცა და უსინდისობა უწოდა თუთის გარშემო ატეხილ უმსგავსოებას. ესაო, ელენეს მოჭორილი სიგიჟეა, თორემ საღ გონებას არ შეეძლო ასეთი უდიერი სიცრუის ჩემზე წაქცივაო. შაქრო პირდაპირ მოუხდა მამიკონას და პირი უკითხა. — შენცა გჯერა ქალების ნაჭორიკანევიო. მამიკონამ პასუხის ნაცვლად შეაგინა, ფუი შენს კაცობას და შემირცხვენია ასეთი, ძმობაცო. შაქრო აენტო, უნდოდა საპასუხოდ რაღაც მწარე ეთქვა, მაგრამ გამძვინვარებულმა შესაფერისი სიტყვა ვერ მონახა, იტრიალა, იჯავრა, იყვირა, საბოლოოდ მიიძახა „შენ კაცი არა ხარ! დედაკაცის ლეჩაქი უნდა გეხუროს თავზე, იქ პირიკანა დედაკაცისა, ვინც გაგაქეზა და იმ უსინდისობამდე მიგიყვანა, რომ ამ ცილში გამრიეო“, თან ერთი მაგრად გადმოაფურთხა და ზურგი უბრუნა, უკან აღარ მოუხედა.

შინ მისული ნანობდა: „ეს ბოლო სიტყვა მაინც — ტფუ, შენ კაცი არა ყოფილხარო“, არ უნდა მეთქვაო. იქნებ, სულ რომ არ მივსულიყავი და ძაღლადაც არ ჩამეგდო მაგისი ყბედობა, უფრო აჯობებდაო, იქნებ ვინმემ დაასმინა და ჩვენი ძმობის ჩასაშლელად გაასისინა, რომელიმე რჯულზე ხელაღებულმა, ან სულაც განგებ მოჭრა ვილაც მარჯვენამოსაჭრელმა ჩვენს წასაკიდებლადო. ცოლს მკვახედ გასძახა და უბრძანა: ხმა გაკმინდე, შემოდი სახლში და აღარ გაეძრახო, თორემ იმათ ჯავრს შენზე ვიყრიო. წაჩხუბების ეს დღე უკანასკნელი იყო მათი კარგი ურთიერთობისა, ძმობისა და სალამისა.

ამის შემდეგ შაქროს მამიკონას სახლისკენ აღარ გაუხედავს, არც მას შაქროს სახლისკენ, და თუ შემთხვევით თვალი გაექცეოდა ან ერთს, ან მეორეს, მხოლოდ საძრახისი ფიქრებით და გასაკილი აზრებით.

როცა წაჩხუბებულები, მარტო რჩებოდნენ და თავისუფალი ფიქრის საშუალება ეძლეოდათ, ეგონათ, რომ რაღაც დარჩათ უთქმელი, და ეს „რაღაც“ იმ-



დენი გროვდებოდა, რომ ფიქრისაგან თავი სტკიოდათ. სურდათ, თავისი ფიქრები ვილასს, გამგებინან სკოდნოდა, რომ მას სწორად ჩაეხედა ამ გაუგებრობაში და გულმშვიდად აეწონ-დაეწონა ყველაფერი, სწორი ლარი გაეველო და ორივესათვის ღმერთის სიტყვა ეთქვა. ასეთმა ფიქრებმა ავადმყოფური ხასიათი მიიღო: ორივეს სძულდა თავისი საქციელით ერთმანეთი და ორივე ფიქრობდა მოწინააღმდეგეზე, ამართლებდა მას და თან ადანაშაულებდა. ავადმყოფურად აკვიატებული ფიქრი და რალაცისადმი უკმაყოფილება იმდენად ძლიერი იყო, რომ თან სდევდა ორივეს ყველგან და ასე გასინჯეთ, სიზმრის საგზალადაც კი გასდევდათ.

მამიკონას თვალწინ ედგა სამუდამოდ დაკარგული მეგობრის სახე და მისადმი დამოკიდებულება. ღამეებს თეთრად ათენებდა, ვერ ინელებდა „ზურგში ვერაგულად ჩაქრულ დანას“, ძილის წინ მოზღვავებული ფიქრები ფიქრებს სცვლიდა და ერთი აზრი მეორეს ეღავებოდა, ერთი იძირებოდა, მეორე ტივტივდებოდა და ეს ფიქრები ფუტფუტებდნენ გაუთავებლად: „ხეირიანად რომ ეთხოვა, ისე რომ... კარგად... იქნება მომეჭრა, ან თუ არ მოვჭრიდი, დავკაფავდი მაინც, მაგრამ ასე ქურდულად, ღამით მისდგე ცულით... რამდენი ბოროტება უნდა ედოს გულში, თან კი პირში გიციინის და ძმობას გეფიცება, ტფუ! არა, თუთა კი არ არის საწყენი. წყალსაც წაუღია ტოტებგაფარჩხული ხე, თუთა ხეა, ჩვენ? ხეები ვართ? ჯერ ქურდულად მოჭრა, ახლა კი თაკილობს. როგორ მკადრებ ასეთ სიტყვებსაო, მე ახლოსაც არ გაეკარებოვარო, მართალია, ახლოს არ გაეკარე და ძირში კი მოჭერი, აი, როგორი ჭეილი ბრძანდები, მამ ვინ მოჭრა? არა, ვინ მოჭრა თუ შენ არ გიჩრდილავდა ვახებს და შენ არ მოჭერი? მამ მჭრელი ცულით კუქნაჩალიდან მოვიდა ვინმე, მამაჩემის ხელით დარგული თუთის მოსაჭრელად! ეეე! დაფიქრდი, შე სულელო, რას ჩადიხარ! თხამაო, ნეკერი ნახა და სახტომი ველარ

მოზომამო! მეგობარი!! დაუძინებელი მტერი!! ჩემს დამაწყევლარს შენისთვის მეგობარი! პირში ჰი, ჰი, ჰი!“ ასეთი და მსგავსი ფიქრებით იძირებოდა მამიკონა. ჯაფით მოქანცულ გლუხკაცს ძილშიც გადასდევდა ეს აფორიაქებული, მოუსვენარი, უცებ, ცამოწმენდილზე გაუზილებული კეთილი სურვილები. მას ვერ მოენელებინა, რომ ამ უბრალო ხის გულსათვის უნდა დაკარგულიყო ძმასავით თანშეზრდილი ოცი წლის მეგობრობა, ყველაფერი, რაც მათ აკავშირებდა, ჭირიც და ლხინიც. ვერავითარი უსიამოვნება ვერ ჩრდილავდა მათ სიახლოვეს და ძმობას, ახლა კი თუთის ჩრდილმა დაფარა ყველაფერი... წარსული ფუჭი გამოდგა.

თუთის მოჭრამ ორივეს ნათლად დანახვა მეგობარი. შაქროს, წაჩხუბების დღიდან, ყოფილ მეგობარზე სიტყვა არ წამოსცდენია, არც შინ და არც გარეთ. მამიკონა მისთვის აღარ არსებობდა. მას შეგნიდან სიმართლის გრძნობა ღრღნიდა და მოსვენებას უკარგავდა. თვითონ ხომ კარგად იცოდა, რომ არ მისულა, როგორც მამიკონა იმეორებდა ცოლის ნათქვამს თუთიყუშით: „აბა, სხვა ვინ მოსჭრიდა მაგის მეტი, მაგას ეჩოთირებოდა თვალბში!“ როგორ დაემტკიცებინა სიმართლე? მის ცულს რომ განსაკუთრებული ნაფოტი ჰქონოდა, გაეხარნია, იმავე დღით თავს მიუგლიდა სიმართლეზე, მაგრამ, საუბედუროდ, ცულს ნაფოტი არ განახვავებს სხვა ცულისაგან. განუკურნებელი სენისა აღმოჩნდა მამიკონას ახირებული ცილისწამება.

გაბრაზებულებმა ერთმანეთს ბევრი უკადრისი უთხრეს და ისეთიკ კი, მომავალში თუ ვინიცობაა შერიგდნენ, იმას მაინც არ დაივიწყებდნენ. დაფარულმა დამნაშავემ ათასის ცოდვა ჰქმნა, ბრალმდებელმა კი ერთისაო, ნათქვამია — იმეორებდა თავისთვის შაქრო და ამ ანდაზის პირველ მსხვერპლად თავისი თავი მიაჩნდა. პატიოსნების და სიმართლის

დომინიკო მირიანაშვილი  
ორი ტომი

გრძნობა (მოჭრილი თუთის გარშემო), მოსვენებას უკარგავდა. ამ გაუგებრობამ დიდი უსიამოვნება რომ მოახვია თავს — ოჯახი დააკარგვინა, ძმისთვის თავგანწირული და ერთგული ადამიანი საბოლოოდ წყალს გაატანა, სწორედ იმ ძმამ და თავგანწირულმა არნახული ცილი დასწამა — უსინდისობას აბრალებდა. მამიკონასადმი ერთგულება და სიახლოვე შეგნებაში იმდენად ჰქონდა გამჯდარი, რომ შეურაცხყოფელმა უსიამოვნებამ, მართალია, შავი ბადე გადააფარა გულსაც და თავსაც, მაგრამ მთლად ვერ მოსპო წარსული მოგონება, სიამოვნებით და კეთილად სახსენებელი ძმობა, ერთგულება. ის ბევრს ფიქრობდა, თავს ადანაშაულებდა და მიუხედავად იმისა, რომ სურდა როგორმე მოეცილებინა თავიდან მამიკონაზე ფიქრი, მაინც იქით მღებოდა გონება და თავისდა უნებურად, აკრძალულისაკენ ექაჩებოდა გულიც და თავიც.

ძილიც არ ჰქონდა მშვიდი, არეულ და მოუსვენარ, მბორგავ, ლეშადქცეულ სხეულს არ შორდებოდა მამიკონას სახე. ხან ნახულობდა ბავშვობის დღეებს, ხევის პირას ჩახრილაზე წისქვილს აშენებდნენ, კენჭებს ისროდნენ, მღეროდნენ, ხმამაღლა, ისე ხმამაღლა, რომ ქიტა შენაოვნას აძლივდა, რა გაყვირებთო. ხან ერთად იდგნენ, ვენახს თოხნიდნენ, ხან მამიკონა სადღაც შორს იდგა და ცალკეად იღიმებოდა, ხელს უწევდიდა და მერე სადღაც ქრებოდა. გაღვიძებული შაქრია გულნატკენი აკვირდებოდა სიზმრის დილბანდს და როგორღაც გაუგებარი დასკვნები გამოდიოდა და თავისთვის ამბობდა: „ჰო, როგორც ცხადელიც ვართ, სიზმარსაც ასეთს ვხედავო. არის და აღარც არის... აბა, ეს საქმეა? მივიდოდი კიდევ, თავს მოვიხრიდი, ვეტყოდი რამეს, მაგრამ არ დამიჯერებს, შენაო, თავს იკატუნებო, ჯერაო ქურდულად თუთა მომიჭერი და ახლა გინდა თავი შემაბრალო და ბოლიში ისევ მე მომანდევინოო. ვიცნობ, გამომაციცავეებს, გამამასხარავეებს, გამაწბილებს და არ შემირიგდება.“

წელს უკვე ორ წელზე მეტია, რაც

ერთმანეთის სახლ-კარი მაგრად ჩიკეტეს და საბოლოოდ ჩახერგეს მეგობრობის ბილიცი.

გულში ათასნაირი ბოროტი და ამ ბოროტის საწინააღმდეგო გრძნობები უტრიალებდა ერთსაც, მეორესაც. ბევრმა ერთმანეთთან უსიამოვნო ენით გამოუთქმელმა, შეურაცხყოფელმა ნათქვამმა გარიყა ყველაფერი.

წახსებებამდე, მამიკონა როგორ მოითმენდა თოხში, მწკრივის გატანისას შაქროსთან არ გასულიყო და კომპის ჩრდილში პაპიროსი არ გაებოლებინათ, ორიოდ სიტყვა არ ეთქვათ, არავისთვის გაჟაკრათ კბილი, არ ეხუმრათ, ან თუ მამიკონა შეაკვიანებდა შაქრისთან გასულას, როგორ გაუძლებდა გულის ცდუნებას, თვითონ შაქრო ღლინით არ მისდგომოდა ტახტის თავში ატმის ჩეროს, სადაც მამიკონას ბინა ჰქონდა სოლმე დადებული.

მეორე ზაფხული იდგა. მამიკონა და ელენე ვენახში იყვნენ. მამიკონას თითქმის მოთავებული ჰქონდა ყველა სამუშაო. დილას მხოლოდ აქა-იქ გამრუდებული მერქნები გაასწორა, ზოგან მხრალი გაწყვეტილიყო, მტევნის სიმძიმით და თუ პატრონი მავთულზე არ მიაკრავდა, ჩამოტყდებოდა. ზოგ ალაგას შალაფას წამოეყო თავი. მამიკონამ დილითვე გაიარა მწკრივებში და მოუპატიყებელ სარეველა ბალახს გულდასმით ძირკვავდა. ამ საქმიანობისას მხოლოდ წუთიერად ეთიშებოდა შაქროს მტრობაზე ფიქრს და აი, ეს უკვე მესამე წელია, მაინც ვერ მიეჩვია იმ აზრს, რომ მან უნდა იცხოვროს იმ კაცის გარეშე. ვინც სიყრმიდანვე ძმად მიაჩნდა და საბოლოოდ დაკარგა.

წამოცხა. ელენე ლობიოს არჩევდა. მამიკონაც მორჩა თავის საქმეს და ახლად დაგლეჯილ ბალახის კონაზე მიაყრდნო ზურგი, წამოწვა, უგუნებოდ იყო, სახე ჩამოსტიროდა. მან იცოდა, ამ წუთში შაქროც ვენახში ფუსფუსებდა და რაღაცას საქმიანობდა. „რატომ დამამცირა, რატომ მაჩვენა შავი გული? ყველაფერს ჩაყლაპავდა კაცი... მივიდოდი, ასე და ასე იყო, ჯანდაბამდისაც





გზა ჰქონია ხესა-მეთქი... მაგრამ არ მიმიღებს, ვიცნობ, ვიდრე ცოცხალია, არ დაიფიქვებს. დამიწყებს: „ცილი დამწამე, ჯერ ბოდიში მოიხადე და მერე ვილაპარაკოთ, ვიქნები თუ არა შერიგების გუნებაზეო. მე რომ შესარიგებლად ხელი გავიშვირო, იქნებ იფიქროს ჩემი ეშინია და შერიგებას იმიტომამ მთხოვსო და თავს გავიდეს, უფრო მეტი მომთხოვოს, დამაბეჩაოს...“ ამ ფიქრში ჩაეძინა მამიკონას.

შაქრომ რამდენიმე მწკრივი აღმასივით მჭრელი თოხით გამოფხიკა, რომ რთვლობამდე შიგ შესვლა აღარ მოსდომებოდა, შინ წასაღებად აქა-იქ წამოყვალყვალავეებული შალაფა გამოგლიჯა, ილიაში ამოიხარა და კომშთან დაყარა, მერე გაიშობა და მოქანცულს, ასე ნახევრად მჭდომელას, დაეძინა.

საშინელი სიზმარი ნახა.

ელდანაკრავივით წამოიჭრა. გამოფხიხილვებლად უხაროდ გაიარ-გამოიარა. გაბრუნებული დადიოდა. ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, თუ რა მოხდა მის გულში ამ არეული და აფორიაქებული ზმანების შემდეგ. კიდევ თვალწინ ედგა სიზმარში ნანახი ყველა სურათი და მთელ სხეულში ჟრუანტელი უვლიდა. ვერ გადაეწყვიტა, რა მოემოქმედებინა ვინ გამოენახა ვულთამხილველად ამ შუავენახებში, ვისაც ჩადოქრულ სიზმრის შინაარსს გაუზიარებდა, ან შეეკითხებოდა მაინც თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ალინთული და აფორიაქებული ძილის ნაყოფი, ნაყოფი ლეშადაქცეული სხეულისა და მისაეათებელი გონებისა, როცა ერთიმეორის წყალობით ორივეს ჰემმარბიტი ძალა დაუკარგავს და სიკვდილისაკენ წასული განახევრებულან, ხეირიანად არც ერთს დაეჯერება და არც მეორეს. მაგრამ შაქრიამ გამოცდილი სოფლელებისაგან იცოდა, რომ არც ამ აბდაუბდა სიზმრის უგულვებელყოფა შეიძლებოდა, რადგან სიზმრის ორომტრიალში არავის მიუღია მონაწილეობა, არავის უბიძგებია ვთქვათ, ვისმე გაექნებინა ასეთი საქციელისათვის, ყველაფერი ეს მის შიგნით მოხდა და აი ახლაც, როცა მზეწამომდგარმა ჩრდილში

ვადანაცვლა და თვალების ხამხამიპო ფიქრობდა გაღვლილბერანგეანი და თმბეჭედიანი აბურძგნილი, ვერ მიმხვდარიყო თუ რა იყო ეს საოხრო სიზმარი — სულ უბრალო, რაღაც დარღუბალა თუ ანგარიშგასაწევი, გონების და გულის ჯახირი, როცა კაცს ცხადლივ ღონე აღარ შესწევს თავი მოაბას გათოთხარებულ საქმეს.

შაქრია, მართალია, მორწმუნეთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, მაგრამ იცოდა, რომ ცხადად გადატანილი უსიამოვნებანი, ეს უკვე ორი წელია, რაღაცნაირად მის სიზმრებს ჩრდილივით თანსდევდა, მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა აზრის ერთიანი, გაუწყვეტელი ძაფი გამოეტანა. გულისმტანჯავ ამ ორწლიან წუხილს ეს ღღისით, მზისით ნანახი სიზმარიც დაემატა.

მეგობრის უდიერი ცილისწამებით გამწარებული შაქრო გრძნობდა, რომ მამიკონას ასეთი სიმკაცრე და დაუნდობლობა, თავის მხრივ, პასუხი იყო ვითომც და შაქრიას დაუნდობლობისა და საქციელისა, რაც ღამით, ქურდულად ცულის ხმარებით გამოხატაო. კიდევ კარგი, თავი იმ თუთის მოჭრით გამოამქვანაო.

შაქრიას ისიც ჰქონდა გაგონილი, რომ მიუხედავად ასეთი აზრებისა, როგორც თვითონ, თურმე მამიკონაც წუხდა, ამ უბედურების მომდევნო აი თითქმის ორწლიანხვევრის მანძილზე, მაგრამ რაკი ერთხელ და ორჯერ ერთმანეთს უჯდრისი სიტყვებით აუწყვეს გული, უკან ვეღარ დაეხიათ, ნათქვამი დაბრკოლებად, ჩატეხილ ხიდად ეღოთ წინ და არ უშვებდა ერთმანეთისკენ ნაბიჯი გადაედგათ.

ცხელოდა. ჰიქინობელები გაჰკიოდნენ. შაქრომ ბევრი იფიქრა. კომშის ჩრდილში გამობრუნებული მოუსვენრად დადიოდა. მზე გადახრილიყო. შეიძლებოდა გული სულ მცირე საქმეზე გადაეყოლებინა და თანდათანობით გამჭრალიყო უცნაური ჯანღი და სურვილი —

ლიმიტრი ზირინაშვილი  
ორი ტომი

ვასთისმე გენდო ეს ტკივილი. თავჩა-  
ლუნული, იდაყვით მიყრდნობოდა კომ-  
შის ხეს, მტვრიან ფეხებს დაჰყურებდა.  
ფეხის კოჭებთან, შარვლის ტოტზე შე-  
მოჰკერილ მხრალზე ჭიანჭველები დასე-  
ირნობდნენ. კომშის კენწეროზე პატარა  
ჩიტი შემოჰკადა, შეუსტინა ერთხელ,  
ორჯერ და შაქრომ მალღა ახედვაც კი  
ვერ მოასწრო, ჰაიჰარად ისევ გაფრინ-  
და. ვენახს გახედა. შაბიამნით გადა-  
ლურჯებული ფოთლის ჯარი ჩანდა. მე-  
ორე მავთულზე აკრული სამამულის  
ტყე აღმართულიყო მის წინ. შაქრიამ  
კომშის ჩრდილში იტრიალა ერთხანს  
უაზროდ და ისევ დაჰკადა. მზერა უნებუ-  
რად ვაზებისკენ გაექცა. ძირს დაკიდუ-  
ლი მტევნების ზღვა სდუმდა. გონება  
მისი, სიზმრით დაბინდული, გაუგებრო-  
ბის და გაურკვევლობის გზაჯვარედინზე  
სტოვებდა. დამძიმებული ვუნება საიდ-  
ლაც ექაჩებოდა, ეწეოდა, რაღაც სურდა  
და ეს სურვილი ჯერ კიდევ გაურკვევე-  
ლი, სიტყვადქცეული აზრად არ ჩანდა.  
გული იმ ბილიკისკენ ექაჩებოდა, რომ-  
ელზეც სახლის გზასავით ასე ეხალისე-  
ბოდა სიარული, მაგრამ ვერ გარკვეუ-  
ლიყო ან რატომ სურდა იქით წასვლა,  
ან რაღა აკავებდა. შეჩვეული, კარგად  
გაზეპირებული ბილიკით გაპარულიყო  
თავის ვენახის თავში, მარჯვნივ გაბრუ-  
ნებულყო, შემოველო ტახტის ბოძები-  
სათვის, გადაეგლო ორივე მხარეზე  
მწვანე ბალახებით მოვარაყებელი ვიწ-  
რო ბილიკი, უკან ჩამოეტოვებინა და  
მისულიყო იმ კაცთან, რომელთან მის-  
ვლაც ორ წელზე მეტია აკრძალული  
ჰქონდა: ეს იყო უშრეტო სურვილი გუ-  
ლისა, მაგრამ გონება უკან ექაჩებოდა...  
იყო ასე გათოთხარებული.

წამოდგა. ბილიკს დაადგა. იმ ბი-  
ლიკს, რომელიც ერთხელ, ამ ერთი წუ-  
თის წინ უკვე გაიარა, ფიქრით, სურ-  
ვილით...

თავჩაღუნული მიდიოდა, ისე თით-  
ქოს, თუ ზევით აიხედავდა, ვილაც შეხე-  
დებოდა და ისეთ შეკითხვას მისცემდა,  
რომელზეც პასუხს ვერ გაცემდა. ნელა  
მიდიოდა. მართალია, ნაბიჯი გაუბედავი  
ჰქონდა, მაგრამ გაუბედაობა იმ მოუ-

ფიქრებელ, ჯერ კიდევ გაურკვეველ,  
პირველ სიტყვებს ეხებოდა, რამდენიმე  
მამიკონასათვის უნდა ეთქვა. იყო კი  
ასეთი სიტყვები? შაქრია ვერ პოულობ-  
და. არა, სიტყვები ნამდვილად არ იყო.  
იყო მხოლოდ გრძნობა მრავალი წლო-  
ბით შეკვეთილი ძმობისა, ჭირი და ღზი-  
ნიც რომ თანაზიარი ჰქონდათ, ორივე  
მაყარი რომ იყო ერთმანეთის სიხარუ-  
ლისა, ტკივილისაც, მალამო რომ იყო  
სევდიანი გულისა და უებარი წამალიც  
უკურნებელი გულყრისა. აბა, რა უნდა  
ეთქვა შაქროს იმ კაცისათვის, ვინც ასე  
ღრმად იჭდა მის გულში და ბორჯი გა-  
ედგა ათეული წლობის მეგობრობითა?  
არაფერი. მივიდოდა, მხოლოდ შეხედავ-  
და, დაინახავდა, რას აკეთებდა და თუ  
მამიკონა შეუბღვერდა, ისევ დავას აუ-  
ტეხდა, გამობრუნდებოდა უსიტყვოდ,  
ულაპარაკოდ...

საურმეზე ბილიკიდან ჯერ არც კი  
გასულიყო, რომ ფაჩუნი მოესმა. ფიქრ-  
ში წასული, ძილის ბურანდინ დაგმო-  
ბრუნებულიყო მიაბოტებდა: აიხედა  
და მის წინ მომავალი მამიკონა დაინახა.  
თვალს არ დაუჯერა. შეჩერდა, განგებ  
ჩაახველა, ნამძინარევე, შემუშებულ თვა-  
ლების უბეებზე ხელი მოისვია და ისევ  
იქით მიიხედა, საიდანაც მამიკონას  
ჩრდილი მოეღანდა. ის იყო. მამიკონა  
ილიმებოდა. ერთმანეთს მიუხალვოდნენ.  
უსიტყვოდ ხელები ჩაბღუჯეს და ძარღ-  
ვიანი მკლავები მხრებს შემოჰკედო.  
ერთხანს ასე გაუნძრევლად იდგნენ. მე-  
რე მიხედეს ერთმანეთს და... თვალები  
ცრემლებით ჰქონდათ სავსე. ისევ გა-  
დაეხვივნენ და სიციხით გარუჯული სახე  
გადაუკონეს ერთმანეთს. თვალცრემ-  
ლიანი მამიკონა ეუბნებოდა:

— მე შენკენ მოვდიოდი, შენ და-  
მასწარი. იცი, რა სიზმარი ვნახე, შე  
ღმერთ-ძალლო, შენა?! — გაკვირვების  
ნიშნად შაქროს მხარზე ხელი დაარტყა.  
მერე ტაში დაჰკრა, თავი გააქნია — ვაი,  
დასწყევლოს ღმერთმა, მე ეგეთი სიზმა-  
რი არ მინახია ჩემ დღეში. წამოდი, დაწ-  
ვრილებით უნდა მოგიყვე, ელენესაც  
გაუხარდება ჩვენი შერიგება.

შაქრომ წინააღმდეგობა არ გაუწია,



მამიკონა თავის ატმის ჩრდილისაკენ რომ ექაჩებოდა. მხოლოდ ერთხანს გაჩერდა, მეგობარს გაკვირვებით მიხედა და იკითხა:

— შენც სიზმარი ნახე?

მამიკონამაც გაიოცა.

— მოიცა, როგორა, შენცა? აკი ღმერთი არ არისო? — ლაპარაკით ატმის ჩრდილს მიუახლოვდნენ. მამიკონამ შაქროს მხარზე ხელი წამოუტაცუნა და ცოლს მიმართა:

— აჰა, დედაკაცო, დღე და ღამე ხომ ამაზე მღერღავდი, შევერიგდით. — სიხარულისაგან დაბნეული ელენე ფეხზე წამოდგა, მტერიანი წინსაფარი დაიბერტყა, დარცხვენნილმა შაქროს ხელი გაუწოდა და წარმოთქვა:

— ან რა გქონდათ გასაყოფი, აგრე არ სჯობს, მტრის გულის გასახეთქათა? უი, გაიხარეთ თქვენა, როგორც მე გამახარეთ, ღმერთო, გადმოხედე გაკირვებულ საქრისტიანოს, ღმერთო, გვიშველე, — გადაისახა პირჯვარი ქალმა და სიხარულმა მასაც გონება აუბნია. აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა გაეკეთებინა. ასე იდგა და ლოცულობდა მზის მხარეს პირშექცეული—ჩამავალი მზის მადლო და კვირა ძალო, შენ უშველე ჩვენს ოჯახებსა და ქმარ-შვილსა...

მამიკონა დაჯდა. შაქრია თავის სიზმრის აქიას უყვებოდა. ელენემ ლოცვა რომ მოათავა, შაქრიას მიმართა:

— დაჯექი, რას უდგებარ! — თვითონაც დაჯდა და განაგრძო პირშავა ლობიოს რჩევა. შაქრომ მამიკონას წინ მოიკეცა. მამიკონამ დაიწყო:

— დასწყევლოს ღმერთმა, შაქრიავე, რა სიზმარი ვნახე, ამის მოსაყოლად მოვდიოდი შენთან... — შაქრიამ სიტყვა გააწყვეტინა:

— მოიცა, რაკი მე დაგასწარი, ჯერ მე ვიტყვი. — შაქრო პაპიროსს აბოლებდა, პაპიროსიანი ხელი ელენესკენ გაიშვირა, მას უყვებოდა, — აჰა, ამ ხნის კაცი ვარ, ბევრი დამსიზმრებია, მაგრამ ეგეთი რამე არა. — შაქრიამ ახლა მამიკონას მიხედა და განაგრძო. — სმენის წამლები გრგვინვა ისმოდა, ისეთა

გრგვინვა, რომლის მსგავსი არც ჰქაქა-ქუხილი გამიგონია და არც შეიძლება სინამდვილეში იმის საღარი მოხდეს. იმ წუთში მეგონა, მთელი ქვეყანა ინგრეოდა. ქვეყნიერების კაცი და ქალი ერკინებოდა ერთმანეთს, იდგა გაუთავებელი გრიალი, რომლის ხმაურში მხოლოდ შენა გხედავდი, ჩემ წინ კეტით ხელში, მაღლა ჩემს დასარტყმელად რომ აგეწია. მეც გაცოფებული ვიყავ. სიზმარში არ ვიცოდი, რატომ უნდა მომეკალი, მხოლოდ ის მესმოდა, რომ ეს არეულობა, აწიოცება, საშინელი ორომტრიალი ჩემი უბედურებისათვის ჯოჯოხეთიდან შენ გამოიწერე, ნამდვილად კი არ გამეგებოდა თუ რა დააშავე. შენი გაფითრებული, კეტადმართული სახე მიკარნახებდა, რომ დამესწრო შენთვის და გამეჩეხა თავი, შენც და მეც ვასისხლიანებულნი შეუბრალებლად ვერკინებოდით ერთმანეთს და ვურტყამდით, რაც ხელში მოგვხვდებოდა, ჯოხი, მათრახი, მარგილი, დანა, ხანჯალი, დამბაჩა, ყველაფერი ტრიალებდა სასიკვდილოდ.

მამიკონა მოუსვენრად ტოკავდა, ბარაქიან მარჯვენას მუხლზე ირტყამდა, ცოლს უცქეროდა, შაქროს აწყვეტინებდა:

— როგორც მე ვნახე, შენც იმას ამბობ, ასე მეგონია, მე ვლაპარაკობდე, ვააა! დიდება შენდა ღმერთო! — კვირობდა მამიკონა და გოცების ნიშნად ხელებს ერთმანეთს ურტყამდა, წამლაუწუმ გაიძახოდა: — გაგონილა ეგეთი რამე, კაცო!!

— მაიცა, ჯერ ვთქვა, იქნებ მერე სხვანიარად წავიდეს საქმე, — აშოშმინებდა შაქრო და ცდილობდა ყველაფერი სწორედ ისე დაეჭქვა, როგორც ნახა, მაგრამ მეგობარი ლაპარაკში ხშირად ერეოდა, — შენაო, რალაცნიარად გაიგე ჩემი სიზმარი და იმას ყვებოი. ელენე კარგ გუნებაზე იყო და მეუღლეს ეკამათებოდა:

— კაცო, ახლა კიდევ კუდიანობას

დამიბარი მირიანაშვილი  
ორი ტომი



სწამებ, რაც ნახა, იმას ამბობს, დააცალე თქვას. — გაკვირვებული მამიკონა არ ცხრებოდა და ცოლს ელაგებოდა.

— კუდიანობა რა შუაშია, ეგეთი რამე შეიძლება მოხდეს, რომ შენს სიზმარს სხვა ყვებოდეს?

— რაჟი ამბობს, მამ, შეიძლება, ჯერ დააცალე ბოლომდე თქვას, ეგებ შენც დაგრჩეს სათქმელი, რაც მაგან არ ნახა.

— მთელი სოფელი, მთელი ქვეყანა ორ ბანაკად გაყოფილი, — განაგრძობდა შაქრო, — ჩვენსავით ომობდა. მოკლედ, ჯოჯოხეთი იყო... სიზმარში ერთმანეთის მოძულე მტრები ვიყავით. შენ შავი ტანსაცმელი გეცვა, მთლად სისწლით გაპოხილი და ჯავრით დამახინჯებული შენი სახე საზარელ ჯოჯოს გავდა, მე ამ ჯოჯოს ვეომებოდი, ეს იყო ჩემი გაცოფების მიზეზი. ვინც იქ ომობდა, თითქოს ყველა შენი ხელების მოძრობას ადევნებდა თვალს და ბანაკის გამარჯვებაც ჩემი, ან შენი გამარჯვებით იყო გაპირობებული. ჩვენ გვაძხვნივდნენ და გვიკიჟინებდნენ. ამ შეძახლებით წაქეზებულნი არ ვინდობდით ერთმანეთს. მეც თავპირიც, ტანსაცმელიც სისხლით მქონდა დასვრილი...

მამიკონა უსმენდა, მაგრამ მოუსვენრად ცმუკავდა, ხან ცოლს ხელით რაღაცას ანიშნებდა, ხან შაქროს მონაყოლში სიტყვებს რთავდა, ეხმარებოდა.

— და აი, დადგა ისეთი წუთი, რომ ან ერთი, ან მეორე და ამ დროს... — ხელში შავი, დიდი ჯვრით, თეთრი, გრძელნაწფორიანი მოხუცი... — გააწყვეტინა მამიკონამ.

— მართალი ხარ. მაიცა, მე ჩემებურად ვიტყვი, — დინჯად თქვა შაქრომ და პაპირისი გააბოლა. — სწორედ ამ დროს, ღმერთმა უწყის საიდან, სმენის წამლებ ყიჟინსა და ქარაშოტში, ორ თავპირდასისხლიანებული ადამიანთა შორის, მე და შენ შორის, მაშინ, როცა ან ერთი, ან მეორე უნდა მომკვდარიყო, აღიმართა გამხდარი სახის, თეთრწყვეროსანი მოხუცი, რომელსაც ეტყობოდა, ფეხშიშველს დიდი მანძილი გამოეცლო, გრძელი ანაფორის მსგავსი ტანსაცმლით დაფარულს, გაძვალტყავებული, ჩონ-

ჩხადქეული სხეული მოუჩანდა, ხე გამხდრის მიუხედავად სახეს წმინდანის ნათელი გადაჰკრავდა. აკანკლებული ორივე ხელით ზეაპყრობილი მძიმე ჯვარი ეჭირა, მუდარის თვალებით, მისუსტებული, ავადმყოფის ხმით მოგვემართა:

— შეჩერდი, შეჩერდი, არ გაბედოთ, დაფიქრდით, რას ჩადისხართ! — მას მძიმე ჯვრით ათრთოლებული მკლავები მთლად აუკანკალდა, ვაფითრებული ტუჩები, სიფრიფანა ცხვირი და ჰილარა წვერი ერთნაირად უტყატყებდა. მის ხმაში მუდარა და მუქარის მსგავსი ვედრება ისმოდა — რად აღმართეთ ხელო მოძმის სიცოცხლეზე. და ფიქრდით! შენ და მამიკონა ძმობის ხის ორი ტოტი ხართ, ორი ტოტი ერთი ხისა. ჩააგეთ ეგ მტრის იარაღი; — მუდარით გვიბრძანა მან. — შეწყვიტეთ შფოთი, დაივიწყეთ მიყენებული წყენა, თორემ, — აქ მოხუცმა დიდი ჯვარით ორივეს პირჯვარი გადაგვსახა და განსაკუთრებული გრძნობიერებით, თითქმის ჩურჩულით თქვა: — თორემ ღმერთი თქვენს დასასჯელად საშინელ გველეშაპს გამოგზავნის. — თქვა მან უფრო ხმადაბლა, ისე ჩურჩულით, რომ ძლივს გავიგონე. — თქვენ ორივეს პატარა ჭიკინებივით ცოცხლად გადაგსანსლავთ... — ეს თქვა თუ არა, უღონო სხეული ჩვენს ფეხებთან ჩაიკეცა, მერე უსულოდ დაეცა... ორივენი დავიხარენით, გვესურდა მისი წამოყენება, მაგრამ გვიან იყო, სული განუტევა. მიცვალე-ბულს გულ-ხელი დაუვკრიფეთ, ჯვარი გულზე დავადეთ. ყიჟინა დაეცრა. სიმყუდროვემ დაისადგურა. ყველამ ქუდი მოიხადა. საიდანღაც კუბოც გაჩნდა. მე და შენ შიგ ჩაეაწყვინეთ. ყველა ტიროდა, პროცესია დაიძრა. მე შენს გვერდით მოვდიოდი, ორივე ვტიროდით, რატომ, არ ვიცი. ვინ იყო ის მოხუცი, ესეც არ ვიცი, მაგრამ ყველას სჯეროდა, რომ ვიღაც ღვთისნიერ, ღმერთის დარსკი მოვუღეთ მე და შენ ბოლო...

— როცა მისი კუბო ავწიეთ, მაშინ გამომეღვიძა, დანარჩენი არ ვიცი. — თქვა მამიკონამ და ხელი აუქნია, თან სიტყვა დაადევნა. — განაგრძე.





— როცა ბელტები მივყარეთ და მისი საფლავი ამოივსო, აღსდგა ჩვენი მეგობრობა. უცებ შენს სახლში აღმოვჩნდით, ვისხედით და ღვინოსა ვსვამდით, არ ვიცი რა იყო, დღეობა თუ სხვა ბედნიერი დღე. მშვიდი ამინდი იდგა. მოწმენდილი ცა ლურჯად დაგვნათოდა კაკლის ჩრდილში მოქეიფებებს. მოულოდნელად რაღაცამ საშინალი ხმით დაიქექა. შეგვეშინდა, წამოვიშალენით. ერთმანეთს შევეყურებდით და შიშისაგან აკანკალებულებს არ გვესმოდა, რა ხდებოდა ჩვენს გარშემო. უცებ ცა გაიპო და უხარმაზარი გველემში წამოვიდა პირდაპირ ჩვენკენ. შეშინებული წიწილებივით ერთმანეთს ვეკვროდით და ვცახცახებდით. იმ მოხუცის ნათქვამი გაგახსენდა... მისი ფრთების ტყლაშუნი იქაურობას აყრუებდა. ამოვარდა ქარიშხალი, ატყდა ისევ წივილ-კივილი. მე და შენ თევზის პატარა ჭიჭყინებდად ვიქეციით: გველემშაპმა ჩვენ ჩამოგვიქროლა, წავვილო, მაგრამ ვიდრე შეგვსანსლავდა, მის ბრჭყალებში ვწრიბინებდით, მზე აცხუნებდა, ვიწვოდით და... ამ უბედურებაში გამომეღვიძა: მთლად ოფლში ვცურავდი, მზე წამომდგომოდა და ვიხარებდით, მაგრამ მიხაროდა, რომ ეს უბედურება სიზმარი გამოდგა. ვიფიქრე, რაც უნდა მიყოს მამიკონამ, მეტი აღარ შემიძლია, უნდა წავიდე და ყველაფერი ვუთხრა როგორც იყო... ჯანდაბას ჩემი თავი-მეთქი, წამოვედი და... ახლა როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე.—მამიკონამ ცრემლებით გაიღვიძა.

— მეც ეგეთი სიზმარი ენახე, შეღმერთბადა... ჩვენ მართლა ჭიჭყინები ვართ, პატარა, უსუსური ჭიჭყინები, ყველა მათ ემტერება, ჩვენც... გულიც ჭიჭყინებისა გვაქვს. ჩვენი დანაშაული ეს სიპატარავეა. ყველაფერში სიპატარავე. ეს სიპატარავე ვვიღებ ბოლოს. თუ გველემშია არ მოგვიტაცა, ეს სიპატარავე წავვიღებ, როგორც მუმლსა ნიავი.—შაქრომ სიტყვა გააწყვეტინა:

— ჩვენ ეს სიპატარავეც გვეყოფა ნაკლად... გველემშაპებისა უნდა გვეშინებდეს...

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!—შეკყვირა მამიკონამ და მალალ, თმაბურძკვილ ვაჟყაცს შეხედა. შავე სატინის ხალათი ეცვა, ხელში შინდის სახრე ეჭირა. ოფლიან სახეზე წვეთები ჩამოსდიოდა. ფლახუნა ჩექმები ტალახით აქრელბუთლიყო, თავზე ნაძვის ფარფლგზიანი ქული ეხურა. ემჩნეოდა, ჩქარი ნაბიჯით ევლო, რაღაც უჭირდა. ეს ბერუანთ ნასყიდა იყო, შაქარას სოფელში ზედსიძედ შემოსული.

— ცხენი დაეკარგე, ის სამგლე და იმას ვეძებ,—განაცხადა ახლად მოსულმა. წყალი გექნებათ, დამალევივით.—დალია. ნასყიდამ სველი ტუჩები ხელით მოიმშრალა და მასპინძლებს მალლიდან გადახედა—რას გაჩუმებულხართ, ლაპარაკში ხელი ხომ არ შეგიშალეთ!

— არა,—უპასუხა სიხარულისაგან სახეწითლებულმა მამიკონამ. — ორი წლის უნძრახ კაცს შევეურიგდი, ახლა, ამ წუთში და...

— ჰო, იმ თუთაზე?  
— ეი, იმ თუთაზე,—უპასუხა მამიკონამ. ნასყიდამ ძალისძალად ჩაიციწა, თავი გადააქნია და მოქნილი შინდის სახრე ბარძაყზე შემოირტყა და ისე, სხვათაშორის, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, თქვა:

— ვაი, თქვენს კაცობას! ემაგის ვულისათვისა? ტფუი!—გულიანად გადაიხარხარა და დინჯად დაიწყო:—წალმით დატვირთული ორთველა წამოვდე შენს ხართუთას და უბე გამოიტეხა... კიდევ კარგი, კულდანთ ბიჭებმა ამოიარეს ჩემ ბედზე, სამადლოდ მომიბეს ჯამბარა და ამომართიეს... ძალიან გავმწარდი და იმდენად, რომ არ დავიხარე, იმ სიშორიდან ღამე ჩამოვედი, გალესილი ცულობით მივადექი და ჯავრი ვიყარე, მოვჭერი...

მსმენელები სახტად დარჩნენ.

ამ დილით ისევ მოვიდა წვიმა...  
 მე ვწვრიალეზბდი შენს დიდ ოთახში  
 და განუწყვეტლივ ვფიქრობდი შენზე;  
 გკლის ბარდებში ჩაფურცლული თეთრი ვარდები  
 დანსგავსებოდნენ ბავშვობაში დაკარგულ  
 ბაფთებს,  
 ფერმკრთალი ქალი უხმოზდა  
 წვიმის მჭვირვალ წვეთებში  
 საეშმაკოდ გაქცეულ ანცებს...  
 შორით აძრული სილუეტები  
 ეტმასნებოდნენ ტალავერს, ჭიშკარს,  
 პალმის მარაოს დაუნდობლად კაწრავდა წვიმა  
 და შენს ოთახში თვინიერი ლოდინი იწვა.

### ტ კ ი ვ ი ლ ი

რომ შემძლებოდა შენი პაწია,  
 თოთო სხეულის ჩემში ტარება,  
 მომიშუშებდი ყველა ჭრილობას,  
 უხილავ ტკივილს, ჩემო ღვთაებავ!

მაგრამ რა ვუყო ამ ზოღიაქოს,  
 ვით შევაჩვენო ეგრე ტიალი,  
 ვით დავიჯურო, რომ ჩემმა ბედმა  
 ქვეყნად მარგუნა მარტო ყიალი.

დავეგებოდი მტვრად შენსა ფერსთა,  
 რომ შემძლებოდა გადამერჩინე,  
 რას ვინატრებდი უფრო მიწიერს,  
 ყველას მერჩივნე, ყველას მერჩივნე!

რაა მტვრად ყოფნა, ანდა ჭრილობა,  
 გინდაც იტვირთე სიზიფეს ლოდი,  
 თუ არ ჩასახლდი ჩემში, პაწიავე,  
 აზრი არა აქვს არაფრის ლოდინს.

### მ ბ მ ბ ა

პაწაწკინტელა სათუთ ფეხებით,  
 ვერცხლის ძაფეზად გამობლანდული  
 გქონდა ცხოვრების დრო თუ მანძილი;  
 გრძელი ზამთარი,  
 ჭრულა ზაფხული...  
 და გაზაფხულის სამეუფოში,  
 ბლონდს ძაფეზისას  
 რთავდი და რთავდი,  
 ჟამი-ჟამ ქსოვდი,  
 კიდევ ქარგავდი,  
 ჩუმაღ სახლობდი...  
 დაძფოფინებდი კოპწია კარავს,

შემოჩადრული გქონდა სხეული —  
უცხო სხივებად ჩამომსხვრეული  
და არცრანაირ არსებას ჰგავდი.

მთელ სამზეოში გაკიდულიყო,  
მქრქალი დოღბანდი — საუფლო შენი,  
სხვაგვარ ოცნებით მოგეხატა  
მაღალი ბჭენი,  
ასეთად ჰყვავის მდინარის პირას  
გადაბურდული ერთმანეთს ლელი.  
გასათცარი სურვილი მქონდა,  
რამენაირად შემეხო ხელი.

ატაცებულმა უცნაურ გრძობით  
მაფანს შეფივლე სიჩუმე ჩემი,  
წავეპოტინე შენს ლამაზ სადგომს,  
მთრთოლვარე სხეულს  
და რუსი ფერის  
ხელში შემომრჩა მარტოოდენ ძენძი და მტკერი.

## თ ი ბ ა თ ვ ა

იხვე ივლისი ბოლავდა,  
როცა ჩავედით შატილსა,  
გაწვნიკულიყო ყოველი,  
ჩრდილ არ სდგომოდა სათიბსა.

პირგამომშრალი წანწკალა,  
ბედს დაპყლოდა თვისასა,  
მიწას ჩაპკვროდა მორჩილი —  
დარაჯსა სიცოცხლისასა.

გამოგვეგება ხვესური,  
შალანის ლურჯი თვალითა,  
— ხვალ, მე წამოვალ მეგზურად, —  
შეგვიპატიჟა ძალითა.

გათენებამდი ამბავსა,  
ვისმენდით მასპინძლისასა,  
ერთგულად მოსულ სტუმარსა,  
ყველა მიიღებს თვისათა.



გემოზე გავშლი კარავს,  
დავანთებ კოხტა კოცონს...  
საქართველოში უფრო  
რომელი მხარე მოგწონს?

ყველა კარგია, მაგრამ  
სულ სხვა ეშხი აქვს კახეთს,

ვთქვით, შეგეძინათ გოგო,  
რას დაარქმევდით სახელს?

სახელის მეტი რაა,  
რა ვიცი... ალბათ თამარს...  
დავივლი ნება-ნება  
ჩემი სამშობლოს მთა-ბარს.

**ნ ა გ ვ ა ზ ა ო**

შეძლებულია ხალხი,  
რა ქნას, არ იცის ბევრმა,  
სოფელში არის დიდი  
მეღორეობის ფერმა.

დაეძინება ტკბილად  
ალალი შრომით დაღლილს,  
სოფელში, რა თქმა უნდა,  
არის კულტურის სახლი.

ბარაქიანი მიწა,  
ოჯახი ხელგაშლილი.  
ხალხი ამაყობს ბევრი  
სახელოვანი შვილით.

ჩამოყალიბდა გუნდი  
სიმღერისა და ცეკვის,

შარშან სოფელში გახსნეს  
შინმოუსვლელთა ძეგლი.

ავი თვალისგან იცავს  
ეზოებს ცხენის ნალი.  
ქვაზეც კი დაასახლებს  
კაცს აქაური ქალი.

ეკუთვნის ყოველ მათგანს  
წოდება შრომის გმირის.  
შეხედე პურის ყანებს,  
რა კარგი უჩანს პირი...

ვერ პოულობენ მუშტარს,  
სიმინდს ჰყიდიან გროშად,  
ფრიალებს სოფლის თავზე  
გარდამავალი დროშა.

**საღამო გურიკი**

ჩუმად ჩამოწვა ბინდი,  
აქა-იქ დადის ლანდი.  
აქ, დღე არ გავა,  
გოგოს  
არ შეუყვარდეს ვაჟი.

აუთოვებენ კაბებს  
გულმოდგინებით როგორ...  
აქ, დღე არ გავა,  
ვაჟმა  
არ შეიყვაროს გოგო.



## საათი მუჯაუზი

ეს მერამდენე მზე არის,  
ეს მერამდენე მთვარეა.  
ეს მერამდენე წელია,  
თორმეტის ნახევარია.

გარეთ იცვლება ამინდი,  
ხან წვიმა, ხანაც დარია.  
ოთახში სიმყუდროვეა,  
თორმეტის ნახევარია.

საწყალი ჯიბის საათი  
პატრონთან ერთად მკვდარია.  
გვერდით დევს ვერცხლის დამბაჩა,  
თორმეტის ნახევარია.

რა ვაჟკაცური სახელი,  
რა ვაჟკაცური გვარია.  
სამკაულები ქალისა...  
თორმეტის ნახევარია.

## პირანიტი ვრანელი

მოგაგონდებით ნეტავ,  
გარდაცვალების შემდეგ?

მალე გაივლის ხევდა,  
ოცდარვით არის ეს თვე.



ისეთი კოსტა გოგონაა,  
ისეთი სუფთა,  
სააბრეშუმო ტექნიკუმში  
სწავლობდეს უნდა.  
თუთის ფოთლები უნდა ჰკრიფოს  
ხელებმა მისმა.  
ჭიდან ვედროთი ამოიღოს  
საამო წყალი.  
წიწილებივით გარს ეხვიოს  
ბავშვები უნდა.





საქართველოს  
მწიგნობართა  
კავშირი

# ქორობრაზი

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა! ჰაა! მიყევი, მიყევი, ქალს შეხედე, საღ იყურები, რამპატარიბ, რიმპატარიბი რამპატარიბი რვაა! შედი შუაში! შენ იმას მიყევი, შენ აქეთ! გეიცინე ცოტა, რავა ჩამოგტირის ცხვირპირი! აწიე თავი! ფეხებს ნუ უყურებ!.. რიმპატარიბი, ჰა!.. წადი წრეზე! ცერზე შედექი! ცერ-თქვა! დაშორება, დაშორება ერთნაირი!... რამდენჯერ ავიხსნათ, ხომ ხედავ, გავასწრო იმას!... ცოცხლად! ცოცხლად! ცეკვავ შე უპატრონო, პანაშვიდზე ხომ არ მიღიხარ!... გააჩერეთ! თავიდან!.. წინ შენ დადგები! ბიჭო, ტაშის დაკვრა არ იცი შენ? რომ უტყაპუნებ ჰადის ცომივით ხელებს ა უყურე, ტაში ასე უნდა დაუკრა! — ამ ბოლო სიტყვაზე გოგამ უელი მოიღერა, ცალი ფეხი წინ წადგა, მარცხენა ხელი მკერდს ოდნავ ააცილა და მარჯვენა ნარნარად დაუსვა—შენ ასე უკრავ, გამეიხედე!—და გოგამ ხელისგულებს ტყაპატყაუბი აუყენა. მოცეკვავებს გაეცინათ. — აბა მივიღოთ საწყისი მდგომარეობა, დაცილდი ბიჭო, ნუ ეწეპები მაგ გოგოს! საერთოდ, გოგოებს ცოტა უკან მიყევიტ სუყველამ! — გოგამ დოლი აიღო: — ერთი ტაქტი გამოტოვეთ, რამპატარიბ, რიმპატარიბ, რამპატარიბი, ჰა!...

...და ყოველივე ამის შემდეგ მკითხველს განა სჭირდება უადგილო ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ გოგია ინაკავაჟე ცეკვის მასწავლებელია? თუ

მინცდამაინც საჭიროა ავტორის მომბეზრებელი კომენტარები, ვიტყვიტ, რომ „რეპეტიცია“ ორმოცდამეშვიდე სკოლის ფიზკულტურის დარბაზში მიმდინარეობს. სკოლის დირექტორი გახლავთ შალვა მოწონელიძე. სკოლა საქალაქო ოლიმპიადისათვის ემზადება. მკითხველისათვის, ალბათ, ცნობილია ორმოცდამეშვიდე სკოლის სახელოვანი საოლიმპიადო ტრადიციები. ამ სკოლის თვითშემოქმედება სამაგალითოა მთელს ქალაქში. შალვა მოწონელიძის თეორიით, სკოლის მუშაობა ოლიმპიადაზე და პარადზე გამოსვლით ფასდება. ამიტომაც დირექტორი კოლოსალურ ენერჯიას უთმობს საპარადო და საოლიმპიადო სამზადისს. როცა საპირველმანისო დღესასწაულზე კოლონასა და კოლონას შორის მანძილი გაიზრდება, დაფდაფების და საყვირების ხმა მოედანს აიტაცებს და თვითმფრინავად გადაკეთებული საბარგო ავტომანქანის ძარაზე სამ ჯანმრთელ ყმაწვილს ატაცებული მოჰყავთ წელში გაზნეჭილი გოგონა, ტრიბუნაზე მდგომ ქალაქის ხელმძღვანელობაში ერთბაშად გაიბრუნეს... „ორმოცდამეშვიდე მოდის!“ შალვა მოწონელიძემ თავისი საქმე ხუთი თითივით იცის. ამიტომაც (და სხვა მიზეზთა გამოც) იგი სკოლის უცვლელი დირექტორია და, როგორც ასეთ შემთხვევაში, ფრანგები იტყვიან ხოლმე: დამსახურებული ავტორიტეტიტაც სარგებლობს. ოლიმპიადა კარზეა მომდგარი, სკოლის ნაცადი



ქორეოგრაფი პავლე გობრონიძე ტყი-  
ბულში გადაიყვანეს და დირექტორმა  
მის ადგილას გოგია ინაკავაძე დანიშნა.  
„რა მიქნა წელს პავლემ, როგორ გამოი-  
ქრა ყელი. ვეუბნებოდი დაიწყე-მეთქი.  
ახლა პატარა ხანს არ მცალიაო. შემირ-  
ჩინა, შემირჩინა და დამღუბა კაცი. ორ  
კვირაში ოთხი ცეკვის გამართვას მო-  
ასწრებენ ეგენი? თუ გაქცევა ქონდა  
გუნებაში, ეთქვა და დროზე ვეწეოდი  
ჩემს საქმეს!“ წუხდა დირექტორი. გო-  
გია თავიდანვე მოსწონდა შალვა მოწო-  
ნელიძეს. გოგია მთელს ქალაქში გან-  
თქმული მედოლე იყო. იგი კულტურის  
სახლის ანსამბლის კონცერტზე ნახა პირ-  
ველად დირექტორმა და თვლი ვერ  
მოსწყვიტა. „შენ იყო ახლა ერთი ათი  
წლით უმცროსი და რომელ კლასშიც  
გაგეხარდება იმაში დაგესამდი და რა  
ნიშნებზე გაგეხარდებოდა იმას დაგი-  
წერდიო“, უთხრა ხუმრობით. „რა მე-  
დალი დამიკარგავსო“, — გაუცინა გო-  
გია. ცოტა უხერხულია ამის თქმა, მაგ-  
რამ გოგია ინაკავაძეს სრული საშუალო  
განათლება არ ჰქონდა. იგი არასრული  
საშუალო განათლების მქონედ ითვლე-  
ბოდა (მეცხრე კლასიდან იყო გამოსუ-  
ლი). „თავის დროზე ხელი შემეშალა და  
ახლა ქე მრცხვენია ამხელა კაცს ღამის  
კლასში სიარულისო“, იტყოდა გოგია.  
კაცმა რომ თქვას „ამხელა კაცი“ გო-  
გიასათვის ცოტა შეუფერებელი გა-  
მოთქმა გახლდათ. გოგია სულ ოცდახუ-  
თი წლისა იყო და თანაც ტანმორჩილი.  
მაგრამ გოგიას საღამოს სკოლაში „სიარ-  
ული“ ალბათ იმიტომ ეუხერხულებო-  
და, რომ მას მთელი ქალაქი იცნობდა და  
არ უნდოდა „მოლადავეთა“ (როგორც  
თვითონ იტყოდა) ყბაში ჩაეარდნილი-  
ყო. „გოგიას თურმე ოთხი კლასის გა-  
ნათლება ჰქონიაო, გოგიას სუფთა წე-  
რაში გამოცდა აქვს დღესო, გოგია ქარ-  
თულს კარნახით წერსო, გოგიას თავი-  
დან დოუწყია სწავლა და ღამის პირველ  
კლასში შესულაო“ — ეს რა არის, უარ-  
ესს იტყოდნენ. ამიტომაც გოგია გულ-  
მოდგინედ მალავდა თავისი არასრული  
განათლების საიდუმლოებას და ხაზგას-

მით უნდა განაცხადო, რომ დარჩენილი  
ერთნახევარი სასწავლო წლის ხარვეზს  
გოგია ცხოვრებაში მაინცდამაინც ვერ  
გრძნობდა. გოგია ბრწყინვალე მედოლე  
იყო. ეს ბოლო ორი წელია გოგიამ დო-  
ლით ცეკვა დაიწყო და ის რომ „ფერ-  
ხულ-ფარცაუტუსა“ და „ხორუმში“  
სცენაზე ქარს დაატრიალებდა, ერთ ყუ-  
რებად ღირდა. იღბლად შალვა მოწო-  
ნელიძეს გოგია ამასწინათ ქუჩაში შეხვ-  
და. „ინაკავაძე არა ხარ შენო?“, ჰკითხა  
დირექტორმა. „კი ბატონოვო“, მიუგო  
გოგიამ. „ბიჭო, ქორეოგრაფი მიჭირდება  
კაი და ხო არავენ გეგულუბაო“, „ქო-  
რეოგრაფების მეტი რაია ქუთაისში, ბა-  
ტონო, ქვა რომ აავლო ქორეოგრაფს  
დაეცემაო“. „მე კაი მინდა, თვარა ფი-  
ნაჩს და უბედურს ერთ ვაგონს ვიშო-  
ვი, ხომ იცი, ჩემი სკოლა შენო“. „რავა  
არ ვიცი, ბატონო, მარა თქვენთან პავლე  
არ იყო გობრონიძეო?“, „პავლე, გემექ-  
ცა, თვარა იცოცხლე, პავლე კაი იყო-  
ვო“, — ამოიოხრა დირექტორმა, მერე  
თითები ერთმანეთს გადააქდო, გოგიან  
ახედ-დახედა და ჰკითხა — „შენ არ შე-  
გიძლია ცეკვის სწავლება, ბიჭოვო?“,  
„მეტი რა მოხელე ვარ, ბატონოვო“, „აბა  
მოდის ხვალიდან და შეუდექი საქმეს.  
ორი კვირა დაგვჩჩა, ხომ იცი შენაო“, —  
უთხრა დირექტორმა და უცებ ინანა,  
ხომ არ ვიჩქარეო. უკან დახვევა გვიან  
იყო და სკოლის ახალი თანამშრომელი  
მკაცრად გააფრთხილა — „გოგია, თუ  
თავის იმედი არა გაქვს, ტყვილა არ მო-  
კიდო ამ საქმეს ხელი. ხომ იცი, პირვე-  
ლი ადგილი უნდა ავიღოთ. პინდის  
ხელმძღვანელი კაი მყავს, გიგლა ცირე-  
კიძე ხომ იცი, ცეკვებმა თუ ხელი არ  
შემიშალა, წინ ვერავინ დამიდგება“.  
„რავა, გუშინდელი ბოვში კი არ ვარ,  
ბატონო, ამ ცეკვაზე მაქვს მოჭრილი ჰი-  
პი. მეტი რაში ვვარგივარ. პირველად  
ხო არ ვამზადებ ანსამბლს“, დაბეჯითე-  
ბით თქვა გოგიამ. ვერ დაემაღავ და  
ბოლო წინადადება სიმართლის ნატამა-  
ლსაც არ შეიცავს. გოგიას დღეს პირვე-

რევაზ მიშველაძე  
მოთხრობები

ლად ანდეს ქორეოგრაფობა. აქამდე გოგია ინაკავადე მარტო მედოლე და მოცეკვავე იყო. ხვალიდან გოგია ქორეოგრაფი იქნება. ეს უკვე სხვა ამბავია. ხელოვნების სამსახურის გზაზე გოგიასთვის ახალი ეტაპი იწყება; უფრო მაღალი და პასუხსაგები. „თავს არ დავზოგავ, ბატონო“ — ეს იყო იმ შეხვედრისას გოგიას ბოლო სიტყვა. „თავს არ დავზოგავ, ბატონო“ — რამდენჯერმე გაიმეორა გზაში გოგიამ. ქალაქის ცნობილი მედოლე სიხარულს ვერ მალავდა. „აღბათ ნახა იმ კაცმა ჩემში რალაცა მონაცემები, თვარა მმა არაა ჩემი და ბიძაშვილი, ამხელა სკოლის ქორეოგრაფობის რაზე შემთავაზებლაო.“ ბოლოს სახლში მისვლისას, ისიც კი გაიფიქრა; ეგება ქორეოგრაფად ვარ განიხილი და არ ვიცოდით. ერთი სიტყვით, გოგია სიხარულს ვერ მალავდა. მომავალი ოქროსფრად გაჩახჩახებული ჩანდა. „სხვა კაცი ვიქნები, — ფიქრობდა გოგია, — სიყვარული და დაფასება ახლაც არ მაკლია, მარა ეს სხვა დაფასებაა. ახლა თუ მეძახის ქორწილში კაცი, დოლის დამკვრელად მეძახის, მაშინ სხვა ღირსებისთვის დამიძახებენ. დოლსაც ქე დაუყრავ ათასში ერთხელ, სახალისოდ. მაშინ ველარავინ იტყვის, გაწიე-გამოწიე მედოლეა მიანცო. ხვალიდან ცეკვის მასწავლებელი მქვია. ბარე ორს ავაპიკვივებ რავარც საჭიროა“.

გოგია მეორე დღესვე გამოცხადდა სკოლაში და იმ დღიდან, გაკვეთილების შემდეგ, ფიზკულტურის დარბაზში დოლის ხმა არ შეწყვეტილა. დირექტორმა თავიდან გააფრთხილა, ყველას რომ ექნება, ისეთი ცეკვები არ მინდა, რამე ახალი მოიფიქრეო და გოგიამაც აამუშავა თავისი ფანტაზია. დღედაღამ ახალი ცეკვის „ნახაზზე“ ფიქრობდა. ბოლოს ოთხ დასახელებაზე შეჩერდა: ცეკვა „ნადირობა“, ცეკვა „ჩოგბურთი“, ცეკვა „სამხიარულო“ და ცეკვა „თევზაობა“. თევზაობის ფინალის მოფიქრება გაუჭირდა, მაგრამ ცეკვის დრამატული ხარვეზი იმით ამოავსო, რომ ბოლოს მეთევზე მოცეკვავეებს ავანსცენის ორ-

მოდან დიდი ბუტაფორული თევზი და ამოეთრიათ. დირექტორი ჩემდენჯერმე დაესწრო რეპეტიციას და რამდენიმე დარწმუნდა, რომ მოცეკვავეთა ანსამბლი საიმედო ხელში იყო, დამშვიდდა და სხვა დირექტორულ საქმეებს მიუბრუნდა.

ხანდახან გოგია შესვენებას გამოაცხადებდა. ცხვირსახოცს ამოიღებდა და დოლის მოშვებას იწყებდა, დასვენება უნდა ამასაცო. მოცეკვავე მოსწავლეები არაჩვეულებრივი ყურადღებით შესტეპროდნენ გოგიას ხელის ყოველ მოძრაობას. ანსამბლის წევრებს მალე შეუყვარდათ გოგია. სჯეროდათ მისი იმ სახალეთა გამო, რაც გოგიას ნახაზებში ჩანდა, უყვარდათ იმ ენერჯის და საქმისადმი ერთგულების გამო, რასაც გოგია მოსვლის დღიდანვე ამჟღავნებდა. ქორეოგრაფსა და მოცეკვავეებს შორის უშუალოდ ატმოსფერო დამკვიდრდა. გოგია სრულიად უბრალოდ, ოფიციალობის გარეშე მიმართავდა თავის მრევლს და მათგანაც ასეთსავე დამოკიდებულებას მოითხოვდა, „მასწავლებლის“ დამახებზე თვდაპირველად წითლდებოდა გოგია, მერე რომ ვერ იქნა და ვერ გადაჩვია ბავშვები „გოგია მასწავლებლის“, ხელი ჩაიქნა და ყურიც მიაჩვია. შესვენების დროს გოგიასა და მოცეკვავეებს შორის დაახლოებით ასეთი საუბარი იმართებოდა.

— ყველა ცეკვის იღეთი იცით, ვოგია მასწავლებლო? — გოგია ასეთ შეკითხვას პასუხის ღირსად არ ცნობდა.

— რამდენი ცეკვა არსებობს დაახლოებით ახლა?

— ბევრი.—მოკლედ მოჭრიდა გოგია.

— მაისევე რა ხნის იქნება ახლა?

თუ შეკითხვა ამდაგვარი არაპროფესიონალური ხასიათისა იყო, გოგია ტყუილზეც მიდიოდა, რათა ბავშვებს თვალში ავტორიტეტი არ შელახოდა. გოგიამ „არ ვიცი“ თითქმის ამოღო თავისი ლექსიკონიდან.

— მოსია რამდენ მუხლზე ტრიალს აკეთებს?

— ორ წრეს ურტყამს ოპერის სცე-



ნას, — ამ პასუხით მოსიას მუხლზე ტრიალით დაინტერესებული მოსწავლე კმაყოფილი რჩებოდა. მან იცოდა, რომ ოპერის თეატრის ორი წრე საკმაოზე მეტად დიდი იყო. კონკრეტულად კი მას არც ოპერის სცენა ენახა და მოსიასაც მხოლოდ გადმოცემით იცნობდა.

— ფალავას ძმა ჯობია თუ ფალავა?  
— რომელი ძმა? — იკითხავდა გოგია. გოგიამ იცოდა, რომ ფალავას ორი ძმა ჰყავდა.

— დოლის დაკვრას თქვენნაირად რამდენ ხანში ისწავლის კაცი?  
გოგიას მინცდამინც არ სიამოვნებდა ეს შეკითხვა, მაგრამ იძულებული იყო აეხსნა დაინტერესებული ბავშვებისათვის, რომ დოლის დაკვრას ყველა ისწავლავდა, ხოლო ქორეოგრაფობისთვის კი თანდაყოლილი ნიჭი იყო საჭირო.

— სახელმწიფო ანსამბლში თუ გიცეკვიათ, გოგია მასწავლებელი?  
აქ კი გოგია შესვენებას წყვეტდა და საუბარს დამთავრებულად თვლიდა. აშკარა იყო, რომ გოგიას სახელმწიფო ანსამბლის ვახსენება არ უყვარდა.

ოლიმპიადამდე ოთხი დღე რჩებოდა, როცა დირექტორმა გოგია გამოიძახა. გოგიამ რეპეტიცია შეწყვიტა და მეორე საათულზე აირბინა. შალვა მოწონელიძე თეთრ ტილოვადაკრულ სავარძელში იჯდა და გაზეთს ათვალიერებდა.

— როგორ მიდის საქმე? — ჰკითხა დირექტორმა და კითხვის დაზუსტებისათვის, დაუმატა — ხომ იცი, გოგია, შენს იმედზე რომ ვარ?

— ქე ხედავთ, ბატონო, რაც შემოიძლია ვაკეთებ და ახლა შეუძლებელს, გოგია ინაკავაძე კი არა, ამ ბოლო დროს, ღმერთიც ვერ ახერხებს.

— მატარაძის ბიჭი, ხომ კარგია, ვანიჩა?

— კარგია მარა, ნამეტანი მჩატეა, ცერებზე, თუ ვინდა ერთ საათს ივლის, მარა ძალა არა აქვს, „გასამაში“ მალე ილღება.

— შენ ეს მითხარი, სანდუხაძე რომაა მაღალი ბიჭი, ვარგა რამეთ?

— რა უჭირს.

— სწავლაში არ უქნია ღმერთს და ეგება მაგაში მინც ივარგოს.

გოგიას ეჩქარებოდა, იგი უფრო საქმიან საუბარს მოელოდა და რაკი შეატყო, რომ დირექტორი ახალს არაფერს ამბობდა, კარებისკენ გაიწია:

— წავიდე? თუ ვიყო ცოტა ხანს?

— რაზე დაგიახე, თუ იცი — მაგიდაზე ხელები დააწყო დირექტორმა — არ შემკამეს კაცი? შენც თუ ამდენი მტერი გყავდა ვერ მოგიფიქრებდა.

— გლახა ენის ხალხს რა გამოლევს. რავა რა იყოვო?

— რაო და სპეციალურად მევიდა გუშინ ერთი კაცი. სისხლში რო ექნება კაციშვილს სიგლახე. მევიდა, მე ვთქვი საქმე აქვს რამე-თქვა. რა გიქნია ესო, მითხრა, დაგიღუპია სკოლაო, რა იცის გოგია ინაკავაძემ ქორეოგრაფობისო. მაგას რავა ანდე ოლიმპიადის ბედისო.

გოგიას მწარედ გაეცინა. დირექტორმა განაგრძო.

— მაგიო, ასე თქვა, მედოლოდ ვარგა მარტო და ერთი ფიორი ჰქუა არა აქვს თავშიო. არ გრცხვინია? მე ვუთხარა, მოდიხარ აქ და კაცს ლანძღავ, მე ვუთხარა. შენ, მე ვუთხარა, არ უნდა იყო კაი სული, მე ვუთხარა. რა დაგიშავა, ბიჭო გოგიამ, მე ვუთხარა. კაცი პატარა წინ წავიდე, შენ რა გიფუჭდება, მე ვუთხარა. შენსას ხო არ ჰქამს და შენსას ხო არ სვამს, მე ვუთხარა.

— ვინ იყო, მინც? — იკითხა შეცბუნებულმა გოგიამ.

— მაგას ვერ გეტყვი. ცოლშვილი დამაფიცა. რათ გინდა. გვიგებ ერთ დროს. ღორი იმ საქმეს არ მოიშლის, ხომ იცი შენ.

— წავალ ახლა! — კეფა მოიფხანა გოგიამ.

— მაგიო, მითხრა, ქორწილებზე დადის და დოლს უკრავსო. ქორეოგრაფობა ისე უნდა, სახელად თვარა, შენს ოთხმოცდაათ მანეთზე გაჩერდება მაგიო? ქვეყნის ფულს ხვეტავს ქორწილებზეო.

რამზავ მიშველაძე  
მოთხრობები

— ისე მოხვეტა მაგის გვარმა და ჯი-  
ლაგმა. ვის ქორწილზე მნახა, არ თქვა  
ქე მაინც? ვინმე ძპაკაცი თუ შეიყვანდა  
ცოლს, ხათრს ვერ გავუტეხავდი, თვარა  
ქორწილზე დამკვრელი ვარ აწი მე?  
გუშინაც ქე იყვნენ, თან გადამყვა შაქ-  
როია შალამბერიძის ბიჭი, ზაური, პატ-  
რიკეთიდან ქალი მომყავს და მიშვე-  
ლეთ. მეზობელია, მარა არ წაყვევ. დო-  
ლი ვნახე დამწვარი, ქორწილზე დოლის  
დამკვრელი ვარ აწი მე? მე რომ დოვ-  
ლათი მაქვს და ვორონცოვის ლუსტრე-  
ბი მიკილია სახლში, იმაზე მეტი არ მი-  
ცეს ღრმერთმა. თუ წყევლა არის, ასე  
დამიწყველია ჩემდა თავად.

ღირექტორი სულგანაბული უსმენდა  
და ბოლოს თვითონაც არ დაიტოვა სა-  
თქმელი.

— კითხე ერთით, სახელმწიფო ანსამ-  
ბლიდან რატომ გამოაგდესო. მაგი რო  
ჰკვიანი ყოფილყო, ანსამბლში იქნე-  
ბოდა ახლაცო. მეეწონა იმ კაცს სამად-  
ლოთ და წეიყვანა თბილისშიო. ერთი  
თვე ეცეკვა იქანა და თვის ბოლოს ამო-  
უსხვეს ნიშადურით. მართლა ცეკვავდი  
სახელმწიფო ანსამბლში გოგია?

გოგია გაწითლდა. საუბარი ყველაზე  
მწვავე ფაზაში შედიოდა.

— არ გადამაყოლეს ერთ „აზიაცის“?  
შეიდი წლის წინანდელი ამბავია. მო-  
ცეკვავეთ კი არა მედლოეთ წამიყვანეს.  
ვინ გაცეკვებდა, ვინ გეუბნებოდა რა-  
მეს. ბინა მე არ მქონდა და საქმელი.  
დამსვეს იქანა მეოთხე მედლოეთ. გა-  
მიჭირდა ძან. „აზიაცი“ მევიპარე და  
გავყიდე. მე არ ვმალავ ამას. მომივიდა  
ეს ერთი შეცდომა და სადაც წავიდე —  
ყველგან წინ დამხვდა. ყველამ ეს „აზი-  
აცი“ გამახსენა. თუ რამე კაი ვაგიკე-  
თებია, არავის არ ახსოვს. მაინცდამა-  
ინც ამ გლახა საქმეს ვაგიხსენებენ. წე-  
ვიდა, ბატონო, ჩაიარა იმ წყალმა. ათი  
წლის წინ რომ პატარა შეცდომა მომი-  
ვიდა ჩემი სიბოგშვით და გამოუცდე-  
ლობით, იმისთვის უნდა ჩამომანჩროს  
ახლა?

- რა იცოდა მაინც მაგან ეს ამბავი?
- ქვეყანამ იცის.

— წადი გოგია შენ, მიხედე შენს საქ-  
მეს. ბუზს ვერ ავიფრენს ვერაფერი, მით-  
პარე, მეიპარე, რა ვუყოთ მერე. შეგე-  
შალა. თვარა თვითონ არ შეშლიათ  
არაფერი. მამა ამრამის ბატკანი მყავს  
სუყველა. ასე ვუთხარი მეც, მე ვუთხა-  
რი, მაგისი ბავშვობა არ მაინტერესებს,  
მე ვუთხარი. მე ახლა რაცაა, იმას ვხე-  
დავ, მე ვუთხარი, ჩემთვის კარგია, მე  
ვუთხარი, საქმის ერთგულია და რაც  
შეუძლია, თავს არ ზოგავს, მე ვუთხარი,  
წადი, განაგრძე რეპეტიცია!

თავჩაღუნულმა გოგიამ კარი გაიხურა  
და მძიმე ნაბიჯებით დაუყვა კიბეს. იმ  
დღეს რეპეტიცია უხალისოდ ჩატარდა.

საქალაქო ოლიმპიადაზე ორმოცდამე-  
შვიდედ საშუალო სკოლამ ყველასგან  
მოულოდნელად მესამე საპრიზო ადგი-  
ლი დაიკავა. მკაცრმა და მალალი დონის  
ქიურომ ერთხმად აღნიშნა, რომ მართა-  
ლია, ცეკვები თავის თემატიკით ორა-  
გინალური იყო, მაგრამ დახვეწა და  
სრულყოფა აკლდაო. ღირექტორს დანა-  
პირს არ უხსნიდა. იგი სრულად უსაფუ-  
ძელოდ ფიქრობდა, რომ ქალაქის განა-  
თლების განყოფილების ხელმძღვანე-  
ლობის თვალში მისი სკოლის ავტორი-  
ტეტი შეირყა. შალვამ მეორე დღესვე  
დაიბარა გოგია ინაკავაძე და დიდხანს  
მღუმარედ შეპყურებდა. გოგია უმტკი-  
ცებდა, სხვა ოლიმპიადები წინ იყო,  
რომ ორ კვირაში მეტის ვაკეთება არ  
შეიძლებოდა, რომ ქიურიც ცოტა ტენ-  
დენციურად მოიქცა და ა. შ. ღირექ-  
ტორს არაფრის ვაგონება არ სურდა,  
მან სუფთა ქალაღი და კალამი დაუ-  
ლო წინ ქორეოგრაფს და უთხრა:

— ხომ გეუბნებოდი, გოგია, თუ არ  
შეგიძლია, ნუ დამლუპავ-მეთქი დაწერე  
ახლა ვანცხადება და წადი, ძმარ, რა  
ექნა, მეტს ველარ ვაგაჩერებ. რომ გეი-  
გოს ზევით ვინმემ, შენ რომ სახელმწი-  
ფო ანსამბლიდან „აზიაციების“ მოპარ-  
ვისათვის გამოგაგდეს, მე მომთხოვენ პა-  
სუსს. ამისთანა კაცი მიუშვი მოსწაე-  
ლებთანო? წადი, სხვაგან წადი, გოგია.

— რა იყო? — ფანჯარა გამოაღო გოგიამ.

— მე გურამი ვარ, ხომ მიცანი, დეი-საძე.

— გიცანი, შემოდი ეზოში, არ იცის კბენა, ნუ გეშინია.

— არ მცალია ამდენი. შოთაიმ შემოგოვითვალა მარდალეიშვილის ქუჩაზე კლემენტო ჟორჯოლიანის გოგოს ქორწილია და ხვარ წამოხვალო?

— კლარენტზე ვინ ყავს?

— თამაზია თავსივა, ავად იყო და ამდგარა უკვე, წამოხვალ?

გოგიამ ლაფაროში დაკიდებულ წვიმას გახედა, წამით შეყოვნდა, ჩაახველა და გაბზარული ხმით, ძლივსაგონად უპასუხა:

— წამოვალ.

წვიმდა. საღამოსპირი იყო. გოგია ფანჯარასთან იჯდა და ლანჩაგამოცვლილ „შიბლეტებს“ რკინის ნალებს აქედებდა. ეს განუყრელი ფეხსაცმელი ახლა მოიტანა გოგიამ სოგრატიას სახელოსნოდან. სოგრატიას „შიბლეტისთვის“ სქელი რეზინის ლანჩა გამოედო. მართალია, სოგრატიის ნამუშევრის ესთეტიკური მხარე მოიკოჭლებდა, მაგრამ სამაგიეროდ ფეხსაცმელი დიდხანს გაძლებდა.

გოგიამ ფანჯრიდან დაინახა, ვიღაცამ ჭიშკარს ხელი გადმოუწვდინა, ხის გასაღები ასწია და ეზოში შემოვიდა. კიბის ჭეშმინდან ძაღლის ღრენა რომ მოესმა, იკადრა უკან გაბრუნება, ჭიშკარი გაიხურა და ქუჩიდან დაიძახა:

— გოგია?

## ც ხ ე ნ ი

საწერი მაგიდა ძველთაძველი ინგლისური მარკის „ლოურენს-1814“-ის ტიპისა იყო. სასოფლო საბჭოს ოთახში იგი იმ პერიოდში გაჩენილიყო, როცა გულაჩუყებულ მოქალაქეებს დემონსტრაციულად უარი ეთქვათ ძველი სისტემის ავეჯზე და ისინი ისეთი „კონსერვატიული“ დაწესებულებებისათვის დაეთმოთ, როგორც სასოფლო საბჭო ან სასამართლოს კანცელარია გახლავთ. მაგიდა გაცილებით უფრო ახალიც რომ ყოფილიყო, N მასივის ტიპიური ოთახისთვის იგი მაინც მოუხერხებელი იქნებოდა, რადგანაც უსაშველოდ დიდი იყო. ამ შავი ჩუქურთმებით აყვირებული ავეჯის ოთხივე კუთხეში აბოლონის მსგავს ფიგურებს მხრებზე შეედგათ მაგიდის ის ზედა, მუდგამოცვლილი ნაწილი, რომელზეც ამჟამად საბჭოს თავმჯდომარეს ეძინა. მაგიდის მრავალრაცხოვან უჯრებს გასაღების ადგილას ლომისთავები ეკიდა ისე, რომ გასაღები ლომის დაღებულ ხახაში უნდა შეეყყოთ. ამ

მაგიდის გარდა კაბინეტში ყველაფერი: ტელეფონი, ცეცხლგამძლე კარადა, და რასაკვირველია, თვით თავმჯდომარეც თანამედროვე სისტემისა იყო. თავმჯდომარეს ცალი ხელი ლოყისქვეშ ამოედო, მეორე ხელი კი თეთრი საქალდლისათვის დაეფარებინა და ამ ცოტა არ იყოს, უცნაურ პოზაში არც თუ მაღიანად ეძინა; საქალდლეს სამი წარწერა ჰქონდა. პირველი-საქმე „N11“, ქვემოთ „საქმე N 11“, წითელი ფანქრით იყო გადაშლილი და კვლავ „საქმე N11“ ეწერა. ვიღაცას ეს მეორე წარწერაც გულმოდგინედ გადაეხაზა და გვერდით უფრო დიდი ასოებით მიეწერა-„საქმე N 11“. საბჭოს თავმჯდომარე გაბი (იგივე გაბრიელ) მიქელაძე სიზმარში იყო. გაბის ესიზმრებოდა თითქოს, იგი თავის მამაპაპულ სახლში კარგად გამზეურებულ საწოლში, მეუღლის გვერდით იწვა და სიზმარს ხედ-

რევაზ მიწველაძე  
მოთხრობები

ავდა. გაბრიელს მარტივი, მაგრამ შინაარსიანი სიზმრები ჰქონდა. თავმჯდომარის ძილის დროს მის კაბინეტში "შემთხვევით" შემოხეტებული ყრუ დამლაგებელი ყოველთვის ატყობდა გაბრიელის სიზმრის საერთო განწყობილებასა და მიმართულებას. გაბრიელს სიზმარი სახეზე ეხატა. დრამატული სიზმრების ხილვისას მას ქუთუთოები უწყვილდებოდა, დაწვები უნაოქდებოდა და საბრალოდ კრუსუნებდა, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა, რადგანაც გაბრიელ მიქელაძე ძველი, გამოცდილი მუშაკი იყო და საბჭოს საქმეებიც ურიგოდ როდი ჰქონდა. თავმჯდომარეს განუყრელი სათვალე ახლაც წარბებს ზემოთ მოუჩანდა, სქელი წარბები თვინიერად შეერთებულ იყვნენ და დახრილ ქუთუთოებს დასწოლოდნენ. თმა გაბრიელს კარგა ხანია გასცვენოდა და ამ მხრივ არც რაიმე პრეტენზია ჰქონდა. ყურებთან სასწაულებრივად შერჩენილ ამ "ძველი დიდების ნაწის" გაბრიელი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. თმა მისთვის გადახდილი ჰირი იყო. ამიტომაც იგი სავარცხელსაც კარგახანია აღარ ხმარობდა და ათასში ერთხელ, წვერის გაპარსვისას, დალაქს უხალისოდ დაუგდებდა; კისერიც ამომიღე და თმაც შეასწორე, თუ კი დარჩა რამეო. მძინარე გაბრიელი ფხიზელ თეთრ დათვის ჰგავდა. დათვის, რომელსაც მოწყენოდა ზოოპარკის ერთფეროვანი ცხოვრება და თვალები დაეხუჭა, რათა შორს, რკინის გისოსებს იქით, თოვლისა და ყინულის სამეფოში, წუთიერად მინც გადასახლებულიყო.

„ცხენი!“ — იყვირა უცებ გაბრიელმა. ეს შეძახილი სულ რაღაც ოცდაათი ოდენ წლის წინათ, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ გაბრიელი კარგა ხანია ცხენზე არ შემჯდარა, რაიონში გადაუდებელი საქმეებისთვის იგი კოლმეურნეობის ფურგონებში გაიწვი, „მოსკვირით“ დადიოდა. გაბრიელმა ფართო კეპიანი ქუდი თავზე მოიგდო, გასაღებების დიდი ვროვა ააჩხრიალა და კაბინეტ-

იდან შურდულივით გავარდა. თვალის დახამხამებაში ჩაირბინა კიბე, საბჭოს შენობას შემოუარა, ხელისკანკალით გააღო სარდაფის რკინის კარი და სიბნელეს მიაწყდა. „აუჰ“ — გული ამოაყოლა ამ შორისდებულ გაბრიელმა და ზედ კარებთან დაგდებულ ცხენს ნესტოებში სტაცა ხელი. ცხენი ჯერ კიდევ თბილი იყო. „არქა!“ — იღრიალა გაბრიელმა და ჰას მივარდა. ოწინარი სწრაფად დაქაჩა, მკლავების გამაღებელი მოძრაობით ამოზიდა წყლით სავსე ვედრო და სარდაფისაკენ გააბრუნინა, მაგრამ ოწინარის ჯაჭვი სარდაფამდე არ ეყო და თავმჯდომარემ, რაც ძალა ჰქონდა, ღია კარებისაკენ გაიქინა ვედრო, წყლის შხეფები ცოცხალმკვდარ ცხენს მიწვდა.

„წყალი ჩქარა, რომელი ხართ მაქეთ! — მთელი ხმით გასძახა გაბრიელმა საბჭოს შენობის ირგვლივ შემოჯარულ სიმინდის ყანებს, თვითონ კი კვლავ თავის კაბინეტში დაბრუნდა. ვეტექიმს დაურეკა, სასწრაფოდ აქ გაჩნდიო, წყლით სავსე გრაფინს ხელი დაავლო და როცა კისერგადადებულ ცხენს დაუბრუნდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, ცხენს პირი ძალით გაულო, ენა დაუქაჩა და კბილებშუა გარდიგადმო დასხა წყალი. ცხენმა თვალები აახამხამა, ენა ოდნავ გაატოკა და თავი ისევ გადააგდო. გაბრიელმა სატინის ხალათი შემოიგლიჯა, საბჭოს აივანზე გადმოდგა და ყელის გაგლეჯამდე დაიდრიალა: — გ ვ ი შ ვ ე ლ ე თ !

● — ლუბა, სამოქალაქო რამდენი გვაქვს? — ჰკითხა ჰლაროსან მდივან ქალს სახალხო მოსამართლემ გიორგი მარსაგიშვილმა და ჰილოფის ქუდი დაახლოებით ორი მეტრიდან ესროლა ტანაცმლის ჩამოსაკიდებლად განკუთვნილ ირმის რქებს, რომელიც ფანჯარასთან კედელზე იყო მილურსმული. ამჯერად ქუდი რქის მარჯვენა წვეროს მოხვდა. ეტყობა, საპიროზე უფრო ღო-



ნივრად იყო ნასროლი, ამიტომაც ერთი-ორჯერ დატრიალდა და იატაკზე დაეცა. გიორგი უკმაყოფილოდ წამოდგა, ქუდი აიღო, მაგრამ როდეს დაჰკიდა, თავის სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა და ისევ (ამჯერად იღბლიანად) ესროლა რქებს.

— სადა ხარ ქორა, ამდენ ხანს, ნერვიულობენ მსაჯულები, — უსაყვედურა ლუბამ და ხუთი “საქმე” დაუღო წინ.

— თითი ამომივარდა და ექიმთან ვიყავი. რა მოხდა, დაიქცა ქვეყანა? სულ რავე ეჩქარებათ, სულ რავე გარბიან. გუშინწინ რომ სირბილაქემ ვენახს ვწამლავდიო და ორი საათი გვაცდევინა, არ გაახსენე იის? სამოქალაქო რამდენი გვაქვს-მეთქი?

— სამი! — მიუგო ლუბამ და თან მზრუნველი მდივნის გამომეტყველებით დაუმატა — რა გული მოგდის, თუ იცი. მე ქე ვიცი, თითი რომ ამოგივარდა, მარა იმგენმა იციან? ადგება და დავიწერს ვინცხა. შენ ჯერ ახალი ხარ და ფრთხილად უნდა იყო. მსაჯულებმა იგიც შეგნიშნეს, რომ იცოდე, პროცესის დროს უშნო ხუმრობა რომ იცი და ლამაზ ქალებს თვალს რომ უპრაწავ.

— დავივსებ ახლა მავათეთის ფაბრიკებს.

— თვლებს კი ნუ დავივსებ, მარა ცოტა დაუკვირდი საქმეს, დარბაზში რომ ქალი ზის, ან მომჩივარის რაცხაა და ან მოპასუხის. აბა, შენ საყურებლად არავინ დადის აქანა. რომ აგიწითლდება ბიბილო და დაიწყებ სერიოზულად გამოკითხვას, თქვენ ვისი რა ბრძანებითო. ვინ გკითხავს შენ? ღია პროცესია და მოდის ადამიანი. ამოგინაყავს ვინცხა ცხვირს და ისწაველი მეტე ჰკუთას. — ამას ღიმილგარეული საყვედურით ეუბნებოდა ლუბა ახალგაზრდა მოსამართლეს. ლუბას გულწრფელად სურდა, რომ ყმაწვილ იურისტს გაუფრთხილებლობით ცუდი არაფერი შემთხვეოდა.

— ჯერ ეს ცხენის საქმე გავარჩიოთ, ცოტა შეთხელდება ხალხი. თხოვე

უფროსებს, — თქვა გიორგიმ, საქმეები ამოილლია და სასამართლოს კარებში დადგა. გულმოსული მსაჯულები მოსამართლეს თვალს არიდებდნენ. მათ ურჩევნოდათ შეეხედათ სუფთა, უბლაკეტო კედლისთვის, ოღონდ მოსამართლისათვის ეგარძნობებინათ, რომ ბოლოს და ბოლოს მათს მოთმინებასაც საზღვარი ჰქონდა.

— მოქალაქე გაბრიელ მიქელაძის საქმეზე დაბარებულ მოწმეებს ვთხოვეთ დატოვონ დარბაზი, — გამოაცხადა მოსამართლემ.

რამდენიმე კაცი უხალისოდ წამოდგა და კარებისაკენ გაეშურა.

— მიქელაძე თუ არის? — ჰკითხა მოსამართლემ ლუბას,

— აქ ვარ, ბატონო, — გაბზარული ხმით დაიძახა გაბიმი. პროკურორი შემოვიდა და სალამიც არავისთვის უთქვამს, თავის მაგიდას მიაშურა.

— მიქელაძის საქმე! — აუწყა მოსამართლემ პროკურორს.

— ვისი? — მიქელაძის. — პროკურორმა მხრები აიჩიჩა, ასეთ საქმეს არ ვიცნობო.

— აი, ცხენთან რომ არის დაკავშირებული, — აუხსნა მოსამართლემ.

— აა, ვიცი, ვიცი, — დამშვიდდა პროკურორი. პროკურორი ტანსრული ქალი იყო. სავსე მკერდზე პროკურორის ხალათი ასკდებოდა. ხელები მაგიდაზე დაეწყო და ფაფუკ ლოყებზე სახელმწიფო მბრალდებლის სამხრეები მჭიდროდ შემოტმანსოდა.

— მიქელაძე, აქეთ გადმობრძანდით — სთხოვა მოსამართლემ და გვერდით კედელთან, ბრალდებულის სკამზე მიუთითა.

მიქელაძემ თხოვნა უყოყმანოდ შეუსრულა.

— დაზარალებული თუ არის? — იკითხა მოსამართლემ, დარბაზში აქა-იქ ფხუკუნი გაისმა.

— დაზარალებული არ არის. მოსა-

რამაზ მთავალაძე  
მომთხრობები

რჩეულ მე ვახლავართ, — წამოდგა მა-  
ღალი, ბეჭებში მოხრილი, გრუხათმი-  
ანი მამაკაცი. მას ჩინურ ყაიდაზე შეკე-  
რილი ნაცრისფერი სერთუკი ეცვა და  
მკერდზე ორდენების მაჩვენებელი  
გრძელი ნიშანი ეკეთა.

— ვერ გავიგე!

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

— დაზარალებული ცხენი გახლავთ.  
ცხენი არ არის-მეთქი. მის მაგივრად,  
ესე იგი ცხენის მხრიდან მე ვარ, პატივ-  
ცემულო მოსამართლევ, და სასაცილო  
არაფერი არ არის აქ! — შეუბღვირა  
მან დარბაზს,

— გვარი?

— სალდაძე კირილე, ფერმის გამგე.

— არის საქმეში, — თავი დაუქნია  
მოსამართლეს ლუბამ და კირილეს ჩვე-  
ნებას ხელი დაადო.

— გამოვაქვეყნოთ ბრალდება? —  
სათითაოდ ჰკითხა მოსამართლემ გაბ-  
რიელს, მსაჯულებს, დარბაზს და ერთ-  
სულოვანი პასუხი მიიღო, ვიცნობთ,  
ვიცნობთო.

— ბრალდებული თუ ცნობს თავს  
დამნაშავედ?

— ნაწილობრივ, — მიუგო გაბრი-  
ელმა და ჰერს შეხედა. ამის შემდეგ  
მოსამართლე დაკითხვაზე გადავიდა.

— გარაყანიძე!

მორიგე მილიციელმა კარი გააღო  
და გრძელ დერეფანს მოწმის გვარი  
გასძახა, მერე ისევ შემოჰყო თავი და  
მოსამართლეს დაუყვირა:

— არ არისო, უფროსო!

მოსამართლე ლუბას მიუბრუნდა:

— გამოძახება ჩაბარდა, მაგრამ არ  
მოვალო, იქვე განუტყბადებია.

— რას ჰქვია, არ მოვალო?

— გარაყანიძე საბჭოს დამლაგებე-  
ლია, ყრუა, ყურში არ ესმის საწყალს  
და რცხვენია მოსელა. ჩვენებაშიც ისე-  
თი არაფერი უწერია. თავმჯდომარე  
გრაფინით ხელში კიბეზე ჩარბოდა, მე-  
ტი არაფერი ვიციო. დაანებე მაგას თა-  
ვი და სწვას გამოუტახე, — უთხრა ლუ-  
ბამ.

მოწმეთა ჩვენებამ სანუგეშო გერა-  
ფერი მისცა სასამართლოს. მსჯელობა  
რაველსობა გაბრიელის ყვირილზე მო-  
გროვილი სოფლელები იყვნენ. სხვა  
რამ არავინ იცოდა.

გიორგის სასამართლო პროცესის  
ორიგინალური მეთოდი ჰქონდა, ჯერ  
მოწმეებს დაკითხავდა, მერე ბრალდე-  
ბულს. ბრალდებულის ჩვენება თავიდაც  
საინტერესო არ რის, იგი საქმიდან ისე-  
დაც ცნობილია, მოწმეთა ჩვენებებით  
გავამაგრებ ბრალდებას, კუთხეში მიე-  
ნმწყვდევ ბრალდებულს და მართლმსა-  
ჯულებიდან თავის დასაღწევად გასაქ-  
ანს არ მივეცემო.

ფერმის გამგემ თქვა:

— შემთხვევამდე სამი დღით ადრე,  
ცხენი დაიკარგა, ბატონო. ის ცხენი, ახ-  
ლა ჩვენში დარჩეს და სადღე არ არის  
და გამოფენაზე გასაყვანი. ერთი უბრა-  
ლო ცხენია და თავის საქმეს ქე აკეთ-  
ებს. დავურეკე მეორე დღეს ფერმიდან  
თავმჯდომარეს — რა ვქნათ-მეთქი, აღ-  
ბათ ჰალაში გაგებნეოდათ და მოძებ-  
ნეთო. ჩვენ ისედაც ვეძებდით, მარა ის  
ცხენი სხვა ცხენი იყო.

— რა ერქვა? — იკითხა ვილაძემ.

— თუ მაცლით ლაპარაკს, მაცალით.  
თვარა დევისურავ ქუდს და წავალ, —  
იწყინა სალდაძემ — არ ერქვა არა-  
ფერი, უსახელო ცხენი იყო, გასაგებ-  
ია? მე ვთქვი იმ ლამეს, იგი გარეთ რომ  
იყოს უსათუოდ მობრუნდებოდა, რაღ-  
აცაშია საქმე-თქვა. ვეძებთ. მაგრამ ამა-  
ოდ. ის იყო მგლისთვის უნდა შეგვეწ-  
ერა (აქ თვითონაც გაეცინა), რომ ეს  
ამბავი გავიგეთ, დანარჩენი თქვენ თვი-  
თონ იცით.

ბრალდებულმა გაბრიელ მიქელა-  
ძემ თქვა:

— საბჭოს ერცახე ეზოში სიმინდი  
დავთესეთ. ნასვენ მიწაზე გადაირია  
სიმინდი. შემთხვევამდე ერთი კვირით  
ადრე ვხედავ, ცხენია ეზოში და დატა-  
რობებულ სიმინდს რასაც არ ჰამს, ფეხ-  
ით თელავს. გადავდენე, რასაკვირველ-  
ია, ცხენი ეზოდან. მეორე დღეს გამოვ-



იხედე აივანზე, ისევ ის ცხენია სიმინდ-  
ში. ჩავედი, გამოვეყიდე. მესამე დღეს  
დილაუთენია მივედი საბჭოში. მოგზავ-  
ნილივით ისევ იქ არ დამხვდა? ამას თუ  
არ მოვუარე, ცხენის დევნას მოვდომი-  
ვარ-მეთქი და პეშუზე მარბილი დავიყა-  
რე. შევები ბაწარი და საბჭოს სარდაფ-  
ში დავხვი, მოაკითხავს პატრონი და წა-  
იყვანს-თქვა.

— მერე? — ჰკითხა პროკურორმა.

— მერე იმ დღეს აღწერაზე ვიყავ-  
ით და ქე მიმარჩა გულში. სადამოს  
სტუმრები მყავდნენ და ქე გეაზლით  
პატარა, მეორე დღეს თავგასივებული  
მევედი საბჭოში და მელიტონ კუხიან-  
ძის დაკარგვის ამბავი დამხვდა.

— ვისი? — ჰკითხა მოსამართლემ.

— მელიტონი იყო, ცხონებული,  
კუხიანიძე.

— რამ დაკარგა მერე?

— ასე ვიტყვით, ასე ჰქვია. დაკარ-  
გვით ახლა კი არ დაკარგულა. თავის  
ლოგინში მოკვდა წყნარად. მშვიდად,  
ოთხმოცი წლის კაცი იყო.

— განაგრძეთ! — დამშვიდდა მოსა-  
მართლე.

— ჰოდა, იმ დღეს მელიტონას საბ-  
უთებს მოვუნდით. თექვსმეტი ფურ-  
ცელი ანდერძი დოუწერია საწყალს და  
იმის გარჩევამ გადაგვიყოლა, ერთი სი-  
ტყვით, გადამვარდა გულიდან ცხენი  
და მესამე იყო თუ მეოთხე დღეს გამახ-  
სენდა. აქეთ ვეცი. იქით ვეცი და ის  
მოხდა, რაც მოხდა.

პროკურორა წამოდგა, მკერდზე ხე-  
ლი ჩამოსვა, წელს ამორებული ხალა-  
თი გულმოდგინედ დაქაჩა, მკაცრი გამ-  
ომეტყველება მიიღო და თქვა:

— აქ ზოგიერთს ეცინება, ცხენის  
გულისთვისაა ამდენი ხალხი შეკრები-  
ლიო? სასამართლო ცხენის გულისთვის  
კი არ შეკრებილა, რომ იცოდეთ თქვენ,  
სასამართლო კაცის გულისთვის შეიკ-  
რება. ასე იოლად არაა საქმე. იმ ცხენ-  
ის უკან კაცი დგას. ცხენის ინტერეს-  
ებს დაცვა არ სჭირდება. ცხენი პირუ-  
ტყვია და როგორც გვინდა ისე ვექცევით.

(დარბაზში სრულიად უადგილოდ ის-  
ევ გაეცინა ვილაცას). ჩვენს წინაშე  
დგას სოფლად ხელისუფლების წარმო-  
მადგენელი. სასწაული არ მომხდარა.  
გაუგონარი დანაშაულის მოწმენი  
როდი ვართ. „რა მოხდა, ერთი ცხენი  
ვითომც არ გვეყოლიაო“, იტყვის კაცი,  
მაგრამ ამ „ვითომც არ გვეყოლიაო“  
ბევრ უბედურებას დაუდო სათავე. მე  
მირჩევნია ბრალდებულს სულ მოგვა-  
რა ის ცხენი და გაეყიდა, ან შემოკედო-  
მოდა ქვით ხელში, მაგრამ დავიწყება?  
ცხენი როგორ დავაგვიწყდა, შე კაცო,  
რანაირად გეძინა ღამე, როცა შიმში-  
ლით და უწყლობით გაგვიკებული პი-  
რუტყვი სარდაფის კედლებს აწყდებ-  
ოდა. ასეთი კაცი ხარ, ასეთი გული  
გაქვს შენ? ვთქვათ, ადამიანი ყოფილი-  
ყო იმ ცხენის ადგილას, ასე უნდა და-  
გავიწყდეთ, გაბრიელ? მე რომ უფლება  
მქონოდა, ამ დანაშაულს სისხლის სამა-  
რთლის მუხლს მივუყენებდი. ცხენი  
აქ არაფერ შუაშია. აქ კაცია მთავარი.  
კაცი, რომელსაც სარდაფში გამოკეტი-  
ლი ცოცხალი არსება დაავიწყდა. რაც  
შეეხება გამოძიების მიერ წაყენებულ  
მუხლს საკოლმეურნეო საკუთრებისა-  
დმი დაუდევარი დამოკიდებულების  
მეორე პარაგრაფს, იგი ყოველგვარი  
შელავათის გარეშე უნდა გავრცელდეს  
ბრალდებულ მიქელაძის მიმართ.

პროკურორი, ეტყობა, თვითონვე  
კმაყოფილი დარჩა თავისი გამოსვლით,  
სამხრეებიანი სერთუი ერთხელ კიდევ  
დაქაჩა და დაჯდომისას ირგვლივ ისე  
მიმოიხედა, რომ დაკვირვებული თვალი  
მის მიმოხედვაში ამოიკითხავდა, ასეთი  
მკაცრი ქალი ვარ, ასე ვიცი მეო.

— ვინ იცავს ბრალდებულს? —  
იკითხა მოსამართლემ და თან ლუბას  
ჩაუჭურჩულა, ასწრებ ჩაწერას თუ  
ცოტა ნელა წავეყვანო პროცესიო, და  
ლუბასაგან დადებითი პასუხი რომ მი-  
იღო, კითხვა გაიმეორა.

რედაქციაში  
მოთხრობები



— მე ვიცავ, ბატონო, — წამოხტა აბატის გამომეტყველების თეორთმიანი მოხუცი და მოსამართლეს ქაღალდი გაუწოდა.

— გამოსაქვეყნებელი ხომ არაფერი გაქვთ, ბატონო მიხელი? — ჰკითხა მოსამართლემ.

— არა, ბატონო, საქმეში ყველაფერია და სასამართლო გამოძიებითაც კმაყოფილი ვარ.

— ბრძანეთ.

ბრალდებულის დამცველმა დაიწყო:

— პატივცემულო მოსამართლენო, ეს დღევანდელი შეკრებილობა მე ისეთი მაღალი დონით შეკრებილობად მიმაჩნია, რომ ზედმეტად ვთვლი მტკიცებას ადამიანისა და პირუტყვის განსხვავების თაობაზე. ადამიანი ადამიანია და პირუტყვი პირუტყვია. მართალია, აქ გამოსულმა ამხანაგებმა დაზარალებული ცხენი კარგად დაახასიათეს, მაგრამ იგი მაინც ცხენია, ამხანაგებო. რა თქმა უნდა, მოხდა უსიამოვნო ფაქტი, ამას არავინ არ უარჰყოფს. მაგრამ ვისი მეშვეობით მოხდა? ამასაც ხომა აქვს მნიშვნელობა. ადამიანებზე ზრუნვაში დაღლილ, დღენიდაგ სოფლის ცხოვრების ვაუკეთესებაზე ფიქრში გართულ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, ერთადერთ ხელ თავის ცხოვრებაში რომ ცხენი დავიწყებოდა, ასე დიდი დანაშაულია? და განა რა განზრახვით დაამწყვდია მან სარდაფში ცხენი? რომ სიმინდის ყანა, საკოლმეურნეო დოვლათი გადაერჩინა. მანამდე ან შემდეგ ჰქონდა მას რაიმე ინციდენტი იმ ცხენთან ან მის პატივცემულ პატრონებთან? არა, არ ჰქონია. ესე იგი წინასწარგანზრახვის პუნქტი მოხსნილია. დარჩა ერთადერთი — “დაავიწყდა“. საქმეში გახლავთ სამედიცინო დასკვნა იმის შესახებ, რომ გაბრიელ მიქელაძეს მცირე სკლეროზული მოვლენები აქვს ასაკის გამო და რომე ეს მოვლენები მისი სამსახურებრივი მდგომარეობისთვის საშიში არ არის. და ბოლოს, გთხოვთ შეიტანოთ ოქმში: აქ არავინ გაუსვა ხაზი, პატივ-

ცემულო მოსამართლენო, რომ ცხენი გადარჩა. იგი ამჯერად ცოცხალად, ახალ ხეინად სძოვს საკოლმეურნეო სამოვრის ბალახს და აინუნშიაც არ მოსდის, რომ მის გამო მართლმსაჯულების წინაშე თრთის და კანკალებს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ყველასაგან პატივცემული და პატივსაცემი გაბრიელ მიქელაძე. დანაშაულის შეგნებაზე და სინანულის თითზე კბენაზე მე არას მოგახსენებთ, განა მთელმა სოფელმა არ დაინახა, და აქ მოწმებმაც არ დაადასტურეს, რომ ხალათშემოხეული გაბრიელი საბჭოს აივანზე გაჰყვიროდა — „არიქა, გვიშველეთო?“ მე ვფიქრობ, ვაკმართ პატივცემულ გაბრიელს სასამართლოს მოლოდინში თეთრად გათენებული ღამეები და დღევანდელი დღის მთელი სიმძიმე, რაც არასოდეს წაიშლება თავმჯდომარის ცოტა გატეხილი, მაგრამ ძირითადად მაინც ძლიერი მესხიერებიდან.

ვექილმა თეთრი, ქათქათა ცხვირსახოცი თფლი მოიწმინდა, მერე ის ცხვირსახოცი გულმოდგინედ დაკეცა და კისერში ჩაიფინა.

ბრალდებულმა საბოლოო სიტყვაზე უარი თქვა.

გიორგი მარსაგიშვილი მძიმე დღეში ჩაეარდა. აქამდე, პროცესის დაწყებამდე, ყოველთვის იცოდა, ვისთვის რა განაჩენი გამოეტანა. ახლა კი ცოტა არ იყოს, დაიბნა და კიდევ ერთხელ გულმოდგინედ ჩაიკითხა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლი. წამოდგომისას გვერდით მსხლამ მსაჯულებს გადახედა. მსაჯულებს ისეთი გაყინული სახეები ჰქონდათ, რომ ეტყობოდა ამდიღანდელი წყენა მათს გულში ჯერ კიდევ არ განელეულებოდა. „მეტი არ იქნა ჩემი მტერი ამგენმა ახლა ჰქვიანური არ გირჩიონო“, — გაიფიქრა მოსამართლემ, „საქმეს“ ხელი დაავლო და გამოაცხადა:

— სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად!





შვენიერი ამინდი იდგა. ფილოლო-  
გიის ფაკულტეტის საღამოს განყოფი-  
ლებების მეორე კურსის სტუდენტები  
ინსტიტუტის ძველი, დანჯარეული,  
ავტობუსის ექსკურსიაზე მიდიოდნენ.  
ექსკურსიის მარშრუტი ასეთი იყო  
თბილისი — ფასანაური — ყაზბეგი —  
თბილისი. სტუდენტებს წინ კიდევ  
ერთი შინაარსიანი დღე ელო-  
დათ. საქართველოს თვალწარმატა-  
ცი სა-  
მხედრო გზა, ფასანაურის ვიწროები,  
ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი  
და რაც მთავარია, ერთად ყოფნით გა-  
მოწვეული სიხარული და აღფრთოვა-  
ნება. საქესკურსიო განწყობილებას იშ-  
ვიათად რომ სხვა რომელიმე განწყო-  
ბილება შეედაროს. ხუმრობის დროს  
ყველა შეძლებისდაგვარად ხუმრობს,  
სიმღერის დროს თითქმის ყველა მღე-  
რის. („თითქმის“ აქ იმიტომ ვიხმარეთ,  
რომ მღერის ისიც კი, ვისაც ჭერ კიდევ  
ბოლომდე ვერ შეუგნია, რომ მისი მუ-  
სიკალური მონაცემების გამო, უმჯობე-  
სია არ იმღეროს). ავტობუსი ეს-ესაა  
მცხეთას გასცდა და სამტრედიისაკენ  
გაშვერილ საგზაო ნიშანს მარჯვნივ აუ-  
ხვია. ოცდაოთხკაციანი ავტობუსის  
წინა სავარძელში ზის ექსკურსიის  
ხელმძღვანელი, პროფესორი ამბერკი  
გოგისვანიძე. პატივცემული პროფე-  
სორი დღეს საგანგებოდ, საქესკურსიო-  
დ გამოწყობილა. თეთრი მოსახსამი და  
ცისფერი, საყელო გახსნილი (პროფე-  
სორი, რასაკვირველია, უპალსტუხოდაა)  
პერანგი ძალიან უხდება. ქართველურ  
დაიალექტთა ცნობილი სპეციალისტს  
ექსკურსიაზე სიარული მიინტერესებდა  
აქ უყვარს, მაგრამ სტუდენტთა მოკ-  
რძეულული თხოვნა ვერ უარყო და  
მთელი ავტობუსი ბედნიერია, რომ სა-  
ექსკურსიოდ თავიანთი საყვარელი  
პროფესორი დაითანხმეს. სტუდენტებს  
განსაკუთრებით სიბლავთ ამბერკი  
გოგისვანიძის რბილი, ხავერდოვანი  
ხმა და ის მაღალპატრიოტული განწყო-  
ბა, რასაც პროფესორი ყოველ ლექცი-

აზე ამჟღავნებს, ბატონი ამბერკის  
ლექციებს გადაჰყავხართ სიყვითისა და  
პატიოსნების რომანტულ, ნახევრად-  
ზღაპრულ სამყაროში. პროფესორის  
პათეტური ლაღაღისს, მის ჯიუტ სურ-  
ვილს—ყველაფერი რაინდულსა და კე-  
თილშობილურს დაუქვემდებაროს, მსმე-  
ნელზე სულიერი გამწმენდელის ზე-  
მოქმედება გააჩნია. ამბერკის ამქვე-  
ყნიურ წინააღმდეგობათა და სიძნელე-  
თა შესახებ ლაპარაკი არ უყვარს. იგი  
თითქმის კლასიკური ლიტერატურის  
გმირთა რომანტულ ქვეყანაში ცხოვ-  
რობს და ირგვლივ მყოფნიც წელა, შე-  
უმჩნევლად ამ სამყაროში გადაჰყავს.  
შემოწმებულია, რომ ამ მხრივ ზემო-  
ქმედებას იოლად დაჰყვებიან პირველი  
და მეორე კურსის სტუდენტები. ზედა  
კურსზე ახალგაზრდები, მათსავე გან-  
წყობილების საზიანოდ, უფრო პრაქტი-  
კულნი ხდებიან. ბატონი ამბერკი კი,  
ძირითადად, პირველ-მეორე კურსებს  
ასწავლის. იგი წლების განმავლობაში  
ერთგული რჩება თავისი პედაგოგიური  
და მეცნიერული სტილისა. სტუდენ-  
ტებსაც ცხოვრებაში გასვლის შემდეგ  
თუ ვისმე ლექციები ახსოვთ ვარდის-  
ფრად, ეს ამბერკი გოგისვანიძის ლექ-  
ციები გახლავთ. ბედნიერი კაცია ბატო-  
ნი ამბერკი.

ჩვენ აქ არ მოვეყვებით ექსკურსიის  
წვრილმან ეპიზოდებს. სიტყვას აღარ  
გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ ყო-  
ველ ექსკურსიას ჰყავს თავისი ადგი-  
ლობრივი მნიშვნელობის ხუმარა. ხუ-  
მარა ამ სიტყვის ყველაზე საპატიო გა-  
გებით. არაფერს ვიტყვით იმის შესა-  
ხებ, რომ ერთ ექსკურსიად გავრთი-  
ანებული ოცდაოთხა კაცი ერთად ოც-  
დაოთხი მიკროსამყაროა. აქ არიან ექს-  
ცენტრიკებიც და ფლეგმატიკოსებიც,  
აქ არიან პეიზაჟების მიმართ პოეტურად  
მგრძნობიარენი და გულგრილნიც. იქ-

რამაჟ მიშველაძე  
მოთხრობები



ნებ აქ არიან მომავალი გმირები და მომავალი სისხლის სამართლის დამნაშავენიც. აქ არიან უკვე ჩამოყალიბებული სერიოზული კაცები და ჯერ დაუდღღარო, აბეზარა ბიჭუნებიც. და რაც მთავარია, აქ ალბათ არიან სიყვარულზე სრულიად სხვადასხვა შეხედულების მქონენი. ეს ყველაფერი გაერთიანებულია ერთ სიტყვად, ერთ დანჯღრეულ ავტობუსად — ექსკურსიად. სხედან ახლა ისინი და ცდილობენ შეინარჩუნონ ერთიანი ექსკურსიული ანსამბლი. ექსკურსია ქრება მაშინ, როცა ყველა თავთავის ფიქრში გაერთობა, როცა ყველას თავისი საზრუნავი შეახსენებს თავს. გარეგნულად თითქოს ეს ყველაფერი მარტივად ნოჩანს, მაგრამ კითხვით აბა მეოთხე რიგში მსხდომ ქალ-ვაჟს ერთმანეთის თითები რომ დაუჭერიათ, კითხვით ფანჯრისკენ მიბრუნებულ უყურადღებო ბიჭს, გვერდით მსხდომმა გოგონამ ვერაფრით საუბარში რომ ვერ ჩაითრია. მაგრამ ასეთი ლირიკული ჩაღრმავებანი ჩვენს საქმე არ არის. არც იმაზე გაავცდენთ მკითხველს თუ როგორ გაიგრილეს ცივი წყლით შუბლი და მწვანე ბალახზე უკვე შეფოთლილი კაკლის ხის ქვეშ რა მადიანად ისადილეს. ეს ყველაფერი ათასჯერაა აღწერილი დეტალიზაციის მოყვარულ მწერალთა ვრცელ მოთხრობებსა და ნარკვევებში. ავტობუსი დაბა ყაზბეგს უახლოვდება, პროფესორი ამბერკი გოგისვანიძე შემობრუნდება და იტყვის:

— იცით, ყმაწვილებო, როცა მთებში მივდივარ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მადლა, სისპეტაკის სასუფეველს ვუახლოვდები და მეშინია, ცოდვა-მადლის აწონვის საკითხი რომ დადგეს.

სტუდენტები მთლად კარგად ვერ ჩაწვდნენ ბატონი ამბერკის ნათქვამის სიღრმეს, მაგრამ სმენად იქცნენ და პროფესორისათვის ესეც საკმარისი იყო.

— რატომ, პატივცემულო? — პაუზის შემდეგ იკითხა ერთმა, ამ ავტობუსში ყველაზე თამამმა სტუდენტმა.

— რატომ და ჩვენ ყველას ჩვენი აღმზრდელი ცოდვანი გვაწევს. ცხოვეთების თავისი მსახვრალი ხელი დავადლო მხარზე და გვიოხრა — იცხოვრეთ, გაუქელით, თუ ვერ გაუძლებთ, სხვანი მოვლენ თქვენს ადგილას. და ჩვენც წელში ვწყდებით, ნემსის ყუნწში ვძვრებით, ვეჩვევით, ათას პატარა ცოდვას ჩავდივართ ჩვენი თავისა და სინდისის წინაშე, რომ გადავრჩეთ, გავუძლოთ.

— განა ყველგან ასე არ არის, მთაშიც და ბარშიც? — იკითხა იმავე სტუდენტმა. პროფესორმა ახლა შეხედა მას. შეკითხვის მომცემი ვაჟურად შეკრეჭილთმინანი, ლამაზი, კეხიანი ცხვირის და ბრიალა თვალების მქონე გოგონა იყო.

უკანა რიგში მსხდომნი წინ გადმოჯდნენ. საუბარი მეორეკურსელთათვის განსაკუთრებით საინტერესო ელფერს იძენდა.

— ყველგან ასეა, მაგრამ შორეული სოფლები, მიუხედავად ადგილები, მთები მაინც შედარებით დაცულია მავნე გავლენებისაგან. ბარში, დიდ ქალაქებში ადამიანებს ერთმანეთთან სხვა ურთიერთობა აქვთ. ჩვენ ყოველდღიურად ათას უცნობს ვხვდებით, ვღებულობთ, ვესაუბრებით. რასაკვირველია, სისულელეა იმის მტკიცება, რომ ყველას ერთნაირად ვუსმენთ და თუ საჭიროებს, ერთნაირად ვუწევთ დახმარების ხელს. ქალაქში „ლავირება“ გვიხდება, სოფლად კი კატეგორია „უცნობი“ თითქმის არ არსებობს. იქ ერთმანეთთან წლების განმავლობაში განსაზღვრული, თითქოსდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ურთიერთობა აქვთ. იქ ადამიანს უპირატესად თავისი პიროვნული ღირსებების მიხედვით აფასებენ. ქალაქი კი, ქალაქი მატყუარაა, ზოგჯერ შეიძლება წლების განმავლობაში შენს გვერდით მუშაობდეს კაცი და ვერ გაიცნო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმიტომ რომ, შენ მასთან ცალმხრივი, პროფესიული ურთიერთობა გაქვს. არ იცნობ მას ოჯახთან, ტოლმეგობრებთან, ნათესაებთან ყოფნისას.

ხშირად არ იცი, რას აკეთებს იგი სა-  
მუშაოსგან თავისუფალ დროს.

— იქნებ სჯობდეს ადამიანს ასე, შო-  
რიდან უტყვირო და არ ჩაწვდეს მის ყო-  
ველ წვრილმანს, იქნებ ადამიანი ასე  
უფრო საყვარელია? — იკითხა შუა რი-  
გებიდან ოდნავ გაბზარულმა, ვაჟაკუ-  
რმა ხმამ.

— არა, ხართ მართალი! — მიუგო პრო-  
ფესორმა — უმჯობესია ცხოვრებაში შე-  
ნი ნაცნობების წრე განსაზღვრული  
იყოს და მათ კარგად იცნობდე. ვიდრე  
შენ ირგვლივ ტრიალებდეს რებუსის-  
მსგავსი, რთული, ზოგჯერ ნიღბიანი სა-  
ხეები. თუ ატყობთ, ჩვენი ცხოვრების  
დღიი ნაწილი ურთიერთობის გარკვე-  
ვას მიჰქვს. არა თუ უბრალო ნაცნობი,  
წლების განმავლობაში მეგობრობ კაც-  
თან და ბოლოს ისეთ სისაძაგლეს გა-  
გიკეთებს, რომ სანანებლად დაგრჩება  
მისი მეგობრობაც და მასთან გატარე-  
ბული დღეებიც.

— ეს იქნებ იმიტომაცაა, რომ ადა-  
მიანებს სწყინდებათ ერთმანეთი, — წაი-  
ფილოსოფოსა პროფესორის უკან, ფან-  
ჯარასთან მოკალათებულმა ქერათმიან-  
მა გოგონამ.

— ვერ გავიგე! — სათვალე მოიხსნა  
პროფესორმა და რეპლიკის მომცემს  
შეხედა.

— მაგალითად, მე მქონია ასეთი შე-  
მთხვევა: სკოლაში განუყრელი მეგო-  
ბარი მყავდა. ერთ მერსზე ვიჯექით.

— რა ერქვა? — იკითხა ვიღაცამ.

— რა მნიშვნელობა აქვს — სახესმო-  
წოლილი თმები უკან გადაიგდო გოგო-  
ნამ — როზა ვაშაყმაძე. სულ ერთად ვი-  
ყავით. მერე, როცა ყველაფერი ვიცო-  
დით ერთმანეთის შესახებ, უცებ მო-  
გვწყყინდებოდა ერთმანეთი, საოცრად  
არასიმპათიურ არსებებად მოგვეჩვენ-  
ებოდა და ვიჩხუბებდით. გავივლიდა  
ერთი კვირა, შევერიგდებოდით და უფ-  
რო გვიყვარდა ერთმანეთი. ის ჩხუბი კა-  
ტალიზატორივით მოქმედებდა ჩვენზე.  
რისი ბრალი იყო ეს? მე ასე ვესანი. დი-  
ღხანს ერთად ყოფნისას, პიროვნების  
სრულად შეცნობისას შეიძლება ადა-

მიანი ისე გამარტივდეს, რომ უინტე-  
რესო გახდეს.

პროფესორმა სათვალე მოიხსნა, თვა-  
ლები ავტობუსის ჰერს მიაპყრო და  
რალაც რთულსა და იდუმალს თქმას  
აპირებდა, მაგრამ ოქროსთმიანმა ქალი-  
შვილმა არ დაეცალა:

— მე ვფიქრობ, ადამიანმა გული არ-  
ავის არ უნდა გაუხსნას ბოლომდე.

ამ სიტყვებზე სავარძლებს შორის  
ფეხზე მდგარ, სახელურზე ჩამოკიდე-  
ბულ სამ ბიჭს ერთდროულად გაეცინა.

— რა გაცინებთ?! — გაწყრა მოკამათე  
— დიან — ყოველთვის უნდა დაიტოვო  
რალაც შენეული, გაუცემელი. ადამიან-  
ნი ყოველთვის ახალი უნდა იყოს. ბო-  
ლომდე გაუშიფრავი. გულახდილებს  
ხშირად დასცინიან. გულახდილობა  
გულუბრყვილობაა.

— რას ლაპარაკობ, გოგო შენ?! —  
წამოხტა ქერათმიანის უკან აქამდე ჩუ-  
მად მდგარი ლურჯსვიტრიანი ყმაწვი-  
ლი, რომელსაც პირველსავე ფრაზაზე  
შეეტყო, რომ დასავლეთ საქართველოს  
ერთი უღამაზესი კუთხიდან უნდა ყო-  
ფილიყო, — გამოცანებით ლაპარაკი  
ჯობია გულახდილობას? ამ დამალუფაა  
რომ გაართულა ცხოვრება, ყველა რომ  
იმას ლაპარაკობდეს, რასაც ფიქრობს,  
ცხოვრება უფრო ადვილი იქნებოდა.  
აბა რა, მითუმეტეს მეგობართან არა-  
ფფერი დამალული არ უნდა გქონდეს!  
სახელურზე ჩამოყიდებულ სამ ჯინსი-  
ან ბიჭს ისევე გაეცინა.

— ასე არის ეს! — განავრძო ლურჯ-  
სვიტრიანმა — გულახდილობას რა სჯო-  
ბია, გულახდილობა პირველია!

— საუბარმა სხვა მიმართულება მი-  
იღო. — თქვა ბატონმა ამბერკიმ და  
ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. პროფე-  
სორს არ სურდა უსისტემო სტუდენ-  
ტურ კამათში მომრიგებლის როლი და-  
რჩენოდა. ბატონ ამბერკის უყვარდა,  
როცა თვითონ ლაპარაკობდა და სხვები  
სულგანაბლული უსმენდნენ. — ჩვენ  
ახლა საქართველოს მთიანეთში ვიმყო-

რეაზი მუხველაძე  
მოთხრობები



ფებით. გახსენეთ ყაზბეგის, ვაჟას გმირები. რა მართლები, რა პირდაპირები, რა ვაჟაკურნი არიან ისინი.

— მერე ეს მთის ბრაღია? — ოდნავი პაუზა იშოვა თუ არა ჩაურთო ვიღაცამ, პროფესორი უკმაყოფილოდ შეიმუშუნა.

— მთის ბრაღიც არის. მთა გაურყვნიელია. იგი დიდხანს ინარჩუნებს ერის საუკეთესო ეთიკურ და ეთნოგრაფიულ თვისებებს. მთა მოდას ასე იოლად არ დაჰყვება. მთაში თითქოს ღროც ნელა გადის. თუ გახსოვთ, საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენი მაღალი მთიანეთი თემური წყობილებით შეხვდა.

— ეს, იქნებ, ერთი მხრივ კარგია, რომ მთა უფრო პატრიარქალურია და მუზეუმით ინახავს ნაციონალურ თვისებებს, მაგრამ შესაბამისად ცივილიზაცია რომ გვიან აღწევს? — ისევ აღელდა კრიტიკულად განწყობილი ქერთიანი გოგონა.

— რას ეძახი, გოგო, შენ ცივილიზაციას?

— რას ეძახი? ყველაფერთან ერთად თბილ წყალს და არა ძროხის ბოგაზე წოლას. იქნებ ძველად მთაში მცხოვრებნი თვეში ერთხელ იბანდნენ ტანს? დაფიქრდი აბა? სისხლის აღების სულელურ ჩვეულებაზე მეოცე საუკუნეში უნდა გველაპარაკნა? და ცივილიზაციას კიდევ იმას ეძახი, რომ როცა გოგოს ელაპარაკები, ხელებს არ უნდა იქნევდე და არ უნდა ჰყვიროდე! — არ დაუთმო აპილბილებულმა ქალიშვილმა.

— ძალიან ცივილიზებული ხალხი იყო ჩვენს საუკუნეში მაიდანეკს და ოსვენციმს რომ ავებდა, რა სისხლის აღებაზე ლაპარაკობ. ჯერ ერთი, სადაა სისხლის აღება და მეორეც, ცივილიზაცია პირობითია. ან მე და შენ არ ვვესმის, რას ნიშნავს ცივილიზაცია. თუ ცივილიზაცია, შენი ჭკუით, თბილ წყალი და თმის ყვითლად შეღებვა, ეგება ჯობდეს ცოტა მოთმენა და ამ ნასესხებ ცივილიზაციას არ შევაჭამოთ ის, საუკუნური ცივილიზაცია, რომელიც ვერცხლის ჭამა, გატანა, ერთგულე-

ბა. სამშობლოს გამახვილებული ნობა და თავდადება ჰქვია.

— ეს ყველაფერი სხვათაშორის ფორტს, თბილ წყალს და ასეთ რაღაცეებს სულ არ უშლის ხელს! — მიუვო ქერთიანი და თავისი რბილი, საყვარელი თმები თითების მოხდენილი მოძრაობით ისევ უკან გადაიყარა.

კამათი კვლავ რთულ განვითარებას იძენდა და პროფესორ ამბერკი გოგისვანიძის ჩარევა აუცილებელი იყო. პროფესორმაც არ დააყოვნა.

— გარდა ამისა, მთიელის ხასიათის ჩამოყალიბებას ბუნებრივი პირობებიც უწყობს ხელს, — ვითომ ამერიკა აღმოაჩინა, ბატონმა ამბერკიმ, — პირქუში ბუნება ადამიანს სიჩუმეს აჩვენებს. მაღალი მთები სისპეტაკეს და სიამაყეს უნერგავს. მძიმე კლიმატური პირობები ვაჟაკობას და ამტანიანობას. იგი სტუმრის მონატრულია და ამიტომ უყვარს სტუმარი ასე განსაკუთრებით. მოიგონეთ ვაჟას და ყაზბეგის გმირები... — პროფესორი ამის მსგავს და უფრო საინტერესო ბევრი რამის თქმას აპირებდა, მაგრამ ავტობუსი უეცრად შეჩერდა და უკანა რიგებიდან ვიღაცამ იყვირა — ცხვარი! ექსკურსანტები ფანჯრებს მიაწყდნენ. მართლაც დიდებული სანახაობა იყო. ავტობუსი ცხვრის უზარმაზარ მდინარეში იღვა. გზა და მისი სანაპირონი კარგა მანძილზე გადათეთრებული იყო. მიდიოდნენ ცხვრები ჩქარი, ცხვრული ნაბიჯებით, დუმების თანაღლით და თავის კანტურით. ირგვლივ ძაღლების ყევა, ცხვრების პეტელი და მეცხვარეთა გაურკვეველი შეძახილი ერთმანეთში არეულიყო. ავტობუსში ვიღაცამ აზრი გამოთქვა, ერთი ცხვარი ვიყიდოთ და სტეფანწმინდაში დაუხუთების დათვალეობის შემდეგ დაეკლათო. პროფესორიც დაითანხმეს. ელვის-სისწრაფით ჩამოკრიფეს მანეთ-მანეთი და ჟივილ-ხივილით ჩაცვივდნენ ცხვრის მდინარეში. წინ ამბერკი გოგისვანიძე მიუძღოდათ. პროფესორს მკლავზე თავისი განუყრელი მოსასხამი გადაეგდო და ხელში ახლახანს მოგროვილი ოცდახუთი მანეთი ეჭირა.





— გამარჯობათ, — ხელი გაუწოდა პროფესორმა დაბამბულ რუსულ „ტელეგრაფიკაში“ და გრძელ რეზინის ჩექმებში გამოწყობილ მწყემსს, ხელში დიდი კომბალი და ფაფახი ვაჟკაცურ იერს რომ აძლევდა.

მეცხვარემ სალაშზე უპასუხა და გზის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ მისკენ მიპყრობილი ოცდახუთი სახე რომ შენიშნა, ეტყობა რაღაც უნდა მკითხონო, გაიფიქრა და შეჩერდა.

— გიმრავლოს ცხორი, — მოხევეურად მოუქცია პროფესორმა, და სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არ მოუხდა ნათქვამი. მეცხვარეც, რასაკვირველია, მიხვდა ამ ხელოვნურობას და პროფესორის სურვილი უპასუხოდ დატოვა.

— ექსკურსიაზე მივდივართ, — დაიბნა პროფესორი და სიტყვებს დაუწყობებნა, მერე თითქოს გამოსავალი იპოვაო დაუმატა, — სულ რამდენი ცხვარი იქნება?

— ორი ათასამდე, — მიუგო მეცხვარემ.

— ყოველდღე ითვლით? — იკითხა მეგრულ-აქციენტანმა სტუდენტმა, მეცხვარეს გაეცინა.

— ყოველდღე ვინ დათვლის.

— რას ჰქვია ორიათასამდე, ზუსტად არ იცით რამდენია? — საუბარში ჩაერია ჩვენი ნაცნობი ქერათმიანი გოგონა, რომელიც მზის შუქზე და მწვანე ფერღობების ფონზე კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა.

— რაიდ არ ვიცით. ერთი ცხორი რომ დააკლდეს, გადავხედამთ და მაშინვე შევიტყობთ. — თავი მოიწონა მეცხვარემ და ჩვენი ქერათმიანი საექვოდ ათვალეირ-ჩათვალეირა.

— ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ერთი ცხვარი გვინდა, ვერ შევლევით? — ჰკითხა სამი ჯინსიანი ბიჭიდან ყველაზე მაღალმა. მეცხვარემ კოპები შეიკრა და თავი გააქანა.

— სტუდენტს სურდა ეკითხა, ხომ ვერ მოგვყიდითო, — დააზუსტა პროფესორმა.

— რაიდ ვერ მაგყიდით, — დამშვიდდა მეცხვარე. მიიხედ-მოიხედა, ცხვარს

შეერია, ცოტა ხანს იზუტუტუტა, მერე ერთ-ერთს ხელი ჩაავლო და ქარავნიდნამ გამოათრია. — ეს გასაყიდ არს!

— რამდენს აფასებთ? — ჰკითხა პროფესორმა.

— სამ თუმან უნდა.

— ოცდახუთად არ შეიძლება? — გაუღიმა ბატონმა ამბერკიმ.

— არა.

— იცით რა, — ბატონი ამბერკი შეეცადა აესხნა მეცხვარისათვის, — ესენი პედინსტიტუტის სტუდენტები არიან. ფული მეტი არა აქვთ. ოცდახუთ მანეთს გაძლევენ და აიღეთ.

მეცხვარემ უარის ნიშნად განზე გაიხედა. ეტყობა, მასზე გულისამაჩუყებლად ვერ იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ ექსკურსანტები სტუდენტები იყვნენ.

პროფესორს სახეზე შეეტყო, რომ გული ეტკინა.

— დავამატებთ პატივცემულს. — თქვა ვილაძამ.

— დამატებაში არ არის საქმე, ფული მეცა მაქვს, მაგრამ საქმე პრინციპშია. რა მოსაზრება აქვს ისეთი, რომ მაინცდამაინც ოცდაათ მანეთად უნდა მოგვყიდოს ეს გამხმარი, გატყაული ცხვარი, — თქვა პროფესორმა ისე, რომ მასთან ახლოს მდგომ სტუდენტებს გაეგონათ.

— ალბათ ვალი აქვს, — იხუმრა ლურჯვიტრიანიმა. არავის გასცინებია.

— მეგობარო, ნუ გვაწყენინებ, მოგვეცე ოცდახუთად, — შეეხეწა ბატონი ამბერკი.

— მე არ მეხუმრების, — გაწყრა მეცხვარე. — თუ გინდათ, იყიდეთ, არადა მშვიდობით გვიღიასთ. — იგი ცხვარს განთავისუფლებას უპირებდა, მაგრამ ქერათმიანიმა დაუჟკერა. — არ გაუშვით, გთხოვთ!

— უკანასკნელი ფასი გვითხარით, — პროფესორს სახეზე ფერი აღარ ედო.

— ოცდარვაღ წაიყვანეთ.

— საქმე იმაშია, რომ ჩვენ ოცდახუ-

რევაჲ ირვავლაჲა  
მოთხრობაჲი

თი კაცი ვართ. მანეთ-მანეთი ჩამოგვ-  
რიბეთ.

— ხელმეორედ ჩამაჰკრიბეთ, — გაე-  
ცინა მეცხვარეს. პროფესორმა იფიქრა,  
რაკი გავაცინეთ, ეტყობა მოლბაო და  
მომენტი შეუტრია.

— აჰა, გამოგვართვი ოცდახუთი.

— არ იქნების! გითხარით, არ იქნების  
და მორჩა! — ხმას აუწია მწყემსმა.

— ნუთუ ასე ძვირფასია შენთვის ის  
სამი მანეთი, რომ ამდენი ხალხის წინა-  
შე თავს იმცირებ?

— რად ვიმცირებ? — გაუკვირდა  
მწყემსს.

— ხომ ხედავთ, გოგონები გიყურე-  
ბენ. ვაჟკაცი არა ხარ? დაგვითმე ოცდა-  
ხუთ მანეთად, — თავმოყვარეობაზე  
ითამაშა პროფესორმა.

— თქვენ მაცლილ ხალხ ხართ. სათა-  
მამოდ არა მცალია, ახლა ოცდარვადაც  
არ ვაგატანთ, — გაბრაზდა მწყემსი.  
ცხვარს ხელი უშვა და ექსკურსანტებს

გამოუმშვიდობებლად და უცერემონიო-  
ოდ გაეცალა.



ბნელოდა.

ექსკურსანტები უკან ბრუნდებოდნენ.  
დაღლილობა, სიცხე და დანჯღრეუ-  
ლი ავტობუსი ახლა უფრო მძაფრად  
იგრძნობოდა.

ექსკურსიის მეორე ნახევარი აშკარად  
უხალისოდ ჩატარდა. მწყემსმა ყველას  
გუნება გაუფუჭა.

პროფესორი ამბერკი გოგისვანიძე  
მთელი გზა ჩუმად იჯდა. „ეტყობა  
დავებრდი, მომქანცა მგზავრობამ, რა-  
ლა დროს ჩემი ექსკურსიებია“, — დრო-  
დადრო გაიფიქრებდა პროფესორი.

მაგრამ მარტო ეს არ იყო მიზეზი, თუ  
პროფესორი შემდგომ ექსკურსიაზე  
უარს იტყოდა. ის მიზეზი არავის ეცო-  
დინებოდა, თვით პროფესორის გარდა,  
... და იქნებ სხვებისთვის ასე სჯობდა.



## მცხეთის გზის მოზაიკა

მონასტრები და ხარაჩოები,  
ზაპეტი, ფრესკა — წმინდა სამება,  
ურემზე ტანტრე, განმარტოებით  
ზედაზნისაკენ მიიზლანებთა.

წინ ბებრის ციხე მხარმონგრეული,  
ჯვარს ზენაქარი ვარსკვლავებს აყრის,  
სვეტიცხოველი, მითად ქცეული  
ღვას უკვდავება ცალხელა მხატვრის.

გზები, ვენახი, ძნათა კონები,  
ანანურული ფიქლის ყორენი,  
ვით ლამისყანის ყაყაჩოები  
პოსტებზე — ავტონისპექტორები.

ცას ხევენ ლურჯი ლაინერები,  
მიწას — ტრაქტორთა შავი ხნულები,  
პაერს — ქანგები ნაირფერები,  
მცხეთელ ჯადოქრის თაიგულების.

ხილვანი, ფიქრნი, საფლავთა ექო,  
სადღაც სულ ახლოს მოსჩანს შორეთი,  
ხეთების ნაკვლევს, თუბალოთ ბექობთ  
თხრიან ვეება ბულდოზერები.

არქეოლოგთა დაჭმულ ყორღანებს  
დაჭფარფატებენ წინაპართ ჩრდილნი,  
ათას წლის მერე კვლავაც ოხრავენ  
ნაირგენი და დაღეწილნი.

აპრილს სიზმრები მიაქვს ცრასკენ,  
ვითარცა სხივნი კელაპტრისანი,  
გულს ძველებურად ისევ მიკლავს მე  
დარდი ვარდისა — სერაფიტასი.

სამრეკლოებზე ასულა სევდა,  
სადღაც ღრუბლებში სდუმან ზარები...  
მორწყულ ასფალტზე მოსახვევებთან  
ისმის ღრჭიალი საბურავების.

აქვე მარანი ჯაზით, არღანით,  
ქეიფი, ყალბი დითირამებით,  
ჯინსიან ვაჟთა აყალმაყალი,  
შეიკი, ტვისტი, მინი-კაბები.

ავტობუსი და ტურისტის პიპი,  
კამეჩები და მეურმე ტანტრე...  
ჩონჩხივით მოსჩანს პომპეის ხიდი  
ღეღამდინარის ქანვისფერ ტანზე.

## მისფარი კანური

მოაქროლებს ცისფერ ტალღებს —  
ცისფერ მთიდან ცისფერ რაშებს,  
ენარცხება ცხრა მთას, ცხრა ხევს,  
ცისფერ ფაფარს ათამაშებს.

რა გაუძლებს შლევს და ფიცხელს —  
კლდეებს ცისფერ ხმლებით ებრძვის,  
ედავება გოჯის ციხეს —  
რად დათმეო ოქროს ვერძი!..

გოჯისციხე... სისხლი... ცრემლი...  
სად წაუსვალ წარსულ დარდებს...  
უხმოდ ვწყველი... ისევ ვწყველი  
იაზონს და არგონავტებს.

ქრის ცისფერი ნიაგქარი,  
ქრუანტელი ადის ცამდე,  
ცაზე ცისარტყელის რკალი —  
ცისფერ მთიდან ფაზისამდე.

შარიშურობს სადღაც მითი,  
ღევებივით დგანან მთები,  
ლურჯ მორევში თითზე ვითვლი  
ლურჯ ფორაკებს კალმახების.

ის კი — მოქრის,  
მოქრის, მოქრის,  
მოაკვლევს ცისფერ რაშებს,  
ზის ულაყზე ქარი-კოლხი,  
ცისფერ ფაფარს ათამაშებს!

—

75

მ ა მ უ ლ ს

ძალიან მიყვარს წარსული, მაგრამ  
ეს სინამდვილე —  
უფრო ძალიან.  
ასე მიწაზე რომ დამამაგრა —  
ჩემი ხორცია, ჩემი ძვალია...  
ძალიან მიყვარს სიცოცხლე, მაგრამ  
შენთვის სიკვდილი —  
უფრო ძალიან.

სხვა კაცი ანუ სინაწული

აი, ის კაცი, —  
ოცნებების და იმედების,  
ვისთანაც ხუთი გავატარე ძვირფასი წელი...

მოულოდნელად შემომხვდა გზაში,  
პატივცემული კაცი გამხდარი  
მამის სახელით და ქუდმოხდით ესალმებოდნენ...  
მან ძველებურად ბეჭეზე ხელი მომითათუნა,  
მიკადრა,  
ჩემთან მასლაათი არ ითაკილა...  
და საუბარში,  
სხვათაშორის,  
როცა გაიგო,  
რომ ისევ მწამდა  
ლექსი,  
სიკეთე,  
კანონი და ჭეშმარიტება, —  
კადაბრუნდა და  
სიცილისგან კინაღამ მოკვდა...

აი, ის კაცი —  
ოცნებების და იმედების,  
ვისთანაც ხუთი გავატარე ძვირფასი წელი...





პოეზიის გოდია

## ფილოსოფიური ღირებულება

### 1. Proemion

სახელით მისით, თავი თვისი რომელმაც შექმნა,  
მარადჟამიერ შემოქმედად მოწოდებულმა;  
სახელით მისით, ვინც წარმოშობს რწმენას და ნდობას,  
ბადებს სიყვარულს, ნერგავს საქმეს და გემოსავს ძალით;  
სახელით მისით, ეგზომ ხშირად სახელდებული,  
თავისი არსით კვლავ უცნობი მაინც რომ რჩება:

სანამდეც სმენა მიგიწვდება და გიჭრის თვალი,  
მარტოდენ ნაცნობს ჰპოვებ, რაც მას ემგვანება,  
და შენი გონის უზენაეს აელვარებას  
უკვე ეს ხატი, ეს მსგავსება, ჰყოფნის სავესებით;  
იგი გიზიდავს, ლაღად გიხმობს კვლავ საძიებლად  
და სადაც მიხვალ, უმალ ჰყვავის იქ არე-მარე;  
შენ აღარ ითვლი, არ აღნუსხავ დროის წილაღებს  
და ყოველ ნაბიჯს მისცემია განუზომლობა.

რაღა ღმერთი, თუ უბიძგებს მხოლოდ გარედან  
და ატრიალებს წუთისოფელს თითის გარშემო!  
ღმერთს ის შეჰფერის, შიგნით აღძრას სამყარო მუდამ,  
ბუნებად იქმნას თავად, თვისგან ჰკვებოს ბუნება,  
რათა ყოველს, რაც მასში ცოცხლობს, იძერის და არის,  
არასდროს აკლდეს მისი გონი, მისი მძლეობა.

შიგნით მდებარებს უნივერსუმიც  
და ამას მოსდევს ეგ კარგი ჩვევაც:  
საუკეთესოს რაც კი რამ ვიცით,  
ღვთაებრივს ვარქმევთ, ცა-მყარს ღიახაც  
ჩვენს ღმერთს ვაკუთვნებთ, რომლის შიშით გვაქვს  
და ვინც, ვით ძალგვიძს, გვიყვარს კიდევაც.

## გენიალური უნარი

მთელი შესაქმე ბუნებისაა ნამოქმედარი, ზეესის ტახტიდან  
 ელვარებს სხივი, ასაზრდოვებს სოფელს და ზარავს.

## ბუნება და გონება

რომ შეგძლებოდათ, მეოცნებენო, იდეალთ წვდომა. ო, რა თქმა გინდათ,  
 ვითარ შეპფერის, ბუნებასაც დასდებდით პატივს.

რომ შეგძლებოდათ, ფილისტერებო, ბუნების ხილვა მის სიღაღით,  
 აგიძლებოდათ ის თვითონვე იდეებამდე.

რომ ყოფილიყო ყველგან ბუნებაც და გენიოსიც პატივდებული,  
 მითხარ, ფანტასტო, ყურისმგდებლად ვინ შეგრჩებოდა?

## ფილოსოფოსი და მეოცნებე

პირველს მიწაზე დაუდგამს ფეხი, ოღონდ ცისაკენ უპყრია თვალი;  
 ხოლო მეორე ტალახს უმზერს ფეხებაწვილი.

## ამოცანა

ბურც ერთი ნურვის დაემგანება, ყველა ემსგავსოს ოღონდ უმაღლესს.  
 ეს ვით შევიძლოთ? — სრულქმნას ყველამ თავისი თავი.

## ყოვლის მოვალეობა

მთელი გიხმობდეს მარადჟამიერ, და რახან თავად ვერ გამოელდები,  
 მთელს შეეთვისე, ვითარც მისი მარგი ნაწილი.

## მცირეს ღირსება

იცით, რა აქცევს მცირესაც რამედ? — მისფარდ მცირედის მარჯვედ კეთება!  
 დიდს ენატრება ამგვარადვე აკეთოს დიდი!

რა არის ხოლმე ყველაზე ძნელი? — უადვილესად რაც გესახება:  
 ცხადლივ იხილო თვალით, რაიც თვალთა წინ გიდევის.

თქმულა: Cogito... ვაზროვნებ ანუ ვარსებობ კიდევ. თუკი პრველი  
 გიჩანს მართალი, უჭველი გახლავს მეორეც.

თუკი ვაზროვნებ, კიდევ ვარსებობ. კეთილი! ოღონდ ეგვეც ხომ ხდება:  
 ხშირად ვარ ისე, რომ ნამდვილად არაფერს ვფიქრობ.

სად თეორიას აღარაფერი მოეძვეება, პრაქტიკა ბრძანებს:  
 უთუოდ ძალგამს, მეგობარო, რამეთუ გმართებს.

## წმინდა

რა არის წმინდა? — დიხაც იგი, რაიც მრავალ სულს ერთმანეთთან ჰკრავს;  
 ისე მსუბუქად ჰკრავდეს თუნდაც, ვით ლელი კონას.

## უწმინდესი

უწმინდესია, რაც კი ნაირ გონთ, უკეთ და უკეთ ნაგრძნობ-განცდილი,  
დღეს და მარადის კიდევ უფრო აერთიანებს.

პრომეთევს ცეცხლი მოსტაცე, მუზავ, განმაცოცხლებლად კაცთა არსების!  
კვალად—ამურსაც: მისებრ გეტანჯე და გვანეტარე!

რომელ გენიოსს ვუხმობ უდიდესს? — უდიდესია, ვინც ხელოვნებით  
დატყვევებული, კვლავ ბუნების მისდევს ნაკვალევს.

## სასტიკი ბრძოლა

უნიჭობა მტერთაგან გახლავთ უსასტიკესი, მყის ცთომილებას  
გენიოსისას მიიკუთვნებს, ვით სათნოებას.

## თავისუფლება

თავისუფლება დიდებული რამ სამკაულია, ულამაზესი,  
და მაინც ყველას, როგორც ეხედავთ, როდი უხდება.

## ორმაგი ცთომილება

თუ ადამიანს ცუდად უყურებ, ემანდ არ შეცდვ, ო, ქვეყნის მკვიდრო!  
ვით გაწბილდები, მეოცნებევ, თუ რაცხს მას კარგად.

## 3. ხუთი ბნობე

უსასრულოში თუ გასურს იარო,  
გველოს ყოველმხრივ მხოლოდ სასრულში.

მთელში თუ გინდა იპოვო შევება,  
უუმცირესში იხილე მთელი.

მაშინდა იგრძნობ სასრულ სიმშვიდეს,  
როცა პოლუსი ეხება პოლუსს.

ღმერთს ის უმადლეთ, ჰე, დროის შვილნო,  
მან პოლუსები მარად რომ გააჰყო.

უფრო სასტიკად რალამ მაწამოს,  
თუ სამოთხეში აღმოვჩნდი მარტო?

## 4. ადამიანური ბრძნობა

პოი, ღმერთებო, დიდო ღმერთებო,  
ზემთო რომ სუფევთ შორეულ ცაზე,  
გებოძებინათ ჩვენთვის ამქვეყნად  
მტკიცე გონება და სრული სიმზნე,  
მოგასვენებდით, პოი, კეთილნო,  
იმ თქვენ შორეულ ცაზე სულ ზემოთ.

5.

მშიშარა აზრთა  
მფრთხალი ფანდები,  
დედლური კრთომა,  
ლაჩრული რისხვა  
ვერ აგაცდენენ უბედურებას,  
არ მოგიტანენ თავისუფლებას.

ყველა მძლავრობის  
ჯიბრზე სამყოფად,  
ქედმოუხრელად  
მუდამ სადგომად,  
რომ არ მოგაკლდეს ძალმოსილება,  
მოუხმე ღმერთთა ძვალმაგარ მკლავებს.

6.

ვინაც ფლობს ცოდნას და ხელოვნებას,  
აქვს რელიგიაც.  
ვისაც ორთავე აკლია, კქონდეს  
სარწმუნოება.

7.

რასაც ნამდვილად ან კიდევ ზღაპრად  
ათასი წიგნი არ წარმოგიჩენს,  
ედრება გოდოლს ბაბილონისას,  
თუ სიყვარულმა არ შეანივთა.

8.

თვალი მზიური არ ყოფილიყო,  
მზეს ვერასოდეს ვერ იხილავდა;  
ღმერთის კუთვნილი ძალა გვკლებოდა,  
ვით მოგვხიბლავდა ჩვენ ღვთაებრივი?

9. უბგონება

ბუნების მჭვრეტო, ერთსაც იგივე  
პატივი დასდე, რასაც სდებ მრავალს;  
ნურაფერს ეძებ გარეთ ან შიგნით:  
ამრიგად ჩასწვდი, დაუყოვნებლივ,  
წმინდად მოვლენილ იდუმალებას.  
მყის გაიხარე მართალ ჩვენებით,  
არ სახუმარო ამა თამაშით:  
არაფერს ეთქმის ცოცხალსა ერთი,  
ნიადავ არის იგი მრავალი.



## ფიზიკოსს

„ბუნების წიას“.—

ო, ფილისტერო! —

„შექმნილი სული ვერსად ჩასწვდება“?

მე და ჩემ და-ძმას

სიტყვას ამდაგვარს

ნულარ გვაგონებთ.

ჩვენ ამას ვფიქრობთ: სადაც გენებოთ,

შიგნით ვართ ყველგან.

„ბედნიერია, ვისაც ბუნება

თუნდაც გარედან ნაჭუჭს უჩვენებს!“

სამოცი წელი ვისმენ მე ამას

და ვიწყველები, თუმცაღა ჩუმაღ;

სულ ვიმეორებ ათასნაირად:

ის გადაღვეს ყოველს უზვად და ლაღად;

არ გააჩნია გული ბუნებას

და არც ნაჭუჭი,

მას ყველაფერი უჩანს ერბამი.

გიჯობს იკითხო, თავად შენ რა ხარ,

საფხე გული თუ ოდენ ნაჭუჭი?

## 11. ნათელი და ბნელი

მათ ნაზად უყვართ ერთიმეორე,

უერთმანეთოდ ვერც-ერთი ვერ ძლებს,

და როგორც ერთი მეორეს შთანთქავს,

ჭრელი რამ არსიც უმაღ გაჩნდება.

საკუთარ თვალში ცქერა უნდა გახალისებდეს,

რაიც პლატონმა იმთავითვე იცოდა კარგად;

რადგან ესაა შინა-არსი ბუნების მარად:

იგი გარეთაც იგივეა, რაც იყო შიგნით.

მათ ნაზად უყვართ ერთიმეორე,

უერთმანეთოდ ვერც-ერთი ვერ ძლებს,

და როგორც ერთი მეორეს შთანთქავს,

ჭრელი რამ არსიც უმაღ გაჩნდება.

შენ ჩაუკვირდი ოდონდ იმას მართალი გულით,

რაიც პლატონმა გამოიცნო ნათლის და ბნელის,

ვინაც, ვითარცა გაგვეგება ამჟამად ცხადად,

ფილოსოფოსთა შორის სულაც არ იყო კატა.

## 12. განცხადებული საიდუმლო

წმინდაო ჰაფიზ,

მათ მისტიკური ენა გიწოდეს

და, აი, სიტყვით განსწავლულებმა

აქ სიტყვის აზრი ვერ შეიმეცნეს.

მისტიკურიო, იმიტომ გარქვეს,  
რომ სისულელეს ზედავენ შენში  
და თავისსავე ამღვრულ ღვინოს  
შენი სახელით სხვას სთავაზობენ.

შენ კი, რამეთუ იმათ ვერ გიცნეს,  
ხარ მისტიკურად წმინდა და სუფთა.  
არვის მორჩილი რომ ხარ ნეტარი,  
მათ ეს არ უნდათ იწამონ შენში.

### 13. მინიშნება

და მაგრამ მაინც, ვისაც ვკილავ, მართალნი ჩანან:  
რამეთუ სიტყვა რომ არ არის ერთის მნიშვნელი,  
ხომ თავისთავად უნდა იყოს ეს გასაგები.  
ყოველი სიტყვა მარაოა! მის ფარფლებიდან  
ცელქად გამოკრთის ხოლმე წყვილი ლამაზი თვალი.  
მარაო გასლავთ მხოლოდ მარმაში,  
თუმცადა სახეს ეფარვის იგი,  
თავად გოგონას როდი მიმაღაფხ:  
ულამაზესი, რაც აბაღია,  
მის თვალთა შუქი, ჩემს თვალში ბრწყინავს.

### 14. ყოველგანარსი

ათასდაგვარად შეგიძლია გაუჩინარდე,  
უსაყვარლესო, მყის გამოგიცნობ.  
გინდა ჯადოსნის საბურველი გადაიფარო,  
ყოველგანარსო, უმაღვე გიცნობ.  
თუნდაც წერწეტა კვიპაროსად იცვალო სახე,  
უტანადესო, უთუოდ გიცნობ.  
ან წმინდა არხის ზვირთთა დარად რომ განიღვარო,  
უტკბესო ჩემო, მაშინაც გიცნობ.  
ანდა შადრევნის შესფთა წვიმად თუ განიფანტე,  
უპკლუცესო, კვლავ გამოგიცნობ.  
ოდეს ღრუბელი, რათა იქმნეს, გარდაიქმნება,  
ნაირ-ნაირო, ღრუბელშიც გიცნობ.  
ყვავილთა ნოსად მინდორ-ველი რომ გადიშლება,  
უფერადესო, აგრეთვე გიცნობ.  
და სადაც სურო ხეს ეხვევა უთვალავ მკლავით,  
ყოვლისმომცველო, იქაც შენ გიცნობ.  
რა წამს მთა-გორზე აენთება მქუხარე დილა,  
ყოვლისიმიედო, სალამი შენდა.  
ხოლო როს შემდგომ მსურვალე ცა გადმოიმეხობა,  
გულთმავრცობელო, ვისუნთქავთ შენ თავს.  
რაც შემიცვნია გრძნობისა თუ გონების თვალით,  
შემგონებელო, მადლია შენი.  
და თუკი ალაჰს, უზენაესს, ას სახელს ვარქმევ,  
ასშივე მესმის სახელი შენი.



1. თარგმანისათვის

გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის აქ წარმოდგენილი ნიმუშები უპირატესად მის გვიანდელ „გნომიკურ“ ანუ აფორისტულ-სენტენციურ „მსოფლმხედველობით“ ლექსთა რიგს განეკუთვნება, რომელთა მხატვრულ-პოეტურ ღვრიტად, უწინარეს ყოვლისა, მათში გამოხატულ იდეათა შთამბეჭქი ძალა. ბრძნული სიღრმე-სიფართოვე და მეტადვე ის შინაგანი სიციხადეა საცნაური, რაც ქვეშაირიტების პირველნიშნად გვევლინება.

მაგრამ ამ ლირიკაში ლექსის არც ისეთ სპეციფიკურ-მხატვრულ კომპონენტებს ვნიშნებ: მარტოოდენ სამკაულის ფუნქცია, როგორცაა ხატოვანება, რიტმი და რითმა. ხატოვანება გოეთეს არა მარტო პოეტური ხედვის, არამედ საერთოდ მეტყველების ფორმა და ამდენად განუყოფელი ახლავს მის ამ თითქოსდა ერთიანად „არალირიკულ“ ლექსებსაც, რომლებშიც ყოველ სიტყვას ზუსტი აზრობრივი დატვირთვა ამძიმებს. ხოლო რიტმი და რითმა გოეთეს იმ მსაზღვრელებად მიაჩნია, „რომელთა წყალობითაც პოეზია უპირველესად იქცევა პოეზიად“ და, როგორც ასეთი, ისინი, ესაბლია, მის ფილოსოფიურ ლირიკაშიც მოქმედებენ მარჯანიზებელი ანუ ლექსის ყველა ელემენტის შემნივეთებელ-მაიცოცხლებელი, დინამიურ მთელად გამაერთიანებელი ფაქტორის სახით. სულაც: სწორედ რიტმისა და რითმის ვირტუოზული ოსტატობა სძენს გოეთეს ფილოსოფიურ ლექსებსაც იმ მამრულ ძალას, ერთდროულ სიმტიცივისა და სიმსუბუქეს, რაც მისი მთელი პოეზიის საეციფიკურ-გოეთესეულ სტილისტურ ნიშნად ჩათვლება. თუმცაღა, რასაკვირველია, მათი ესთეტიკური დანიშნულება თანაბრად მნიშვნელოვანი არაა: თუკი რითმა ლექსის მელოდიკას აყალიბებს, რიტმი მას პარმონიას სძენს, რითაც, პოეტის თქმისამებრ, თანდათან მთელ ჩვენ არსებას „განაწყობს“, „ჩვერ გრძნობაზე, მევერ წარმოსახვის უნარზე, დაბოლოს გონებასა და ზნეობრივ-ინტელექტუალურ კეთილსეობაზე მოქმედებს“.

ხოლო ამდენად გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის ისეთ მთარგმნელს, რომლის ხელსაც მისი ყველა აღნიშნული კომპონენტის, — როგორც იდეურ-ხატობრივ, ისე რიტმულ და რითმულ თავისებურებათა, — რეპროდუქცია არ ეწიფება, მარტო ის თუ შეუმსუბუქებეს საქმეს, რომ შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორის სახით შეუძლია სწორედ რითმა დასთმოს, რათა ამ მსხვერპლის ფასად ამ ლირიკის უმთავრესი თვისებანი, უპირატესად კი ის აზრობრივი შინაარსი შეინარჩუნოს, რომელიც მის ეანრსაც, ფილოსოფიურ ზასიათს საზღვრავს და შინაგან ფორმასაც, მეტყველების

შენლეულ ტემპს, დინჯ ტონალობას განაპიჯობრებებს.

სწორედ ასეთი მსხვერპლია ვაღებული გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშთა ზემორე თარგმანში, რომელიც მისი ავტორის მეცინიერული შტუდიების პროცესში წარმოსდგანაზნადა. მაგრამ რამდენდაც გოეთეს ლექსს აქ მაინც ერთ-ერთი არსებითი ნიშანი აკლია, იქნებ უმჯობესი იყოს, თუკი ამ თარგმანს მხოლოდ „მხატვრულ პუკარდს“ ვუწოდებთ, ხოლო მის გამოქვეყნებას იმის იმედით გავამართლებთ, რომ აღდრე თუ გვიან რომელიმე ლონიერი პოეტი მას, ორიგინალის შესაფერისად, კიდევაც გარითმავს.

მთარგმნელი გულითად მადლობას უძღვნის იმ პოეტებს, — ჯ. ავიანვილს, თ. ერისთავს, ვ. კოტეტიშვილს, რ. თვარაძეს, ა. სულაკაურს და ლ. წერდიანსა და ო. ჭილაძეს, — რომლებმაც უსახლისებითა თუ შენიშვნებით ეს მისთვის უჩვეულო სამუშაო გაუადვილეს.

2. გოეთეს ფილოსოფიური ლირიკისათვის

გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის მთავარი პრობლემა და თემაა: კაცი — სამყარო (ბუნება) — დემოტი. ან უფრო ზუსტად: ღმერთთან სამყაროს მეუფეობისათვის კაცის ქიდილი.

სერიოზული კომენტატორები დღეს იმაში ჩანან შეთანხმებულნი, რომ „სამყაროს გოეთესეულ სურათში ორივე სფეროს, — ადამიანურისა და ღვთაებრივის, — ერთიანობა ცხადდება“. მაგრამ მწვავე უთანხმოების სავანი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რა მსოფლმხედველობრივ საფუძველზე ამყარებს გოეთე ამ ერთიანობას და რა ტენდენციით გამსჭვალავს მას: მეცინიერულ-ფილოსოფიურითა თუ მისტიკურ-რელიგიურით.

„დასავლურ“ გოეთეანაში ის აზრი ქარბობს, თითქოს აქ მეცინიერული რელიგიურში იხსენება (კონრად ბურდახი) ანდა კაცური ღვთაებრივი გადარზდება და პოეებს დავეირგვინებას (ერიხ ტრუნცი).

ჩვენი თვალსაზრისით, საწინააღმდეგო ვითარებაა საცნაური: გოეთეს მსოფლლაქმისა და გაგების მთავარ ღირსებას ის შეადგენს, რომ იგი, გოეთე, რელიგიის მიერ კაცისათვის წართმეული და ღვთისათვის მიუკუთვნებულ უმადლეს ადამიანურ უნართ ისევ კაცს უბრუნებს, ისე რომ „ღმერთის“ ცნება მის რეცეპციაში თავის თავდაპირველსა და საკუთრივ რელიგიურ ხასიათს ჰკარგავს და თავისთვის ორგანულად უცხო ადამიანური. — ფილოსოფიურ-ეთიკურესთეტიკური, — შინაარსის გამოზატველ პირობით (სიმბოლურ) ცნებად იქცევა.

აღნიშნავდა რა, ნამდვილი ჰუმანიზმის ამოცა-



ნას რელიგიის მიერ უზურპირებული „ქეშმარტად აღმამიანური“ შინაარსის ისევ აღამიანისათვის დაბრუნება წარმოადგენს, ფრიდრიხ ენგელსი დასძენდა, ხელოვნების, — აღამიანის შემოქმედებითი უნარის ამ უმაღლესი გამოვლინების, — „რელიგიისაგან სწორედ ეს განთავისუფლება შეადგენს გოეთეს სიღაღეს“, რაშიც მას ვერც ძველი დიდოსტატები და ვერც შექსპირი შეედრებიან“.

ამ ასპექტში ორი დიდი იდეა გამსკვალავს გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკას:

ა) სამყაროს ერთიანობის იდეა, რომელიც აღარაფერს სტოვებს ბუნების მიღმა და თავად „ღმერთისა“ მოიცავს, ვითარცა მისი საარსებო პრინციპის, ცხოველმყოფელ-შემოქმედებითი უნარის, შემნივთებელ-მაორგანიზებელი ძალის სიმბოლოს, და

ბ) „მშვენიერი აღამიანის“ იდეა, რაც „ღვთაბრძოლი ზმანების“ უმაღლეს ხორცშესხმად ანუ ბუნების ამ ქმნილებად წარმოაჩენს მას, ამ აღამიანს, რომლის არსებობა მთელს შესაქმენს „აგვირგვინებს“; ქმნილებად, რომელიც თავისი საქმიანობით სრულყოფილ რეალობას, ცნობიერ, განცდილ-გააზრებულ ხასიათს სძენს ყოფიერების ამ იდეალურ შინაარსს, რასაც ჩვენ ძველთაგან „ღვთაბრძოლის“ ვუწოდებთ და რაც ჩვენამდე, ე. ი. თავდაპირველად თუ თავისთავად, შედარებით დაბალ-ნაკლოვანი სხივით, სტიქიურ-დაუუნჩებელი ფორმით ელნიდება. სხვა სიტყვით:

გოეთე არ კმაყოფილდება ღმერთის ბუნებასთან ჩვეულებრივ-პანთეისტური გაივივებით, არამედ ამასთან ერთად აღამიანს, ვითარცა მის უზუნაეს, — გონიერულ-წებულობით, — ქმნილებას, ღმერთ-ბუნებაზე თუ ბუნება-ღმერთზე აღაზრებულს, „მსოფლიო გონთან“ მორკინალ არსებად წარმოადგენს კაცს, რომელსაც აკისრებს ბუნების ძალთა ბრმა, „განუკითხავი“ აქტიობის მოწესრიგება-წარმართვას, ემპირიული რეალობის „მეორე ბუნებად“ გარდასახვას, ე. წ. „ნოოსფეროდ“, ე. ი. გონებისეულ სინამდვილედ ამაღლებას.

და სწორედ აღამიანის ეს „გადმერთობა“ წარმოადგენს ხნიერი, „სრული“ გოეთეს მთელი ფილოსოფიური პოეზიის, როგორც ლირიკის, ისე „ფაუსტის“ ზეიდას. დაიხ, იმ „ნათელი ერთის“ დედა-აზრს, რომლის მიმდევრადღაც იგი ასე აღიარებს თავს სიკვდილამდე წლით ადრე დაწერილ ერთ (1831 წლის 1 თებერვლის) ეპისტოლეში: „რაც მეტც ვცხოვრობ, მით უფრო მახარებს ჩემი ნათელი ერგისი, მაშინ როდესაც მეუფე ეკლესია სულ უფრო საჭიროებს ბნელ საკანთა და ვიწრო ხვერდთ, რათა უცხადესი დაფაროს და უმწყობრესი აღრიოს“.

რელიგიის „გმირია“ ე. წ. „წმინდანი“ ანუ „სული“ გმირი, ვინც სიკვდილის გზით, სხე-

ულისა და ყოველივე მიწიერის შემზღობვათა და თრგუნვით, საიმისოდ „მალღდება“ „ხნიერულეობი“ მოკვდავზე, — როგორც უმწყობრეულებითი დამიმებულ, ისე ღირსებებითაც აღქურვილ ცოცხალ კაცზე, — რათა „მორჩილად“, უდრტივინეულად და მაამებლურად ემონოს თავისსავე უზურპატორს, ყველა ქეშმარტად აღამიანური ნიჭისა და უნარის მიმთვიესებულ, აღამიანის დამცირება-დამიღბლებით განდიღებულ და აღზვევებულ ღმერთს-ტირანს და დესპოტს.

„სული“ ამგვარი — რელიგიური — „გმირობის“ ფილოსოფიური მოდელი ჭერ კიდევ პლატონმა და ქსენოფონტემ წარმოადგინეს თეოანთ სოკრატეს სახით, რომელიც იმიტომ მიეღტვის ფიზიკურ სიკვდილს, რომ სხეული, ვითარცა სულის დიღევი, „იღვალურ“ ანუ მეტაფიზიკურ ქეშმარტებასთან და არსებობასთან ზიარების გზაზე აღმართულ გარდაულახვდ დაბრკოლებად ესახება.

ხოლო რელიგიური „ღმერთის“ წინააღმდეგ იმთავითვე ამხედრებული და ბოლომდე შეუხრელად მებრძოლი გოეთე ჭერ კიდევ 1771 წელს, ე. ი. 22 წლის პაბუეც, ასე უზიარებს თავის მასწავლებელს, ჰერდერს თავის ცხოვრების მიზანს, — იმ „ქერპის მსახურებშიდა, რაც პლატონმა მოხატა და მოავარაყა და რასაც ქსენოფონტემ გულდრუჟი უკმია“, იმ „ნამდვილ რელიგიამდე“ უნდა ავმალღეო, „სადაც წმინდანის ადვილზე დიადი აღამიანია დაყენებული, რომელსაც აღფრთოვანებით ჩაეიკრავდი გულში, ვითარცა ძმასა და მეგობარს“.

და თვალჩილული ანუ ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ წინასწარ განუწყობელი კაცი ადვილად დაინახავდა იოლად მიხვდება, რომ ამ „ნამდვილ რელიგიას“ არსებითად არაფერი აქვს საერთო ქეშმარტ რელიგიასთან, რამეთუ მის მიერ გმირად აღიარებული „დიადი“ ანუ სრულძალოვან-ფასიოვანი აღამიანი თავად ღმერთსა უქმებს, მის ადგილს იჭერს, კერძოდ, მისეულად მიჩნეულ თავის პირველსა და უმთავრეს უნარს, — შემოქმედებით ყოვლისშემძლეობას, — იბრუნებს, რაც გოეთეს თავის „დახავლურ-აღმოსავლურ დივანში“ ასე კატეგორიულად აქვს ნათქვამი:

აწ აღარ მართებს ალაჰს ქმედება.

ჩვენ თავადაც ვქმნით სამყაროს მისსახ.

გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის ზემო აღნიშნული „ორი დიდი იდეიდან“ მხოლოდ პირველი, — სამყაროს ერთიანობის — იდეა შეადგენს მკითხველისათვის ამჟამად წარმოცენილ თარგმანთა ძირითად თემას. მთარგმნელი იმედოვნებს, რომ მალე, თუკი არაფერი





შემთხვევითი არ გადაეღობა, გოეთეს იმ ლექს-  
თა ნიმუშებსაც წარმოადგენს, რომელთა თემაც  
მეორე იღვავება: ჩვენი რუსთველის  
სიტყვით რომ ვთქვათ, ლმერთთან „მოკამათე“  
კაცის აპოთეოზისი.

**8. შ ე ნ ი შ მ ე ბ ი**

1. Proemion, — ამ სათაურით, რაც ძველ  
ბერძნულად შესავალს ნიშნავს, გოეთემ გაერ-  
რიანა 3 სხვადასხვა დროს (I—II სტროფები—  
1816, ხოლო III—IV სტროფები — 1812/13  
წლებში) დაწერაილ ლექსი, რომელიც თავის  
თხზულებათა უკანასკნელი (1827 წლის) ავტო-  
რისეულ გამოცემაში წარუშმდგარა ფილოსო-  
ფიურ ლექსთა ჯგუფს „ღმერთი და სამყარო“.

ეს პოეტური წინათქმა სრულად წარმოვედ-  
გენს გოეთეს უბრალოდ აღწერას მესვეურად ე. წ.  
ფიზიკონიკის ტურის პანთეონისა, ა,  
რომელიც, თეომონისტურის საწინააღმდეგოდ,  
ღმერთში კი არ აქრობს სამყაროს თვითარსო-  
ბას, არამედ, პირიქით, ბუნებაში „ხსნის“  
ღმერთს, რამდენადაც ღმერთად წოდებულ ბუ-  
ნების შემოქმედლებით უნარსა თუ სასიცოცხლო  
ძალას აღიარებს როგორც მატერიალურ, ისე  
სულიერ მოვლენათა ერთიან სუბსტანციად. მი-  
სი ამ ანტირელიგიურ-მატერიალისტური შინა-  
არსის გამო ჯერ კიდევ არტურ შოპენ-  
ჰაუერმა ასეთ პანთეონის მოსწრებულად  
უწოდა „თავაზიანი ათეონიზმი“.

გოეთს აქ გამოხატულ პანთეისტურ იდეებს,  
რომლებიც მის მთელ მხატვრულსა და სამეც-  
ნიერო შემოქმედებას, მეტადრე კი გვიანდელ  
შედევრებს, — „ვილჰელმ მაისტერს“, „ფალს-  
ტა“ და „დასავლურ-აღმოსავლურ დივანს“, —  
გამსჭვავებენ, ჩვეულებრივ ბარუნ სპი-  
ნოზას (1632—1677) გავლენას უკავშირე-  
ბენ; სინამდვილეში კი მათ ბევრად უფრო  
შორებული წყაროებიც მოეძებნება, სახელობრ,  
მთელ როგორც საკუთრივ-გერმანულ, ისე  
საერთოდ-ევროპულ პანთეისტურ ტრადიციას  
უღვას ფესვი, კერძოდ, მის ისეთ წარმომადგენ-  
ლებთან ნათესაობა ემჩნევა, როგორიც არიან  
ანგელუს სილვესტრისი (1624—1677),  
იაკობ ბოემე (1575—1624), ჯორდანო  
ბრუნო (1548—1600), თეოფრასტ პა-  
რატელისი (1493—1541), მაისტერ ეკ-  
ჰარტი (1260—1328), პეტრე იბერე  
(ფსევდო-დიონისე არეოპაგელი)  
(411—491), პლოტინი (205—270) და სუ-  
ლაც პლატონი (428/7—348/7).

მაგალითად, გოეთესეული „წინათქმის“ პან-  
თეისტური დედა-აზრი თავის დროზე ამგვარად  
გამოუთქვამთ:

პეტრე იბერე: „ღმერთებმა“ ვითარცა  
„წყაროა სახიერებისა“ და „ყოველთა არს-  
თაჲსა მიზეზი“ იმყოფება „გონებათაჲსა შინა და  
სულთაჲსა და ხორცთა და ცათა შინა და ქუე-

ყანას ზედა და თანად თვით მასეც თავსა შინა  
თვისსა, სოფელსა შინად, სოფელსა გარედ, სოფელსა  
ლისს ზეშთად, ზეშთაყათად, ზეშთარსებობის  
მხედ, ვარსკულადად, ცეცხლადა, წყლადა, ქარად,  
ცუარად, ღრუბლადა, ლოდად და კლდედა, ყოვე-  
ლად-ყოველად და არცა ერთად მათ ყოველთა-  
განად.. [და] ამისთვის ყოველთა არსთაგან ჯე-  
როვნად შეწყობილ არს ქებაჲ და სახელის-დე-  
ბაჲ მისი;“ ანდა: „რამეთუ არარაჲ არს არს-  
თაგანი მიუღებელ ერთისა... არსდა ჰპოვო  
არსთაგანი რამეჲ, რომელი არა ერთსა შორის  
არს, ერთსა მას, რომლითა ყოველი ღმრთე-  
ბა ზემთარსებისა სახელ-იდების და არს, ეი-  
თარ-იგი არს, და მის შორის სრულ იქმნების  
და ცხოველ არს ყოველივე“ (საღმრთოთა  
სახელთათვის. I, 6, 7; XIII, 2, 3. ეფრემ  
მეცირის თარგმანი).

მაისტერ ეკჰარტს: „ყოველა ქმნი-  
ლება ღვთისთა აღსავსე...“; „ღმერთი ყველა  
ქმნილებაშია, რამდენადაც მათ არსებობა  
აქვთ...“; „ვისაც ღმერთი ამგვარად, არსებობა-  
ში, აბადია, ის ღვთაებრივად აღიქვამს ღმერთს  
და მას ყველა საგანში უნათებს იგი“; „ღმერთი  
თანაბრად ახლოა ყველა ქმნილებასთან... ოს-  
ტატს უთქვამს: ის თუ შეიცნობსო ღმერთს  
ჯეროვნად, ვინც მას ყველა საგანში თანაბრად  
შეიცნობს... კაცს შეუძლია ყანაში მიდიოდეს  
და თავის ლოცვას ამბობდეს ანდა ეკლესიაში  
იყოს და იქვე შეიცნოს ღმერთი, რამეთუ ღმერ-  
თი თანაბრად ყველაფერში და ყოველგან და  
შხადაა თანაბრად ვიღოს თავისი თვი, რამდენ-  
ადაც ეს მასზე ჰკლია; ამიტომაც ის თუ შეი-  
წნობს ღმერთს ჯეროვნად, ვინც მას თანაბრად  
შეიცნობს“; ანდა: „ბუნება, ღვთისგან რომ  
წარმოსდგება, არაფერს ეძიებს, რაც მის გარეთ  
მდებარებს; დიახ... თავის თავში მყოფობს,  
რამეთუ... სხვას არაფერს ეტეკის, ღმერთთან  
იგივეობის გარდა“ (იხ. Meister Eckhart. Der  
Morgenstern, Berlin. 1964. გვ. 214, 208. 46,  
276 და 316). ცხადია, ეკჰარტს ჯერ კიდევ ისე  
ვერ ესმის „ბუნება“, როგორც გოეთეს, „ეი-  
ურ“—„ზუნდა“—„ეკეთილშობილისა“ და „მიწიერ“-  
„ქვენა“—„არასრულფასოვანისა“ სახლ, განასხვავ-  
ებებს ერთმანეთისაგან „შინაგან“-სულიერისა  
და „გარეგან“-ხორციელ ბუნებასა თუ აღმინანს  
(იქვე, გვ. 122, 140—142). მაგრამ იგი უკვე  
გადაჭრით შესდგომია მატერიის იმ „გაღმრ-  
თებას“ ანუ მინისტურ რეაბილიტაციას, რაც  
გოეთესთან სრულდება, სახელობრ, აღნიშნულ  
განსხვავებას არსებითად ფიქციალ წარმოაჩენს,  
იმ ერთიანობის პრიზში გარდატეხილს, რასაც  
„შემოქმედსა“ და „ქმნილებას“ შორის ამკვიდ-  
რებს. მაგალითად, იგი მხოლოდ იმას კი არ  
ფიქრობს, რომ ღვთაებრივი „სული მთლიანად  
და განუყოფელი სისრულით (კაცს) ფეხშიც,  
თვალშიც და ყოველ ასოში უღვას და არა  
მარტო გულში“ (გვ. 209), ხლო ღვთის „სიყ-

გარული ქვაშიც ბუდობს" (გვ. 283), არამედ ამგვარადც აღიარებს სხეულს სულის ქმედების პირობად და ძალის ობიექტად: „სული საი-მისოდ მისცემია სხეულს, რომ მისით განიწმინდოს; სხეულისაგან გათიშულს, სულს არც გონება გააჩნია და არც ნება. სული ერთიანობა... და... საიმისოდ განიწმინდება სხეულში, რათა ის შეკრიბოს, რაც გაბნეულია და ურთიერთისაგან გათიშული. როცა ის, რაც ხუთ გრძნობას გარეთ გამოუტანია, ისევ მასში შედის, სულს ძალა ენიჭება, რომელიც ყველაფერს აერთიანებს" (გვ. 206-207). მაგრამ ყველაზე საგულისხმო ის ჭეშმარიტად ერთეული კლდინერებაა, რომელიც ეპიკურთ ღვთისა და ადამიანის სწორფრობას აღგებს: „ბუნების ერთიანობის შესაბამისად ღვთის ბუნებას ისევე არ გააჩნია განსხვავებულობა (Unterschiedenheit), როგორც პიროვნებათ. ღვთის ბუნება ერთიანია თავის თავში და ყოველი პიროვნებაც ერთიანია და იმავე ერთად გვეუბნება, რასაც ღვთაებრივი ბუნება წარმოადგენს" (გვ. 146); „წმინდა პავლე ამბობს: „ხოლო აწ განთავისუფლებულ ხართ ცოდვისაგან და დაბრუნებულ ღმრთისა" (რომ. 6, 22). ჩვენ დედის-ერთა ძემ განგვათავისუფლა ჩვენი ცოდვისაგან. და ამიტომაც ამბობს უფალი, თანაც ბევრად უფრო სწორად, ვიდრე პავლე: „არღარა გეტყუე თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი" ხოლო მეგობარმა ყოველი უწყის, რაიც მისმა მეგობარმა იცის. „ხოლო თქვენ გარქუ მეგობარა, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქვენ" (იოანე, 15, 15) და ყოველი, რაიც მე ვიცი, თქვენც უწყით; რამეთუ მე და მამამემს ერთი გონი გვაქვს, ხოლო ადამიანი, რომელმაც ყოველი უწყის, რაიც ღმერთმა იცის, ღვთიერე-ცნიერი (gottwissender) კაცია. ეს კაცი თვის საკუთარ არსებობად მიიღებს ღმერთს (nimmt Gott auf in seinem Eigensein) და თავის შინაგან ერთიანობად, თვის საკუთარ სინამდვილედ და თვის საკუთარ ჭეშმარიტებად" (გვ. 217—218); ხოლო ამგვარად ჩაწინაგნებულ-შეფიც-სებული ღმერთი თავის მხრივ ასე მოგვაგებს სანაცვლოს: „ოსტატთ უთქვამთ, ღმერთი მხად არისო ყოველ ადამიანს სრულად და ამომწურ-ველად დაუკმაყოფილოს მისი ყველა სული-ერი და გრძნობადი ნატურა. რომ ღმერთი ჩვენი სულიერობისა და აგრეთვე ჩვენი ხორციელი ბუნების შესაბამისად გვაკმაყოფილებს, ამას კარგად გავამჩნობენ ღვთის საყვარელი მეგობარები" (გვ. 241—242); და ამდენად ისიც ბუნებრივია, უფრო სწორად: ლოგიკური—რომ ქრისტეს, რომელსაც ორთოდოქსთა ვითარცა ღმერთს აღაზნებებს ადამიანზე, ეპიკურთ უბრა-ლოდ „ჩვენ ძმად“, unser Bruder-ად მოიხსენიებს (გვ. 187).

ჯორჯ დანო ბრუნოს: „არ არსებობს

ღმერთი ან გონი (Deus vel intelligentia), რო-  
მელიც გარედან ამბუნებდეს და თავისი ბუნე-  
ში მოატრიალებდეს (სამყაროს); რამდენადაც  
უფრო მეტად იყოს მოძრაობის შინაგანი  
დასაბამი (internum principium), რომელიც  
გვევლინება საკუთრივ ბუნებად (natura pro-  
pria), საკუთრივ წარმოსახვად (species propria),  
საკუთრივ სულად (anima propria) და იმდენად  
აქვს ბოძებული (სავანთ), რამდენადაც ისინი  
მასთან საერთო გონით, სხეულითა და სული-  
თა მის წიაღსა და სხეულში ცოცხლობენ (in  
illius gremio et corpore vivunt),—მცენარე-  
თაც და ქვეათაც კი, რომლებიც, როგორც  
ვთქვით, თავიანთი გვარის შესაბამისად იმ ზო-  
მითა და მოცულობით ეფარდებიან სიმეტრიუ-  
ლად ვარსკვლავთა საერთო ხოლმს, რასაც მათი  
სახეობრივი რიცხვი (specierum numeros) აღ-  
გენს" (ფილოსოფიური ლექსის De Immen-  
so-ს პროზაული კომენტარი Lib. V cap. 12).

იაკობ ბოემეს: „მამასადამე", — რა-  
მეთუ ყოველივე სამეტრიანი ღვთის ნებათა  
წარმომდგარი, — „ფრინველებშიც და მატლებ-  
შიც წარმოსდგება გონი და ღვთაებრივი სამების  
ხატია ყოველივეს სამსახოვანი წყარო; მამა-  
სადამე, ღვთაებრივ სამებას ისევე იხილავ  
შენ ხეშიც და ქვეშიც, როგორც სარევე-  
ლასა, ფოთოლსა და ბალახში.. მამასადამე,  
ღმერთი ახლოა შენთან... მამასადამე, ბრმანი  
არიან ჩვენი ქუდაგვიგინოსანი ღმერთებიც\*  
მთ თუმცადა იციან, რომ ღმერთია, რომელშიც  
ყოველივე ეს შექმნა, მაგრამ არ უწყით, სად  
არის ეგ ღმერთი ან როგორ არის იგი... ისინი  
ამაჰქვეყნის მიღმა, მარტოოდენ ცაში ეძებენ  
მას, თითქოსდა იგი რაიმესთან შესაღარებელი  
სურათი ყოფილიყოს. ისინი თუმცადა უწყე-  
ბენ, რომ იგივე ღმერთი თავისი გონით ყოვე-  
ლივეს ვინავეს ამაჰქვეყნად, მაგრამ მისი სხე-  
ულებრივი კუთვნილება მაინდამაინც მრავალი  
ათასი მილის იქეთ გადააქეთ ცაში.. მე საკუ-  
თარი ხელთ დაეწევე ჩემ წიგნს, თუკი ისინი  
დამიბრტყიებენ, რომ ვარსკვლავებში, ელემენ-  
ტებში, ნილაგში, ქვეში, ადამიანებში, მატ-  
ლებში, ფოთოლში, სარეველაში და ბალახში,  
ცაზე და მიწაზე არ იმყოფება ღმერთი და ყო-  
ველივე ეს თავად არ არის ღმერთი.. და ამრი-  
გად ერთავად იყავით და იცხოვრეთ ღმერთში.  
რამეთუ შენ არ გეთქმის: სადაა ღმერთი? ისინი-  
ნე, ბრმაო კაცო, შენ ცოცხლობ ღმერთში და  
ღმერთია შენში; თუკი წმინდად იცხოვრებ, თა-  
ვადაც ხარ ღმერთი და სადაც არ გაიხედავ, იქაა  
ღმერთიც" („აფორა ანუ აისის დასაბამი",  
III, 46, X, 34—35, 41, 46).

\* გოეთე იტყვის: „სიტყვით სწავლულნიო" (Wortgelehrten).



ანგელოუს სილვეზიუს:

დასასრულის და დასაბამის პოვნა თუ მმართვებს, მცე ხომ ღმერთში და ღმერთიც ჩემში უნდა დაფუძნდეთ.  
(„ქერტიმული მგზავრი“)

ღმერთისა და ბუნების ურთ-ერთში დაფუძნებულობის ამ პანთეისტურ იდეას, რომელიც ე.წ. „ძლიერ“ მისტიკას მერტ-ნაკლებად ოლითგან მისდგამს და მის მთავარ მონაპოვარს, ღმებს, დიალექტიკურ-მატერიალისტურ ძარღვს წარმოადგენს, გოეთე უწოდებს თავის „წმინდა, ღმერთი, თანდაყოლილ და ნაცად თვალათხედვას“ თუ „წარმოადგენას“, რაც მის „მთელ არსებობას“ დაელო „საფუძვლად“; 1811 წლის „ანალებში“ ამგვარად განმარტავს იგი. თუ რატომ დასცილდა თავის მეგობარ იაკობის მის შემდეგ, რაც მან გამოაქვეყნა წიგნი „ღვთაებრივ საგანთათვის“, სადაც აბტკიცებდა, რომ „ბუნება ღმერთს მალავს“: „განა ასეთ უუნაუ-რ, ცალმხრივ და შეზღუდულად თეზს სულიერად სამუდამოდ არ უნდა დავეშორებინე (ამ) უკეთილშობილესი კაცისაგან, რომლის გულიც თავივეთლი მიყვარდა, მაშინ, როდესაც ჩემმა წმინდა, ღმერთი, თანდაყოლილმა და ნაცად-მა თვალათხედვამ ისე მტკიცედ შემასწავლა ბუნებაში ღვთისა და ღმერთში ბუნების ქვერტა, რომ ეს წარმოადგენა მთელი ჩემი არსებობის საფუძვლად იქცა“ (ხაზი ჩემია — ო. ჯ.).

ღმერთის მის ქმნილებასთან ასეთი ერთქმნა თუ როგორ და რამდენად ეწინააღმდეგება რელიგიის არსს, ამას სრულად მოწმობს რომელიც მიმართული პირველი ეპისტოლე პავლე მოციქულისა, რომელსაც, როგორც დაგინახეთ, პირდაპირ ეკამათება მისტიკურ ეკპარტი. ქრისტიანული ორთოდოქსიის ფუ-

ძემდებლის თანახმად, მას შემდეგ, რაც ცნობადი ხის აკრძალული ხლი იგემეს, გონება გახსნილ, — ვითომცა დაბრძენებულ, სინამდვილეში კი გაყოფებულ \*\*, — ადამიანთა უმძიმეს ცთომილებას წარმოადგენს პანთე-ისტური დასკვნა „დამბადებისა“ და „დაბადებულთა“ იგივეობის ან, თუნდაც, „მსგავსების“ შესახებ: „და ცვალებისადგება იგი უზრუნველსა ღმერთისაჲ ცვალებად ხატისა მის განზრწნადანა კაცისა და მფრინველთა და ოთხფეხთა და ქუეწარმავლთა“ (რომ., 1,23); პავლე სავესებით მართებულად ხედვას ამ გაიგებებასა თუ მიმსგავსებაში ქმნილებათა აღმატებას შემოქმედის დამბადების ხარჯზე, ე. ი. რელიგიის არსის საწინააღმდეგო ტენდენციას: „... და პატივს-სცემდეს და ჰმსახურებდეს დაბადებულთა, და არა დამბადებულს“ (რომ., 1,25); მეტიც: ღვთისადმი ბრმა მონობის მთხოველი მოციქული მეამბოხეობის ცოდვასაც მიაწერს „დაბადებულთა“ ამგვარად აღმზევებელთ, — ბოროტის „ამპარტავან“, „ლელ“ და „ურს“ მზრახველებად მიიჩნევს მათ (რომ., 1,30), — და უთუთოდ ეთანხმება ყოველივე ამის გამო შურის მავებელ ღმერთს, რომელმაც „ამისთვისა მისცა ისინი... გულის თქუემასა გულთა მათთა არაწმინდებდ და გინებდ ხორცთა მათთა მათ თანა“ (რომ., 1,24), სახელდობრ, დედად-და მამათმავლობის ბილწი ვნებით შებღალენისა საყუთარი ხორცი (რომ., 26 და 27) და ამგვარად მათვე დაამდაბლებინა მათ მიერ აღზევებული სხეულებრივი ბუნება.

2. „ქსენიები“ (Xenien). აქ შერჩეული დისტიკონები ამოკრფილია გოეთეს ე. წ. „ქსენიითა“ ანუ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ და დიდაქტიკურ-სატრიკულ ორპქართა ციკ-

I წიგნის ადგილი, სადაც მღმირი ღვთის მიერ ციურ ვარსკვლავთა და დღე-ღამის გამოყოფ მნათობთა შექმნა აღწერილი (1.14-19). იგი შენიშნავს: „ეს აღწერა საყმარისად მოწმობს, რომ ძვირფასი კაცი მოსე არაა მისი ავტორი: რამეთუ მის დამწერს (Skrivent-ს) ვერც ღმერთი შეუტენია სწორად და ვერც ვარსკვლავთა ნამდვილი რაობა“ (ავრობა, XXII, 24-26).

\*\* „იტყოდეს თავთა თვისთა ბრძენ და განცოდუნეს“-ო ამბობს პავლე, ხოლო გოეთესათვის ისა ნიშნობაღივი, რომ პავლეს ამ სიტყვების პარაფრაზად გვევლინება მისი მეციხოვნე ღმერთის ნიპოლისტური თეზისი, — რომლის უარყოფაც მთელი „ფაუსტის“ დედა-აზრს შეადგენს, — რომ თავისი გონებით გაამყებულ ადამიანი ისე „უცნაურად (auf besondere Weise) ემსახურება ღმერთს, რომ „ღამის მხეცებს ვადაპარბოს მხეცობაში“ (300, 304-305).

\* როგორც გვახსოვს მაისტერ ეკპარტიმა პავლეს ავტორიტეტი ყოვლად შეუფარვად „გაბათილა“ ქრისტეს ავტორიტეტით, მგრამ მისი „კრიტიციზმი“ იმდენად შორს მიდის, რომ არსებითად, პრინციპულად თავად ღმერთზედაც კი ვრცელდება: „ქვემმართვება ისე კეთილშობილია, რომ მე, ღმერთს რომ ქვემმართვებისათვის ზურგის შექცევა შეძლებოდა, ქვემმართვებასთან შექცვრას და ღვთისგან განდგომას ვარჩევდიო“, აცხადებს იგი ერთგან (იხ. მის თხზულებათა ზემოთ დასახელებული გამოცემის გვ. 285) და რაკი „ერთგოსათა“ თავისუფლათხოვნობაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქ ისიც აღინიშნოს, რომ იაკობ ბოემეც არა ნაკლებ თამამად (თუმცაღა ერთობ თავისებურად) აკრიტიკებს ბიბლიას; თუკი ამას ღვთისა და სამყაროს ურთიერთმიმართების მისეული წარმოდგენა უყარანახებს. ასე, მოაქვს რა მოსეს



ლიდან, რომელთა პირველი სტრიქონი ჰეკზამეტრს (ექვსმუხლედს) წარმოადგენს, ხოლო მეორე — პენტამეტრს (ხუთმუხლედს); მათი უმეტესი ნაწილი თავდაპირველად (1797-ს) შილერის „ქსენიებთან“ ერთად გამოქვეყნდა ამ უკანასკნელის ჟურნალ „მუზების აღმანახში“. „ქსენიებს“ ძველი ბერძნები უწოდებდნენ სტუმართმოყვარობის მანიშნებელ სუფრის სახუტრებს, ხოლო I-II საუკუნეთა რომელმაც სატირიკოსმა მარციალემ ეს სახელი შეარქვა თავისი ეპიგრამების ერთ კრებულს.

აქ წარმოდგენილია პირველი ხუთი „ქსენია“ („გენიალური უნარი“, „ბუნება და გონება“ და „ფილოსოფოსი და მეოცნებე“) ჩაითვლება გოეთეს პანთეისტური მრწამსის კლასიკურ ფორმლებად. — პირველ მათგანში ნათლის მფრქვეველი ზევსი (ორიგინალში: „იუპიტერი“) წარმოდგენილია ბუნების შემოქმედებითი „გონის“ ხატად და ამ პოეტური სახით ზუსტად შეესაბამება „ფაუსტის“ დასაწყისში „მეფის გონის“ გამოცხადების თავად გოეთესეულ ილუსტრაციას. ტუშითა და ფანქრით 1797-1800 წლებში დახატულს; საყურადღებოა ამ დისტიქონის სათაურიც, რამდენადაც იმას მოწმობს, რომ გოეთე „გენიალურ უნარს“ შემოქმედების „ღვთაებრივ უნართან“ აიგივებს, რომლის უმაღლეს კონკრეტულ მატარებლადაც საერთოდ ადამიანს, ვითარცა „ბუნების შემოქმედებითი უნარის გვირგვინს“, მეტადრე ეი ხელოვანს მიიჩნევს. — ხოლო დანარჩენ ოთხში საკულისხმოა, ერთის მხრით, ე. წ. „იდეალურის“ ემპირიულ „ბუნებასთან“ ორიგინულად დაკავშირება და ამის „ფილოსოფიურ“ ანუ „გონების“ თვალსაზრისად აღიარება, ხოლო, მეორეს მხრივ, საწინააღმდეგო, ე. ი. დეიდალისტურ-რელიგიური თვალსაზრისის ადვოკატად „ფილისტერთან“ გათანაბრებული „მეოცნებისა“ თუ „ფანტასტის“ გამოცხადება (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. შენიშვნა № 10).

შემდეგი სამი დისტიქონი („ამოცანა“, „ყოველის მოვალეობა“ და „მეორეს ღირსება“) იმას ცხადპყფებს თუ რაოდენ უსაფუძვლოა ჩვენში ვაჟა ფშაველასთან დაკავშირებით გამოთქმული დებულება, თითქოს და პანთეიზმისათვის საერთოდ ვადაუქრულ პრობლემად მტყუთაყოს ცალკეულისა და კერძო, ინდივიდუალურის შესაძლებლობა, ვითომცა ყველაფრის „ერთად“ აღიარება ყოველივე ცალკეულს ჰკარგავდეს „მითლანში“. ყოველ შემთხვევაში, გოეთესეული პანთეიზმის დიალექტიკურ არსში ეს „პრობლემა“ მოხსნილი ხანს.

მომდევნო ოთხი დისტიქონი („რა არის ხოლმე ყველაზე ძნელი“, „თქმულა: Cogito...“, „თუკი ვაზროვნებ“, „სად თეორიას“) საკმაოდ წარმარგვიდგენს გოეთეს გნოსეოლოგიურ

მრწამსს. კერძოდ, პირველის ქვატეტამეტრი საუნურია თეზისი, რომ „იდეა“, როგორც სენეკა არის „სურათი“, რეალურად საგანმეცნიერებობის და ამდენად კონკრეტულ-განზომილად აღქმის საფუძველზე („თვალთ“) შეიქმნება; ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ გოეთეს მიერ შილერთან საუბარში გამოთქმული კმაყოფილება, რომ თურმე „თვალთ ხედვას იდეებს“, ანდა მისივე მაქსიმა: „განზომილები არ გვატყუებენ, განსჯა კი გვაცდუნებს“, რომელიც მანამდე (ზემოთ დამოწმებულ კომენტარში) ჯორდანო ბრუნოსაც ასე გამოუთქვამს: „გარეგანი სანახობა არ გაცდუნებს, თუკი ძალგამს სწორი ხსივების დასაქუთ ნახაბი: შეცდომას გონებას მოსდის“ (defectus rationis erit). მეორესა და მესამეში გონების რაციონალისტურ რწმენას ერთმევა უეჭველობა, ხოლო მეოთხეში განყენებულ-თეორიული განსჯის წინაშე კონკრეტულ-პრაქტიკულ იმპერატებს ენიჭება უპირატესობა.

შემდეგი ორი „ქსენია“ („მინდა“ და „უწმინდესი“) გამოხატავს გოეთეს ეთიკურ მრწამსს, რომლის დედააზრი, — ადამიანთა სულიერი კავშირისა და ერთიანობის იდეა, — მისი მთელი შემოქმედების ლაიტმოტივია.

მეორეი ორი დისტიქონი („პრომეთეოსს ცეცხლი მოსტაცე, მუზავ“ და „რომელ გენიოსს“) შეიცავს პოეტის ესთეტიკურ მრწამსს. პირველ მათგანში „თანამედროვე“ კაცობრიობისათვის ხელოვნების უზუნაესი დანიშნულება ცხადება: პრომეთეოსისა და ამჟურის, — ანტიკური ადამიანთა ამ უახლოეს, მაცოცხლებელ-შთამაგონებელ ღვთაებათა, — ფუნქცია „ახლა“, მას შემდეგ, რაც, შილერის თქმისამებრ, ღმერთები ადამიანთ „განშორდნენ“, მუზას ეცისრება. ხოლო მეორეში გოეთეს განთქმული დიალექტიკურ-რელიგისტური კონცეფცია ფორმალურბული, რომლის თანახმად ხელოვნების სპეციფიკურ-სუვერენულ კანონთა შესაბამისად ე. წ. „მეორე“ ანუ ესთეტიკური სინამდვილის წარმოქმნელი მხატვარი საბოლოოდ და არსებითად მიანიც, — ოღონდ ადამიანური სუბლიმაციის უმაღლეს დონეზე, — „პირველი“ ბუნების ანუ ობიექტური რეალობის ერთგული რჩება.

სამი უკანასკნელი ორწყარედი გოეთეს პრაქტიკული სიბრძნის მარგალიტებად ჩაითვლება, თუკი პირველი მათგანი („სასტიკი ბრძოლა“) კომენტარს არ საჭიროებს, მეორის („თავისუფლების“) დედააზრი სიქმმარტებაა, რომ გვბედნიერება, — თავისუფლება, — იმას „უხდება“, ვინც მას ჭეროვნად „იწინოებს“. ხოლო მესამის („ორმაგი ცთომილების“) გამო შემდეგია სათქმელი: გოეთე არც სკეპტიკოსია და არც პათოსტი: იგი იმ უმაღლესი რანგის პოზიტივისტია და ობტიმისტი, ქეშმარტ სიბრძნეს რომ სჩვევია. სახელდობრ, მისი პოზი-





ტივიზი იოტის ოდენადაც არაა ველგარულ-პრავმაცისტული, ხოლო ოპტიმიზმი მიაპიტურ-ემოციური. სამყარო თუმცაღა ვაერთიანებულაა უნივერსალურად განყენილ-რეალიზებულად „ღვთავბრივი“ არსით, მაგრამ თავად ეს ერთი-ანობაა შინაგანად წინააღმდეგობრივი ანუ კონტრეტულად წარმოადგენს პოლარულ საწყისა და — კეთილისა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის, მშვენიერისა და მახინჯის, სრულისა და ნაკლების, — მარადიულ ჭიდილს, რომელიც თავად შემოქმედი ბუნების დინამიური პოტენციით ისახლდება და ამავე ფაქტორის ძალით თავის ყოვლადობაში ჭმნის საბოლოოდ სრულქმნისაკენ, ამაღლებისაკენ მემწარაფე ერთიან პარპონას. და მარკოზმოსის ამ დინამიკური ყოფიერების ანალოგიურია მისი მიკროორბიტის, ადამიანის ექსისტენციაც: აქაც იგივე შინაგანი ბრძოლა სუფევს, რომლის გამო-ისობითაც კაცი არც ერთიანად კარგია და არც მთლიანად ცუდი, ხოლო თავისი ასე წინააღმდეგობრივი სახით იმდენად იჩენს თავს ბუნების დამავირაგინებელ „მშვენიერ“ არსებად, რამდენადაც მისეულ, — ადამიანურ, — სამყაროში უცნობიერებულ ხასიათს იძენს ყოფიერების ტექთესისაკენ მიმართული გენერალური ტენდენცია.

3. **3. ხუთი გნომე** განეყოფენება გოეთეს გვიანდელ (დაახლოებით 1813—1814 წლებიდან მოყოლებულ) დიდაქტიკურ ნაკვეთსა დიდ (900-მდე ლექსისაგან შემდგარ) სერბას, რომელიც თემატიკურად მის პროზაულ „მ ა ქ ს ი მ ე ბ ს ა და რ ე ფ ლ ე ქ ს ი ე ბ ს“ ლექსურ პარალელად მოუდის, ხოლო ჟანრულად ძველ-გერმანულ „თქმათა“ (Spruch-თა) მდიდარ ხალხურ ტრადიციას უკავშირდება.

პირველი ორი გნომე კვლავ გოეთეს დიდაქტიკურ-პანთეისტურ მონიშნს ცხადყოფს, ხოლო მესამე და მეოთხე ამ მონიშნის ძარღვს — პოლარობის იდეას — გამოხატავს, რომელიც პოეტმა როგორც ყოფიერების თავის ზოგად-ფილოსოფიურ კონცეფციას, ისე ესთეტიკურ მსოფლალქმას დაუდო საფუძვლად, კერძოდ, „კათარზისის“ თავის გაგებასაც, რომლის თანახმად ტრაგიკული „განწყენდის“ აქტი წარმოადგენს პოლარულ კენებათა ურთიერთ განმუხტვის, „შეხების“ აქტს.

მეხუთე ნაკვეთი კი იმას მოწმობს, რომ მარტოობა ისევეა „ანტიგერმანული“ მოვლენა, როგორც „ანტიქართული“ თუ „ანტიეთიოპური“, რამდენადაც საერთოდ ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება, რომლის ეთიკურ არსსაც ერთობა ანუ თანაყოფიერება წარმოადგენს. თუ რამდენად ეუცხოვება სიმარტოვე „უდიდეს ვერანელს“, — კაცობის თანაყოფიერებაში, სიყვარულსა და მეგობრობაში, თანამშრომლობასა და თანამებრძოლობაში მძებარ დიდ-კაცს — იქედანაც ჩანს, რომ მან ესეც კი ათქმევინა თავის გმირს, ფაუსტს:

რომ გვეტყოდი ქვეყნის ხრიკებს უსიამოვნოს, განდევნილობას, სიველურებს ვაფარო თავი და ყოვლად ფუჟად, მარტოდ მარტო რომ არ მიეცხოვრა, დავემორჩილე საბოლოოდ თავად ეშმაკსაც.

ეს დისტოქონი იმასაც მოწმობს, რომ გოეთე არ ეუფუნის ე. წ. თეოთშველელთა (Selbsthelfer-თა) ეგოისტურ კატეგორიას. როგორც „ფაუსტის“ დინალიდან ვიცით, გოეთეს სამოთხე „მილიონთათვის“ უნდა, თანაც ამქვეყნად, მიწაზე უპირებს მას დამკვიდრებას, როგორც ნამდვილი — რეალური და სრული — ბედნიერების (და არა ნეტარების) სასუფეველს.

4. **„ადამიანურ გრძობაში“ (Menschengefuhl** დაახლ. 1776 წ.) და ნაწილობრივ მომდევნო ლექსშიც („მეშინარა აზრთა...“) გოეთე კვლავ ერეტოკულად ემიჯნება ყოველგვარ რელიგიურ მართლმორწმუნეობას, რომელიც აღიარებს ბუნების მიღმა და ადამიანის ზეგარდმო „ღვთავბრივი“ საწყისისა თუ ძალის არსებობას. ჭერ-ერთი, ისაა საგულსხმომ, რომ ამ „ზენარი“ საწყისისა თუ ძალის ხატად პოეტი იჩივეს წარმართულ-პოლითეისტურ „ღმერთებს“, რომლებიც ჭერ-კიდევ ახლოს დგანან ადამიანთან და არა ერთიან „ღმერთს“, რომლის რაობა და არსებობა მას ბუნებისა და ადამიანის სამყაროში აქვს შემოტანილი პანთეისტურად. მთავარი კი ისაა, რომ ამ ღმერთთა და, მასადაამე, თავად რელიგიის საჭიროებას იგი ადამიანთა შედარებითი სისუსტით, არასრულძალოვანებით ხსნის, რომელიც, საბოლოოდ, სულაც არ ესახება დაუძლეველად და მარადიულად.

რასაკვირველია, ეს შენიშვნა იმას როდი ნიშნავს, თითქმის გოეთეს პოეზიაში რელიგიურ-სეკიური ღმერთის ორთოდოქსული ხატი არ გვეხვედბოდეს. ამ ხატს შეიცავს, მაგალითად, დაახლოებით იმავე დროს (1775/6 წლებში) დაწერილი „ს ა მ ე ფ ო ლ ო ც ვ ა“:

აჰა, გახლავართ ქვეყნის მყარობელი და ვუყვარვარ ჩემს დიდებულ მსახურთ. აჰა, გახლავართ ქვეყნის მყარობელი და ვერტფი დიღთა, განვაგებ ვისაც. ო, ზენარო, ნუ აღმაზვევებ მაგ პატივზე და ამ სიყვარულზე.

მაგრამ ადვილი შესაძენეია, რომ აქ „ზენარს“ (ორიგინალშია: Gott im Himmel) თავად პოეტი კი არ მოუხმობს, არამედ — მის მიერ წარმოდგენილი „სანიშნო“, „განათლებული“ ხელისუფალი, რომელიც, მართალია, აღარ მოითხოვს ტირანისათვის აუცილებელ დამცირებულ და შეზოზღებულ ყმას, მაგრამ მონარქის კვალბაზე პრინციპულად მაინც საჭიროებს „ზენარს“, ეთიკურა თავისი ძალაუფლების უმაღლეს ვინაობადებასა და სანქციას.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ისიცაა აღსანიშნავი, რომ „ღმერთის“ ხატი გოეთესაჲ

პოეზიაში საერთოდ წარმოადგენს უაღრესად ცვალებად ანუ მრავალპიროვნად სიმბოლოს. ასე, ერთსა და იმავე 1774 წელს დაწერილ ორ განთქმულ ლექსში, — პრომეთეისისადმი მიძღვნილ ოდასა და „განიმდში“, — იგივე ზევის ჯერ გვესახება „თეიზმის მსოფლიო დესპოტად“, თვის სილიაღში ლატაკ მუღუვდ, რომლის ძალა მის ქვეშევრდომთა სისუსტის ტოლფარდია, ხოლო მერე ვეველინება „სინონზას Deus sive natura-დ (ბუნება-ღმერთად), რომელსაც, ვითარცა „ყოვლის მოყვარე მამას“, აღტაცებით ელტვის გაზაფხულის ეშხით მთვრალი განიმედი (იხ. H. A. Korff. Geist der Goethezeit, I. Teil, 1958, S. 277).

5. „შიშვარა აზრთა...“ (Feigen Gedanken; 1777). ეს ექსპრესიული ლექსი იმ მხრივაცაა საეჭვოსნობო, რომ დიდებულად ცხად-ყავას, თუ რაოდენ პირობითია, სულაც მხოლოდ გარეგნული გვიანდელი („გაიმარტლ“) გოეთეს „სინამდვილესთან შერიგება“. არსებითად, შინაგანად იგი მუდამ რჩება შეუხრელი, ძედმოუდრეკელი მებრძოლი. არ ურიცხვება რა ადამიანურ სისუსტეს. ფილოსოფოსი პოეტი შეუპოვრად იღწვის ზენარს ღმერთთაგან კაცის გასათავისუფლებლად და რეალურ სინამდვილეში, მიწაზე დასამკვიდრებლად. ამ ძალთა-ხმების შინაგან იმპულსად ემსახურება მას საკუთარი შემართებელი სული, მისივე სიტყვით თუ ვიტყვით. „ნათელი ერთეიკოსის“, ხასიათი, რომელიც მას „ყოვლივს მიუხედავად და საწინააღმდეგოდ“, trotzdem allem აღაყსებს ადამიანის შემოქმედებითი უნარის რწმუნითა და, ამდენად, აქცევს „ღმერთთა“ მოქიშვედ.

6. „ვიწაც ფლობს ცოდნას და ხელოვნებას...“ (Wer Wissenschaft und Kunst besitzt. სიცოცხლის ბოლო წლები). აქ ზემოთაღნიშნულ ძალთახმების მთავარი სფეროები და საშუალებებია დადასტურებული, ადამიანის შემოქმედებითი უნარის ორივე სახესხვაობაა მოხმობილი, — მიცნობრება და ხელოვნება, — რომელთა მიშეგობითაც კაცი კი არ უტოლდება მარტო, არამედ კიდევაც აღემატება ღმერთს. რამეთუ მის მიერ ერთიანად ცოცხლად წარმოქმნილ ზონებას, „ბიოსფეროს“, ხვალ საარსებო ხარისხში ამოდებს, ე. წ. „მეორე“ ანუ განცდილ-გაზარებულ ბუნებად, „ნოსსფეროდ“. გარდაქმნის. მეცნიერება-ხელოვნების რელიგიისადმი ასეთი დაპირისპირებით გოეთე უშუალოდ და პირდაპირ ავრქმევს და ავითარებს განმჯანთლებლურ ტრადიციას, კერძოდ, ლესინგის, რომელიც იმას წინასწარმეტყველებდა, რომ მრავალ საუკუნის შემდეგ „ბუნებისმეტყველების არც“ მთელ სამყაროზე გავრცელებდა და „ყველა მოვლენა ბუნებაში ჰპოვებს თავის საწყისს, ისე რომ ადარაფერი დარჩება

თავის ქეშმარიტ წყაროდან გამოუყვანელი“.

7. „რასაც ნამდვილად ან კიდევ...“ (Was auch als Wahrheit oder Fabel, 1805). დანტეს არ იყოს, გოეთეს პოეტურ მსოფლალქმასაც ერთიანად გამსჭვალავს სიყვარულის, ვითარცა უზენაესი მაიცოცხლებელი, მამობრავებელ-გამაერთიანებელი ძალის, როგორც ღვთაების შემოქმედებით არსის მზრთერი გამოკრთომის, ყველა ყოფიერის შინაგან შესაძლებლობათა განმარტოციელებელ-სრულქმნელი ნიჭის, მოტივი. გოეთეს თქმით: „სიყვარული ხომ სიცოცხლის დარადაა: ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა“ (ანუ: „სისტოლა“, „მე“-ში გარეგანის შემოტანა და „დიასტოლა“, „მე“-ს სხვად ვანერციობა, სიცოცხლის ძირითად ფორმებად რომ გვევლინებიან); „სიყვარული არ განმგებლობს, მაგრამ აუკლებებს, და ეს მეტია“; „სიყვარული ყველაფერს ავად-შირებს“; „სიყვარული უშორებს მანძილს ამოკლებს, მიწას ცასთან ასწორებს“; „რალა სოფელი უსიყვარულო! ჩამქარალი ჯადო-ლამპარი“; „სიყვარული სიცოცხლის გვირგვინია“; „წმიდა სიყვარული სწორფრთხის, საგანთა თანაბრად აღქმის უმაღლეს ნაყოფს ელტვის, რამეთუ (ტრეფთა) წველი პარმონიულ ჰერეტაში ვაერთიანდეს, უმაღლეს სამყაროს ეზიაროს“; ოღონდ ესეცაა — როგორც ღმერთს შველის ეშმაგი, ასევე სიყვარულიც ვერაფერს შიერთებს, თუ სიძულვილმა არაფერი გასითშა: „თავის ვიწრო ყოფაში კაცი ორმაგ გრძნობას საჭიროებს, სიყვარულსა და სიძულვლას. განა მას ღამეც და ძილიც ისევე არ სჭირდება, ვითარცა დღე და ღვიძილი?“; სიყვარულის ეს კულტ პოეტის მთელ შემოქმედებას გასდევს ლატმობრედ, მეტადრე კი მის ორთავ სიმწიფისდროინდელ შედევრს: „ფაუსტის“ და „დასავლურ-აღმოსავლურ დივანს“.

— მომდევნო ხუთი ლექსი (№№ 8,9,10,11,12) გოეთეს გნოსეოლოგიური მრწამსის მატერიალისტურ არსს გამოხატავს და მისაფრად პოლემიკურადაა მიმართული აგნოსტიციზმის წინააღმდეგ, რომელსაც რელიგიური მისტიციზმი ემყარება. ამ უკანასკნელის მესვეურთა რწმუნებით საგანთა და სამყაროს ღვთაებრივ-სულიერი არსი გრძნობად მოეღწევაში ისეა ჩაშინავნებულ ჩასაიდუმლოებული, რომ გონებისათვის მიუწველდომელი რჩება და მხოლოდ ზეგარდმო მიმადლებული „გამოცხადების“ ანდა ე. წ. „ინიციაციის“ ანუ სენსუალურ-ინტელექტუალური აღქმის ჩახშობით აღსკვრადი შინაგანი „ნათელხილის“ მეშვეობით შეიძლება განუცხადდეს სამიზიდ რჩეულ „შეობას“. ხოლო გოეთეს თანახმად, მთელი სამყაროს, უნივერსუმის ყოფიერება ერთისა და მრავლის, შინაგანისა და გარეგანის, სულიერისა და მატერიალურის დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს, რომელ-



საც ყოველივე არსებულის „ღვთაებრივი“ ერთარსობა საზღვრავს; ამიტომაც, მისი აზრით, არ არსებობს „რჩეულთათვის“ ზებუნებრივად, ნაძალადევიდ საცნაური, ხოლო ყველასათვის, ყოველი საღი ანუ ცოცხლად მკარნობიარე და გონებაგახსნილი ადამიანისათვის განუცხადებელი საიდუმლო ყოფიერებისა.

აქ სრულად ჩნდება ის მანძილი, რაც გოეთეს, როგორც ახალი დროის მოაზროვნეს, მის შუასაუკუნეებრივ წინამორბედთან, კერძოდ, მისიერ ეკპარტისაგან აშორებს. თუკი ეს უკანასკნელი „ზენაბუნების“ შესაცნობად „ქვენაბუნებისაგან“ ანუ „გარეგანისაგან განდგომას“ (eine Abkehr vom Äußeren, გვ. 46) მითხროვს, რისთვისაც „ნაჭუბი შუად უნდა გაიბოს, რათა გული ვაშიშვლდეს“ (გვ. 236), გოეთეს უკვე ისე აქვს მოხსნილი „ნაჭუბა“ და „მულს“ შორის არსობრივი სხვაობა, რომ „გარეგანი“ ანუ ფიზიკური თვალთა და ყურით სახილველ-გასაგონი კონკრეტულ-საგანობრივი რეალობა მიახნია სთფანდოდ შთაგონებულ-ამაღლებული გონისათვის „სავესებო სამყოფ“ გამოცხადებად „შინაგანისა“ ანუ მართლ ხატად იმ „ღვთაებრივი“ შინაარსისა, უტყუარ სიმბოლოდ იმ ზოგად-იდეალური კანონზომიერებისა, რაც „მრავალს“, ე. ი. ყოველივე არსებულს აერთიანებს და ამოძრავებს.

თუმცა არაა გამორიცხული, რომ გრძნობად-გარეგანი ხატის მის იდეალურ შინაარსთან, — „ღვთაებრივი“ პროტოტიპთან, ე. წ. „უფრფენობითა“, — შესაბამისობის ეს იდეა გოეთეს „ძლიერი“ მისტიკისაგანაც, — ოღონდ ამ უკანასკნელის უფრო გვიანდელ წარმომადგენელთაგან, — ჰქონდეს შეფასებული; ყოველ შემთხვევაში, „ბოემეანელი“ პოეტი ან გელუს სილვესტრუსი ასე „გოეთესებურად“ გამოთქვამს ამ იდეას:

აი ეს ვარდი, რაც წინ უდგას შენს გარეგან თვალს,

ჩვევ ჰყვავის თავად ღმერთშიც სამარადისოდ.

8. „თვალის მზიური არ ყოფილიყო...“ (Wär nichts das Auge sonnenhaft; 1805). ეს კატრენი, რომელშიც სამყაროს სუბსტანციური ერთიანობის ფაქტი მისი შეცნობადობის საწინდარად მიჩნეული, წარმოადგენს ნეოპლატონიზმის ფუძემდებლის, პლოტინის გამოქმნილ ციტატას.

9. შგვინება (Epirrhema; დაახლ. 1819). „...ჩასწვდა და უყოვენელივ“ (ohne Säumnis)... მუის გაიხარე“ — ანუ დაუქვევბლად, ჰუისი ჰულები, შთაბეჭდილებათა გამწვლებელი რეფლექსისი გარეშე, უშუალოდ და ცოცხლად მფენდ გრძნობათა ჩვენებას, რომლებიც, როგორც ეს გოეთეს ცნობილ ლექსში, „ანდერშმა“ თქმული (იხ. მისი IV სტროფი),

„ყალბად არაფერს მოგაჩვენებენ, როს შერ განსჯა, პირუთენელი, გამყოფებს ფხიზლად“ (რის აღიარებაც, თავის მხრივ, იმას ცხადობს, რომ სეკტიციზმისა თუ სპეკულაციის შემოხვეტი გოეთე არც ირაციონალიზმში ვარდებდა და არც სენსუალიზმში).

თუ რამდენად ნიშანდობლივია გოეთესათვის ეს გრძნობათა ნდობა, ამას მოწმობს მისი შემდეგი ორი მაქსიმა:

„კაცი საკმარისად აღტურვილი ყველა ჰემ-მარტი მიწიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, თუკი თავის გრძნობებს ენდობა და იმეგარად ავითარებს, რომ ისინი ნდობის ღირსნი რჩებიან“.

„გრძნობები არ გვატყუებენ, განსჯა კი გვატყუებს“.

10. უმეველად (Allerdings, დაახლ. 1819). გოეთე უძღვნის ამ პოლემიკურ ლექსს თუ ვითარცა თანამოზრეს მიმართავს ამ ლექსით „ფიზიკოსს“, რომელიც მეტაფიზიკოსის საწინააღმდეგოდ იმ თვალსაზრისზე დგას, რომ ხატი არის წარმოაჩენს. — ბრწყინვალეში ჩასმული ორი წინადადება წარმოადგენს ციტატებს XVII საუკუნის ცნობილი შვეიცარულ-გერმანელი მისტიკოსი პოეტი ალბრეხტ ფონ ჰალერიის ღიდაქტაქური პოემიდან: „ადამიანის სათნოებათა სიყალბე“ (1730). — „ო, ფილისტერიო! — ეს წამოძახილი, რომელიც ჰალერის პოემიდან ციტირებულ დებულებათა გამოხატვას განეკუთვნება, სრულად ცხად-ჰყოფს მისტიკოსისადმი გოეთეს პრინციპულად უარყოფითსა და შეუთრეველად მტრულ დამოკიდებულებას.

გოეთეს დიხაჯ არ ეუცხოვება სამყაროს, როგორც ამოუწურავი და ამდენად შეუცნობადი მთელის, ვითარცა საბოლოოდ იდუმალი აბსოლუტის აღქმა ანუ თვისი, მრავალგზის „სახელდებულში“ ბუნება-ღმერთი „თავისი არსით კვლავ უცნობი მაინც რომ რჩება“. მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ აქცევს მას, მისტიკოსის საღა, როგორც ის თითონ იტყობა, „ძლიერი“ ნაიადისაგან დიდად დავალებულ მოაზროვნესა და პოეტს, მისტიკოსისადმი, რომელიც ყოფიერების არსს ოქულტიზმის ბურუსში ხვევს, ადამიანის ბუნებრივ-შემეცნებითი უნარისათვის შეუღწევად ცხრაკიტილში ათავსებს.

გოეთეს საერთო მსოფლალქმა თუ არ თანხვდება, ერთობ ენათესავება ჩვენს ვნოსეოლოგიურ მრწამსს, რომლის თანახმადაც ობიექტურ-აბსოლუტურ ჰემარტებას ადამიანი მხოლოდ სუბიექტურ-რელატიური ფორმით ითვისებს, ე. ი. მის დასრულებლივ ეუფლება, მაგრამ ვერასოდეს ამოსწრავს. პოეტი ასე აღიქვამს ამ დიალექტიკას: თავისი „წმინდა“ და „სრული“, „უშუალო“ და „ერთბამი“ სახით,



ვითარცა „იდეალური“ რამ, სამყაროს არსი ისევე აღემატება და ეუცხოვება, დიხ, იმდენადვე „ზარავს“ კაცს, რამდენადვე ეახლოვება, ხიზლავს და იზიდავს კონკრეტულ-ვახანობრივ მოვლენებში განხორციელებულ-არეკლივ, გამოხატული (იხ. „ფაუსტის“ პირველი ნაწილის დასაწყისში „მიწის გონის“ თავზარდამცემი გამოცხადებისა და მეორე ნაწილის დასაწყისში ჩანჩქერის შეხვედრა ცისარტყელად ვარდატენილი მზე-ღმერთის ჰერტის სურათები).

მეცნიერების ენაზე კი თავის ამ გნოსეოლოგიურ მრწამსს ასე გამოსთქვამს გოეთე: „ჩვენი აზრით, ადამიანს დიხაზე შეუძლია დაუშვას შეუცნობადის არსებობა, ოღონდ ამავე დროს არ მართებს თავის კვლევა-ძიებას (Forschen-ს), რაიმე საზღვარი დაუდოს. რადგანაც, თუკი ბუნებას ადამიანის წინაშე ის უპირატესობა აქვს, რომ ბევრ რასმე მას თითქოსდა უმაღლეს (zuverheimlichen scheint). ადამიანსაც ენიჭება მის წინაშე უპირატესობა, ვინაიდან ძალუძს მისი ყველა სიღრმის განუჭვრეტელად იაზროვნოს მის საზღვართა მიღმა“ (იხ. გოეთეს გეოლოგიური ნარკვევი: „ნებტუნისში და პლუტონისში“).

„მის საზღვართა მიღმა“ აქ ოდნავადაც არ ნიშნავს რაიმე ტრანსცენდენტალიზმის აღიარებას, რომელიც განუყრელად თანსდევს მისტიციზმსა და გოეთეს ამ უკანასკნელივით ორგანულად ეუცხოვება (ამ მხრივ, მავალითად, საგულისძმობა ქრისტიან პაინრად შლოსერისადმი 1814 წლის 25 ნოემბრის წერილში, რომელშიც „დასავლურ-აღმოსავლურ დიხაზე“ მუშაობას შემდგარი პოეტი ესალმება „ავებდითი ომისა და ფეხთური ბატონობის“ დასასრულს, რომელთაც მეცნიერებისა და ლიტერატურის ნორმალური განვითარება დააბრკოლეს, რის შედეგადაც, კერძოდ, „მაღალ-იდეალური აღქმა სულ უფრო წყდებოდა სინამდვილეს“ და იმ „ტრანსცენდირებასა და მისტიცირებაში“ (Tansszendieren und Mistisizieren) ვადაიჩნება, „სადაც კაცი ცარიელს შინაარსიანისაგან ვეღარ არჩევს და ყოველი პირველსავე, ღმერთს ადამიანის სულში რომ აღუბეჭდია, ზმანებასა და ღრუბლებში უნდა ვაუჩინარდეს“).

დიხ, ბუნების „საზღვრებიდან“ ამ „გასვლაში“, არც რაიმე ტრანსცენდენტალიზმშია საგულელებელი, რომელიც გოეთესთან უკვე იმიტომ-მა პრინციპულად გამოირიყსება, რომ მის თანახმად „მთელი შესაქმე ბუნებისა ნამოქმედარი“, და არც რაღაც მისტიკური „ხილვაა“ საძებარი, რომლის „ძალიც“, ოკულტისტთა რწმუნებით, იქ იწყება ზოლმე, სადაც გონების უნარი თითქოს-და იშრიტება და მეცნიერებას ვითომც-და ვადაუღვავა საზღვრები ედება. სულაც: აქ ადამიანის სწორედ შემეცნებითი უნარის უსაზღვრო ძალმოხსილების აღიარება გვაქვს, ამ უნარის უმაღლესი, ფაუსტური

ძალთახმევის გენიალური აქტი ივლენს მისი რომელიც კაცს ღირსოვანე სუბიექტის სახით კი არ „გამოჰყოფს“ და „ამაღლებს“ მის ნებაზე, არამედ ამავე დროს კანდიდადაც არღვევინებს უკვე მიღწეულის შედარებით ვიწრო ფარგლებს და სულ ახალსა და ახალ „საიდუმლოებებს“ აპყრობინებს ჭერ კიდევ შეუცნობადად საჩინო „მთელს“ დაუსაბამო დაბასრულებულ სივრცეებში.

და ამიტომაცაა, რომ მისტიციზმს, რომელიც ბუნების საზღვრებიდან წარმოსახვით „ტრანსცენდენტულში“ ფიქტიურ, ილუზორულ „გასვლას“ ქადაგებს, გოეთე სახავს ბუნებრივ-ქმედითი ფაუსტური ძალთახმევის საპირისპირო ანუ მანკიერ და ფუჭ სულისკვთებად, რომელიც საერთოდ ცხოვრებაში ხელმოცარულ კაცს, მეტადრეც კი სინამდვილის რეალურად ათვისების გზაზე მდგარ სინამდვილეთა მოშორარ ფილისტერს სჩვევია ზოლმე, ვინაც თავისი ამ სისუსტის აღიარებასაც უფრთხის და თავს იმით ინულტუშებს ანუ იტყუებს, რომ შემეცნების უნარს ადამიანთა მთელს მოდგმას, კაცობრიობას ართმევს.

გოეთეს მიერ მისტიციზმის ამ ფსიქოლოგიურ-ეთიკური მხილების მრავალი მავალითადან შემდგურ ორი მომაჯგეს:

„დასავლურ-აღმოსავლური დიხისათვის“ დართულ „ჩანაწერებსა და შენიშვნებში“, ახასიათებს რა XV საუკუნის დიდ სპარს მეფისანს, ჯამის, როგორც სრულძალოვან ხელოვანს, რომლის ხელსაც ყველაფერი ეწიფებოდა, რაც კი პოეზიის უმაღლეს ხარისხს შეადგენს, — კერძოდ: „უღიღესი სიციხადე და გონიერება“, რომლითაც განასახიერებდა იგი „გრძნობადსაც და ზეგონობადსაც“, „ნამდვილ და წარმოსახულ სამყაროთა დიდებულებას, რომელთა შორისაც იგი ვიღოდა“, — გოეთე ასვენის, სწორედ ამიტომ „მისტიციკა მას ვერ დაეკმაყოფილებოდა“, და ამახაც დასძენს: მაგრამ „რამდენადაც ამ უკანასკნელის (ე. ი. მისტიციის — თ. წ.) გარეშე ეროვნულ ინტერესთა რკალს ვერ შეკრავდა, იგი (ანუ ჯამი — თ. წ.) ისტორიულ ხარკს უხდის ყველა იმ სულელს (allen den Torheiten), რომელთა შემეგობითაც თავის მიწიერ ყოფაში შეჭირებული (in seinemirdischen Wesen befangene) ადამიანი იმედოვნებს საფეხურებრივ მიაღწიონს ღვეთებისთან უშუალო სიახლოვესა და სრულ ერთობას, მაგრამ საბოლოოდ იმასაც ახერხებს, რომ ბუნებისა და გონიერების საწინააღმდეგო ზმანებებს იწვევს. რამეთუ სხვას რაღას ეწვევა მისტიკოსი, თუ არა მას, რომ ცდილობს შეფარვით გვერდი აუაროს პრობლემებს ანდა შეძლებისდაგვარად თავიდან მოიშოროს ისინი?“

ანდა გოეთეს მეორე საბუნებისმეტყველო ნარკვევაში, — „ქრისტიანობისა და





ქართული ენციკლოპედია

ეგეტოკოსის შესახებ; — შემდეგი რამეც წერია:

...და თუკი ადამიანი ბუნდოვანი რამ გრძნობით ერთბაშად ვერ მოიკავს მთელ ბუნებას, მას მაინც ბევრის შეცნობა და ცოდნა ძალუძს მასში.

მეცნიერება, კაცმა რომ თქვას, ადამიანის უპირატესობაა და თუკი მისი მეშვეობით იგი სულ უფრო განიშქვალავდა დიადი აზრით, რომ ყოველფერ არსებულზე ჰარმონიულ ერთს შეადგენს და ამასთან ერთად ის თავადაც ჰარმონიულ მთელს წარმოადგენს, ეს დიადი აზრი მას გაცილებით მეტად ვაამდიდრებს და სრულქმისი, ვიდრე იოლად მოსარგებ (im bequemen) მისტიკიზმში მოსვენება, რომელსაც თავისი სიღატაკის რესპექტაბელური სიბნელით დაფარვა უყვარს.

— „მე და ჩემს და-ძმას...“ ე. ი. მე და ყველა ჩემდაგვარ არსებას, ღვთის ყველა ქმნილებას, ანუ ჩემს მონათესავე სულდგმულს; იგივე სახე მეორდება „ანდერშმი“: „მეწის შობილი, უმადლე ბრძენსა, ვინაც დედაშენს, და-ძმასთან, ერთად, მზის შემოვარე საბრუნავი გზა დაუსახა“.

— „გიჯობს იკითხო, თავად შენ რა ხარ, სავსე გული თუ ოდენ ნაჭუჭი“? ესეც გოეთეს მსოფლმხედველობის ნიშანდობლივი, ჟან-ჟაკ რუსოდან მომდინარე მოტივია: თუკი ბუნებაში „გული“ და „ნაჭუჭი“ ერთიანნი არიან, ადამიანის ტრავმად ისაა, რომ მის სოციალურს ყოფიერებაში „შინაგანი“ და „გარეგანი“ გათიშულ-დაპირისპირებულია ხოლმე.

**11. ნათელი და ბნელი (Hell und Dunkel).** ეს ორ ვარიანტად დაწერილი (ორი-გინალში დაუსათაურებელი) ლექსი განეკუთვნება გოეთეს გვიანდელ, XIX საუკუნის 20-იან წლებში დაწერილ „ქესენიათა“ კრებულს, რომელსაც პოეტმა თავისი აღრინდელი, თითქმისა უფრო სატირიკული „ქესენიებისაგან“ განსახსვავებლად „თვინიერი“ უწოდა. ორივე ვარიანტი იმით იწვევს სავანებო ინტერესს, რომ აქ ლექსის ძირითად ფილოსოფიურ თეზისზე, — პოეტური მოვლენები ერთიანია: ნათელი და ბნელი, შინაგანი და გარეგანი „უერთმანეთოდ ვერ ძლებს“; გრძნობები სანდოა: „საკუთარ თვალში ცქერა უნდა ვახალისებდეს“, — გოეთე იმით განამტკიცებს, რომ ავტორიტეტად პლატონს მოუხმობს, რომელიც „ფილოსოფოსთა შორის არ იყო კატა“ ანუ არ ყოფილა ოკულტისტი მისტიკოსი, კატის დარად რომ „ხედვის წყვილიაღში“.

პლატონის, — როგორც მისტიკოსთა, ისე „სულის“ ყოველგვარ სხვა „არისტოკრატთა“ მიერ თავიანთ პაპად გამოცხადებული ფილოსოფოსის, — გოეთეს მიერ ასეთი დამოწმება

ერთი შეხედვით მოულოდნელი ჩანს, სინამდვილეში კი ღრმად კანონზომიერია.

ჯერ-ერთი: საგლისხმოა, რომ თავის და წვეტილ თხზულებებში თავად პლატონი არ სდებდა არავითარ მისტიკურ-ეზოტერიულ ანუ მხოლოდ „ჩრეულ-განდობილთათვის“ საცნაურად მიჩნეულ შინაარსს. მართალია, თავის მე-7 წერილში იგი აღიარებს, რომ „სავანთ არსის“ შესახებ მართლაც აქვს ამდაგვარი სავანებო მოძღვრება, — ასეთად პლატონის დღევანდელი მცოდნენი (მაგ. გოტფრიდ მარტინი) ე. წ. „რიცხვთა ფილოსოფიას“ ვარაუდობენ, — მაგრამ იქვე დასძენს, „მე თვითონ ამ საკითხთა გამო არავითარი ჩანაწერი არა მაქვს და არც შექნებია“, რამდენადაც ყოველივე „ეს არ გამოითქმის სიტყვებით ანუ ისევე, როგორც სხვა მეცნიერებანი გამოითქმიან“ (იხ. Платон. Сочинения в трех томах. Т. 3, ч. 2, стр. 542-543); ხოლო ეს აღიარება როგორც ამას, კერძოდ, გ. მარტინიც აცხენის, უთუოდ იმას ნიშნავს, რომ პლატონის ყველა საქვეყნოდ ცნობილი თხზულება, პირველყოვლისა კი „დი-ალოგები განეკუთვნება ექსოტერიულ ფილოსოფიას“ ანუ „ფართო საზოგადოებისათვის არის დაწინშული“ (იხ. G. Martin Platon in Selbstzeugnissen und Bilddokumenten. Rowohlt. 1969 s. 64-65).

მეორე: „სახელმწიფოს“ მე-6 და მე-7 თავებში პლატონი ყოვლად გარკვევით ემიჯნება როგორც მისტიციზმს, ისე ეზოტერიზმს; განასხვავებს რა „ხილვასა“ და „სააზრებელ“ სინამდვილეს, იგი განმარტავს: „ზეასეა და მალ-მალდება (ღვთაბრთე) სავანთა ჰერტა, — არ მინდა ამას ცად ამალება ეფურო, რათა არ გეგონოს, რომ სიტყვებით ჰქუის ჰყულებს ვაპირებ, — ნიშნავს სულის აღზევებას გონებით საწვდომის სფეროში“; და თანაც იმას უსწავს ხაზს, რომ „ყოველი კაცის სულ მომეტეება ასეთი უნარი“, ვინაიდან საერთოდ ადამიანის ბუნებას აბაღია როგორც „ხედვის ნიჭი“, ისე „გაგების ნიჭი“ (იხ. Платон. Сочинения в трех томах. Т. 3, ч. 1, стр. 317, 324 и 326).

და სულაც: „კანონთა დამატებაში“ ძველ-ღრობის ბრძენკაცი უკვე სავსებით „გოეთესებურად“ იმასაც შენიშნავს, რომ „ღვთის ნიადგ მოხმობა“ იმას სჭირდება და უხდება, ვინაც საიმისოდ „დაფიქრებელი მოაზროვნე“ ვერაა, რათა, მეცნიერული ცოდნით შეიარაღებულმა, განჭვრიტოს „ხილულ სავანთა ღვთაებრივი რაობა“, რომელიც მათ „ბუნებრივ კავშირში“, სახელდობრ, „ცალკეულის“ „სახეობრივთან“ და „გვარობრივთან“ მიმართებაში ცხადდება (იხ. Платон. Сочинения в трех томах. Т. 3, ч. 2, стр 501—503).

ხოლო ყოველივე ეს იმას ცხადყოფს, რომ პლატონის მოძღვრებაშიც გოეთეს მისი მეტა-

ფიზიკურ-რელიგიური „ნაჭუქი“ კი არ ხიზლავს, არამედ — მიწიერი რეალობისკენ მიდრეკილი დიალექტიკურ-მეცნიერული „გული“, რასაც იგი თავის მეტაფორულ ენაზე კიდევაც ამბობს ასე: იგი არ არისო ფილოსოფოსთა შორის „კატა“, რომელიც ბნელში ხედავს, ანუ მისტიკურ წყვილადში მაცქერალი მოაზროვნე (იხ. ე დ უ - ა რ დ ფ ო ნ ჰ ე ლ ე ნ ის კ ო მ ე ნ ტ რ ი ვ ო ე - თ ის თ ხ ს უ ლ ბ ა თ ა ს ა ი ა უ ბ ი ლ ო (40 ტომიანი) ვა - მ ო ც ე მ ის მე-4 ტომის 307-ე გვერდზე).

თუმცა ისიც საცნაურია, რომ პლატონის ამგვარი „მატერიალისტური კითხვის“ მიუხედავად, ვოეთე მაინც პრინციპულად უპირისპირდება ყოველგვარ, — როგორც კლასიკურ, ისე ნეოპლატონიზმს, რამდენადაც კარ იზიარებს მის ძირითად ე მ ა ნ ა ც ი ო ნ ის ტ უ რ თ ვ ა ლ - ს ა ზ რ ის ს, რასაც ე რ ი ჰ ტ რ უ ნ ც ი ასე აღნიშნავს: „პლატონის თანახმად „სულიერი ფორმა“ კლებულობს „მოვლენად“ წარმოჩენისას. სამყარო უოფიერების უფრო ნაკლები საფეხურია, ვიდრე იდეა. ვოეთე უარყოფს (bestreitet) უოფიერების განსხვავებულ საფეხურთა შესახებ ამ ძველ მოძღვრებას. მისთვის მხოლოდ ერთი განუყოფელი უოფიერი (nur das eine ungeteilte Seiende) არსებობს. „იდეა“ თავისი არსით არაა „მეტი“, ვიდრე „მოვლენა“ (Coethes Werke HA. 8. B., S. 722—723).

12. „განცხადებული საიდუმლო“ (Offenbar Geheimnis. 10. 1. 1814) — „დასაჯელურ-აღმოსაჯელური დიენის“ ეს განთქმული ლექსი, რომლის თავდაპირველი სათაური „მისტიკური ენა“ იყო, ვოეთეს განმარტებელთათვის ერთ-ერთი ყველაზე საღაო ლექსად ჰქუელა, რაც სავეხებით ვასაგებია, რამდენადაც თავისი ფილოსოფიურ-პოეტური მრწამსის, — მრავალში ერთი, სხეულბრძვიში სულიერის, ბოლოვადში უსასრულის, მოკვდავში უქვდაღის. „ქმნილებაში“ „ღმერთის“ განკურების ანუ „იდუმლის განცხადების“, — უზადლო დიდოსტატად, ყოველგვარი მისტიკისაგან არსებობად თავისუფალ ხელოვანად ვოეთეს ჰ ა ფ ი ზ ი ესახება, XIV საუკუნის გენიალური სპარსი მგოსანი, რომელსაც ამავე დროს, რაიმე ყალბი მორიდების გარეშე, თავის აღმოსაჯელურეულად წარმოგვიდგენს.

თამამად თქმის, რომ ვოეთეს „დიენის“, რომლის ერთ-ერთი საკვანძო ლექსადაც „განცხადებული საიდუმლო“ გვევლინება, „ფაუსტრიკით“ ეუცხოვა და აუთვისებელი დაურჩა ბურჟუაზიულ ვოეთეანას; თანაც ისე, რომ ამ უქანასკნელის ძველი, XIX საუკუნის დროინდელი მესვეურები თანამედროვეებზე მეტად უახლოვდებოდნენ ჰეგელისებებს: თუი უპირველნი, როგორც, მაგალითად, ა დ ა ლ ბ ე რ ტ მ ე რ - კ ს ი ჭ ო რ კ ი დ ე ვ 1893-ს, „უბრალოდ“ იმას ამტკიცებდნენ, რომ ჰამანის, ჰერდერისა და სხვა

ადრინდელ ორიენტალისტთაგან „ცოდუნსტრუმა“ ვოეთემ „ვააყალბა“ ჰაფიზი, რამდენადაც მისი პოეტური სიმბოლიკის სუბტილურ-მისტიკური შინაარსი ევრ დიანახა“ და „ღერინსა“ და „ტრფილის“ ეს „ღრმავაროვანი“ მხოლოდ მხოლოდ სპარსელ ანაკრონტიად თუ პორაციუსად წარმოადგინა, მეორენი საიმისოდ ირგებინა ამოდ, რათა ეს „ბრალებმა“ მოხსნან იდე ე რ ი ს კ ა ე ს და იგი „სუბალღუს“, საეღუსი დოგმატიზმისა თუ სქოლასტიკურ ცრუსწავლულებისაგან განწმენდილ ანუ რელიგიის „ჰეგელარტი“ არსის მჩენელ მისტიკას აზიარონ.

მაგალითად, კ ო ნ რ ა დ ბ უ რ დ ა ხ ი (1905) ამ ლექსშიც იმავე „რელიგიურ-მისტიკურ პანთეონის“ ხედავს, რაც, მისი აზრით, „დიენის ყველა წიგნს თითქმის თანაბრად აღავსებს“, რამდენადაც მასში ჰაფიზი იმ „ღრმა მისტიკური სპექულაციის“ წარმომადგენელადაა აღიარებული, რომელიც „რეალობას“ წარმოაჩენს ანათარცა სხვა, უფრო მაღალი სიცოცხლის ანაკრესს“ (Goethes sämtliche Werke I-A. 5. B. S. XLI-XLVII). იგი, ცხადია, ამჩნევს, რომ „განცხადებულ საიდუმლოს“ ასეთი განმარტება აშკარად ეწინააღმდეგება ჰაფიზის შემდეგ რეცეპციას, რასაც ვოეთე „დიენისათვის“ დართულ „ჩანაწერებსა და შენიშვნებში“ იძლევა: ჭამის არ იყოს, ჰაფიზიც — სრულმალეოვანი პოეტია, რომლის ლექსებიდან გამოსკვივის არა იმიერისაგან მიმსწრაფე მისტიკური სპექულანტის შელახული სული, არამედ ცხოვრების ოსტატის ის „სუბტიკური სიცოცხლე“, „გონივრულად და მზიარულად“ რომ „ქმაცოფილდება მცირედით“ ანუ, „ქვეყნის სიუხვისაგან თავისი წილის შემარგები“, მხოლოდ „შორიდან იხედება ღვათებრივ საიდუმლოებებში“ და ისევე ეუცხოვება „რელიგიური წერისას“, როგორც „გრანძობათა ცხრომას“; და ამიტომაცა, ეს „დიდი, ლალი ტალანტი“ ყველას რომ ექცევა „თანატოლ ძმად“ და „ცხოვრების საყვარელ თანმგზავრად“, როგორც სწავლულს, ვისაც მის ლექსთა ფართული შინაარსი შეუღენია, რომელსაც ის თვითონ „განზრახ აბუნდოვანებს“ ხოლმე, ისე აქლემის თუ ჭორის გამრეკსაც, ვინაც ამ ლექსებს დღესაც „იმი განწყობილების გამო“ მღერის, „რასაც ის ნიდავ წმინდად და გამახალისებლად განაერტობს“. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თავის „თვალსაზრისში“ დაიკვდეს, ბურდახი არჩევს თავად ვოეთეს მიაწეროს აშკარად მოგონილი შეუსაბამობა: ლექსისაგან განსხვავებით იმდენად არ თვლის ჰაფიზის ამ თურმე „უხეირო“ დახასიათებას „ანგარიშგასაწევეად“, რამდენადაც „ამ მასალის მოცულობით დაღლილი პოეტი განმანათლებლურ ყაიდაზე აქვეითებს ძლევაშის მგოსანს, რათა იგი თავის მოკავშირედ აქციოს



სალი ზომიერებისათვის ასევეის საწინააღმდეგო ბრძოლაში“ (იქვე, XIV).

არსებითად ასევე იქცევა ერნსტ ბოიტლერიც (1943), როცა ირწმუნება, რომ „ზანდის გოეთესეული სურათი ირყევა“, რამდენადაც „დიენის“ შემოქმედი ერთის მხრით ბუასტრესთან საუბარსა და „ჩანაწერებსა და შენიშვნებში“ ჰაფიზს „მისი დროის ვოლტერად“ წარმოგვიდგენს, ხოლო მეორე მხრით თავის ლექსებში მას „ცალკედმარბად“ (Sondergänger-ად) სახავს, რომელიც ისე ცდილობს „დინგროს საკუთარი გზით დაუახლოვდეს“, რომ თუმცაღა „ექსტატური აღტაცების სამყარო ეუცხოება“, უპირატესად კვლავ „დოგმატურ-ასკეტურ“ თეოლოგიას უპირისპირდება (იხ. გოეთეს დიენის პირველი Beutler-ისეული გამოცემის 413—414 გვერდები).

ხოლო ერიკ ტრუნცი (1949) იმითღა აუმჯობესებს თავის ამ მთავარ წინამორბედთა ინტერპრეტაციებს, რომ მათ აშკარა თუ უქიდურეს ნაკლოვანებებს ასწორებს და ავსებს; მისი აზრით „დიენის“ ლექსებდა გოეთესეულ კომენტარში ჰაფიზის ერთი სურათი გვესახება, რამდენადაც ორივედაც წარმოადგენილია „მიწიერი მისტიკის“ მესვეური, რომელსაც თანაბრად „ეუცხოვება როგორც ორთოდოქსიის, ისე გამაბრუნებელ-ექსტატური მისტიკის გზა“, დაიხ „სოფლის მოყვარე მისტიკოსი“, რომელიც „მიწიერში ხედვის ღვთაებრივ წესრიგს“ ანუ „შორიდან“ — და არა „უშუალო“ ხილვის აქტით — „იხედება ღვთაების საიდუმლოებებში“ (იხ. Goethes Werke. HA., 2. B., S. 538-539, 566).

ტრუნცის ამ თვალსაზრისს ის ობიექტური საფუძველი აქვს, რომ გოეთე თვითონ ასხვევებს როგორც მისტიკის, ისე მასში ჩათესლილი პანთეიზმის ორ, — სუსტსა და ძლიერ, — სახეობას, რომელთაგან პირველს რადიკალურად ემიჯნება, ხოლო მეორისაგან ყოველივე ცოცხალ-ნაყოფიერს ითვისებს და განავითარებს. კერძოდ, იგი მართო ამ „განახლებულ მისტიკურ-პანთეისტურ, არეულ-ფილოსოფიურ“ სპეკულაციას კი არ მტრობს, რაც მისდროინდელ რომანტიკოსებს, „შეგველ-შეღინგისებურ „პროტესტანტებს“ დასჩემდათ, რომელიც, „გმრბობდა რა სიკარივეს, მხოლოდ მისტიციზმს ეწვეიან, რამეთუ აქედან სწორედ მისტიციზმი თუ გადმოინდობა“ (იხ. ქრ. გ. ფთავტისაძე 1816 წლის 27 თებერვლის წერილი და ს. ბუასესთან 1815 წლის 4 ავეისტის საუბარი), არამედ საერთოდ დასავლურ მისტიკაზე მალღა აღმოსავლურს აყენებს, რომელშიც, ისევე, როგორც ქრისტიანულთან შედარებით მაჰმადიანურ სამოთხეში, მიწასთან მეტ სიახლოვეს ხედავს. „მათმა მისტიკამაც უნდა მიიქციოს ჩვენი ყურადღება, — შეინიშნავს გოეთე დიენის „ჩანაწერებში“, — ყოველ

შემთხვევაში, ის თავისი სიღრმითა და საფუძველიანობით იმსახურებს ჩვენ მისტრკოსთა შედარებას, რომელიც უახლეს დროში, თუკი მას ჩაუტყვირდება, არსებითად მარტოოდენ ხასიათსა და ნიუს მოკლებულ მეოცნებობას გამოხატავს“; ამ მისტიკოსთა ნაკვეთი „აღმოსავლური“ პოეზია, რომლის ყოველ ოსტატს „არაფრად უღირს მიწიდან ცაზედ ჩვენი ამალღება და ციდან ისევე მიწაზე დაშვება ან კიდევ პირუთუ“ (იქვე); ხოლო რამდენად „შეგვირება“ (ziemt) ამ პოეზიის მსოფღაღქმა მის „ასაკს“, ამას შემდეგნაირად უზიარებს იგი (1820 წლის 11 მაისის წერილში) თავის მეგობარ კ. ფ. ცელტერს: „ღვთის ნებისადმი (ანუ: ბუნების კანონისადმი — ო. ჯ.). უთუო მორჩილება, მარად მოძრავი, წრიულ-სპირალურად მბრუნევი მიწიერი ორბიტრილის ლალი აღქმა, სიყვარული. კეთილგანწყობილება, ორ სამყაროს შორის რომ მიმოფრენს, ყოველივე რეალურს ანათებს და მასში სიმბოლურად ცხადდება, — მეტი რაღა უნდა პაპას?“.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ-კიდევ არ იძლევა მისტიკის რამენაირ ავებტად, — თუნდაც მის ასეთ უმაღლეს გამოვლენათა დამცველად, — გოეთეს ჩათელის საფუძველს. სახელდობრ: ყოველივე ეს მისტიკის მხოლოდ რაციონალურ მარცვალთან, მის პოზიტიურ „გულთან“ გოეთეს სიახლოვეს მოწმობს, რაც ამავე დროს ცხადს ჰყოფს მისტიკის ნეგატიურ, ასევე ეტკება, საკუთრივ მისტიკური „ნაჭუქისადმი“ ანუ თავად მისტიკისადმი, როგორც ასრებითად არამენიერული მოძღვრებისადმი გოეთეს საბოლოოდ ნეგატიურ დამოკიდებულებას. და სწორედ მისტიკის ეს პირინეული უარყოფა წარმოადგენს გოეთეს ფილოსოფიურ მრწამსის იმ ერეტიკულ დვრიტას, რასაც „ფაუსტსა“ და „დიენის“ შემოქმედი საერთოდ რელიგიური მსოფღაღქმის ფრაგულიდან არსებითად გაჰყავს და რაც მის ბურჟუაზიულ „მოთარგმანეთ“ არაფრით „არ უნდა იწამონ მასში“.

რაკი ყოველი მისტიკა, თავისი შედარებითი მონიშნისა და მეტნაკლები არაორთოდოქსულობის მიუხედავად, ასე თუ ისე აუცილებლად უხდის ხარკს რელიგიური მსოფღაღქმისათვის ნიშნადობლივ მისტიციზმს ანუ გვეგებობას ღვთის „საიდუმლოს“ ადამიანის ბუნებრივი ცნობიერებისათვის მიუწვდომლობის მქადაგებელ „ბუნღმეტყველებად“, ამდენად ყოველივე, რაც გოეთეს მისტიციზმის სამხილებლად უთქვამს, პრინციპულად მისტიკასაც ეხება. ამ რაკი ზემოთიტიტიულდ გამოითათქვამთა გარდა, რომელთაგან „განცხადებულ საიდუმლოსთან“ დაკავშირებით მეტადრე ჯამის დახასიათება იქცევის ყურადღებას, დამატებით მომაქვს გოეთეს შემდეგი ორი (336-ე და 1001-ე) „რეფლექსიაც“.

— „ყოველი მისტიკა გვევლინება ტრანსცენ-



დირებად და მოწუხებად რაიმე საგნისაგან, რომლისაგანაც ამნიარად თავის დახსნას ვფიქრობთ. რაც უფრო დიდია და მნიშვნელოვანი ასე უარყოფილი საგანი, მით უფრო უხვია მისტიციოსის პროდუქციები“.

— „მისტიკა: უმწიფარი პოეზია, უმწიფარი ფილოსოფია; პოეზია: მოწიფული ბუნება, ფილოსოფია: მოწიფული გონება“ (იმას ჩაუვყვირდეთ, რომ ამ რეფლექსიის პოზიტიურ ნაწილშიაც აღარ ურჩება ადგილი რელიგიის! შეადარეთ იგი № 6 კატრენს).

და რაა გასაკვირველი ანუ ყოვლად ბუნებრივია, რომ თავის იდეალურ ორეულს, — ჰაფიზს, — გოეთე „ცულის“ საწინააღმდეგოდ „კარგი“ მისტიკის მესვეურად კი არ წარმოგვიდგენს, როგორც ეს ე. ტრუნცს უნდა, არამედ, მის თანატოლად შერაცულ ჯამის არ იყოს, ვითარცა სრულძალოვან პოეტს შინაგანად საერთოდ ათავისუფლებს მისტიკისაგან.

დაიხ, სწორედ და მხოლოდ ასეა გასაგები „განცხადებული საიდუმლო“, რომლის სამთავე სტროფის პირველ ნახევარში პოეტი სამჯის ეუბნება ჰაფიზს ერთსა და იმავეს; პირველად და მეორედ — პირდაპირ: ცრუსწავლულგმა იმიტომ გწოდესო „მისტიკური ენა“, რომ ა), ამ „სიტყვის აზრი ვერ შეიმცნეს“ და ბ) საკუთარი მანკი („მღვრიე ღვინო“) შენ მოგაწერეს, ხოლო მესამედ — შებრუნებულად, იმავე ლოგიკის თანახმად, რაც განთქმულ credo quia absurdum-ს („მუჟამს, რამეთუ ეს უაზრობაა“) უღვეს სარჩულად: რაკი მათ, ამ ცრუმეცნიერთ, ჰგონიხარ მისტიკოსი, შენ მისტიკასთან, მის „სიმღვრივისთან“ არაფერი გაქვს საერთო ანუ ხარ „მისტიკურად“, ე. ი. იდუმალად, საოცრად „სუფთა (mystisch rein) აქ „საოცრად სუფთას“ რომ ნიშნავს, — და არა „სუფთა“ ანუ ცრუსწავლულთა „მღვრიე“ მისტიკისაგან განსხვავებულ „კარგ“ მისტიკას, როგორც ე. ტრუნცი ფიქრობს, — ამას ლექსის მთელ აზრობრივ კონტექსტთან ერთად თავად „სუფთას“, ვითარცა ქეშპარიტის, გოეთესეული ვაგებები ადასტურებს; საქმე ისაა, რომ გოეთეს თანახმად „ღვთაებრივთან იდენტური ქეშპარიტი უშუალოდ არასოდეს გვიხვდეს თავს“ და ამდენად მუდამ საოცარ იდუმალებად ვგესახება).

13. მინიშნება (Wink. 30.5. 1815). ეს ლექსი, რომელიც „დივანში“ არა როგორც „სრული გაბათილება“ (ბურდახი), არამედ ვითარცა „დამატება“ (ტრუნცი) მოსდევს „განცხადებულ საიდუმლოს“, საჯულისხმოა გოეთესეული სიმბოლიკის თვალსაზრისით, მის გნოსეოლოგიურ-ესთეტიკურ მრწამსს რომ ავერსებინებს.

აქ „მისტიკურის“ გამო ცრუმეცნიერებთან მოღავე პოეტი აღიარებს, რომ ჰაფიზის პოეზი-

იდან მინც შეიძლება ან, სულაც, უნდა გამოისწავლოდეს რაღაც იდუმალი შინაარსი, რამდენადაც სიტყვა, რომლის დიდოსტატიკის ნიშნავს არ არის ხოლმე „ერთის მნიშვნელი“ ანუ სიმბოლო ს წარმოადგენს: იგი, მარაოს დარად, გარეგანის მეშვეობით თითქოსდა ფარავს, სინამდვილეში კი „მიგვანიშნებს“, ე. ი. უფრო მახვილად გვაგრძნობინებს „ულამაზესს“ ანუ იმ მთავარს, უფრო ზოგადსა და მაღალს, სულაერს, რაც ყოველზევ არსებულის „მოგნიდან“ გამოკრთის. მაგრამ „სიტყვით ვანსწავლულათავეს“ ეს დათმობა მოჩვენებითია, ვინაიდან „სიმბოლოს“ ცნების გოეთესეული გაგება მის „ფიზიომონისტურ“ ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მატერიალისტურ ჩანეთიხმს ემყარება და ამდენად არსებითად უპირისპირდება იმ სიმბოლიკისს, რაც შინაგანისა და გარეგანის შეუსაბამობის, „გულისა“ და „ნაჭუქის“ ურთიერთსიუცხოების მქადაგებელ მისტიციზმს საერთოდ ახასიათებს, ხოლო რომანტიკოსთა ესთეტიკის ქვაკუთხედად ქცეულიყო.

შემოთდამოწმებულ პაველ მოციქულს ორთოდოქსულად, რელიგიის სპირიტუალისტურ-მისტიკური არსის შესაბამისად ესმის ბიბლიური დოგმატი, რომ ღმერთმა საკუთარი „ხატის მსგავსებად“ შექმნა ადამიანი: როგორც სულიერმა არსმა, მან მხოლოდ იმით იმსგავსა ადამიანი, რომ მის მატერიულ სხეულს თავისი სული შთაბერა; ანუ კაცი მხოლოდ სულით ენათესავება და ჰგავს ღმერთს, რომელსაც არ შეიძლება „განხრწნადი ხატი“ ჰქონდეს (აი ებრაელთა იეჰოვაც უსახოა და უხილაეი და მოსე კერპთთაყვანისმცემლებად რაცხს იმათ, ვისაც ღვთის თვლით ხილვა სწადია). და თუკი ქრისტიანულმა ეკლესიამ ღვთის იდეის „ექსოტერიზაციისათვის“ ანუ პრაქტიკული მიზნით, ღვთისში ფეხის უკეთ მოსაკიდებლად, დაუშვა იკონის, ხატის კულტი, ამით მან დაარღვია შემოქმედის სულიერობის პრინციპი, გააყალბა თავად ღმერთის იედა (აქედან — ხატისმგობელთა სექტაცი), თუმცა-და მხოლოდ ადამიანური სინამდვილეთა შემოფარგლა ეს დარღვევა, რომელიც ბრმა რწმუნებულ ტერტულიანესეული ფორმულით გაამართლა (უნდა იწამო, რაკი უაზრობაა). ანუ თეოლოგიური ორთოდოქსია მხოლოდ თავისი ანომალიის სახით უშვებს სიმბოლიკის, რომელსაც თანაც უსისხლოროცო, აბსტრაქციონისტულ ალფეოროკამდე აქვეითებს, რამეთუ კონკრეტულ-პლასტიკურ საგანს მიიჩნევს მხოლოდ ხელოვნურ, პირობით ნიშნად, რომელიც, ვითარცა საკუთრივ არსებობასა და ღირებულებას მოკლებული რამ, იმით-ღა იძენს მნიშვნელობას, რომ მიახლოებით გვაგრძნობინებს და ბუნდოვნად განვევადვინებს თავისთავად იდუმალ „იდეალურს“, უშუალოდ მიუწვდო-





მელ „სულიერს“, უხილაესა და უტქმელ „ღეთა-  
ებას“.

ხოლო სულ სხვა, სახელდობრ, სრულძალო-  
ვან-რეალისტური ხასიათი აქვს იმ სიმბო-  
ლიკას, რომელიც პანთეისტურ ერესს ყოფი-  
ერების, Dasein-ის შინაგან ფორმად მიაჩნია  
და რომელსაც თავის გნოსეოლოგიურ-ესთეტი-  
კურ კრიტიკულად მისვან გოეთე ითვისებს.  
ექსპრტ-ზოემესდაგვარ ერეტისკებსაც და გოე-  
თესაც არა მარტო დამინის ბუნების „უქვდავი  
ნაწილი“, არამედ მთელი სულიერ-ნივთიერი  
სინამდვილე, „ფრინველი“ და „ქვეწარმა-  
ლთანი“, ხეიც და ქვანაც მიაჩნია, როგორც  
მართან ერთად ჩვენს რუსთაველიც იტყვოდა,  
„ხატად ღმრთისად“ ანდა, გოეთეს ბიუტურ  
ენაზე თუ ვთარგმნით ამას, იმ სახეებად. რომ-  
ლებითაც „ღმერთმა გვიჩვენა პირი“ (იხ. მისი  
„ხელოვანთა ჰიმნი“), იმ ცოცხალ სიმბოლო-  
ებად, რომლებშიც იდენობრივად ამოუწურა-  
ვად, მაგრამ თვისობრივად აღქმავტქვად, ე. ი.  
არსებითად „ცხადდება“ ღვთის „იდუმე-  
ლო“ რაობა, დიახ, ისინი ყოველ ქმნილებას  
აღიქვამენ არა მკრთალ შინიშნებად, არამედ  
ფერსაღვან „ანარეკლად, სწორედ რომ  
მისგადასებად“ შემოქმედისა ანუ, ამ ცნე-  
ბის საბაბეული განმარტების-სებრ, ხედავენ  
არსებით „სწორებასა და იგივეობას“. თვისობ-  
რივ „მისთანაებასა“ და არა „სხებვრობას“  
პლასტიკურ-სახეობრივ საცნებას და მათ მარ-  
სებელ სულიერ-ღეთაებრივ სუბსტანციას შო-  
რის, რაიც მათს თვალში რეალური სინამდვი-  
ლის მთელ კონკრეტულ მრავალფეროვანებას  
აქცევს მასში განხორციელებული ერთიანი  
იდელური საწყისის, „ღმერთად“ წოდებული  
საყოველთაო პრინციპის თმუკადა არა სრულ,  
მაგრამ მარტალ გამოხატულებად, დიახაც,  
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა დ.

ცნებათა ენით, გოეთე ასე გამოხატავს რეა-  
ლისტური სიმბოლიკის თავის ამ კონცეფციას,  
რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ ვერაა ძველ-  
რელიგიური ტერმინოლოგიისაგან თუ წარმოდ-  
გენებისაგან მთლად თავისუფალი:

— „ქეშმარიტი, რაიც ღვთაებრივის იდენ-  
ტურია, უშუალოდ (direkt) არახოდეს გვიმ-  
ხელს თავს, ჩვენ ეკრებთ მას მარტოდენ ანა-  
რქლის, მავალითის, სიმბოლოს. ცალკეულ და  
ნათესაურ მოვლენათა სახით“ (იხ. გოეთეს მე-  
ტრეოლოგიური ნარკვევი „ცდა ამინდისმცოდ-  
ნეობისათვის“).

— „წარმოდგენილით დაუშეყოფილებელი  
გონებაშეხვილი კაცი ყველაფერს, რასაც მას  
გრძნობები სთავაზობენ, აღიქვამს როგორც სა-  
ფარს (als eine Vermummung), რომლის უკა-  
ნაც უფრო მაღალი სულიერი სიცოცხლე ეშმა-  
კური თავნებობით გვემალება, რათა მიგვიზი-  
დოს და უფრო ღირსეულ სფეროებში გვირტყუ-  
ოს“ (ღიენის „ჩანაწერები და შენიშვნები“).

— ესაა ქეშმარიტი სიმბოლიკა (wahre  
Symbolik), რომელშიც განსაკუთრებული ზო-  
ვადის სახითაა წარმოდგენილი არა როგორც  
შმანება და ჩრდილი, არამედ ვითარცა ცოც-  
ხალ-წამიერი განცხადება მიუწვდენელისა“  
„მაქსიმები და რეფლექსიები“, 314).

ამ კონცეფციის მოწმენეტურ პოეტურ პრო-  
ექციას წარმოადგენს „ფაუსტის“ მეორე ნაწი-  
ლის საწყისი სურათი, — „ღამაზი მიღამო“, —  
სადაც გრეთენის ტრეგედიის შემდგომ გან-  
კურნებულ-განახლებული გმირი უკვე უშუა-  
ლოდ კი არ ღამობს ღვთის ხილვას, რომლის  
„მიწის ვონის“ სახით გამოცხადებამაც პირველი  
ნაწილის დასაწყისში თავზარი დასცა, არამედ  
იმ „ნაირფერადი ცისარტყელის“ პეტრეტო ტკე-  
ბა, რომლადაც მთის ჩანჩქერის შხეფებში თა-  
ვად სიცოცხლე თუ მისი უშრეტა წყარო გა-  
დამტყდარა: მზე-ღმერთის თვათა მომკრთა-  
ნათელი. ხოლო მინიატურულ „მინიშნებათა“  
ერთად ამ კონცეფციის დიდებულ ლირიკულ  
„განცხადებად“ გვევლინება — ღიენის ერთ-  
ერთი უღამაზესი ლექსი, რომელსაც პოეტმა  
თავდაპირველად, კრებულში უსათაუროდ შე-  
ტანამედ, უწოდა:

14. „ყოველ განაჩარი“ (Allgegenwärtige 16. 3. 1815).

თავისი ფორმით „ღიენის“ ცენტრალური ნა-  
წილის „ზულაიკას“ წიგნის ეს დამამთავრებუ-  
ლი ლექსი წარმოადგენს არაწესიერ „ღაზალს“  
ანუ „უზალს“, არაბულ-სპარსული პოეზიის  
ერთ-ერთ საპეოფიკურ სალექსო სახეობას, რო-  
მელსაც გოეთე „ღიენაშობა“ და საერთოდაც  
იშვიათად და მეტად თავისუფლად, მხოლოდ  
მიახლოებით იყენებს, რის შესაბამისადაც,  
თავის მხრივ, არც წინამდებარე თარგმანს აქვს  
გოეთესეული „უზალის“ ზუსტი რეპროდუქ-  
ციის პრეტენზია.

„პანთეისტური ერთიკის“ ეს შედეგრი, —  
ასე მას კ. ბურდახი ახასიათებს, — უწინარეს  
ყოვლისა დამახასიათებელია გოეთესეული სიმ-  
ბოლიკის მრავალწახანოვანებისა და დამტეო-  
ბის თვალსაზრისით. სატრფოდ, რომელსაც აქ  
„აღმოსავლურაბ“ ესმის სობტა, შეგვიძლია  
ვივლისხმობთ და წარმოვიდგინოთ, როგორც  
კონკრეტული ქალი. — სახელდობრ, უკვე ხან-  
დაზმული, 65-ს მიღწეული პოეტის მეგობარი,  
30 წლის მარიათა ფონ ვილემერა, მის უმშვე-  
ნიერეს გვიანდელ ქალურ სახეთა, ხორციელ-  
სულიერი სისრელის მჩენელ ხატთა, „ღიენის“  
ზულაიკასა და „ფაუსტის“ ელენეს პროტოტი-  
პი, — ისე რიგი განყენებული ცნებაიც: სული,  
სიცოცხლე, ბუნება-ღმერთი. ერთი სახის ასეთ  
სიმბოლურ გამარჯვებასა თუ ფერისცვალებას  
გოეთეს ფილოსოფიური მრწამსის იგივე ძირი-  
თადი იდეა უდევს საფუძვლად, რომ ყოვლის-  
გამაერთიანებელი „ღეთაებრივი“ სუბსტანცია

არა მარტო გამოსკვევის თავისი ყოველი „ქმნილებიდან“, არამედ რეალურადაც მისი სახით არსებობს, მასშია განფენილ-განხორციელებული.

რამდენადმე შეცვლილი სახით მსგავსი მეტამორფოზაა წარმოდგენილი „ფაუსტის“ მეორე ნაწილის მესამე აქტის ბოლოში: თუკი აქ პოეტი კვლავ „პოულობს“ ანუ განწვრტვს ბუნების სხვადასხვა საგნებსა და მოვლენებში თავის მრავალნიშნა „სატრფოს“, იქ მშვენიერ ელენეს პადესში დაბრუნების შემდეგ მისი თანხლებები ტრადიციული გოგონებიც, რამეთუ მათი პირადი აქ ყოფნა უსაფუძვლო გამხდარა, ბუნებაში უჩინარდებიან, კლდედ, წყაროდ, ყვავილებად, უსურვავად გარდაიქცევიან.

თანაც, „ყოველგანარსში“ წარმოდგენილ „გაუჩინარებათა“ მწკრივიც შეიცავს შესაბამის (გოეთესეულ) ფილოსოფიურ ქვეტექსტს; როგორც ყოველივე არსებული. პოეტის ფანტაზიაც „მაღლდება“, სულ უფრო „თამამდება“: ჯერ მიწიერ-ბარსიეულ საგნებად წარმოიდგენს სატრფოს, — კვიპაროსად, არხის ზვირთებად თუ შადრევნის მხეფებად, ყვავილოვან მინდორველად და სუროდ, — მერე ღრუბლად, ვანთიადის სხივებად და მზის მხურვალეობით აღდის ცად, ბოლოს კი სამყაროს შესაცნობად შთამთავრებულ ზადად და თავად სასახლოვანი ღმერთის ანუ ათას, ე. ი. უთვალავ სახოვანი ბუნების სიმბოლოდ.

გოეთემდე ქალის ანალოგიური „დეიფიკაციის“ (ვალმერტების) ნიმუშად ასახელებენ ხოლმე დანტეს „სალონებლის“ მე-13 სიმღერას, სადაც სამოთხიდან ჩამოსულ ბეატრიჩეს ვითარცა ღვთისმშობელსა და ქრისტეს მიმართავენ დამხედლური წმინდა მოხუცები, ამას წინათ კი დავით ლაშქარაძემ აღნიშნა, რომ ასეთივე დეიფიკაციად ვვევლინება დავით გურამიშვილის „ზუბოვკაში“ პოეტის გულში ჩაეარდნილ უკრაინელ გოგონას „უეცარი“ გარდაქცევა ქრისტედ (იხ. დ. ლაშქარაძე. ევროპეიზმი დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. „მნათობი“, 1973, № 9, გვ. 180).

დასასრულ, საეულისხმოა, რომ პოეტის სატრფო აქ მარტო საკუთრივ-ბუნებისეულ „ქმნილებებში“, კვიპაროსში ან ღრუბელში თუ სურათში კი არ უჩინარდება, არამედ არხის ზვირთებშიც და შადრევნის მხეფებშიც, რომინებიც ადამიანის ნახელავს წარმოადგენენ. ჯოვანი ბოკაჩოოს არტყოს, გოეთეს, შეიძლება ითქვას, კულტივირებული ბუნება, ადამიანის გონებითა და ხელით მოქმედებულ-

ვასუფთავებული პეიზაჟი, კერძოდ, „წმინდა არხი“ ურჩენია „ველურ“ ბუნებას, ამათთან დაკავშირებით იხ. „დეიფიკაციის“ „ძველი სპარსის ანდერძი“ (Vermächtnis altpersischen Glaubens), რომლის დედააზრიც ისაა, რომ სინათლის სწორფერი სისუფთავის იდეით შთაგონებული კაცი ვალდებული უვლიდეს და სწმენდდეს მიწას, არხების, ნარგავებისა და მსგავს ღონისძიებათა მეშვეობით უმოწყალოდ სპობდეს ყოველგვარ უწმინდურ სარტყლას, რაიც ბოროტებასა და სინებულს წარმოუშვია, და „ფაუსტის“ ფინალშიც წარმოდგენილ პეიზაჟს, მიდამოს, რომელსაც გმირი საბოლოოდ მიწიერ სამოთხედ გადაქცევას უპირებს, ფართო არხი სჭრის, რომლის ნაპირებს უცხოდ გაშენებული ბაღები ამშვენებს. ბუნების „ყოფნაში“ ადამიანის ეს „ჩაჩერება“ ანუ მისი ხელით „ბიოსფეროს“ „ნოოსფეროდ“ გარდაქცევა არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ ავირგვინებს ბუნების არსებობას, მის შემოქმედებით მუშაობას, რომლის ფორმადაც ღრუბლის სახით სიმბოლიზირებული „ქმნა და გარდაქმნა“ გვევლინება.

გოეთეს აზრით, დებულება, რომ „ბუნება არაფერს სჩადის ტყუილად, ძველი ფილოსტერული თქმაა“; მართალია, იგი მუდამ ცოცხლად მოქმედებს... რათა უსასრულო მარადამიერ თანადროული იყოს და არაფერი გაშეშდეს“, მაგრამ „ზედმეტობს და მფლანგველობს“ კიდევაც (1250-ე „რეფლექსია“), მაშინ როდესაც „ადამიანი, სადაც კი მნიშვნელოვნად ირგება, თავს კანონმდებლად (gesetzgebend) იჩენს“ („ნარკვევები ზოგადი მცენარეთმეტყველებისათვის“) და გოეთეს ამ ღრმად დიალექტიკური იდეის პოლემიკურად გამახვილებულ ვარიანტადაა მისაჩნვევი ბერტოლტ ბრეჰტის ცნობილი განცხადება: „მე არ მიყვარს ბუნება, იგი ეერაა ბოლომდე გაკეთებული“.

ხოლო გოეთესეულ „ქმნა და გარდაქმნა“-ს რაც შეეხება, რომელიც მისი ფილოსოფიურ-ბოეტური მსოფლალქმის ლაიტმოტივად ჩაითვლება (იხ. „დეიფიკაციის“ განთქმული ლექსის „ერთი და ყოველი“-ს სტრიქონები: „შექმნილის ისევ გარდასაქმნელად, არაფერი რომ გაშეშდეს არსად“, „რაც არის, მართებს იყოს მოქმედი, ყალიბდებოდეს, კვლავ იცვლებოდეს“), აქ შეგვიძლია ჩვენს ვალაკტონის „შავი ყორნის“ ეს სტრიქონიც გავისხენოთ: „უამი ყველაფრის მქმნელ-გარდაქმნელი...“

თარგმანი და კომენტარი ოთარ ჯინორიასი

დავით ჯავახიშვილი

ქართული სისხლით მოკრულ მიწაზე

„რამდენიმე ხნის წინ ვადავწყვიტე დამეწერა ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი უფლისციხეზე. ეს არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა: არ ვიცოდი რა მექნა, რაღაც დაიბადა იდეასავეთ და მოკვდა. მთელი ცვირა ვიარე უქმად, დრო კი გადიოდა. ვადავწყვიტე უფლო ღმრამდ შემესწავლა უფლისციხის ისტორია“... — ასე იწყება გურამ რჩეულიშვილის ერთ-ერთი უმშვენიერესი მოთხრობა „უსახელო უფლისციხელი“. ამ შესავალში უდიდურესად ლაკონურადა და ზუსტად არის გადმოცემული შემოქმედებითი პროცესის ის უხილავი, შანაგანი ნაუხანები, რომელნიც წინ უძღვიან და მერე თან სდევნენ ხოლმე ყოველი ლიტერატურული ნაწარმოების — მოთხრობის, ნოველისა თუ ნარკვევის შექმნას: ყოყმანი („ეს არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა“...), წუხილი („ღრო კი გადიოდა“...), ფიქრი („რაღაც დაიბადა იდეასავეთ და მოკვდა“...), სხანაზრდ ღირსეული ვერაფერი დაიწერება. ამ სენტენციით, უპირველეს ყოვლისა, ჩენს თავს მივმართავ და მხოლოდ ამის შემდეგ ვბედავ ნარკვევის განაწი ძალის გამოცდას, რისი სურვილიც, ან უფრო ზუსტად — შანაგანი მითხროვილება, ისე, ჰაიპარად, არ გამჩენია.

გასული წლის შემოდგომაზე კინოსტუდია „ქართული თილის“ ერთ-ერთ კეთილანამი ერთად მესხეთში ემოგზაურე და თუმც უნახავი, სამწუხაროდ, ნანახზე მეტი დამარჩა (თუნდაც მხოლოდ ზარზმად), მაინც მდიდარი შთაბეჭდილებებით სავსე დავებრუნდი უკან. შთაბეჭდილებები კი მუდამ ვაზიარების ძნელად დასაძლევ სურვილს ბადებენ. მოგზაურობის მიზნის შესახებ ოდნავ უფრო ვრცლად მომიხდება ლაპარაკი, ვიდრე მინდოდა, რათა ყოველგვ ნათელი გახდეს.

ვთუ ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის დამაბრძელებელ ბრწყინვალეებაში ჩა-

კარგულივით არის შედარებით მოკრძალებული ელვარების შქონე ერთი მომცრო მარკალიტი — ისტორიული პოემა „ივანე კოტორაშვილის ამბავი“. პოემის თემაა ვინმე ივანე კოტორაშვილის, მეფე ერეკლეს დროინდელი ხალხური გმირის თავდასაველებითა და ფათერაკებით სავსე ცხოვრება, ხოლო იდეა — ერის ინტერესებისათვის საკუთარის უყოყმანო თრგუნვა და თმობა ანუ, უფრო მოკლედ, თავგანწირვა სამშობლოსათვის. რომ ეს იდეა, თავისთავად უცვლადი და უმარადილო, ვაჟს გენის წყალობით კი უდიდურესობამდე გამათრებული, დღესაც საყურადღებოა, ან როგორც ამბობენ, აქტუალური, ამის მიხედვლად მაინცდამაინც დიდი ნიჭი და ალღო არა სჭირია, რაშიც ამ ოთხიოდ წლის წინ ადვილად დამარწმუნა ჩემმა მეგობარმა მწერალმა და კინოდრამატურგმა ერლომ ახვლედიანმა და ვაჟის ამ პოემის მოტივებზე მხატვრული ფილმისათვის კინოსცენარის შესაქმნელად თანამშრომლობა შემომთავაზა. ჟანრის არჩევაზე ბევრი ფიქრი არ დავგვირვებია, ივც თვით პოემაში აქა-იქ გავლევებულმა იუმორის ულამაზესმა ნაპერწკლებმა გვიკარნახა: ეს უნდა ყოფილიყო უქველად პეროიკული კომედია და არაფერი სხვა. ხალაიანად შევუდგით საშვეს. თავდაპირველი განაცხადისა და, შემდეგ, რამდენიმე ვარიანტის სახით ჩვენმა სცენარმა ყველა სათანადო და არასათანადო ინსტანციის ზღში ვაიარა და ბოლოსდაბოლოს მოიპოვა ფილმად ქცევის უფლება. კინოტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ, ფილმი პირობითი სათაურით „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ ამჟამად უკვე ჩაშვებულია წარმოებაში (თითქოს წარმოება ჰა ან ორმო იყოს). მასზე მუშაობს ნოდარ მანავაძე, ფაქიზი გემოვნების მქონე ნიჭიერი კინორეჟისორი, ფილმის შექმნის ურთულესი პროცესის ერთი ციკლი ამთა შეიკრა. შეიკრა კინოგვუფიც, უფრო სწორედ მისი პირველი და მთავარი უკრდო: დამდგე-



ლი რევისორი, იმერატორი, მხატვარი, სცენარის ავტორები და... მათ თავზე ძთასავით წამომადგარი ვეა ფშაველას დადებული, ძაკალი ანარდლი, სცენარის დახვეწაზე მუშაობის პარალელურად, რაც ლამის ეკრანებზე ფილმის გამოსვლამდე არ წყდება, განდა ჯგუფის კიდევ ერთი კონკრეტული მოვალეობა — ვადალემის ადვოლის ანუ ე. წ. ნატურის შერჩევა. ექ უნდა ითქვას, რომ ფილმის საკეთილდღეოდ ჩვენ თავიდანვე გადაწყვეტილი არ შევზღუდულიყავით პოეტის ისტორიულ-გეოგრაფიული სიზუსტეებით (ერეკლე-მეფე, ლეკიანობა, ილტო, ჩაბანი თუ სხვა), რითაც ერთგვარი თავისუფლება მოვიპოვეთ, მაგრამ ნატურის შერჩევის საქმეში ამასაც კი მაინცდამაინცი დიდი შედეგით არ მოუტია. ან კი საღ ვინდა წახვიდე ჩვენში, რომ ერთიმეორის უჯჯობებს თვალწამტაც პეიზაჟებსა და მათ ფონზე მდგარ ხუროთმოძღვრულ შედევრებს არ გადაეყარო? ხვეისა თუ მთიულეთის ტყენი და იალაღნი, ქაბთლ-კახეთისა თუ მესხეთ-ჯავახეთის მაღალი ხეგნები და ხროკი დაბლობები, გრემი თუ კვეტარა, ჯვარი თუ ველათი, ალავერდი თუ შუამქმედი, მარტვილი, ნიკორწმინდა, იკორთა, ბეთანია, წუნდა, კუმურდო... რომელი ერთი დავასახელი? ოჰკი, ბანა და ხახვლიც რომ შედიოდნენ ჩვენს არჩევანში, მაშინ ხომ მთლად დავიზნეოდით. მიიღი და არჩეი!

ასეთ გასაქირში აღმოვჩნდი თავიდანვე, მაგრამ თავად ეს გასაქირი გვესახებოდა მომავალი წარმატების მტკიცე საწინდარად. მთავარი სიმძლვე უფრო სხვაში იმალებოდა: დეკორაციების მხარება იმთავითვე უარყვავით, ხოლო დღეს ისეთ სოფელს საღდა ნახავ კაცი, თუნუქით ან შიფერით დაზურული სახლი არ იდგეს, ან ელექტრონის მცეთულებითა თუ ტელანტენებით არ იყოს სოფლის ხედი „გაუუქებულში“? ამიტომაც არჩევანი შევაჩერეთ მესხეთზე, წარსულის ამაღლევებული სურნელებით მოსილ მხარეზე. ძებნის ობიექტს „ჩვენნი სოფელი“ დავარქვით და გზას გაუუღქეთ.

ჩვენი გეზის სქემატურა გამოსახვა, გარდა იმისა, რომ თვალსაჩინოვს გახდა მას, კიდევ ერთმხრივ საყურადღებო სურათს მოგვეცემა, ეს არის წრე (თბილისი — ახალციხე — ახალქალაქი — წალკა — თბილისი), რომელსაც აქეთ-იქით, თითქმის სიმეტრულად, პატარ-პატარა განშტოებები მიუყვება (საფარა, ქობარეთი, სარო, კუმურდო და სხვა). სქემა ერთი შეხედვითაც კი ეკლს გვირგვინს მოგაგონებთ და ამ შემთხვევითი მსკაცვების ღრმა სიმბოლიკა საცნაური ვახდება წაასვე, თუ კაცი მესხეთად წოდებული მრავალტანჯული მხარის წარსული დაინტერესდება და მის შესახებ მეცნიერულ ლიტერატურაში უხვად გაბნეულ ცნობებს თუნდაც ზერეულად თვალს გადაა-

ვლებს. თუმც უნდა ითქვას, რომ ეს არც ისე იოლი ვახლავთ. მესხეთის წარსული ხომ მთელი საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია? წილს შეადგენს და მასზე ზოგადი წარმოდგენის შექმნაც კი კარგად დიდ დროსა და შრომას მოითხოვს.\*

ვის არ ვადაუვლიოა ცეცხლითა და მახვილით ძეგლთა და ძეგლი საქართველოს ლამაზ მიწაზე: არაბებსა და ბიზანტიელებს, მონღოლთა ურდობებსა და სპარსელთა ჯარებს, ოსპალეებსა და სხვათა და სხვათა. ურჩ და პატივმოყვარე ერისთავთა თუ ათბაბთა განსაცვიფრებელი უგუნურობის „წყალობით“ მრავალჯერს ატეხებოდა შინაომებიც, ცხადია, ვერაფერ სერიის დააყრიდა ქვეყასას, და ა-ე, საუკუნეთა იახხილზე იბუგებოდა, პარტახლებოდა, ქუცმაცდებოდა და ქართული სისხლით ირწყვეიოდა ამეილობისა და შრომის მოყვარე ხალხთა დასახლებული მხარე. ერთდროს ბევრად ვრცელი ყოფილა იგი, ვიდრე აქჟამად და სამცხესა და ჯავახეთს გარდა (ახუ დღევანდელი ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები) შეიცავდა კიდევ კოლას, ერუშეთს, არტანს, შავშეთს, არტანუჯს, თორთომს, ბასიას, ტაოს..

მესხების წინაპრები, მუსკებად წოდებული ძლიერი ტომი, ტბალბებთან და კასებთან ერთად, რომელნიც თავის მხრივ იბერთა და კოლხთა წინაპრები ყოფილან, მცირე აზიანში კიმერიელთა შემოსევებს შეუვიწროებია, რის გამოც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში ჩრდილოეთისაკენ დაძრულა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე დაშვილებულა. ოცდაექვსმა საუკუნემ განსული მას შეზღვე და თითქმის ვამუღმებით ამ მიწაზე თავდაცვითი თუ შინაური ომების ქარცხელი ტრიალებდა. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ უწევნევა ძებრიას ორ დიდ სახელმწიფოს შორის ყოფნის სიმწარე? არაკითხელ უსხვერპლია მისი მოძიებობა რომისა და სპარსეთის მტრობას, არავრთხელ ვადასულა იგი ხელიდან ხელში ხან მთლიანად, ხან ნაუუწ-ნაუუწ. ცალკე — არაბთა ბატონობის მძიმე უღელი, ცალკე — სამთავროთა შორის გაუთავებელი ბრძოლა პირველობისა და უპირატესობისათვის, ცხადია, ქანცამომცელი და მომავლდინებული იქნებოდა ქვეყნისათვის. უ: მაინც, ერის სულიერი ენერჯია უშრეტეი აღმოჩნდა. IX—X საუკუნეებში მთელ საქართველოში გაცხოველებული ძლიერი სამონასტრო მოძრაობა, ისევე,

\* ნარკვევში გამოყენებული ცნობები მესხეთის წარსულის შესახებ ამოკრთეილია შემდეგი წიგნებიდან: ივ. ჯავახიშვილი — „ქართველი ერის ისტორია“ (ტ. ტ. I, II, III, IV); ექვ. თაყაიშვილი — „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“; ვ. ბერიძე — „სამცხის ხუროთმოძღვრება“; ს. მაკალათია — „მესხეთ-ჯავახეთი“.





როგორც ყველგან, მესხეთშიც მრავალი მონასტრისა და ეკლესიის მშენებლობით აღნიშნულა, რასაც ამ მხარის დასახლებისა და აყვავებისათვის შეუწყობდა ხელი. ამის პირდაპირი შედეგი ყოფილა ის კულტურულ-ეროვნული იდორქინება, რომელიც თავის მხრივ ქვეყნის თანდათანობით პოლიტიკურ გაძლიერებას საფუძვლად დასდებდა. თავის მწვერვალს რომ ამ პრიციქსა XII საუკუნეში მიაღწია და რომ დეით აღმაშენებლის, თამარ-მეფისა და შოთა რუსთაველის სახელები ქართველი ხალხისათვის წმინდანთა სალოცავ სახელებს გაუტოლდა, ამაზე აქ უფრო ვრცელად ლაპარაკი შედგება მიმართა. მხოლოდ ერთი რამ მოკლედ მაინც უნდა აღვნიშნო: შოთა რუსთაველი — მსოფლიო პოეტური და ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი დიდმდის მიუწვდომელი მწვერვალი, მესხეთის მიწაში შუა, მაინცდამაინც მესხეთის მიწაში... თუნდაც მხოლოდ ვერცა დაბრქვას ამას, თუნდაც ლეგენდა, ვერცა ვერაფერი მოაქვდება მის ყრფოლისმომგვრელ მშვენიერებას.

„აღმოსავლურ რენესანსად“ წოდებული აღორქინების დასრულება XIII საუკუნეში მონღოლთა ურდობის შემოსევას შეუფერხებია საქართველოში. კვლავ დაბნელებულა მზე მესხეთისა და მთელი საქართველოს ბედობლის ისედაც მოჭუჭრული ცის კაბადონზე. დაწყებულა ხანა მანკაბერდელთა, ყურაყურაეთა, სარგისთა თუ ქვეყნის სხვა მედროვე მმართველ ათაბაგთა პოლიტიკური სიბეცისა და ზოგჯერ კი — საშობლოს აშკარა დალატისც. სწორედ იმ ხანებში ყოველივე ამას კატასტროფული ძალის მიწისძვრაზე ზედ დართვია, სამცხეში იგი განსაკუთრებული ძალისა ყოფილა და მრავალი საყდარ-ეკლესია თუ ციხე უჩსხვერპლია. მონღოლები ამასობაში მომძლავრებულ თურქებს შემზიან და კლანჭები ეგვიტემდელ მიუწვდენიათ. და ამ თითქოსდა შორეულ ბრძოლებშიაც კვლავ ქართული სისხლი ორივე მხრივ უხვად იღვრებოდა. ორივე მხრივ-მეთქი, რადგან პირველი სასტიკი დამარცხება მონღოლთა ურდობის სწორედ მამულეკებმა აგემეს. მათი ქართული წარმოშობა კი ყველასათვის აკარგად ცნობილია.

XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე მარტო თემურ-ლენგი — ეს ვერაგი და დაუნდობელი დამპყრობი, საქართველოს რეაჯერ ზედაზედ შემოსევია, გაუგებარია, როგორ გადაურჩა ერი ამ ყოველსწამლევ სისხლიან ნიაღვრებს, და აქ „გაუგებრობის“ ერთადერთი ახსნა ისევ და ისევ ხალხის სულიერ და ფიზიკურ ძალთა ძნელად დასაჯერებელ სიმტკიცეში უნდა ვეძიოთ. 1403 წელს თემურ-ლენგი, ბოლოსდაბოლოს, მოულოდნელად ვაცლა საქართველოს, მაგრამ ახლა ოსმალეთის მახვილა აზიდულა და მუქარად დაჟიდებულა ქვეყნის თავზე; და იმავე დროს სპარსთა მმართველებსაც კვლავ

მიუპყრიათ თავიანთი ხარბი მზერა საქართველოსკენ. მათ შეებნელ ზრახვებს სამცხის ათაბაგთა უგუნურობა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა და ასრულებას უადვილებდა, რაც იმიითი დამთავრებულა, რომ 1553-54 წლებში სპარსეთის ყენს შაჰ-თამაზსა და ოსმალეთის ხონთაჰარს სულიმანს „საქართველო შუა გაუყვიათ“. ქართლ-კახეთი და სამცხე-საათაბაგო შაჰ-თამაზს რგებია, მთელი დასავლეთ საქართველო და ლაზისტანი ანუ ჭანეთი კი — სულიმანს. 1578 წელს სპარსეთ-ოსმალეთს შორის კვლავ ომი ამტყდარა, რომლის შედეგადაც „თმოგვისცხე და ახალქალაქი“ ანუ მესხეთი, და უფრო მეტიც — მთელი ქართლი, ოსმალთა ხელში გადასულა. მათი თარეშისათვის საქართველოში შაჰ-აბასის მოუღია ბოლო, და ახლა თავად მისი მჭვინავრების სუსხი უწუნეეთა სისხლისაგან დაცლილ ქვეყანას. XVII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს იმედის თვალი რუსეთისაკენ მიუპყრია. მაგრამ ვიდრე იქიდან რაიმე რეალური დახმარება ჩამოაღწევდა, სპარსეთსა და ოსმალეთს ურთიერთმტრობის მოსასობად საქართველო კვლავ შუაზე გაუყვიათ და დასავლეთ საქართველოს გარდა მთელი მესხეთიც ისევ ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცეულა. 1768 წელს ოსმალეთს რუსეთისათვის ომი გამოუცხადებია, რომელშიაც საქართველოს უყურყმანოდ რუსეთის მხარე დაუჭერია. ეს მხარდაჭერა გერ მესხეთში გამართულ ცნობილ ბრძოლებში ერიკლე მეფის ზღაპრული ამარჯვებებით, ხოლო შემდეგ, 1783 წელს, რუსეთ-საქართველოს შორის დაიდებული ხელშეკრულებით სრულიად აშკარად გამოხატულა. მასზე ისედაც აღვნიშო ყველა მაჰმადიანი მეზობელი საქართველოს სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაჰიდებია, 1787—1792 წლებში რუსეთს ოსმალეთთან დროებით შეწყვეტილი ომი განუახლებია და მისი სიმძიმის დიდა ნაწილი კვლავ საქართველოს დადილ მხრებზე დასწოლია. ამის შემდეგ ისევ სპარსეთი — უკვე აღა-მაჰმად-ხანის სახით — დაპირისპირებია რუსეთის იმპერიას და საქართველოც, რა თქმა უნდა, მათ შუა უნდა მოჰყვებლიყო. 1796 წელს შტრის საიტიბლად წამოსული აღა-მაჰმად-ხანი თავის მსახურთ რომ არ მოეკლათ, საქართველოს თურმე სრული განადგურება არ ასცდებოდა.

1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა და მესხეთის უდიდესი ნაწილი სამუდამოდ ოსმალეთს დარჩა.

ასეთია, ორიოდ სიტყვით, მესხეთის არასრული ისტორიის უმთავრესი მომენტები,

**დავით ჯაფარიძე**  
პარტული სისლით მორწყულ მიწაზე

რომელთა შორისაც, ცხადია, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბებიც ხდებოდა, მაგრამ ყველაფრის გადმოცემა, ვარაღ იქნას, რომ ჩემს ცოდნასა და შესაძლებლობებს აღემატება, აქ მინცდამინც არცაა საჭირო. ჩვენთვის მთავარი და საკმარისი უკვე ის არის, რაც თვალი ერთი გადავლებითაც ნათლად გამოჩნდა: ვაჟის პოემის ისტორიული ჭარბად თითქოსდა სწორად შესხეთის წარსულის ფონზეა მორგებული. მისი მთავარი მოქმედი პირი ივანე კოტორაშვილიც ხალხის წიაღიდან გამოსული სწორად ის გმირია, რომლის მსგავსთა თუგანწორება და უანგარო სიყვარულმა სამშობლოსადმი აზარათხელ იხსნა მესხეთი და მთელი საქართველო თითქოსდა გარღუეული დაღუპვისაგან.

ვირწმუნეთ რა, რომ ჩვენს მიერ დაწყებული საქმე — მხატვრული ფილმის შექმნა პატრიოტულ-პერსონალურ თემაზე, და მისი ერთი პირველ ნაბიჯთაგანი — ნატურის შესარჩევად მესხეთისაკენ გზის აღება, მცდარი არ იყო, რადაც ძველებური, საბრძოლო სულისკვეთებით ვავიშქვალეთ და სამოგზაუროდ ლამაზი ჩელი აზნაურივით მხნედ დავიძარი.



მშვენიერი შემოდგომა იდგა მთელ ქართლში, მშრალი, მზიანი და, რა თქმა უნდა, ოდნავ სვედიანი. უკვე სიყვითლე შეპაროდათ ტანწერწერა ალუების ფოთლებს, რომელთა შიალა და იციმიბა ფარდა კარგა მანძილზე მიუყვებოდა გზას მარჯვენა მხრიდან, მერე ერთ აღვილას უცებ გაიხსნა და კრიალა ლურჯ ცაში აზიდული, ქართული ხუროთმოძღვრების მშვენიერა — რუხ კლდესთან შეზრდილი ჯვრის დიდებული მონასტერი გამოაჩინა. თითქოს პირველად გვეჩახოსო, ისე მოგვჯავდოვა მან ამჯერადაც და ბოლო დროს რატომღაც მიმინებული სიამაყის გრძნობა ცვლავ გავვიღვიძა. უნებურად ისევე გურამ რჩეულიშვილის სატყუებლად გამახსენდა მისი მშვენიერი მოთბობიდან „ალავერდობა“: „...ენების სიმამრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკობაში“. ჭეშმარიტად, მშაო, ჭეშმარიტად! ეს აფორიზმი ყველა უნდა მოქმედოს თავის დღეობად გამოადგება. ყველა უნდა გრძნობდეს, რომ არ კმარა ჯვრის მონასტრისა თუ ალავერდის ხილვა, არც „ვეფხისტყაოსნისა“ თუ „სტუმარ-მასპინძლის“ უკვდავ სტრიქონთა ხშირი გადაკითხვა. მსგავსი სიმაღლეთა წოდება, რა თქმა უნდა, მთელი საქმეა, მაგრამ მათეონ ლტოლვიც სიკეთეობა და სასურველი, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს თუნდაც პატარა, მაგრამ უუკველად — წრფელი სიყვარულითა და მთელი გუნდით, და მაშინ ვინ იცის, ვინ იცის...

ჯვარი უკან გვრჩება, სწრაფად მიჰქრის ასფალტიან გზაზე ჩვენი მანქანა. უკან გვრჩება ამაღლებულ განცდათა და ფიქრთა მთელი კო-

რიანტელი. წინ კი არანაკლებ დიდებულნი ნახაობა გველოდება — ლუგენდარული სეკტიონიველი. იმეუ შორიახლოს სამთავროს მხარეს დათა მონასტერი. მტკვრის აღმა, მარცხნივ გვრჩება არმაზი, მარჯვნივ, საგურამოს ზეპოთ, ზედაზენი მაღალ ქედზე შემდგარა და მტკვრისა და არაგვის შესაყარს ციდან გადმოსცქერის. მერე შიო-მღვიმისა და უფლისციხის სტოიკების სუნთქვასა ვგრძნობთ და კარგა დიდ მანძილზე მივგაცილებს მისი მცხუნვარება. საუკუნეთა წყვილიდიდან მოგვძახიან თითქოს წინაპრები. გაბრუნებული ვარ, აღ. რ. ვიცი, საით ვავიხედო. ავარ, ბროლის ყელს იღვრის ტურფა სამთავისი. მერე, მოშორებით, ოქროსფერ ბურუსში გახვეული მეტეხი მოჩანს, უფრო ზემოთ — თრიალეთის კალთებზე შეფენილი იველი სოფლები: ნოსტე, ერთაწმინდა... აქ, წმინდა ესტატის დანგრევის პირის მისულ ტუპარში, სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირული პაატა საყაძის ქოჩორა თავია დაკრძალული. წარწერა ამ უნიკალური საფლავის ქვაზე მალე სრულიად წაიშლება და მერე ნეტა რა ჩამოგვანს დაწვერიდან სამუდამო სირცხვილის ლაქებს? უსიამოვნო ფიქრები მიპყრობენ და მოსვენებას მაკარგვინებენ. რატომღაც ვცდილობ არაფერი ვაგრძნობინო ჩემს თანამგზავრებს. აბა, განა დასაშალოა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ აკლია მზრუნველობა წარსულის ძეგლებს? რაღაც კეთდება, მაგრამ ეს მართლაც რომ წვეთია ზღვაში. რატომ არ შეიძლება, მომე რესუბელიკათა მსგავსად, ჩვენშიც უფრო მეტი გასაქანი ჰქონდეს ამ აუცილებლად საჭირო საქმეს? დღესათვის ნათელია, რომ „მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება“ ვერ ერევა მასზე დაკისრებულ ამ საშვილიშვილო მისიას და, ვიდრე გვიან არ არის, მას უუკველად დახმარების ძლიერია ხელი უნდა ეწყოლოს. უნებურად მაგონდება ცნობილი ისტორიკოსი, აწ განსვენებული პროფესორი დავით გვრიტიშვილი, რომელიც ხშირად გამოსულა მეტად შთამბეჭდავი პრინციპული სიტყვით ამ თემაზე ვიწრო წრეშიც, ფართე აუდტორიათა წინაშეც, აგრეთვე პრესაშიც: სხვები კი რატომღაც ჩიუტად სდუმან, ყოველშემთხვევაში — უმარაგესობა, ეს მაგალითი ყველასათვის მისაბაძია, თუ კი, რა თქმა უნდა, სიტყვა სიტყვად არ დარჩება და, ბოლოსდაბოლოს, იქცევა საქმედ. მე არც ისტორიკოსი ვარ, სამწუხაროდ, არც ორატორი, მაგრამ მანქანაში, ნაცნობ თანამგზავრთა წრეში, ორიოდ გამართული სიტყვის გადაბმას მინც ვახერხებ, მი-თუმეტეს რაჟი მსმენელთა სრულ თანხმობას ვგრძნობ და პასუხად თითქოს ჩემს საყუთარ აზრებსვე ვცემ.

მოწყენილობა ისადგურებს ჩვენს მანქანაში. გულდაამარბულებმა ვავლით დარჩენილი გზა ბორჯომამდე. მერე კი შემოდგომის თბილმა ნიავმა, ბორჯომის ხეობის სილამაზემა და ჩვე-



ნმა ახალგაზრდობამ მაინც თავისი გიტანა: შეუქმნევლად კვლავ ოპტიმიზმით აგვავსო და გამოგვაცოცხლა. გარდა ამისა, ჩვენ უკვე მესხეთის საზღვარზე ბიყოფილებით: ახალდაბნის ხეობაში შემორჩენილი ციხის ნანგრევები ერთდროს თურმე მესხეთის ჩრდილო კარიბჭეს წარმოადგენდა. იგი მხოლოდ ერთი ნაწილი ყოფილა ციხე-სიმაგრეთა რაული სისტემისა, რომლითაც მესხეთი ძველად მთლიანად იყრებოდა. მათგან უმთავრესნი მტკვრის ხეობაში იყვნენ განლაგებულნი და საიმედოდ კეტავდნენ მისადგომებს ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიურ ცენტრებსავე, როგორიც იყო უფლისციხე, მცხეთა, თბილისი. სულ მათი რიგები მრავალ ათეულს აღწევდა. ეს ყველაფერი ან უფრო სწორედ — თითქმის ყველაფერი ჩვენი თვალთ უნდა გვეჩანა, ხოლო მე საკუთარი გამოცდილებით ვიცოდი, რომ ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები ისეთ მძიმე შთაბეჭდილებას არ სტოვებს მნახველზე, როგორსაც საყდარ-მონასტრებისა, პირიქით, მხნეობას და რწმენას მატებს თითქოს ადამიანს.

ასე იყო თუ ისე, ყველანი უტებ ვავიზირებდით და ისევ ვავისუნეთ მიზანი ჩვენი ჰგავრობისა: საღდაც, მესხეთის სიღრმეში, ან იქნებ ვანაპირას, „ჩვენი სოფელი“ მოუთმენლად გველოდებოდა. თუკი სადმე არსებობდა, რაღა თქმა უნდა. როგორც აღრეცა ვთქვამ, ეს უნდა ყოფილიყო ძველებური, ამ შემთხვევაში მესხური სოფელი, ხელუხლებელი შენობებით, თანამედროვე დეტალების გარეშე, ამავე დროს რაღაც ზოგადი სახის მქონე, ისტორიული სიმბოლო მთელი ძველი საქართველოსი. დამეთანხმებით, რომ ეს სურვილი მეტად თამაში გახლდათ და მის განხორციელებაზე ოცნებასაც გაბედული უნდა ეწოდოს. არ შემძლია წინასწარ არ ვთქვა, რომ ამ ოცნებას ბოლოს მაინც ასრულება ეწერა თურმე, მაგრამ იმ დროს ეს არავინ იცოდა, და ამიტომაც ამ თემაზე საუბარს ყველა განზრახ ვერიდებოდით. ერთი შეხედვით იმას ჰგავდა, თითქოს ამოდენა გზას მხოლოდ სასიეროდ დავდგომოდით, სინამდვილეში კი თვითონვე ჩვენგანი ჩუმიდნატრობდა პირველს შეუმჩნია სადმე კლდინი ფერღზე შეფენილი „ჩვენი სოფელი“, ქვის ყორყეებით, ბანიანი სახლებით, პატარა მდინარით. წისქვილით, საყდრით... ამიტომაც ასე გაფაციცებით ვაკვირდებოდით გზის ორსვე მხარეს და ჩვენს წინაშე გადაშლილ მიდამოს, ვცდილობდით მხედველობიდან არაფერი გამოგვჩვენოდა.

მკვეთრად იცვლება მტკვრის ხეობის პეიზაჟი ბორჯომის ზემოთ. უეცრად ქრება ნაძვნარების მუქი სიმწვანე, თითო-ორილა ფიჭვის რე. თარიმლის ბუჩქი ან ღვინის აგაი თუ გამოჩნდება აქა-იქ კლდებზე. დაეწროებული ხეობა პარადოქსალურად იშლება ისევ, რბილდება რელიეფი და თანდათან იზრდება სიე-

რტე. ეს უკვე სულ სხვა მხარეა, თავისებური, განუთმერებელი კოლორიტის მქონე. ისევე როგორც სხვა დროს, ეხლაც სრულიად განსხვავდება ჩემთვის, რა ქმნის კერძოდ ამ განსხვავებას. გოცქერი გზის აქეთ-იქეთ ვადაშლილ ბორცვიან ხრიალებს, რომელნიც ასე ჰგვანან ჩემი საყვარელი ივრისპირეთის უდაბნო ადგილებს თავიანთი გუჯა ღვებით, წითლად შეფაქლული თრიმლითა და ძქვის ბუჩქებით, საკაბე საწახებითა და გულურხასთან შეხვედრის რეალური საშისრებობით. მაგონდება, რომ ასეთივე ლანდშაფტია შიომღვიმის მიდამოებშიც. და მაინც, სამივე ეს მხარე მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან. რთი? ზუსტად არ ვიცი, რაღაც აბსტრაქტულით, რაც ენით არ ითქმის, რადგან თითქოს არაფერია, მაგრამ ეს „არაფერი“ სხვადასხვაგვარი ძალითა და სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანზე, უამრავ განცდას იწვევს მის სულში და გოცოს ერთადერთი სწორი გზით წარმართავს ხოლმე მის ფიქრს სიყდილზე, სიცოცხლეზე, მთელ თვალუწყვდენელ სამყაროზე და თავის როლზე ამ სამყაროში... პირადად ჩემზე კეთილმოყვულ გავლენას ახდენს ასეთი მწირი ადგილების დროაღდრო ხილვა: სწრაფად მოპაცილებს ხოლმე ყოველდღიურობაში შეუქმნევლად მოზღვავებულ პატივმოყვარეობას, გამომაფხიზლებს, შემახსენებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ვარ და ჩემს გარდა კიდევ რამდენიმე მილიარდი მსგავსი არსება დროებით სახლობს ამ ჩვენს ცოდეულ დედამიწაზე..

მერე კი ჩემი ფიქრების კალაპოტი თანდათან ისევ ვიწროვდება, როგორც ეს ხეობა, რომელსაც იმეფებით ალმა, მდინარე მტკვრისა და ჩვენი ისტორიის სათავისავენ.

ძველი სამცხის გულს — ქალაქ ახალციხეს მივუახლოვდით. მის გარშემო, მთის კალთებზე შეფენილი რამდენიმე სოფელი მოჩანს და თანდათან მატულობს „ჩვენი სოფლის“ ძებნას აზარტი. ასე გვეგონია ახლოს ვართ უკვე მიზანთან, გადავუხვევთ ავტო მთავარი გვიდან, ავუყვებით ამ ლამაზ ნაწევრალში აჯლაქნილ შრას და... მაგრამ არა იმედი რიდას იქედია პირველ ცდისთანავე თუ ვაგეზართლდა? შორიდანვე აშკარად ჩანს, რომ არცერთი ამ სოფელთაგანი ჩვენი მიზნისათვის არ გამოდგება. ზოგან, როგორც იყო მოსალოდნელი, მაღალი ძაბვის ევებერთელა ანძა გამოჩეირლა: ზოგან, შიგ შუაში, ახალი სკოლის ორ ან სამსართულიანი შენობაა წამოქმედული; დღეს ამაშიც საკვირველი არაფერია... ეპ, მგონი ტყუი-

**დავით ჯაფარიძის**

პარათული სისხლით მორწყულ მიწაზე



ლად გავრცელებილი, დროს ვეარგავთ და სხვა არაფერი! ეს ფიქრი სათითაოდ გვაწვალებს ყველას, მაგრამ ხმაძილება თქმის ვერაინ ვე- ვადათ. ყოველი შემთხვევისათვის, თანერატორი იგორ ამასისკი მარცხ იღებს ფერად ფარზე რამდენიმე ხელს, მაგრამ ისე, უხალისოდ, მხო- ლოდ მოვალეობის მოსაძღვრად.

— ცხვირბირი ნუ ჩამოგტორით, წინ დიდი გზა გვაქვს! — გვამხნევენ მხატვარი შოთა გო- გოლაშვილი; იგი თურმე ამ მხარეში ადრეც ნამყოფია და, ეტყობა, სადღაც რაღაც ეგუ- ნება, თუმც მარცხ ყოყმანობს: მას შემდეგ ბე- ნური დრო გასულა, დრო კი ყველაფერს ცვლის. ენახათ, ჯერ ადრეა ფარხმალის და- ყრა.

— ბოლოს და ბოლოს, სულაც ავაშენებთ! — ამბობს იგორი და ამაოდ ეძებს ჩვენს მხარდა- კერას, ეს გამოსავალი ხომ ადრე უარვეყვით? — არავითარი მუყაოს კედლები, ხის ხმლები და ყალიბ განცდები! — უეცრად ფეთქდება საერთოდ მშვიდი ხასიათის მქონე ნოდარ მანა- გაძე, — ყველაფერი ნამდვილი უნდა იყოს! — არაყი? — ცბიერი ღამილით ეკითხება იგორი.

— არაყი! — მკაცრად უპასუხებს ნოდარი და მერე ეღიმება.

— თ! — კმაყოფილი იფშენებს ხელებს იგორი, — მე მუდამ ევაშობდი, რომ შენ ნი- კიერი რევისორი ხარ!

ეს დროული ხუმრობა კვლავ სწრაფად ფა- ნტავს ნადველივით შემოწოლილ უმიდობას და მანქანა უკვე მხიარულად მიგვაქროლებს ახალციხის სუფთა ქუჩებში.

ამაყად დაპყრებენ ქალაქს ფაშათა ყოვლილი რეზიდენციის მძლავრი ბურჯები და სქელი ვა- ლენებში, მრავალ სისხლისმღვრელ ბრძოლათა უტყვი მოწმენი. ციხის თავზე რკინის ვეებე- რთელა ასობნია დადუღაბებული. ლოზუნგის შინაარსსა და მის საკერძოებაზე, ცხადია, ლა- პარაკი უხედვეტა, მაგრამ, ჩემის აზრით, მას საგანგებოდ დადგმული მაღალი ანმა უფრო შეპფერის, ვიდრე ძველი ციხის თალხი ნანგრე- ვები. რაც მართალია, მართალია: არცერთი არ უხდება ერთიმეორეს. ასევე იყო ერთდროს, მახსოვს, გორის ციხეზეც. ასევე, თუ არ ცდენ- ბი, ახლაც სურამში. კარგი იქნებოდა ამ უცემოვ- ნებო „ტრადიციისათვის“ როგორმე გველატა, რითაც მისი ორავე კომპონენტი უთუოდ მოი- გებდა.

ის დამე ახალციხის სასტუმროში გავათიეთ, მაგრამ ვიდრე დაღამდებოდა, ქალაქის დათვა- ლიერება მარცხ მოვასწარიტ, ჩვენი ყურადღება ახალმა, ჯერ კიდევ დაუმთავრებელმა შენობამ მიიპყრო. იგი მესხეთის სახელმწიფო დრამატი- კული თეატრისთვის ყოფილა განკუთვნილი. ფა- სადი ბოლნისის ლამაზი ტუფითაა მოპირკეთე- ბული და, არქიტექტურის თვალსაზრისით, ზო- მიერების ჩარჩოებში ჩატეული მოდერნის სტა- ლში საყმაო გემოვნებით არის გადაწყვეტილი.

პროექტის ავტორის ვინაობა, სამწუხაროდ, ვერ დავადგინე. მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ქუჩის მხარე- რისია, თვით ეს ფაქტიც — თეატრის ახალი შე- ნობის აგება, — მისასალმებელია და სასიამო- ენო, რადგანაც ამ თეატრის ახალგაზრდული კოლექტივი, თავისი საქმის თავდავიწყებული სიყვარულით დღეს უკვე მთელ საქართველოში სახელმწიფოევილი, ასეთს, და იქნებ უფრო მეტ მზრუნველობასაც, უდაოდ იმსახურებს.



მშვენიერად ელერადი ძველებური სახელები შემორჩენათა დღემდისაც მესხეთის სოფლებს: ვარგარი, დრელი, კლდე, იღუმალა, ორგორა, სარო... მხოლოდ სახელები? ნუთუ ერთიც არ გადურჩა დროის სიყუთეს, ნუთუ ყველამ თანა- მედროვე სახე მიიღო? როგორ კინდა აღიარო, რომ ეს შენთვის უსიამოვნო ფაქტი იქნება? ამის გამო იქნებ მკრეხელობაშიც დაგვეღოს ბრალი, თუქცა რატომ? ძველის შენახვის ტე- ნდენცია ბოლო დროს შესამჩნევად მომქლა- ვრდა ისევე, განსაკუთრებით რუსეთსა და ბა- ლტიისპირეთში. მთელ ქალაქებს ინახავენ მუ- ზუუმებად და ერთი სოფელი ამ ქალაქის ერთი უბანი რა გავციხდა ბოლოს და ბოლისი? არ არის მუდამ აუცილებელი ძველის ნგრევა რამე ახლის ასაშენებლად!..

ამ ფიქრებით ვიზხნევედით თავს მეორე დღეს ახალციხიდან დილაადრიან გამგზავრე- ბულნი. მეგზურად ერთხმად შოთა ავირჩიეთ. გოგოლაშვილი, და გეზის დაზუსტებაც, მას და- ევისრა.

— ჯერ საფარის მონასტრის ენახათ, — გვიცხადებს იგი, — აქედან ათიოდ კილომე- ტრზე. მერე სოფლებს: ორგორას, ჭობარეთს, საროს..

— მერე? — ვეკითხები მე. — მერე? — მერე ენახათ, — ფრთხილბს შოთა, — იქნებ მეტი არც დაგვეჩორდეს!

— შენ პირს შაქარი! — უხარია ჩვენს შო- ფერს ტარიელს. მისთვის მესხეთის ქვიან გზე- ბზე ნდრეგვა. ცხადია, სასიამოვნო პერსპექტი- ვის არ წარმოადგენს

თ. თუნდაც ახლა, როცა საფარის მონასტრი- სკენ მიგვაყაყაყებთ, ისეთი ცუდი გზაა. მანქანა ლამის ნაწოიგებოდ დაგვეშალის. არცაა საკვი- რელო. ეს გზა თურმე 1891 წელს საფარის გა- ნახლების კომიტეტის თავდრომარეს. პოლიო- ვნიც მუსხელიშვილის თაფრის სახსრებით გაუ- ყვანა და მას შემდეგ, საიქოა. ამ გზას ოსტა- ტის ხელი კიდევ როდისმე მიპირებოდეს. კე- რძო პირთა მიერ მსგავსი ქველმოქმედების სა- პირობა კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა, მაგ- რამ ჯერ კიდევ ბევრგან სინამდვილო მიმიე შთაბეჭდილებას ახდენს მნახილზე. იმიტია, ამ მტკივნეულ საკითხს სათანადო ორგანოები ფიქრს არ აკლბენ და გვიან თუ მალე ეს ფი-

ქრისტიანული ნაყოფსაც ალბათ გამოიღებს. ჯერჯერობით კი გზა სრულიად უფარვისია, მაგრამ ესეც ვერ გავფუჭებ სიქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ანსამბლისა და უძველესი სასულიერო ცენტრის საკუთარი თვალთ ნახვის სიხარულს, და ამა, ჩვენ უკვე საფარში ვართ. აქ კი ამ სიხარულს მსწარფლვე კმუნვა ცვლის. პირველი, რაც დიდებული საერთო ხედის შემდეგ თვალში გეყმით, ეს უღმერთოდ დაჯღაბნილი გალაკანი და საყდრების კედლები გახლავთ. საგანგებოდ წამოღებული შავი საღებავებით, სხვადასხვა ზომის ასოებით სწერენ აქ თავიანთ უღირს სახელებს „უკვდავები“ უბადრუკი ანსამბლები და შესანიშნავ ჩუქურთმათა მხილველთ ხელიც კი არ უქანალებთ. ამ საზოგადო ჩვეულებას თურმე დიდი ხნის ისტორია აქვს. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის ცნობით, პირველი ასეთი წარწერა 1829 წლით „თარიღდება“ და ეკეთის ვინმე ბარონ გერტს. ბარონის დაწყებული საქმეს ბევრი მიმდევარი გამოსჩენია (1857, 1868, 1884 წლების წარწერები მოწმობენ ამას) და სავალალო, რომ ისინი დღესაც მრავლად არიან. ვამიგონია, თურქეთის ძველი კანონმდებლობა ქურდობისათვის სასჯელად მკლავის მოკვეთას ითვალისწინებდაო. ქურდობისათვის ეს ზომა მეტად მკაცრად მგჩვენება, ასეთი ბარბაროსობისათვის კი — პირდაპირ ზედამჭობილაო. ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი ძველი მინახავს სულით ღატაკთა მიერ საუღლამოდ შერყვნილი და გაობრებული, ისე რამ, ჩემი ცივი სიძულვილი მათ მიმართ არა მგონია დასაძლი ან თუნდაც შესარბოლებელი იყოს. ამ მკვლახუნელთა წინააღმდეგ არანაკლებ მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლის წარმოება არის საჭირო, ვიდრე ბრავონერთა წინააღმდეგ, რაც ჩვენში საქმაოდ ეფეტბურად ხორციელდება. სხვა კონსტრუქციულ წინადადებათა დასახვა იოლია, ისე რომ ამით აქ თავს არ მოვიწონებ.

ადგილი წარმოსადგენია, როგორ მოგვეშაბა გუნება ამ მკვლახუნელთა ნაშოქმედარბა. უხალისოდ დავთვალერეთ თუზიდავთა მრავალმეწობიანი გამაგრებული არხიდენციის ცალკეული ნაწილები: წმინდა სახასი და მიძინების მშვენიერი ტაძრები, წმინდა დიმიტრის სახელობის მცირე სამლოცველო და წმინდა გიორგის ეკლესია, მათ კედლებზე აქა-იქ შემორჩენილი ფრესკები, რომელთა უმრავლესობა 1893 წელს რუსმა ბერებმა ზეთის საღებავებით წაშალეს სამუდამოდ. „ამის შემდეგ საფარში, როგორც ჩანს, აღნიშვნის ღირსი აღარაფერი მომხდარაო“, დასძენს აკადემიკოს ვახტანგ ბერიძე და ამ სიტყვებიდან ნაღვლიანი იროზია ნათლად გამოსკვივას.

დანაშაულის ბუნდოვანი გრძნობით გულდაძმობებული უხმოდ ეტოვებთ საფარის დიდებული მონასტრის ეზოს, მოფენილ ღვინის და

მტკრული ბოთლებითა და პოლიეთილენის თეთრი საცობებით, ცხვრის ფაშვებითა და გულმოდგინედ დახრული ძვლებით...

ნთუ ჩვენს გზაზე კიდევ ბევრჯერ შეგვხვდება და გავაწვბილებს ადამიანის უგუნურობისა და უმაღურობის ბინძური კვალი?

შემდეგი ადგილი, სადაც მცირე ხნით შეგნოდით, როგორა იყო, კლდთან შენაღვებაზე გაქმებული აატარა სოფელი. თანამედროვე არსათულიან შენობების გვერდით აქ პირველად ვნახეთ დიდი ლოდებით ნაგები, მიწაში ღრმად ჩაძვდარი ძველებური ბანიანი სახლები. მათი უმრავლესობა მიტოვებულია და ნანგრევებად არის ქცეული. სამიოდელა შემორჩენილი ისეთი, რომელშიაც დღესაც ცხოვრობენ და, ბუნებრივია, ჩვენი ყურადღებაც პირველ რიგში მათ მიექცევა. არც ჩვენი გამოჩენა დარჩა ვინმეს შეუშინეველი და მალე მთელი უბანი ვარს გვეხვია, უმეტესად — ქალები და ბავშვები, რომლებიც ცნობისმოყვარეობას ვერ ღვაღღენ. როცა ჩვენი ვინაობა შეიტყვეს, გაცოტუებული იმედების დაფარვა არც კი უცდიათ და გამოგვიტდნენ, უფრო „დიდი“ ხალხი გვეგონეთო. ვიფიქრეთ, გვეშველა, ახალი დრო დადგა და ჩვენი ცხოვრების პირობების შესადაწმებლად კომისია ჩაწოვიდაო, გვითხრეს ნახევრად ხუმრობით, რის შემდეგაც სახლებში შეგვაპატყეს. რამდენიმე მიწური ბინა ერთიმეორესთან გვირბებინაშავავი ბნელი დერეფნებითა დააკაშობრებული. შიგვეა საქონლის სადგომებიც, თათებში უფანჯროთა და შიგ მუდმივი ნახევარსინდელეა ჩამოწოლილი... ასეთ პირობებში ადამიანის ცხოვრება ერთდროს იქნებ მიზანშეწონილიც იყო, მაგრამ დღეს კი, მით უფრო — ჩვენში, ყოვლად და ყოვლად გაუმართლებელია და სოფლის მესეურთათვის, ჩემის აზრით, დიდად სამარცხვინო. ეს რამდენიმე ოჯახი დიდი სამამულო ომის დროს დუშეთიდან ჩამოსახლებულა. მათი შვილები ამჟამად სამხედრო ვალდებულებას იხდიან საბჭოთა არმიის რიგებში, მათათაგან კი ზოგი ომიდან არ დაბრუნებულა. ამ ცნობების დაზუსტება ჩვენს კომპენტენციაში არ შედიოდა და არცა ვცდილვართ, მაგრამ მთლად გულგრილად ჩავლის უფლება კი თავს ვერ მივეციო. ჩვენს ადგილს ალბათ ყველა ასე მოიქცეოდა.

ასე და ამრიგად, ორცეცხლშუ აღმოჩნდით ჩაფარდნილი. ერთის მხრივ გვახარებდა ძველებური სოფლის ნახვის შესაძლებლობა, მეორეს მხრივ კი ის გულსიტყვილი გვაშინებდა, რომელიც უკუდ პირობებში მცხოვრები მთელი სოფლის ხილვას უნდა გამოე-

**დავით ჯაბახიშვილი**  
პარტული სისხლით მორწყულ მიწაზე

წვია. აქ კვლავ წინასწარ უნდა ითქვას, რომ ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდა, თუ როგორ მოხდა ისე, რომ არც მწველი დამწვეარა და არც შამფური, საინტერესო ამბავია და მას თავის დროზე მოვახსენებთ. ახლა კი თუ გზას ვანვაგრძობთ, იგი სოფელ კობარეთში ერთად მიგვიყვანს.

ქართული კულტურის ყველაზე ბნელი და მძიმე ხანის — XV საუკუნის შემდგომ მესხეთში მონუმენტური ხელოვნების განვითარება დასრულებულა. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის სიტყვით, „მხოლოდ ხალხმა, გლეხობამ შემონახა თვით ჩვენ დრომდისაც ძველი ქართული ხელობა: სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონების გლეხური საცხოვრებელი სახლები, თუნდაც სამცხის შენაარსნავი დარბაზები უტყუარად... ..ადსატურებს რამდენად მტკიცე იყო აქ მრავალსაუკუნოანი ეროვნული ტრადიციები.“ ამ დასკვნის სისწორეში დარწმუნება ძალზე იოლია: მისი ავტორის სრული კომპეტენტურობის გარდა, ამისათვის მხოლოდ კობარეთის ნახევარ საუკუნით იკმარებდა.

კობარეთი კარგა მოზრდილი სოფელია, მესხური — თავისი ფორმითა და შინაარსით, ანუ სწორედ იმ მრავალსაუკუნოანი ტრადიციების დღემდის შემორჩენილი სიმტკიცით, რაც აქ მოხვედრისას კაცს უმაღლესი თვალში ეცემა. პირველივე ადამიანი, რომელიც გზაზე შეგვხვდა, ნამდვილი მესხური გულწრფელობითა და თავდაპირველი სიხარულით შემოგვგებდა, ხოლო რაკი ჩვენი სტუმრობის მიხარის შეიტყო, მასპინძლობის გარდა მეგზურობაც შემოგვთავაზა. იგი ადგილობრივი კოლმეურნეობის ბრიგადირი აღმოჩნდა, სახელად და გვარად გიორგი ივანიძე, და როგორც მალე გამოირკვა, უკეთეს მეგზურს ამ სოფელში ვერც ვინატირებდით. გაითვალისწინა რა ჩვენი დროის სიმძირე, მან უმოკლეს ხანში შემოგვაცატარა სოფელია ღირსშესანიშნოაბანი, გვაჩვენა დროს გადარჩენილი რამდენიმე მესხური დარბაზი თავისი კარანგებით (დერაფნებით), ბუხრებით, ოდებითა და მერცხლის ბუდისებრი გადახურვით; დაგვათვალისწინებინა ძველებური ბოსლის — ახორის ნაშთები, რომელშიც თორმეტ უღლამდე ხარკამეჩი თურქი ლაღად ეტეოდა; სასწრაფოდ გამოძებნა ძველი მესხური ჭილა — დიდი კავი თავისი ვეებერთელა სახნისითა და სხვა ნაწილებით, ხმალით, რვალით, კბილითა და სხვით; გზადაგზა გვიამბო პატრიოტულ-პერიოკული პათოსით გამსჭვალული რამდენიმე მესხური თქმულება, აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ცნობა იმდენად ამოწურავად და სრულფასოვანად იყო გიორგი ივანიძის მიერ მოწოდებული, ნებისმიერ ეთნოგრაფულ ნაშრომს უეჭველად დაამუშავებდა. მან, რა თქმა უნდა, არ დაივიწყა თავისი სო-

ფლის ერთ-ერთი უმთავრესი და ცოცხალი დერსშესანიშნოაბაც — 70 წელს გადავიწყობდა კოლმეურნე არჩილ ჯვარიძე, მსხვერპლ რთული მწერლობის დიდი მცოდნე და მოსიყვარულე — და ყველაზე მის კარს მიგვაყვანა. შინაგანი დროსებით სავესტ კარმაგმა მოხუცმა დინჯად მიანება თავი საოჯახო საქმიანობას, თავახიანად მოგვესალმა და, თხოვნის განუმეორებლად, სულხან-საბა ორბელიანის იგავებითა და „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავით ხალისიანად და გულხვად გავეცამასპინძლდა. „ვეფხისტყაოსნის“ თავიდან ბოლომდე ზეპირად ცოდნა დღეს მეტად იშვიათი, გამოწკალინა მოვლენა; ერთ დროს კი სწორედ ასეთების, არჩილ ჯვარიძის წინამორბედების — ვინმე სხვა ჯვარიძების, ან ზედგვენიძების, ბერიძეების, ხმალაძეებისა თუ ინასარიძეების გასაოცარმა უნარმა გადაარჩინა ეს უნიკალური აეგლი სრულ და აუნაზღაურებელ განადგურებას. ვისმინტ მშვენიერი გამოთქმით ზეპირად წაკითხულ უკვდავ სტრუქტურებს და აღტრიალს ვეღარა ვფარავთ: აქვე, ჩვენს თვალწინ, ჯვრაც მოსწიქვს ხალხური ნიჭიერების ღრმა წიაღიდან ამოხეთქილი კამკამა წყარო; როგორცა ჩანს, უშრეტა იგი ჩვენად საბუნდევროდ. მაღლობა მოვახსენეთ ამ კეთილშობილ ადამიანს იშვიათი მასპინძლობისათვის და თითქოს ყველა ცოდვემისაგან განწმენდილებმა კრძალვით დავტოვეთ უბრალო მესხური სახლის უკიდურესად სადა კარმიდამო. მერე კვლავ ჩვენი მეგზური გიორგი ივანიძე დაგვუპატრონა, რომელიც აქამდე ჩრდილში იდგა, ხმას არ იღებდა და მალულად, გამომცდელი თვალთ გვაკვირდებოდა. ეტყობა, „უცლად“ არ ვიქცეოდით, რაკი მან ისევ გახსნა შუბლი და გულლიად გავიციედი. სულეირი საზრდო ზომ ასე უხვად მიგაღებინეთ. ახლა ცოტა სხეულზე იმ ვიზრუნით, ამით არაფერი დამავლდება, იხუმრა მან და ისეთნაირად შეგვიპატრეა თავისთან, პური გაეტეხოთო, რომ თუმი ვჩქარობდით, უარის თქმა იმ წუთის რატომაც შეუძლებელ ამბად მოგვეჩვენა, ასეა ამ ჩვენს დალოცვილ საქართველოში და რა გინდა რომ ქნა? პურიც „გავეტეხეთ“, სამ-სამი ჭიქა კაცის წუნგოზე დაყენებულ სურნელოვანი და სისხლივით წითელი მესხური „არაკი“ „წავაქციეთ“ და თითქმის სათანაჯეარცი საუბარს მოვანდომეთ, მაგრამ, მასპინძლის თქმისა არ იყოს, ამით მართლაც არაფერი დამავლდება. ან კი რა უნდა დაშავებულყო, როცა ჩვენი საუბარი სადღერჯკროვებით არ ამოწურულა. იგი ისევ და ისევ მესხეთს ეხებოდა, მესხეთს, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს, მის წარსულს, მის აწმყოსა და მომავალს. მოხსენებულ იქნა, რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველი, რა თქმა უნდა — ბაე ფშველაცი; არც ილია დავიწყნა ვინმეს, ანც აკაკი, ყველას თანაბარი სიზმრა და სიყვარული არეუნა, თა-





ნაბარი პატივი და თაყვანი სცა ჩვენმა ტუბი-  
ლმა თაჰადამა და მასპინძელმა. მისთვის, ისე  
როგორც ყველა მესხისთვის, ე.წ. კუთხურობა  
სრულიად გაუგებარი რამ ყოფილა: არც მივწე  
სუნი, არც სასულღლე, არამედ საეჭვო სურნე-  
ლების მქონე რაღაც უცხო ხილი, რომლის  
გემო მას სულაც არ აინტერესებს. ასეც უნდა  
იყოს, მხოლოდ ასე, სხვაინაირად არ შეიძლება!  
სხვა რომც არაფერი გვეგრძნო და გვენახა სო-  
ფელ კობარეთში, ესეც კმაროდა. გულთბილად  
დავუშვილობთ სტუმარ-მასპინძელს ერთი-  
მეორეს, მომავალ წელს ხელმოკრულ შეხვედრა  
დავთქვით და გზა განვაგრძეთ, გზა, რომელიც  
ვარძისაყენ მიემართებოდა და რომლიდანაც  
„ჩვენი სოფელი“ სულ რაღაც ორიოდ ნაბი-  
ჯილდა იყო თურმე დამორბეული.

●

აქ, საღდაც მარცხნივ, სოფელი სარო მეგუ-  
ლებო, სხვათაშორის ვაიხსენა შოთა გოგო-  
ლაშვილმა, თჳალი შეეველოთო. ნოდარ მან-  
გაძემ თანხმობის ნიშნად თავი-დაუქნია და მა-  
ქანამ წამსვე ასფალტთან გადაუხვია.

მტკვრის ხეობა ამ ადგილში კვლავ ვიწრო  
და აკლიანი ხეება, ღრმა კანიონები უერთდებ-  
ოდა ორივე მხრიდან. ერთი მათგანის ნაპირს  
მიუყვება სოფელ საროსაყენ მიმავალი ქვიანი  
შარა. სწრაფად იღებს იგი სიმოდლეს, ორიოდ  
კილომეტრის შემდეგ თავს ექვეყა ქანგისფერი  
ლოდებიტ მოფენილ ზეგანს და აი, მტკვარი უკ-  
ვე საღდაც ქვემოთ რჩება და ძლივს დასანახ  
ვიწრო ზოლად მილაპლაპებს ხრიოკ ხეობაში.

სოფელი სარო ორი ყოფილა, ზემო და ქვე-  
მო. ქვემო საღდაც გამოვარჩენია და მას უკა-  
ნგაზე მოვიჩინებო. ახლა კი ზემომი ვართ,  
ზეგანზე გაშენებულ კარგა დიდ სოფელში.  
აქაც, კობარეთის მსგავსად, ჭირ კიდევე შემო-  
რჩენილა ორიოდ ძველი დარბაზი ბანზე გამა-  
რთული თავისი „კოკოშკით“ ანუ ვიწრო  
ხერქლით, საიდანაც დარბაზში შუქი და პაერი  
შედიოდა, იქიდან კი კერის ცვალი გამოდიოდა.

აქაც, კობარეთის მსგავსად, ჭირ კიდევე ნახავს  
კაცი მიწის პირზე ძნელადლა შესამჩნევ ვიწრო  
და დაბად კარს, რომლითაც ე.წ. „დარბაზში“  
ანუ ვრცელ საძაღვეში შეიძლება შესვლა.  
შოშიანობის დროს შიგ თურმე მთელი ოჯახი  
იმყოფებოდა და მასი სარჩო-საბადებელიც იქვე  
საიმედოდ ინახებოდა. ამ ოჯახური ციტადელა-  
ბისაგან დღეს მხოლოდ ქერჩაქეული ნანგრე-  
ვება შემორჩენილა. აქვე წაყვდება კაცი კა-  
ნიონის ნაპირზე გაყოლებული ციკლოპური  
გალავნის ნაშთებს. მსგავსად ეგვიპტური პირა-  
მიდებისა, უღუღლაბოდ, ოსტატური სიზუსტე-  
თა ერთი-მეორეზე მორგებული და დალაგე-  
ბული ვეგებრთელა ლოდები, რომლებიც თა-  
ვიანთი უსწორმასწორობით იქვეყენ უურადლე-  
ბას და შენების სიზუსტე. ამის გამო, აქ უფრო  
მეტად საკვირველია. ყოველივე ამის მიუხედა-

ვად, მთლიანად სოფელს მაინც თანამეროდვე  
იერი დაპირავს, ისე რომ ჩვენ ცდას, ამჯერად  
დაც, ვტყობა, ცუდად ჩაუვლია. თუმცა, სრულ  
მთლად ცუდად. ზოგიერთი აქური ხედი ჩვენ  
მომავალ ფილმს უეკველად გამოადგება. აი  
თუნდაც ამ გალავნის ცალკეული ფრაგმენტ-  
ები; ან ეს ქანგისფერი ბრტყელი ლოდები, თი-  
თქოს ზღაპრული დეკორაციის ხელით ზეგანზე  
უხვად მიმომხვეული; ან მათ შორის ლამაზად  
ჩაკლავილი ვიწრო ბილიები... ვინ იცის, იქ-  
ნებ სწორედ აქ, ამ ლოდებში წარმატებით  
გათამაშდეს ჩვენი ფილმის რომელიმე მთავარი  
სცენა. ამ იმედით ოდნავ გამხნეებულუბმა და-  
ვტრევით ზემო სარო და ქვემოსკენ ფეხით გა-  
ვეშურეთ. გზა კინოკამერის გარშემო თავშე-  
ყრილმა ბავშვებმა მიეკასწყავეს, და ისიც —  
ღრმა კლიანი ხევში ჩაყვცილი ფართე ბილი-  
კი — ჩვენი ერთსულოვანი აზრით, ფილმის  
არაერთი ეპიზოდის ასპარეზად გამოადგებოდა.  
ხევის ბოლო მწვეანედ დაბურულ ხეხილის ბა-  
ლებში იკარგებოდა, ორმელთა პირისაყ, მალაღ  
კლდეების ძირში პატარა მესხური სოფელი  
ქვემო სარო მაყუყუდიყო.

აუჩქარებლად მიეყვებოდით ბილიკს დაღმა-  
რთში. ფეხქვეშ აგორებულნი კენკები მხიარუ-  
ლად მიჩხრიალებდნენ ცინკოვ ფერღზე და  
ყურადღებას გვეფანტებოდა. ამიტომ თუ და-  
ვექტროდით ასე გულგრილად ამ პატარა სო-  
ფელს, ტერასებად განლაგებულ მის ბანიან  
სახლებს, ზოგან ზედ წამოდგმულ თივის მომ-  
ცრო ზეინებს, ყორიებზე გასაშრობად გადაფე-  
ნილი ტყალაპებისა თუ სარკების ფერად-ფერად  
ლაქებს, აქა-იქ ცაში აკლავილი ცვალის ლა-  
მას არშიებს, დაცქტროდით და ჭერ კიდევე  
იერ ვხედდებოდით. რომ „ჩვენი სოფელი“ თუ-  
რმე უკვე ნაპოვნი გვექონდა. როდის მივხვდით  
ამას, ახლა უკვე აღარავის ვეახსოვს და უცნა-  
ურია. რომ ჩვენთვის უმთავრესი სწორად ეს  
მოქმენტი მესხიერებიდან ყველას ერთნაირად  
ამოგვეიარდა, იქნებ მესხური შემოდგომის  
სადა სილამაზემა და უნახავსა სურნელბამ  
მოგვაქალოვას? მე, ყოველშემთხვევაში, უკი-  
თვის ახსნას ვერა ვპოულობ.

და აი, როცა ამ სასიამოვნო ბურანიდან  
გამოვერკვეით, „ჩვენი სოფელი“ უკვე ცხვირ-  
წინ გვექონდა და ყველანი დინჯად, სიამოვნებას  
გამაგრძელებული ტრიუმფალური სვლით მას  
კიდევ უფრო ვუახლოვდებოდით. ხმას არავინ  
იღებდა, ისედაც ცხადი იყო, რომ უკეთესს ვე-  
რაფერს ვინატრებდით. ჩვენთვის საბედნიერო  
გარემოების წყალობით მესხური სოფელი ქვე-  
მო სარო სხვა ქართული სოფლების ფონზე  
ერთგვარ უნიკულად შეიძლება ჩაითვალოს, და  
აი, რატომ: ცხოვრებით აქ აღარავინ ცხოვრობს,  
ყველანი ცოტათი უფრო ქვემოთ, მტკვრის ნა-  
პირას დასახლებულან, მაგრამ ეს თავიანთი ნა-

ღავითი ჯავახიუვილი  
პარტული სისხლით მიორწყულ მიწაზე

სოფლარი გასაპარტახებლად ვერ გაუმტეხიათ, ხელუხლებლად დაუტოვევით, წმირად აკითხავენ, განსაკუთრებით — შემოდგომობით, უფლად კიდევ და თავიანთი სამეურნეო მიზნებისათვისაც კარგად იყენებენ. ამაში მათ ჯერჯერობით არაფერ ედგება და ღმერთმა შეარგათ. ჩვენგან ხომ მადლობის გარდა არაფერი ეთქმით. მათი შემწეობით ჩვენს ხელთ ასე მოულოდნელად აღმოჩნდა „დაფინანსებული“ მესხური სოფელი, სწორედ ისეთი ძველებური, როგორც თენებნასაც ძლივს ვებრძვით. ერთადერთი თანამედროვე დეტალი — მტკვრის წყლის შემწოვი რკინის მსხვილი მილი, რომელიც სოფლის განაპირას მიწაზე კარგად დიდ მანძილზე არის გაწოლილი, ადვილი შესანიშნავი და სერაიზულ დაბაკლებად ვერ ჩაითვლება.

გაუმტეხებელი სიმბოლიური კოლორიტის მქონე „ჩვენი სოფელი“ თავისი ტეოსებიით და ბანიანი სახლებით, რომელთაცაც თვითონველი პატარა სიმპარეს წაგავს — ცხადია, ეს სიგავსება არ არის შემთხვევითი. იგი სოფლისა და მთელი ქვეყნის შფოთიანი წარსულის უტყუარი საბუთი გახლავთ. აი ასეთ, მხოლოდ ასეთ სოფელში, მუდმივად საფრთხის ვიფარებაში დაირწოდა უთუოდ ივანე კოტორაშვილის აკვანი. აქვე უმტკიცესი ფოლადივით გამოიწოთობდა მერე მისი გმირული სულა. აქვე ჩამოყალიბდებოდა და შეიფიცებოდა მისი სპეტაკი მრწამსი — თავდადება სამშობლოსათვის, რომელსაც იგი უმარტყევს და უკიდურეს სახეს მისცემდა: ერთგული ნაგავივით დაუდგებოდა სოფელს დარაჯად, ყველაფერს პირადს უყოყმანოდ დასთობდა და დაიფიცებდა. აქვე, რომელიმე ბანიან სახლში იცხოვრებდა ალბათ უწინარი მწყემსი ქალი კატო, რომლის სიყვარულსაც ივანე ვეებერთელა გულის ყველაზე ღრმა კუნტულში გადამალავდა, კუნტულში, რომელშიც თვითონაც კი იმყოფებოდა. მაგრამ სოფელი გულგრილი ვერ დარჩებოდა ერთგული შეილის ბედისადმი. მრავალი ამაო ცდის შემდეგ ერთი თუ ბერი დაუკითხავად ჩაერგოდა ამ ბედში და ერთ მშვენიერ დღეს მტრის დახმარებით გაბარულ ივანესა და მწყემს ქალ კატოს ძალით დასწერდნენ ჯვარს რომელიმე ქართულ საყდარში. კიდევ არაერთი ნაღვლიან-მხიარული ფათერაკი გადახდებოდა თავს ამ სოფლად გმირ ივანეს, ვიდრე მისი სული მემკვიდრის შეიძენდა და ამით ქემპარტე უყვავებდას მოიპოვებდა. ხოლო არაფერი გარდა უკვდავებისა არ ეუფოვნოდა ივანეს სახელს, განსაკუთრებით ელვარის იმ ყუარყუარებდასა თუ სხვათა მუტყვიან ფონზე, რომელთა მსგავსი, სამწუხაროდ, აქა-იქ დღესაც არიან და დღესაც პირადი კეთილდღეობის მისაღწევად უკან არაფრის წინაშე არ დახევენ.

ეს ყველაფერი საოცარი სიციხადით იდგა ჩვენს თვალწინ, როდესაც ამ პატარა მშვენიერ-

რი სოფლის ყორეებსშუა გაბრუნებულნი ვაბიჯებდით. გაბრუნების მიზეზი კი ის იყო გვექონდა: ვაყის გენით ნაკარნახევნი მხარისა კრძალბული ჩანაფიქრის ხორცშესხმა უკვე ისეთ შორეულ და ბუნდოვან ამბად აღარ გვეჩვენებოდა, როგორც აქამდე. ხოლო ეს ჩვენთვის არც თუ ისე ცოტას ნიშნავდა.

შემდგომი მგზავრობა თბილისამდე უბრალო ექსკურსიასადა ემსგავსებოდა. თუცა ყუარადლების მთლიანად მოდუნების უფლება ჩვენი თავისათვის არ მიგვიცია. ან როგორ, მივცემდით, როცა გზაზე ისეთი დიდებული ძველების ნახვა გველოდა, როგორიცაა აწყურის, აპინის და ბერაუისის ციხეები, წუნდის ეკლესია, თბოვის ციხე. ვანის ქვაბები და თვით ვარძია. ძნელი ყოველივე ამის აღწერა, ხოლო თუკი ამოდენა სიმშვენიერეს სულ რაღაც ორიოდ დღეში მოინახულე — შეუძლებელიც. ამიტომ არც ვცდილობ. მხოლოდ კიდევ ერთ ძტყევეულ საკითხს გვერდს ვერ ავუვლი და შოკედ მინც უნდა შევეხო. თუმცა უკვე გვიანც არის. ეს გახლავთ ტურბახის არსებობა და მისი ახალ-ახალი კორპუსების მშენებლობა შიგ ვარძიაში. გარდა იმისა, რომ ციხე-ქალაქის კვლევებზე დღედაღამ შეუფრინო ტურისტული ჯგუფები ფიზიკურ საფრთხეს წყნარად მრავალკერძარამაგოელი ჩვენითეს ძვირფას ძეგლს, კიდევ ერთი, არანაკლებ დამაფიქრებელი და სხვაგან მინც გასათვალისწინებელი რამ იგრანობა აქ ყოფნისას: მოაკლდა რაღაც მთავარი ვარძიის ზღაპრულ მომხიბლავობას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, განჯადობელი, ძალდაკარგული თოლისპადა შემოგვრჩა ხელში. დასანანი, ძალზე დასანანი! რამდენად სასიამოვნო და უღრუბლო სიხარული მომგვრული იქნებოდა ჩვენი მგზავრობის ფაქტები რომ არ შეგვეხედროდა გზაზე აქა-იქ, ძეგლებისადმი მეტი ზრუნვისა და სიყვარულის მოწყენი რომ გავმხდარიყავით. იმედოდა ის რჩება, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაკარგულა, ჯერ კიდევ გაგვარჩია ის, რასაც უნდა მოუფაროთ, რითაც შეგვიძლია ვიამყავოთ, ანუ ის, რის დაცვასაც შეალოა სიცოცხლე ივანე კოტორაშვილის მსგავს გმირთა წარმომშობმა არაერთმა და ორმა თაობამ. ეს ფიქრი თან გვდევს ჯავახეთისა და თრიალეთის ვრცელ მინდვრებზედაც. კუმურდის დიდებული ნანგრევების, ბეთანიის ტაძრისა თუ კოჭრის ციხის ხილვა. სიამაყესთან ერთად, სამშობლოსა და მისი ხალხის წარსულის, აწყურისა და მომილის წინაშე უდღესი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობით აესტებს ადამიანს, დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვს მისგან.

მოუტყვებელია გულგრილ მკერეტული ყოფნა წინაპართა სისხლით ასე უხვად მორწყულ მიწაზე.

# ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი

მალღობიდან ხელისგულივით მოჩანდა გაგაღამწვარი ტაფობი. ქვეყანა, დასწრალი დელის გადამა ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა მიწასთან გასწორებულ ნასოფლარს. დაფერფლილი ძნებიდან და ქვის კრევებად ქვეყნული ნასახლარებიდან ადენილი მკრთალი კვამლი სუსტ ნიავს მეჩხერი ტყის ნაპირისაკენ მდოგრედ მიჰქონდა და იგი ტაფობის გარდოგარდმო გამჟვირვალე ბურუსის ფარდად ეკიდა.

სიჩუმეს არაფერი არღვევდა. შენიღბული სანგრის პირას მიწოლილი ჯარისკაცბა რალაის მოლოდინში გარინდებულაყენენ.

ეს სიჩუმე და მოლოდინი იყო საზარელი შეგრძნება, ნერვებისა და ნებისყოფის მტკივნეული დაძაბვა ადამიანური შიშის დასაბრუნავად.

დღე-ღამის განმავლობაში სამი გააფთრებული იერიში მოიტანა მტერმა მალღობზე. იღვა ცეცხლისა და დენთის, ტყვიისა და სისხლის ჯოჯოხეთი, რომელიც გათენებისას შეწყდა და არაქათგამოცლილი მტერი კვლავ შაუთქვა.

თავშეხვეულ ჯარისკაცს, სანგრის მარჯვენა მხარეს რომ იწვა, ნიკაბი ავტომატის დუგულზე დაეზჭინა და მოღლილი თვალებით გაჰყურებდა ტაფობს. ჯარისკაცი ყვრიმალთან მკიდროდ შემოჰკერილ, გამოეონილ, სისხლით გაწითლებულ დოღბანდს დრო და დრო ფრთხილად შეახებდა თითებს და მოკუთმულ ტუჩებზე, ფერდათეთქვილ ტახებზე ეტყობოდა, მოთმინებით იტანდა ტკივლს.

ცოტა მოშორებით, იმ ადგილას, სადაც სანგარი ხის მსხვილი მორებით იყო გადახურული, მედდა საქმიანობდა, კრილობას უხვევდა პირტიტველა ჯარისკაცს. მას იარაგახსნილი მკლავი გაეშვივებინა. მედდასათვის კალთაში მორჩილად ჩაედო და ნამალადვეი ღიმილით შესცქეროდა ქალიშვილს.

სიჩუმეს არაფერი არღვევდა. სიჩუმედ შენიღბულ საცეცხლე წერტილებთან ფხიზლობდნენ ნაოპარი ჯარისკაცები. ფხიზლობდნენ და ელოდნენ კანონადის დაწყებას.

და თითქოს მოულოდნელი იყო გამჟვირვალე ბურუსის ფარდის მიღმა ერთიმეორეზე მიყოლებით ამოვარდნილი მახახლები. მათ უმაღლ მოჰყვა ნაცნობი გრუხუნი.

ტყის პირას გამოჩნდნენ მტრის ტანკები და ტანკებს უკან ამოვარდებული, წელში მოხრილი, ავტომატმომარჯვებული მუხარადიანი ადამიანები. მალღობზე / გამაგრებული ასეულის პოზიციის უკანა მხრიდან ზედიზედ იქუხეს საარტილერიო ქვეშეხებმა და დედამიწამ ზანზარი დაიწყო. მტრის ტანკების განლაგებაში მარჯვნივ და მარცხნივ სკდებოდა ქურვები და მიწას სვეტებად ისროდა მალღობგორც ჩანდა, მტერმა მახველი ძალები შემოიკრიბა და თავგამებულ იერიშზე მეოთხედ გაღმოვიდა. მომხვედრებს მალღობიდან არტილერიამ მღიერი ცეცხლი შეაგება. ჰაერი განუწყვეტელი კანონადისაკენ ირყუოდა ამას ერთბაშად ათობით ტანკის ძრავების გუგუნი შეუერთდა და სანგრებიდან ერთად წამომხლილი ასეული გავეშებული ყიყინით ჯოჯოხეთურ ორომტრიალში გადაეშვა.

ავტომატმომარჯვებული დაჭრილი ჯარისკაცი სხვებთან ერთად კონტრშეტევაზე გადასულ სატანკო კოლონას კვლდაკვალ მისდევდა, ვიდრე თვალისმომკრელმა სინათლემ და აფეთქების ტალღამ ფეხქვეშ მიწა არ გამოაოცალა...

უკუნ სიბნელეში იწვა. დიდხანს იყო ასე ეჩვენებოდა, რომ მის გარშემო გამოუცნობი ლანდები დაბორიალებდნენ, თითქოს რალაის წართმევას ლამობდნენ.

მერე ერთმა ლანდმა გულისიბრი გამოუხსნა, იქიდან რალაე ამოიღო და ცოტა ხნის შემდეგ ჩავსმა თავისი სახელი, რომელსაც ის ლანდი დამარცვლით ამბობდა: ი-რ-ა-კ-ლი გე-ლა-შვი-ლი.

ამწყობი საამქროს ალაყაფი ფართოდ არის გაღებულ, შიგ რკინიგზის ხაზი შედის სიღრმეში იკარგება, იქით, შორს, ენგისფრად გაღუქული ელმავლები მოჩანს, უფრო იქით ამწყობ-ზეინკალთა საშუალო უბანი ამ უბანზეა ირავი გელაშვილის საოსტატო.



ირაკლის ყოველთვის სადაღ აცვია. ლურჯი ხალათის გულჯიბეში ინახავს თავის განუყრელ ნივთებს, სათვალეს და ლითონის დასაკეც მეტრიანს, ბლოკნოტს, ხრახნსაქეოსა და ავტოკალამს. ამისთანა ნივთების ერთჯიბეში მოთავსება საჩოთირო საქმეა თუნდაც იმიტომ, რომ ადვილი შეესაძლებელია სათვალის მინა რკინის საგნებთან შეხებისას გაიფხანოს ან გაიბზაროს, ან არა და უარეს შემთხვევაში კიდევაც გატყდეს. როცა ყოველდღიურად ათასგვარი დასახელუმის ლითონის ღეტალებთან გაქვს საქმე და ელმავლის ძნელად მისაღვამ შექანიზმებში თითოეულ კენსზე ოქრომჭედლოვით ზუსტი სამუშაოების წესრულება გიხდება, ამისთანა მარცხიე მოსალოდნელია. თუმცა ირაკლი ვარაუდიანი კაცია, უფრო ადრე გადაუწყვეტია ეს ამბობს. მა და სპეცხალათის გულსჯიბეში სათვალისა და რკინის ხელსაწყობების გასამოწნავად რბილი ბლოკნოტი უდევს.

ოსტატის ყოველდღიურ საქმიანობაში ამ ბლოკნოტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი სამუშაო დღის განწყისიე არის, სამახსოვრო კალენდარიე და გადაუდებელი საკითხების წესხატ. ცვლის დამოავრებამდე რამდენჯერმე სჭირდება მასში ჩახედვა. ციფრებითა და იხიცილებით, სავანებოდ ხაზგასმული სტრიქონებით აჭრელებულ ფურცელში რამეს ჩაინიშნავს, ზოგ რამეს ამოშლის, მარტო თავიციის ვასავებს, შემოკლებულ სიტყვებს მსხვილ ჩარჩოს შემოაქვლებს, რაც იმის ნიშანია. რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია. შემდეგ ისეე თავის ადგილს ჩადებს აკურატულად და საქმეს განავრძობს.

ამწყობ საამქროში ლოკომოტივის ძარაგარსაკმები შემოდის. მთავარი საქმე — მთელი ელმავლის გება, მონტაჟი და ხაზზე ვასაწყებად მომზადება ამ კორპუსიდან იწყება.

ბევრი, ძალიან ბევრი ილეთი აქვს შესასრულებელი ირაკლი გელაშვილს, ეიდრე ამ ერთ ლოკომოტივზე თითოეულ კენსსა თუ დეტალს თავის ადგილს მოუჩენს და ყოველი მათგანი გამართული საათის მექანიზმიეით ამუშავდება. ცალკეული ოპერაციებისათვის შესაფერისი საზენილო ხელსაწყობები და მოწყობილობა კარადებში აქვს შენახული. ამ კარადებს პატრონის უციოხავად ხელს ვერავინ შეახებს. თარობებზე წესრიგში უწყევია სხვადასხვა დასახელების გაწყმენილი სამარჯვები, შესადღებელი აპარატურა და ქანჩასალებები, ლეჯები და ფარგლები. ბრტყელტუნები, საზომი ხელსაწყობები, გონიოკუთხვილები, მოქლობები...

შუშობის დროს უბრალო სჯა-საბასოდ ევრავინ მიუდგება, ყველამ კარგად იცის, რომ სამუშაო დროის ფლანგვა არ სიამოვნებს.

მეგრამ ცვლა ისე არ დამთავრდება, ირაკლის საშურ საქმეებზე არ მიაციხობს.

— უნდა შეგაუხზოთ, ძია ირაკლი, ეტანი უმეტეად ახალგაზრდა მუშები არიან. ხან ერთი, ხან მეორე, ზოგჯერ კი რამდენიმე კაცი ერთად მიადგება, მოაქვთ ნახაზები, ან მთელი კენსები.

მიდერნისტული „ვლ—10“ ელმავლის სერაულ წარმოებას რომ ითვისებდნენ და პირველი ლოკომოტივი თითქმის მზად იყო ვასამებად, ამწყობ ზენიკალთა ბრიგადის ბიკები შეწყუხებულები ვახლენ. წევის ძრავის ვარსაქმის ერთერთი რთული დეტალის ნახაზი მოუტანეს. ეს დეტალი მექანიკური დამუშავების დროს მწყობრიდან გამოსვლოდათ და სასწრაფოდ უნდა შეეცვალათ. ანზორ გორგაძე, ზენიკალთა ბრიგადირი, სხვებზე მეტად ღელავდა. ირაკლი კარგად იცნობდა გორგაძესა და მისი ბიკების საქმიანობას. ამ ცოტა ხნის წინათ ეს პატარა კოლექტივი მინცა და მინცი ვერ გამოირჩიოდა მუყაითი შრომით. ბეჭითები კი იყვნენ, ცვლის დაწყებიდან დამთავრებამდე, სასაიდლო შესვენების ვარდა, წუთსაც არ ვააცდენდნენ..

საქმე მინცი ვერ აწყყეს. დღის ბოლოს ბრიგადირი ნამუშევარს მიითვლიდა, ნახელავის ავკარგინობას ამოწმებდა. ხარისხი თითქმის ყოველთვის კარგი ქონდათ. ბრიგადის წევრები მალათანრიგონებრი იყვნენ, ანზორ ნიქსაძეც, შალვა ბურდულიც, მისი უმცროსი ძმა თიმურაზიცი.

საქმე გეგმაზე იყო, ზოგჯერ პა და პა, ასრულებდნენ, ხანაც ორი-სამიოდე კომპლექტი აკლდებოდა ნორმას.

ხშირად თათბიობდა ბრიგადირი. იქვე, გორავებთან დახვასთან ჩამოკლებოდა, ფოლოსფერ ხელებს ფიკარზე გადმოალავებდა და ისარიეით ჩასობდა მხერას თანაბრიგადის წევრებს.

— რა გვემართება, ბიკებო? ბიკებიეც არ იყვნენ კარგ დღეში, არ იცოდნენ რა ემართებოდათ და ერთმანიეთის თვალეებში ექებდნენ პასუხს.

მერე ვილაცას გაუბედავად წამოსცდა: ვამოცდილება გვაკლია, შრომის ორგანიზაციია არ გვივარგაო. ამ სიტყვას ჩეჭიდნენ. იმსჯელეს და გადაწყვეტილება მიიღეს.

ამ გადაწყვეტილებამ მოიყვანა ირაკლი გელაშვილთან.

იმ დღეს ცვლის დამთავრების შემდეგ ქარხნის სკვერში კარგახანს დარჩნენ. ხასხასა გაზონებში მწენად შეღებილ მერხზე ჩამოსხდნენ და სადღეხალიო პრობლემებზე ისაუბრეს.

გულწრფელი საუბარი იცის ანზორმა. საყველურს თუ იტყვის, ისე გამოიყვანს, რომ კაცმა თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს, თა-



გადაც ბრალს დაიდებს. ბრიგადის ხარვეზს თავს არ გააირიდებს. ეს თვისება იმთავითვე შენიშნა ირაკლი გელაშვილმა და გუნებაში მოუწოდა.

სათითად მოუსმინა ბრიგადის წევრებს და შემდეგ მათი სამუშაო ადგილი გულმოდგინედ დაათვალიერა. დღახანს ამოწმებდა აქაურობას, ერთი ადგილიდან მეორემდე წელი ნაბიჯით დადიოდა და რაღაცას ფიქრობდა. ბიჭები უსიტყვოდ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ.

მერე ისინი იქვე დასხა და ყველივე აუხსნა:

ჩამორჩენის მიზეზი იყო სამუშაო ადგილების არარაციონალური განლაგება. ამის შედეგად უქმად იყარგებოდა სამუშაო დრო, თუმცა ბრიგადის თითოეული წევრი წუთსაც არ კარგავდა ტექნოლოგიური პროცესების შესრულებისას.

დაბლნაყოფიერების მიზეზი ისიც იყო, რომ ბრიგადა სამუშაოს ორ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებულ უბნებზე ასრულებდა. ხშირად ერთ უბანზე დაწყებული სამუშაოს დასამთავრებლად იძულებული ხდებოდნენ მეორე უბანზე გადასულიყვნენ. ყოველდღე ასე ვარგელდებოდა, ერთი ადგილიდან მეორემდე დასრულებული მიმისულა. ამასთან, ირსავე სამუშაო უბანზე იდგა მოძველებული საბენკლო დახეები, მორყეული გირაგები და აღტურვილობა. საგანგებო ადგილი არ ჰქონდა მიჩნეული მზა პროდუქციას, დასამუშაებელ დეტალებს, დამზარებ მასალებს. ამის მიზეზი იყო სტავებისა და საწარმოო ტარის უქონლობა.

არანაკლებ უარყოფითად მოქმედებდა ბრიგადის საწარმოო მიწვევებზე ისიც, რომ არ ჰქონდათ კუთხვილების მოსაპირელი საბურღი ჩარხი, მის მაგივრობას ასრულებდა ცალმხრივ მბრუნავი დანადგარი, რომელიც საექსპლუატაციო თვისებებით არ შეესაბამებოდა პროდუქციის ტექნოლოგიური დამუშავების მოთხოვნილებას. ამის გამო ბრიგადის წევრები მეზობელ უბანზე დადიოდნენ კუთხვილების მოსაპირელად და ამ დანადგარზე მომუშავე კანონიერ მეურვეებს უცდიდნენ თანაინი საქმის დამთავრებას, ვიდრე ჩარხი არ გათავისუფლდებოდა.

— ახლა საჭიროა ყოველივე ეს მოვაგვაროთ იმ ვარუდით, რომ სამუშაო დრო უღანაჯაროდ გამოიყენოთ, — დამთავრა ირაკლი გელაშვილმა.

სწორედ აქ გამოიჩინა ბრიგადირმა ანზორ გორგაძემ ორგანიზატორული უნარი. მისი ძალისხმევით შეადგინეს ბრიგადის სამოქმედო გეგმა, გამოთვალეს, რა ხარჯები დასპირდებოდა ერთ სამუშაო ადგილზე საჭირო აღტურვილობის მონტაჟს, ძველის ახლით შეცვლას, ან მოდერნიზაციას, იანვარის, რამდენ ხანში დაიფარებოდა ეს ხარჯები და საბოლოო ვაშში,

რამდენად უფრო გაიზარდებოდა ბრიგადის წევრთა მიწვევებით.

და შეუდგნენ სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

პირველი ნაბიჯი იყო ვანაცხადი საამქროს უფროსის სახელზე — ითხოვდნენ სამუშაო ადგილის ვაჟართობასა და საკუთარი ძალეებით აღტურვილობის მოდერნიზაციის ნებართვას.

ამის შემდეგ, ვიდრე თავის მიზანს არ მიიღწევს, ბრიგადირი ანზორ გორგაძე, როგორც კი მოახელთებდა, მკლავში სწვდებოდა უფროსის რსტატს და, ვინ იცის, მერამდნედ შეახსენებდა:

— დახმარებას რომ შეგეპირდი...

ბიჭები გვერდით ამოუღებოდნენ ბრიგადირს და ათასი საქმის მოსაგვარებლად მოფუსლდეს ოსტატი, ბოლოს, როგორც იქნა, მოტყუა.

მეორე სამუშაო ადგილი სხვა უბანს დაეთმეს, სამაგიეროდ, ძირითადი სამუშაო უბანი გაიფართოვეს. საჭირო მოწყობილობით აღტურვეს, კეთილმოაწყვეს, დღის სინათლის ნათურები დადგეს, შესაფერისი საღებავებით შეღებეს დანადგარები. საკუთარი ძალებით გააქვთეს საბურღი ჩარხი, შეცვალეს გირაგები, სამარჯვები.

ბრიგადამ მუშაობა ააწყო. ახლა სამუშაო დროის 25 პროცენტი, რომელიც ადრე ეკარგებოდათ სამუშაო ადგილის არასწორი ორგანიზაციის გამო, მაქსიმალურად გამოიყენეს. გამოირკვა, რომ ბრიგადა ერთ წელიწადში 170-მდე კაცსათს ხარჯავდა მარტო კუთხვილის მოჭრაზე, რასაც სხვა უბნებსა და საამქროებში ასრულებდა. ახლა ეს დრო მიინიშნებოდა შემიძლია, ამოღავ შრომის ნაყოფიერება.

ახლა ანზორ გორგაძე ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადირია ელმავალსაშენებელ ქარხანაში და სწოდებს ეს საქმიანი ჰაბუჯი ითხოვს დახმარებას. ირაკლიმ ნაზახი შეათვალა და ბიჭებს უაღრესად:

— ამის გაკეთება მე არ შემიძლია, საამქროს საამქროს საქმეა.

— სწორედ ამიტომ მოვედით თქვენთან, ძია ირაკლი, თქვენი ძმა უნდა დაგვეხმაროს, ხოლო თუ თქვენ არ გვეშეამდგომლეთ, ასე სასწრაფოდ არ დაგვიზადებს.

— გამოდის საპროტექციოდ მოსულხართ. — ირაკლიმ ახალგაზრდებს გაუცინა და ტელეფონზე შიკა ნომერი აკრიფა:

— ალექსი დამიძახეთ! — დინჯად თქვა და ცოტახანს ჩუმად უსმენდა. მერე, როცა ყურმილში ნაცნობი ხმა მოესმა, თქვა: — ახლა შენთან ჩვენი ზეინკლები მოვლენ, ალექსი, ჩე-

ოთარ დიპლომატი  
სახელმწიფო

მი სახელით. თუ კაცი ხარ, ყველაფერი გაუ-  
კეთე. საგანგებო ამბავია, აბა, შენ იცი!

— წადით ალექსისთან, — მოუბრუნდა ბი-  
ჭებს, — ამირანიც იქ ყოფილა, ჩემი უმცროსი  
სახლიკაცი, დაგეხმარებოდა.

და ზეინკლების მადლობას ღიმილი შეაგება.

• • •

ალექსი გელაშვილი დღედღეზე ელოდა სა-  
მობილიზაციო უწყების მიღებას და ამ მო-  
ლოდინში საშინაო ფუსფუსითა და გარჯით  
აღამებდა. სახლიკაცებს უფროსი იყო და თა-  
ვისთავად იტივრათა ოჯახის თავაკობდა.

გაწვევის დღეც დადგა. სწორედ ამ დღეს  
შუათანა ძმას — ირაკლის თავი პირველად  
გაუტელა, კაცური საუბარი გაუმართა. ლა-  
პარაკი უჭირდა, სიტყვებს ეძებდა. აქამდე  
უმცროს ძმებს ხელწამოსაყრავად უყურებოდა  
და კაცურ საქმეს როგორღა მიანდობდა. იმ  
დღეს კი, როცა ქუჩიდან ნაღვინევი წვევამ-  
დღეების ჩიჩქოლი და შეძახილები ესმოდა,  
როცა უკვე შორეულ გზას უნდა გასდგოოლა,  
მტრთან შესახვედრად, და ვინ უწყობდა,  
რამდენი ხნით, ძმებს სხვანაირი თვალთ შე-  
ხედა. ისინი თაქოს ერთბაშად გაზრდილიყ-  
ნენ და თვალეში ფიქრი ჩასდგომოდათ. ორი-  
ოდე სიტყვას ძლივს მოაბა თავი. ბოლოს  
ზურგჩანთა გადაიკიდა და იქაურობას თვალი  
მოავლო.

— აი, მე მივდივარ, შენ იცი და შენმა  
ბიჭობამ, აქაურობაზე თვალი გეკვიროს, ამი-  
რანს კარგად მოუარე, უმცროსისა და არავის  
დაჩაჩავკერო. — მერე, როგორც ჩანდა, სათქ-  
მელს ვეღარ მორბია, მუშით ნიკაში მოის-  
რისა და მშვიდობით, ფართო ნაბიჯით გაუ-  
დგა გზას.

ირაკლი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, აიშეღებდა,  
ყველაფერს კარგად დაგახედავებდა, მხოლოდ  
შენ წერტილები ხშირად მოგვეწერკო.

ალექსიმ ორიოდე წერილი გამოუგზავნა იმ  
წელიწადს თავისიანებს.

მეორე წელიწადს კი ირაკლი ემშვიდობებოდა  
თავისიანებს და უმცროს სახლიკაცს, ამირანს:  
— ვიდრე შენც გაგიწვევდნენ, აქაურობაზე  
თვალი გეკვიროსო.

მაღე ოჯახა უშამაკაცოდ დარჩა და წლებმა  
ისე გაიარა, ძმებს ერთმანეთისა არაფერი ეს-  
მოდათ.

სისხლიან ბილიკებს მიჰყვებოდნენ გელაშვი-  
ლები ვაკესიონთან და უკრაინაში, ბელო-  
რუსიაში და ბალკანეთზე. არაერთხელ გაუს-  
წორეს თვალი სიკვდილს და არ დაუთმიათ  
ჭაჩისკაცული ღირსება, ხელიდან არ გაუშვიათ  
იარაღი, ვიდრე უკანასკნელ ჯერს დაკლიდნენ  
რაინსტატთან მტერზე გაბრჯევის ნიშნად

• • •

თბილისელ ელმავალმშენებელთა კოლექტი-  
ვი ძმები გელაშვილები იმ ვეტერანთა რიცხვს

ეკუთვნის, ვინც უშუალო წელიწადში შეიქმნა  
პირველი თბილისური რეალერძიანი ელმავალმშენებ-  
ლები და პირველად გააცილა ხმისწამის  
ალყაფიდან.

მის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ქარხანაში.  
დაიხვეწა წარმოების ტექნოლოგია, შეიქმნა  
სამანქანო პარკი ახალი ტექნიკით, მექანიზმბუ-  
ლი ნაკადური ხაზებით. თვისობრივად გაუმ-  
ჯობესდა, პროფესიული ოსტატობა აიმაღლა  
ელმავალმშენებელთა თითოეულმა როგორღა.

ძმები გელაშვილები ქარხნის ყოველდღე-  
ური დამატული შრომის შუაგულში იღვწიან,  
მათ შორის ირაკლი გელაშვილი აღმზრდელთა-  
მბრუნველი მუშაობას ეწევა ახალგაზრდა კადრებთან,  
აყალიბებს თითოეული მათგანის მუშურ ღი-  
რსებას, პასუხისმგებლობის გრძობას კოლექტი-  
ვისა და ქვეყნის წინაშე.

ყოველივე ამისათვის მის მკერდს სხვა ჯი-  
ვლობებთან ერთად ამშვენებს მთავრობის უმაღ-  
ლესი ჯილდო ლენინის ორდენი.

იგი მეორე ხუთწლიანი სამაგალითო შრო-  
ნით მიღწევებისათვის დაიმსახურა ირაკ-  
ლი გელაშვილი.

მეცხრე ხუთწლიანი სამი წელიწადი ელმა-  
ვალმშენებელი ქარხნის სიმპლავრის ზრდისა  
და ახალი ტექნიკის დანერგვის, გაუმჯობესე-  
ბული მოდელის რეალერძიანი ავტო-10“ ელ-  
მავლის დაბადებისა და მისი მასობრივი წარ-  
მოების წლები იყო. განსაკუთრებული დოვლა-  
თიანობით აღინიშნა ელმავალმშენებელთა კო-  
ლექტივში ხუთწლიანი მესამე, გადამწყვეტი  
წელიწადი, როცა გვეგმის გადაწყვეტილი მ  
ათას მანეთზე მეტი პროდუქცია გამოუშ-  
ვეს.

ამჟამად წლებიანდური შემხვედრი გვეგმისა და  
ახალი სოციალისტური ვალდებულებების გა-  
სანადღებლად მობილიზებულია საწარმოს თა-  
თოეული საამქრო და უბანი, საოსტატო და  
ბრიგადი.

სერიოზული ვარაუდები აქვთ ქარხნის ვე-  
ტერანებს. სწორედ ამის თაობაზე ჩამოუვყ-  
დეთ სიტყვა ირაკლი გელაშვილს.

— წლეულს, შარშანდელთან შედარებით, —  
ამბობს საწარმოს ვეტერანი ოსტატი, — წარ-  
მოების მოცულობის დავალება იზრდება 11  
პროცენტით. თუ ეს ამოცანა შევასრულებთ,  
მაშინ წელიწადის დამღვეისათვის ჩვენი პრო-  
დუქციის წარმოების მოცულობა გაეთანაბრ-  
დება მეცხრე ხუთწლიანი გვეგმით გათვალის-  
წინებულ საოცნტროლო ციფრებს. გვაქვს სა-  
ღუფრევი ვიდიქტორი, რომ ასეც იქნება. შარ-  
შან, მაგალითად, შრომის ნაყოფიერების ზრდის  
გვეგმას 12 პროცენტით გადავაჭარბეთ, მაშინ  
როდესაც ვარაუდი 10 პროცენტი გვექონდა.  
ხუთწლიანი განმსახდრეულ წელიწადში ვა-  
ლდებულნება ავიღეთ გვეგმის გადამტეხობით 500  
ათასი მანეთის ნაკეთობა დაგამზადეთ. და  
ამის შრომის ნაყოფიერების გადღების ხარჯ-



ზე, ე. ი. არსებული სიმპლავრების გაუზრდე-  
ლად უნდა მივალთ. ეს მეტად პასუხსავე  
მოცანა და თვითველ ჩვენთან ბერს ავი-  
ლებს.

ამ მოვალეობას პირნათლად იხდიან ქვეყნი-  
სა და ხალხის წინაშე გელაშვილების დიდი  
ოჯახის წევრები. ალექსი ქარხნის სამკედლო-  
სახეიწყო საამქროში მუშაობს, ირაკლი —  
რეაგირაციის მდივანობის მდივანობის მდივანობის  
სამწყობო უბანზე, ხოლო ამირანი სამრეწ-  
ველო ელმავლების დახელოვნებული ამწ-  
ყობი სპეციალისტია.

ცელა რომ დამთავრდება, სახლიკაცები  
სტეცანასკმელს გამოიცილიან და ერთმანეთს  
მიაიხთხევენ. მუსიაფთ გაუყვებიან ალაყაფი-  
სკეს. ვახტარის კართან გზას უთმობენ ერთ-  
მანეთს, უფროს ძმას პირველს გაატარებენ  
უმცროსი ძმები.

გელაშვილების ოჯახები აქვე, ელმავალსა-  
წუნებელი ქარხნის დასახლებაში ცხოვრობენ,  
ერთმანეთს დანატრებული არ არიან, მაგრამ  
ქარხნიდან დაბრუნებულები მაღალი კორპუსე-  
ბის კვარტალში გზავსაყართან შეყვინდებიან  
ხოლმე.

— დღეს ჩემთან ვისადილოთ, — იტყვის  
ერთ-ერთი.

— ვიღომ ეგრე აჯობებს?

ძმებში უფროსი გაუღწიოთ სარგებლობს, ამა,  
ბიჭი ხარ და სიტყვა გაუმრუდე.

— ამჯერად ირაკლი იყოს მასპინძელი, — იტყ-  
ვის ალექსი და არჩევანიც მიღებულია. ოჯახურ  
სუფრასთან ამაზე ტკბილად ბაასობენ. ნანახსა  
და გაგონილს უზიარებენ ერთმანეთს.

— ჩვენ ვასოს კარგად საქმე უყირია.

ვასილ პაინაშვილზე სიტყვაძვირი ირაკლი  
ხალისით ლაპარაკობს. იცნობს ამ კაცს საქმე-  
თა და სულით. ჟეღმა ბიჭმა იმდენი ქნა, იმდე-  
ნი სიკეთე დასდო ელმავალმწენებელთა კო-  
ლექტივს, რომ სოციალისტური შრომის ამი-  
რობაზე წარადგინეს და ქარხანაში პირველ-  
დამწვენა მეტრი ლენინის ორდენითა და  
ნამგალ-ჩაქუჩიანი ოქროს ვარსკვლავით.

და ახალ ამბავს ჰყვება ირაკლი. ხელში ღვი-  
ნით საესე ქიქა უპირავს:

— ვასო ხომ ჩვენი ქარხნიდან დეპუტატია  
სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, ჰოდა, იმას-  
თან მისულან პატიმრის ნათესავეები, დახმარე-  
ბა უთხოვათ.

ამბავი საინტერესოა და ძმები ყურადღებით  
უსმენენ.

ვასილი არ იცნობდა ამ კაცს, გრიგოლ გო-  
რგაძე ყოფილა თურმე. ციხეში წასულა. პა-  
ტიმრობის მკათე წელიწადი თავდებოდა უკვე.  
თავისუფლებამდე კი ჯერ ისევე კარგახანს უნდა  
მკდარიყო. გრიგოლი სასჯელს იხდიდა ავკაცუ-

რი დანაშაულისა და ცხოვრებაში მრულე გზას  
არჩევსათვის.

თუმცა სულში მალე გასჩენოდა სინანულმა  
და სალი აზრი. ძველი იყო ეს ათი წელიწადი,  
სინდისის ქენჯნისა და აღამიანდ ჩამოყალიბე-  
ბის წლები.

და ვასილი დაინტერესდა ყმაწვილკაცის ბე-  
ლით. რამდენჯერმე მოიხატულა მონანიებუ-  
ლი ცოდვილი. ესაუბრა სათანადო ორგანოებზე,  
გულთილი სჯა-ბაისი ჰქონდა ელმავალსაშე-  
ნებელი ქარხნის დირექციასთან, პარტკომთან,  
თავის ბიჭებთან ბრიგადაში.

ელმავალსაშენებელი ქარხანაში ყველამ კარ-  
გად იცის, პაინაშვილი საქმის კაცია, ვალსაქ-  
რელს ჯერ ათქერ გასომავეს, ეგრე იოლად  
ვერ ჩაითრევს იფუფსაინი ეფექტები, მაგ-  
რამ, ვინ იცის...

— კარგად მოიფქვრე, ვასილ? კაცის ნდობა  
ინელია...

პაინაშვილი ჟიუტად აქნევს თავს და მას  
კვერს უქრავს მთელი ბრიგადა.

— კაცს უნდა ენდო. უმკველად უნდა ენდო,  
ესე ხომ ცხოვრებაც არ იქნება...

მართალია ვასილ პაინაშვილი, კაცი ნაომა-  
რი და ნაყაფიო. ყველა კაცშია კეთილი საწ-  
ყისი და იგი კვალში მოხვედრილი მარცვლი-  
ვითაა, თუ ნოყიერი მიწა და პირობები ექნა,—  
გაიზრდება, განვითარდება ჭანსად ნაყოფს  
მოგვცემს.

სწამს ამ კეთილი საქმისა ვასილს. სწორედ  
ამიტომ გაუწოდა დახმარების ხელი, ამიტომ  
დაუდგა თავდებად გრიგოლ გორგაძეს.

— ახლო, ვასომ თქვა, უკვე საჭირო სა-  
ბუთებზე ვაგროვებ და სულ მალე ის კაცი ჩე-  
მი ბრაგადის წევრი გახდებაო.

— კარგ საქმეს გაუძარკოს!

— ამინ, კარგ აღამიანებსაც!

— ეგეთი ნდობა უნდა გაამართლოს კაცმა.

ქუჩები იცლება და ძმები ტკბილად საუბ-  
რობენ.

— ვიდრე ეგ თქვენი რბალი სუფრას რამეს  
შემოამატებს, ეს ერთი შევევსოთ, — ამბობს  
ირაკლი და კამკამა ღვინოს ჭიქაში ასხამს.  
ჩვენში ოჯახურ სუფრასთან ჭიქა ღვინო უსა-  
დღევრძელოდ არ შეივსება. სადღევრძელო კი  
ყველისა და ყველავერს სწვდება, გუშინდელ-  
საც და ხეალანდელსაც, შინაურსაც და გარე-  
შესაც. ვამრჩე კაცის ნათქვამი სადღევრძელო  
შრომისა და მშვიდობის სადიდებელია, პიონია  
ოჯახისა და შვილების მომავალზე თქმული,  
ფიქრის სათავეა, წარსულსა და დღევანდელი-  
ობაზე.

ძმები გელაშვილებიც ღვინოს ასეთი სადღე-  
რძელობით შესვამენ.

შეგვრგოთ, თქვენი ნაჯაზარ-ნამაგარი, გე-  
ლაშვილებო!

## მიჯალი მიქიაშვილი

# გზა კაცისა

მეტროპოლიტენის დეპოს შენობა ნახევრად მინისა და მზის ნათელი უხვად იღვრება მის ფართო ქერქეშე. შენობაში ისეთი ზომიერი სიმყურდოვეა და მაამებელი სიგრილე, თავი ყვევლებს ორანჟერიაში გეგონებთ, რომ აქ, ამ რკინახლართებსა და ძაბვებს ქვეშ შესარემონტებელი თუ შერემონტებული ცისფერი, კრიალა ვაგონები არ იდგნენ და სპეტკანსაც-მელიანი მექანიკოს-ბელოსნები, ქალები და მამაკაცები ფუტკრებევით არ დატრიალებდნენ.

სახელოსნოს ყველა ოთახის კარზე თუნუქის აბრავ წარწერით, რომელი რისთვისაა განკუთვნილი. დეპოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი თავისებური დარბაზილური ბარატონით მაინც მიხსნის:

— ეს საზეინკლო ოთახია. სათადარიგო ნაწილები, როგორც იტყვიან, მუდამ კალთაში გვიწყვია, მაგრამ დეფექტიან ნაწილებს ხომ სჭირდება კაცის ხელი, პოდა, მათ სწორედ აქ უბრუნდებთ“ სიცოცხლე“. ზოგ ნაწილს აი, ამ სამუქდლოში ვამზადებთ. იქით, ის მომიჩნავე ოთახი, მორიგე ოსტატებისა.

ბევრი ფაბრიკა-ქარხანა და სარემონტო სახელოსნო ნაბიჯ-ნაბიჯ დამივლია, მაგრამ ამგვარი ვაკრიალებული სამუშაო ვანაფილებები, მართალია ვითხრათ, ჯერ არ მინახავს. ერთი კუთხე მუშებს პირდაპირ ედემის ბლად უქვევით—არყის ხის მორებათ ადგილი შემოუჯებირებათ და შიგ აუზი გაუკეთებიათ, ვარშემო ყვევინარი შემოუყოლებიათ და აქა-იქ ბოკონები დაუდგამთ, წინ წიგნების სტენდი გაუწყვითა სპირო ტექნიკური ლიტერატურით. მერე რა, რომ კედლის გასწვრივ მომუშავე დაზგები „ჩამწყრივებულან?..“

შეუძლებელია აქ მშრომელ კაცს გული სხვანად გაქცეს. აქ ყველაფერი ისეა ორგანიზებული, კაცს მუშაობაც ესაიამოვნოს, დასვენებაც და სტუმრის მიღებაც.

— ეს ოთახი კი ჩვენი ნამდვილი სიახლეა

ახლა აქ ნოე თავის ბიჭებს ალბათ წინასაპრაქტიკუმო მოკლე თეორიულ ინსტრუქტაჟს უტარებს,—სიტყვა განავრძო დეპოს უფროსის მოადგილემ ვიორგი ქლიბაქემ.—ამასწინათ მოსკოველმა კოლეგებმა რომ ნახეს, გაოცდნენ; მეგობრული წყენაც დაეტყოთ, აქაოდა, რატომ პირველად ჩვენ არ მოგვივიდა აზრადო, — გაეცინა და დიდ, გაჩახჩახებულ ოთახში შეგვიძღვა.

მართლაც ძნელია ვაოცებისაგან თავი შეიკავოთ. ყველაფერი ის, რაც ამოძრავებს ელექტრომატარებელს, მთლიანად ნაწილ-ნაწილად ამონტაჟებული. ასე, რომ თავის კონტროლთან მჭდარი მემანქანე ზუსტად ხედავს ძრავის ელექტრო—სისტემაში ჩართვისას, რომელ ნაწილში რა ხდება, რომელ ნავეეთურში როგორ მონაცვლავს მაღალი ძაბვის დენი, სად უფროა მოსალოდნელი შემთხვევითი „ჩავარდნა“... პრაქტიკული მეცადინეობა დაწყებული იყო. მემანქანეები გრძელ მაგიდასთან ისხდნენ, ნოე ლაცაბიძე კი ელექტრომატარებლის „კაბინაში“ მჭდომ მემანქანესთან იდგა და ყურადღებით აკვირდებოდა მოწყვის ოსტატობას, ხანვამოშვებით შეაჩერებდა, რაღაცას გამოკითხავდა და ერთხელაც გავიმეორითო, დასქენდა...

თვალს ვადევნებდი მეტროს მემანქანეთა პრაქტიკულ მეცადინეობას, ვიწრდი მათ ყოველ საქმიან გამახილ-გამოძახილს და ვცდილობდი შეუქმნეველი არ დამჩნენოდა თითოეული მათგანის ხასიათის თავისებურება... ერთი სიტყვით, მთელი ჩემი ყურადღება ამ მეტად გონიერი, ახალი და მეტად საჭირო მეცადინეობისაკენ იყო მიმართული. მაგრამ ხანვამოშვებით საღაციდან უეცრად მოვარდნილი ბუნდოვანი მოგონებების რაი-რია ისე დამჩნედა. ხელს, ისე მიმრეჯ-მომრეჯავდა, რომ ყველაფერი—მანქანის ეს ქვევანი ელექტრონაწილების ცისფერი ვაგონები, შორეული სავანები, მკლავებდაკარავებული ხელოსნები და



საერთოდ, ღებოს უხვინათლიანი შერობა—  
 თვალს და ხელს შუა მისხლტებოდა ქარბო-  
 რისსაგან ატაცებულ ბაზუქაფეერასავით და სა-  
 დლაჲ, გამირაჲვებულ სამყაროში დაფარფატე-  
 ბდი.. თავდაპირველად ვერ მიგხვდით ყურად-  
 ღების ასეთი მოულოდნელი გაფანტვის მიზეზს;  
 ალბათ კარგახანს ეგრეც მიგხვდებოდა, რომ  
 ნოე ლაცაბიძის ზმა ასე მკაცრად არ გამოეგონა:  
 — მე არა, არა, ბიჭო!... ახლა აბა, უკან  
 სვლაზე გადაიყვანე... ჰო, აგრე, აი, აგრე...  
 კარგია!.. აბა, შენდგეი... მისმა ზმამ ერთბაშად  
 გააღლო ის ამსეა, რომელიც მთავარეული-  
 ვით დამატარებდა მოგონებათა სამყაროში, თა-  
 ნდათან, ბინდიდან ამოწვერილივით ნათლად  
 გამოიკვეთა და სახე მიეცა მას, რაც დროდა  
 დრო მორიდებით შიამბო თავის თავზე, ამ ჩვე-  
 ულებრივმა, მუყუათობა, მშრამქელმა კაცმა, მე-  
 მანქანე ინსტრუქტორმა, ლენინის ორდენისაგან  
 ნოე ლაცაბიძემ...

„...ადამიანს, ჩემო ძმაო, მისთვის ყველაზე  
 სასიხარულო წუთებში, ისე როგორც ყველაზე  
 განსაკდელ ეამს, კინოფირზე აღბეჭდილივით  
 თვალწინ გაუღვლებს საყუთარი ცხოვრების  
 გზა, იქნება ეს მისი სიყარბე-სიყმაფეზე თუ  
 მოწიფულობის ხანა, მერე ფერფლწა-  
 ფინილი მოგონებები ისეთი სიხუსტითა და სი-  
 სასისით იშლება და ისახება, რომ ამგვარი სიცი-  
 ხალით სურათების გონებაში გაცოცხლება ზოგ-  
 ჯერ გაოცებთ კიდევაც... მეც მქონდა ასეთი  
 სასიხარულო დღე და არ შემეძლო ერთი წუთ-  
 თით მაინც არ გამეცოცხლებინა ჩემი წარსუ-  
 ლის ის უმთავრესი ეპიზოდები, რამაც აქამდე  
 მომიყვანა...“

ეს იყო 1967 წლის ვახუშტულზე.

მეც და გერმანე ჩიტაშვილიც, როგორც  
 სხვები, უმადლესი საბჭოს სხდომათა დარბაზ-  
 ში სახეიშო განწყობილებით შევედი. გასა-  
 ვებია, ჩვენ ზომ დაბარების მიზეზი კარგად  
 ვიცოდით...

წუთი-წუთ ველოდი ჩემი გვირისა და სა-  
 ხელის ამოკითხვას. ის არა, ვის შემდეგ გამო-  
 მიძახებდნენ ისიც ვიცოდი, მაგრამ ერთბაშად  
 მოძალებულმა მღელვარებამ და აქამდე განუ-  
 ცდელმა გრძნობამ ისე დამარია ხელი, რომ გა-  
 მოძახება არ გამიგონია,—არადა, ტრიბუნისა-  
 თვის ქე მქონდა თვალები მიცთებულა...

—ადე, ბიჭო, რაღას უციდი! — სხაასხუ-  
 ბით გაღმომჩურჩულა ჩემს გვერდით მჯდომმა  
 გერმანე ჩიტაშვილმა (იგი სალოკომოტივო  
 დგამს ყოფილი მემანქანეა) და იღავიე მკრა..  
 ლანდად მახსოვს ტრიბუნამდე მისვლა,—მღე-  
 ლფარებისაგან ყურები მიშუთოდა, სახეზე ცე-  
 ცხლი შეკიდა..

იმ დღეს ერთად დაჯილდოებულმა ძველმა  
 მეგობრებმა დიდხანს ვიპასუაათეთ, თითო კი-  
 ჯა ღვინით ერთიმეორეს მარჯვენა ღაფულოცეთ

და მხოლოდ შებინდებისა და დევიშაღვით, ვი-  
 ცოდი, შინ მოუთმენლად მელოდნენ, მაგრამ  
 რატომღაც მარტო ხეთილისკენ გამიწია გუ-  
 ლმა და შინ წასვლა გადავიფიქრე... დარბაზი-  
 დან გამოყოლილი სახეიშო განწყობილება გა-  
 მითავეცდა ვახუშტის ფუთფუთობა, საამო-  
 ნიავისაგან ჩრქვეშე მოცახცხე ლორთქო  
 ფოთლების ზრდებშია კი მთლად ამბინია  
 თავება, მივდიოდი მარტო და ვონებაში ნელ-  
 ნელა ვფურცლავდი ჩემი ცხოვრების გზას, რუ-  
 სთაველზე მაშინაც ბევრი იყო მოსვირნი წყვი-  
 ლები, მათი მხიარული რია-რია ალბათ გულზე  
 ეწვოდა მიმომსკელებს; მაგრამ მე ისე გამი-  
 ტაცა საყუთარი წარსულის მოგონებებმა, რომ  
 ჰპოლოდ მთ მოქქარაღე თვალებს, გაბადრულ  
 სახეებსა და ხელების მოძრაობას ვხედავდი.  
 ზოგჯერ, როცა ფიქრს წაშით დავცხნებოდი,  
 ქუჩის ათასნაირი გნისი ისეთი ძალით მომე-  
 ხლებოდა, რომ დამფრთხალი აქუთი-ჩით ვი-  
 ყურებოდი. მერე სიფრთხანა ნისლი ისევე, ე-  
 ფარებოდა ყოველივეს და ისევე ათასნაირი ბა-  
 ლახისა და სინედლის სურნელით გაყივებული  
 ჩვენი სოფელი, მისი ორღობეები და დიდებუ-  
 ლი ხალხი მესახებოდა თვალწინ... თუ ყოფილ-  
 ხართ ან ვაგივლიათ ჩემს სოფელში—ვახანში  
 — უშეკვლად გეცოდინებთ ჩემი კარ-მიღამო,  
 — ზედ ჩვენი ეზოს კომარათან ტოტებადბო-  
 რჯლილი, უშველებელი კაცის ხე დგას და  
 პირდაპირ მისი ფესვებიდან ამოჩუხჩუხებს  
 ყინულოვით ბინულს; არ შეიძლება იქ გამე-  
 ლეღმა ყელი არ გაიფრილოს. ამას იმიტომ  
 გაამბობთ, რომ სწორედ იმ საღამოს გამახსენ-  
 ნდა: ათი-თორმეტი წლის ბაღლი ნაყლასეკს,  
 სამწყემსურიდან თუ ყანიდან სხვებთან ერთად  
 შინ გვიან დაბრუნებული ნივების ფესვზე ჩა-  
 მოგვადებოდი, შიშველ ფეხებს წყაროს გუბეში  
 ჩავყრიდი და ზოგჯერ ხელის განძრევის თავი  
 რომ არ მქონდა, ფეხს ფეხით ვიბანდი.. რა  
 საინტერესოა ადამიანის ცხოვრება; აბა, მაშინ  
 რას ვიფიქრებდი, რომ ვაივლიდა წლები და  
 უმადლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მე,  
 ერთ უბრალო სოფელელ ბიჭს — ნოე ლაცაბი-  
 ძეს ლენინის ორდენით დამაჯილდოვებდნენ!..

ჰმ, სულ პირწმინდად წარმომიდგენე თვალ-  
 წინ მუდამ მოუცლელი, ხელუბდაყოყრილი და  
 სიტყვაპირილიანი ჩვენი სოფლის კაცები, ოცი-  
 ან წლებში წელზე ფეხს რომ იღვამდნენ და  
 სისხლის ფსად მოპოვებულ ცხოვრებას გასა-  
 ოცარი ენერჯით, რწმენითა და იმედით აშე-  
 ნებდნენ. გამახსენდა ჩვენ, ბავშვები, უთენია  
 ერთი ოროველთა რომ მივერტყებოდით ნა-  
 ხირს საოცვარზე.

— აბა საქონელი გამორეკეთ, საქონელი!  
 — ომახინად გავიძახოდით და ახლად გამოწ-

მიტალი მიქიანშვილი  
 ბზს პაცილა



გელილი რძის სურნელით მოკმეულ ორდობე-  
ვებში ფეხშიშველნი მივტანტავდებით.

— თქვენ შემოგაირათ, შეიღებო, — უე-  
ჭველი მოგვაძახებდა საჩიხეს ღობესთან მომ-  
დგარი ქოთნიანი რომელიმე მეზობლის ქალი,  
— თქვენ იცით, აბა, რავე დაასისინებთ საქო-  
ნელს. ბალახი მადლიზე ქეა ამობინებულნი,  
პოლა, ადგილზე თუ არ დაბამთ, ერთ საათში  
ამიფხებენ ფერდებს..

თვალწინ წარმოამდგა ნაადრევად დაქვრი-  
ვებული დედაჩემი, მკადის ნატეხსა და რაიმე  
მისაწებელს ძველ გაზეთში სათუთად რომ მი-  
ფლავებდა და ტილოს ჩანთაში ალაგებდა:

— ჰკვიანად იარე, შეილო, არაფერი მოი-  
წიო, — მკეტყოლა. — მეველე კი იქნება ფხვნილი,  
მარა თქვენც ნუ იზარმაცებთ; საქონელი სო-  
მინდის ყანაში არ შეგეპარათ, თორემ ამოგა-  
ღებენ მოსავალს..

სამი წლის ვყოფილარი მამა ხე-ტყეზე მუ-  
შაობის დროს მორს დაუმარცხებია.. დავრ-  
ჩით დედის ამარა ბარტყევივით პირდახენი-  
ლი რვა და-ძმა... მაშინ ჰქირდა ცხოვრება, ძმაო,  
ძალიან ჰქირდა.. ასე თავზე საყარი სად იყო  
რამე; ნათესა რაა — უნი გვენატრებოდა მისი..  
ერთხელ რაღაცაზე გავუჯარდი შევიღებ; მახ-  
სოვს, როგორი სიზუსტით ჩამოეუკაცულ მათ ჩე-  
მი ბავშვობა, ახლა სხვა დროაო, მითხრეს,  
პლუხანოვზე ფეხშიშველი ვერ გაპარტყუნდე-  
ბით. რას ვეტყვოდი, გავჩუმდი, იქნებ მართალი  
არიან..

ჰო, იმას ვამბობდი, რვა პირდაფენილი  
ბალი დედის საპატრონო დავრჩით-მეთქი.  
სანამ წამოვიჩიტებოდით, საბრალო ქალი შრო-  
მაში ათენებდა და აღამებდა — ობლობა არ იგ-  
რძნო. მაგრამ რა ექნა, ხელეგში შემეყურე  
რვა შეილის პატრონს ბარაქა აბა რანაირად  
ექნებოდა. ხომ ამდენს შრომობდა, მაგრამ არ  
მახსოვს ჩვენი თანადისწრებით ერთხელ მაინც  
წამოეკენსოს. ის არა, აქეთ გვაშენებდა,  
გვარიგებდა: მერე რა რომ დღეს ასეა, აბა ნა-  
ხეთ, ხვალ რავე კარგად იქნეს ყველაფერიო..  
ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ უკვე წამოჩი-  
ტული ბიჭი ვიყავი, ქალაქიდან ჩემი უფროსი  
ძმა ამოვიდა; შინაუტული მიკითხვ-მოკითხვის  
შემდეგ ცალკე გამიხმო:

- მიღიხარ სიგარქე-სივანეში ა!.. საცაა  
საუღავეც გადავიშავებდა.. ჰო, ჰო! — მიხი-  
არულმა, ხელი დამკრა მხარზე.
- გამეცინა.
- რას იტყვი ქალაქში წამოსვლაზე, ა!
- ახლავე წამოვიდოდი, მარა..
- რა მარა!
- დედაჩემი?!.. მთლად უკაცოდ დარჩება  
ოჯახი.
- ვიცო... ვიცო! მაგრამ ახლა ასეა სჭირო.

სახელოსნო სასწავლებელში მოგაწყობ და  
ერთ-ორ წელიწადში შეიძლება მემანქანეც გა-

ხდე, აბა რავე!.. თბილისელ ბიჭსაც (სურათი) დავი-  
ბენ!..

ძმა ხაშურის დეპოში მუშაობდა. მანქანის  
სამ დღეში უკან უნდა დაბრუნებულიყო. ამი-  
ტომ თათარიხანა შემეტანინა სახუთედი და  
სასწავლებლის საერთო საცხოვრებელშიც და-  
მაბინავა... წასვლისას დამარიგა: ჰკვიანად იყა-  
ვიო და ეს იყო და ეს, ასე აღმოჩნდი სოფ-  
ელი ბიჭი კაკლად მარტო ამ უშველებელი  
ქალაქის ორომტრიალში.. მთავარია თურმე კა-  
ცის რწმენა, მიზანი და მონდომება, თორემ  
გაქირება რას მიქვია! სახლში რა დავტოვე,  
რომ დედას ყოველთვიურად საარსებო ფული  
ეგზავნა?.. გამოიჭირდა, ისე გამოიჭირდა, რომ  
ერთი გაფორება გაქცევაც გადაწყვიტე... მე-  
რე ვახსენებდა, რომ მეორე სახელოსნო სას-  
წავლებელში კვება და ტან-ფეხი უფასო იყო  
და მეც იქ გადავინაცვლე..

ერთი წყვილი წულით და გახუნებული ში-  
ნელით სასწავლებელიც დავამოთარე და ხაშუ-  
რში მემანქანის თანაშემწედაც კარგა ხანს ვიარ-  
ე... მაშინ ვის ეცვალა (და არც იყო) ნაირ-  
ნაირ ჩასაცმელ-დასახურავზე გვეფიქრა: აქეთ  
საბოტაჟისტები, იქეთ კულაკობა; ახლა ყველა-  
ფერი ხომ თავიდან დასაწყებ-ასაშენებელი  
იყო, — დიდ-პატარა დღე და ღამ ფეხზე შე-  
მართული იარაღებით ვიყავით.

...ჰმ, აი ახლაც რომ ვფიქრობ, ცხადად  
მიდგას თვალწინ ჩემი პირველი დღე ორთქმა-  
ვალზე და ჩემი პირველი მემანქანე — მასწავ-  
ლებელი ვანო ბაქრაძე.

ალარ მაგონდება მაშინ, სად მიგვყავდა სა-  
ბარკო მატარებელი. ვანო სარკმელთან იჯდა,  
წინაბოეთ ხელი რევერსისათვის ჩაეკიდა და  
თავისთვის ღლინებდა. მე კი გახვითქულ — გა-  
მურული უშველებელი წინაბოეთ ვყრი და ვყრი  
გავარვარებულ ღუმელში ნახშირს.

- აბა, მოგეწონა თბილისი, ა!..
- უჰ, ძალიან!
- ჰო, კარგი ქალაქია... ნოე გქვი, ხომ?
- კი, ბიძია ვანო.
- ყური დამივდე, ბიძიო.. რაღაი ასეთი  
ხელობა ავირჩევია, აქედანვე უნდა შეიყვარო  
შენი საქმე... კაცს თუ თავისი საქმე არ უყ-  
ვარს, კულის მტეს ვერაფერს ვააყეთებს... ჰო,  
აი რა მიწილია მეკითხა: ცოტა ხანს წყურ-  
ვილს თუ გოჟდებ?
- რავე არა, ვანო ბიძია!
- — შიშშილ?
- არ გამიწლია თუ?
- ამას კი, — საყვირის სახელტურს ხელი ჩა-  
მოკრა, — ერთიც რომ მოაკლდეს, ბიჭს ვერ  
გადადგამს. არადა, ჩემო ბიძიო, იცი ამ გა-  
მურულ მანქანას რამდენი საქმე აისროა?..  
მოდო, ახლოს მოდი... რაც იმ ქალაქშია და სხვა  
ქალაქს ჰქირდება, გადააქვს და ბიძიკით, ხე-  
დავე? ჰოდა, ამის მერე თავივით რომ არ მოუ-



არც და უერთგულო, გაგიძღვს გული? ვერ გაგიძღვს... დაიხსომე, ჩემო ბიძიო, მანქანამ აღმამინებით იცის ამაგის დაფასება!...

ბევრჯერ დამხვედრია წინ მისი სიტყვები, მაგრამ იმ ერთი შემთხვევის დროს სამუდამოდ ვიარწმუნე მისი მუშურობის ბიძიანე... მაშინ ხაშურის სალოკომოტივო ღებოს მემანქანე ვიყავი, სამგზავრო მატარებელი დამყავდა... როგორც სხვას, მეც ჩემებურად მიყვარს ჩემი ბროფესია. აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ თავი მემანქანის კაბინაში, ზიხართ სარკმელთან რბილ რაფაზე იდევდაყრდნობილი და მთელი სისწრაფით მიმავალი ელმავლიდან დიდი ხნის ნაცნობეზივით ღიმილით უტრავთას უკან გაქცეულ ხეებს, ბუნქებს, ზვრებს, ჩვენს ამირს კოპჩია სოფლებს... ამ დროს ხასიათს ამინდმაც თუ უღარა, ე დალოცვილი სიმღერა თავისით ამოდის გულიდან...

ღამის პირველი საათი იყო, მღეთას რომ გავციდი. ვიცილი, მალე სურამის რთული მოსახვევი დაიწყებოდა და სიჩქარე შეეანეღე. უეტრად ისეთ რამეს მოვკარი თვალი, რომ მთულოდნელობისაგან თმა წამომფენინა: არც ისე შორს, ზედ ღიანდაგზე არხეინად არ დვას ხარებდაუღლევი ურემი? არ ვიცი; ალბათ ამდენი ხნის მემანქანეობის გამოცილივით თუ მიკარანხა, რომ სიჩქარე შენელებული მქონოდა და ამიტომ ჩავაფრინდი სწრაფ სამუხრუტო სახელურს... რამდენიმე მეტრი სრიალით მივდიოდი რელსებზე... რაღაც წამებში გასაწუი გამიხდა პერანგი. ელმავალი ზედ ურმის თვალთან რომ გაქვავდა, ნერვიულობისაგან აჯანყალევი ხელები წასხეზილივით ჩამომეკრა. კარგა ხანს ვიდექი ასე: მიერე უტეებ წარმოვიდგინე ის საშინელება, რაც მეურმის დაუღვერობას შეიძლება მოყოლოდა და ერთბაშად გაეცეცლებული ელმავლიდან ჩამოვტობი: — კაიო, შენ... შენ ვიღაც ოხერი ხარ! — აყვირდი, მაგრამ როგორც კი ურემთან მივედი, ღვინის სუნი ვიგრძენი და მივხვდი რამეც იყო საქმე... არხეინად ექინა მოყურდიან შინ მიმავალ კაცს.

ბუზღუნით დავბრუნდი უკან, რელსებზე დასხივებულ გონიერ მანქანას რომ შეხედდე, როგორც ფრონტზე ერთ-ერთი შეტაკების დროს გარკვევით „ჩამესმა“ ჩემი პირველი მემანქანე—მასწავლებლის ვანოს ღინჯი ხმა: „...დაიხსომე, ჩემო ბიძიო, მანქანამ აღმამინებით იცის ამაგის დაფასება...“ აბა ელმავალს ელემტროსისტემაში ერთი უმნიშვნელო დეფექტიც რომ ჰქონოდა, იცით. რა მოხდებოდა? მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში მაინც არის ისეთი წლები, რომლებიც საყოფარი აბრალივით მუდამ თან დაგვეყვება; დაგვეყვება თავისი პირვანდელი ვანცლით... ასეთი წლები ჩემს სიკაბუტეს დაემთხვა და იგი ყოველგე-

რი განწყობილებისას ერთნაზრად მათქიბებს და მადლეებს...

ახლა ჩვენთან რომ დიდებული სალოკომოტივო ღებოებოდა, წინათ ასე კი არ იყო. სატრემონტო ელმავლები ხაშურდიან რუსეთში—ზაპოროჟიეში მიგვეყვავდა. იმ შემოღდომას მე და ჩემს თანაშემწეს მოგვიწია ზაპოროჟიეში გამგზავრება.

...სანამ საბუთებს ამოწმებდნენ, სანამ ელმავალს ჩაიბარებდნენ, სახზრობამ მოაწია და მომუშაულინი იქვე, ღებოს მოზრდილ სასადილოში შევედით.

გემოიანად შევეტეოდი რუსულ წვნიან შეტკამადს, რომ სხეულით ვიღაცა დაჟინებულ მზერა ვიგრძენი. ისე, სხვათაშორის მივხვდე, ამდენ ხალხში თვალი წავატარე: კუთხის მავაღასთან ზის ერთი ქერათმიანი კაცი, წვენით სასვე კოვზი ტუჩთან გაუშეშებია და გაღვირული მიყურებს. ყურადღება არ მივაქციე, რა მოხდა, უცნობაა კაცმა შემოძახდა-მეთქი. მაგრამ ცნობისმოყვარეობამ თუ აღმამინში მუდამ ფხიზეულმა ინტუიციამ ისევე იქით მიმამხედა. იგი უწინდებურად იჯდა და კვლავ მომშტერებოდა. მან უტეებ ტუჩთან მიტანილი კოვზი ცივად დაავდო, საოცრად ნაცხობი ღიმილით სახე გაებაღრა და სწრაფად წამოღდა.

— კაიო, შენ ხომ ნუ ხარ?!—მოირადიწვე მომამახა აქეთ გამოჩქარებულმა,—ნოე ლაცებიქ!

— კი.. კი ვარ ნოე, — რატომღაც ენა ამეზღურჯა. გოცებულმა ჯერ თანაშემწეს გადავხვდე, მერე სასადილოში მყოფთ, ცნობისმოყვარეობით რომ გვიცქერდნენ.

— გამარჯობა, „ბიზიო“!

— გაგიმარჯოს!.. გაგიმარჯოს, მარა...

— ვერ მიცანი?.. ჩიჩიკოვი ვარ.. დასავლეთ დონეცი, ფრონტი, ომი რამ დაგვიწყა?

— ნიკაიო?... კოლია, ბიჭო, შენა ხარ?!

აღმამიანს ეკირფანს წუთებს რა გამოუღვებს. მე რომ მემანქანედ დამაწინაურეს და ორთქლმავლის რევერსს დამოუქციებლად ხელი პირველად ჩავკიდე, სიხარულისაგან ცა მედაბლა, ჯარიდან რომ დავბრუნდი და ეზოში ფეხშიშველად ვაგირა-გამოვიარე, მეგონა მეორედ დაეზიბაღ-მეთქი, კალ-ვაის დაბადების დღებზე ხომ სიხარულით ქვეყანა შევაწუხე... მაგრამ სულ სხვაა ომის შემდეგ უნახავ ფრონტელ მეგობართან უეტარი შეხვედრა: შეხვედრა მასთან, ვისთანაც იმ ყოფნა-არყოფნის წლებში ერთი მიზნით ვიცოცხლია, ლუკმა გავცივია, ერთ დაგვერკვილ ფარაჯზე თავწადებულს წავითვლემია და ერთი ქვაბიდან გიჭამია... კი, კი — სულ სხვა სიხარულია.

იმ დღეს ჩვენმა შეხვედრამ ბევრს, ძალიან

**პიტაბლი მიქიაშვილი**  
ზზა პანისა

ბევრს გაახსენა გარდასული წლების ქარცეცხლიანი დღეები, ბევრი ისეთიც კი აღმოჩნდა, ვისაც კამენეც—პოლოლსკთან ფაშისტების გაფორებული შეტევები ჩვენს კოლონასთან ერთად თავგანწირვით მოეგერებინა... ასე ვიშასტათოთ საღამომდე და ალბათ დილაამდე არ დაეშლებოდით, რომ უცებ კოლიას არ წაიშობოდა:

— კოლამ არ დამაიწყდა?! — ყურებიანი ქული ჩამოიფხატა, დამავლო ხელი და გარეთ გამიყოლია. სარემონტო ღებოს უზარმაზარ პარკში რომ შემოძლვა, სხვათაშორის ვკითხე, — კოლია, საით-მეთქი.

— ახლავ, ახლავ გაივებ!  
იმდე ხანს ვიარე „საქემო“ ელმავლების ორთქლმავლებისა დე დიხელებია ზღვაში, რომ რუსული შემოდგომის სუსხმა სახე დამიჭირხლა. როგორც შემდეგ გამოირკვა ერთ, თითქმის ჩალორთხილ ორთქლმავალთან კოლიამ განგებ რამდენჯერმე გამატარ-გამომატარა. შემთხვევით მოვკარი თვალი ორთქლმავლის ნომერს და გაოცებისაგან ცოტა არ იყოს შევკრტი. კოლიას თავშეკავებული ფრუტუნი კი გავიგონე, მაგრამ როგორ დამეგერებინა, რომ თვალი არ მატყუებდა და ზედ მართლა — 72314 — ეწერა?! ციფრებს ცოტა მური ეფინა და კიბუხე ასულმა ხელთათმანით გაეჭინღა.

— ნიკოლაი, ეს ხომ!.. — წამოვიყვირე.  
— ჰო, ჰო, ის არის ჩვენი ბებრუხანა!  
— მერე აქ როგორ, საიდან.. შენ თვითონ როგორ წააწყდი!

— შემთხვევით, როგორც შენ ამ წუთში. არ მგონია ოდესმე დამაიწყდეს ნომერი — 72314. ეს ხომ ჩვენი ორთქლმავლი იყო, რომელმაც ყმაწვილი კაცი სამამულო ომის მძიმე წლებში სამუდამოდ დამამეგობრა ჩიჩიკოვთან, ლოკინოვთან, სტროგალევთან, — რომელმაც ადამიანივით ერთგულად და თავგანწირვით გვატარა გზიდან-გზამდე, ზურგიდან წინა ხაზამდე...

გაცვეთილ, ყველასთან ვალმოხდილ მანქანას, დიდი ხნის უნახავი მოხუცივით რომ იდგა, მივეალურსე... ეპ, რამდენი რამ შეგახსენა ორივეს, სად არ გაგვეკაროლ-გამოგვეკაროლა.

ამ მოულოდნელმა „შეხვედრამ“ ომის უკანასკნელი წლის სუსხიანი შემოდგომა გაახსენა. დასავლეთ უკრაინის გადაბუჯულ სოფლებმა და ქალაქებში ის იყო ფეხს იყიდებდა მშვიდობიანი ცხოვრება. მაგრამ იმიერ კარპატების უღრან ტყეებში ჯერ კიდევ დაწანწანულბუნენ ბენდერელების ბანდები და ისედაც გაწამებულ მოსახლეობას არ ასვენებდნენ. ამას როდი სკერდებოდნენ, —სამხედრო ეშელონებსაც ესხმოდნენ თავს...

ჩვენი „ბებრუხანა“ ორთქლმავლის ნახვამ რატომღაც სწორედ მათთან შეტაკების ერთი ეპიზოდი გაახსენა,

მაშინ კოვლის გზით ვამარჯობოდა ფრონტს. იმ დღეს მატარებელი წინა ხაზისკენ მიგვეყვოდა. რინიგზა ახლად გაჩვენდა. კალიოდა. წინ საშორებობის არავითარი ნიშანი არ ჩანდა და მთელი სისწრაფით მივდიოდით, მაგრამ უეცარმა რამდენიმე თანმიყოლებითმა აფეთქებამ ორთქლმავალი შეატორტმანა და კედლებს მიგახალა. ტყის ნაპირიდან ტყვიები აწივლდნენ.

— მუხრუქი, ნოე! — ჩვეულებრივ მშვილად მიბრძანა მემანქანე დიმიტრი სტროგალევმა. — დაქაჩე, დაქაჩე! კიდევ! ყველა უგებლად ხართ?... კარგია!

ჩვენი ეშალონიდან საპასუხო სროლა დაიწყო.

ეჭვგარეშეა, გზა დანადმული ექნებოდათ და წინსვლა აშკარა კატასტროფას მოასწავებდა. მაგრამ ასე საშიხნუხე დღომაც არ გვიქადა კარგს. ჯარისკაცებთან ერთად გზა უნდა გავეწმინდა და ბრძოლით დაუყოვნებლივ გვევლდია ტყის ზონიდან. კაბინიდან თითს ვერ ვაყოფდით, მიანი ვცადე ვადაცოცება. ვადავკადე კიდევაც კიბის პირველ საფეხურს და მაშინვე მომეხმა და თვალიც მოვკარი: ტენდერიდან თოვლწაფიფქულ ლიანდაგზე წყალი თქრილით იღვრებოდა. მოგესხენებათ, ტენდერი თუ წყლისაგან დაიწრითა, ვაგავრებული ნახშირი ქვაბს დაბუჯავს და ორთქმავლის აფეთქებაც იქვეა! პირველად აი სწორედ მაშინ ჩამესმა ვანო ბაქრაძის დინჯი ქართული: „აა, წყურვილი გავუძლებო, ააბო, აა.. შიშოილს! ამას კი, ბიძიკო, ერთიც რომ მოაკლდეს, ბიჯს ვერ გადადგამს...“ დიდი ფეჭის დრო სად იყო, მურისაგან ვაზინზღული ქუთუკი გავიძრე და შუაზე ვავხეი:

— კოლია, ბორის, დიმა, ჩქარა, ჩქარა მომეციტ ქურთუკები! ნაღმს ტენდერი გაუვლეჯია, წყალი იღვრება!..

პირდაპირ კაბინიდან გასვლა რომ დავაპირე, დიმა სტროგალევმა დამიღრიალა:

— სად მიხვალ! უკან დაბრუნდი! გინდა დებეშა წაიძღვანი?! ურდულიდან გაქვერი, ჩვენ აქედან შევიყოლებით, მაგ ოხრებს... ჰე, მიდი!

ყინვისაგან გასიპული ტენდერის სახუფავი დასივებული იყო, თითებიც, კბილებიც, ძლივს ავახლიჩე სარქველი და წყლიან ტენდერში ჩავუბრუნებულავდი. ყინულივით წყალმა დენივით დამითუთქა ტანი და სულის მოსაბრუნებლად მაშინვე ამოვეყინეთ... ბავშვობაში ზოგჯერ ღელეს დავაგუბებდით და გაძლებაზე თავს შიგ თუ ჩაეყოფდით, თორემ ზღვა ხეირიანად არც მენახა და ყვინთვა საიდან მეცოდინებოდა... ბოლო ნაპრაღის ამოსავმანად კიდევ რომ ჩავეყინეთ, მეგონა, საფეთქლები გამიხრებოდა...

— ნოე, დიმა სტროგალევის თუ იცი რა-





მე? — ფიქრიდან გამომარკვია ჩინიკოვის ხმა.  
— არაფერი... შენ?

— მე ხომ პოსტალის შემდეგ სხვა ბრიგადამო გადამიყვანეს... ჰმ, როგორ იყო კამენეც — პოლოსკეში ფანისტლებს მიწა რომ აფარტყენით? დიმა სტროგალემა მაინც როგორი ლაზათიანი მოყოლა იცოდა... ჩაახველებდა და: „ჰო, ჰო.. წვეწვარ ლიანდაგებში და სროლასიგან გავარვარებულნი ავტომობილი ხელგამო მიფუტქაქს... ჰოდა, მესმის ჩემს გვერდით რაღაც დაღებუქა. ბოძები თუ დაეცა-მეთქი, დამფრთხალმა თავი მივაბრუნე. ვხედავ, ამ აყლაყულე ქაბუკს ორი საყენი მიწა ტანით დაუფარავს და იცოცხლე-თქო ფრიცებს ყუმბარებით უმაპინძლდება... შევხედე, მეცნობა, საღდაც მიწახებს, მაგრამ აღარ მაგონდება. ვეკითხები: „ქართველი ხომ არა ხარ-მეთქი?“ „აბა ვინ ვიქნებიო!“ — მომახალა... რა დროს ხიცილი იყო, მაგრამ თვალი რომ გაეფოცლე ნოეს ნასროლ ყუმბარას, სლობი კურკაბათი რომ ტყორტნიდა, ავხარხარადიო...“

— კარგი, თუ ძმა ხარ; ნუ იცო ზოგჯერ გაზეიადება!

— ცოლ-შვილს იფიცავდა, აღარ გახსოვს? ნოე, ოდესმე ხმა თუ მაიწვდინო დიმას, შემეტყობინე, თქვენთან გავჩნდები! — მოთხრა ვაზომშეღებებისას ფრონტელმა მეგობარმა... აბა, მაშინ რას ვფიქრებდი, რომ კოლასთან საუბრის რამდენიმე წლის შემდეგ აქ, ჩვენთან, თბილისის მეტროში მოჩვენებასავით გამოვიყვანდებოდა დიმა სტროგალევი? — მაგრამ ამაზე შემდეგ... —

... მე მგონი მეტრ-ნაკლებად ყველას გვაქვს თავისებური ადამიანური სისუსტე. არა, მაშინ დასაძრახი არაფერი მოხდარა, მაგრამ ხასიათის სისუსტეზე მაინც მეტყველებს... ჩვენ უკვე მეტროპოლიტენის შემაქანებელად ვითვლებოდით. დღე-დღეზე უნდა გვეზენიო თბილისის მეტროპოლიტენის ისტორიული გახსნა. ყველამ ვიცოდით, რომ ერთ რომელიმე ჩვენგანს პირველი მატარებელი უნდა დაეძრა... გარეგნულად არ ვიმჩნევით, მაგრამ პირველობისავე ყველას მიგვიწყევდა გული... —

ალბათ ზედიეცა, თორემ სხვები ჩემზე ნაკლები ბიჭები როდი იყვნენ.

იანვრის პირველ რიცხვებში სამმართველოში გამომიძახეს. გუმანით ვივარქენი, დღემდე დაკისრებული ყველა საქმის პასუხისმგებლობაზე უფრო დიდი პასუხისმგებლობის მოახლოება... —

ოთახში სამმართველოს უფროსის გარდა, სხვებიც იყო; შესვლისას ყველამ მე შემომხედა და ცოტა შევჩქვოფდი.

— ახლოს მოიწი, ნოე, — ღიმილით შემომეკვება უფროსი და მაგიდასთან გვერდით დაიშვა. — დაგვიდგა ნანატრი დღე, არა?!

მივხვდი, მეტროპოლიტენის გახსნას გულისხ-

მობდა და — „ასეა-მეთქი“, კვერი დავუკარი.

— მერე მხად თუ ხარ, ხვალ პირველი შემადგენლობა წაიყვანო; უეტერი რომ ვიქნება, იმითმე ავირ-დვირ-რიე. მინდა რამე ვთქვა, მაგრამ ვაგიგონია? სიტყვა არ ამოდის!.. აგეროდის ამოვიდუდუნე: — თუ მედნობით... —

— საპასუხისმგებლო საქმეა... თანაშემწედ ვის აიყვან?!

— ელგუჯა... ელგუჯა მარკოზაშვილს.

... იმ ღამეს გვიან ჩამეძინა, იცის ასეთ დროს: ღელავ, განიცდი, გონებაში რაღაცას ანგაროშობ, ზომავე გადასაბრუნ მანძილს, გიხარია... მახსოვს, ასევე გამიტყუდა ძილი მაშინაც, როცა პირველი მამეწონიანი შემადგენლობის წაყვანა რომ დამეკისრა, არის ასე დიდ ნდობა-პასუხისმგებლობაში სიამაყის გრძნობა, დიდი სიხარული და არანაკლები მღელვარება, რადგან ხომ შეიძლება კაცს ერთი უნებლო იაღლოში მოგვიდეს? და ვათავდა, ხუხულასავით ინგურცა ამდენი ნაშრომ-ნაამაგარი... —

ძნელია იმის გადმოცემა, რასაც მაშინ ვგრძნობდით და განვიცდიდით ყველა, ვინც რუსთაველის სახელობის სადგურში გამართულ მიტინგს ვესწრებოდით, გეხსოვრება, ვამაყოზდით... მაშინ ბევრი გამოვიდა სიტყვით, მაგრამ რატომღაც განსაკუთრებით ჩვენი ორი დიდებული მამულიშვილის აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილისა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვერაქო ანჭაფარიძის სიტყვები დამამახსოვრდა.

მერე გახსოვდა, ალბათ, რადიოთი და ტელევიზიით დიქტორი როგორი სიამაყით ამცნობდა ყველას ჩვენს სიხარულსა და გამარჯვებას. ჩვენი მიწისქვეშა მაგისტრალის გახსნის ზეიმს თურმე ცენტრალური ტელევიზიით უყურებდნენ მოსკოვლები, ლენინგრადელები. კოეფლები: ვადაცემა უნახავთ მისკეში, ოდესაში... ხოლო გომელში, კოტოესკის ქუჩაზე ერთ-ერთ სახლში ტელევიზორთან მჯდარ ჩემს დიმა სტროგალეს სწორედ ისე დამართნია, როგორც ზღაპრებშია, — ჯადოსნურ სარკეში რომ ჩაიხედავ და შიგ შორეულ ქვეყნებს, ქალაქებს, იქ მცხვრებ ადამიანებსა და მათ ზენჩეულელებს დინახავ... როგორც კი თვალი მოუქრავს ჩემთვის, აღდევებულს წამოუძახია:

— ლენა, ლენა, აქ მოდი!

— რა იყო, დიმა, რა მოხდა?! — სამხარეულოში მოფუსფუსე მეუღლემ შემეფოთებული გამოვარდინლა.

— შეხედე, ეს ხომ ნოეა!

— ვინ?

ვიტალი მიქიაშვილი  
ზუა კაციას

— ნოე, ნოე ლაცაბიძე! როგორ, აღარ გასოჯს?! — მას კედლიდან სურათი ჩამოუხსნია და გაოცებული ცოლისათვის თითო ჩემზე მიუთითებია: — აი, ესაა, ეს! — და იქვე გადაქრით, განუცხადებია, — წლევანდელი შვებულების დროს თბილისში გავემგზავრებოთო...

და აი, ერთ მშვენიერ დღეს სადგურ — ვაგზლის მოედანზე — ჩვეულებრივ გავაჩერე ექსპრესი, მეგობრულ თვალს, როგორც ჩანს, მართლა ჰქონია ჰიზნოზი, თორემ ვაგონებიდან გამოძავალ და შიგ შემავალ ამ ზღვა მგზავრებში რატომ მაინცდამაინც ჩვენი მზერა გადაეყარა ერთიმეორეს?... იგი ცოტა განცალკევებით იდგა და ღიმილით მიყურებდა, კაცის სახე თითქოს შენო კიდევაც, მაგრამ მისთვის აღარ მეცალა, — ექსპრესის გასვლის დრო იყო... სადგურ „ოქტომბრის“ ბაჟანზე იგივე კაცი იგივე საოცრად ნაცნობი ღიმილით რომ შემომეფეთა, გონებაში უცებ გაცოცხლდა დიმა, მაგრამ აქ საიდან გაჩნდა-მეთქი, დავეშვდი.

— ვერ მიცანი? — მომაძახა ჩემსკენ გამოჩქარებულმა.

— დიმიტრი ალექსეევიჩ, დიმიკა, ნუთუ ეს შენა ხარ, ადამიანო?!..

კარგად მოგეხსენებათ, ფრონტელ მეგობრებს მოსაკონარი არ გამოეღვევათ და მისი აქ ყოფნის მანძილზე სულ პირწმინდად გავიხსენეთ ყოველივე, რაც ერთად თუ უერთმანეთოდ გადაგვხდენია... აბა როგორ, მეც მოვინახულე მისი კარ-მიღამო!.. იცით, ერთხელ როგორი გულისტკივილით მიიხრა — „წელს პენსიაზე გავდივარო?“ არ გაგიკვირდეთ და უც-

რად რაღაც დამაჟღერა; მაშინ, იმ მწიმიე დღეებში ერთად რომ ვერკინებოდით მისაქვე მტერს, რას წარმოვიდგენდი თუ ჩემს დიმიტრს, რას გამო ოდესმე პენსიაზე გავიღოდა! მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთია ადამიანების ბედო, ერთნი ტოვებენ სარბიელს, მეორენი იწყებენ...

ასე დამათვრა თავის თავზე თხრობა ნოე ლაცაბიძემ.

ამასწინათ კიდევ ერთხელ ვესტუმრე მეტროპოლიტენის მუშაკებს, კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ ნოე ლაცაბიძის შრომა-მოღვაწეობაზე, მის კაცურ-კაცობაზე და ყველასაგან ერთი და იგივე მესმოდა:

— ასეთი ადამიანის გვერდით მუშაობა და სჯაბასი დიდი სიამოვნებაა...

— მე ჯერ კიდევ ხაშურიდან ვიცნობ მას, — მიიხრა მისმა ძველმა კოლეგამ გერმანე ჩიტაშვილმა, — ვიცნობ, როგორც კაცურ-კაცს, დიდებულ მშრომელსა და გულისხმიერ მეგობარს...

— ნოეზე აბა, კარგის მეტი რა შემიძლია ეთქვა, — ამბობს დეპოს უფროსი, — ის ხომ ჩვენი სული და გულია, გაჭირვების ტალღეების, გარდა ამისა იგი შესანიშნავი, უერთგულესი, სამეგობრო კაცია, რომელიც მუდამ მზად არის მხარში ამოუდგეს ყველას ლხინსა და ჭირშიც, შესანიშნავი მეოჯახეა, კარგი მამა... ასე, რომ მრავლდებოდეს ყველგან ნოესთანა მშრომელი, ერთგული, კეთილი, ვაჟკაცი ადამიანები...





50

ცნობილ ქართველ პოეტს, ხუტა ბერულავას, შეუსრულდა დაბადებიდან 50 წელი.

ყოფნა „ცისკრის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია, თავისი მრავალათასიანი მკითხველის სახელით, უფლითა და გულით ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებსა და დღეგრძელ სიცოცხლეს.

რაჟივალ შაველაშვილი

## პოეტური სიტყვის მადლი

1967 წელს ვ. ი. ლენინის მშობლიურ ქალაქ ულიანოვსკში ვიყავი. სასტუმროში ვაგიცანი რუსი ქალიშვილი სახალისიდან. საუბარში გამოიჩინა, რომ იგი კარგად იცნობდა ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. ჩვენს კითხვაზე — რომელი თანამედროვე საბჭოთა ქართველი პოეტის ლექსები მოგწონთ? — დაუფიქრებლად მიპასუხა: ხუტა ბერულავას ლექსებით და პოეტის რამდენიმე ლექსიც კი თქვა ზეპირად.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან დიდი ბელადის მშობლიურ ქალაქში ვისმენდი თანამემამულის ლექსებს ლენინის ენაზე. ჩემი აღფრთოვანებით გათამამებულმა გოგონამ ხ. ბერულავას ლექსების წიგნიც კი მაჩვენა — 1955 წელს მოსკოვში ლამაზად გამოცემული წიგნი «Юность вижу свою». თუ მართალია ის მოარული თქმა, რომ მწერლის სიცოცხლე გრძელდება მანამ, სანამ მისი ერთი ლექსის



თუნდაც ერთ სტრიქონს იმეორებს ვინმე, მისინ, ვდვირობთ, ბედნიერია ხ. ბერულავა, რადგან იგი არასოდეს დაავიწყდებათ.

„ყველაზე უფრო ნანატრი შვილი“, უწოდა ხ. ბერულავამ თავის მუხას, თავის პოეზიას ლექსში „ეს ოცი წელი და გაცივება“, რომელიც ერთგვარი რეზიუმეა პოეტის მიერ განვლილი გზისა. აი, ამ შესანიშნავი, მართლაც, კვშიარითი პოეტური სტრიქონების ერთი ნაწილი:

**არ მავიწყდება შენს მონა-მორჩილს,  
რომ შენ ხარ ჩემი ყველაზე ტკბილი,  
ყველაზე ძველი, ყველაზე ნორჩი,  
ყველაზე უფრო ნანატრი შვილი.**

დიდებული ი. ქაქვიძემ ამბობდა: „პოეზია მაღლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა... რჩეულთა. მაღლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხეს შეუწყენოს“.

„ყოველი ადამიანის სულში არის საჩქველი, რომელსაც მხოლოდ პოეზია აღებს“ (ნ. ნეკრასოვი). ხ. ბერულავას ვეპეტური, პოეტური ხმა ქართულ საბჭოთა პოეზიაში სამ ათეულ წელზე მეტია გაისმის.

რამდენი თავმდაბლობა და კლდეამისილებაა პეტის სიტყვებში: „რომ პოეზიის ცხრაკლიტულ კართან უფასოდებო ვარ ატუზული“; იმაშიც მართალია ხ. ბერულავა, როცა წერს:

**„არა მაქვს ძილი მუდრო და მშვიდი,  
რაც დაიბადე ჩემდა მტანჯველად“.**

პოეტის „კოლხური მელოდიები“, რომელიც ბავშვობის შთაბეჭდილების შედეგადაა დაწერილი და პოეტურ აღსარებას წარმოადგენს, მშობლიური ოდიშის სიყვარულთაა გამთბარი; მშობლიური მელოდიები თან დაყვება პოეტს, როგორც ერთგვარი სულიერი საზრდო, კერძის სითბო, გმირთა გოდება თუ წინაპართა ძახილი. „კოლხური მელოდიების“ ერთგვარ პოეტურ გაცრქვლებას წარმოადგენს „ქართა“. რადგან წინაპრები ვახსენებ, აქვე მოვიგონებთ ლექსს „ცოტნე დადიანი“.

ხ. ბერულავას ლექსი „ცოტნე დადიანი“ ორიგინალურადაა გააზრებული; იგი შესრულებულია თოთხმეტ მარცვლოვანი ლექსითა და ჰეპტადონი რითმით. პოეტი მშვენივრად აქცევს ერთმანეთში პირადულსა და საზოგადოებრივს. პოეტს მამამ დაუტოვა ცოტნეს სახელი, როგორც ქონება, როგორც შანდალი, რომ აშუქებს შავდიან შორეთს; ხალხის ბედნიერებისათვის წამებულ რაინდს პოეტი მიმართავს: „სალამი შენდა, წინაპრო, დიდება შენდა!“ ამ ლექსში, როგორც იპ. ვართავამ შენიშნა, მთავარია აზრი, კოლორიტი და ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელიც პოეტმა წარმოგვიდგინა.

ხ. ბერულავას საკმაოდ აქვს მიძღვნილი ხასი-

ათის ლექსები — ოდები, რომლებიც მიძღვნილია ვამოჩენილი ადამიანებისადმი (ს. მარტოვილი ოდები იგივე ფერწერული პორტრეტებია, რომელთაც მხატვარი ასრულებს“ (იპ. ვართავა). ასეთებია: „გალაქტიონი სოსუმში“, „გ. ლეონიძის დღეობა პატარძელს“, „ორი ლექსი ვაჟას“, „ოდა ბავტარონს“, „ილიას სურათთან“, „ანთიმოზ ივერელი“, „შეხვედრა აულ ჭობში“, „ადამ მიცქევიჩის ძეგლთან“, და სხვ.

აქ საინტერესოდ უნდა შევჩერდეთ ლირიკულ სითბოთი გამთბარ და მშვენივრად გააზრებულ ლექსზე — „ვლადიმერ ლენინს“. დასაბამიდან ასეა დაკანონებული: როცა ადამიანი კვდება, მისი საფლავის ქვაზე დაბადება-გარდაცვალების თარიღებს ამოკრიან. კაცობრიობის უდიდესი ბელადის — ვ. ი. ლენინის მისამართით კი პოეტი ამბობს:

**შენ კი... სიცოცხლის დიად თავდებად  
ერთი თარიღი გარგუხა ბედმა,  
რადგან სიკვდილი შენს დაბადებას  
გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს!**

აი, სიტყვის მოქნევაც ასე უნდა: სათქმელის მოკლედ და ლაკონურად ვადმოცემა, პოეტური ფრაზის ტევადობა და შთამბეჭდაობა. ზუსტი და მახვილი მხედველობითი წარმოდგენები, თვითული დეტალის ერთი მიმართულებით გააზრება. ამ ლექსს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ლირიკული პოეზიის ისტორიაში, გოთემ ეკერმანთან საუბარში შენიშნა — „მოხდენილად ნათქვამ სიტყვას კარგი აზრის ფასი აქვსო“. ეს ლირიკული სითბო პოეტის სხვა ლექსებშიც შეინიშნება. ერთი მათგანია, მაგალითად, ლექსი „შოლიანი“, პოეტი ვადმოგვცემს, რომ პუშკინის ძეგლთან გაუცენია ქართველი ქალივით მორცხვი და ნახი ბულგარელი ქალიშვილი, რომელსაც იქლში დიმიტროვის წიგნი ეჭირა. პოეტმა არ იცის ბულგარული, გოგონამ — ქართული. „მამის ორივემ შეხვედრე პუშკინს და მისი ენა დავლოცეთ გულში“.

პუშკინის, გორკის, შოლოხოვის, ლ. ლენინის, ა. ტვარდოვსკისა და სხვ. ნაწარმოებების ენა არის სწორედ ის „დიადი და მიმღვრი რუსული ენა“, რომელიც, გამოვიდა რა საერთაშორისო ასპარეზზე, გახდა ჩვენს დროში მშვედობისა და პროგრესის ენა.

ლექსი „დაღესტნელ მეგობრებს“ ჩვენს ცნობიერებაში აცოცხლებს ქართველი ხალხის ძნელბედობის ხანას, როცა ლეკებს აქედან ტყვეებად მიჰყავდათ ლამაზი ქალიშვილები, მაგრამ დღეს პოეტი ნახევრად ზუმრობით წერს:

**იმ მოგონებით მიბორავს მკერდი  
და მღელვარება გულს ეფინება,  
მეც რომ მოგატყოთ ლამაზი ერთი,  
დაღესტნელებო, ნუ გეწყინებათ.**



ბ. ბერულავას ლექსი „ამხანაგო მოშაკოვ, ძმაო შალამბერიძე!“ დიდი სამამულო ომის წლებში დაიწერა (დაიბეჭდა ვახ. „კომუნისტ-ში“ 1941 წ. 24 აგვისტო). იგი ეხება ორი საბჭოთა მეომრის გმირობას და მამაკობას, და გამოხატავს პატრიოტიზმის დიადი ვერძობით. ლექსის ავტორი მამინ 17 წლისადა იყო. იშვიათად ღირსება ლექსს ასეთი პოპულარობა. იგი გამოქვეყნებისთანავე აიტაცა ხალხმა და სიმღერად აქცია.

**ლომჯულს ტყვია ვერ გასტეხს, ვერც წულუღი და იარა,**

**გმირი ბრძოლით მოკვდება, უსახელოდ კი არა!**

ეს აფორისტული სტრიქონები წითელ ზოლად გასდევს ქართულა ლირიკული პოეზიის ამ მშვენიერას:

**უსახელო მადლობზე მოიპოვეთ სახელი, საფლავს არ ჩაგყოლიათ მტრის ჭაგრი და ნადევილი, უკვდავება თქვენია, არ ჩაქრება თქვენი მზე, ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძე!**

სამართლიანად მიუთითებს დიდი სამამულო ომის ვეტერანი პროფესორი ა. თოფურია, რომ ჰაბუკი პოეტის ეს ლექსი იქცა არა მარტო მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ნაწილად, არა მარტო ჩვენს ბიოგრაფიის ნაწილად, არამედ მთელი ქართველი ხალხის გულისთვის, მისწრაფების მშვენიერ გამოძახილად. პოეტის ეს პირველი ლექსი ქართველმა ხალხმა სიმღერად ააჯალბა, სიმღერით გაიციო და სიმღერითვე შეიყვარა. ამიტომაც, ვფიქრობთ, სრულიად ბუნებრივია ბ. ბერულავას გულწრფელი განცხადება იმის შესახებ, რომ მისთვის ეს ლექსი ახლაც საყვარელია.

1971 წელს გაზეთ „კომუნისტში“ ბ. ბერულავამ მოათავსა პატარა, მკვრამ ღრმამინარსიანი წერილი „გმირის დედა“. აქ პოეტი წერს, რომ დრომ ხალხის ხსოვნინდ ვერ წაშალა აღექსანდრე შალამბერიძის სახელი: სახელი უშიშარი მეგრძოლისა, რომელიც ქუთაისში დაიბადა, ხოლო გაიზარდა და დავაჯაცდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითაწყაროში. ამ სოფელში ცხოვრობს გმირის დედა — სონია ივანეს ასული შალამბერიძე, რომელიც ახლაც ამაყობს მესაზღვრე შვილის გმირობითა და თავგანწირვით.

ლექსი „გვარსკვლავებს მოსწყდა გვარსკვლავი“ დიდი სამამულო ომის თემას ეხება. საბჭოთა კავშირის გმირის — ჰიჭკო ბენდელიანის ცხოვრება, თავდადება მამულისათვის ყველას გულს აღელვებს, მუხტავს ღრმა ადამიანური გრძნობით. პოეტის მიერ კ. ბენდელიანის ცხოვრების ტრაგიკული ისტორია ისეთი ფორმით არის მითხრობილი, რომ

ადვილად დასამახსოვრებელი და ღრმად ემოციურია, მარტივი და შთამბეჭდავი სიტყვებით დიდი გრძნობებია გამოცემული: მკითხველს ხიბლავს ამ ლექსის მოქალაქეობრივი პათოსი, პოეტის მხატვრული აღი.

რა არის პოეზია? სევდა კითხვას იღ. ჰავჯავაძე და ამგვარად პასუხობს: „ამას ვერა კაცი ვერ ავიხსნით... პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზემოქმედება ვიცით“. სრული კემარტება! ბ. ბერულავას პოეზია მოგვწონს იმ ზემოქმედების გამო, რომელსაც იგი ჩვენზე ახდენს; მაგალითად, ავიღოთ მისი აღრინდელი ლექსი „სიმღერა უკანასკნელ სიმღერაზე“. მასში მხატვრული ფერებითაა წარმოსახული სამშობლოსთვის თავდადებული რაინდის გრივოლ სხულუხის უკვდავი სახე. ფაშისტებმა ვერ გატეხეს ამ გმირის ნებისყოფა, ვერ მოახრევეს ქედი, იგი სიყვდილს ვეჯაკუტრად შეხვდა:

**სქექდა ქართველი, ზიზღი ეკვროდა სახეს დამცინავს: — შეწყურს გაყუევით, შავ წყალს წაშუევით, მე კი სამშობლოს ჭარისკაცია ვარ!**

ამ ლექსს ეპიგრამად აქვს სიტყვები: „საბჭოთა კავშირის გმირი გრივოლ სხულუხია ცეცხლში დაწვეს პიტლერელებმა. სიყვდილის წინ იგი მღეროდა“. ეს სიმღერა სამშობლოს ეხებოდა; იგი ანათემას უზღავნდა ვადამთივლო, რომლებიც ყირიმის ველზე წამებთ კლავენ ქართველ გმირს, ოდიში ნაწრობ ფოლადის ჭარისკაცს, რომელიც ცეცხლიდან

**ფეხზე წამოდა, უკვდავებამ სძლია უკუნი, ბნელში შუქივით აღმართა ვაჟი მზრანნი, „ხისოულ, ბატა“ წამოიწყო ტპილი ღულუნით და ცა და მიწა მას უსმენდა თვალცრემლიანი.**

ბ. ბერულავამ იცის სიტყვების ზუსტად შერჩევა. იგი ლექსიკურ ერთეულს სინჯავს, ათასჯერ წონის, არჩევს და ისე ათავსებს მისთვის გამიზნულ ადგილას. „ხისოულ, ბატა“ მეგრული ლირიკული სიმღერაა, რომელშიც გამოცემულია დატყვევებული გმირის, ხელფეხ შეზოკილის გულამოსენილი გოდება, შემზარავი და გულსაკლავი დაღადის. ამ ერთი მეგრული სიმღერის სათაურით ბევრი რამ თქვა პოეტმა. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ამ ლექსის ბოლო სტრიქონები: ხალხში ხმა დადის, თითქოს მერცხლები მოღრინდნენ იმ ადვილას, სადაც ქართველი გმირი დასწევს, აკრძავს ფერფლი — წამებულის ნათელი ფერფლი და ოდინისაკენ სულ ჰკიკავით გაიტაცესო. ესეც ოპტიმისტური და მრავლსმთქმელი ფინალია, რომელიც ძალიან ენათესავება

**რადიულ შამელაშვილი  
აკობტური სიტყვის მადლი**

ქართული ხალხური და კლასიკური პოეზიის ტრადიციებს. აქ მშვენივრად ჩანს პოეტის შემოქმედებითი ფანტაზიის დიდი უნარი.

ბ. ბერულავამ ბევრი ლექსი უძღვნა ბავშვებს. პოეტის რჩეული ლექსები და საბავშვო პოემები გავრთიანებულია წიგნში „წყაროს თავიდა-სავალი“ (1966); დიდი პოპულარობით სარგებლობს ბ. ბერულავის „ანიტა, ბანიტა და მათი მეგობრები“ (1960 წ.), რომლის მიხედვითაც რადიო გადაცემბსაც ისმენენ ჩვენი ნორჩები.

ბ. ბერულავას პოეზიისათვის მახლობელი და ორგანულია სიყვარულის თემა. ქართული ლიტერატურის ისტორია არ იცნობს პოეტს, რომელსაც სიყვარულის საკითხისადმი ერთი ლექსი მინც არ მიეძღვნას. თავისი ნიჭისა და უნარის შესაფერისად ამ თემას ყველა თავისებურად აღიქვამს. ბ. ბერულავაც თავისებურად უფალობს სიყვარულის სიდიადეს, სილამაზეს, მის კდემამოსილებასა და გამაყვითღშობილღმელ ძალას. აი, ერთი უსათაურო ლექსი, რომელშიც ჰემმარტი პოეტური ფერებითა დახატული თავდაპერობაც და სატრფოს მოშორებით გამოწვეული სედაც:

მინდა შეგიმყო თმები გვირღილით,  
მაგრამ შორსა ხარ ჩემგან ძალიან,  
ჩემი სიცილი, ჩემი ტირილი —  
იციოდეს ყველამ — შენი ბრალია.

ცხოვრება მიქროს ნიაღვარივით,  
და ჩემთვის თითქმის არა სცადია...  
მქვია მდიდარი? მქვია ღარიბი?  
მიზეზი შენ ხარ, შენი ბრალია.

ზოგჯერ ხელიდან ისე მეცდები,  
მინდა შეგიკრა ოქროს გალია!  
მე თუ ვმალღდები, მე თუ ვცეცემი  
განა არა გრძნობ, შენი ბრალია.

გადაუარეს ბაღებს ქარებმა,  
და ჩემს წინ ისევ ქარიშხალია...  
ჩემი სიმშვიდეც და მღელვარებაც  
მხოლოდ და მხოლოდ შენი ბრალია!

აქ მშვენივრად არის გამოყენებული კონტრასტი, რაც დიდ ექსპრესიულობას იწვევს. პოეტს სიყვარული ვანყენებულად, საზოგადოებისაგან მოწყვეტით კი არ ესახება, არამედ ადამიანთა ცხოვრებასთან კავშირსა და ურთიერთობაში; პოეტი პირადულ ვანცდებსა და ვიწრო გრძნობებს ვანზოგადებულად წარმოგვიდგენს და სწორედ ამავთა მისი ძალა და მომზიბ-ვლელობა.

ქართული პოეზიის ამ მარადიულ თემას ბ. ბერულავამ სხვა კუთხე მოუნახა, თავისებურად გაზარდა, შეიტკბო და წარმოსახა; ვის არ დაუწერია კონცანზე ლექსი, რამდენ პოეტს არ უცდია მისი ძალის ჩვენება; თუნდაც სახელდახელოდ მოვიგონოთ პოლ ელიუარის შემდეგი

სტრიქონები. „საოცარი კანონი აქედ აღმო-  
ნებს... კონცისაგან ადამიანს ქმნიან“, მაგრამ  
ბ. ბერულავა ასე შორს არ მიდის, მანამდე  
კონკრეტულად გვაგრძნობინებს ლექსის შინა-  
გან სუნთქვასა და ინტონაციურ-მელოდიურ  
ელერადობას, ინტიმურობასა და სატრფოს გან-  
შორებით გამოწვეულ დიდ დარღს, აბა, დაუ-  
დეთ ყურა:

უჯანსკელი დამბა, სულთ,  
უჯანსკელი კონცა მარუქე,  
ძველი ამბავი აქ დავასრულოთ,  
რომ გამინათო კვლავ სიკბაუქე.

ასევე ლაღი, ბუნებრივი და ძალდაუტანებ-  
ლია სტრიქონები ლექსისა „ძველი სიმღერა“,  
სადაც პოეტი ევედრება სატრფოს, რათა თქვას  
ერთადერთი, სიტყვა — „მიყვარხარი!“ რატომ?  
პასუხს თვითონ პოეტი იძლევა — „ავადმყოფს  
ზოგჯერ შულოცვა შეველისო“.

სიყვარულს უფალობს პოეტი აგრეთვე ლექ-  
სებში: „სააგარაკოდ წასულ ლამაზებს“, „ცხე-  
ლი ზაფხული მე თუ მახარებს“, „მომღერალ  
გოგონას“, „შეხვედრა მეტროს კიბეზე“, „უც-  
ნობ ქალიშვილს“ და სხვ., რომელთაც ახასი-  
ათებთ გრძნობათა სიფაქიზე და აზრთა სიცხა-  
ღე, ნათელი ფერები.

ფორმათა დახვეწილობით და მუსიკალურ-  
მელოდიურობით გამოირჩევა ლექსი „აპრიღს  
უყვარს“ (ცეკლიდან „კოღბური მელოდიები“):

აპრიღს უყვარს ია ღურჭი,  
მაისს — წვიმა წანწკარა,  
კლღეს — მდინარის შემახილი  
ჭეჭიღს — წყარო ანკარა,  
ქალას — სტვენა ბულბულისა  
ტყის შრიალში ჩართული,  
მე ყვეღაფერს მიჩრენენია  
ჩვენი ტკბილი ქართული!

მრავღმზიბივია ბ. ბერულავას შემოქმედების  
სფერო. მაგრამ მთავარი მოტივეები მინც არის  
შრომა, მეგობრობა, სამშობღოს სიყვარული ადა-  
მიანის ღირსების დაცვა. თანამედროვეობის სურ-  
ნეღებითაა აღსახე ლექსი „ჩვენი დღეები“,  
სამშობღოსადმი უსაზღერო სიყვარუღის გრძ-  
ნობაა ჩაქსოვილი ოთხსტროფიან ლექსში „სამ-  
შობღო“:

ღეღის ძუძუს აქ დავადღი კბილი,  
აქ ბოღავღა მამა-პაპის კერა  
და მე მტკიცედ. ცოტენახავით მჭერა:  
სამშობღოა სიცოცხღეზე ტკბილი!

ბ. ბერულავა ამღღეღებღად უმღერის სი-  
ციცღესს, სიყვარულს, ზაზაფხულს, ადამიანთა  
ბედნიერებას. შეიძღება გადაუჭარბეღად  
ვტყვათ, რომ პოეტს მთელი არსებობით უყვარს





საქართველოს  
წიგნების  
კავშირები

სიცოცხლე, სილამაზე და ქვეყანაზე უპირველესი საფიქარი — სამშობლო. განა ეს არ ჩანს სტრაქონებში:

ყვავილი ყველგან, კაცის გულშიც შინაც და გარეც,  
სიცოცხლე ყვავილს და დიდებას სამშობლო მხარეს!

კომუნისტური მორალის ტრადიციებზე აღზრდილი ხ. ბერულავა პატრიოტული და ინტერნაციონალური სუნიტების პოეტია. მას სიცოცხლეს მატებს და ახლადგმულებს სამშობლოს სიყვარული. ეს ნათლად ჩანს ლექსში „სიყვარული შენი“. პოეტის ინტერნაციონალიზმი კონკრეტულად ვლინდება ლექსებში, სადაც აღწერილია დოლორეს ინაჟარის თბილისში ჩამოსვლა, ბელგარულ ქალშეშლიან შეხვედრა, ადამ მიცევიჩის სახისა და ლესია უკრაინკას ძეგლის ხილვა, ლიტველ მეგობრებთან საუბარი და სხვ. ღირსშესანიშნავი მოვლენები.

1961 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა ხ. ბერულავას პოემები სათაურით „ჩემი თაობა“. ანტიციაში ავტორი წერს: „ამ პოემებში მე შევეცადე ჩემი სახელოვანი, მგზნებარე თაობის შრომა და ცხოვრება დამეხატა, მისი ფიქრები და მისწრაფებანი გამომეთქვა. ამიტომ ვუწოდებ წინამდებარე წიგნს „ჩემი თაობა“. წიგნში შევიდა პოემები: „სიმღერა ვარსკვლავის შეილებზე“, „სიმღერა ვარსკვლავებზე“ და „რუსული ული“. არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

სამამულო ომი დამთავრდა, ომით განაწამებმა ხალხმა დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. ჩვენი ქვეყანა ფაშისტ ავაზაკებზე გამარჯვების ათი წლისთავს ზეიმობდა. გრგვინავდა დიდების სალუტო... პოეტი ათი წელი ინახავდა მეგობრის — მირიან მინდელის წერილს. ახლა კი ეს მართაი ვადასცა მირიანის შევლს. პოემაში ეკარგად არის აღწერილი მირიანის გმირული შემართება და ვეჯკეური ხასიათი. იგი ფრონტიდან წერდა შევლს: „იყავი, რაცა გსურს, იყავი, სადაც გსურს, მებრძოლი იყავი მხოლოდ.“

პოემა მთავრდება ღრმა განზოგადებით. აღწერილია მირიან მინდელის შეილის მიერ კლდის ტყეზე, რაც ნართაულად გვანიშნებს ცხოვრების დიდ გზაზე გამოსული ახალგაზრდობის მიერ ნაირნაირ დაბრკოლებათა გადალახვას.

ღირიულ პოემაში „სიმღერა ვარსკვლავებზე“ გადმოცემულია, თუ როგორ ეწვია პოეტი თორმეტი წლის შემდეგ თავის მშობლიურ სოფელს — ზანას. პოეტს ახარებს ნაცნობებისა და მეგობრების ნახვა. განახლებული სოფლის სურათების ხილვა.

„სიმღერა ვარსკვლავებზე“ აღძრავს ბავშვო-

ბის მოგონებებს, გვაგონებს მშობლიურ აღმშენებლებს, ყრმობის დროინდელ მეგობრებთან შეხვედრის გულწრფელ სიხარულს. პოეტის მიერ დახატული სურათები დინამიური და პლასტიკურია, აქ სანთლით რომ ეძებოთ. ვერ იპოვოთ ყალბსა და ნაძალადევ სტრაქონებს. დავიკრეებული მკითხველი ნამდვილად შეამჩნევს ლირიკულისა და ეპიკურის თავისებურ შერწყმას — სინთეზს, ძალდაუტანებელ, ბუნებრივ და ემოციურ მხატვრულ მეტაქველვას.

პოემა „რუსული გული“ ეპიკური ნაწარმოებია. აქ გმირთა თავგადასავალი დანახულია ნამდვილი მხატვრის თვალით და დახატულია დამაჯერებლად; ამ ნაწარმოებს არც სიმძაფრე, დრამატიზმი და სუბიექტურ ვანიცადა მხატვრული განზოგადება აკლია. წარმოსულ შთაბეჭდილებას ტოვებს საქართველოდან სტალინგრადში ფოლადის დნობის შესასწავლად წასული ახალგაზრდა ვანოს სახე; მშენებრად არიან დახატული უბრალო ადამიანები. ასევე მიმოიხივდება გამოცდილი ოსტატის—ივანე ფროლოვის სახე. ხალხთა მეგობრობის იდეა პოემას წითელი ზოლივით გასდევს. ეს ნაწარმოებე ქართველი და რუსი ხალხების მარადიული მეგობრობის წმიდათა-წმიდა საგალობელია.

აქვე უნდა მოვიხსენოთ სიცოცხლის მარადიულობის თემაზე დაწერილ ლირიკული პოემა „თეთრი ლექსი“, რომელშიც პოეტი უმღერის კაცობრიობის მარადიულ ვაზაღრულს. აქ ერთმანეთს ენაცვლება როზნატული და ლირიკული ტონები; მასში შეუდარებელი გარეგნობის მქონე ქართველი ქალი — პირიშვია გამოვყავილი. ეს მოქმედ პირა, როგორც აღინიშნა ლიტერატურულ კრიტიკაში, მთელი ერის სულიერი სილამაზის სიმბოლოდ ჩანს ნაწარმოებში.

ხ. ბერულავამ თავისი მოკრძალებული სიტყვა თქვა მხატვრული თარგმანის სფეროშიც.

მხატვრული თარგმანის როლი ხალხთა კულტურული ურთიერთობისათვის საყოველთაოდ ცნობილია. ისიც კარგად ვიცით, თუ რა როლი აქისრა მას ეროვნული ლიტერატურის გამდიდრებისა და დედანის სიწმინდის დაცვის საქმეში. პოეტმა შესანიშნავად თარგმნა მიაიკოსის „სიმღერა საბჭოთა პასპორტზე“, ნ. ნეკრასოვის „ღდი ვრძობა“, ვ. პიუგოს „მე კიდევ გეტყვი, ორ სიტყვას მხოლოდ“, ა. ფეტის „ალსარება“, „გულახდილობა“ და სხვა, ა. სურკოვის, კ. სიმონოვის, ა. მევიროვის, მ. ბაჟანის, მ. რილსკის, ს. ოლიერიკის, ა. ისაკიანის, გ. ემინის, მირზო ტურსუნ-ზადე, რ. ასაევისა და სხვ. ლექსები, რომლებიც ისე იკითხება, როგორც ორიგინალური, ქართული...

ხ. ბერულავა პასიურად, როდი ჰერეტს ბუ-

რავილ შამალაშვილი  
კომპოზირი სიტყვის მაღლი

ნების სილამაზეს. პოეტმა მშვენიერად გვიხატავს ადამიანთან უშუალო კონტაქტში მყოფ საქართველოს თვალწარმოკლე ზეიზაფებს. უშუალოდ განგვატყვევებებს ბუნების მშვენიერებას, ერთი კლამის მოსმით ჩატავს სიმშვენიერსა და ყვავილების ზღაპრს ჩაქართულ დედამიწას. ეს ნათლად სჩანს სტრიქონებში:

ხეებს გაჭონდით ქანჯარი,  
ცა გადანახლოს ჩამქვრია,  
ოღონდ გახსოვდეს, რომ ქვეყანაჲ  
მზე არასოდეს ჩაქრება.

ანდა ავიღოთ პატარა ლექსიდან „ია“:

გაფითრებულა ია ლურჯთვალა,  
ანდა საბარლო რამ გაახაროს,  
თურმე ნიავმა შემოთუთვალა:  
არ მიჰვარხარო!

ბუნების წარმატატი სურათებია წარმოსახული ლექსებში: „რუისის წყარო“, „მთაწმინდა“, „წიწიამურის გზაზე“, „ზღადასთან“ და სხვ.

ბ. ბერულავა დროულად ეხმარება ჩვენი ქვეყნის ყოველ ღირსშესანიშნავ მოვლენას— იქნებ ეს სკვპ ურილობები თუ გაგარინის მიერ უკიდრგანო კოსმოსის დაპყრობა, ხალხთა შორის მეგობრობის გამოხატვის კონკრეტული ფაქტები თუ ფაქსტურ ვერმინაზზე გამარჯვების დაუვიწყარი დღე, შვიდი ნომებერი თუ პირველი მისი. მაგ., ვაზაფხულის, სიხარულის, მსოფლიო მუსიკის კლასის სოლიდარობის დღეს—პირველ მისს, რომელიც ჩვენში დიდი ხანია სახალხო დღესასწაულად იქცა, პოეტმა სულ ახლახან უძღვნა ღირსეული ინტონაციითა და გრძნობებით საქმიოდ დამუხტული ლექსი „სამაისო ვაშა“.

რესპუბლიკის წინსვლას,  
რესპუბლიკის დროშას,  
რომ შრიალტებს ქარში  
და მზესხავით მოჩანს;  
პატიოსან ფიქრთა  
გაფურჩქვნას და გაშლას, —  
ამ ლექსივით ვუძღვნე  
სამაისო ვაშას!

აქედანაც ჩანს, რომ ბ. ბერულავა „ამ ცხოვრების შემატანა“.

ბ. ბერულავა სტიკაქმუნია. ეს ნათლად ჩანს არა მარტო მის მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ ცხოვრებაშიც; მაგ., პოეტი საკუთარ ბიოგრაფიას ასე მოკლედ და ლაკონურად გადმოგვცემს:

ხუტა მიზეზის ძე ბერულავა დაიბადა 1924 წელს ზუვდილში. ვალის შიორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა სოხუმსა და მოსკოვში.

პოეტმა პირველი ლექსი დაიბეჭდა 1940 წელს „ახალგაზრდა კომუნისტში“, ხოლო პირველი წიგნი გამოსცა საბლიტგამში 1944 წელს.

ეს არის მოკლე, თითქმის ანექდოტური ბიოგრაფია, მაგრამ სამაგიეროდ ბიოგრაფიის დაწესებულ ადგილს აესებს პოეტის ლექსები. ბევრი მისი ლექსი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. დაკვირვებული მკითხველი უდავოდ ამოიკითხავს მწერლის ბიოგრაფიის ცალკეულ შტრიხებს ლექსებში: „იქ გასქრეს ჩემი საყვინე“, „ჩემი ბავშვობა ხომ იცო“, „პაპანგი“, „მასსოვს, წისქვილში გამიმეცს“, „დავხუტვალდი“, „... და ხობის პირას“, „დედა“...

ლექსში „ქოლბური მელოდიები“ კითხვობით: „ეს მწვანე მიწა, სოფელი ერთციხი“. ამას ახლავს პოეტის მინაწერი: „იორციხე კოლხურად სეტყვასა ნიშნავს“, „ჯუშთან დაიწყო და გათავდა ჩხოუშისთან ბავშვობის ჩემის ერთი ნაწილი“; პოეტს სურს, ეს მიკროკოლონიზები დედამიწაზე ყველამ იცოდეს; ერთ ადგილას ბ. ბერულავა მიუთითებს: „შვეიცხტრო ოჩხომურის პეშვი და ვიხილო ლებტრულეს მთები“. თუ პოეტის ბიოგრაფიას კარგად დავაკვირდებით, ერთ რამეს უდავოდ შევამჩნევთ: ბ. ბერულავა არ ეკუთვნის იმ პოეტთა წყებას, რომელთა ცხოვრების გზა იოთა და ვარდებით იყო მოფენილი; ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ იგი ობლობაში გაიზარდა.

ლექსში „წერილი ზუვდილში“ პოეტი ამბობს:

ბედი ობლისა ასეთი არი:  
მართლაც რამდენი მზრდიდა სოფელის  
უნდა გაიღოს ას ერთი კარი,  
რომ ყველას ვუთხარა სამადლობელი.

ბ. ბერულავა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა. ბევრჯერ ყოფილა მწერალთა სკაქეშირო ყრილობების დელეგატი. აკადემიკოსი ალ. ბარამიძე ერთ ბარათში პოეტს წერდა: „მე მახარებს თქვენი საქმიანობა, თქვენი წარმატებანი, მე და ჩემი შვილიშვილები თანაბარი ხალისით ვეგებებით თქვენს გამოცემებს; ზოგი საჩემოა. ზოგსაც ისინი იტაცებენ. სულეერ საზრდოს ყველას უხვად უნაწილებთ.“

თქვენ ვაცოცხლებთ „ნობათის“, „ჯეჯილის“, „ნაქადულის“ საუკეთესო ტრადიციები.

ნამდვილად დიდ საშვილიშვილო საქმეს ეწევი: — „ჩვენი საუნჯე“, „გამოჩენილი ადამიანთა ცხოვრება“, „ჩვენი სახლოვანი თანამედროვენი“, „საბავშვო ენციკლოპედია“ და მისთანანი ამშვენიებენ ჩვენი ბიბლიოთეკის თაროებს.

იცოდეთ, მთელი ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობა და სიმპათია თქვენს მხარეზეა. თქვენი ალექსანდრე ბარამიძე.“

ბ. ბერულავას ფურნალ „ოგონიოკის“ პრემია მიეკუთვნა 1973 წლის მანძილზე დაბეჭდილი საუკეთესო ნაწარმოებებისათვის — ლექსების ციკლისათვის „თბილისური მოტივები“.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო ფაქტი: ბ. ბერულავას მრავალი ლექსი შეტანილია როგორც დაწესებით, ისე რეპლიანი სკო-



ლებს ქართული ენისა და ლიტერატურის სა-  
ხელმძღვანელოეში.

პოეტის ლექსთა მომხიბვლელობის ერთ-  
ერთი მიზეზი მისივე ბიოგრაფიაა. ხ. ბერულავა  
აღზარდა და დაავადდა ჩვენმა ეპოქამ, კო-  
მუნისტების მშენებლობის ხანამ, ჩვენი ხალხის  
ბედნიერმა აწმყომ და კიდევ უფრო უკეთესმა  
მომავალმა განსაზღვრეს მისი პოეზიის ოპტი-  
მისტური რიტმი, რომელიც ასე ახლობელია  
გვირი სამუთია ადამიანების განცდებისათვის.

ხ. ბერულავას პოეზია წარმოშვა ჩვენმა დი-  
ადმა ეპოქამ და იგი (ეს პოეზია) თავის მხრივ  
ეწევა კომუნისტური იდეების მხატვრულ პრო-  
პაგანდას. ამაში მე ვხედავ პოეზიის გამძლეობის  
გასაღებსაც.

ხ. ბერულავას ხატოვანი ენა შემოსალტულია  
ფაქობად ნაჩუქრობივეი ლექსიკური ერთეუ-  
ლებით. მისი პოეტური ენის სათავე ქართული  
ციცხალი მეტყველებაა. აქ მარგალიტებივით  
თინათინობენ ზედმიწევნით რეალისტური ქარ-  
თული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, იდიომები და  
ფრაზეოლოგია, აი, ერთი მათგანი:

„როგორც იტყვიან, მზე პირს იბანდა...  
კაცი იყავ და გეზურა ქუდი.“

პოეტს წმინდა ხალხურ კილოზე ავებული  
ლექსებიც აქვს: „მე ტაძარში რად შევიდე“,  
„შავი გოგო შავგერმანი“, „ამეტელი პატარ-  
ძალი“ და სხვ., აი, დაუგდეთ ყური სტრქეო-  
ნებს, როგორ წყაროსავით რაკრავებს:

ამეტელი გოგო იყავ,  
ახ ნეტავი მეთ:  
ეს რა დილა გამითენდა,  
რა ნეტარი დღეო!

ამ ციკლის ლექსებში განსაკუთრებით თვალ-  
ში საცემია ალიტერაციული მოვლენები —  
ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვანი ბგერე-  
ბის განმეორება ლექსში ამა თუ იმ მხატვრუ-  
ლი მიზნის მისაღწევად:

შე შაშვივით შავო გოგოვ  
და მშიშარავ შევლივით,  
შინ მშვიდობით ვინ ვაუშვებს  
შენისთანა მშენიერს!

ხ. ბერულავა თუ როგორ სერიოზულად ეპ-  
ყრობა სიტყვის შერჩევის საქმეს, ეს მშვენიე-  
რად ჩანს შემდეგი სტრქეონებიდან:

მშვიდობითი არა, ნახვამდის...  
იქნებ, კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს...

აქედან ჩანს, პოეტი როგორ წონის, სინ-  
ჯავს, არჩევს, ელოლიავება ქართულ სიტყვას.  
რომელსაც სიბოძო და სინაზე არ აკლია, ით-  
ვალისწინებს მის შინაარსობლივ დატვირთუ-  
ლობას, ემოციურ ნიუანსებს.

ხ. ბერულავა პოეტთა იმ რიცხვს ეკუთვნის  
რომლებიც ყოველწარად ცდილობენ დედანეს  
ლექსიკის გამდიდრებას. თავის ლექსებში  
პოემებში კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწე-  
რებში იგი ხშირად იყენებს სიტყვაწარმოების  
სხვადასხვა საშუალებებს, აწარმოებს ახალ  
ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც სავსებით  
ბუნებრივი ჩანს ქართული ენისათვის.

ხ. ბერულავა ხშირად მიმართავს ლექსი-  
კურ ნეოლოგიზმებს. პოეტი ქართული ენის  
მოქმედ აფიქსთა გამოყენებით ნაწი არსებუ-  
ლი სიტყვებიდან აწარმოებს ახალი შინაარსის  
სიტყვებს, რომლებსაც მეტი ექსპრესიულობა  
გააჩნიათ; მაგალითად, „შენს თბილ კალთაში  
მზემ და იე ანა“, „როგორც ლნქერი ნა ლ ე-  
ტე ხარი, ტლდა ფერების იე ტრიაღებს“,  
„გშორდები თ ვაღებ ნამა ის არი“, „მიკ-  
ვირს: ამ მზეში მზეთუნახავეებს არ ევინიათ  
გა შავ გრემან ებისი, „გული ჩემი ნა-  
ის რალი“, „მამულიშვილი, მოიწარენით“  
(ი. ა. ჯარად იქეცი, შეიკრიბეთო); „შევშუს-  
რე, მო ვით არე შე“, „მომეხანაზა ჩეუ-  
ლად“ და სხვა. ხატოვანი და ძარღვიანი,  
ქართული სიტყვა ხ. ბერულავას პოეზიაში  
კიდევ უფრო მეტა გამომატელობის რალს  
იძენს.

ხ. ბერულავას პოეზიაში გვხვდება ლექსიკუ-  
რი არქაიზმები, ფონეტიკურ-მორფოლოგიური  
არქაიზმები, ანუ არქაიზმები ფორმის მიხედ-  
ვით, და სემანტიკური არქაიზმები; პოეტი არ-  
ქაიზმებითაც გვაგრძობინებს ქართული სიტყ-  
ვის სურნელებას, მის ემოციურ ძალასა და  
ზეგავლენას.

ხ. ბერულავას პოეზიაში კანტიკუნტად შეიმ-  
ჩნევა მან დაბოლოებიათი მოთხრობითი ბრუნ-  
ვის ხმარების შემთხვევები: „მშობელმან საწყა-  
ლობელმან თავი დახარა მამიდ“, „სპარსთა  
ძლიერმან მფლობელმან“, „ჯაფრისგან გულამდ-  
ვრეულმან“, „მე რა ინლომა მუსთალმან, ეგ  
რა ინლომა წყეულმან“, „მზერა მიაპყრო მეფე-  
მან“, „ნახოს ცამან და მიწამან“, „კეთილად  
თქმულმა სიტყვამან“ „ამბობენ: ცამან ქართულ-  
მა იმ დღეს ტრემილი ჰვარაო“ და სხვ.

უფრო ხშირია ლექსიკური არქაიზმები, რო-  
მელთა ხმარება მხატვრული მიზნებით არის შე-  
პირობებული. ხ. ბერულავა ხშირად აშორებს  
დავიწყების მტვერს ძველ სიტყვებს და უღებს  
მათ პოეზიის კარებს.

საინტერესო ფაქტია ის, რომ ხ. ბერულავა  
ლექსში „1870 წ. 22 აპრილი“, იყენებს ძველი  
ქართულის ერთ მეტად დამახასიათებელ ფორ-  
მას — ტმესს; „რომანოვების უმეური ტახტის  
დაცალწევა და პირქვე დამხობა“ დაცალწევა  
მეტია, ვინემ დაღწევა. ამ სიტყვამ მეტი ემო-

რავილ შამიალავილი  
კომპოზირი სიტყვის მადლი



ციური ზეგავლენა მოიპოვა სწორედ ცა ნაწი-  
ლაკის შიგნით ჩართვით. ამიტომ მისი მხატვ-  
რული ზემოქმედების ძალა დიდია და შთამბეჭ-  
დავი.

დასასრულს, სავანებოდ უნდა გეჩქარდე ერთი  
ლექსის სათაურზე. ეს არის „როგორც სამხარი“.  
ტერმინი სამხარი ანუ ბლუარი ძველ ქართულ-  
ში გვხვდება ქვეყნის მხარეთა აღსანიშნავად.  
აქედან ძველია ბლუარი, უფრო ახალია სამხარი;  
ახლა ქართულში სამხართან ერთად სამხრო-  
ბა-ც იხმარება. სამხრობა ნიშნავს მესამეჯერ  
ქმამს, მზე რომ სამხრეთისაკენაა, დაახლ. 4-5  
საათზე. სამხარი, საბას გაგებით, შუადღის საქ-  
მელს ჰქვია, სამხარ ფუძემი მა-ხუა (დღე-მზე)  
არის ამოსავალი და სამზევს ნიშნავს (არნ.  
ჩიქობავა). სამხარა ძროხის სახელადაა გამოყე-  
ნებული ხევსურულში, გვაქვს გვარი სამხარა-  
ძე, სამხარი თანამედროვე ქართულშიც გვხვდებ-  
და და ნიშნავს „პურის ქმამს სადილსა და ვაზ-  
შამს შორის“. ამ გაგებით ეს სიტყვა დასტურ-  
დება ა. წერეთელთან, ნ. ლორთქიფანიძესთან,  
მიხ. მრეველიშვილთან, შ. არაგვისპირელთან,  
აგრეთვე ხალხურ პოეზიაშიც (მოვიგონოთ  
ხალხური: „გოგოს ნაკეთი სამხარი, ბიჰის  
მომიკად ყანაო“), სწორედ ეს არც თუ ისე  
ხშირად ხმარებული, ცნებალი, კეთილზოვანი  
და მეტად საინტერესო ისტორიის მქონე  
სიტყვა სამხარი საოცრად ზრდის ლექსის  
ემოციურ ძალას. იგი გამოიყენა ხ. ბერულა-  
ვამ ლექსის სათაურად, მაგრამ დისონანსად რო-  
ლს გაისმის, ლექსის სამკაულადაც კი აღიქმება.  
პოეტმა გვიჩვენა ქართველი ხალხის ღრმა  
ეროვნული ხასიათი, წესი, ადათი, ამით კი შე-  
ნანიშნავი ანალოგია ვაგვლო შემოქმედნი ალა-  
მინის ცხოვრებასთან — ცოლს პოეტთან  
„მაქვს ღიმილი, როგორც საცხალი“. ლექსში  
„როგორც სამხარი“ სრულად არ ივრძობა  
პათეტიკური, ოდნავ აწეული ტონიც კი.

ხ. ბერულავა ძალიან იშვიათად იყენებს დია-  
ლექტიზმებს. ამის ხმარების ორიოდ შემთხვე-  
ვა დასტურდება მის პოეზიაში: მაგ., „არც ძა-  
ლიან დაგვაღული, არც ძალიან მალაღია“, —  
ვეითხულობთ ლექსში „ჩემი პირობე“. დავე-  
ლული ლეჩხუმურში (გადატანით) დაბალ კაც-  
თაც ჰქვია; „ღროი სადა მაქვს, თორემ ნატანებს  
თავს დავესმოდო, როგორც ფირალი“, „ღრო“  
სახელობითში ბრუნვის ნიშნის გარეშე გვექ-  
ნება, ბრუნვის ნიშნით მისი გაფორმება დია-  
ლექტიზმია, ფირალი — არაბულად გაქცეულს  
ნიშნავს, გურულ დიალექტში ყაჩაღის მნიშვნე-  
ლობით იხმარება. დიალექტიზმები მწერლობის  
ამოუწყვედი საღაროა. ცნობილია, რომ ამა თუ  
იმ კუთხიდან გამოსული მწერლები ცდილო-  
ბენ თვითონ სალაპარაკო კილოცაყის შესაფე-  
რის სიტყვებს ტრიბუნა დაუთმონ პოეზიაში  
იქნება ეს თუ სხვა სახის ნაწარმოებში. ხ. ბე-  
რულავა მეგრულიზმებსა და კოლხიზმებს,

როგორც აღინიშნა, იშვიათად მიმართავს  
ლექსში „ეს შენი სახელი კოლხურად“  
გვაძლევს ერთი კოლხური ტოპონიმის  
ლოგოასაც, წარმომავლობასაც:

ჩხოროწყუ ცხრა წუაროს ნიწავს,  
მეტყობდნენ დედა და ჩონგური.  
აკვანში მასწავლებს, ძვირფასო,  
ეს შენი სახელი კოლხური.

მწერლის ენაში ანტონიმების კვლევას ახ-  
ლავს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული ინ-  
ტერესები, რამდენადაც მათ უპირავეთ გარკვე-  
ული ადგილი ენის სიტყვაწარმოებასა და ფრა-  
ზეოლოგიაში, გამოყენებთან ისეთ გარკვეულ-  
ბულ და მნიშვნელოვან სტილისტიკურ გამო-  
სახველობის საშუალებათა საფუძვლად, რო-  
გორც არის ანტითეზა, რომლის საშუალებითაც  
გადმოიციემა კონტრასტი.

ანტონიმებს მშვენივრად იყენებს ხ. ბერულა-  
ვა სწორედ სტილისტიკური მიზნებისათვის.  
მაგ., „სიხარულისათვის დაიბადა ადამიანი,  
მწუხარებისათვის, გვედრები, არ ვაიმეტო“,  
„ღილა არის თუ დამის მწუხრია“, „ჩე-  
მი სიცილი, ჩემი ტირილი — იცოდეს  
ყველა შენი ბრაღია“, „მქვია მდიდარი,  
მქვია ღარიბი, მოზუბი შენ ხარ, შენი ბრაღია“,  
„ჯღმთან დაიწყო და გათავდა ჩხოლშაისთან  
ბავშვობის ჩემის ერთი ნაწილი“, „რომ ვამა-  
ხარე, რომ დამალონ, ჩემი კოლხეთი არ გემ-  
რალემაო“, „რა ტყბილი არი, რა მწარე არი,  
პირველი სიტყვა პირველი ფიცის“ და სხვ.

ხ. ბერულავას პოეზიაში საქმორად სტრიქო-  
ნები, რომლებიც აფორისტული თქმის სიმალ-  
ლემდეა აყვანილი.

მაგამ ეს პაეროვანი და მიმზიდველი პოე-  
ტური სტრიქონები ბევრს თვალივით სხედან  
ლექსის აზრობრივ-ემოციურ კომპლექსში  
და ხელს უწყობენ ლირიკული გვირის ჩანათი-  
ქრის ლოგიკურ განვითარებასაც.

ხ. ბერულავა ლექსებს ენობრივად უზალოდ  
მართავს, ქსოვს საკუთარი ლამაზი თქმებით,  
მკვეთრი და შთამბეჭდავი ფრაზებით. მაგ.,

„საქართველო და ჰაიასტანი  
ერთმანეთს ძმობას ებუზუნება“.

„შენ დაიბადე ისეთ ვარსკვლავზე,  
სულ იკაშკაშებ ამ ქვეყანაზე.“

„სიხარულისთვის დაიბადა ადამიანი,  
მწუხარებისთვის, გვედრები, არ ვაიმეტო!“

„მეტყბილა, როგორც მთვარიან ღამით  
სატრფოს პირველი კოცნა ფარული“.

„მივდივარ, ვდელავ და რაც გშორდები,  
იმდენად უფრო გაიხლოვდები!“



„ცხრაჯერ შევთხოვე ცოლობა და ათჯერ მითხრა უარი“

„მაზე შეტი სიმკაცრე ამ ქვეყანაზე თუ არი?“

„და მე შეტიცდელ, ცოტენსავით მჭერას: სამშობლოა სიცოცხლეზე ტკბილი“.

„სიცოცხლის დიდი სინათლე როგორ დაბინდოს მწუსრება“

„ქართულ სუფრას რა სჯობია ქვეყნად“.

„სამშობლო კაცა ერთი აქვს, როგორც ერთი აქვს მას გული, თუ დაეკარგა, ერთივნოს მკერდში ჩაიცვს ფრანგული“

„ყველაზე მეტად ქალი განიცდის წლების ბროლას და ფოთოლთა ცვენას“.

„აგინდეს ყველა სურვილი ძნელი, კეთილი გულით რაც კი ინატრო“

ბ. ბერულავამ დიდი ხანია გამოიმუშავა საკუთარი პოეტური ხმა, საკუთარი ინტონაცია. მის პოეზიაში ვერ იპოვით მშრალ რიტორიკას, უშინაარსო და უაზრო რითმებს, ბერულავასეულ სტრიქონებს თან ახლავს ბუნებრივი სიტბო, შინაგანი სიწირფელე და კოლორიტულია. პოეტს უყვარს ყველაფერი, რაც მზარდი სიცოცხლის ელფერს ატარებს. მისი პოეზია მრავალფეროვანი თემატიკისაა. განწყობილებითაც მრავალწანაგოვანია. პოეტი როდი იმეორებს განწყობილებებს, თემებსა და მხატვრულ აქსესუარს. ერთ თემატიკურ რკალში მოქცეულ ყველა ლექსს დამოუკიდებელი სუნთქვა და მაჯისცემა გააჩნია. ამის საილუსტრაციოდ პოემა „კოლხური ლეგენდა“ გამოდგება. აქ ნაწარმოებების სიტყვიერი ინვენტარი, სახეები და განწყობილებანი ცისარტყელას ფერებით განსხვავდება და ქმნიან ერთიან რომანტიკულ სურათს. ცნობილი რუსი საბჭოთა პოეტი მ. ისაკოვსკი თავის ლექსში „მთვარის შესახებ“ დასაინის იმ პოეტებს, რომლებიც ძეგლებურად უმღერიან მთვარეს, იმ მთვარეს, რომელიც მკვდარი პლანეტაა, რომელსაც საკუთარი სინათლე არა აქვს და მზისაგან სესხულობსო. ეს შესანიშნავად ესმის ბ. ბერულავას და ამიტომაც არის, რომ მის ლექსებში ვერ იპოვით არაბუნებრივსა და ტრაჟიკულადქცეულ ეგზოტიკას, არასრულფასოვან რითმებსა და მრავალსიტყვაობით დამძიმებულ ფრაზებს. მაინც რა არის ბ. ბერულავას პოეზიის წარ-

მატების მიზეზი? ასეთია სამი ელემენტი — ნათელი აზროვნება, სიხლის გრძობა და მხატვრული ოსტატობა. ყოველივე ამას პოეტმა ათბობს ცოცხალი შემოქმედებათი სუნთქვით, ცოცხალი და პლასტიკური წარმოსახვით, განცდათა სინატიფით. პოეტი მდიდარ მხატვრულ ფორმას ეპოქის მოწინავე იდეების ნათელ და მეტყველ გადმოცემას უმორჩილებს.

ბ. ბერულავამ იცის წერტილის დასმის დრო. მასთან როდი გვხვდება ხელოვნური, გაჯიანურებული აღწერები, რიტორიკული შეგონებები, არაფრისმოქმედი ფრაზები თუ სიტყვა-გამოთქმები. ლექსებში „ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში“, „იური გავარინი“, „25 თებერვალი“, „ძმობის დღეები“, „სამშობლო“ და სხვ. ისინი ეპოქის პოლიტიკური სუნთქვა. პოეტს ისინი აპყავს მაღალმოქალაქეობრივი განწყობილების მოტივებამდე.

ჩემზე ადრე შენიშნეს სპეციალისტებმა, რომ ბ. ბერულავას ლექსი კლასიკურ ხორმებს იცავს. პოეტური სახეები ზუსტი და ნათელი აქვს, რითმა — აზრობრივი, გამოსახვის ხერხები — ნაირნაირი, ფრაზა — მაქსიმალურად მოკვეთილი, ლაოწონური სათქმელი — შეკუმშული, ნაციონალური კოლორიტი ნაირფეროვანი. ბ. ბერულავას პოეტური სიტყვის მაღლი ხიზლავს ყველა ასაკის მკითხველს — დიდებსაც და პატარებსაც, ახალგაზრდებსაც და ხანდაზმულებსაც.

მარინა ცვეტაევა წერდა: „პატივი ეცით, საკუთარივით გიყვარდეთ ყოველივე ჩემი, თუ გინდათ იყოთ ჩემი მსაჯული“. მართლაც, ჩვენ, მთელ ქართველ ხალხთან ერთად გვიყვარს ბ. ბერულავას პოეტური სიტყვა.

ბ. ბერულავას თავისი სათქმელი ჯერ კიდევ არ უთქვამს, სიმღერა არ დაუმთავრებია, პოეტი თავის სახელოვან გზას დიდებულად აგრძელებს.

იგი ცხოვრების ორმოცდაათი წლისთავს შემოქმედებითი სიმწიფითა და ხელგავიანად ხედება. მის ახალ ნაწარმოებებს სრულიადე არ ატყვია ხანდაზმულობის ნიშნები, ელერადობა და ხმოვანება, მის ლექსს ჯერ ჭაღარა არ შეპარვია და სტრიქონები ისევ ჰაბუკუური მგზნებარებით მოქმედებენ. ერგოსისი წლის პოეტს მსურს მიველოცო დაბრძენების ასაკი და ვესურვო, მომავალი ნახევარი საუკუნეც ასე სახელოვანად გაეთელოს, როგორც ეს პირველი ნახევარი.



საქაი გელოვანი

„ლუკა“ — მარტოხედა ბიჭის ტრაგედია

არჩილ სულაყურის ბოლო დროის შემოქმედებაში უდავოდ გამორჩეული ადგილი უჭირავს ვრცელ მოთხრობას „ლუკა“. ჭერის „ციხაჯამი“ დაისტამბა, მერე ცალკე წიგნად გამოვიდა.

პატარა ბიჭის ამბავში მწერალი დიდ საკაცობრიო ტყვივლებსა და მარადიულ თავსატეხებს ეხება, მაგრამ არ ისახავს მიზნად მათს ახსნას. საჭირო გახდება იმ სიმბოლური დეტალებისა და ქვეტექსტის ანალიზი, რომელთა გამოც ეს მოთხრობა იმთავითვე დავის საგანი გახდა.

რაღაც ელდისმოგვრელი განცდა გვეუფლებათ, „ლუკას“ რომ კითხულობთ. სტრიქონებს შორის დაიარება ომისა და ელდის აჩრდილი, სიმბოლურად გააზრებული ბოროტება, რაც არღვევს ცხოვრების ჰარმონიას. ესაა არა მისტიკა, არამედ ადრე დაობლებული კეთილი ბიჭის და სხვა გრძნობიერ ადამიანთა ქნელბედობა, ტრაგიკული იდუმალბება, სიყვითისა და ბოროტების ჭიდილი შეუცნობელი.

სევდა თანამგზავრია ადამიანისო, თქვა ლუნაჩარსკიმ. ომი, საფრთხე, მარტოობა, ობოლობა სულისა უცხოა მხოლოდ მისთვის, ვინც ზეპირ დეკლარაციებზეა აღზრდილი, არ იცნობს ცხოვრების რთულ ლაბირინთებს. სადაც კი არსებობს შუქი, არის ჩრდილიც. „ლუკა“ არის მოთხრობა ჩრდილზე.

უჩვეულო და მხატვრულად უდავოდ სინტერესოა პირველი მთავარი ეპიზოდი, რაც მოთხრობას ორასი გვერდის მანძილზე ზოლად ვასდევს: ლუკას შეხვედრა შიშველ ქალიშვილთან, რომელიც გისოსებოანი ფანჯრის ჩარჩოში ბოტიჩელას სევდიანი ანგელოზივით ჩანს. მთვარისა, უბედური შემული ქალიშვილი, რომელსაც თავისი ბინის ნომერა დავიწყებია, რომელიც საკუთარ მშობლებს დავიწყებიათ, სიკვლეში შეხეტიალებულ უცნობ ბიჭს ეხებენ-

ბა, ჩემს დედ-მამას გადაეცი, ხვალე წამიყვანონ, აქ რა უნდაო მთვარისას!

ესაა პირველი ხილვა. ყმაწვილის თვალწინ ახალი, უცხო და მიმზიდველი სამყარო იშლება, სარწმუნო, ტრაგიკული, ამაღელვებელი. მოთხრობის მეოცე გვერდზე მწერალი უკვე იმარჯვებს. სიტყვა იქცევა სურათად. ეს კარგია, რადგან ბევრი რომანი ვიცით, ერთ ორიგინალურ ეპიზოდსაც რომ ვერ ვიპოვით, ანიდან ჰაემდეც რომ გადავიციხოთ.

შეშლილ მთვარისას სტიკია. მთელი სხეული სტიკია. მხოლოდ ღამით. ყოველი ნაწილი ცალკე და თავისებურად სტიკია. თითხმეტ ნაწილად დაეშლება და ყველა თავისებურად სტიკია. ეს თურმე მთვარის ბრალია, რადგან მთვარეც თითხმეტ ნაწილად გაყოფილა. ვიქის აზრთა ქაოტურ მსგელობაში ეს ფსიქოლოგიურა დეტალი დამახასიათებელი და ორიგინალურია. მკითხველისათვის კი ეს უჩვეულო და ზარდამცემია.

ცხადია, აქ სიმბოლურ დეტალებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს მხოლოდ ხერხია დრამატული სინამდვილის უფრო რელიეფურად წარმოჩენისათვის. მერე თვით ეს მისტიკაა ერთგვარი პოეზიის შარავანდედში გახვეული. ომი შობს ურჩხულბებსა და საზარელ დამეულ მოჩვენებებს. გოიას „კაპრიზოსისა“ და „ომის უბედურებათა“ ზარდამცემი ციკლების შემდეგ ეს არაგის არ უნდა გაუვიკიდეს პოეზიასა თუ ხელოვნებაში. როგორც საგანთა შედარება-შეპირისპირებებით იწყება ნამდვილი სწავლა, აქაც მოვლენათა იდუმალი ახსნით, შუქისა და ჩრდილის შეპირისპირებით უფრო თვალსაჩინო ხდება სინამდვილე.

„ლუკა“ ცხოვრების ერთი მონაკვეთია, თბილისის ერთი უბნის—ჩუღურეთის ცხოვრებისა ომის წლებში.





ამ ნაღვლიან ეპიზოდს წინ უძღვის პატარა შესავალი, რაც შეიძლება იუმორისტული ნაწარმოების დეტალად მივიღოთ, მაგრამ ეს კი არ ენებს ტრავედიის სტილს, არამედ აძლიერებს თუნდაც იმავე კონტრასტულობით. ასეთი ხერხი აღიარებულია თვით დიდ კლასიკაში (სერვანტესი, შექსპირის ტრავედიები, თუნდაც დაივიწყო კლდისმშობელი). ის აძლიერებს შთაბეჭდილებას და ამასთან ეხმარება ადამიანებს დარდის დაძლევაში. ყველაზე ძლიერი არიან ის ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ თვით სიკვდილს ხუმრობით შეეცვალონ.

ყმაწვილს არც კი ანდობდნენ შინაბერა დედების ცნობა, ომი დაიწყო. ომს ისე უუფრებს, როგორც ეკრანებზე უხილავს წითლებსა და თეთრების ბრძოლა. ბუბრებმა რა იციან ომის გემო!

ლუკას მამა კავალერიის ოფიცერია. დედა ომის წინა დღეებში გამგზავრებული უკრაინაში ქმრის სანახავად და აღარ დაბრუნებულა. ლუკამ ეს ამბავიც მთელი სიმწეავით მხოლოდ მამის განცადა, როცა კლასში მამამ უთხარა მასწავლებელს. ეს ქალიც უკვალად დაიკარგა.

სიკვდილი ცელავს ადამიანებს. ზედღირედ მოდის ცნობა დაღუპულებზე. ჩუღურთელთა ვეჟაკებიც ზედღირედ იღუპებიან. მოდის ლუკას მამის ცუდი ამბავიც. ახლა ბივი ოხოლია და თანაკლასელ მიკოს გარდა აღარავინა ჰყავს, ვთლი ვდაღუშალოს. მეთვეზე ლადო და დეგრდომილი ანდუყაფარი, ბორბლებიანი სავარძლით რომ დაგორავს ოთახებში, ან მოხუცი შინაბერა დეადები რა მფარველობას გაუწევენ! მალე დეიდა ნატოს დამლა ეკემა, ანდუყაფარს ბედზე მოკლენილი უკრაინელი ლტოლვილი ქალი ზოგანა უცლის. მალე დაგვიანებულ ქორწილსაც იხიან. სუფრას ხუთი კაცი უზის. კომიკურია ხეიბრის ყველური თავდაქმერა ვადნოვეცილი მოლოზნის გვერდით, რომელსაც თავის ბედნიერებას ექაზის. კომიკური და თანაც ადამიანური. საშინელია ამ „ქორწილში“ იხას საქციელი. ეს მშვენიერი ქალიშვილი თვრება, ცეკვას ითხოვს, სცხელა, კაბას იწვევს და გაჰკივს: „მე არ მინდა ომი! მე ცხოვრება მინდა!“

ლუკას სახლში მოულოდნელად ცხადდება ვინმე პოლიკარბე, ნათესავად შენიღბული ვაიფერა, ჯერ დეიდა ნტისას გასვენებაში მონაწილეობს, მერე უცერკონიოდ სახლშია ერთ-ერთ ოთახში და ეხმარება მასათუ ვერაგ მუხომელს დათიკო ბერაშვილს, რომელიც სარგებლობს ოჯახის დასუსტებით და დაეინუბით მოითხოვს ვადაუცვალის ზედა სართულის ერთ ოთახს შუშაბანდიანად ქვედა სართულის ერთ ოთახს ბნელ ოთახში, სართად მიეკუთვნას ისი ათას მანეთს კი პოლიკარბე გაჰქრობს.

ეს პოლიკარბეც ომის ბურუსში ამოტივტივებული ბოროტებაა. ის ლუკას ვაგდებსაც კი აპირებს მამისეული სახლიდან, მაგრამ ანდუ-

ყაფარი ხელს სტაცებს და ისე მოუტყვრს, რომ გაიძვერა „ნათესავი“ სახლიდან ჩივილით გარბის. ლუკამ არ იცოდა, თუ ანდუყაფარი ასე ღონიერი იქნებოდა. აბუჩი კაცი მხოლოდ დროებით მიიშალა. ომი გრძელდება.

ზოგანა საოცრად გულსხმიერი ქალი გამოდგა. მან სილის დაყვრით ძირს დასცა სამჯერ კლასში ჩარჩენილი უსაქმური ირავლი, რომელმაც ლუკას სცემა: რატომ გაამხილე, მთელი კლასის პურს რომ საწანი ვიყოფდიოთ! ლუკა ხედავს მფარველს და გული სიამაყით ეცხება. თან სიტყვებით იწვიის: ჩემი დაცვისათვის ირავლი სუსტ მიკის სცემდა, მე კი ვიდექიო. კაცს შეიძლება ვერ მოერცო, მაგრამ ღირსეულად მიანდ დაიპარცდე!

მოთხრობის დადებითი გმირებისათვის „ჯუსეულია მხოლოდ ნაღდი სიყვარული და მეგობრობა“, მაგრამ ვითილი სუსტნი არიან. ზოგანა ქალია, ლადო — მოხუცი, ანდუყაფარი — დავრდომილი, ლუკა — ბავშვი. ომი ვგრძელდება.

ხანმოკლე ანდუყაფარის ბედნიერება. გაზაფხულზე დაიწყო მისი უსამელო გასტეება, ექიმები მხრებს იჩეჩავენ. ზოგანა ამბობს, თავს მოვიკლავო, ლუკა შეტარუნებულია: რატომ უნდა მოკვდეს ეს სიყვითი საესე ადამიანი, როცა ამდენი ბოროტი დროს ატარებდა!

ცხოვრება რთულია მშვიდობის დროსაც, თორემ ომის დროს ხომ ჯოჯოხეთად იქცევა! მოთხრობაში შეუღამაზებულადაა მოთხრობილი ის ძნელდობა, რაც ხალხს ომის წლებში დაატყდა. დეიდა ნატოს და ლუკას ძველი მეწყრები და შანდლები გაუტრანათ საბურთალოს ბაზარში, იქვე ხედავენ ზაქარია მასწავლებელს, თავის საზაფხულო კოსტუმს ყიდის, თითქოს გაზაფხული აღარ დადგება. ოქროს პენსენ ადრე გაეყიდა. გაქირდა ცხოვრება!

ბრძოლა მწვავედგება. ბრძოლაა ზურგშიც. სიამე ებრძვის სიკეთეს. საქმეში ერევა მისტიკაც: ესაა სიგიჟის სახის აჩრდილი ომისა.

მართლაც. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მოქმედება წარმოებდეს საგიჟეთის გარშემო. ესაა თავისებური ტრიუმფალური თაღი, რომლის გარშემოც ომის ურჩხულისაგან მეტ-ნაკლებად დაზარალებული ხალხი ტრიალებს.

აი, ბევრი ზრუნვის შემდეგ, ლუკა ისევ საგიჟეთის ეზოშია. მეგზოვე იქერს, სკამზე სვამს და აძილებს ბოლომდე მოასმინოს მისი სიმღერები. ჩაათავა „შირაქში ერთმა მეცხვარემ“ და გაუშვა. დარაჯსა სკირდება მსმენელი. ლუკამ თავის მხრივ ჰკითხა: აქ რომ ქალი ცხოვრობდა, მთვარისა, ახლა სად აისო. მეგზოვეს უყვარს: რა მთვარისა, რის მთვარისა! აქ სამარეცხაოა ოცდაათი წელია აქ ვმუშაობ და რას მასწავლიო! ესეც კარგად ვააზრებული ფილო-

**პაპაი ველოზანი**

„ლუკა“ — მარტონილა ბიშის ტრავედი

სოფლური დეტალია. ვინ არ ეძებს მთვარისას  
ვინ ნახა?

ხდება უარესი. ერთ მშვენიერ დღეს ლუკა  
ხედავს: მუზობელ დათიკოს ბინიდან ავეჯი  
ააქვთ ზედა სართულში. ანდუყფარაი ლუკას  
შესწივის: გვასახლებნო, შენი უცნობი ნათე-  
სავი პოლიკარზე გვეჯონის, ვაცვლა გაუფორ-  
მებიათო ბოროტება იმარჯვებს და ლუკას ად-  
არაფერი შეუძლია. „ბოროტება კანონის საწე-  
ლით მოქმედებს“. ნატო ძალით უნდა გამო-  
სახლონ, სნეული და დამბოღადკემული ქალი  
ლოგინიანად გამოჰყავთ. ლუკა შეეპარდება და  
კარს კეტავს. ესაა ყმაწვილის ღონე. შემოსახ-  
ლებული აბუჩი კაცი ართმევს მამის სახლს,  
არ ჩანს კანონი, მილიცია, ხალხი...

ამ დროს მოდის ხელჯობიანი ოფიცერი.  
ესაა სახლის პატრონი, ლუკას მამა გოგი ჯორ-  
ჯაძე. „გამაგებინეთ, რა ხდება, სად მივყავთ ეს  
ქალი?“

ლუკას სიხარულს სახლგარე არა აქვს, მაგ-  
რამ ეს წამიერი სიხარულია. ომი გრძელდება.  
მამის გამოჩენა ებოზოდურია და ბოროტ ძა-  
ლას ზურგში ეწირება ის, ვინც სასტიკ ომს გა-  
დაურჩა.

ნატო ვახარებულა. პოლიკარზე აორთქლ-  
და... ნატო იმავე საღამოს გარდაიცვალა. და-  
თიკო არც გოგის მოერიდა, ჯერ მოკითხა, მე-  
რე ბინა მოსთხოვა, გადაცვლა გაფორმებულიყო,  
ჯიბეში მიდევსო. პოლიკარებს ასი ათასი აულია  
და მიმალულა. დათიკო ამ თანხას მოითხოვს  
ჯორჯამისაგან, რომელიც არავითარ პოლიკარებს  
არ იცნობს.

მამა ისევ შვილს აშვიდებს: შენ უკვე და-  
დი ბიჭი ხარ, ნუ გეშინიაო. ჩვენ ვგრძნობთ,  
რალც საშინელი უნდა მოჰყვეს ამ დარიგებას.  
მართლაც, ბნელ ღამეში გოგის ბნელი ხალხი  
ქურჩაში უხმობს, ამხანაგები ვართო. ბოგდანა  
და ლუკა არ ურჩევენ წასვლას, მაგრამ ოფი-  
ცერი მიდის. ბნელში ჯუჯა რუბენამ ესროლა,  
ნალბანდიანმა, მისებრ ნაძირალა დათიკოს დამ-  
ქვშია. „სროლა სკოდნიაო!“ — გაისმის ღამე-  
ში. რა დაუშავა ზურგში დამალულ ვიროხას  
მებრძოლმა საბჭოთა ოფიცერმა? „ჩვენ ყველას  
რალცა ვეჭირს“, — ამბობს დავრდომილი ან-  
დუყფარაი.

„ადამიანი ბუნებით უნადურია“, — ასეთია  
კეთილი ანდუყფარის უქანსეული სიტყვები,  
უბადრული მოვაჭრის რუბენას ხილვისას ნათქ-  
ვამი. თითქმის ამასვე ამბობს გიგი მთვარისა.  
„ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული!“ —  
მკვში ვარდება გულკეთილი მეთევზე ლადოც...

შეიძლება ვინემ მწერბრის ოპტიმიზმის ნაკ-  
ლებობა უჩივინოს, მაგრამ ეს უბერხემლო  
პროვინციალიზმი იქნებოდა, ტრაფარეტი და  
პრიმიტივიზმი. ცხოვრება რთული შექანბნია,  
კეთილი და ბოროტი ისევ ისე ებრძვის ერთი-  
მეორეს, და მწერლის ვალი საეჭვო ხერხულების  
დაფარვა კი არა, მათი გამაშვებება. სინამდვი-

ლეს პირდაპირ უნდა ჩახედოს თვალუბრში და  
არა ევეკლუტოს სიაცეს, კარიული მარტოობის  
დაფაროს ჩრდილები. თაღლითი დასწრის  
მყოფი ოფიცერი ბინას ებოტინება, მოსყიდუ-  
ლი რუბენა მას ბნელში ტყუილს ესტრის, და  
კეთილი ადამიანები ექვეში ვარდებიან. ეს მკი-  
თხველში აძლიერებს ბოროტების სიძულელილს  
და არა ევეებს.

აი, ერთი დაქტიც. ლუკას სასწავლო ნაწი-  
ლის გამეფ უხეშად უბრძანებს, ვაცდენები გაქვს,  
მამა მოიყვანო, „მამა ჰოსპიტალი წევს“. „მამა  
ღედა!“ — დედა ფოზრტუე დიარჯა. „ვის  
ატყუებ, ჯორჯაძე! წაიდ, მშობლები მოიყვანე!“  
ასეთი სიტლანქვე მართლაც აღაშფოთებს თვით  
ფლემბატიურ მეშხანსაც კი. სიყეთის ბადავში  
შხამი იღერება.

სკოდლიან გამოვლებული ლუკა ჰოსპიტალ-  
ში შეივლის, მათა ყოფილი სკოლის შენობაში,  
სადაც წინა ღამეს ვითომ პატრულმა დაქრალი  
მამამისი მოიყვანა. იქ არავითარი ჯორჯაძე არ  
აღმოჩნდება. ყველაფერი მეკლულების მოწყო-  
ბილია. ბოროტება და რეობები იმარჯვებს. გო-  
გნებული ყმაწვილი ისევ საგეთეში შეუხვევს.  
ისევ იმ ფანჯარასთან დგება, ისევ ის მთვარე-  
სა გამოჩნდება, შიშველი ქალიშვილი, და ეუბ-  
ნება: „რატომ დაიგვიანე, ბიჭო? ვანა შეიძლე-  
ვა ამდენი ხანი ალოღინო ადამიანი? იგი დაქ-  
რეს და მისი სხეული ნაწილები მივთვინე-  
ს მთელს ქვეყანას. მისი სხეულის ყოველი ნაწი-  
ლი — ნაწილი იყო ჩემი სხეულის და იგი იყო  
მმა ჩემი და ქმარი ჩემი. თოთხმეტ ნაწილად  
დაქრეს და მოჰფინეს მთელს ქვეყანაზე“. მთე-  
ლი ეს სცენა სამინგლია და ბინების ცნობილი  
ეპიზოდს მოგვაგონებს. ეს გოგონა კლდლიასა-  
ვით ჩივის და პასუხს ვერ პოულობს.

შინ მისულ ლუკას საზარელი სურათი ეშლე-  
ბა: კიბზე ანდუყფარის მეტოპეი სავარემლი  
მოგრიალავს, საშინელი ნისწრაფით ასკდება  
კედელს და მტკვარში ეშვება. ანდუყფარაი  
მტკვარმა წაიღო. ასეთია ბოლო.

ცუდია მოთხრობის მიმოხილვაში მისი  
შინაარსის დამოწმება, ამ ქვეშარტების ნა-  
წილობრივ დარღვევა მოგვიბდა, რათა მკითხ-  
ველმა ნათლად წარმოიდგინოს, ცხოვრების რა  
ტრაგიკულ ეპიზოდთან გვაქვს საქმე. შეიძლება  
ზოგი რამ სადავოც იყოს, ვავიოცოთ, არ  
ვილოთ რაიმე თვალსაზრისით, მაგრამ არ შეიძ-  
ლება არ მოვეწონოს, როგორც მხატვრული  
ნაწარმოები, რადგან ესაა ლიტერატურული  
აქტი, სიყეთის განმადიდებელი, და ვაჩინა  
ისეთი ფილოსოფიური სიღრმე, მთულოდნელი  
ტრაგიკული თინალო, რომელთაც ბატივი უნდა  
სცეს ყოველმა ინტელექტუალურმა ადამიანმა.

სიზმარული ჩვენებები, ღამე, მთვარე, იდუ-  
მალი ფიქრები — ფსიქოლოგიური ანალიზის  
ნიშულებია, დამხმარე საშუალებანი ცხოვრების  
ერთი მონაკვეთის ასახსნულად თუ საჩვენებ-  
ლად.



განზე გადაუხვია თუ გამიდიდრა არჩილ სულაიაურმა თავისი სტილი, მანერა, თემატკა, ეს მეორე საკითხია, მაგრამ ასეც რომ იყოს, ე. ი. ასლებური ნაწარმოებზე რომ შეექმნა, ამაში ურიგო და უჩვეულო არაფერია. პირიქით, ესაა შემოქმედებითი მრავალფეროვნების, ძიების, დიაპაზონის საკითხი, რაც მწერლისაგან ყველგან ნაკლებად უნდა გავვიყვარდეს. მწერალი წერს იმას, რაც იწერება, რაც აღელვებს და გამოსავალს ითხოვს. სფეროებისა და წარჩობის დადგენა არცაა შესაძლებელი და არცაა საჭირო.

მაგრამ ვინც ღრმად დააკვირდება, მისთვის არაა უჩვეულო და ახალი რამ ასეთი იდუმალეზებით მოცული, დაძაბული სიტუაციები, სერიოზული ფიქრი სერიოზულ საგნებსა და მოვლენებზე. სევდა და ურეა ადამიანის რთულ და ტრაგიკულ ბედზე.

ქარგი ნაწარმოები მზამზარეული შინაარსით არ გვაძინებს, კითხვებს სვამს, დავას იწვევს. მე პირადად ასე გავიგე: ომი მუსრავს ნორმალური ცხოვრების ყველა ბასტიონს, იწამლება საღი წყაროები. მთელი ყურადღება მთავარი საფრთხისკენაა და სასტიკი განსაძლეულში ზედაპირზე ამოტივტივდება სიღვე ყოველნაირი, კანონიერების სასწორის ჩრდილი ადევნება, ფოლადი თვანგება და ბოროტება უფრო იოლად თრგუნავს სიყვითის ნერვს. ომი, ქაშაში თუ დრაკონის კანონი ბუდეა, სადაც შავბედით ყორნები იჩივებიან. დაახლოებით ასევე იხსნება ჭორაძეების ოჯახის დაღუპვა, დაითქოსა და პოლიკარპეს მსგავსი არამზადების გამარჯვება, რუბენას მსგავსი უნდო და უცხო ტემის ვერაგული ზრახვა—ორიოდ გრომისათვის ცაცის გაწირვა. მხოლოდ ლუკა რჩება, ნაცარში მიმალული ნაპერწყლის მსგავსად. იმედი გვაქვს, რომ ბოროტებას ფარდა აეხდება. მაგრამ "ლუკა" არაა ზღაპარი, ესაა ტრაგედია, რაც ბევრ რამეს აუხსნელს ტოვებს.

კითხულობთ ამ უბრალო ქალაქელი ბავის ამბავს, არაფერი უჩვეულო არ ხდება. თუკი ზაბუნ, საუბრობენ, მეზობლობენ, დაგობენ, მიცევალებულს წყის უღებენ... და მაინც რაღაც გაინტერესებთ, მიპყვინთა დურღლებს, თათქოს რაღაც ჯადოსნური ძაფი იყოს ბოლომდე გამბული. ჩვეულებრივი ამბავი ხდება საერთო ყურადღების საგანი. ესაა მწერლის ხელოვნება.

ა. სულაიაურის, როგორც ოსტატის, თვალსაჩინო წარმატებაზე მეტყველებს მისი კოლორიტისა და მოქმედ პირთა ხატვის უნარი, გამოკვეთილობა, რაც მკითხველს ამასოვრდება. ჩვენ გვაოცებს "ლუკას" რელიეფურობა, თუნდაც ეპოქის ორიოდ მოსმით შექმნილი ტყეში ცოცხლად დგებიან თვალწინ. რიყის თუ ჩუღურეთის, მტკვრის სანაპიროს პეიზაჟი შეი-

ძლება უცხოელმაც იოლად წარმოიდგინოს, ვისაც თბილისი არ უნახავს. რელიეფურობა და კომპოზიციის ჰარმონია ერთნაირად სკინდება ტილოს ფერწერაში და მხატვრულ ნაწარმოებს ლიტერატურაში.

მწერლის თვალსაჩინო ნიჭზე მეტყველებს თუნდაც ორი გიგის საუბარი, ერთ მათგანს რომ თავი ნაბოლოვანად წარმოუდგინა და მეორეს მის მსახურად, ალბათ მარშალ ნედი. აქ ისეთი დეტალებია, რომ იხსენის „პერ გუნტის“ საგვიეთი გვაგონდება — ხასიათთა ცოდნით, სისწორით, თორემ სიტუაციები და პიროვნებანი ერთიმეორეს არ ემსგავსებიან.

მოთხრობაში ბევრი დასამახსოვრებელი ტიპია.

ლუკა, მთავარი გმირი, ალალი ბიჭია. მისი ფაქიზი გული ვერ შერყვნა მარტოობამ, გაჭირვებამ, ომის ლანდამ. მტკვარში რომ ჩაიქონა და სამოსი მიანდო უცნობ ალბერტას, რომელმაც ის მიითვისა, უფრო ის აწუხებს, ნუთუ ალბერტა ცუდი ბიჭიაო, ვიდრე ტანისამოსის დეკარგვა. მერე, როცა ალბერტამ საბურთალოს ბაზარში შემთხვევით ნახულმა, ტანისამოსის დაბრუნება დაუთქვა (მაშინ ვერ გიპოვეო), უფრო ის გაუხარდა, რომ ალბერტა არ ყოფილა მატყუარა.

ლუკას მოჩვენებებში მთავარი ადგილი მთვარისას უჭირავს. ვითომ გამოეცხადა, ერთად ბანაობენ აუზში, სადაც მთვარეა, ე. ი. მთვარეში ბანაობენ. ეს პოეტური თვალსაზრისით სცილდება შაბლონის ჩარჩოებს. გამოუჩინებელი ლუკა მოვლენებს მაინც საღი თვალით უყურებს და აფასებს, თუმცა ცხოვრებამ გულწრფელად და ექვიანი ვახადა. მოთხრობაში მოცემულია მისი ფორმირების საკმაოდ გრძელი და რთული გზა. ზოგჯერ გვაეჭვებს მხოლოდ მისი ასაკისა და ახრთა მსგელობის შეფარდების საკითხი. ნაადრევი ხშირ არაა მხეხუთე კლასის მოსწავლისათვის ისეთი ურთიერთობა, რაც მავალითად მიაფოსთან აქვს? ფიქიანი ბიჭი აკვირდება ცხოვრების აკარგს, უღირს და ღირსეულ ადამიანებს. მას არ სურს გამოართვას ალბერტას ჯაყვა, სანამლორში მოგებული: კარგი ჯაყვაა და გული დაწყდებაო! კითხვების მიცემა არ უყვარს. თვითანალიზით გამოპყავს დასკვნები. ვერ გაუგია შემოილილი გფგოს საიდუმლო. „ალბათ არა ვარ ღილი, რომ ყველა მარწმუნებს, ღიდი ხარო!“ — ფიქრობს მარტოხელა ბიჭი.

ლადო, ეს კეთილი, ალალი კაცი, იმდენად შეზიარებულა ადამიანობასთან, რომ „საშინლად დაწყებოდა გული, მდინარეში მისი სთევზაოდ გასვლა რომ სამყაროსათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო“... ზის ნაწიში მამწრალი პეტრესავით და თევზზე როდ ფიქრობს: წა-

**აბაბი ველოვანი**

„ლუკა“ — მარტოხელა ბიჭის ტრაგედია



ვიდა მისი ვერი კოტიკო ომში... სხვებზე წა-  
ვინდნენ. მართო ვე ხომ არ წასულა! დეტალი  
სწორია. ყველანი წავინდნენ, კოტიკოც მათ ვაკუ-  
ვა. ეს აღამაინასათვის ნუვეშია, სხვათა ბედის  
ვაზიარება. სურვილი მოვიცავთ, რომ გამოჩნ-  
დეს იესო და ამ საწყალ კაცს ნავი თევზით  
აუხსოს. მას ხომ ბადეც არ უსაროლია, ისე ვა-  
ბრუნდა.

ლადო სულ სიკეთეს თესავს. ყველა ენდობა  
და ყველას ენდობა. საერთო ეზოში მერხები  
ვაიკეთ, რომ მეზობლებს დაჯდომის საშუალებ-  
და ჰქონდეთ. სხავს ტყუილი და მატყუარა  
(ვერ ვითმენ რა, როცა კაცს ატყუებენ!)  
სხვა ამ ჰირგამოვილიო კაცის ადგილზე და-  
ბოდიხილი იქნებოდა, ის კი ისევე კეთილი  
დარჩენილა. სიმწელე ბოროტს უფრო აბორო-  
ტებს, პატიოსანს კი უფრო აპატიოსნებს.

სულ სხვა პოლიკარზე ვირკვიდე, ტიპუ-  
რი თაღლითი და ძნელად გამოსაცნობი ეგოის-  
ტი. ყალბია მისი ყოველი სიტყვა. ზიზღს იწ-  
ვევს მისი გამოჩენა და აღშფოთებას-მოთხიე-  
ბულ თანხიანად ვაჭრება.

გოგი ვორჩაძე, ლუკას მამა, ოფიცერი, ეპი-  
ზოდური სახეა. აჩრდილივით გამოჩნდება და  
ვერაგობის მსხვერპლი ხდება იმავე დღეებში.  
სამწუხაროდ, უენერგო, სუსტი და ვანწირული  
კაცია.

მოკლედ, მაგრამ სრულიად დამაჯერებლად  
და დახატული შინაბერა ტყუბი დების სახე-  
ბი, ორი წვეთი წყალივით რომ ჰგვანან ერთი-  
მეორეს ჩაცმით, ზნითა და გარეგნობით.

მოთხრობაში მრავალი პოეტური დეტალი,  
ფიზიოლოგი, მახვილგონიერული დილოგია. აი,  
თუნდაც ლუკას და ჭორფლიან აღბერვას დი-  
ლოგი რიყეზე:

„ — ცურვა არ იცი? ისწავლე.  
— ვა, როგორ ვისწავლო, როცა ვიძირები!..  
... — რა გქვია?  
— ლუკა.  
— ლუკა რა სახელია?! პირველად მესმას.  
— რა ვიცი, დამარტყეს...“

ან კიდევ:  
„ — ვახოვთ მიბრძანდეთ აქედან!  
— პოლიკარზე ვირკვიდეს ეუბნები მავას,  
ბიჭო?

— არა, ბატონო, უინსტონ ჩერჩილს!  
— უყურე ახლა! ხედავ, ვის შემადარა?  
ამას კი ვერ ვაპატიებ.“

მხატვრულ ნაწარმოებს ამშვენებს მოქნალი  
ფრაზა, სხარტი დილოგი, მახვილგონიერული  
დეტალები. აი, შესცქერის ლუკა და ფიქრობს:  
„ნეტავი, ვაიზრდება თუ სულ ასეთი პატარა  
დარჩებაო?“ მასწავლებელი ეუბნება ამაღლარ  
ერაკლის: „ისე ზრდილობიანი ბიჭი ჩანხარ,  
მაგრამ ეტყობა, კლასიდან კლასში ვადასახე-  
ლელად ზრდილობა არ კმარა“. ლუკა შესცქე-

რის იზას და გულში ამბობს: „თმა მკლავს  
აქვს ასეთი ფერის თმა არ არსებობს!“. ვაგონში  
იზას ნამდვილად ჰქონდა ასეთი თმა. მკლავს  
გორც თეთი ოქროა. ბუნებრივია მოხუც მე-  
ზოვის სიტყვები: „თუ კაცი ხარ, კაცი იყავი,  
რას იბერები, შე ოხერი!“ მეუზოვე ამას გიგზე  
ამბობს, ნაპოლეონობას რომ აჩემებს, მაგრამ  
ბევრ ქუთათმყოფელსაც არ აწყენდა ასეთი  
რჩევის მიღება.

მეტად მაკურია ირონია კულაბიკა პოლი-  
კარზე, ვერ რომ ბღაელით გამოჩნდა ნუცას  
ტირილზე, ვითომ ნათესავი ვარო, შემდეგ კი  
კუბოზე დანათებულ სანთელზე მოუყიდა პაპი-  
როსს, მეზობლის შენიშვნაზე კი გაწიწმბდა:  
„ნუ გადაამაყოლებთ ამ გადაბეხერებულ დედა-  
ბერსო!“

მოთხრობაში ძირითადად ისეთი ცოცხლად  
დახატული ცხოვრებისეული ამბებია, რომელთა  
უბრალო პერიფრაზირებაც კი მსმენელში ვა-  
მოცოცხლებას იწვევს — ხან სიცილს, ხან სევ-  
დას. შეიძლება თვალში გვეცეს მხოლოდ ორი-  
ოდე გაჭინაურებული ადგილი, რაც ანელეს  
დრამატული სიუჟეტის დამაბულობას, დინა-  
მიკობას. არის ორიოდ ისეთი სიტყვა, რაც  
მხატვრულ ტექსტში ცოტა უხერხულია ან შეი-  
ძლებოდა ქართული შესატყვისის ხმარება (კა-  
რის მღვრადობა, ეკვანი, კარტი, ტელეგრაფი-  
ბი...), არის რამდენიმე პროზაული ადგილიც,  
მაგრამ პროზაიზმები ყოველ ვაიმონილ მწე-  
რალს აქვს ვანზრახ თუ უნებლოვით. პანეც  
კი მიმართავდა პროზაიზმებს თავის უნატიფეს  
ლექსებში. მშობლიური სიტყვის ისეთი ოსტა-  
ტისათვის, როგორცაა არჩილ სულავარი, ეს  
ან უბრალო დაუდევრობა, ან გარკვეული მო-  
სახზობით დაშვებული, — უფრო ბუნებრივიც,  
ვიდრე პათეტიკა, რასაც პუნქტუალური მსა-  
ჯულები ხშირად გვიხსენებენ იქაც კი, სადაც  
საქმე ვაქვს ჭეშმარიტ მხატვრულ სიტყვასთან.

საერთოდ კი „ლუკა“ ნათელი, მიმოზღვე-  
ლი სტილით დაწერილი მოთხრობაა და მასში  
ვერ ვხედავთ თანამედროვე მხატვრული პრო-  
ზისათვის დამახასიათებელ უსაგნო და უსიუ-  
ვეტო თხრობას, რომელშიაც ასე ხშირად გვი-  
გონდება „ბნელისა წყალნი ღრუბელთა შინა  
პაერისათა“.

ფუნქციონირის ტრამვაის ვაგონები ერთ-  
მანეთს უახლოვდებიან და შორდებიან. ადა-  
შიანებიც მათ არიან... ბედნიერებაც ასე უახ-  
ლოვდება მის და ანაზღად შორდება, როგორც  
მტკვარში ვადაშვებული ანდუყადარის ეტლი.  
ამ ბედისა და უბედობის, ნათელისა და ბორო-  
ტის ქიდილის ფილოსოფია ჩაქსოვილი ფრიად  
თავისებურ მოთხრობაში, რომლის იდუმალება  
და ტრაგიკულობა თითქმის უკვე მინიშნეუ-  
ლია მთავარი გმირის ბიბლიურ სახელში  
„ლუკა“.

## პოეზიით გაუქმებული მეცნიერება

მეცნიერებას თუ ყმაწვილობიდანვე არ ეზი-  
არა აღამიანი, ისე ვერ იქნება ღონიერი, არ  
ექნება დროის შესაფერი ცოდნა, დროის შე-  
საფერი მხნეობა, არ ეცოდინება წესი და  
ხერხი გარჯისა.

მეცნიერების საიდუმლოებათა პირველშე-  
ცნობის მრავალი გზა არსებობს. ამ გზაზე  
ვევრდს ვერ ავუვლით მეცნიერულ-პოპულა-  
რულ და მეცნიერულ-მხატვრულ ლიტერატურ-  
რას.

პირველის მიზანია, „მეცნიერება—კაცობრი-  
ობის სიამაყე“ (ე. ი. ლენინი) მისაწვდომი გა-  
ხადოს ფართო საზოგადოებისათვის, გააცნოს  
მკითხველს „უკეთესი განძი, აღამიანის ჭკვითა  
და გრძნობით მოპოებული“ (ილია).

მეორის მიზანიც იგივეა, მაგრამ თუ მეცნი-  
ერულ-პოპულარული ლიტერატურა თავის  
ყურადღების არეში მხოლოდ შემეცნებით და  
აღმზრდელით მხარეს აქცევს, მეცნიერულ-  
მხატვრული წინ სწევს ჰუმანიტების სიმშვე-  
ნიერეს.

მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურის ავ-  
ტორი ცდილობს, მკითხველის თვალნი აქ-  
ციოს „ზე ზეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა  
მხედველად“, ყურნი კი „ზესუნელისა და ქვე-  
სენელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად“.

მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა მე-  
ცნიერულ-პოპულარული და მხატვრულ-დოკუ-  
მენტური ლიტერატურის შერწყმის ნიადაგზე  
დაიბადა.

დოკუმენტურმა პროზამ მხატვრულ ლიტე-  
რატურაში დიდიანია ადგილი დამკვიდრა.  
ცნობილია, რომ დოკუმენტალაზში მიითვლის  
თავისად: მემუარებს, ლიტერატურულ დღიუ-  
რებს, ესეებს, ნარკვევებს, ისტორიულ მო-  
თხრობებს, ბიოგრაფიულ რომანებს, ქრონი-  
კებს, მოგზაურთა შთაბეჭდილებებს და სხვა-  
თა.

მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა და-  
ესესსა დოკუმენტურს გამოხატვის საშუალებ-  
ებს, ხოლო საფუძვლად მეცნიერული აღმო-  
ჩენები, გამოგონებები, კვლევის რომანტიკა,  
მეცნიერული შემოქმედების ფსიქოლოგია დაი-  
და.

გვაქვს თუ არა ქართულად ასეთი სახის  
ლიტერატურა?  
დიახ, გვაქვს.

ასეთი სახის ლიტერატურის ერთ-ერთი მე-  
სვეურია ნიკო კეცხოველი.

1926 წელს გამოსცა მან „გელა და ცქვი-  
ტო“, 1927 წელს—„თოვლიან მთებში“ (ია-  
ლბუზი), 1937 წელს კი „მზიანი დღის ყვავი-  
ლები“.

ეს ის დრო იყო, როცა მაქსიმ გორკი ამ-  
ბობდა:

„ჩვენს ლიტერატურაში მხატვრული და მე-  
ცნიერულ-პოპულარული წიგნები მკვეთრად  
არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.  
როგორ გვაკეთოთ ეს? როგორ ვაქციოთ სა-  
განმანათლებლო წიგნი მოქმედად და ემოცი-  
ურად?“

უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებისა და ტე-  
ქნიკის მიღწევებზე დაწერილმა ჩვენმა წიგნმა  
აღამიანის გონებისა და გამოცდილების მხო-  
ლოდ შედეგები კი არ უნდა მისცეს მკით-  
ხველს, იგი უნდა შეიყვანოს კიდევ კვლევათი  
მუშაობის პროცესში და აჩვენოს, როგორ  
ხდება სიმწელეთა დაძლევა, სწორი მეთოდის  
ძიება.

მეცნიერება და ტექნიკა უნდა წარმოვსახოთ  
არა როგორც მშაბარეულ აღმოჩენათა და  
გამოგონებთა სათაესო, არამედ როგორც  
ბრძოლის ასპარეზი, სადაც კონკრეტული ცო-  
ცხალი აღამიანი ძლევს მასალისა და ტრადი-  
ციის წინააღმდეგობას.

ასეთი წიგნის ავტორები უნდა იყვნენ საუ-  
კეთესო მეცნიერი მუშაკები და არა უცოდინ-  
არი მუამველები—კომპილატორები, რომლე-  
ბიც მზად არიან, გამოიმცემლობათა დაკვეთით  
შეთთხონ ნარკვევი, სტატია, ან მთელი  
ტრაქტატი ყოველგვარ თემაზე“.

მისი ნიკო კეცხოველს, როგორც ვხედავთ,  
უკვე ჰქონდა ავტორი ავტორზე დადებული.

დრო გადიოდა და იგი ხან უმცროსკლასე-  
ლებს გაესაუბრებოდა მეცნიერულ-მხატვრუ-  
ლი წიგნებით, ხან უფროსკლასელებს.

1938 წელს გამოვიდა „უცნაური მეცნარე-  
ები“, ამავე წელს გადაამუშავა და გამოსცა

„მელა და ცქვიტო“, 1943 წელს—„თოვლიან მთებში“ (იალბუზი, უშბას სადარჯოზე, ხუთა მდინარის სათავეში), 1948 წელს—„მაია და ბარში“, 1950 წელს—„ველური ხილი“, 1960 წელს—„ორი მეგობარი“, 1964 წელს—„ფურცელშლა და ფურცელცენა“ და ა.შ.

იგი ყველგან და ყველას ეუბნებოდა. ბუნებისთანა დიდი წიგნი, იშვიათი, ბრტყი წიგნი, ძნელი მოსაძებნიაო. თან აწავლდა, ბევრს მოგვემს ეს წიგნი, გადაგიშლის თავის გულს, ჩაიხედევ მის საიდუმლოებაში და ისეთ ძვირფას ცნობებს ამოიკითხავ, ყველგან და ყველას ერთში წავადგებო, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში შენი შემწე და მეგობარი იქნებო. და ისე წერდა, მხატვრული ნაწარმოებები იყო თუ მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი, ვარჩევა ჭირდა. საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითი გავიხსენოთ:

1963 წელს გამოიკა მ. თომასასა და ელ. ჯოჯუას მიერ შედგენილი ქართული საბავშვო წიგნის ბიბლიოგრაფია. იგი დაყოფილია ორ განყოფილებად. ერთში შედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო-პოპულარული და ტექნიკური, ხოლო მეორეში—ლიტერატურათმცოდნეობა და მხატვრული ლიტერატურა. ნიკო კეცხოველის „მზიანი დღის ყვავილები“ ერთგანაც აღინუსხა და მეორეგანაც.

ამ რამდენიმე წლის წინათ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამოცემლობა „ნაქადულშა“ ნიკო კეცხოველის თხზულებათა ერთად შეკრება და გამოცემა განიზარა. 1967 წელს მკითხველმა მიიღო „თოვლიანი მთებში“. წიგნში შევიდა ადრე დაწერილი თხზულებანი: „იალბუზი“, „უშბას სადარჯოზე“, „ხუთი მდინარის სათავეში“, „ორი ზეკარის გადაღმა და გადმოღმა“.

მერე ადგა შეიდათეულ წელს გადაცილებული ნიკო კეცხოველი, კიდევ ერთხელ მოიარა, გააღწერა რამდენიმე გზის მოვლილი საქართველოს კუთხე-კუჩქული, თავი მოუყარა ნაფიქრს, ნაზრევს, ნანახს, განცდილს და დაიბადა წიგნები: „ცხრათვალა მზის ქვეშ“, „მორბის არაგვი, არაგვიანი“, „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“ და ჯერ კიდევ გამოუქმეული „მეცხრე მთაც გადავიარეთ“.

საქართველოს ყველა კუთხეს თავისებურა, განსაკუთრებული ელფერი აქვს, გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული და აი, „ცხრათვალა მზის ქვეშ“ თუ აღმოსავლეთ საქართველოს ველებსა და ნახევარუდაბნოებზე გვატარებს, „მორბის არაგვი, არაგვიანი“ არაგვის, ქსნის, ივრისა და თერგის ხეობათა ნაირფერობას წარმოგვიდგენს; „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“ ქართლიდან მესხეთ-ჭავჭავთოში გადავვიყვანს და გოდერძის ზეკარიო ქორთობის ხეობაში ამოგვაყოფინებს თავს, ხოლო „მეცხრე მთაც გადავიარეთ“ აჭარას, გურჯისტანს, იმერეთს გვაწვევს.

ნიკო კეცხოველი მკითხველს არაფერს არა ლეხს, არც ურჩევს. რაცა აქვს, ყველაფერს წინ ვადმოუღაგებს. უნეც ადექი დასაჯობიერებ გნებავს, გელოჯიური წარსულით დაინტერესადი, გნებავს, მეცნიერული საფარით, გნებავს, ფაუნით, ან ისტორიულ ძეგლებს გაეცანი, ხალხური ზნებრიცხეუბების საუნჯეში ჩაიხედევ, გნებავს, ამოუწერავი ლექსიკის სალარში მიიხედ-მოიხედევ.

ასე რომ ნიკო კეცხოველის წიგნები ერთხელ წასაკითხად არაა გამიზნული, არც ერთი სულის ამოთქმით იკითხება. ნება-ნება უნდა მიპყვე, გზა-გზა თვალი დახტუო და იონებო კიდევ.

ბუნებაში ბევრია სანახავიცა და საკვირველიც. მეცნიერ-მწერალს ყველაფერი უყვარს, მაგრამ მის სიყვარულს ტუისადმი მაინც სხვა ხიბლი აქვს. იგი თითქმის ელერსება, ფეფრება ტყე-სა და ტუის ბინადართ. მკითხველს ისე შეიპატრეებს შიგ, რომ გეგონება, ტყე მისი ეზო-კარია და ბინადარნი ნათესავ-მოყეთენიო.

ყველა ხე, ყველა ბუჩქი წარსულიანი, სახელიანი, ნაცნობი და ახლობელია. ყველა ცოცხალია. ცოცხალ რაცაა, მშვენიერია. ოღონდ ამ სიმშვენიერეს დანახვა უნდა. შეიძლება ტყეში გაიარო, მაგრამ არცარა დაინახო და არცარა მოისმინო. ნიკო კეცხოველი კი მკითხველს თვალს უხუტს, სინნას უმახვილებს და უჩვენებს მშვენიერს, ლამაზს იქ, სადც ასეზის ჩაუვლია, მაგრამ მანამდე არა შეუ-მჩნევი და არა მოუხსენია რა.

გინახეთ და მოვისმენიათ, რა სიყვარულით ჰყვებიან წლებით დამძიმებული ადამიანნი თავიანთ მამა-პაპაზე, და-ძმებზე, ახლობლებზე; როგორ ახსოვთ, ვის რა სიკეთე ჩაუდგენა, ვინ რითი ვრჩეოდა ხეებში, ვის რა ხასიათი ჰქონდა.

მწერალი ამგვარი გულმხურვალებით ხატავს რეალს წლის წინათ დამარხულ მტერის მარცვას, შორეულ საუკუნეების წინანდელ ბოტანიკურ ბაღს, მუხლმაგარ მუხას თუ ძლივს ამოწვერილ ჩიტისთავასა და ხარისძირას.

ნიკო კეცხოველის ერთი მოთხრობის გმირი ამბობს: „გზაფხულისთანადა ხომ არა მიყვარს რა; ახლად იწყება ცხოვრება, ყველა იღვიძებს ღრმა ძილისაგან, ყველა ახლად იწყებს სიცოცხლეს. ჭია რა არის, ჭია-მაიასაც კი ეტყობა სიხალისე და სიცოცხლე; ისიც კი ცდილობს, დაეჯიკტოს გზაფხულის სიმშვენიერით; ჭვავი, უსულო ჭვავი, ისიც კი მზიარულად არის, ისაც თითქოს ხარობსო“.

ნიკო კეცხოველი აღწევს, მკითხველს გადასცეს ბუნების ეს ძალი და სიხალისე.

მისი დახატული ტყე უხილავ მკლავებს გხევს და თავისკენ გიზიდავს. გინდა ხე და ბუჩქი ახარო, ნადირ-ფრინველი ამრავლო. კაცილი და მუხა კი არა, ევალბიცი ვიყვარს,





დღედაღეც კრიკინაც, სუროც, სვიაც. ირემს და შველს როდი ესიყვარლები მხოლოდ, ფოცხვერიც მიმზიდველია, მაჩვიც, კვერნაც.

ნიკო კეცხოველი მკვლევარია, აღმომჩენია. ამბობენ, აღმოჩენის სიხარულს ვერაფერი შეედრებაო. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ეს სიხარული სხვასაც უწილადო. მან გამოიკვლია კულტურულ მცენარეთა გავრცელების კანონზომიერებანი, დაადგინა საქართველოს მცენარეული საფარის ძირითადი ტიპები და მეცნიერულ-მხატვრული წიგნებით ათასობით მკითხველი გაიხიდა კვლევის თანამონაწილე და მოზიარე. თვითონ თუ ეამაყება და უხარია, მკითხველსაც სიამაქისა და სიხარულის ღმრთილ დასთანამებეს სახეზე. თუ თვითონ წუხს, მკითხველიც ღონდება. თუ თვითონ ეძებს, მკითხველიც ეძებს. მასთან ერთად დადის საქმლისხიან, ღვიან ნათელ ტყეთა თუ ნახევარუდაბნოთა ზონებში. არა მარტო დადის, უკვე ხუთი თითოეული იცის, სად რა ხარობდა ძველად, როგორ ხარობდა. ისიც იცის, აწი როგორ უნდა გაახაროს და გაამარჯლოს.

მის თხზულებებში ხშირად ისმის კითხვა, რატომ?

— ალაგ-ალაგ ასკილი და პატარა ჯვარა რადაა ყანაში და მინდორში?

— დასარყულია, თუ ნაჩხატ მიწაშია, ეს იმის ნიშნავს, საჭონდს ნუ შერტყავთო, სათბიად არის დატოვებულიო. ასეთ ტრტს სარყან ან საყე ვეულებდა, თუ ჯვარიცაა დასმული, ეს უკვე ძველი ჩვეულებაა, ჯვარის შეეშინდება ეშმაკს და ყანას ვერაფერს დააკლებსო. ასეთი სარყის გაკეთება უწინ იცოდნენ და ზოგმა დღემდე არ დაივიწყა“.

ზოგჯერ კითხვა „რატომ“ შეიძლება არ დაისვას, მაგრამ თხრობა ისე განვითარდეს, ახალგაზრდა მკითხველი დაფიქროს, დაკვირვების უნარი შესძინოს და ბუნების საიდუმლოებაც ამოახსნეინოს.

თორმეტი წლის მწყემსი ვაჟი თავისი თვალით ნახულ მოსს, რომ მთაში ყვავილებმა უკვე მოასწრეს ამოსვლა, ვაჟსა, დავყვილება, თესლის ჩათესვა. უკვირს კია, პატარები იყვნენ და პატარებდა დაამთავრეს სიცოცხლე. მკითხველია ფიქრდება, უკვირდება და მწყემსთან ერთად იგებს, მაღლა მთებში ყვავილები პატარები იმდრომ იზრდებიან, რომ მოკლე ზღუხულში დღი დაღროს გაკეთებას ვერ მოასწრებენ, სიცივე მოუსწრებთ და დაზარობს. ყვავილმა თუ თესლი არ გაიკეთა, იმის ჯილაგა ამოვარდება, ვაწყდება.

თხრობაში ერთმანეთს ხშირად ენაცვლება მწერალი და მეცნიერი, მაგრამ მწერალია თუ მეცნიერი, ის ყოველთვის მასწავლებელია. მასწავლებელი, რომელიც სხვასაც ასწავლის და თავისთავსაც. მეცნიერი ალაგ-ალაგ შვრალ

ცნობებს გვერდს ვერ უვლის, მაგრამ თვითონვე მკითხველზე უკეთ გრძნობს, რომ შეიძლება სიმშრალემ დაზარდილოს სიბჭველი და რაღაო მასწინვე ამბავს იმარჯვებს, თუ დასკირდა, მცენარესაც ალაპარაკებს.

ზოგჯერ შიგ ჩართულ საინტერესო ამბავს ან ისტორიულ ეპიზოდს არავითარი ურთიერთობა არა აქვს ბუნებასთან, მაგრამ ისეა ჩართული და თხრობის ლირიულობა იმდენად თავისებურია, ვერცა გრძნობ, როგორ გადახვევი ერთიდან მეორეზე.

გზადაგზა ვახუშტის მოუხმობს, მაგრამ ეს მოშველიება არაა მოსაბეზრებელი: დროულია და ზომიერი.

ტიპარება და ციხე-კოშკებს რომ აღწერს, ისე დაგაინტერესებს, მოგინდება, წახვიდე, ნახო, უფრო მეტი გაიგო, მეტა წაიკითხო, თვითონვე იცის, რომ მეტის გაგება მოგაწყურთა და წყურვილის მოსაკლავად წყაროსაც საინტერესო მოგანიშნავს.

აი, მაგალითად, შიომღვიმის მონასტერს აღწერს და ხაზს უსვამს ძველი ტაძრის კანკელის ჩუქურთმის განსაცვიფრებელ ხელოვნებას. „გაღრვებნათ, ჭადოქარის ხელს ოქრომკერდით უნახვისი არშია მოუქსივიაო. ამავე დროს ყველა თავისებური და ურთიერთისაგან განსხვავებულია. რა ხელი უნდა ჰქონდა, და რა სიყვარულიც ეცხლი უნდა ნთებოდა კაცს გულში, რომ ასეთი ჩუქურთმა ამოეკეთა?“ — წერს ჩუქურთმაზე, მეტე რელიეფზე გადადის. საკმაოდ ბევრს პყეება და, როცა ხვდება, რომ კიდევ ბევრის თქმაა საჭირო ცოდნის წყურვილის დასაკლებად, ხოლო ამ წიგნის მიზანი კი ეს არ არის, იქვე მოხდენილად ასახელებს რენე შმერლინგის ვაჟაკვლავს.

თხზულებები უხვადაა ილუსტრირებული ხალხური ზეპირსიტყვიერებისა თუ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებით. თვითველი მითვაინ ამ თუ იმ აზრს აღრმავებს, ამტკიცებს, ასახულებს და ნათელ გრძნობებსაც აღვიძებს.

ნიკო კეცხოველი როგორც ტყესა და ნადირფრინველს, ისე ელოლიაგება ქართულ სიტყვასაც. ქართული სიტყვის საღაროში უფრო ლადად გრძნობს თავს, ვიდრე ტყეში. თუ მცენარეთა მისაწინებლად და ნადირ-ფრინველთა მისამარავლბლად სხვებსაც უხმობს, მივიწყებულ ქართულ სიტყვას თვითონვე მტვერს ისე გადააციოს, ისე ოსტატურად ჩაუდგამს სულს, ვერცა გრძნობ, აქამდე რომ არ იცოდი, არც გაგეოინა. ვერც ვაიებ, როგორ შემოიქრა და დამკვიდრდა შენს მეტყველებაში.

ნიკო კეცხოველი ერთგან წერს: „ბიჭებს ჯიხები ჩარჩათ მესხიერებაში, როგორც მთაში გადაბრენილი ხმური და ქვების ხრაილი“. მისი თხზულებები კი გავრინებსა და ბიჭებს რჩებათ მესხიერებაში, როგორც მოწალმართე კაცის მიერ მიგნებული ნატურისთვალი, რომელიც ცხრათვალა მზესავით ყველგან ანათებს.

## პეზანტ ქანაძე

# დავპირგვინებული საშვილიშვილო საქმე

ნიკო ჩუბინაშვილი მე-19 საუკუნის იმ უაგარო სახელოვან მამულიშვილთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება მშობლიური კულტურის სამსახურს მოახმარეს. 1961 წელს გამოიცა მისი „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანით“. ამ დიდებულ წიგნს რედაქტორია გაუკეთა და გამოკლავა დაურთო პროფ. ალ. ლლონტი. წიგნის რედაქტორია პროფ. სიმ. ყაუხიშვილი.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ მიერ გამოცემულმა ზემოხსენებულმა ლექსიკონმა დიდი ყურადღება მიიპყრო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ეს ნიკო ჩუბინაშვილის ხელნაწერის სახით დარჩენილი და კარგა ხნით მივიწყებული ნაშრომად წიგნი გამოქვეყნების პირველი ცდა იყო, რაც წარმატებით დაგვირგვინდა. ამ ნაშრომით სულხან-საბა ორბელიანის საქმის სახელოვანმა განმგებლობამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართულ ლექსიკოგრაფიაში. მან სადღესოდ უხეი მივიწყებული ან დავიწყებას მიცემული ნაწარმოები ბევრი სიტყვა შემოგვიანარჩუნა და გადაარჩინა დაკარგვას, რითაც დიდი სამსახური გაუწია მშობლიურ ენასაც და თავის ერსაც.

ფართო განსწავლულობასა და ერუდიციას, მრავალი ენის საფუძვლიანად ცოდნას ნ. ჩუბინაშვილმა მხარში ამოუყენა განსაცოცხლებელი შრომისმოყვარეობა. სწორედ ამან შეაძლებინა მის კაპიტალური შრომით ქართული ლექსიკოგრაფიის გამდიდრება.

მართალია, 1961 წელს გამოიცა ნ. ჩუბინაშვილის ზემოდასახელებული დიდი რუდუნებით შექმნილი ერთ-ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი ქმნილება, მაგრამ საქირო იყო დაწყებული საშვილიშვილო საქმის ბოლომდე მიყვანა, მისი დაგვირგვინება. ამას რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ნ. ჩუბინაშვილის მეორე

საეტაპო ნაშრომი „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, ანუ, როგორც თვითონ ავტორი უწოდებს, «Полный российско-грузинский словарь».

სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1961 წელს გამოცემულ პირველ ლექსიკონშივე იყო იმის აშკარა ნიშნები, რომ მისი რედაქტორი და გამომცემელი პროფ. ალ. ლლონტი ამ საშვილიშვილო საქმესაც დაადგამდა თავს.

თუ რა დიდ ამაგს მიავებდა სალექსიკონო მუშაობას თვით ნ. ჩუბინაშვილი, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მან თავისი უმწიკვლო შრომითა და რუდუნებით შექმნილი ზემოხსენებული კაპიტალური ნაშრომის შექმნას ოც წელზე მეტი შესწირა, სალექსიკონო საქმის დიდ სიყვარულზე კი მისივე სიტყვები ლაღებდნენ: „უფასო არ დაედება ამისათვის, რომ ჩემი ცხოვრება სრულებით ამის შრომამდე გამოიტარებია“.

ვისაც ლექსიკონზე უმუშავია, დიდი სიძნელეები უწევდნია და ის სათანადო პასუხისმგებლობაც განუცდია, რასაც განსამარტავი სიტყვა აკისრებს ავტორს, ნათლად დანახავს, თუ, მართლაც, რა კოლოსალური შრომა დაუხარჯავს ნ. ჩუბინაშვილს „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ ორტომეულის შესადგენად, რომლის პირველი ტომი 1971 წელს, მეორე კი 1973 წლის ბოლოს მიიღო მკითხველმა. ორივე ტომი პროფ. ალ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობითაა გამოცემული. ისინი ათასიანი ტირაჟით გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“, რედაქტორია პროფ. დ. ს. მგელაძე. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ წიგნის გამოცემას დიდი ინტერესით შეხვდა საზოგადოებრიობა, გამოეხმაურა პრესა.

I ტომის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ნიკო ჩუბინაშვილს თანაბარი შრომა გაუწევია ქართულსა და რუსულ ლექსიკოგრაფია-

ში, მისი ქართული და რუსული ლექსიკონები უდიდესი ერუდიციის, ღრმა ცოდნისა და განათლების ფართო დიპლომის მაჩვენებელია. ლექსიკონის შედგენაზე გაწეულია უკმაპობოდ ტიტანური შრომა. არა თუ ერთ ადამიანს, ახლა მთელ კოლექტივებსაც უძნელდებათ მსგავსი ლექსიკონების შედგენა“.

ამ სიტყვებში გადაჯაბებული არაფერია. როგორც ცნობილია, ნ. ჩუბინაშვილის ამ კაპიტალური ნაშრომის ორი ავტორგრაფი დარჩა. 1825 წელს ვალაჩიეროლი ავტორგრაფები დატოვია კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

I ტომის შესავალში მიუცემელია დაწვრილებითი ცნობები, სადაც საუბარია ავტორგრაფებზე, ავტორგრაფთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ლექსიკონის წყაროებზე.

ავტორგრაფებში მასალის თანმიმდევრობისა და ტექსტის განლაგების გასარკვევად დამოწმებულია რამდენიმე ადგილი. აქვე საუბარია ერთეულ განმარტებათა რედაქციულ სხვაობაზე. აღნიშნულია ისიც, რომ ერთეულები ავტორგრაფების მიხედვით სხვადასხვაგვარად ყოფილა გამოტანილი.

ნ. ჩუბინაშვილს თავისი ლექსიკონისათვის გამოუყენებია უმდიდრესი წყაროები. უპირველესი წყარო, რასაკვირველია, საბას „სიტყვის კონა“ იყო. ამას, ცხადია, ემატება ნ. ჩუბინაშვილისე „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“, რაც შეეხება რუსულ წყაროს, აქ ავტორის მიერ მთავარ წყაროდ დასახელებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დიდი ლექსიკონის პირველი გამოცემა.

ნ. ჩუბინაშვილი წერს: «...Нельзя похвалиться, чтобы книга сия в своём роде была полная и совершенная, но ежели кто рассудит, сколько на сей труд, в продолжение более 20 лет, требовалось соображений, внимательности, справок, изысканий и проч. и на всё то имеет постоянное терпение, тот, конечно, не только извинит благосклонно находимые в ней недостатки, но и постарается исправить и пополнить оные своими прибавлениями».

როგორც ზემოთაყვანილი სიტყვებიდანაც აშკარად ჩანს, ავტორის მიერ ნაერჩნობია და ხაზგასმულია, რომ ნაშრომი დაზღვეული არ იქნებოდა ჩრდილოვანი მხარეებისაგან.

ლექსიკონის დედანი, თავისთავად ცხადია, ემყარება მე-19 საუკუნის დამდეგის ქართულსა და რუსულ ორთოგრაფიულ ნორმებს. ალ. ლონტი მიუთითებს ცალკე სიტყვათა მართლწერაში ერთგვარ რყევაზე. კუმშვათა და უკუმშველი ფუძეების აღრიგაზე, იმაზე, რომ მდებრობითი სიტყვების ნაწილი ვადმოცემულია ა სუფიქსით. ისინი ხელუხლებლადაა დატოვებული. არ შეცვლილა დედანში ნაწმარბი რამ-

დენიმე სიტყვა ქართული ტრანსლიტერაციით. ქარაგმები ტრადიციული ნორმების შესაბამისადაა გახსნილი.

ბუნებრივია, აქ საჭირო იქნებოდა მასალის სათანადოდ დაჯგუფება, მახვილთა სისტემის გაცხრილება, დედანში გაპარული უნებლიე შეცდომების გასწორება, უმასვილოდ დარჩენილი სიტყვებისათვის მახვილის დასმა, დედანში წარმოდგენილი მახვილთა შედარება ავტორის თანამედროვე ნორმებთან, ამათგან მარტო უნებლიე მცდარობათა გამოწვლივად და მხოლოდ მათი შესწორება ხელნაწერის ფოტოფირიდან, ტექსტის გამოსაცემად მომზადება და სასტამბოდ გადაცემული პირის კვლავ დედანთან შედარება. თავისთავად ცხადია, თუ რა დიდ, ხანგრძლივსა და მოქმანცველ მუშაობას მოითხოვდა ყოველივე ეს, როგორც პრთფ. ალ. ლონტის, ისე წიგნის რედაქტორის პრთფ. დ. მგელაძის მხრივაც. აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ რუსული ორიგინლის ტექსტი შესაძლებლობისამებრ თანამედროვე ორთოგრაფიული ნორმების მიხედვითაა გამართული, რათა ლექსიკონი სადღეისო გამოყენების თვალსაზრისითაც უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

ყოველივე ზემოჩამოთვლილ სირთულეთა გათვალისწინების შემდეგ, კითხულობ და ოდნავი ეჭვი არ გეპარება ალ. ლონტის გულითადობაში:

ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავდა „ამ წიგნის შედგენას 20 წელიწადი მოვანდომეო. იგი, უეცველად, ხანგრძლივი ტიტანური შრომის შედეგია. მებრამ ჩვენ მაინც ვასაოცრად მივაჩინია ის ვარეობება, ერთმა, ისიც სხვა საქმეებით ასე დატვირთულმა კაცმა, როგორ შეძლო, გნებათ, ოცი წლის განმავლობაშიც, ამ უმძიმესი და ურთულესი სამუშაოს შესრულება! ვერ დავდარავ და ვუღახვილად ვიტყვი: ოცზე მეტი წელიწადი ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონგრაფიული მეგვიდრებობის მხოლოდ შესწავლა-შეჭერებამ და გამოცემის ხელმძღვანელობამ მოითხოვა!“

სწორედ ამ დიდი და დაუზარებელი შრომის წყალობით დავგირგვინდა დიდებული საქმე — მითხველმა მიიღო სამაგიდო ორტომეული. იგი — რუსული — ქართული ისტორიული ლექსიკონგრაფიის ძვირფასი შენაძენია. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო სპეციალისტებს. არამედ ყველას, ვისაც რუსული ენის საუფუძლიანად შესწავლა განუზრახავს, პირველ რიგში მაინც მეცნიერებს, პედაგოგებსა და მთარგმნელებს. დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ორტომეული დაუღალავი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის „ქართული ლექსიკონგრაფიის მშენებლის“ ნ. ჩუბინაშვილის ძეგლიცაა.



## საგზო თურნავა

# ქართველოლოგია და კავკასიოლოგია საზღვარგარეთ

ამ უკანასკნელ ხანებში ძირიანად შეიცვალა კავკასიოლოგიური და ქართველოლოგიური მეშაობა საზღვარგარეთ, დაიწერა საუბრა-დებო ნაშრომები, ითარგმნა ქართველი მწერლების ნაწარმოებები. როგორც ცნობილია, ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველი ხალხის ცხოვრებაში. თარგმანი ხელს უწყობს ერებს შორის მეგობრობის, კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებას. კულტურა იზოცირებულად არ განვითარებულა, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერს: „ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები მაჩვენებელნი არიან იმ კულტურული სამყაროსი, რომელთანაც კავშირსა და ურთიერთობაში იმყოფებოდა ესა თუ ის ხალხი და კულტურულ ურთიერთობათა გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდა. ასეთი ურთიერთობა ხალხთა შორის მუდამ ყოფილა და იქნება. აღამაინათა საზოგადოების ისტორიამ არ იცის მავალითი აბსოლუტურად იზოცირებული კულტურას განვითარებისა“<sup>1</sup>.

1957 წელს პროფესორმა კალისტრატე სალიამ პარიზში დააარსა ეურნალი „რევიუ დე ქართველოლოგი“, რომელიც გამოდის ყოველწლიურად საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის დახმარებით. კალისტრატე სალიასთან ერთად ეურნალის სტლის-ჩამდგმელია ნინო სალია. ეურნალმა და მსახურა დიდი ავტორიტეტი სამეცნიერო სამყაროში როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ქართველი და უცხოელი მეცნიერები მალე შეფასებას აძლევენ ეურნალის მუშაობას, ბესო ფლენტი ერთ თავის წერილში მიუთითებს, რომ მათ დიდი წვლილი შეაქვთ ქართული კულტურის მსოფლიო არენაზე გატანის საქმეში.

ფრანგი მეცნიერი რენე ლაფონი წერს: „მე ვარ ლინგვისტი და 1957 წლიდან ვთანამშრომლობ ეურნალში „რევიუ დე ქართველოლოგი“. მე შემძლია შეეფასო თუ რა დიდ დახმარებას უწყევს ეს ეურნალი ენათმეცნიერებს მათი მუშაობის ყველა სფეროში; არა მხოლოდ ქართულსა და ქართველურ ენებს, არამედ მთლიანად კავკასიურ ენებს. ეურნალი ადვილს უთმობს აგრეთვე გამოცვლევებს, რომლებიც ეხება ამ ენათა ურთიერთობას სხვა ენებთან, სახელგობრ, ბასკურთან. აქვეყნებს საუკეთესო წერილებს საქართველოს მეცნიერულ, ეკონომიურ და ლიტერატურულ ცხოვრებაზე, აგრეთვე კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაზე.“

1966 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაახლოებით ერთ თვის დაეყავი თბილისში, სადაც ვიკარქენი, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ლინგვისტები და საერთოდ ქართველი ინტელიგენცია ამ ეურნალს. ეს ეურნალი არის ორგანო, რომელიც აკავშირებს ყველას. ვინც საქართველოსა და მის გარეთ, დასავლეთ ევროპაში მეცნიერულად სწავლობს კავკასიის ხალხთა ენასა და ლიტერატურას.

ჩვენ მადლობას მოვასწავებთ კ. სალიას და ნ. სალიას ამ ეურნალის დაარსებისათვის, დღეს მთელი ობიექტურობით რომ აგრძელებენ ეურნალის გამოცემას<sup>2</sup>.

ეურნალს ეხმარება პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორი შარლ მერსიე, იგი აღნიშნავს, რომ ეურნალში სისტემატურად ქვეყნდება წერილები ქართველოლოგიის ყველა დარგში, 15 წლის მანძილზე გამოქვეყნებულ მასალებს თუ შევაჯამებთ, განცვიფრებელი დავარჩებით მათი შინაარსის სიმდიდრით. პროფესორი თხოვს რედაქციას, რათა

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, „მეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“.

<sup>2</sup> იხ. „რევიუ დე ქართველოლოგი“, ტომი 25, 1968 წ. გვ. 82.

სისტემატურად გამოაქვეყნოს მასალები საქართველოზე.

გერმანელი მეცნიერი გერტრუდ პენი წერს: „ქართველოლოგიის ქურნალმა შეამქიდროვა იზოლირებული ქართველოლოგია. ამ საქმეში დიდი დამსახურება პროფ. კ. სალიას და მის მეუღლე ნ. სალიას ეკუთვნის“.

ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი პანს ფოტი წერს: „35 წელია, რაც დღეიწვე ქართულის კვლევა, წინათ ამ დარგში მომუშავეთა ჩამოთვლა ხელის თითებზე შეიძლებოდა, ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. დღეს ქართული და სხვა კავკასიური ენებით დაინტერესებულთა მრავალი ენათმეცნიერი. ქურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მიმართებით. მან მიიზიდა ევროპის გამოჩენილი მეცნიერები, დააკავშირა ისინი საბჭოთა კავშირთან. კერძოდ, თბილისის ლინგვისტებთან. უფროდები ყველას, ვინც ქურნალს პატივს სცემს, და წარმატებას უსურვებს. ჩემი პატივისცემა და მადლობა პროფ. კ. სალიას და ქალბატონ ნ. სალიას, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ქურნალის დაარსებასა და რედაქტირებაში“.

ასევე ქურნალს მაღალ შეფასებას აძლევენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: აკაკი შანიძე, ანროლდ ჩიქობავა, შალვა ამირანაშვილი, ვიორჯი ჯიბლაძე, პაატა გუგუშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, ილია ტაბაძე, შოთა ძიძიგური, მარიკა ლორთქიფანიძე, ელ. მაკუაზირანი, დავით ფანჩულაძე და სხვანი.

პარიზი არის ცენტრი, სადაც წარმოებს მიელო ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური მუშაობა პროფ. კ. სალიას ხელმძღვანელობით. დასავლეთ ევროპის მეცნიერები მიმართავენ მას ქართული კულტურის საკითხებზე, პროფესორი აძლევს დამაჯერებელ პასუხებს. რედაქტორი კ. სალია უცხოელ მეცნიერთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მას ხშირად იწვევენ საერთაშორისო კონგრესებზე, ირჩევენ სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების წევრად.

კ. სალია არის პარიზის აზიური და ლინგვისტიური საზოგადოების, ბიზანტიურ საერთაშორისო შტუდების, ისტორიულ საერთაშორისო საზოგადოების, რელიგიოთა ისტორიის საზოგადოების, ხმელთაშუაზღვის ქვეყნების აკადემიის წევრი, ამავე დროს ბეჰლდეთი სიტყვის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი.

1971 წლის 28 აგვისტოს პროფ. კ. სალიას შეუხსრულდა დაბადების 70 წლისთავი. ამ თარიღის გამო ქურნალ „რევიუ დე ქართველოლოგიის“ 28-ე ტომში გამოაქვეყნებულია

დასავლეთ ევროპის გამოჩენილი მეცნიერების მისასალმებელი წერილი, რომელშიც მოკლედ არის აღწუსებული ის დიდი მეცნიერული ორგანიზატორული მუშაობა, რომელსაც კ. სალია ნ. სალიასთან ერთად წლების მანძილზე აწარმოებს. წერილს მოვითანთ მთლიანად:

„1971 წლის 28 აგვისტოს ქურნალ „რევიუ დე ქართველოლოგიის“ დირექტორ-დამაარსებელს, პროფესორ კალისტრატე სალიას უსრულდება დაბადების 70 წელი. ამასთან დაკავშირებით, ქურნალის სამეცნიერო საბჭოს საჭიროდ მიიჩნია პატივი სცეს და უსურვოს კ. სალიას კვლავაც ხანგრძლივი მოღვაწეობა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ქართველოლოგიაში და კავკასიოლოგიის შესწავლის საქმეში საზღვარგარეთ.

ჩვენ არ გვაფიქვდება ის გარემოება, რომ არც თუ დიდი ხნის წინათ ქართველოლოგიით სერიოზულად დაინტერესებულთა რიცხვი საზღვარგარეთ უმნიშვნელო იყო. როგორც ცნობილია, საქართველო არ იყო მსოფლიო არენაზე წარმოდგენილი ისე, როგორც შეეფერება მის ისტორიას, წარსულსა თუ დღევანდელი კულტურულ სიმდიდრეს.

დღეს მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ევროპელი და ამერიკელი მეცნიერი სწავლობს საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ენას, ლიტერატურას, ისტორიასა და ხელოვნებას. ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლება მრავალ უნივერსიტეტში. მეცნიერული კვლევა-ძიება კავკასიურ ენების დარგში ყველგან ვითარდება. „რევიუ დე ქართველოლოგიის“ დირექტორმა, რომელიც წელს ზეიმობს თავის დაბადების 70 წლისთავს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ განვითარებაში. მან შექმო თხუთმეტი წლის წინათ ამ ბეჰლდეთით ორგანოს საფუძველი რომ ჩაუყარა, ქურნალის ირგვლივ შემოეკრიბა ყველა ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, დაემყარებინა აუცილებელი კონტაქტები, რომლებიც მანამდე თითქმის არ არსებობდა, საქართველოსა და მის საზღვრებს გარეშე წარმოებულ კვლევა-ძიებას შორის და გაედევნებინა მეცნიერთა ინტერესი ამ ლეგენდარული და მომხიბლავი მხარის ცივილიზაციის ყველა ასპექტის შესწავლისადმი.

კ. სალია განუწყვეტლივ ზრდიდა ქურნალის მოცულობას, სრულყოფდა მის მხატვრულ გაფორმებას და განამტკიცებდა ქურნალის მეცნიერულ დონეს. დირექტორმა 64 გვერდიანი ქურნალი გადააქცია საერთაშორისო

**სერგო თურნავა**  
პარტოლოლოგია და კავკასიოლოგია  
საზღვარგარეთ

<sup>3</sup> იხ. „რევიუ დე ქართველოლოგი“, ტომი 25, 1968 წ.

სახელის მქონე დიდ სამეცნიერო ორგანოდ, რომელიც აღიარებულია მეცნიერულ სამყაროში როგორც საზღვარგარეთის ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის აუცილებელი ბეჭდითი ორგანო.

კ. სალია ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო წრეებს აცნობს იმ მეცნიერულ მუშაობას, რომელიც წარმოებს საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის მეცნიერებათა აკადემიებში, უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. ამ ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერები თანამშრომლობენ ჟურნალში, სადაც რეგულარულად ქვეყნდება მათი ნაშრომების მიმოხილვები და ბიბლიოგრაფიები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს თვითონ კ. სალიას მნიშვნელოვანი შრომები საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე. ჩვენმა კოლეგამ და მეგობარმა კ. სალიამ ამ წარმატებებს მიადოა თავისი შესანიშნავი ერთგულებითა და დაუღალავი ენერგიით, საფრანგეთის ეროვნულ სამეცნიერო-კულტურითი ცენტრის დახმარებით, რის გამოც მათ მადლობას მოვასხევენ.

აქვე შეუძლებელია არ აღვნიშნოთ პროფესორის მეუღლის ნინო სალიას დამსახურებაც ნინო სალია პირველ დღეებიდანვე ჟურნალს დახმარებას უწევს, ამავე დროს ჟურნალის ფურცლებზე აქვეყნებს სტატიებს. ორივე მოღვაწე შიშში, მაგრამ ღირსეულ შრომას ეწევა უდიდესი თვითგანწირვის ფასად. მათ აქვთ უფლება მიიღონ მადლობა სამეცნიერო სამყაროსაგან, მშობლიური ქვეყნისაგან, რომელიც ასე გულმოდგინედ და ერთგულებით ემსახურებიან<sup>4</sup>.

იულუს ასფაღი (მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი),

ყერარ გართი (ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი),

ფრანსუა გრაფენი (პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორი),

რენე ლაფონი (ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი),

დავით მარშალ ლანგი (ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ირენ მელიჟიე (სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი),

შარლ მერსიე (პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორი),

ჟოზეფ მოლიტორი (ბამბერგის უნივერსიტეტის პროფესორი),

გერტრუდ პეჩი (იენის უნივერსიტეტის პროფესორი),

კარლ ჰორსტ შმიდტი (ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი),

ჰანს ფოგტი (ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი).

აქვე გვითხულობთ ქართველი პოეტების ლექ-

სების ფრანგულ თარგმანებს. რენე ლაფონის უთარგმნია აკაკი წერეთლის „სულგანის“ ტიანი ავალიანს გალაკტიონის — „ნაწიკა“ და, ელენე წერეთელს, რენე ლაფონთან ერთად, ირაკლი აბაშიძის „გოლგოთათან“.

გარდა ამისა, ჟურნალში მოთავსებულია ქართველ მეცნიერთა ნაშრომების მიმოხილვები და ბიბლიოგრაფიები. ჟურნალი მაღალ შეფასებას აძლევს გიორგი ჯიბლაძის, შალვა ამირანაშვილის, არნოლდ ჩიქოვას, აკაკი შანიძის, აკაკი გაწერელის, პაატა გუგუშვილის, გიორგი წერეთლის, დავით ფანჩულიძის, დავით გაგუშარაშვილის, ვახტანგ ბერიძის, დავით თევზაძის და სხვათა ნაშრომებს.

ჟურნალში მიმოხილულია აგრეთვე ქართველი მეწრელების: კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლევან გოთუას, ჯანსუღ ჩარკვიანისა და გრიგოლ ჩიქოვანის ნაშრომებში.

როგორც ცნობილია, აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე მოხდენილად უთავსებს მეცნიერულ მუშაობას თავის სამსახურებრივ საქმიანობას. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომლებმაც აღიარება ჰპოვა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ქართველი მკითხველი ყარგად იცნობს მეცუვეარის ბოლო ნაშრომს ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც საქართველოს საზოგადოებრიობამ გულთბილად მიიღო, დაიწერა მასზე მრავალი რეცენზია, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ ნაშრომს.

როგორც ჩანს, ფრანგული ჟურნალის რედაქცია დინტერესებულია გიორგი ჯიბლაძის ამ მონუმენტური ნაშრომით და თავის ფურცლებზე უხელოდ მკითხველებს აცნობს წიგნის მოკლე შინაარსს და ბოლოს ასე დაასკვნის:

გამოჩენილი ლიტერატორი და კრიტიკოსი გიორგი ჯიბლაძე თავის მონოგრაფიაში განიხილავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ავტორი ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განიხილავს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მწერლის მემკვიდრეობას, რომელიც მან დაგვიტოვა სიცოცხლეში, ესთეტიკურ და კრიტიკული აზროვნების სფეროში. მონოგრაფიაში მსოფლიო ლიტერატურის შედევრებთან მიმართებაში ორგინალურადაა გადაჭრილი თეორიული და ფილოსოფიური პრობლემები. წიგნი დიდ ინტერესს აღძრავს მე-19 საუკუნის ისტორიისა და სოციალური ცხოვრების სრულყოფილად შესწავლის საქმეში<sup>4</sup>.

<sup>4</sup> იხ. „რევიუ დე ქართველოლოგი“. ტომი 28, 1971 წ. თარგმანი სერგო თურნავაძის. (იხ. „სამშობლო“, № 11, 1971 წ. 11 ივნისი).





„წიგნი ქართული ენა“, — წერს პროფ. რენე ლაფონი, — დაწერილია გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის შოთა ძიძიუჯის მიერ. წიგნი დიდი ინტერესით იკითხება, მასში წარმოდგენილია ქართული ენის ისტორია, პრობლემები, რომლებიც ეხება ამ ენის შესწავლას... წარმოდგენილია მშვენიერი ფოტოები, მეცნიერთა პორტრეტები, ხელნაწერთა, რეპროდუქციები... აქვე ძალიან კარგადაა წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია რაც დიდ სამსახურს გაუწევს სპეციალისტებს, დამწყებთ და ცნობისმოყვარეებს“.

აქვე პროფ. რ. ლაფონი ეხება დოცენტ ნინო ქაღიძევილისა და უფროსი მეცნიერი თანამშრომლის როგონდა ლამაზშიძის მიერ შედგენილ „ქართული ენის თეიმასწავლებელს“. რომელიც განკუთვნილია ქართველთათვის, საზღვარგარეთ რომ დაიბადნენ და ქართული ენა არ იციან. რეცენზენტი დადებითად აფასებს წიგნის გამოცემას, რომელიც დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც აინტერესებს ქართული ხალხის ენა და ლიტერატურა.

ყურნალი მიმოიხილავს პროფ. დავით ფანჩელიძის წიგნს „მე-19 საუკუნის ქართულ-ფრანგულ ლიტერატურული ურთიერთობანი“, რომელიც დაიწერა სპეციალურად ფრანგულ ენაზე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით საფრანგეთში რომ მოეწყუ. ნაშრომი ექსპონირებული იყო პარიზში, საფრანგეთის გახეთქებამ გამოაქვეყნეს ანოტაციები. ყურნალის რედაქციამ მიესალმება ასეთი სახის წიგნის გამოცემას, მიიჩნევს მას მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს ქართულ-ფრანგული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

მიმოხილულია პროფ. დავით გამეზარდაშვილის წიგნი „ვახტანგ კოტეტიშვილი“, რომელიც 1969 წელს გამოსცა „ნაკადულმა“. ნაშრომი მიძღვნილია ვახტანგ კოტეტიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, — წერს ყურნალის რედაქცია, — იგი იყო დიდი სპეციალისტი ქართული ლიტერატურის ისტორიასა და ფოლკლორში“.

რედაქციას ამ წიგნის გამოშვება მიაჩნია მნიშვნელოვან მოვლენად ვ. კოტეტიშვილის ნაშრომების შესწავლის საქმეში. ყურნალი იქვე ეხება პროფ. ი. მეგრელიძის ნაშრომს „რუსთველოლოგები“, და აღნიშნავს, რომ ი. მეგრელიძეს აქვს დაწერილი შოთა რუსთაველზე მრავალი საგულისხმო ნაშრომი.

ყურნალი მხედველობიდან არ უშვებს საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ კრებულებს, რომლებშიც დაბეჭდილია ქართველი მწერლების ნაწარმოებთა გერმანული თარგმანები. მიმოხილულია ფრიდრიხ შილერის სახელობის

იენის უნივერსიტეტის კრებული „ენა და საზოგადოება“, რომელიც მიძღვნა გამოჩენილ გერმანელი ქართველოლოგის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის პროფ. გერტრუდ პეინს დაბადების 60 წლისთავს. კრებულში გამოქვეყნებულია აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, რევაზ ბარამიძის, გურამ რამიშვილის წერილები — მიძღვნილი იუბილარისადმი.

აქვე განხილულია „მანვესე ბიბლიოთეკის“ მეორე შევიცარიაში გამოცემული წიგნი „თანამედროვე ქართველი მწერლები“, რომელშიც შევიდა კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლევან გოთფას, გრიგოლ ჩიქოვანისა და სხვათა მოთხრობების თარგმანები.

„გრეგორი ჩიქოვანის მოთხრობა „დაბრუნება“, — წერს რეცენზენტი, — იშვიათი მაგალითია იმისა, როგორი სიფაქიზით უნდა დაიწეროს მოთხრობა, რომელშიც მწერალი გადმოსცემს ტრავმულ სიტუაციას. გრიგოლ ჩიქოვანი არის თანამედროვე ქართული პროზის საუკეთესო ოსტატი.

კრებულში მოთავსებული ყველა მოთხრობა დაწერილია მაღალი მხატვრული ოსტატობითა და ღირსეულად ავრძელებს ქართული ლიტერატურის ტრადიციას. რთე ნოიკომს კარგი მოთხრობები შეუძრწევია და კარგადაც უთარგმნია“.

ყურნალი იქვე განიხილავს ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსების წიგნს „მზის მოსავალი“, რომელიც გამოსცა „მერანმა“. რეცენზენტი ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებს მიიჩნევს თანადროულობის თემაზე დაწერილ კარგ ლექსებად. „ჯანსუღ ჩარკვიანი, — წერს რეცენზენტი, — არის ნიჭიერი პოეტი, რომელიც რედაქტორობს ყურნალ „ციცქარს“.

პროფ. კ. სალია ერთ-ერთ სტატიაში ეხება გ. ტაბიძის პოეზიას, მოკლედ მიმოიხილავს მისი პოეზიის განვითარების გზებსა და ბოლოს ასე დაასკვნის: „გალაკტიონ ტაბიძე ოსტატურად იყენებდა ევროპული პოეზიის ტრადიციებს და ამით ამდიდრებდა თავისი ქვეყნის პოეზიას. გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად მოღვაწეობდნენ შესანიშნავი თანამოაკლემები, მაგრამ გალაკტიონის განსაკუთრებით, ისტორიამ დიდი მოვალეობა დააკისრა: ეს არის ქართული პოეზიის განახლება და გამდიდრება. პოეტმა ქართული პოეზია ახალი ნიმუშებით გაამდიდრა.“

ისე როგორც სარკეში, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში სრულყოფილად აისახა ქართველი ხალხის ახალი ცხოვრება, მისი იმედები და აზრები. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია,

**სარგო თურნაბა**  
 კარტველოლოგი და კავკასიოლოგი  
 საზღვარგარეთ

მოლიანად საქართველოსადმი მიძღვნილ, ადამიანის აღმგზნებელი ჰიმნია, მისი სიმღერა და სამშობლო ერთმანეთისაგან განუყოფელია“.

გალაკტიონის უკვდავი ლექსები თარგმნილია არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, არამედ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნებისა, პოეტის შემოქმედება და ცხოვრება ზევრი უცხოელი მკვლევარის კვლევის ობიექტი გახდა. სახელდობრ, გალაკტიონის ლექსების თარგმანები გამოქვეყნდა საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში. ცნობილმა მთარგმნელმა სერგეი წულაძემ თარგმნა გალაკტიონის „მე და ღამე“, „მთაწმინდის მიჯარა“ და „დროშები ჩქარა“, რომლებიც შესრულებულია ოსტატურად, ზუსტად გადმოსცემს ქართულ პოეტის აზრებს, შენარჩუნებული აქვს ორიგინალის შესატყვისი რითმი, რიტმი, ზომა და მუსიკალური ელემენტები.

პარიზში დაიბეჭდა აგრეთვე პოეტის „ქებათა ქება ნიკოწმინდას“ ტრატანა ავალიანისეული თარგმანი, რომელიც გამოირჩევა პოეტურობით, მუსიკალობითა და დედანთან სიახლოვით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თარგმანში ერთ ადგილას შევამჩნიეთ უზუსტობა, ორიგინალი შეიცავს 80 ტაქს, თარგმანი კი 76-ს.

ჩვენს მთარგმნელს ტრატანა ავალიანს მომწერა აქვს ბელგიური ეურნალის „ლე ნუ-ველ დე ლეტრ სოვაეტის“ რედაქტორ ანდრე კლოდთან, რომელიც არის დიდი მეგობარი საბჭოთა კავშირისა. ანდრე კლოდს, როგორც პოეტს, შემოქმედებითი კონტაქტები აქვს დამყარებული გრეგორ აბაშიძესთან.

ანდრე კლოდი გატაცებულია გალაკტიონის შემოქმედებით, პოეტს ძალიან მოეწონა ტრატანა ავალიანის მიერ შესრულებული თარგმანები, მან თავის ეურნალში დაბეჭდა ქართული პოეტის რამდენიმე ლექსი, მანვე ეურნალის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდა ეტრუდი, რომელშიც მოკლედ მიმოიხილავს გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებას და აძლევს მას მაღალ შეფასებას. ანდრე კლოდი ერთ-ერთ წერილში მთარგმნელს წერს: „მოვიღე თქვენი მშვენიერა წერილი და თქვენი მიერ ფრანგულ ენაზე შესრულებული გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანები. ამისათვის გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ. თქვენ დიდი დახმარება გამიწიეთ, თქვენი წერილით გავიგეთ, თუ როგორ ძლიერ უყვარს საბჭოთა მკითხველს პოეტი, განსაკუთრებით კი ქართველ ხალხს.“

ტ. ტაბიძე ქეშარიტად თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაში დიდი პოეტია. მან ბელგიაში მკითხველთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. იშვიათია პოეტი, რომლის ლექსები ხალხში ასე ფართოდ გავრცელებულიყოს და ასეთი დიდი ინტერესი აღძვრას.

ეურნალ ლე ნუველ დე ლეტრ სოვაეტის „ში“ (საბჭოთა ლიტერატურის სიახლენი ს. თ), რომელიც ბელგიაში ფრანგულადაა გამოქვეყნებული, გალაკტიონ ტაბიძეზე გამოქვეყნებულ ერთობი და თქვენს მიერ ფრანგულ ენაზე შესრულებული თარგმანი ლექსისა „ცხოვრების მტევა-ნი“. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ კიდევ გამოიგზავნით გალაკტიონ ტაბიძის ლექსების სხვა თარგმანებსაც, აქედან რამდენიმეს მინც გამოაქვეყნებთ“.

საფრანგეთს გავრთიანებული გამომცემლობების დირექტორსა და ეურნალ „ეეროზის“ თანამშრომელს — მადლენ ბრონს წაუთხოვს ტრატანა ავალიანის მიერ შესრულებული ევა ფშაველასა და გალაკტიონის ლექსების ფრანგული თარგმანები და ძალიან მოაწონებია. ფრანგი გამომცემელი ერთ-ერთ წერილში წერს: „თბილისში ყოფნისას ქართულიდან ფრანგულ ენაზე მთარგმნელმა ქალმა ტრატანა ავალიანმა გადმოგვცა რამდენიმე ქართველი პოეტის ლექსების ფრანგული თარგმანები. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს გავცეანით, წაიკითხეთ ევა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსები. უნდა გამოვიტყუოთ, თარგმანებით მოხიბლული დავრჩით. შესანიშნავადაა თარგმნილი ევა ფშაველას ლექსები, სამწუხაროა, რომ ფრანგი მკითხველი ჯერ კიდევ არ იცნობს ამ ჩინებულ პოეტს. ჩვენ გამოვასწორებთ ამ ნაკლს და ტრატანა ავალიანის თარგმანებით ფრანგ მკითხველებს გაეცნობთ ევა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს“.

მადლენ ბრონთან საუბარში გავიგეთ, რომ იგი მართლაც ბეჭდავს აღნიშნული პოეტების ლექსების ფრანგულ თარგმანებს, ვიმედოვნებთ რომ თარგმანები წელს გამოვა.

პოეტის იუბილის დღეებში ჯანათლებამ გამოსცა ტრატანა ავალიანისეული ფრანგული თარგმანების წიგნი, რომელშიც შევიდა პოეტის 59 ლექსი, როგორცაა: „მთაწმინდის მიჯარა“, „დროშები ჩქარა“, „გგვი დაღანდი“, „მე და ღამე“, „მერა“ და სხვა.

თარგმანის ორიგინალთან შედარებამ ნათელიც ოს გარემოება, რომ იგი ახლოსაა ორიგინალთან, ზუსტადაა გადმოცემული ორიგინალის აზრები და ინარჩუნებს ორიგინალის ყველა კომპონენტს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მთარგმნელის დოსიში ვიპოვეთ აწ განსვენებული პროფ. შალვა ნუცუბიძის რეცენზია, რომელიც დაწერილია გამომცემლობის თხოვნით 1959 წლის 2 ივლისს. რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს თარგმანებს. „ავალიანის თარგმანებში, — წერს პროფესორი, — საესებით გამართულად ისმის გალაკტიონის ლექსების ელერადობა და მთელი მისი მუსიკალური



გაწყობა. ეს უნდა ჩაითვალოს მთარგმნელის იშვიათ მიღწევად.

მეორე, რაც იპრობს ყურადღებას, არის ის, რომ ტ. ავალიანის თარგმანში დაცულია პოეტური სახეები; გალაკტიონის პოეზიისათვის ძირველად დამახასიათებელი.

ამ ორი გარემოების მიხედვით მე გადაჭრით ვუქერ მხარს ამხ. ტ. ავალიანის „მეორე შესრულებული გალაკტიონის ლექსების თარგმანის გადაუღებელ გამოცემას“.

ფრიდის შალერის სახელობის ქ. იენის უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პინც ფენრიხმა ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნა გალაკტიონის ორი ლექსი: „მთაწმინდის მთვარე“ და „ღროშები ჩქარა“, რომელსაც წარუშემდგარა სტატია პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. თარგმანები და სტატია გამოქვეყნდა „რევოლუციური ქართველოლოგიის“ 1972 წლის 29-30 ტომში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ყურნალი ძირითადად ფრანგულ ენაზე გამოდის, მაგრამ ამავე დროს მასში წერბოლები იბეჭდება გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

ავტორი სტატიაში მოკლედ მიმოიხილავს ქართველი პოეტის შემოქმედებას; აღწერს გარემოს, სადაც აღიზარდა მომავალი პოეტი, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოეტის აღზრდის საქმეში დიდი დაწლი მიუღობის დედას, რომელმაც შეიღს თავიდანვე შეაყვარა ქართული ლიტერატურა.

გერმანელი მეცნიერი ვრცლად ჩერდება პოეტის შემოქმედების რევოლუციის შემდგომ პერიოდზე, მათუთებებს, რომ ამ დროიდან იფურჩქნება პოეტის „შემოქმედება, ფართო ვასქანი ეძლევა მის პოეზიას, საზოგადოებრივ საქმიანობას, წერს პატრიოტულ ლექსებს, მწერალთა კავშირში ხელმძღვანელობს ლირიკის სექციას, აქტიურ მონაწილეობასღებულბებს ყურნალების დაარსებაში, ნაყოფიერი მუშაობისათვის პოეტს მიანიჭებს სახალხო პოეტის საპატიო წოდება და აირჩიეს აკადემიის საპატიო წევრად.

„იშვიათია პოეტი, — წერს გერმანელი მეცნიერი, — რომელსაც დადწეროს ისეთი შემოავრებელი ლექსები, როგორც დაწერა გალაკტიონ ტაბიძე. მისი ლირიკა არის გაუყოფელი ნაწილი და გამოხატულება უძველესი ქართული ლიტერატურის დიდი ხელოვნებისა და მსოფლიო ლიტერატურაში საუკეთესოა. ის, რაც გალაკტიონ ტაბიძის წინაბრებმა: ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ქავთავაძემ, აკაკი წერეთელმა და ავა ფშაველამ, ვერ იხილეს, წილად ხელა გალაკტიონს. მან იხილა რუსეთის თვითმპყრობელობის ტირანისაგან გათავისუფლებული საქართველო. გალაკტიონის „სამწერლო“ ასპარეზზე გამოვიდა

რევოლუციური გარდაქმნების ეპოქაში, რომღესაც ხალხი იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის. აი, ამ დროს იფურჩქნება მისი ლირიკა.

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა მსოფლიო მნიშვნელობისაა, რითმისა და რიტმის იშვიათ ოსტატის თავის ლექსებში ჩაქსოვილი აქვს ღრმა აზრები, მსოფლმეგობრება. ქართულმა ლირიკამ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში თავისი მომხიბლავი ბრწყინალებით ეკლბინციურ წერტილს მიაღწია“.

ჩვენ დავეკვიტრება პინც ფენრიხის თარგმანებმა, თარგმანები შეეადარეთ ორიგინალს, რომლის შედეგად დადგინდა ის ფაქტი, რომ ჩვენ საქმე გვაქვს პოეტურ თარგმანთან, ზუსტად არის გადმოცემული ქართველი პოეტის აზრები, თუ მხედველობაში არ მივღებთ ზოგიერთ დარღვევას. ტაეებში ორიგინალსა და თარგმანში იდენტურია, თარგმანს შენარჩუნებული აქვს ორიგინალის რიტმი და მუსიკალური ყურადღობა.

გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტმა“ ბერლინში 1971 წელს გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია სათაურით: „რვა საუკუნოვანი ქართული პოეზია“, რომელშიც მოთავსებულია თარგმანები ქართული პოეზიის ნიმუშებისა მეთორმეტე საუკუნიდან დაწყებული დღემდე. ამ თარგმანებს შორის საპატიო ადგილს უჭირავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს: რაინერ კირშს უთარგმნია გალაკტიონის სამი ლექსი: „სამშობლო“, „ღროშები ჩქარა“, და „მას გახელილი დარჩა თვალები“, ხოლო ადოლფ ენდლერს კი ოთხი ლექსი: „ი. ა.“, „თოვლები“, „ატმის ყვავილება“ და „ქალაქი წყალქვეშ“.

ანთოლოგიაში წარმოდგენილი ყველა თარგმანი შესრულებულია რაინერ კირშისა და ადოლფ ენდლერის მიერ. გარდა ბუნდენივის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანისა. ანთოლოგიას წამძღვარებული აქვს ადოლფ ენდლერის ვრცელი სტატია „ცდა ქართული პოეზიის შესახებ“, რომელშიც მოკლედ გაანალიზებულია ქართული პოეზიის განვითარების ზებები.

უნდა აღინიშნოს, რომ რაინერ კირში და ადოლფ ენდლერი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი პოეტები არიან, რომლებიც თავიანთ ლექსებში უმღერიან გერმანელი ხალხის ახალ ცხოვრებას, წერენ ლექსებს ხალხთა მეგობრობის თემზე. თარგმანი მთქმე ხალხების პოეტების ლექსებს. როგორც ჩანს, ორივე პოეტი დაინტერესებული

**ხარბო თურნაბა**

პარტმელოლოგია და კავასილოლოგია  
საზღვარბარბით



ლა ქართული პოეზიით, უთარგმნიათ ქართველი პოეტების ლექსების ნიმუშები, მათ შორის გალაკტიონის ზემოაღნიშნული შვიდი ლექსი, რომლებიც შესრულებულია დიდი ოსტატობით, თარგმანში შენარჩუნებულია ქართველი პოეტის ლექსების ყველა კომპონენტი. მოტანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ გალაკტიონის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულია უცხოელი მეითველები, თარგმნება პოეტის ლექსები და იწერება მასზე ცალკეული წერილები უცხოეთის პრესაში.

კვლავაც უნდა გაგრძელდეს გალაკტიონის ლექსების თარგმნა უცხოურ ენებზე, რაც ხელს შეუწყობს ხალხებს შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეს. პარიზელი პოეტის საფლავის მხარეს ვაიმოთქვამს თანდროლოების მეორე დიდი პოეტის გიორგი ლეონიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ავტორი ვრცლად ჩერდება პოეტის შემოქმედებაზე, აანალიზებს მის ლექსებსა და პოემებს და გამოაქვს მართებული დასკვნები. გიორგი ლეონიძის პოეზია წერს — პროფ. კ. სალია, — შეიძლება შევადაროთ ღრმა მდინარეს, რომელსაც საყვებს აწვდის მრავალი შენაკადი: მრჩუხჩუხე ნაკადულები, გამჟღავნებელი წყაროები. ნაკადულები ისე არ შრება, რომ წყალში არ დატვინოს თავისი ნაკვალევი. თვითეული მათგანი შეადგენს მდინარის ნაწილს, რომლისათვის მას მოაქვს თავისი განსაკუთრებული სიმშვენიერე.

როდესაც გიორგი ლეონიძის ლექსებს ვკითხულობთ, მაშინვე ვამჩნევთ, რომ მისი ლექსები ჩვენს აზრების, ჩვენი შთაფრებისა და სიხარულის ნამდვილი ენციკლოპედიაა. ამ ლექსებში დიდი ოსტატობით გამოხატულია ცხოვრების გამაიცოცხლებელი სუნთქვა... გიორგი ლეონიძე რეალისტი პოეტია, მაგრამ მის შემოქმედებაში შეიმჩნევა აგრეთვე რომანტიზმის ნიშნებიც. ის, რაც ჩვენ ჩვეულებრივად გვეჩვენება, პოეტი იქ რაღაცას არაჩვეულებრივსა და მგრამნობიარეს ხედავს. რა თქმა უნდა, მის ბევრ ლექსში რეალიზმი და რომანტიზმი ერთმანეთთანაა შერწყმულია.

1973 წლის მისიში, პარიზში გამოვიდა ფრანგული ძურნალის „რევიუ დე ქართველოლოჯის“ 31-ე ტომი, რომელშიც დაბეჭდილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების სტატიები, როგორცაა: პროფ. კ. სალიას „კავკასიოლოგია სეგრაზიორისო სამეცნიერო კონგრესებზე“, რენე ლაფონის „ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის“, პროფ. ა. გაწერელის „დანტე და პრესტროიული საქართველო“, მიშელ ვან ესარკის „მელიტონ სარდელის შრომები ქართულად“, ნინო სალიას

„პორტუგალიური დოკუმენტები საქართველოს დედოფლის ქეთევანის წამებას შესახებ“, ი. ტაბაღის „ქართული დიპლომატიის შესახებ“ სია ლუი XIV-სთან“, ირაკლი აბაშიძის „კონსტანტინე გამსახურდია“, და ბეკერი სხვა.

გარდა ამისა, ძურნალში დაბეჭდილია გერმანელი მეცნიერის პაინც ფენრიხის მიერ ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნილი რევაზ მარგანიანის სამი ლექსი: „როცა შეყვარებული გზის გილოცავს“, „მარილი“ და „რიწის ტბა“. იქვე მიმოხილულია იოსებ ნონეშვილის ლექსების ტატიანა ავალიანისეული თარგმანები, გასტონ ბუაჩიძის „მონმარტრიდან მთაწმინდად“ და სხვა.

პროფ. რენე ლაფონი თავის წერილში სპეციალურად იხილავს პროფ. ი. გვარჯალაძის ახალ ნაშრომს (თანავტორი ე. ლებანიძე), რომლის სათაურია: „ი. გვარჯალაძე და ე. ლებანიძე, ქართულ-ფრანგული ლექსიკონი“. ავტორი აღნიშნავს, რომ ლექსიკონი შედგენილია მეცნიერული პრინციპების საფუძველზე და დიდად შეუწყობს ხელს ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. იგი წერს: „ი. გვარჯალაძისა და ე. ლებანიძის მიერ შედგენილი „ქართულ-ფრანგული ლექსიკონი“, რომელიც 1971 წელს გამოსცა „საბუთო საქართველომ“, დიდ სამახურს გაუწევს და მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს კულტურული ურთიერთობის განვითარებას საქართველოსა და საფრანგეთს შორის, აგრეთვე სხვა ქვეყნებს შორის, სადაც ფრანგულად მეტყველებენ. წიგნი შედგენილია მეცნიერული პრინციპების საფუძველზე და შეიცავს 663 გვერდს. ავტორები 612 გვერდიდან ბოლომდე გვთავაზობენ „ქართული ენის გრამატიკის ალბომს“, რომელიც წარმოადგენს ქართული ენის გრამატიკის ძირითად წესებისა და ამ წესთა შესაფერისი სქემების კრებულს, რაც ძალიან საინტერესოა. წიგნი გამოცემულია ათი ათასი ტირაჟით.

ასეთი კარგი, საინტერესო ლექსიკონის გამოცემისათვის ავტორები უღრმესი მადლობის ღირსნი არიან“.

პროფ. რენე ლაფონი შემდეგ განიხილავს გამოცემილობა „მეცნიერების“ მიერ 1972 წელს გამოცემულ სტატიების კრებულს „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. ავტორი განსაკუთრებით ჩერდება აკად. არნოლდ ჩიქობავას სტატიაზე, რომელიც ქართული ენის ფუნქციებს შეეხება და მას მძალად შეფასებებს აძლევს.

დიდი ფრანგული ძურნალის „რევიუ დე ქართველოლოჯის“ როლი ქართულ-ფრანგული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში.

# ნიმუ თხრიშვილი

მეოცე საუკუნის ოციან წლებში, ქართული პერიოდიკის პრესის ფურცლებზე, მკითხველთა ყურადღება მიიპყრო მანამდე სრულიად უცნობი ავტორის ლექსებმა, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე — ნინო თარიშვილი.

ახალგაზრდა პოეტ ქალს იმათივე ქართველი ანა ახმატოვა შეარქვა პოეტმა პ. იაშვილმა. ასეც იყო ნ. თარიშვილის ნაზი ლირიკა, ღრმა კეთილშობილური აზრებითა და პუმიანიზმით, ქეშმარიტად მოგაგონებდათ რუსეთის ცნობილი ნიქიერი პოეტის ანა ჰამატოვას პოეზიას.

ანა ახმატოვაზე მაშინ შეეყვარებული იყვნენ ელ. შაიკოვსკი, ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე, ალ. აბაშელი, საერთოდ „ცისფერყახვლები“. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ნ. თარიშვილის გამოჩენისთანავე პ. იაშვილმა თავი დაანება ქალის სახელით ლექსების გამოქვეყნებას.

— რაკი თქვენ გამოჩნდით, დღეიდან მე ხელს ვიღებ ქალის სახელით ლექსების წერაზეო, — უთქვამს პოეტს ნინოსთვის.

საქმე ისაა, რომ მაშინ პ. იაშვილი — ელენე დარიანის ფსევდონიმით აქვეყნებდა ლექსებს.

ასევე თბილად გამოეხმაურა ნიქიერ ახალგაზრდა პოეტ ქალს პოეტი ი. გრიშაშვილი.

დღეს ბევრმა არ იცის, რომ თავისი ცნობილი ლექსი „პატარას“, მან ნინო თარიშვილს მიუძღვნა:

შენ კი მტრფი, პატარავ, მაგრამ აბა, რაღა დროს, ლამის სედამ ეს გული ამოსწავს და დადავროს, ლამის კუბოდ ვადმეკცხვ ზეციურნი თავანი, ლამის მშუც კი დავწყევლო, მთვარის ავანჩავანი.

ნინო თარიშვილი გატაცებული იყო ი. გრიშაშვილის ხალასი ნიქით, მისი პოეზიის მომ-

ხიბელილი პანგებით, ან ვინ არ იყო მაშინ გატაცებული ი. გრიშაშვილით!

მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული ახალბედა პოეტი ქალისათვის იყო ი. გრიშაშვილის ლექსების პირველი წიგნი, რომელიც მან თავისი თბილი წარწერით ნ. თარიშვილს სახლში გაუგზავნა.

„ჩვენს ქვეიან პოეტს ნინო თარიშვილს!“ — წერდა ავტორი.

დიდხანს ფიქრობდა ნინო, რით გადაეხადა პოეტისათვის მადლობა. ბოლოს გადაწყვიტა ლექსით ეპასუხა:

მარტო ვარ, მარტო, მტრედისფერ წიგნით, სიყვარულს ვატან ლექსებს პრობლემათ; ოცნების ბორბალს შეეყვები წიგნით, მე და ეს წიგნი დავრჩით ობლებად. („შენი წიგნი“).

ლექსი მოეწონა ი. გრიშაშვილს. იგი თავის მეგობარს ელენეს (ელენე შარვაშიძეს) ათარგმნინა რუსულად.

სწორედ ამის შესახებ წერს ახალგაზრდა პოეტი ქალი:

ვიგონებ ელეს „პატარას“ თარგმანს, ღიმილს რომ ვევაძლით მარწყვის თასებით, წარსულის ლანდი დღევანდელს არ ჰგავს და ცა ელვარებს ვერცხლის თასმებით („შენი წიგნი“).

— მომეწონა შენი წიგნი, დიდებული თქმაა — „და ცა ელვარებს ვერცხლის თასმებით“, კარგად ხედავ ახალ ცხოვრებას. გამარჯვებას გისურვებ პოეზიის გზაზე, — უთხრა მას ი. გრიშაშვილმა.

პოეტის გულწრფელი სიტყვებით წახალისებული ნ. თარიშვილი გაზეთ „ტრიბუნაში“ აქვეყნებს ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილ მეორე ახალ ლექსს.

მიუხედავად ი. გრიშაშვილის პოეზიის გავლენისა ნ. თარიშვილს თავიდანვე ჰქონდა ნამდვილად საკუთარი და თავისებური პოეტური

ზმა, რომლის შესახებ თავის დროზე შესანიშნავად თქვა ქრისტეფორე რაპველიშვილმა, — ქართული პოეზიის თავივლს კიდევ ერთი სურათლოვანი ყველი შეემატა.

თავის თანამედროვე პოეტ ქალებს შორის ნ. თარიშვილი ყველაზე ახალგაზრდა იყო.

საფო მგელაძე, დომინიკა ერისთავ-განდუგილი, კატო შიქელაძე, ბაბილინა ხოსიტაშვილი, ლილია მეგრულიძე და სხვა უკვე სახელმწიფო მწერლები იყვნენ.

კარგად ასოვს ნ. თარიშვილს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, უკვე ღრმად მოხუცებული ეკ. გაბაშვილი, ენერჯითა და სიცოცხლით საცხე, დაუღალავი მებრძოლა მწერარი ქალი ნინო ნაკაშიძე და სხვები.

ნ. თარიშვილი ამ ქალბატონ მეგობარობდა, მათთან მოღვაწეობდა. უფროსი თაობა პოეტი ქალებისა აფასებდა მის ნიჭს, ანგარიშს უწევდა მის აზრსა და ლიტერატურულ გემოვნებას. საფო მგელაძემ ექსპრომტიცი კი მიუძღვნას მას:

გაფუფ... საღამო ინტიმური.. ვსვამთ მრავალ  
კითხვებს,  
დამიგმეს აზრი, გამიციხეს მე, ადექი შენ და  
გამომესარჩლე.

აიშართე, ვით ელვა, ვით ხე.  
და ეს ლამაზი აღმოფოთება ისე დაგშვენდა,  
რომ მოვიხიბლდე, განვიცადე რადაც ახალი,  
ვიფიქრე: ნეტავ, ამ ოცნებას ბედი ვის მისცემს;  
მომწონდა შენში წმინდა სული, ამაყი ქალი.  
„გარიბოლუი წერილი“.

ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი წლები, ახალი გზის, ახალი სიტყვის, ახალი ფორმის გამონახვისა, როცა მწერლობა და ხელოვნება ხალხის საკუთრებად, მშრომელი ხალხის ცხოვრების სარკედ იქცა.

კარგად ასოვს ნინოს 1922 წელი. ხელოვნების სასახლის წინ, მათთვის გამზადებულ ეტლთან, თავი მოიყარეს პოეტებმა და მწერლებმა, ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე მონაწილეობის მისაღებად. უცებ ტიციან ტაბიძემ დაიძახა:

— წინადადება შემომამქს ეტლის კოფოზე,  
ჩენი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ქალი ნ.  
თარიშვილი დავსვით, როგორც წმინდანი. დე,  
მან გაგვინათოს გზა.

ნინო მორიდებულად ავიდა კოფოზე. ეტლი დაიძრა.

ამ ლამაზ ეპიზოდთან დაკავშირებით, მალე ეურნალ „ქართულ მწერლობაში“ ნ. თარიშვილის ერთი საინტერესო ლექსი დაიბეჭდა „პორტრეტების“ სახელწოდებით.

ქართულმა პოეტებმა იცნეს თავის თავი.

— ჩვენ რომელი ვართ? რომელი? — ეკითხებოდნენ პოეტ ქალს.

მოდის დაღლილი ქალბატონი წყვილი  
ტრისტული  
გრძელი თითები ანთებული პაპირსწვდა,  
დამთვრალ შუა დღის სომხაბული და წესიერი,  
მტკრიან ჭუნების აშლილობით არ იმოსება.

— ეს მე ვარო, წამოიძახა ლექსის წაკითხვისას ტ. ტაბიძემ.

იღვრება ლექსი ქვევრებიდან, როგორც  
კახური,

ტიშინ ფიქრებს აფეთქებს მღელვარ სისხლი,  
მოდის ყამირი ჯანსაღობა ჭერ არ ნახული  
და ანტონივით ძველი გვარის სიღარბისლით,  
აქ გოგამა (გიორგი ლეონიძემ) იცნო თავის თავი.

ამაყი შუბლით გამონდებდა პოეტი ცხელი.  
დამრძელ ქორივით აიფარებს სისხლიან წარმას.  
გამარჯვებული გაფრინდება შლეგიან ცხენით,  
და ჩამოანგრევს უნაზესი სიტყვების არმას.

— ეს, პაოლო, პაოლო, — შესძახეს პაოლო იაშვილს პოეტებმა.

სიე საინტერესო იყო ნინო თარიშვილის მწერლობა გზა.

ლექსების წერა ნინო თარიშვილმა სკოლაში დაიწყო.

— როგორც კი წერა ვისწავლე, ლექსიც დაეწერეო. დამცინოდნენ ახლობლები, როცა ჩემი პირველი ლექსი სპილენძის ქვებს მიუძღვენი „ჩემი თანგირა“.

დიდი გავლენა ჰქონდა მომავალ ახალგაზრდა პოეტზე ცნობილი ბენედიქტისის ვასილ ბარნოვის ოჯახთან სიახლოვეს.

ვასილ ბარნოვის ქალიშვილი მარგარიტა ბარნაველი ნ. თარიშვილის კლასის უფროსი მეგობარი და ამხანაგი იყო. თითონაც მოთხრობებს წერდა. ბარნოვი თვალყურს ადევნებდა ქალიშვილის ლიტერატურულ გატაცებას — აბა, ახლა რომელ ფასკუნჯს ჩაუფდებ პირში შენს ლექსსაო?! ეტყოდა ქალიშვილს, როცა ნ. თარიშვილმა უკვე თავისი ლექსების გამოქვეყნება დაიწყო. (ფასკუნჯში ეურნალ-გაზეთებს გულისხმობდა მწერალი).

მალე ნინო თარიშვილი უმაღლეს სასწავლებელში სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. დამთავრა ფილოსოფიური ფსიქოლოგიური დარგები, ხოლო 1941 წელს ასევე წარმატებით დაასრულა ასპირანტურა დასავლეთ — ევროპის ლიტერატურის ისტორიაში, ფრანგული ლიტერატურის სპეციალობით და ასპირანტურის დამთავრების პირველდღიდანვე უნივერსიტეტში დაიწყო თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

ნ. თარიშვილი დღესაც კითხულობს ლექციებს საზღვარგარეთულ ლიტერატურის, ზოგადსა და ფრანგულ ლიტერატურის სპეციალურ კურსებს: ქართული, რუსული და ევროპული ფილოლოგიის სხვადასხვა ფაკულტეტებზე.





შეუმჩნეველად განვლო 32 წელიძე. ნ. თარიშვილი კვლავ ხალისით მუშაობა ახალგაზრდებთან, ბედნიერად მიიჩნია თავისი თავი. ახალგაზრდობის აღზრდის დიდ საქმეს რომ ემსახურება.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რადიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობს ნ. თარიშვილი მეცნიერების ამ დიდებულ ტაძარში, როგორც შესანიშნავი სპეციალისტი, საინტერესო ადამიანი.

რატომ დანება ნ. თარიშვილმა თავი პოეზიას, ბუნებრივად იეთხავს ყველა, ვინც იცნობს ნ. თარიშვილს, როგორც პოეტს ვისაც უსაუბრია მისთან, ვისაც მოუხმენია მისთვის, და მისი ერთი ან ორი ლექსი წაუკითხავს.

აია, ნ. თარიშვილს თავი არ დაუნებებია პოეზიისათვის. ქეშმარიტად პოეტად დაბადებულს, ამის უფლება არც ჰქონდა, მაგრამ მეცნიერების სამსახურში მყოფი, ვერ ახერხებდა ამ მხრივაც ეზრუნა თავისი ლექსების გამოქვეყნებისათვის, თუმცა ერთი კია, ახალგაზრდობასთან ახლო ყოფნამ, მათზე ზრუნვამ, ნამდვილად გადაატანინა პოეტ ქალს პოეზიასთან განშორების გულსტიკევილი.

ახლაც გულგრილად ვერ წადახედავს ნ. თარიშვილი თავის პოეტურ წარსულს, რამდენიმე გამარჯვება, აღმადგენია, ხისარული ახსოვს მას ამ გზაზე. ვგრძნობდი, რომ ძალიან ღრმად ევიკრებოდი ჩვენი კითხვებით მის სულის სიღრმეში, მაგრამ ნინოს შემოქმედებით დაინტერესებულს სხვა გზა არ მქონდა.

როდის მოხდა ნ. თარიშვილის პოეტად აღიარება, როდის შეიცნო ქართველმა საზოგადოებამ მისი ხალისი პოეტური ნიჭი? მაშინ, როცა ნინომ მწერალთა ტრიბუნადან, ხალხმრავალ დარბაზში თავის მოკალმეების გვერდით, პირველად წაიკითხა თავის ახალი ერთ-ერთი სიუკეთესო ლექსი ჩემს ტოლგზას.

ლექსი ჩერ კიდევ დაუბეჭდავი იყო. თვითონ პოეტად არ მოელოდა ასეთ რეზონანსს. ლექსის წყაიობვა მეორედ სთხოვეს:

ვიცი, რომ მზითვად არ მომცემენ „ფეხბისცუაოხანს“ არც წახალბად დაკეცავენ ქირმანის შალბებს, არც ქართულ კაბას ჩამაცემვენ ჭვარის საწერად, არც ვერცხლის ქამარს მომაგლებენ ღარღიან წელზე. დავიმალევი

სიყვარულის ციხევერ სუნთქვაში. დიდი იქნება აღტაცება მზე გამართული, უხვი კოცნებით, ვით კახეთში ღვინის

მარნები და სადღევარმელის მოიტაცებს სიტყვა ქართული.

ლექსის მაღალმა პატრიოტულმა გრძნობამ, მშობლიური კახეთის კოლორიტმა, გენახების,

ზვრების, მარნების ცოცხალმა სურათმა, ააღვლეა დამსწერი საზოგადოება. ორი აზრი ატარებდა ყოფილა იმის შესახებ, რომ ნ. თარიშვილს სახით, პოეზიაში მოეღა ნიკეერი პოეტი ქალი.

ნინოს ბევრი თყვანისმცემელი გამოუჩნდა, ბევრი ადგენებდა პრესის ფურცლებზე თვალს მის ახალ პოეტურ ხმას.

ახალგაზრდები იტაცებდნენ ნ. თარიშვილის ლექსებს, სწავლობდნენ ზეპირად, ერთმანეთს უწერდნენ რეველის ყდაზე, უბის წიგნაკში, ქალიშვილები კითხულობდნენ საჯაროდ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის მხატვრულ ერთხეაში.

ამასთან დაეკვირვებოთ საინტერესო პოეტ შ. ამისულაშვილის მოგონება.

„სამამულთ ომში მყოფს ბლინდაკეში, სანკრებში, თევობით ტანზე გაუხდელს ისე არაფერი მომნატრებია, როგორც ნ. თარიშვილის ლექსი „ჩემს ტოლგზას“ — თბ, ერთი კი წამაკითხა ნ. თარიშვილის ლექსები-მეთქი, რა სიამოვნებით დავიბრუნებდი სიკაბუკურ ძველებურ მღელვარებას, ხალისს, ფიზიკურ სიმავრებს, ხასიათის შეუპოვრობას. მე რატომღაც ვგრძნობდი, რომ ამ ლექსში მოცემული გულწრფელი განცდა მშობლიური მიწისა, სიოცრად ემწყობრებოდა ჩემს სულიერ განწყობილებას.

ჩემი ხასიათის ჩამოყალიბებაში, ჩემ პოეტურ განწყობილების შექმნაში, უკაველად თავისებური წვლილი მიძღვდის ნ. თარიშვილის ლექსებს“.

გულწრფელია პოეტი შ. ამისულაშვილის განცხადება. მას შემდეგ საკმაო დრომ და წლებმა განვლეს, მაგრამ მას დღესაც არ ავიწყდება თავისი სიკაბუკისდროინდელი ვატაცება ნ. თარიშვილის ლექსებით. აღხაბანს თავის ლექსების კრებულში შეიტანა პოეტმა ნ. თარიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „მეზვერე“.

კარგად შეიკრძნო შ. ამისულაშვილმა ნ. თარიშვილის პოეზიის სურნელება, სამშობლოსადმი სიყვარულის დიდი გრძნობა.

ჩვენ ეხედვით კახეთს მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვეყნებით, შევიცნობთ მიწის სიჭანსაღეს, გვესმას დიდი სიოცხლისა და მარადისობის პიმი, კახური მრავალფეროვრი და სხვა.

მაშულის ტრფიალებს დიადმა გრძნობამ ათქმევიან პოეტ ქალს:

მე ვარ ყამირი გაუტეხავი და მიწას სიციხე არ მოაკლდება, რადგან შეხვედრის სიტყვათა სვავი ჩემი კოცნისგან მოვარაუდება. („უსხათაური“)

ნინო ჩინაზძე  
ნინო თარნიშვილი



როცა ეს ლექსი ნ. თარიშვილმა მწერლებს ფართო საზოგადოებაში წიკოთხა, „ცისფერ-ყანწულები“ აღფრთოვანებით შეხვდნენ ახალგაზრდა პოეტ ქალს:

— ყოჩაღ, ნინო, ნამდვილი რეალიზმია, — არსად არ არის სანტიმენტალობა.

ახალი იყო ნ. თარიშვილის პოეტური ხმა, ლექსის ხასიათი, ტემპერამენტი, შემართება:

ჩემში მოვარდა მზის ნიაღვარი,  
პერეთის ვნება, ვაჟის ამბოხი,  
მავრამ გულში მაქვს მძიმე ნადველი  
და ვიღუპები, როგორც ზამბახი.  
ხელებს სიწუმე შეიხო მკაცრი,  
ვით ირმის ნუკარი ტოტს გამოშვებრის,  
დამდეგს სიზმარი შემოსაძარი  
და სიკვდილიც კი ვეღარ მიშველის.  
(„უხსათაურო“).

ნინო თარიშვილის სამწერლო ასპარეზი, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს დაემთხვა. ძველი სამყაროს ნგრევის გრანდიოზულ აქტს აღფრთოვანებით შეხვდა ქართველი ხალხი, მავრამ მწერლობა ჯერ კიდევ როდი იყო თავისუფალი ბურჟუაზიული გავლენისაგან. თანდათანობით იგრძნობოდა დაწყებული ბრძოლა თავისუფალი ლექსის შექმნისათვის, ახალი, მხატვრული საზომები, დამკვიდრებისთვის.

შესამჩნევი გახდა სხვადასხვა ლიტერატურული ჯგუფების დაშლის პროცესი და სხვ.

ასეთ გარემოში ახალგაზრდა პოეტი ქალის ნ. თარიშვილის პოეტური ხმა, ქემპარტიად, ახალი მოვლენა იყო. იგი შეგნებულად შეხვდა ჩვენს სინამდვილეში მომხდარ სოციალურ ძვრებს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების სურათი ასე გამოხატა მან თავის ერთ ლექსში:

მზე ეხეთქება სიცოცხლს დამბებს,  
ყოფნას ჩაუდგა სხვა ხაზირაკელი,  
ერთხელ ოქტომბრის შუადღის დამდეგს  
ეს გამარჯვება ახლა პირველი .  
(„შორიდან“).

ხოლო როცა ახალგაზრდა პოეტმა გამოაქვეყნა თავისი ახალი ლექსი „მომეციო სიტყვა“, აქ უკვე სრულყოფილად გამოჩნდა მისი პოეტური შემოქმედებითი ნიჭი, მისი პოეტური ალღური შესაძლებლობა, თავის დროის, ეპოქის შეცნობის ძალა:

მომეციო სიტყვა, მე დღეს მინდა გული  
ავხადო,  
გული ვით ქვევრი, ჩვენს მარანში  
პირაუხდელი.  
რისთვის მამსგავსებთ დღით მოვარდნილ  
გარეულ ნადირს,  
თვალზე მატყვია სისხარულის ნაფეხურები,  
კუწიან ხევში სალოცავად არავინ დადის.

მაღლა ღრუბელი დარინინობს, როგორც  
ფიქრს ფეხმოკეცილს დარჩა ლექსის

ნავენახარი  
და მზეს სირბილით, ხომ ვერავენ ვერ  
დაწვივა.

არავის უნდა ხის ნაყოფი ფეხქვეშ ნაყარი,  
სიტყვა ნამდვილი სივრცეებში გადაეცემა.  
მომეციო სიტყვა სინამდვილის გამომძარახველი,  
გვეყო მუნჯაურად შეხვედრაზე რაც  
წარმოითქვა,  
და ქვეყანაზე, თუ იშლება მზე ჭოღგასავით,  
მომეციო სიტყვა! მეგობრებო, მომეციო  
სიტყვა.

როგორც ხედავთ, პოეტის შთაგონების წყარო თანამედროვეობაა. იგი ღრმა პატრიოტულ გრძნობით უმღერის თავის საყვარელ ახალ ქვეყანას, მხრებგაშლილ სოციალისტურ საქართველოს.

საერთოდ, მის ლექსებში ცხოვრება მარადიულ მოძრაობასა და განვითარებაშია დანახული. უკეთესი მომავლის პერსპექტივით, დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებით.

ნ. თარიშვილის ლექსები იბეჭდებოდა იმდროინდელ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში „ლიონში“, „ბახტრიონში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, „ქართულ მწერლობაში“, „ქალთა ალმანახში“, „რუბიკონში“, „მნათობში“ და სხვა.

1926 წელს გამოიცა ნ. თარიშვილის პირველი და შეიძლება ითქვას, უკანასკნელი წიგნი „მზეზე“, რომელშიაც შევიდა მისი საუკეთესო ლექსები.

ნ. თარიშვილის შემოქმედების თემატიკა პირველ ხანებში, უშუალო, წმინდა პატრიოტიზმით განისაზღვრა: „ღელა“, „ომი“, „ქალაქი“, „ალარ მინდა“, „ნიკო ლომოურის ხსოვნას“, „შემოდგომა“, „აჟ. წერეთლის დასაღლავეზაზე“ და სხვ.

ეს ის ლექსებია, რომელშიც ახალგაზრდა პოეტი ქალი უმღერის საშობლოს და თავის საყვარელ ქართველ ხალხს.

შემდეგ წლებში, უფრო ღრმადება და ფართოდება მისი შემოქმედებითი პალიტრა, იგი უფრო ფილოსოფიურ — ასპექტში გადადის და ახლა პატრიოტიზმთან ერთად უმღერის სიყვარულს, მეგობრობას, მშვიდობას.

ნ. თარიშვილი, უპირველეს ყოვლისა, ლირიკოსი პოეტი. ყოველი მისი ლექსის სტრიქონი უშუალო, გულწრფელი და ღრმა განცდის ნაყოფია:

ჩვენ თუ ორივეს გრძნობა დაგვცნება,  
დავწერავთ განცდებს, ვით მწიფე მტევანს,  
ვნება ავისხათ ტანზე ჩაგნებად  
და წინ გაუსწროთ ადამ და ევას.



ზღვას ჩაეხტაროთო დაშლილ ზოლებად, დღე ღამე ვკრიფოთ და ღამე დღისით, გრძნობა აღერსით ვიწვამება და ვერ ვახდება სხვა ჩვენი ღირსი. (ფერმკრთალი ქარი“).

ნ. თარიშვილის ლირიკა მომხიბვლელია, საოცრად ფაქიზი, პაეროვანი და გამპერვირალე, მაგრამ ამავე ღრის მიანეწეზღელია ადამიანის ძლიერი ნებისყოფისა და გაუტეხავი სულისა:

მზეს დავაწყვითაც სამეფო ქაჩრებს,  
არ მეშინიან ქარის და შფოთის.

აქ სიცოცხლის, სილამაზის პოეტური აღქმა, უკეთ გამოხატვა ადამიანის შემართებისა წარმოუდგენელია.

ეგლოთ თუნდაც მისი მეორე ლექსი „მზე“. ეს პოეტური აზროვნების ჭეშმარიტი შედეგია:

ფოთლები ნაზად უკრავენ თარებს,  
შენი ხელები მოკლენ ირმებად,  
სიცოცხლეს ვერვინ ვერ დაამთავრებს,  
უოუოდ ყველა გადაირევა.

პოეტურად არის ნათქვამი, მეგრამ ცხოვრებისეული დიდი ჭეშმარიტებაა. ადამიანს თავისი სათქმელის დასამთავრებლად ნამდვილად ასი სიცოცხლეც არ ეყოფა, ამბობს პოეტი.

თავისებურად, ახალი, გაუცვეთელი ფორმებით ხატავს ნ. თარიშვილი სიყვარულის შთამავონებელ, მაცოცხლებელ ძალას:

ჩვენ ძლივს ვიპოვეთ ერთმანეთი, არვინ იცოდა,  
წამი ძვირფასი გავაფრინეთ მთვარესთან მძევლად,  
დღეს შენც მისხვდები, მოგონებამ არ დამიკადა  
და შრიალებენ პასუხები, რომ იყო ძველად.  
ოჰ, ჩემს ცოლქმრობას შენ უწოდებ მგონია  
დალატს,  
თეთრი იები გაიშალა მწუხარე აზრთა,  
ციცფავ, შენს გარდა სხვა ჩემს ღიქრებს ვერ  
შემორკვლავს,  
ჩვენ სურვილებში დავაწყვდიეთ დღე  
ახალგაზრდა.

დაგვიანტერესა ნ. თარიშვილის ერთ-ერთმა დაწერილმა ლექსმა „ლექსის ფალავანი“ — ვინ უნდა იყოს მისი ადრესატი, ვის გულისხმობდა ნინო თავის ღრის ლექსის ფალავანად?!

ლექსი მიძღვნილია თავის თანამოკალმე ნიკერი საბუთო პოეტ პაოლო იაშვილისადმი, რომელმაც პირველმა მონათლა ნინო თარიშვილი ქართველ ახმატოვად:

შინი წამწამები კიდევ მაკოცებენ,  
ღარდებს ვააციუნებს ვნების ქარავანი,  
დაშფრთხალ სონეტებთა ფარდა იყევება  
და ხარ პოეტებში ლექსის ფალავანი.

ნ. თარიშვილის ბევრი კარგი ლექსი თავის ღრის საზოგადოებრივ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. მართალია, იგი მოკლე ხნით, მაგრამ თავის თანამდროვე საბუთო პოეტებთან პ. იაშვილთან, ტ. ტაბიძესთან, ი. გრიშაშვილთან, ე. გაფრინაძეშვილთან ახლო იყო და მათ პოეტურ კულტურას არ შეეძლოთ თაკისებური გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდ პოეტი ქალის შემოქმედებაზე.

საინტერესოა პოეტური შემოქმედებითი ცხოვრება... თვითონ ნინოსთვის რომ არ გვევკითხა, ალბათ ვერც გავიგებდით მისი ერთი ლექსი, „მიმოზა სახარზობელაზე“ რასთან დაკავშირებით დაიწერა.

ამ ლექსის დაწერის მიზეზი ყოფილა ი. გრიშაშვილთან მომხდარი პატარა კონფლიქტი. მგოსანზე გაჯერებული ახალგაზრდა პოეტი ქალის შერაგება ი. გრიშაშვილს ყვავილების გაგზავნით დავაწყვითა.

ნ. თარიშვილს აღუღებულ გულზე ეს გამოგზავნილი ყვავილები გველუბად მოსჩვენებია და მისი ჩამოხრჩობა წიგნის ორ ფურცელს შორის განუზრახავს:

ტუნებს მოუნდათ პასუხი ვრცელი,  
მეგრამ მიმოზა მიშვარდა გველად  
და ძველი წიგნის ორი ფურცელი  
მას მოუშალე მე სახარზობელად.

როგორც ვხედავთ, საინტერესოა ნ. თარიშვილის შემოქმედება, მისი მოვლენათა აღქმის თავისებურება.

ნ. თარიშვილი იყო პირველი საბუთო პოეტი ქალი, რომელმაც თავის ლექსებში გულწრფელად ალაპარაკა თანამდროვე ქალი თავისი ჩვეულებრივი ბუნებით, ფსიქოლოგიით და უჩვენა საზოგადოებას ქალის საინტერესო სულიერი სამყარო.

ეს სითამამე ქალის განცდათა გამოხატვისა პოეზიაში, მას „ცისფერყანწვლებმა“ „გაბედინეს“, რომელნიც გრძნობების სრულ თავისუფლებას ქადაგებდნენ:

მოელო თითებს ვნებების ცეცხლი,  
ცხელ მკლავებს უნდა მიწას გაეკრას,  
მე არ მეყოფა ერთი სიცოცხლე  
და არც გავყვები უმწეო გერანს.  
(„ლორნეტი“).

ნინომ გაბედულად ჩაახედა მკითხველი ქალის გულში, რომელიც პოეტებს რაღაც საბურველით გამოჰყავდით პოეზიაში.

ჩვენ სიმწუხარე თავიდან აგვცდა,  
მოგველოდება ღმერთი ეროსი,  
ტანზე მეხვევა მდიდარი განცდა

ნინო ჩიხლაძე  
ნინო თარიშვილი



და სურნელება საქართველოს.  
(„ლორნეტა“)

სწორეთ აქ იყო ნ. თარიშვილის პოეზიის სი-  
ახლე, კემპარტიად ახალი იყო სიმბოლისტი-  
ების „ცისფერყანწელები“ გვერდით ნ. თარი-  
შვილის პოეზიის რეალისტური ხასიათი.

ეს ის დროა, როცა მიდის დრომოქმედი და  
ძველი, საფუძველი ეყრება საბჭოთა პოეზიის  
ახალ ფორმებს.

საბჭოთა პოეზიის განვითარებასთანაა დაკავ-  
შირებული ნ. თარიშვილის პოეზია.

ვერც ერთი კრიტიკისი გვერდს ვერ აუვლის  
ამ დროის ერთ-ერთ უნიკერეს წარმომადგე-  
ნელს ნ. თარიშვილს, რომელმაც მთელი თავი-  
სი გულწრფელობით უმღერა ახალ ცხოვრე-  
ბას, დიდ ოქტომბერს და მის მიღწევებს:

მაშინ ცხოვრება გზა დღევანდელი,  
გავდა ზაფხულში დაკრფილ ვენახს,  
მაგრამ სად იყო ფიქრი ამდენი,  
დადგე რომ ამიძებებს რუსთავლის ენას.  
მზე ეხეთქება სიცოცხლის დამბებს,  
ყოფნას ჩაუდგეს სხვა საძირკველი,  
ერთხელ ოქტომბრის შუადღის დამდევს  
ეს გამარჯვება ახლა პირველი.  
(„სორიდან“)

ნ. თარიშვილი მთელი თავისი ფიქრებით,  
გრძნობებით უშუალოდ დაკავშირებულია სამ-  
შობლოს მიწასთან. პატრიოტიზმი, სიყვარული,  
რომანტიკა ერთნაირი ძალით შერწყმულია მის  
ლირიკულ ლექსებში, ამიტომაც რომ ახალ-  
ცხოვრებით აღფრთოვანებული პოეტი ამბობს:

დროთა გრიგალი მეც გამაზარებს,  
ჩაგორც თვალეში მწეში ნარბენი,  
დასდევს მინდორი მტევანა ხარებს  
და მზით ივსება ჩვენში მარნები.

ნ. თარიშვილის ლექსებში ნამდვილი ქართ-  
ველი პოეტი ქალის ხმა მოისმის. გაბედული  
სიტყვა, უშუალობა, ტემპერამენტი საოცარ  
სიცხეველეს აძლევს მის პოეზიას.

დაგროვილ ცაცხლით გავუძღვებ მყინვარს,  
დავაბატრევე მწიფე ალუბლის ტოტებს,  
ნაწვალეფ ფიქრის სიფიფე მიყვარს  
სალამის დარდი ვერ ამაშფოთებს.

ფართოა პოეტი ქალის დიაპაზონი, იგი  
შორს იყურება და ნამდვილა ობტიმისტურა  
განწყობილებით უმღერის სამშობლოს მომა-  
ვალს:

დრო დაიმონებს მზეს, მთვარეს, სივრცეს,  
საკუთარ ღერბით გადიფრენს აზრი  
და რომ განცდებთ ჭოჭოხებს მივცე,  
არ დამეირდება მახვილი ბასრი.  
(„გონდოლები ცაში“)

ნ. თარიშვილის ლექსები თითქმის ყველა  
ლირიკული ხასიათისაა. საოცრად ნაზი, გამ-

კვირვალე და ფაქიზი, მაგრამ ომნიბიანე და  
ვაჟაკურიც.



დაკვირვავე ლოდინს, ვით ქამასლოს,  
ამედევნება ხალამი გრილო,  
სიბნელემ ცრემლი გამოიზოგოს,  
დღეს უნდა დამე ჩამოვანგარიო.

მდიდარია ნ. თარიშვილის პოეტური საქურვე-  
ლი. ამ უკანასკნელით იმის თქმა გვიწევს, რომ  
საოცრად ორიგინალურია მისი პოეტური აზ-  
როვნების დამოუკციის სამუოველები:

დიდებული თქმაა „ნამოქცნა დარდი რო-  
გორც ზაფრანა“ ანდა „ძილა იტყვის მძიმე  
სამძიპარს, ვით წამამებზე დამდნარი თოვე-  
ლი“, „იყო გმულილი კონათა კალო, ვით კი-  
ბის კალთა შემოსაბლანდი“, „დამდევს სიზმარი  
შემოსატაძირი“, „იმედი გარბის ვით სირაქლე-  
მა“, „მზე მოკედება გული დაიხურება“, „გა-  
ნილის ცისფერ ნაწნავებს“.

ასევე კარგია: „ხელებს სირუმე შეეხო —  
მეკაცი, ვით ირმის ნუკრი ტოტს გამოშვე-  
რილს“, „ფიქრები დეაწყვე როგორც სიგარე-  
ტი“, „მზესუმზირას მარაო“ და სხვა.

ნ. თარიშვილს ქართული სიტყვის შესანიშ-  
ნავი ალლო და შეგრძნება აქვს. მას ეხერხება  
ქართული სიტყვის მაღალი მხატვროლობა, მი-  
სი მოდრეკა და დამორჩილება. იგი კემპარტი-  
ტად ნატიფე გემოვნების პოეტიცა .

ნ. თარიშვილი საინტერესო მთარგმნელო-  
ბით მუშაობასაც ეწეოდა. მის მიერ მთარგმნე-  
ლია პ. ვერნელის ცნობილი ლექსი „წვიმის ჩემს  
გულში“, „ამ მთვარის შუქი“. რასინის —  
„ფედრა“, პოლ ვიანს კუტურეის, ანრი ბარბიუ-  
სის „საბჭოთა კავშირის“, „ერთადერთი იმედი“  
პოლ ელუარის „თავისუფლება“ და სხვა.

ნ. თარიშვილს აქვს ბევრი კარგი გამოუქ-  
ვეყნებული ლექსი, რომელიც უდავოდ საინტე-  
რესოა თავისი ლირიული უშუალობით.

თუ მეოცე საუკუნის პროგრესიულთა აზ-  
როვნების ორბიტაში დღეს დგას ადამიანი —  
რომლის მომავალ ბედნიერებისათვის მიმარ-  
თულია მთელი მსოფლიოს ყურადღება, ნ. თა-  
რიშვილის პოეზიაც ხომ კემპარტიტად ამ ადა-  
მიანს უმღერის.

თუ პოეზიაში უნდა აღამაღლოს ადამი-  
ანი და შექმნას მისი სიცოცხლის, სილამა-  
ზის პარმონია, ამ მხრივ იმ პოეტ ქალს, რო-  
მელსაც შეუძლია ასე თქვას — „ცხელი მზე  
მინდა მეჭიროს ხელში“ ღირსია ქართველი  
საზოგადოების ყურადღებისა და დაფასებისა.

დროა, საფუძვლიანად შეგწავლიათ იქნეს  
ნ. თარიშვილის ლიტერატურული მემკვიდრე-  
ობა, გამოიყენს მისი ლირიული ლექსების რჩე-  
ული, რომ ჩვენ მომავალ თაობებს არ დეიკარ-  
გოს საბჭოთა ნიჭიერი პოეტი ქალის ნ. თარი-  
შვილის კემპარტიტად პოეტური ხმა.

# შეიქრებო ლიტერატურაზე

ლიტერატურული, მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოები, მოკლებული ყოველგვარ „თხრობას“

არა მგონია, რომ „თხრობას“ მოკლებული ნაწარმოები სხვებზე უმჯობესი იყოს. აი ამიტომაც არ ვქადავებ: მხოლოდ „თხრობას“ მოკლებული ნაწარმოები წერეთ-მეთქი. უწინარეს ყოვლისა, ჩემი ნოველებიც მეტნაკლებად „თხრობითია“. სურათის შექმნა უესკიზოდ არავის ძალუძს. ასევე პროზაული თხზულებაც „თხრობაზე“ ფუძნდება (სიტყვა „თხრობას“ მარტო „მოთხრობის“ მნოშენელობით არა ვხმარობ). პირდაპირ უნდა ითქვას, ნაწარმოების შექმნა „თხრობის“ გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია და ბუნებრივია ჩემი მოწოდებაც თხრობაზე დაფუძნებული ნაწარმოებებისადმი.

განა შეიძლება სხვანაირად მოვიქცეთ, როცა ჩერ კიდევ უხსოვარ დროს „თხრობაზე“ დააფუძნეს „დადნისი და ქლოე“, ყველა სხვა პროზაული ნაწარმოები და ეპიკური პოემა. „ქალბატონ ბოვარის“, „ომი და მშვიდობის“, „წითელი და შავის“ ქვაკუთხედიც „თხრობაა“.

მაგრამ ნაწარმოების შეფასებისას არ შეიძლება „თხრობის“ ღირებულება-ნაყოფიანებებს დაეყარათ. მით უმეტეს „თხრობის“ ორიგინალობა თუ არაორიგინალობა შეფასების გარეშე უნდა რჩებოდეს (ყველასათვის ცნობილია, მიუნხენის ტანიმაცი ორიგინალურ „თხრობაზე“ აგებული მრავალი ნაწარმოების ავტორია. ამ ნაწარმოებთაგან ზოგიერთი შეიძლება საუკუნეებს გაჰყვეს. ეს სულაც არ ნიშნავს, თითქმის მათი უქცეადაც „თხრობის“ ორიგინალობაზე იყოს დამოკიდებული). კაცმა რომ თქვას, საქითხს ნაწარმოებში არის თუ არა „თხრობა“, ამ პრობლემასთან საერთო არაფერი აქვს. ვიმეორებ: არა მგონია, რომ საერთოდ „თხრობას“ მოკლებული ნაწარმოები სხვებზე უმჯობესია. მაგრამ ვფიქრობ, მსგავს ნაწარმოებსაც აქვს არსებობის უფლება. „თხრობას“ მოკლებული ნაწარმოები მხოლოდ ადამიანის საქციელს როდი ასახავს. სხვა პროზაულ ქმნილებათაგან იგი ყველაზე უფრო ახლოა ლექსთან. ამავე დროს, ის უფრო ახლოა პროზასთან, ვი-

დრე ე. წ. პროზაული ლექსები. მესამედ ვიტყვი: არა მგონია, რომ „თხრობას“ მოკლებული ნაწარმოები სხვებზე უმჯობესია და მაინც „სიწმინდის“ თვალსაზრისით, ვულგარული თავშესაქცევის არარსებობის თვალსაზრისით — ის უფრო წმინდა სახის მხატვრული ნაწარმოებია. შეიძლება კვლავ მოვიყვანოთ მაგალითი ფერწერიდან — უესკიზოდ სურათის შექმნა შეუძლებელია (მე არ ვეხები კანდინსკის მთელი რიგ ტილოებს, „იმპროვიზაცია“ რომ ეწოდება). მაგრამ მიუხედავად ამისა ცხობრებით სავსე სურათი იმდენად ესკიზის წყალობით არ იქმნება, რამდენადაც საღებავებისა. ჩვენდა სახელწოდებულ ტილო, აბოინამდე მოღწეული სეზანის რამდენიმე ტილო, ამას ნათლად გვიმტკიცებს. მე სწორედ ისეთი ნაწარმოებები მიტაცებს, რომლებიც ამ სურათებს მაგონებენ.

გვხვდება თუ არა სინამდვილეში ასეთი თხზულებანი? პირველად აღრინდელმა ვერმანელმა ნატურალისტებმა შექმნეს ისინი. უფრო გვიანდლებიდან შეიძლება მხოლოდ ეიულ რენარი დავასახელოთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რენარის „ფილოსოფიის ოჯახის ცხოვრება“ ერთი შეხედვით დაუმთავრებელი ცხეჩვენება. ასეთი ქმნილება იმით რიცხვს განეკუთვნება, რომელთა დამთავრება შეუძლია მხოლოდ „დაკვირვებულ თვალს“ და „მგრძნობიარე გულს“. სეზანს კიდევ ერთ მაგალითს დავესახებო. შთამომავლობას მან მრავალი დაუმთავრებელი სურათი დაუტოვა ისევე, როგორც მიქელანჯელომ მრავალი დაუმთავრებელი ქანდაკება. მაგრამ უნებურად ეჭვი გვიპყრობს — განა ნამდვილად დაუმთავრებელია სეზანის ტილოები? გავიხსენოთ, რომ მიქელანჯელოს დაუმთავრებულ ქანდაკებებს როდენი დამთავრებულად თვლიდა! თუმცა რენარის ნაწარმოებებს, მიქელანჯელოს ქანდაკებებს, ისევე როგორც სეზანის ზოგიერთ ტილოს არ შეიძლება დაუმთავრებელი ეწოდოს. საქმეში ჩახუედაობის გამო, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვი, იმაზე თუ როგორ აფასებენ რენარის ფრანგები, მაგრამ ეტობა მისი შემოქმედებითი მანერის ორიგინალობამ საკმაო აღიარება ვერა პპოვა.



ნეთუ მხოლოდ უცხოელებს შეუძლიათ შექმნან მსგავსი რამ? ჩემი აზრით, იაპონელებზე თუ ნაიმჯელებზე, შეიძლება ნათია სივას მოთხრობები დავასახელოთ.

მე ვთქვი, რომ ასეთი სახის ნაწარმოებნი არ არის „ვულგარულად თავშესაქცევარი“. ვულგარულად თავშესაქცევარს ვუწოდებ გარკვეულ ლიტერულას მხოლოდ და მხოლოდ ამისადმი. დღეს ქუჩაში ვიდგე და მძლოლისა და რიქშას ჩხუბს თვალს ვადევნებდი. გარკვეული ცნობისწაღლიც აღმეძრა. როგორი იყო ეს ცნობისწაღლი? ბევრსა ვფიქრობდი და ცერ წარმომდგენა, რით ვანსხვავდება იმ ცნობისწაღლისაგან, როგორითაც ვუცქერ ჩხუბს თვატრის სცენაზე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩხუბი სცენაზე არაფრით მეშუქრება, ხოლო ქუჩაში ატეხილი აურხაური პირადად ჩემთვის სიფთაოდ შეიძლება გადაიქცეს. არ ვაბიჩებ იმ ლიტერატურის უარყოფას, ასეთ ცნობისწაღლის რომ აღძრავს. მაგრამ მეჭრა, რომ არსებობს კიდევ სხვა, უფრო მაღალი ცნობისწაღლი. ამის მაგალითად (პირველ რიგში ძიუნიტირო ტანიძის ვუპასუხებდი), „ჯიროაფის“ რამდენიმე გვერდს მოგიყვანდი, განსაკუთრებულ ცნობისწაღლის რომ აღგვიძრავს. „თხრობას“ მოკლებულ ნაწარმოებს თითქმის სრულიად არ ვაჩინა ვულგარული თავშესაქცევარი (საერთხაეა, როგორ გავიგებთ სიტყვა „ვულგარულს“). რჩინარის დსახტული ფილიამ, პოეტის თვალსა და გულში გავლილ ფილიამ — ჩვენს ცნობისწაღლის კი ძირითადად იმიტომ იწვევს, რომ ის ჩვეთვის ახლობელი, ჩვეულებრივი აღამაინა. ამას რომ ვულგარული თავშესაქცევრობა ვუწოდოთ, უსამართლობა იქნებოდა. (ბუნებრივია, ჩემს მსჯელობაში არა მსურდა დავყრდნობოდი გამოთქმას „ჩვეულებრივი აღამაინი“. მე მინდა ყურადღება გავამახვილო გამოთქმაზე: „პოეტის თვალსა და გულში გავლილ ჩვეულებრივი აღამაინი“). ბევრს ვიცნობ, ლიტერატურა ასეთი თავშექცევისათვის რომ უყვარს. ჩვენ არ გვწყინდება ზოობარკში ჟიროაფის ცქერა — ეს სრულიად ბუნებრივია. მაგრამ ამავე დროს კატაც გვიყვარს, ჩვენს ბიონში რომ მოუკალათია.

ერთი კრიტიკოსის მსგავსად, თუ სეზანს ჩვენც ფერწერის დამამსხრებელს ვუწოდებთ, მაშინ რენარმაც დამახერია „თხრობა“. ისევე როგორც საკმეველის სურნელით გავლენითლი ვიდი, ისევე როგორც ქუჩის სუნით აქოთბული ფილიამ, იგი მიაბივებს ხაფსავებობა და ხეფათით საევე უდაბურ გზაზე. ჩემს ცნობისწაღლის იწვევს ასეთი მწერლების შემოქმედება, იმ მწერალთა შემოქმედება, ანატოლ ფრანსისა და ბარესის შემდგომ რომ მოვიდნენ. როგორი ნაწარმოებები მაქვს მხედველობაში, „თხრობამოკლებულს“ რომ ვუწოდებ და რატომ აღმძრავენ ისინი ცნობისწაღლის — ამის ვაკვება ჩემს მიერ ზემოთ ნათქვამიდანაც შეიძლება.

ძიუნიტირო ტანიძისა და ხარუტუნის მსგავსი თან ერთად თოჯინების თეატრში მსჯელობისა და ხანია მარიონეტების სპექტაკლი არ მენახა. თოჯინა მსახიობზე ლამაზია, განსაკუთრებია მაშინ, როცა არ ამოძრავებენ. თოჯინების შვე სამოსიანი გამოამაშებელი მსახიობი უსიამოგრანობას იწვევს. ასეთი ფიგურები გოიას ნამუშევრებში უკანა პლანზე მოჩანს ხოლმე. ასე გვერება, ეს შვეი ფიგურები, როგორც შენი ნაღვლიანი ბედისწერა, სადაც მიგერეკებოდეს...

ახლა თოჯინებზე კი არა, ტიკამაცულ მონძემონზე მინდა აგვასუბროთ. ძისეი კობარას თუ ყურფილ და ავტორზე დავიწყე ფიქრი. რეალისტ საიკაუს საპირისპიროდ ტიკამაცუს იდეალისტად თვლიან. ტიკამაცუს მსოფლმხედველობას არ ვიცნობ. ზეცას რომ შედარებდებოდა, ალბათ ჩვენს არასრულყოფილებაზე თუ შესჩიოდა. შესაძლოა, დღევანდელი დღის შემკურთ, შიშით ელოდა ხვალინდელს. ახლა დაბეჯითებით ამის პასუხს ვინ მოგვეცემს? მისი დრამების მნახველმა ნამდვილად შემიძლია დავამტკიცო, რომ ტიკამაცუ იდეალისტი არაა. იდეალისტი? არაგარ შეიძლება მას იდეალისტ ვუწოდოთ? საიკაუს შემოქმედება და მსოფლმხედველობაც, რა თქმა უნდა, რეალისტურია. (ყოველ შემთხვევაში, ნაწარმოების მიხედვით). ეს სულაც არ ნიშნავს, თითქმის სავალდებულო იყოს ავტორი შემოქმედებითაც რეალისტი იყოს და მსოფლმხედველობითაც, „ქალბატონი ბოგარის“ ავტორის შემოქმედება და მსოფლმხედველობა რომანტიკულია. ოცნებისაყნ ლტრავს თუ რომანტიზმს ვუწოდებთ, მაშინ ტიკამაცუ რომანტიკობია. მაგრამ ამავე დროს გარკვეული „სპექტით — ის ქემპირიტი რეალისტია. მისი რენლისტური დრამა აღამაინის სულის ყველაზე იდეალურ კუნძულს აღწევს. დრამაში ცხადია, გენროკუს ეპოქის დამახასიათებელი ლირიული ლექსებიც გვხვდება...

ტიკამაცუს ზშირად იაპონელ შექსპირს უწოდებენ. მისი შემოქმედება უფრო მეტადაა შექსპირული, ვიდრე ფიქრობენ. ყვერ ერთი, შექსპირის მსგავსად, თითქმის ყვერს აღმეტება ინტელექტი (გავისწნოთ თუნდაც მოლოგის ინტელექტი). მეორეც, მისი დრამები საგნა ბრწყინვალე სტრუქტურებით, და ბოლოს, თვით ყველაზე მძაფრ დრამატულ ქარგაშიც კი კომედითრი სცენაა ჩაქსოული. მაყალთან მოფუსფუსე ღარიბი ბერის მავურებელს ზშირად გამხსენებია დიადი „მაკეტის“ ლხინი.

ტიოგიუ ტიკამამას გამოკვლევების გავლენით ტიკამაცუს ყოფით დრამებს მისსავე ისტორიულ დრამებს ამკობინებენ. მაგრამ არც ისტორიულ დრამაში გვევლინება ტიკამაცუ რომანტიკოსად. ამ თვისებითაც შექსპირს ენათესავება. შექსპირმა საშუალოდ შეაჩერა თავისი საათი რომში. ტიკამაცუმ ეპოქის უგუ-





ლებელყოფაში შექსპირსაც ვაღსწრო. უფრო მეტიც — ღმერთების საუფუნეც გენროყუს ეპოქის სამყაროდ გადასვლია. პარადოქსულია, მაგრამ მისი პერსონაჟების ფსიქოლოგიური მონახაზები ხშირად სრულიად რეალისტურია. მაგალითად, ისტორიულ დრამაში — „ნიხონ უფროსი დე ხაძიმა“ მშების, კოტანას და სოტანას (პიესის გმირები) ჩხუბი ყოფითი დრამის სცენად წარმოგვესახება. ხოლო კოტანას ცოლის და თვით კოტანას სულიერი მდგომარეობა მამის მოკვლის შემდგომ ჩვენი დროისთვისაც მახლობელია. უფრო მეტიც, სუსანო-ხო-მიკოტოს სიყვარული, ვაგბედავ და ვიტყვი, ისტორიის ფერისცვალებასაც მარადი სახით შემორჩა.

ტიკამაცუს ისტორიული დრამა, ბუნებრივია, უფრო მეტადაა გეოგნთილი ფანტაზიით, ვიდრე ყოფითი დრამა. და სწორედ ამ ფანტაზიის წყალობით არის უფრო მომხიბვლელი, რასაც ვერ ვიტყვით ყოფით დრამაზე.

**ლექსის ფორმა**

მრავალ წელს მშვიდად ეძინა ზღაბრულ პრინცესას ციხე-კოშკში. იაპორუი ლექსი, ტანკას და ხაიკუს ვარდა, ამ ზღაბრულ პრინცესას ჰგავდა. ტიკოს ფორმითაა დაწერილი. „მანიოხიუ“, საიბარა, „ტაირის სახლის თქმულეა“, იოკოკუ და ძიორუი მრავალი სალექსო ფორმა თვლემს ამ ნაწარმოებებში. ადრე ვწერდი, რომ იოკოკუ ახლსა თანამედროვე ლექსის ფორმასთან. მას ახასიათებს თანამედროვე ენის რიტმი. ეგრეთწოდებული თანამედროვე ხალხური პიესების უდიდესი ნაწილი, დოდოიუს ფორმითაა დაწერილი. მიძინარე პრინცესას დანახვაც კი დიდ ცნობისწადილს აღუძრავს ადამიანს და რაღა იქნება, ის რომ გავაღვიძოთ!

დღევანდელი, ან ძველი ტერმინოლოგიით, ახალი სტილის ლექსი, ვგონებ სწორედ ამ გზით მიემართება. ახლანდელი გრძნობების გა-მოსახატად, ჩანს, ლექსის გუშინდელი ფორმა არ გამოდგება. ამავე დროს სულაც არ ვამტიყებ, რომ უცვლელად უნდა მივიდეთ ძველ პოეტურ ფორმას. ვგრძნობ, უბრალოდ, რომ ამ პოეტურ ფორმაშიც არის რაღაც ცხოველ-მყოფელური. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: შეგნებულად უნდა ვესაძლოთ, ამ რაღაცას ჩავ-ქიდოთ ხელი.

ჩვენ ყველანი გარდამავალ ხანაში ვაგჩნდით და — წინააღმდეგობაზე წინააღმდეგობას ვუ-მატებთ. სინათლე იაპონიისთვის მაინც დასავ-ლეთიდან უფრო მოდის, ვიდრე აღმოსავლეთი-დან. მაგრამ შუქი წარსულიდანაც გვეფინება... ბუნებრივია, პრინცესას გაღვიძება ყველას არ შეუძლია...

ძველ იაპონურ ლექსში არის ცინცხალი რამ, ის, რაც გამოძახილს ითხოვს. ბუნებრივია, ეს „რაღაც“ ჩემს სმენას სწვდება, მაგრამ მისი

ხორცმესხმა არ ძალმიძს. ლიტერატურის თე-ლსაზრისით, შეიძლება, ეს წვრილმანი, მაგრამ მე, რა უნდათადაც არ უნდა მოგეჩვენებოდეს მთელი არსებით მიველტი ამ ბურუსით დაფარულს და მოუხელებელს.

**პროლეტარული ლიტერატურა**

ჩვენი დროის სამანთა ვადალახვა არ შეგვიძლია. არ შეგვიძლია ჩვენი კლასის სამანთა ვა-დალაგვა...

საშუალო კლასებმა, უეჭველია, მრავალი რე-ვოლუციონერი წარმოშვა. თეორიულად და პრაქტიკულად მათ საკუთარი იდეები გამო-ხატეს. მაგრამ ვანა შესძლო მათმა სულმა სა-შუალო კლასების ზღუდეთა გადალახვა? ლუ-თერმა რომულ-კათოლიკური ეკლესიის წინა-აღმდეგ გაილაშქრა. ის ხედავდა ეშვას, მის სა-ქმეს რომ ეღობებოდა. ლუთერი ახალი იდეე-ბით იყო აღჭურვილი. მაგრამ მის სულს არ შე-ეძლო არ შეემჩნია რომის კათოლიკური ეკლ-სიის ჯოჯობითი. ეს მხოლოდ რელიგიას არ ეხე-ბა. იგივეა, როცა სოციალურ სისტემაზე ლაპ-რაკბენს.

ჩვენი სული კლასობრივი დაღი არის დატ-ვიფრული. მაგრამ მხოლოდ კლასობრივი კუთ-ვნილება არ გვაერთიანებს. ჩვენ შეკავშირე-ბულნი ვართ გეოგრაფიულადაც — დაბადების ადგილით, ჯერ იაპონიით და შემდეგ მშობლიუ-რი ქალაქითა და სოფლით. ახლა მეშვიდრეო-ბასა და გარემოცვის თუ გავიხსენებთ, ჩვენვე ვაგვიერთდება, იმდენად რთული წარმონაქმნი ვართ... მცენარეები ვართ, სხვადასხვა მიწაზე და სხვადასხვა ცის ქვეშ რომ ხარობენ. ჩვენი თხზულებანიც განსხვავებულ პირობებში აღმო-ცენებულ მცენარეთა ნაყოფია. ღვთის თვალის რომ ვაგმავებდით საკუთარ თავს, დავინახავთ, ჩვენს ნაწარმოებებში მთელი ჩვენი ცხოვრებაა აღბეჭდილი.

რა არის თავისთავად პროლეტარული ლიტე-რატურა? უპირველეს ყოვლისა, ეს, რა თქმა უნდა, ლიტერატურაა, რომლის ყველალებიც პროლეტარული კულტურის წიაღში იფურჩქნე-ბა. დღევანდელ იაპონიაში ამას ჩვენ ვერ ვხე-დავთ. შემდეგ, ეს პროლეტარიატის ინტერესე-ბისათვის მებრძოლ ლიტერატურაა. ჩვენ ამას იაპონიაშიც ვხედავთ (მეზობლად შეიცატარია რომ ყოფილიყო, პროლეტარული ლიტერატურა უფრო განვითარდებოდა). მესამე — ესაა ლი-ტერატურა (სულერთია კომუნისმის ან ანარ-ქიზმის პრინციპებს ემყარება თუ არა), რომელ-საც პროლეტარული სული უდევს საფუძვლად. პროლეტარული ლიტერატურის მეორე და მე-სამე განსაზღვრა ერთმანეთს სრულიად შეესა-ბამება. ახალი ახალგაზრდა ლიტერატურა რომ შეიქმნას, ის პროლეტარული სულით უნდა

**აკატაბაზა რიუნოსკა**  
**ფიძრამბი ლიტერატურაზე**

იყოს შთავიწმენდილი. კომუნისტური ან ანა-  
ქისტული იდეების გამოსახვა ნაწარმოებში  
სრულიადაც არაა ძნელი, მაგრამ ნაწარმოებს  
მხოლოდ პროლეტარული სული ანიჭებს პოე-  
ტურ სიღრმადს და აღმასილებურ ბრწყინვალე-  
ბას. უდროოდ გარდაცვლილ ახალგაზრდა ფი-  
ლიპს პროლეტარული სული ჰქონდა...

### ნეოსენსუალისტთა ჯგუფი

ახლა აღბათ ძალზე გვიანია ნეოსენსუალის-  
ტთა მოღვაწეობის კრიტიკული ანალიზი, მაგ-  
რამ გავეცანი ამ ჯგუფის მწერალთა შემოქმე-  
დებს, მათ ნაწარმოებებზე გამოქვეყნებულ  
კრიტიკულ სტატიებს და ძლიერმა სურვილმა  
შემიძალო, ნეოსენსუალისტთა დადებითი და  
უარყოფითი მხარეები აღვნიშნა.

პოეზიაზე თუ ვიმსჯელებთ, ის ყველა დროს  
ნეოსენსუალისტთა ჯგუფის ინტერესებს სასარ-  
გებლოდ ვითარდება. ამ აზრით სრულიად მარ-  
თალია საისეი მუროოს მტკაცება, რომ ბა-  
სიო გერნოუს ეპოქის ყველაზე დიდი პოე-  
ტი იყო, რომლისთვისაც "ხედვა მოჭრილია გან-  
საზღვრება „ნეო“. ბასიო ყოველთვის იმას  
ცდილობდა, ლიტერატურისათვის „ნეო“ გამ-  
ხდარიყო. რამდენადაც პროზა და დრამაც პო-  
ეზიის ელემენტებს შეიცავს ე. ი. ფართო გაგე-  
ბით პოეზიას წარმოადგენს, ამიტომ ნეოსენ-  
სუალისტთა ჯგუფის გამოჩენას ისინიც უნ-  
და მიესალმნენ. მასსოვს ამ ჯგუფს ასე თუ  
ისე ზაესუსეო ეიტხარაც ეკუთვნოდა (იმ  
დროისადღე პოეტებს სიმბოლოდ ჰქონდათ  
„გრძობობა თავისუფლება“). ძიუნეიტრო ტა-  
ნიძაკი ემხრობოდა ნეოსენსუალისტთა ჯგუფს.

დღევანდელ ნეოსენსუალისტთა ჯგუფის მი-  
მართ მეც, ბუნებრივია, გარკვეული ინტერესი  
აღმიქმნის. ამ მწერლებმა, ყოველ შემთხვევაში  
კამათის მონაწილეებმა, გამოაქვეყნეს თეორიულ-  
ლი ნაშუქები, ვაცოდებით უფრო „ნეო“,  
ვიდრე ჩემი მოსაზრებანია ნეოსენსუალისტთა  
ჯგუფზე. სამწუხაროდ, სათანადოდ არ ვიცნობ  
მათ. ჩემთვის ცნობილია, და ისიც არც თუ ისე  
კარგად, მხოლოდ ნეოსენსუალისტთა ჯგუფის  
ნაწარმოებნი.

პირველი მოთხრობები და ნოველები რომ  
გამოაქვეყნეთ, ჩვენ „ნეორაციონალისტების“  
ჯგუფი შეგვარქმევს (რაც თქმა უნდა, ჩვენ თავს  
ასე არ ვუწოდებდით). მაგრამ ნეოსენსუალის-  
ტების ჯგუფის მწერალთა თხზულებებს თუ გა-  
დავხედავთ მაშინ უნდა ითქვას, ისინიც რაღაც  
აზრით უფრო მეტად არიან „ნეორაციონალის-  
ტები“, ვიდრე ჩვენ. რას ნიშნავს „რაღაც აზ-  
რით“? ეს არის რაციონალიზმის სხევი, მათ გე-  
რეთწოდებულ სენსუალიზმს რომ აშუქებენ.  
ერთხელ, საიეს მუროო და მე უსუსის მათზე გა-  
დამდგარ მთვარეს ვუყურებდით. უცებ საისე  
მუროოს სიტყვები მომესმა, მაოგის მთა მძღე-  
ნარც კოჰას მაგონებსო“. მეც, ჩემდა მოულოდ-  
ნელად, აღმოვაჩინე, რომ ეს მთა მართლაც მო-

გვაგონებს კოჰას ფესვს. მსგავსი ეგრეთწოდე-  
ბული სენსუალიზმა რაციონალიზმის ~~ქვეყნად~~  
არ გაშუქებულა. რას წარმოადგენს ~~სენსუალიზმი~~  
მათი ე. წ. სენსუალიზმა? რაიტი იოკომიცი-  
ს რომ აფხსნა ჩემთვის მათი ეგრეთწოდებული სენ-  
სუალიზმის აღმადრენა, ტაკეო ფუძისავს ფრა-  
ზა მომიყვანა: „ცნენი ვარზოდა, როგორც მწი-  
თური აზრი“. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ  
მსგავსი აღმადრენა ჩემთვის გაუგებარია. მაგრამ  
ეს სტრუქტურა აშკარად რაციონალიზტრია  
ციციციემა გამოიწვია. ამრიგად, მათ თავისი ეგ-  
რეთწოდებული სენსუალიზმა არ შეუძლიათ რა-  
ციონალიზმის შუქით არ გაანათონ. ესაი, რო-  
გორც ჩინს, ამ ჯგუფის განსაკუთრებულობა. თუ  
გვრეთწოდებულ სენსუალიზმს მიზანი რაიცი-  
სიახლეა თავისთავად, მაშინ ვალდებული ვარ,  
მიოგის მითს აღქმა კოჰას ფესვად ყოველგვარ  
სიახლეზე უახლესად ჩავთვალო. ასე აღიქვამ-  
დნენ ჯერ კიდევ შორეული ედოს დროიდან.

ნეოსენსუალისტთა ჯგუფი აუცილებლად უნ-  
და წარმოქმნილიყო. ეს წარმოქმნა სულაც არ  
იყო ადვილი, როგორც საერთოდ ყველა ლიტე-  
რატურული სიახლისა. ნეოსენსუალისტთა  
ჯგუფის წევრებით, ან უფრო სწორად თუ ვი-  
ტყვით, მათი ეგრეთწოდებული ნეოსენსუალი-  
ზმით აღფრთოვანება მიჭირს. — მე ეს მიიქ-  
ვამს კიდევ. მაგრამ კრიტიკოსები მაინც ძალ-  
ზე მკაცრად ექცევიან მათ. ასე თუ ისე, ნეო-  
სენსუალისტთა ჯგუფის წევრები ცდილობენ  
ახალი მიმართულებით მოძრაობას. ეს აუცილე-  
ბლად უნდა ვაღიაროთ. მათი დაცინვა მარტო  
იმას კი არ გამოიწვევს, რომ დარტყმას მივა-  
ყენებთ ნეოსენსუალისტ მწერლებს, იმ მიზანს  
რომელსაც დაისახავს ნეოსენსუალისტთა ჯგუ-  
ფის ახალი თაობა, ძველს კვალდაკვალ რომ მო-  
ჰყვება, არამედ მათ შედგომს ზრდასიც შეაფე-  
რებს. ეს კი ბუნებრივია, იაპონიის ლიტერა-  
ტურის თავისუფალ განვითარებას, მის პროფე-  
რეს ხელს არ შეუწყობს.

### კლასიკა

ვექვობ, „ჩრეული უმიცირესობა“, ის უმიცირე-  
სობა იყოს, რომელსაც უმაღლესი მშვენიე-  
რების ჰერეტა ძალუძვს. მათ უფრო ნაწარ-  
მოებში გამოსახულ გრძობებთან შეხების უნა-  
რი შესწევთ. ასე ვაგოლის, მხატვრულ ქმნი-  
ლებას არ უნდა ჰყავდეს მკითხველი, გარდა  
„ჩრეული უმიცირესობისა“. ეს არ ნიშნავს, არ  
არსებობდეს „მკითხველთა არარჩეული უმრავ-  
ლესობა“. „გენმის ამბავის“ მაქებარი ბევრა  
მინახავს. არაფერს ვიტყვი, როგორც ესმით და  
როგორ ტყებთან ამ რომანით. მაგრამ ჩემს მა-  
ხლობელ მწერალთა შორის მხოლოდ ორი—  
ძიუნეიტრო ტანიძაკი და ტოსიო აკასი თუ მე-  
გულემა მისი ბოლომდე წამოიხველი. ამრი-  
გად, კლასიკური შეიძლება ეწოდოს ნაწარმო-  
ებს, ორმოცდაათი მილიონიდან ერთი-ორს რომ  
წაუყვითავს.



„მანიოსიუს“ გაცილებით ბევრი კითხულობს, ვიდრე „გენძის ამბავს“, არა იმიტომ, რომ „მანიოსიუს“ სჯობია უკანასკნელს, და არც იმიტომ, რომ მათ უფსკრული ჰყოფთ: ერთი პროზაული, მეორე — პოეტური ქმნილებაა. უბრალოდ „მანიოსიუსში“ შეტანილი ნაწარმოებები თითოეული ცალკე-ცალკე შეუდარებლად მოკლეა „გენძის ამბავზე“. ყოველ დროს, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში მოკითველს მაინცდააინებს არ იზიდავდა გრძელი ნაწარმოები. ასეთი თხზულება წარმატებით სარგებლობდა, თუ მოკლე ამბებისაგან იყო შედგენილი. ჭერ კიდევ მო, პოეზიის საკუთარი პრინციპების განმტკიცებისას, ზუსტად ამ ფაქტს ეყარებოდა.

ბირაძე პოზიის საკუთარი პრინციპების განმტკიცებისას ასე მოიქცა. ჩვენი, აღმოსავლელი ადამიანები, არა გონებით, არამედ გრძნობით ცხლმძღვანელობდით და ამ საკითხში მათი წინამორბედნი აღმოვჩნდით. სამწუხაროდ, მათ მსგავსად ამ ფაქტზე დაფუძნებული, ლოგიკურად დასრულებული შენება არ აგვიცია. რომ გვეცადა, მაშინ ისეთ რომანსაც კი, როგორც „გენძის ამბავია“, შესაბამისი მასალით უხრუწველყოფდით. მშვენიერი მასალა რომანს ყოველ შემთხვევაში პოპულარობას მოუტანდა (შეარაძე პოს თეორიის განვითარებისას, აღმოჩნდება დიდი სხვაობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. პოს ლექსის ყველაზე შესაფერის სიგრძედ ასი სტრიქონი მიიჩნდა. იგი ჩვენს სამსტრიქონიან და ჩვიდმეტმარცვლიან ხაიკუს აუცილებლად ვააჩვენებდა ლექსთა მწკრივიდან და „გეიგარამას“ შეარქმევდა).

უკვდავება, სულერთია, აღიარებენ ამას თუ არა, ყველა პოეტის სანუკუარი ოცნებაა. ეს გამოთქმა არაა ზუსტი. უფრო სწორია თუ ვიტყვი: „სანუკუარი ოცნებაა იმ პოეტებისა, რომელთაც გამოუქვეყნებიათ საკუთარი თხზულებანი“.

ისეთი ადამიანებიც არიან, საკუთარი პოეტობა რომ სწამთ და ერთი სტრიქონიც არ გამოუქვეყნებიათ. შევთანხმდეთ და პოეტად ჩავთვალოთ მხოლოდ ის კაცი, ვინც ხასიათისა და გარემოებათა მიხედვით ან ლექსს წერს ან პროზას. ამ პოეტის პრობლემა ის კი არაა, თუ „რაა დაწერილი“, არამედ ის, „რაც არ დაუწერია“. პონორარის შემწურებ პოეტისათვის ეს ბუნებრივია, მაინცდამაინც სასიამოვნო არაა. თუ გულზე არ ეხატება, დავ, გაიხსენოს თუ დადლობის ეპოქის პოეტი რუკუმიუნენ ისიცაა ფუნდუკის მფლობელი რომ იყო, ჩვენ ლიტერატურის დღიური შევსაენი რომ არ ვიყოთ, რაიმე ხელობას შევისწავლიდით. გამოცდილივე და ცოდნაც იქნება გავერთმავებინა. ზოგჯერ შორით ვიგონებ ძველ დროებას. არა, ვინც ცხოვრობდა ლიტერატურული შრომით, მაგრამ სწორედ ამ ეპოქამ დავეტოვა კლასიკური მწერლობა. შეცდომა იქნებოდა, გვემტკიცებინა, არსებობისათვის დაწერილი თხზულება კლასიკური ნაწარმოებად ვერ გადაიქცევა (ზოგი-

ერთ მწერალს სხვადასხვა პოზის მიღება სჩვევია, მათგან ყველაზე ბუნებრივია — „არსებობისათვის ვწერ“). ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ, ანატოლ ფრანსი გვაფრთხილებდა — მომავლისაგან გაფრენის მსურველი მსუბუქი უნდა იყოს.

ბოლოს დავსძენდი, კლასიკური მხოლოდ იმ ნაწარმოებს შეიძლება ვუწოდოთ, რომელსაც ყველა კითხულობს თავიდან ბოლომდე.

**საშუაბრი ლიტერატურაზე**

ჩვენი თხზულებანი გაზეთებსა და ყოველდღიურ ჟურნალებში იბეჭდება. წინათაც ასე იყო, ახლაც არაფერი შეცვლილა.

ვერობიდან ერთმა მეგობარმა ლია ბარათი გამომიგზავნა ნორტ-დამის გამოსახულებით. გუყურებდი და კვლავ ეს ფერტი ამეკვიცადა. საქმე ისაა, რომ არქიტექტურა რამდენადმე გაბატონდა ფერწერაზე. მიქელანჯელოს უზარმაზარი ფრესკები რომანული არქიტექტურის გავლენით გაჩნდა. ვან დეიკის მომიკრო სურათებიც გოთურმა არქიტექტურამ განაპირობა. როგორცა ჩანს, ლიტერატურულ ნაწარმოებსაც იმ ყოველთეიური ჟურნალ-გაზეთების დალი ამეცხ, სადაც ის იბეჭდება. ახლანდელი რომანები გაზეთის სულითაა გამსჭვალული. ახლანდელ მოთხრობებს მომავლის თვალთ რომ გადავხედოთ, მაშინ ალბათ სტრიქონთა შორის მთელ ჟურნალს დაეინახავდით. იქნება ეს უბრალოდ ჩემი ფანტაზიაა, მაგრამ ის, რომ ჩვენს ნაწერებში გაზეთი ან ჟურნალი ტიტივებს რეალურზე სარწმუნო ფანტაზიაა და ექსპრესიონისტულ ფილმს მოგვაგონებს.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთები წელიწადში ათასზე მეტ რომანსა და მოთხრობას აქვეყნებენ. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ძალზე მოკლეა. ლიტერატურის საზოგადოებრივ რომანი უველაზე უკეთ ასახავს ცხოვრებას. ამავე დროს ცხოვრების ხასიათი იცვლება და რომანის შემოქმედება მცირდება ლიტერატურის სხვა სახეებთან შედარებით. გუმინდელი რომანი უნდა გვიკითხოთ გუშინდელი ცხოვრების შესაცნობად. ამ რომანებს პირველ რიგში შემეცნებითი ღირებულება აქვს და არა ის, რომ ავვალეღვას და გული ავკითრათოლდეს.

თანამედროვე მწერლები ტადანაო კიოსა თუ ბერი სიუნკანის საეცებით ადამიანთა სახეებს ჰქმნიან. მაგრამ ისინი ადრე თუ გვიან გარდაიქმნებიან ტადანაო კიოს თუ ბერ სიუნკანისეულ „ადამიანურზე გაცილებით უფრო“ დამაყრებელ სახეებად. ყველაზე წმიდა, ნათელი გრძნობა, მავალითა, მამაკაცისა და ქალის სიყვარული, ყოველთვის გვაღელვებს, თუნდაც ის „გენძის ამბავში“ ამოვიკითხოთ. მაგ-

**ბაშტაბაშა რიშნოვაჲ  
ფინანსური ლიტერატურაზე**



რამ ვის ეყოფა სიჭრეტე, ასეულ ფურცელს გააწყალებინოს თვალი ცხოვრებისეული სიმართლის სახე რამდენიმე სტრიქონისათვის. საუბრეებს რჩება მხოლოდ ის, რაც დიდი გამოქვაბულისაგან დადგინდა ამ წმინდა, ნათელ გრძობას. ლირიკული ლექსები იქნებ ამიტომ სძლებენ რომანზე ხანგრძლივად. იაპონური ლიტერატურა ნამდვილად ძალზე მდიდარია, მაგრამ არც ერთ ნაწარმოებს არ უწყურია ისეთი დიდი ხნის სიცოცხლე, როგორც „მანიოსუს“ ტანკას.

რომანი და პიესა რომ ყურნალისტიკასთან ახლოა, ამაზე ზემოთ თქმულიც მეტყველებს. მეტად რომ ვთქვათ, ეპოქის გარეშე არც მწერალს და არც ნაწარმოებს არსებობა არ შეუძლია. ასეთია ის ხარკი, რომელიც რომანმა აუცილებლად უნდა გაიღოს მაქსიმალური გამოსახველობით რომ გადმოსცეს ცხოვრება. ავი ვამბობდი, ლიტერატურის არც ერთ სახეობას არ უწყურია ისეთი მოკლე დღე, როგორც რომანს. ამავდროს არც ერთი სახეობა არ ცხოვრობს ისეთი დაძაბული ცხოვრებით, როგორც რომანი. ამრიგად, რომანი უფრო მეტადაა შექმნილი ლირიკული ტონებით, ვიდრე თვით ლირიკული ლექსი. რომანი ჩვენს თვალშია წამოყვანილი გაუღებულ პეპელას მოგვაგონებს.

პროლეტარული ლიტერატურის დიდი იმედი მაქვს. ეს სრულიადაც არ არის ირონია. გუშინდელი პროლეტარული ლიტერატურა მწერლებისაგან აუცილებლად მოითხოვდა საზოგადოებრივ შეგნებას. მაგრამ „გენმის ამბავი“, „გენმის ამბავად“ ავტორის არისტოკრატიზმს არ გადაუქცევია და არც სასახლის ცხოვრების ცოდნას. ამაში ექვს ვერაფერს შეიტანს.

კრიტიკოსები ე. წ. ბურჟუაზიულ მწერლებს მოუწოდებენ: საზოგადოებრივი შეგნება შეიძინეთ! ამ სიტყვებს არ ვეწინააღმდეგები. მე მხოლოდ ეს მინდა ვუთხრა მწერლებს, პროლეტარულს რომ უწოდებენ ჭაქს: შეიძინეთ პოეტური სული...

### მწერლის ათი მცნება

1. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, ლიტერატურის ყველა სახეობიდან პროზა ყველაზე ნაკლებმხატვრულია. კემპარტიკონის მნიშვნელობით, მხოლოდ პოეზიაა ლიტერატურა. კუთვნილი ადგილი პროზას მხოლოდ იმის წყალობით უკავია, თუ რამდენად მოიცავს პოეზიას. ამრიგად, ისტორიული და ბიოგრაფიული ნაწარმოებიც ფაქტობრივად პროზაა.

2. პროზაიკოსი, გარდა იმისა, რომ პოეტია, ისტორიკოსი და ბიოგრაფიკა ერთდროულად. მაშასადამე, ის განუყოფლად უნდა დაუკავშირდეს (გარკვეულ ეპოქაში, გარკვეულ ქვე-

ყნის) ადამიანთა ცხოვრებას. ამას გვიძლია ტერმინები იაპონურ პროზაიკოსთა თხზულებებში. მწერასავე-სიკიტუდან მოყოლებული მისი მხარეს თავრებები ისარა საიკავით.

3. პოეტია ის კაცია, ყველას თავის სულს რომ გადაუხსნის (ავიღოთ თუნდაც სასიყვარულო ლირია, რომელიც ქალის მოსახიბლად არსებობს) რამდენადაც პროზაიკოსი არა მხოლოდ პოეტია, არამედ ისტორიკოსიცა და ბიოგრაფიც, ამიტომ მემუარისტიც უნდა იყოს აქედან — პროზაიკოსი ჩვეულებრივ ადამიანზე მეტად განიცდის თავის ტანჯულ ცხოვრებას. პროზაიკოსში მომეტებულად არ უნდა სჭარბობდეს პოეტია. თუ პოეტურობა სჭარბობს მემუარისტობას ან ბიოგრაფიკობას, მაშინ პროზაიკოსის ცხოვრება აუცილებლად გადაიქცევა მძიმე ტრაგედიად (ნაპოლეონი ან ლენინი პოეტები რომ გამხდარიყვნენ, მაშინ უსათუოდ ირი შეუდარებელი პროზაიკოსი დაიბადებოდა).

4. ზემოთ მოყვანილი სამი პუნქტი გვიჩვენებს, რომ პროზაიკოსის ტალანტი სამ ტალანტზე დაიყვანება. პოეტის ტალანტი, ისტორიკოსისა ანუ ბიოგრაფის ტალანტი და ყოფითი ტალანტი. ჩვენი წინაპრები ყველაზე რთულად სთვლიდნენ ამ სამ ტალანტს შორის წინასწარობის შენარჩუნებას (ადამიანები, რომლებიც ამას ყველაზე რთულად არ სთვლიან — ჩვეულებრივი მოკვდავი არიან). ის, ვისაც მწერლობა სურს, მძღოლსა ჰკავს, საიეტომობილი სკოლა რომ არ დაუმთავრებია და სრული სიჩქარით მიაჭრის ქუჩაში მანქანას. მას არ შეიძლება მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრების იმედი ჰქონდეს.

5. ვინაიდან მწერალს არ შეიძლება მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრების იმედი ჰქონდეს, ამიტომ ის უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ საკუთარ სასიცოცხლო ძალებს, ფულს და ცხოვრებისადმი ფილოსოფიურ დამოკიდებულებას. (შესწევდეს უნარი მოუწყობლად ცხოვრებისა) უნდა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ რაიმე მშვიდდენივც არ უნდა იყოს, ცნებები, მწერლობა და მშვიდი ცხოვრება — შეუთავსებელია. ის, ვინც წყნარ ცხოვრებას ესწრაფვის, უმჯობესია, მწერლობას ნუ მოეციდება. უნდა გვახსოვდეს — მწერალი, რომელზეც შეიძლება ითქვას, შედარებით მშვიდ ცხოვრებას ეწევა, — ის მწერალია, ვისი ბიოგრაფიის დეტალებიც უბრალოდ უცნობია.

6. მიუხედავად ამისა, თუ მწერალს მაინც სურს შედარებით მშვიდად იცხოვროს, მაშინ სამ ტალანტთაგან ყველაზე მეტად ცხოვრებისეული ტალანტი უნდა გამოაწეროს. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ცხოვრებისეული ტალანტის წყალობით ის აუცილებლად დატოვებს თვითმყოფ მემკვიდრეობას. ცხოვრები-



სეული ტალანტი ნიშნავს საკუთარი ბედის ბატონ-პატრონობას (ამასთან არ არის გარანტია, რომ საკუთარი ბედის ბატონ-პატრონობა შეიძლება), აგრეთვე ზრდილობისა და თადარიგეანობის გამოჩენას ნებისმიერ, ყველაზე წაუღლებელ იდიოტის მიმართაც კი.

7. ლიტერატურა — სიტყვების საშუალებით თვითგამოხატვის ხელოვნებაა. მაშასადამე, მწერალმა სიტყვის დასახვეწად შრომა არ უნდა დაზოგოს. თუ კაცს სიტყვის სილამაზით აღფრთოვანება არ შეუძლია, მაშინ არა ფლობს მწერლისთვის აუცილებელ ყველა მონაცემებს. საიკაუსს „პოლანდიელ საიკაუსს“ უწოდებდნენ, არა მარტო იმ დროისთვის მიღებულ პროზის კანონთა დარღვევის გამო, არამედ იმიტომ, რომ პოეზიიდან ამოხაზული სიტყვის მადლი შეიცნო.

8. რომელიმე ქვეყნის პროზაული ნაწარმოები რომელიმე ეპოქის განსაზღვრულ კანონებს ემყარება (რომლებიც ისტორიული ვითარებითაა განპირობებული). კაცი მწერლობას რომ გადაუჯერტს, ამ კანონებს უნდა მისდევდეს. ეს ხელსაყრელია, რადგან: 1) შეიძლება საკუთარი ნაწარმოები შექმნათ წინამორბედთა მხრებზე დაყრდნობით, 2) თუ კი არ გადახვალ საზღვარს, ლიტერატურული ქოფაკები არ შეეყფენ. ოღონდ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ამ გზით აუცილებლად თვითმყოფადი ნაწარმოების ავტორი შეიქმნები (სულაც არ არის საჭირო ვამტკიცოთ, რომ ერთი ან ეწინააღმდეგება მეორეს) გენიოსი უბრალოდ არღვევს ყველა ამ კანონს. (ამავე დროს, უცნობია ანკრევის თუ არა ის ამ კანონებს იმდენად, რამდენადაც აღამიანებს ეჩვენებათ). გენიოსები ცაში სხვადასხვა სიმალეზე ფრენენ, ე. ი. ლიტერატურაში სოციალ-

ური პროგრესის (ანუ ცვლილების) გარეთ მოძრაობენ და არ შეუძლიათ მდინარების მიმართულულებას მიჰყვნენ. ის შეიძლება ლიტერატურული მზის გარეთ მდგომ ზღანეტას შევადაროთ. ამის გამო მისი არც სიცოცხლეში ესმით და არც სიკვდილის შემდეგ აღიარებენ სწრაფად (ეს მარტო პროზას კი არა, საერთოდ მთელ ლიტერატურას ახასიათებს).

9. კაცი მწერლობას რომ ესწრაფვის, მოვალეა, ფრთხილად მოექცეს ფილოსოფიურ, საბუნებისმეტყველო და ეკონომიურ მეცნიერებათა იდეებს. სანამ აღამიანი მხეცია, მანამ ნებისმიერ იდეას თუ თეორიას არ შეუძლია აღამიანის ცხოვრებაზე გაბატონება, უნდა ყველაფერს ისე ვუტკებდეთ, როგორც ცხოვრებაშია და გამოვხატოთ ისე, როგორც არის — სწორედ ამას ჰქვია ნატურიდან გადაღება. საუკეთესო მეთოდი, რომელიც მწერალმა უნდა აიჩიოს, ნატურიდან გადაღებაა. სიტყვები „როგორც ის არის“ უნდა გავიგოთ: „როგორც ის ხედავს“ და არა „როგორც ის ხედავს მაშინ, როცა თამასუქს უყურებს“.

10. ნებისმიერი მცნება პროზაული ნაწარმოების შექმნისა არ არის ოქროს მცნება. რა თქმა უნდა, ჩემი „ათი მცნებაც“ არ არის ოქროსი. ვისაც უწერია მწერლად ქცევა, გახდება კიდეც. ვისაც არა — არა.

შენიშვნა: მე ყველაფერში სკეპტიკოსი ვარ. მაგრამ უნდა გამოვტყდე, რამდენჯერაც არ ვცადე სკეპტიციზმი შემენარჩუნებინა პოეზიასთან შეკახებისას, არ შემეძლო სკეპტიკოსი დავრჩენილიყავი. ამავე დროს უნდა ვაღიარო, პოეზიასთან შეკახების დროსაც, მთელი ძალით ვცდილობდი ჩემი სკეპტიციზმი შემენარჩუნებინა.

გუსტავიან ტარგმან კარლო არსენაშვილმა.



# გულდა კალაძე



იმის ნაცვლად, რომ ახალ შემოქმედებით გამარჯვებას ვულოცავდეთ, გამოსათხოვარ სიტყვას ვეუბნებით. როგორ არ გვინდა, ძვირფასო გულდა, ამ პატარა წერილს ნეკროლოგი ან გამოსათხოვარი ერქვას. ძნელია უძვირფასესი მეგობრის დაკარგვა! დიდი მწუხარება ძღვევამოსილი სიტყვის უძღურებაში მერამდენედ გვარწმუნებს!

იგი იყო მალაღნიჭიერი ხელოვანი, თავისი დედის, შესანიშნავი მრქანდაკის და მხატვრის თამარ აბაკელიას ღირსეული მემკვიდრე და საქმის გამგრძელებელი. მას მუდამ თავს ადგა დედის ნათელი ლანდი და ამხნევებდა დედის — ქეშმარიტი შემოქმედის მაგალითით. ქართველი პოეტის კარლო კალაძის ოჯახში მას ჩაუნერგეს თავისი ერის სამსახურისა და თავდადების მაღალი შეგნება, მშვენიერების გრძნობა და თავყვანისცემა. მის მიერ გაფორმებულ ზღაპრებში, ქანდაკებებში, მის კერამიკულ პანოებში იგრძნობა ქართული სული, შესისხლსორცებული ქართული მითოსი.

გულდა კალაძეს ყოველთვის ასულდგმულეობდა თაობის ზნეობრივი და ესთეტიკური პრინციპები და იდეალები. ჩვენ ერთი ცხოვრებით ვცხოვრობდით და ერთი ისტორიული კატაკლიზმების მჭვრეტელნი და თანამონაწილენი ვიყავით. ჩვენ გვახსოვს სამამულო ომის დღეები (ამ დღეების გამოსახილია მარუხის უღელტეხილზე შექმნილი მემორიალი, რისთვისაც მას საქართველოს კომკავშირის პრემია მიენიჭა). გულდა კალაძე ჩვენი ბიოგრაფიის ნაწილი იყო. და აი, წავიდა იგი და წაიღო ჩვენი თაობის რაღაც ნაწილი. წავიდა და დარჩა მრავალი აუხდენელი ოცნება, დაუმთავრებელი სამუშაო...

გულდა იყო ჩვენი ჟურნალის ერთი პირველი მესვეური, მისი მხატვრული სანის დამდგენი და მისთვის მზრუნველი. ჩვენ ხშირად მივმართავდით რჩევისათვის, რადგან ვიცოდით, არ არსებობდა ქართული კულტურის არც ერთი მხარე, რომელსაც იგი დიდი პასუხისმგებლობით, უანგარო ერთგულებით არ მოკიდებოდა; ჩვენ გვჯეროდა მისი გემოვნების, მაღალი პოეტური სულის, ოსტატობის...

გულდა დიდბუნებოვანი ადამიანი იყო, ხალისიანი, ალალი და პირდაპირი. ასეთი იყო უკანასკნელ თვეებშიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ღროდაღრო — თითქოს სიწმარში, თეთრ ბურუსში იყო და ამ სიწმირიდან, ამ ბურუსიდან თავის დაღწევას და ცხადში დაბრუნებას ცდილობდა.

გულდა კალაძე ჩვენს ხსოვნაში მკვირცხლ და ღიმილიან ბიჭად დარჩება. რომელიც სიკვდილს თვალეში შებჭურებდა და წიქარაზე მჯდომი ბიჭივით გაურბოდა...



ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო  
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენხანოვის პრ. № 91.

---

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის  
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

---

გადაეცა ასაწყობად 18/VII-74 წ., ხელმოწერილია დამატებულად 4/IX-74 წ., ქალაქის ზომა  
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.

თაბახი 14,5.

შეკვეთა № 2765.

უე 01871.

ტირაჟი 28.051.

---

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანი 60 კპპ.



საქართველოს  
სახელმწიფო  
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236